1966/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისფერი

1966 10

ქართული

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 43-ე № 10 ოქტომბერი, 1966 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

10231

შინაარსი

- ვ. პ. მეჟავანაძე — მისასალმებელი სიტყვა სსრ კავშირის და საქართველოს მწერალთა კავშირების გამგეობათა გაერთიანებულ სხდომაზე 3
- გ. დ. ჯავახიშვილი — სიტყვა შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომაზე 5
- ირაკლი აბაშიძე — პოეტის უკვდავება 7
- რუსთაველის საიუბილეო დღეების ქრონიკა 16
- კოლაუ ნადირაძე — როცა ჩვენ ორნი პირისპირ ვრჩებით. ლექსი 21
- მირონ ხერგიანი — მესტიის ტურბაზის მეგზური. მოთხრობა 22
- ანდრო ლომიძე — გოროზი. მოთხრობა 47
- ალეკო შენგელია — დაბრუნება პირველ სიმღერასთან. ლექსი 55
- სერგი ჭილაია — ეკატერინე ჭავჭავაძე. ქრონიკა. წიგნი მეორე. გაგრძელება . . . 56
- ლადო სულაბერიძე — ლექსები 93
- ელიზბარ მაისურაძე — დაკარგული ოცნება. რომანი. წიგნი მეორე. გაგრძელება. . 95
- გაბრიელ ჯაბუშანური — ლექსები 128
- იშტვან ტემერკენი — მოთხრობები. თარგმანი მ. იშტვანოვიჩისა და ა. ლეკიაშვილისა 130
- ილია რურუა — პალესტინის სიძველეთა შორის. დასასრული 138

ორი დიდი თარიღის წინ

- აკაკი ირემაძე — სერგო ორჯონიკიძე რკპ (ბ) კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელი . . 159
- ალ. კოკაია — გლეხკაცობის ბრძოლა საქართველოში ოქტომბრის რევოლუციამდე . . 171

კრიტიკა

- ემზარ კვიტაიშვილი — უტყუარი მოთხრობები 175

წიგნების მიმოხილვა

- დ. ქუმსიშვილი — ოთარ ჭელიძის ლექსების ახალი კრებული 185
- ვლადიმერ ზამბახიძე — აკაკი და ახალგაზრდობა 187
- თამარ ოქროშიძე — ქართული ხალხური პოეზია 190
- ზ. ლორთქიფანიძე — ბონდო კეშელავას ლექსების წიგნი 192

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი **გრიგოლ აბაშიძე**

●

სარედაქციო კოლეგია:
დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მაღრაძე, ბ. ულენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი, ს. შანშიაშვილი, ვ. წულუკიძე (პ/მგ. მდივანი), **გ. ჯიბლაძე.**

●

ტექრედაქტორი **რ. ჩაკვეტაძე.**

●

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

●

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/X-66 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12^1/_2$. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.

უე 03314. ტირაჟი 6200. შეკვ. № 3181.

●

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხანაგ ვ. პ. მჭავანაძის მისასალმებელი სიტყვა

სსრ კავშირის და საქართველოს მწერალთა კავშირების გაერთიანებულ პლენუმზე

ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, მივესალმო ყველა ჩვენს ძვირფას სტუმარს, რომლებიც საქართველოში, რუსთაველის სამშობლოში გვეწვივნენ დიდი პოეტისა და მოაზროვნისადმი მიძღვნილ ზეიმთან დაკავშირებით, და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მხურვალე მადლობა გადავუხადო ჩამოსვლისა და ესოდენ დიდი ყურადღებისათვის.

დღეს ამ დარბაზში, სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გაერთიანებულ პლენუმზე, შეგვკრიბა რუსთაველმა, რომლის დაბადების 800 წლისთავს დიდი სიყვარულით აღნიშნავს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, მსოფლიოს ყველა ხალხი.

რუსთაველი მახლობელი და ძვირფასია ყველასათვის, ვისთვისაც მახლობელი და ძვირფასია მეგობრობისა და ძმობის იდეები, პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის გრძნობა, რომელთა მგზნებარე მგოსანიც რუსთაველი იყო.

საუკუნეს საუკუნე ცვლიდა, ეპოქას — ეპოქა, მაგრამ რუსთაველის უჭკნობი სტრიქონები სიყვარულით გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

ხალხმა ისტორიის ქარცეცხლში გამოატარა პოეტის უკვდავი ქმნილება და ისე სათუთად უფრთხილდება, როგორც ძვირფას რელიკვიას, რომელშიც ხორცშესხმულია ერის იდეალები, მისი მისწრაფებები და სიხარული, სიდიადე და სულიერი სიმდიდრე.

ამიტომ არის, რომ ახლაც, ჩვენს დროში, რუსთაველის აზრები და ფიქრები, მისი ზნეობრივი იდეალები, ჩამოქნილი აფორიზმები, ბრძნული შეხედულებანი ცხოვრებაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე ეხმიანება ჩვენს თანამედროვეობას, გვინერგავს ამაღლებულ გრძნობებს — კეთილშობილებასა და ვაჟკაცობას, დიდ და წმინდა სიყვარულს, ერთგული მეგობრობისა და მოვალეობის გრძნობას.

ამიტომ არის, რომ დღესაც ისევ ისე ჟღერს რუსთაველის ჩანგი და ადამიანები სულ უფრო ხშირად ეწაფებიან მის წიგნს. იქ ნახულობენ ცხოვრების სიბრძნეს, ერთგულ მეგობარსა და მრჩეველს.

საუკუნეებმა კი არ დააშორეს, კიდევ უფრო დაუახლოვეს რუსთაველი ყველა საბჭოთა ხალხს, მსოფლიოს ხალხებს, რომელთათვისაც პოეტი ისევე მშობლიური და ახლობელი გახდა, როგორც ქართველი ხალხისათვის, და რომლებიც ახლა მის თქმულებას კითხულობენ მშობლიურ ენაზე — რუსულ და აზერბაიჯანულ, უკრაინულ და სომხურ, საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ხალხთა ენაზე.

დედამიწის სხვადასხვა კუთხეში პოეტის სტრიქონები აჟღერდა ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, უნგრულ, პოლონურ, იაპონურ ენებზე — მსოფლიოს 40 და მეტ ენაზე.

ამხანაგებო! მივესალმები დღეს მრავალეროვანი და მრავალენოვანი საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლებს, აგრეთვე ჩვენს საზღვარგარეთელ სტუმრებს, და მინდა

განსაკუთრებით აღვნიშნო შესანიშნავი ტრადიცია, საბჭოთა კავშირის ეროვნულ ლიტერატურათა მეგობრობის ტრადიცია, რომელიც წლითიწლობით სულ უფრო მტკიცდება და მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობას.

ბევრი ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტია მოძმე საბჭოთა ხალხების კულტურული ურთიერთგავლენისა და ურთიერთგამდიდრების გრძელ და სახელოვან გზაზე. და მათ შორის ისეთები, როგორიც არის ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში, რუსული და უკრაინული პოეზიის დეკადები საქართველოში, ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული და ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ბევრი სხვა უჭკნობი ფურცელი.

როცა საბჭოთა ხალხების მეგობრობასა და ძმობაზე ვლაპარაკობთ, გვინდა კვლავ მივმართოთ შოთა რუსთაველს, რომელიც თავის შთამომავლებს უანდერძებდა, რომ ყოველთვის გაჰყოლოდნენ საყვარელ მეგობარს, არასოდეს არ დაეტოვებინათ იგი ჭირში, და ამასთან დასძენდა:

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

ამ სადღესასწაულო დღეს მსურს აღვნიშნო, თუ რა მაღალი დანიშნულება აქვს საბჭოთა ლიტერატურას, რაოდენ საპატიო მოვალეობა აკისრიათ საბჭოთა მწერლებს— ადამიანის სულის ინჟინრებს, რომლებსაც კომუნისტური პარტია ყოველთვის ანიჭებდა და ახლაც ანიჭებს საპატიო როლს კომუნისტური მშენებლობის ყველა პროცესში, რომელსაც საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება მიაჩნია საბჭოთა ხალხის კომუნისტური აღზრდის დიად ძალად.

ყოველწლიურად მტკიცდება საბჭოთა ლიტერატურის კავშირი ხალხის ცხოვრებასთან.

საბჭოთა მწერლების ნაწარმოებები სულ უფრო მეტად ხდება ხალხთა უფართოესი მასების კუთვნილება.

საბჭოთა ხალხს უყვარს, პატივს სცემს და ამაყობს თავისი მწერლებით, ისინი მიაჩნია თავისი საუკეთესო გრძნობების, ფიქრებისა და მისწრაფებების გამომხატველებად, საუკეთესო ზნეობრივი თვისებების აღმზრდელებად, ჩვენი დროის ყველაზე მოწინავე, ყველაზე პროგრესული იდეების მქადაგებლებად.

სწორედ ამიტომ უნდა ვთქვათ, რომ დღეს, როცა აღვნიშნავთ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს, და კვლავ მივმართავთ „ვეფხისტყაოსანს“ — პოეზიის ამ მარგალიტს, — ჩვენ ვაცოცხლებთ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას არა მარტო იმისათვის, რომ ეროვნულად ვცეთ პატივი მას, არამედ იმისათვის — და ეს ყველაზე მთავარია, — რომ ყველაფერი დიადი და უკვდავი, რაც ხალხს შეუქმნია საუკუნეების მანძილზე, თვით ხალხს უნათებდეს გზას კიდევ უფრო მშვენიერი და ნათელი მომავლისაკენ!

დასასრულ ნება მიბოძეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ერთხელ კიდევ მოგესალმოთ გაერთიანებული პლენუმის მონაწილეთ და გისურვოთ წარმატებანი მუშაობაში.

დაე კიდევ უფრო აყვავდეს ჩვენი მშობლიური საბჭოთა ლიტერატურა — ხალხის დიდება და სიამაყე!

კიდევ უფრო განმტკიცდეს ლიტერატურის კავშირი ხალხის ცხოვრებასთან!

დიდება საბჭოთა მწერლებს, რომლებიც ეხმარებიან პარტიას ჩაუნერგოს ადამიანებს მაღალი მორალური თვისებები, კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულება, ჩამოაყალიბოს კომუნიზმის მშენებლის სულიერი სახე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის

იუბილეს მომწყობი მთავრობის კომიტეტის თავმჯდომარის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის სიტყვა

შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომაზე

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო, პატივცემულო სტუმრებო!

დღეს საქართველოში დიდი ზეიმია. მადლიერი ქართველი ხალხი უდიდესი სულიერი აღმავლობით აღნიშნავს თავისი გამოჩენილი წინაპრის, გენიალური პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავს.

შოთა რუსთაველის იუბილე საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად გადაიქცა, მას ქართველ ხალხთან ერთად მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყანა ზეიმობს. ჩვენში ხომ ტრადიციად იქცა მოძმე ხალხების ისტორიისა თუ კულტურის მნიშვნელოვანი თარიღების საყოველთაო აღნიშვნა.

რუსთაველის პოემის პათოსი, მისი იდეები გასაგები და ახლობელია მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხისათვის. რუსთაველის იუბილეს დღეს მთელი ცივილიზებული ქვეყანა აღნიშნავს.

სწორედ ამიტომ არის, რომ დღეს აქ გვესწრებიან და ქართველი ხალხის დიდ სიხარულს იზიარებენ ჩვენი ძვირფასი სტუმრები, მოძმე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების დელეგაციები, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ უწყებათა ხელმძღვანელები, კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი, რისთვისაც მინდა მათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით, მთელი ჩვენი ხალხის სახელით მადლობა გადავუხადო.

დღეს აქ არიან უცხოეთის გამოჩენილი მწერლები, პოეტები, მეცნიერები, ქართული კულტურის თაყვანისმცემელნი, რომელნიც ჩვენთან ერთად აღნიშნავენ დიდი რუსთაველის იუბილეს. ნება მიბოძეთ გულითადად მივესალმო მათ და მადლობა გადავუხადო პატივისცემისათვის.

რით არის ძვირფასი ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი“? რით დაიმსახურა მან ხალხის ესოდენ დიდი სიყვარული? რით აიხსნება, რომ შოთა რუსთაველი და მისი პოემა ასე მიმზიდველია ადამიანთათვის დღესაც?

ეს იმით აიხსნება, რომ შოთა რუსთაველმა ქართველ პოეტებს შორის ყველაზე უკეთ შეძლო ჩასწვდომოდა თავისი მშობელი ხალხის ბუნებას, უწმიდეს ზრახვებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შოთა რუსთაველი ეს არის თვითონ საქართველო, „ვეფხისტყაოსანი“ კი ქართველი ხალხის ეროვნული საუნჯე.

შოთა რუსთაველი მე-12 საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში შემთხვევითი მოვლენა როდი იყო. მსოფლიოს შუა საუკუნეთა უდიდესი პოეტი და ჰუმანისტი იმ ახალ ეპოქის გარიჟრაჟზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როდესაც საქართველო ახლო აღმოსავლეთში ერთერთ უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა.

პოლიტიკურმა და ეკონომიურმა ძლიერებამ დიდი კულტურული აღორძინება გამოიწვია. დაწინაურდა ხელოვნების ყველა დარგი. ქართული ფილოსოფიის, მწერლობისა და პოეზიის წარმომადგენლები საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემებს აყენებდნენ. ჩვენამდე მოაღწია ამ პერიოდის გამოჩენილი მოღვაწეების ღრმა ფილოსოფიურმა თხზულებებმა; ამ დროს დაიწერა შავთელისა და ჩახრუხაძის შესანიშნავი ოდები, მოსე ხონელის საგმირო ეპოსი „ამირანდარეჯანიანი", ქართველი მკითხველი თარგმანების საშუალებით გაეცნო ანტიკურ მწერლობას, აღმოსავლური პოეზიის ნიმუშებს.

აი რა ვითარებაში დაიწერა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი", რომელმაც დააგვირგვინა ქართული მწერლობის ეს ბრწყინვალე ეპოქა.

რუსთაველის უდიდესი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე ის არის, რომ მან არა მარტო გამოხატა თავისი ეპოქის მოწინავე იდეალები, არამედ ერთბაშად აამაღლა და ახალი სივრცეები გადაუშალა ქართულ მხატვრულ აზროვნებას, პოეზიას და ფილოსოფიას. იგი ფუძემდებელია ახალი ქართული ენისა. „ვეფხისტყაოსანში" ბრწყინავს წყაროსთვალივით ანკარა ქართული ენა, ბრწყინავს ქართული ლექსი. სწორედ ამიტომ ასე გასაგები და მისაწვდომია იგი თანამედროვე ქართველი მკითხველისათვის.

განადგურებას სასწაულით გადარჩენილი „ვეფხისტყაოსანი" თაობიდან თაობას გადაეცემოდა, სიბრძნითა და ამაღლებული სიმართლით ადამიანთა გულს იმორჩილებდა და ხალხის სულიერ ცხოვრებაში განსაკუთრებულ ადგილს ისაკუთრებდა.

ყოველი მხატვრული ქმნილება უპირველეს ყოვლისა იმით ფასდება, თუ როგორ გაუძლებს იგი დროის მკაცრ გამოცდას, ასეთი ქმნილებანი არცთუ ბევრი იცის მსოფლიო ლიტერატურის ისტორიამ. ამ უკვდავთა რიცხვს მიეკუთვნება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი".

მეგობრებო! შოთა რუსთაველის იუბილეს ასე ფართოდ აღნიშვნა ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, თუ რა დიდი პატივისცემით ეკიდებიან კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ხალხის კულტურულ მონაპოვარს, მის სულიერ საგანძურს.

რუსთაველის იუბილე ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმობის, სოციალისტური კულტურის აყვავების მკაფიო დემონსტრაციაა, იგი ზეიმია ლენინური ეროვნუდის კეთილშობილურ საქმეს.

კომუნიზმი მემკვიდრეობად იღებს ყოველივე საუკეთესოს, პროგრესულს, რაც კი კაცობრიობას მრავალი საუკუნის მანძილზე შეუქმნია. კულტურული მემკვიდრეობა, რომელშიც აისახება მრავალი თაობის იდეალები და ოცნებები, ხალხთა მისწრაფება მშვიდობისადმი, ცხოვრების სამართლიანი სოციალური მოწყობისადმი, ემსახურება სოციალისტური საზოგადოების ადამიანთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ქართველი ხალხი, ერთიან საბჭოთა ოჯახში, ახალ ცხოვრებას აშენებს, იგი თავისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მართლაც ახალ ოქროს ხანაში შევიდა და დღეს რუსთაველის განახლებულ მიწაზე ხარკს უხდის თავის გენიალურ შვილს.

ნება მიბოძეთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი, გახსნილად გამოვაცხადო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ ო ე ტ ი ს უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარის პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის მოსსენება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს 30 სექტემბრის საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს

ძვირფასო ამხანაგებო!.. ძვირფასო მეგობრებო!.. ღრმად პატივცემულო სტუმრებო!

რა იქნებოდა ცივილიზაციის, კულტურის ისტორია, რომ ეს ისტორია უსასრულოდ სწორ, ზომიერად გაშლილ ტრამალს ჰგავდეს და ამ სწორი უსასრულობის ზედაპირზე აქა-იქ ცად აზიდულნი, ცაში ავარდნილნი არ იყვნენ მწვერვალები, რომელნიც ჩვენი დედამიწის ყოველი კუთხიდან ჩანან. ეს მწვერვალები მუდამ გვტაცებენ თვალსა და გონებას, განუწყვეტლივ გვიხმობენ თავისკენ, როგორც თქვა კავკასიონის ქედების მიმართ ჩვენგან ამ რამდენიმე წლის წინ წასულმა მშვენიერმა ქართველმა პოეტმა, „მსდევდნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ ის მწვერვალები...“

მწვერვალები...

მაგრამ ამ ცადაზიდულ, დიდებულ მწვერვალთაგან ზოგნი მარადიული თოვლით დაფარულნი, მეფური სიმშვიდით დგანან, გვაოცებენ და არ გვაშფოთებენ, თვალს გვჭრიან და ძილს არ გვიკრთობენ, ზოგნი კი უხსოვარი დროიდან აქამდე არ დამცხრალან, აქამდე არ დამშვიდებულან და თავისი ვულკანური მოუსვენრობით დღესაც შფოთავენ, დღესაც არ გვასვენებენ, ძილს არ გვანებებენ.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო! ჩვენო ძვირფასო სტუმრებო! თუ ჩვენ ოდესმე დედამიწის რომელსამე კუთხეში ამგვარი მწვერვალების ძირას ერთმანეთს შევხვედრივართ, იცოდეთ, საქართველომ დღეს თქვენ გისტუმრათ არა ცადაზიდული, მარად თოვლიანი, მეფურად მშვიდი მისი მყინვარის, უშბას ან თეთნულდის ძირას, საქართველომ თქვენ მოგიხმოთ ჯერაც დაუმცხრალ, ჯერაც ბობოქარ მწვერვალთან, მოგიხმოთ მე-12 საუკუნის მარად ცოცხალი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის იუბილეზე.

მან, სწორედ მან, პოეტმა შოთა რუსთაველმა, არ დააძინა ქართველი კაცი 700 წელიწადს.

მადლობა ღმერთს!

მაგრამ საქართველომ თქვენ იმიტომ როდი მოგიხმოთ, რომ მხოლოდ ამ უძილობის ამბავს მოგიყვეთ.

მართალია, მას სურს კიდეც დაწვრილებით მოგითხროთ მისი დრამატიზმით აღსავსე წარსულის ამბავი, ის ამბავი, თუ როგორ გადაურჩა სრულ ფიზიკურ განადგურებას ეს პატარა ქვეყანა საუკუნეების განმავლობაში, ქვეყანა, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაც პირველი რომანი მეხუთე საუკუნეში შექმნა საკუთარ ალფაბეტზე და ამავე საუკუნეშივე თარგმნა ბიბლია.

არც მხოლოდ იმიტომ შევყრილვართ აქ, რომ ჩვენ, ქართველებმა, ეროვნული ბანონიერი სიამაყის სიტყვები მოგასმენინოთ რუსთაველის გამო, იმის გამო, რომ შვიდასი წელიწადია, რაც ქართველი კაცი ამ დღეზე ოცნებობს, ოცნებობს მადლობა უთხრას თავის დიდ წინაპარს შოთა რუსთაველს, საქვეყნოდ, მთელი დედამიწის გასაგონად, რადგანაც ქართველ კაცს, ისტორიის მრავალ პარადოქსთაგან ერთ უდიდეს პარადოქსად მუდამ ის ამბავიც მიაჩნდა, რომ ამ შვიდასი წლის მანძილზე მსოფლიო მნათობთა თანავარსკვლავედში შოთა რუსთაველს მისი კუთვნილი ადგილი არ ჰქონდა მიჩენილი. ჩვენ კი მუდამ გვჯეროდა: ქართველ ერს რომ სხვა მისია არც ჰქონოდა ამ ქვეყნად, რუსთაველის წარმოშობით მოიხდიდა თავის ვალს კაცობრიობის წინაშე.

დიახ, ეს ასეა. მაგრამ საქართველომ თქვენ დღეს მოგიხმოთ და გისტუმრათ ცოცხალ ფორუმზე, ცოცხალ ზეიმზე, იმ პოეტის იუბილეზე, ვინც ჯერ კიდევ შუა საუკუნეების წყვდიადში ყველაზე მაღალ კვარცხლბეკზე დააყენა ადამიანი, დაიცვა და ადიდა ადამიანი, ვინც დიდებული ჰიმნი უძღვნა გონების განთავისუფლებას და მებრძოლი ჰუმანიზმის ქადაგებით შვიდასი წლის შემდეგაც ჩვენს გვერდით დადგა ჩვენს მრისხანე ეპოქაში.

და რა დიდი სიხარულის მომგვრელია იმის შეგნება, რომ ეს დღე, ჩვენგან ამდენი ხნის ნაოცნებარი და მხოლოდ ჩვენს ეპოქაში გათენებული დღე, ქართველთა დიდი წინაპრით — შოთა რუსთაველით შთაგონებული დღე, გადაქცეულია ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ზეიმად, მშვიდობისა და პროგრესის იდეების, ჰუმანიზმის მაღალი პრინციპების ზეიმად. აქ, ამ დარბაზში, დღეს შეყრილნი ვართ დედამიწის თითქმის ყოველი კუთხის წარმომადგენელნი, რომელთაც გვსურს გულახდილად ვისაუბროთ დღევანდელი ჩვენი კაცობრიობის ბედიღბლის, მისი კულტურის არსებითი საკითხების გამო. გავიაზროთ, რას გვიქადის ხვალინდელი დღე — იმ ძალების ზეიმს, ვისთვისაც თანაბრად ძვირფასია ეგვიპტის მიწაზე ნაპოვნი სამი ათასი წლის წინანდელი პაპირუსიც და ტეიარ დე-შარდენის ნააზრევიც, ინკების ტაძართა ნაშთებიც და პიკასოს ტილოებიც, — თუ იმ ძალების გამრავლებას, ვინც ახლა ბომბებს აყრის ვიეტნამის უძველეს მიწაზე მლოცველ ბუდისტებს, ვინც ოცნებობს ფაშიზმის ხელახლა აღორძინებაზე, ან კიდევ... ვისაც მშრომელი ხალხისთვის მავნედ და უსარგებლოდ მიაჩნია წარსულის მიერ კაცთა მოდგმის სადიდებლად შექმნილი უძვირფასესი სულიერი ფასეულობანი, ვინც ველურად წიხლავს კულტურის მონაპოვრებს და დღეს, მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, ჩვენდა საგალალოდ, ინკვიზიციის შემაძრწუნებელ დღეებს გვახსენებს.

ჩემს მიზანს სრულიადაც არ შეადგენს პოლიტიკის სფეროში შეჭრა. მაგრამ როდესაც საქმე ეხება კაცობრიობის არსებობის უმაღლესი აზრის, ადამიანის არსებობის უმაღლესი აზრის — მისი სულისა და გონების, მისი კულტურის ხელყოფას, — მაშინ გაჩუმება უთუოდ დანაშაულია. მართალია, რუსთაველმა გვასწავლა, რომ მხოლოდ კეთილის არსებაა გრძელი, რომ ბოროტებას არსებობა არ გააჩნია და მას არ უწერია გამარჯვება, რომ „უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია“, მაგრამ რუსთაველმა, სწორედ რუსთაველმა გვასწავლა ისიც, რომ ვიდრე კაცს კაცი ეთქმის, ბოროტებას ქედი კი არ უნდა მოუდრიკოს, არამედ მთელი არსებით წინააღუდგეს მას და მის დამხობამდე ვერ მოისვენოს.

ამიტომ არის ჩვენთვის ძვირფასი და შეულეველი ქართველი პოეტი შოთა

რუსთაველი, პოეტი, რომელმაც უკვდავი ჰიმნი უმღერა ადამიანს, უკვდავი ჰიმნი უმღერა ადამიანის გონებასა და გონიერებას.

ამიტომ არის ძვირფასი და შეულეველი რუსთაველის სახელი ჩვენს ეპოქაში, ჩვენს მრისხანე საუკუნეში, როცა ისტორიის ბედუკუღმართობით ქვეყნების სათავეში ზოგჯერ საბედისწეროდ აღზევებულთა ხელში ადამიანის ფასი ისე ხშირად მერყეობს რიცხვებსა და ნულს შორის, როგორც აქციების კურსი ბირჟებზე.

გავხადოთ ადამიანის ფასი სტაბილური — აი რუსთაველის იდეალი. აი მთავარი ლოზუნგი, რაც უნდა ეწეროს ჩვენი ეპოქის პროგრესის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალების მაღალ დროშაზე.

ადამიანი!

ადამიანისა და ადამიანობის უპირველეს ნიშნად კი რუსთაველს სიყვარული მიაჩნდა, მისი უკვდავი პოემა სიყვარულის ჰიმნია, ხოლო ამ ჰიმნის ლეიტმოტივი რუსთველურად თქმული უკვდავი მარადიული ჭეშმარიტებაა: „სიყვარული აგვამაღლებსო“.

მაშ ჩავიხედოთ თვით „ვეფხისტყაოსანში“.

მაგრამ ჯერ ის გავარკვიოთ, თუ რა საფუძველზე, რა სულიერ სამყაროში აღმოცენდა ეს დიდებული პოემა.

რუსთაველის დროინდელი საქართველო იყო სახელმწიფო, რომელიც ჰუმანისტურ პრინციპებს ემყარებოდა და რომლის კულტურულ საფუძველსაც ჰუმანისტური სულისკვეთება შეადგენდა. ამას რომ ვამბობთ, აქვე გავიხსენოთ, რომ საქმე შეეხება ერთობ ადრეულ ხანას, მეთორმეტე საუკუნეს, როდესაც დღევანდელ ევროპაში არსებულ სახელმწიფოთა უმრავლესობა და ამ სახელმწიფოთა კულტურა ძალიან შორს იდგა თავისი განვითარების მწვერვალისაგან.

ქართველთა ამ სახელმწიფოს შექმნას შეუჩერებელი აღმასვლის ხანგრძლივი ეპოქა უსწრებს წინ. და როდესაც ამ აღმასვლის ეპოქას თვალს გადაავლებთ, შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩეთ, რომ თითქოს ის ძალები, რომლებიც რუსთაველის წინა საუკუნეებში ქმნიდნენ ქართულ კულტურას, რაღაცნაირად ჩქარობდნენ ამ კულტურის ზვიადი შენობის კედლების ამოყვანას, რათა ბოლოს შოთა რუსთაველს საშუალება მისცემოდა სწორედ მეცამეტე საუკუნეში მომხდარი საბედისწერო კატასტროფისთვის სულ რაღაც ორი-სამი ათეული წლით დაესწრო და ეს შენობა დიდებულად მოეგუმბათებინა.

ცხადია, ეს „სიჩქარე“ თვით კულტურის შინაარსს როდი გულისხმობს. ლაპარაკია კულტურული აღმშენებლობის საოცარი ინტენსივობის ხარისხზე. ყოველ შემთხვევაში ის, რაც ქართველობამ მოასწრო ქრისტიანობის მიღების შემდეგ მე-4-12 საუკუნეთა მანძილზე მუდმივი თავდაცვითი ომების, მტერთაგან რბევისა და ნგრევა-განადგურების ვითარებაში, გაცილებით მეტ დროს საჭიროებს.

ინტენსიურმა კულტურულმა საქმიანობამ ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ეს თანაბრად ითქმის როგორც საგანმანათლებლო საქმის, ისე ხელოვნების სულ სხვადასხვა დარგების შესახებ, აგრეთვე ფილოსოფიური და საისტორიო მწერლობის, განსაკუთრებით მხატვრული მწერლობის შესახებ.

უკვე პირველსავე აგიოგრაფიულ თხზულებებში, ხოლო შემდეგ სასულიერო პოეზიაშიც და საისტორიო თუ ფილოსოფიურ მწერლობაშიც აშკარა გამოკვეთილობით იჩინა თავი ისეთმა ასპექტებმა, რომლებიც, გულისხმობდნენ სწორედ ადამიანს, ადამიანის განხილვას მის მთლიანობაში — როგორც სულიერი, ისე ფიზიკური აღნაგობის თვალსაზრისით, ტკბობას ადამიანის სიმშვენიე-

რით, სიყვარულის მოტივებს, აგრეთვე ჭეშმარიტების დაურიდებელი ძიებისა და დაეჭვების მომენტებს.

აქ საკმარისი იქნება გავიხსენოთ, როგორი შეუფარავი აღტაცებით აგვიწერს მეათე საუკუნის ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის — ბერისა და ასკეტის ფიზიკურ სრულყოფილობას:

„ხოლო იყო ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გვამითა მთელ და სულითა უბიწო“.

ხოლო ბუდას ცხოვრების ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ვერსია — ქართული „სიბრძნე ბალავარისი“ წმიდანად შერაცხილ აბენეს მეფეს სიკვდილის წინ ამგვარ გულისშემძვრელ აღსარებას აღმოათქმევინებს:

„ბუნებით თანაც ყოველსა სულსა მწუხარებაი განშორებისათვის ხორცთაისა და დატევებისათვის ჰაერისა და ნათლისა და წარსვლისათვის უცხოებად, სადა-იგი არა ვიცით, თუ ვითარსა იწროებასა მივალთ“.

არც კონფესიური წრეების მიერ ხშირად სატანის განსახიერებად მიჩნეული ქალის ქართველთა განმანათლებლად მოვლენა ყოფილა შემთხვევითი ქართული ქრისტიანული კულტურისათვის. არც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის, საერთოდ ნეოპლატონიზმის იდეებით გატაცება, პლატონისა და არისტოტელეს დაუცადებელი შესწავლა, ბოლოს — იმავე სასულიერო მწერლობის წიაღიდან მაღალგანვითარებული საერო მწერლობის ამოზრდა და ქართული ენის მესიანისტური სულისკვეთებით გამსჭვალული სადიდებლის შექმნა ყოფილა შემთხვევითი ქართული კულტურისათვს.

დავუმატოთ ყოველივე ამას, რომ საქართველოში მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და აქ მცხოვრები ხალხის ტემპერამენტისა და მსოფლშეგრძნების მეოხებით იმთავითვე ხდებოდა უმაღლესი ხასიათის სინთეზი დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა (ხაზს ვუსვამ — სინთეზი და არა მექანიკური შერწყმა), მაშინ ჩვენ მიახლოებით მაინც მონიშნული გვექნება რუსთაველის წინასაუკუნეების და თვით რუსთაველის ეპოქის ქართული კულტურის, მისი იდეალების კონტურები.

მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი, ეს ყოველივე იყო ზვიადი შენობის მხოლოდ საძირკველი და კედლები, რომელიც მოუგუმბათებელი დარჩებოდა, საქართველოს შოთა რუსთაველი რომ არ მოვლენოდა.

რუსთაველმა დაასრულა, საბოლოოდ ჩამოაყალიბა და გამოკვეთა ადამიანობის ის უმაღლესი იდეალი, რომელზეც კი საერთოდ შეეძლო ეოცნება შუა საუკუნეების მსოფლიოს, და ვაი რომ არა მარტო შუა საუკუნეებისას. მან მანამდე და შემდეგშიც დიდხანს არნახულ სიმაღლეზე აიყვანა ადამიანი. ამით მან დიდი ხნით წინ უსწრო ევროპის რენესანსს.

მაშ ასე! ყველაფერი გამზადებულია რთული ქიმიური რეაქციისათვის ახალი უძვირფასესი და უკეთილშობილესი ელემენტის მოსაპოვებლად, რეაქციაში შემავალი ყველა ელემენტი მოცემულია, აკლია მხოლოდ ერთი რამ — ამ შემთხვევაში უმთავრესი — ელექტრული დენის ნაპერწკალი.

ეს ღვთაებრივი ნაპერწკალია რუსთაველის გენია. მხოლოდ და მხოლოდ ამ გენიალობის მეოხებით გახდა შესაძლო წარმოქმნილიყო ის უძვირფასესი და უკეთილშობილესი ელემენტი, რომელსაც ეწოდება „ვეფხისტყაოსანი“.

აქ დამსწრეთა უმრავლესობას ჩემზე უკეთ მოეხსენება რა იყო ის გორდიასეული კვანძი, რომლის გახსნა ვერა და ვერ მოახერხა შუა საუკუნეთა აზროვნებამ — რელიგიურმა, ფილოსოფიურმა, რელიგიურ-ფილოსოფიურმა თუ მხატვრულმა. ეს გახლდათ შემეცნებაში გაჩენილი უფსკრული ღმერთსა და გამოვლენილ სამყაროს, შემოქმედსა და შექმნილს შორის. ამ უფსკრულის საიდუმ-

ლოს ამოსახსნელად ამაოდ დაშვრნენ შუა საუკუნეების უკეთესნი და უბრწყინვალესნი გონებანი; შედეგი მუდამ ერთი იყო: ჭეშმარიტია მხოლოდ ერთი; ხოლო გამოვლენილი სამყარო, მატერიალური ქვეყანა ანუ სოფელი, რომ-გორც ძველ საქართველოში უწოდებდნენ — მხოლოდ მოჩვენებაა, სიზმარია, არარსებულია, ბოროტების, სატანის საუფლოა.

დაჰიპნოზებული, მოჯადოებული შესჩერებოდა კაცობრიობა ამ გათიშულ სამყაროს, უფსკრულის ამ ორ ნაპირს და გამოსავალი ვერსად ეპოვნა, და თუ ფილოსოფოსნი და ასკეტნი ნუგეშს მასში ჰპოვებდნენ, რომ აქეთა, გამოღმა ნაპირს საერთოდ ზურგს შეაქცევდნენ ხოლმე და მხოლოდ მიღმა მხარეს მიაპყრობდნენ მზერას, მწერალთა და ხელოვანთა ხვედრი უფრო ძნელი იყო. ერთი მხრივ ისინი მთელი არსებით აქ იყვნენ, ამ სამყაროში, გამოღმა ნაპირას, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მასალა, რომლისაგანაც მათ თავიანთი ქმნილებანი უნდა გამოეძერწათ, წმინდა ცნებებისაგან კი არ შედგებოდა, არამედ სწორედ ამ გამოღმა სამყაროს უკავშირდებოდა — მათთვის ეს იყო კონკრეტული ჭეშმარიტება. მეორე მხრივ რელიგია და ფილოსოფია მათ ასწავლიდნენ, რომ ჭეშმარიტია მხოლოდ მიღმა ნაპირი, უფსკრულს გაღმა არსებობა, ხოლო გარემომცველი სინამდვილე დასაგმობია და ზურგშესაქცევი. და ასე, მათ შეგნებაში გაჩენილი გამოუვალობის შინაგანი განცდა მძიმე დაღად აჩნდა მათსავე შემოქმედებას.

ასე გრძელდებოდა საუკუნეთა მანძილზე.

ასეთად გვესახება ჩვენ ვითარება იმ ეპოქისა, რომელშიაც ქვეყანას მოევლინა ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი.

აქ წინასწარ უნდა შევნიშნოთ: ერთი წუთით დავუშვათ, რომ ჩვენ არაფერი ვიცით რუსთაველის მსოფლმხედველობის შესახებ. ამ თვალსაზრისით არ შეგვისწავლია „ვეფხისტყაოსანი“. ვინც ამ პოემას ერთხელ მაინც წაიკითხავს, მისთვის ისედაც ნათელი უნდა შეიქნეს, რომ ავტორი ამ პოემისა, როგორადაც იგი წარმოგვესახება „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებიდან, წმინდა ფსიქოლოგიური მხრივ არასგზით არ შეიძლება იყოს მიმდევარი რაიმე დუალისტური კონცეპციისა. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის ისევე არ შეიძლება არსებობდეს გათიშული სამყარო, როგორც არ არსებობენ მისთვის ბუნებაგათიშული, გაორებული გმირები. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები მონოლითურნი არიან. ისინი თითქოს კლდის ვეება ნატეხებისაგან არიან გამოძერწილნი. ტარიელი არ არის გათიშული, გაორებული პიროვნება, მიუხედავად იმისა, რომ ნესტანის პოვნის იმედი გადაიწურა და მანაც უდაბნოს შეაფარა თავი, ცხოვრებას განუდგა. შექმნილ სიტუაციაში მთლიანი პიროვნება სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. ეს სხვათა შორის კარგად დაამტკიცეს ჩვენმა ფსიქოლოგებმა.

ზემოთქმულიდან თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ მონისტურ თვალსაზრისს ვეძებთ. მაგრამ რა ხასიათისა უნდა იყოს ეს მონიზმი? შეიძლება დავუშვათ, რომ თავისი ეპოქის დუალიზმი რუსთაველმა იმით დაძლია, უფსკრული იმით გადალახა, რომ საერთოდ მოხსნა გაღმა ნაპირის პრობლემა? ჩვენს მეცნიერებაში ამგვარი აზრიც გამოითქვა — რუსთაველი მხოლოდ ამქვეყნიურობითაა დაინტერესებული, მისი ინტერესების სფერო ამქვეყნიურობის საზღვრებს პრინციპულად არ სცილდებაო. ჩემი აზრით, საკითხის ამგვარად დაყენება საკითხის გამარტივებაა. მოდი ნუ უგულებელვყოფთ ისტორიულ თვალსაზრისს და ნუ მივაწერთ რუსთაველს იმას, რაც სულ უკანასკნელ ხანს, აგერ სულ ერთი საუკუნის მანძილზე იქნა მოპოვებული: ნუ ავურევთ ერთმანეთში აზროვნების შეუზღუდველობასა და თავისუფლებას ერთი მხრივ და ათეიზმისა და მატერიალიზმის მიჯნებამდე მისვლას მეორე მხრივ. ეს

უკანასკნელი მომენტი, რამდენადაც საქმე მე-12 საუკუნეს ეხება, საერთოდ გამორიცხულად უნდა მივიჩნიოთ. მოვლენები მათშივე მოცემული [illegible] ავხსნათ და არა ჩვენ მიერ მათთვის თავსმოხვეულით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ გაცილებით უფრო გვიანდელ ხანაში გამოთქმული თვალსაზრისისა, რუსთაველს არ მოუხსნია გაღმა ნაპირის პრობლემა, მაგრამ წინააღმდეგ მისივე ეპოქის გაბატონებული ტრადიციისა, ზურგი არ შეუქცევია გამოღმა ნაპირის სინამდვილისათვის თეორიულადაც კი. და მიუხედავად ამ ორი წინააღმდეგობისა, უფსკრული მაინც დაძლეულია.

უფსკრული იმით იძლია, რომ თვით იგი, ეს უფსკრული იქნა გამოცხადებული ბოროტებად და არა მოვლენათა სამყარო. ხოლო რუსთაველის მიხედვით ბოროტება არაარსია, იგი მხოლოდ მოჩვენებაა, ილუზია-ღმერთსა და ქმნილებას შორის უფსკრულად გაწოლილი. ვისაც სურს ღმერთს ეზიაროს, მან ბოროტება უნდა დაამარცხოს, უნდა დაამტკიცოს მისი არაარსობა, დარწმუნდეს გამთიშველი უფსკრულის არარსებობაში. ამ გზის გავლაა სწორედ სატანის დათრგუნვა და უზენაესთან მიახლოება.

ღმერთმა იმიტომ როდი შექმნა ქვეყანა, რომ ბოროტების საუფლოდ ექცია იგი. ან როგორც რუსთაველი ამბობს, „ბოროტიმცა ვით შეექმნა კეთილისა შემოქმედსა!“ „ღმერთი კეთილს მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს!“ უთვალავი ფერით გაშლილი ქვეყანა ღმერთის მიერ არის შექმნილი და შექმნილია სწორედ კაცთათვის, ადამიანისთვის, რადგან ადამიანი ღმერთის წილია. უიმისოდ სამყაროს მთლიანობა ვერ იარსებებს და ადამიანი ახორციელებს სწორედ გამოვლენილი სამყაროს კვლავ ღმერთთან დაბრუნების, მასთან შერთვის აღმავალ ხაზს.

საამისოდ ორი გზა არსებობს — სიყვარული და სიბრძნე.

რუსთაველის გაგებით სიყვარულს მიწიერ არსებაშივე შეუძლია გვაზიაროს უმაღლეს ჰარმონიას და ამგვარად მიგვაახლოოს უზენაესს. რაც შეეხება სიბრძნეს, იგი გონების გზით ხორციელდება, ხოლო გონების შესაძლებლობანი რუსთაველისათვის უსაზღვროა. ადამიანს გონება იმიტომ აქვს ბოძებული, რომ მისთვის შექმნილი ქვეყანა შეიმეცნოს, აქვე ამოიკითხოს არსებობის უღრმესი საიდუმლოებანი და უზენაესი მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ეს ცოდნა: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა! მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“. ბრძენისთვის არ არსებობს გამთიშველი უფსკრული. მან იცის, რომ ეს უფსკრული ილუზიაა და არა ქვეყანა. ხოლო ილუზიას, ბოროტებას, არცოდნა ბადებს.

აქ არის პრინციპული სხვაობა რუსთაველსა და შუა საუკუნეთა ტრადიციულ აზროვნებას შორის.

შუა საუკუნეთა მოაზროვნე იტყვის: ჭეშმარიტება ამ ქვეყნად არ იპოვნება, ეს ქვეყანა მხოლოდ ბოროტების საუფლოა, მოჩვენებაა, ილუზიაა. ეს ქვეყანა ისევე არა ჰგავს ღმერთს, როგორც წყვდიადი არა ჰგავს მზეს.

რუსთაველი იტყვის: ეს ქვეყანაც ღმერთის მიერ არის შექმნილი, და შექმნილია კაცთათვის, ხოლო კაცი ღმერთის წილია; მაშასადამე, ამ ქვეყნად კაცის მოქმედება კაცის პირდაპირი დანიშნულებაა და არა ბოროტების ტყვეობაში ყოფნა. მხოლოდ კაცის აქტიური მოქმედებით დაითრგუნება ბოროტება და გამოაშკარავდება მისი არაარსებობა. ეს ქვეყანა მზით არის განათებული, ხოლო მზე ხატია ღმერთისა. ქვეყნიური სინათლეც ღვთაებრივი სინათლეა და არა ბნელი, წყვდიადი.

სუფისტი პოეტი იტყვის: მე ვეტრფიალები ჩემს მიჯნურს, მაგრამ ეს მართლა მიჯნური როდია, — მისი ტრფიალით მე ღმერთს ვეტრფიალები და შე-

ვერთვი კიდეც მას საზეო მიჯნურობის ექსტაზის ჟამს, როდესაც ამ ქვეყნიურობის ბორკილებისაგან ვთავისუფლდები.

• რუსთაველი იტყვის: რეალურად არსებული პიროვნების და არაღვთაებრივ უსიცოცხლო სიმბოლოს სიყვარული გვაზიარებს უმაღლეს ჰარმონიას, რადგან მისი მეოხებით დაიძლევა ბოროტება, ჩამოგვეხსნება მოჩვენებითი ბორკილები და ჰქრება ილუზია ღმერთისა და კაცის გათიშულობისა.

სქოლასტიკოსი იტყვის: მე შევიმეცნებ ქვეყანას ტიტანური ჯაფის მეოხებით მოპოვებული ცნებებით, მაგრამ უზენაესი ჭეშმარიტების საწვდომად ჩემი ცნებები უძლურია და, თუ გამოცხადების სიბრძნე არ ჩამომეშველა, ჩემი გონება ვერასოდეს ვერ გადალახავს მქმნელსა და შექმნილს შორის გავლებულ მაგიურ ზღვარს.

რუსთაველი იტყვის: უზენაესი ჭეშმარიტების საწვდომად ადამიანს არ სჭირდება მისტიკური ექსტაზის გზით მიიღოს გამოცხადების სიბრძნე. ღმერთმა ადამიანს გონება მიანიჭა მისივე — ღმერთის ბუნების განსასახიერებლად ადამიანში, ღმერთი და ადამიანი სწორედ გონების მეოხებით არიან ერთიანი, და ამდენად ადამიანის გონების შესაძლებლობებიც უსაზღვროა.

არ ვიცი, ვინ როგორ ფიქრობს, მაგრამ მე მეჩვენება, რომ ამ ფუძემდებლური იდეების დასამკვიდრებლად სულაც არ იყო აუცილებელი ქრისტიანული ფილოსოფიის, კონფესიონალური ცრურწმენებით შერყვნილი ქრისტიანულ მოძღვრების ფარგლებს გარეთ გასვლა. მიუკერძოებელი ადამიანი ყოველივე ამის საკმაო საფუძველს სახარებაშიც იპოვნის, მოგვიანო ხანის ქრისტიან ფილოსოფოსებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მით უფრო მიაკვლევდა ამას გენიალური პოეტის ინტუიცია. ისიც შესაძლოა, რუსთაველმა გაცილებით მეტი დაინახა ქრისტიანობაში, ვიდრე ამას სპეკულატიური ფილოსოფია ახერხებდა. რაღა თქმა უნდა, როგორც ჩვენმა მეცნიერებმა ცხადყვეს, ეს ყოველივე ესოდენ ნათლად ვერ გამოიკვეთებოდა, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიური ღვაწლი რომ არა. მაგრამ აქ ხომ ლაპარაკია ამა თუ იმ იდეის გამოსამუშავებლად არსებულ საკმაო საფუძველზე და არა იდეათა უშუალო სესხებაზე.

რაკი გამოირიცხა მქმნელსა და შექმნილს შორის გავლებული უფსკრული და დაისახა ადამიანის ღმერთამდე ამაღლების უშუალო გზები (სიყვარული და სიბრძნე), ცხადი უნდა იყოს, რომ ადამიანის მოქმედებას ფასი უნდა ჰქონდეს არსებობის ორივე პლანისთვის — საღმრთო და საამქვეყნო პლანებისთვის. აქედან კი უდიდესი მნიშვნელობის დასკვნა გამომდინარეობს: ღმერთთან შესარწყმელად მიმსწრაფი ადამიანის ამქვეყნიური საქმიანობა ფუჭად და ამაოდ დაშვრომა კი არ არის ამაოებისავე ასპარეზზე (როგორც მიღებული იყო შუა საუკუნეთა ტრადიციისამებრ), არამედ მთლიანი სამყაროს განვითარების პროცესის მიუცილებელი ნაწილია, საბოლოოდ ისევ და ისევ საღმრთო საქმეა. ოღონდ ისიც ცხადია, რომ ეს ეხება მხოლოდ ისეთი ადამიანის მოქმედების სფეროს, ვინც სიყვარულის თუ სიბრძნის მეოხებით თავისი სწრაფვა უკვე მიმართა უზენაესისკენ. რაც შეეხება სიყვარულით, ან სიბრძნით გაუსხივოსნებელ არსებობას, იგი განწირულია ბოროტების ილუზორული ბატონობის ბორკილებში იტანჯებოდეს, ხოლო ამ სფეროში მარადიული არა არის რა: „უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია“, აქ სრული ძალით მოქმედებს „სოფლისთვის“ დადგენილი მსწრაფლწარმავლობისა და ამაოების კანონები.

აი რატომ არის, რომ, როდესაც ვამბობთ — რუსთაველმა ადამიანი მანამდე და შემდეგშიც დიდხანს არნახულ სიმაღლეზე აიყვანაო, ვგულისხმობთ ადამიანობის იდეას და არა უბრალოდ ადამიანს. ტარიელი მთელი კაცობრიობის, მომავლის ადამიანის განსახიერებაა და არა უბრალოდ ინდოთ მეფე. იგივე ითქ-

მის ავთანდილის, ნესტანის, თინათინის და ფრიდონის შესახებ, ამიტომ არიან ისინი მეფენი, რომ რეალურმა ვითარებამაც ხაზი გაუსვას მათს გამორჩეულობას, განსაკუთრებულობას, ყოველდღიურზე, ჩვეულებრივზე ამაღლებას.

ამიტომ არის, რომ ამ პერსონაჟთა მიმართ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახმარი ეპითეტი — „მზე“ უბრალო სამკაული ან სიტყვის მასალა როდია. აქ მზესთან შედარებასაც ღრმა ფილოსოფიური საფუძველი აქვს, რადგან მზე ღვთაების ხატია და, ამდენად, ადამიანის მზეობა მის ღვთაებრიობას ადასტურებს.

აქ ერთ საგულისხმო გარემოებას მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება. „ვეფხისტყაოსნის“ არქიტექტონიკა მეტად და მეტად რთულია, პოემა რამდენიმე პლანში მოაზრებული ნაწარმოებია. ოღონდ ნიშანდობლივია, რომ ყოველი პლანი თანაბარი გულმოდგინეობით არის დამუშავებული უმცირეს დეტალებამდე. ეს პლანები ერთიმეორეზე კი არ დევს ნიადაგის შრეებივით და ამით განცალკევებულობის შთაბეჭდილებას კი არ ქმნის: ყველა ეს პლანი ურთიერთგამჭოლი და ურთიერთშემავსებელია, მხოლოდ სკრუპულოზური ანალიზის მეოხებით შეიძლება მათი გამოყოფა.

მგონი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ამგვარ ნაწარმოებთა რიცხვი თითებზე თუ ჩამოითვლება, მაგრამ ეს როდია მთავარი. მთავარი ის არის, რომ ამგვარად გააზრებული და აგებული ნაწარმოები მკითხველთა უჩვეულოდ ფართო წრეს გულისხმობს. „ვეფხისტყაოსანი“ თანაბრად სანუკვარი წიგნი იყო ბრძენი კაცისთვისაც და უბრალო მიწის მუშისთვისაც, ამათ შუა მოქცეული სულ სხვადასხვა ფენის, გონებისა და განსწავლული ხარისხის ადამიანთათვისაც. ყოველი მათგანი სწორედ მისთვის შესატყვის აზრს პოულობდა ამ პოემაში.

რაკი ასეა, ისიც უნდა გამოვიძიოთ, რას გვეუბნება „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენ, მკითხველებს, რომელთა რიცხვი მილიონებს მოიცავს. რას გვეუბნება ჩვენ რუსთაველი ამქვეყნიური ცხოვრების თაობაზე?

კვლავ და კვლავ ვიმეორებთ: რუსთაველი გვეუბნება, რომ ამ ქვეყნად უდიდესი ღირებულებაა ადამიანი და მხოლოდ ადამიანი, რომ ადამიანი უნდა იყოს ჰარმონიულად მშვენიერი — მშვენიერი უნდა იყოს მისი სული, მისი სხეული, მისი გონებაც და მისი მოქმედებაც, რომ ადამიანმა ისე უნდა სრულყოს თავისი ნებელობა, რომ მხოლოდ მაღალი მიზნებისკენ მიმართოს აზრიც და საქმეც.

მაგრამ, რაც მთავარია, რუსათველი გვეუბნება, რომ ადამიანის განდიდებისათვის, შესატყვის სიმაღლეზე დაყენებისათვის არას გვარგებს მჭვრეტელობითი, პასიური ჰუმანიზმი; რომ საჭიროა აქტივობა და აქტივობა, მუდმივი, დაუცხრომელი ქმედება და ამით ბოროტების დათრგუნვა. აი რა აქცევს ადამიანს ადამიანად, აი რა შეამუსვრინებს მას საწუთროში მოქმედ ბნელ ძალებს და რა დაამკვიდრებინებს ისეთ ყოფას, რომ თხა და მგელი ერთად სძოვდეს, — ესე იგი ყოფას, როდესაც განხორციელდება ჰუმანიზმის უმაღლესი და უკეთილშობილურესი იდეალები.

ბოროტების ტყვეობაში მყოფი ნესტანის გამოსახსნელად აუცილებელი იყო ჭირთა გაძლება, აუტანელი ტანჯვის მოთმენა, გადაულახავ დაბრკოლებათა გადალახვა და აქტივობის ისეთი უნარის გამოვლინება, რომელიც თითქმის წარმოუდგენელია უბრალო მოკვდავთათვის. ამჯერად დავეხსნათ ნესტანის ქაჯეთში ტყვეობისა და მისი გამოხსნის უღრმეს რელიგიურ-ფილოსოფიურ სიმბოლიკას და ჩვენთვის მისაწვდომ პლანში წავიკითხოთ „ვეფხისტყაოსანი“. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ პლანშიც იმასვე გვასწავლის რუსთაველი, რასაც უღრმეს პლანში: ბრძოლა მარადი და შეუპოვარი, აქტივობა, მოქმედება

და კიდევ ერთხელ მოქმედება, წარბშეუხრელი შერკინება ბოროტების აღმოსაფხვრელად.

აი რატომ იქცა „ვეფხისტყაოსანი“ მეორე სახარებად ქართველთათვის. რატომ არ დააძინა მან ქართველი კაცი შვიდას წელიწადს, არ დააძინა, თავისი თავის რწმენა არ დააკარგვინა და შეაძლებინა ჩვენს დრომდე, ჩვენს ეპოქამდე მოეტანა თავისი ნატანჯი და ნაგვემი, ლამის სისხლისაგან დაწრეტილი და მაინც მშვენიერი სხეული, თავისი გაწამებული, მაგრამ მაინც მოუღლელი, უდრეკი და მშვენიერის მისაღებად კვლავაც მზადმყოფი სული.

და ჩვენ გვახარებს ეს დღე, როდესაც რუსთაველის ქმნილება ქართველ ხალხთან ერთად მთელი კაცობრიობის ორგანული კუთვნილება ხდება. როდესაც ევროპელი თუ ამერიკელი, აზიელი თუ აფრიკელი შეეცდება ამ პოემაში ისე, როგორც ქართველმა კაცმა საუკუნეების განმავლობაში, ამოიკითხოს უფრო მეტი, ვიდრე სარაინდო რომანს, თუნდაც ლამაზად გალექსილს შეუძლია დაიტიოს, მაშინ ჩვენ კიდევ ერთხელ ვიტყვით ყველას გასაგონად: „რომელთა ასხენან ყურნი სმენად, ისმინენ!“ მოისმინეთ „ვეფხისტყაოსნის“ ბრძნული და სამარადჟამო იგავი: ტარიელი — ზოგადი ადამიანის, კაცობრიობის სახე, განწირულებას მისცემია, რადგან ბოროტების დათრგუნვის, ჭეშმარიტების მიკვლევის ყველა იმედი გადაწურული აქვს. და სწორედ ამ დროს, ამ ყველაზე კრიტიკულ მომენტში მოევლინება ტარიელს მისივე მეორე არსება — გონების განსახიერება ავთანდილი. მოევლინება, რათა დაუბრუნოს მას რწმენა, რათა კვლავ აგრძნობინოს საკუთარი ძალმოსილება და მოაგონოს: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!“

აი ეს არის ჩემი უმთავრესი სათქმელი დღეს, ამიტომ წარმოვდექი თქვენს წინაშე ამ მოხსენებით ამ დიდებულ ფორუმზე. ძვირფასო სტუმრებო! დღევანდელ ადამიანს, მსგავსად ტარიელისა, არ აკლია სიბრძნე, არ აკლია ძალმოსილება, ოღონდ ტარიელისავე მსგავსად ბოროტებისა და საშიშროების წინაშე მას დღეს დაკარგული აქვს თავისი ძალების რწმენა, თითქოს აღარც კი სჯერა, რომ შეძლებს ეს სიბრძნე და ძალმოსილება მოიხმაროს ბოროტების დასათრგუნავად.

ჩვენო ძვირფასო სტუმრებო:

— მივაშველოთ ტარიელს ავთანდილი!

— დავუბრუნოთ ადამიანს რწმენა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსთაველის საიუბილეო დღეების ქრონიკა

გაერთიანებული პლენუმი

რუსთაველის საიუბილეო დღეები დაიწყო 26 სექტემბერს სსრ კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირების გამგეობათა გაერთიანებული პლენუმით.

26 სექტემბერს დილის 10 საათისათვის რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის დარბაზში სსრკ და საქართველოს მწერალთა კავშირების გამგეობათა გაერთიანებულ პლენუმზე შეიკრიბნენ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მწერალთა ორგანიზაციების თვალსაჩინო წარმომადგენლები, უცხოელი ლიტერატორები და ხელოვნების მოღვაწენი.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა სსრკ მწერალთა კავშირის მდივანმა გ. მ ა რ კ ო ვ მ ა.

პლენუმის წევრებსა და სტუმრებს მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მ ჟ ა ვ ა ნ ა ძ ე.

მოხსენება „შოთა რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში" წაიკითხა სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ნ. ს. ტ ი ხ ო ნ ო ვ მ ა.

იმავე სხდომაზე მოხსენება თემაზე „შოთა რუსთაველი და თანამედროვე ქართული ლიტერატურა" გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ჟ ღ ე ნ ტ მ ა.

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს: რუსეთის ფედერაციის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა მ. ა ლ ე ქ ს ე ე ვ მ ა, უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ო. გ ო ნ ჩ ა რ მ ა, ბელორუსიის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ პ. ბ რ ო ვ კ ა მ, ყაზახეთის უხუცესმა მწერალმა-აკადემიკოსმა ს. მ უ კ ა ნ ო ვ მ ა, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, სახალხო მწერალმა მ. ი ბ რ ა გ ი მ ო ვ მ ა, ლიტვის მწერალთა კავშირის მდივანმა ე. მ ე ქ ე ლ ა ი ტ ი ს მ ა, უზბეკეთის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრმა და მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ზ ა ხ ი დ ო ვ მ ა, სომხეთის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრმა ს ი ლ ვ ა კ ა პ უ ტ ი კ ი ა ნ მ ა, მოლდავეთის სახალხო პოეტმა ა. ლ უ პ ა ნ მ ა, ლატვიის სსრ კულტურის დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა კ. კ რ ა უ ლ ი ნ მ ა. ტაჯიკეთის სახალხო პოეტმა მ. მ ი რ შ ა ქ ა რ მ ა წაიკითხა რუსთაველის პოემის ნაწყვეტები ტაჯიკურ ენაზე. შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ: ყირგიზეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მწერალი კ. მ ა ლ ი კ ო ვ ი, თურქმენი მწერალი გ. ს ე ი ტ ა კ ო ვ ი, ჩუვაშეთის სახალხო პოეტი პ. ხ უ ზ ა ნ გ ა ი, აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მწერალი ბ. შ ი ნ კ უ ბ ა, დაღესტნის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე რ ა ს უ ლ გ ა მ ზ ა ტ ო ვ ი, გაზეთ „პრავდას" ხელოვნების და ლიტერატურის განყოფილების რედაქტორი ნ. ა ბ ა ლ კ ი ნ ი, ბალყარელი პოეტი ყ. ყ უ ლ ი ე ვ ი, კარელიელი მწერალი ა. ტ ი მ ო ნ ე ნ ი.

პლენუმზე სიტყვებით გამოვიდნენ საზღვარგარეთელი მწერლები: ბულგარელი პოეტი ე. ბ ა გ რ ი ა ნ ა, ინგლისელი რომანისტი ჯ. ო ლ დ რ ი ჯ ი, ინდოელი პოეტი ქალი ა. პ რ ი ტ ა მ ი, ალჟირელი მწერალი ი. კ ა ტ ე ბ ი ა ს ი ნ ი, ჩილელი მწერალი ფ. კ ო ლ ო ა ნ ე, ავსტრალიელი პოეტი დ. დ ა ტ ო ნ ი, პოლონელი მწერალი, „ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელი ე. ზ ა გ უ რ ს კ ი და უნგრელი მწერალი, „ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელი შ. ვ ე რ ე შ ი.

პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა-მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

პლენუმის მონაწილეებმა საღამოს ნახეს რუსთაველის თეატრის პრემიერა „ვეფხისტყაოსანი".

საზეიმო სხდომა თბილისში

30 სექტემბერს, 12 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომა. სხდომას დაესწრნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის და 45 საზღვარგარეთელი ქვეყნის გამოჩენილი მწერლები და კულტურის

მოღვაწენი. პრეზიდიუმში ისხდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელები, მოკავშირე რესპუბლიკების პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები. საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა მთავრობის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჯავახიშვილმა. მოხსენებით შოთა რუსთაველის შემოქმედების შესახებ გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე პოეტი-აკადემიკოსი ირ. აბაშიძე.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს გულთბილი მისასალმებელი სიტყვით მიმართა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ე. ა. ფურცევამ. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს: რსფსრ უმაღლესი და საშუალო სპეც. განათლების მინისტრმა ვ. ნ. სტოლეტოვმა, ესპანელმა პოეტმა რაფაელ ალბერტიმ, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პ. ტ. ტრონკომ, ქალაქ მოსკოვის პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ა. პ. შაპოშნიკოვამ; რუსთაველის სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ს. ტიხონოვმა, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანმა ნ. დ. ხრისტოფოროვმა, ცნობილმა გერმანელმა მწერალმა ქალმა ანა ზეგერსმა. ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ფ. კლიმოვმა, უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. ს. სადიკოვმა, ყაზახეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ა. შ. შარიპოვმა, ცნობილმა ინდოელმა მეცნიერმა და მწერალმა, ინდოეთის პარლამენტის დეპუტატმა სუმიტი კუმარ ჩატერჯიმ, აზერბაიჯანის კომპარტიის ცკ მდივანმა შ. კ. ყურბანოვმა, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ი. დერეინსკაიტემ, მოლდავეთის სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ვ. კოროობჩანუმ, ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პ. ი. სტრაუტმანისმა, ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა, ინგლისის პარლამენტის წევრმა ერმის ხიუზმა, ყირგიზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა კ. კ. ყარაკეევმა, ტაჯიკეთის სსრ კულტურის მინისტრმა მ. ნაზაროვმა, იუგოსლავიის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მ. ბორმა, სომხეთის კომუნისტური პარტიის ცკ-ს მდივანმა რ. გ. ხაჩატრიანმა, თურქმენეთის სსრ კულტურის მინისტრმა კ. საიტლიევმა, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ი. კლაუსონმა, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ რ. ახმატოვმა, პარტიის დაღესტნის საოლქო კომიტეტის მდივანმა მ. ა. ჯიბრაილოვმა, პარტიის ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ა. გ. კუჩიევმა, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ჩ. ვ. უიანაევმა, ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის დეპუტატმა, მწერალმა ივანე სალამ, ცნობილმა იტალიელმა მწერალმა კარლო ლევიმ, ვიეტნამის მწერალთა კავშირის გამგეობის წევრმა, ცნობილმა ვიეტნამელმა პოეტმა ჩე ლან ვიენმა. ქართულ ენაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ბელგიელმა მეცნიერმა, ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ე. გარიტმა, ინგლისელმა ქართველოლოგმა დ. ლენგმა და ფრანგმა მეცნიერმა რ. ლაფონმა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სესია

28 სექტემბერს რუსთაველის სახელობის სახ. აკადემიურ თეატრში შეიკრიბნენ საქართველოს, მოსკოვის, ლენინგრადის, ყაზახეთის, უზბეკეთის, თურქმენეთის, ლიტვის, ლატვიის, აზერბაიჯანის, სომხეთის და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების თვალსაჩინო მეცნიერები, საზღვარგარეთელი სწავლულები — ლიტერატორები და ქართველოლოგები. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ამ საერთო კრების სესია მიეძღვნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. ი. მუსხელიშვილმა. სესიაზე შეკრებილ მეცნიერებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა მთავრობის რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა.

ამხ. გ. დ. ჯავახიშვილმა ილაპარაკა იმ დიდ წვლილზე, რომელიც ქართველმა მეცნიერებმა შეიტანეს პოემის მეცნიერული კვლევის, მისი მეცნიერული კრიტიკული ტექსტის დადგენის საქმეში.

მოხსენება — „შოთა რუსთაველის შემოქმედება" — გააკეთა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. წერეთელმა წაიკითხა მოხსენება „ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ-კრიტიკული ტე-

ქსტის გამოცემის გამო". საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი გამოვიდა მოხსენებით თემაზე „რუსთაველის ეპოქის ქართული ხელოვნების ძეგლები".

სიტყვა წარმოსთქვა მწერალმა-აკადემიკოსმა კ. გამსახურდიამ. ვრცელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: ნ. კონრადი, და ვ. ჟირმუნსკი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ვ. შტერნი, ბუდაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. ცეგლიდი, კუბის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ლინგვისტიკის ინსტიტუტის დირექტორი ხოსე ანტონიო პორტუონდო, ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. გ. ფოქტი და პოლონელი ქართველოლოგი იან ბრაუნი.

მწერალთა საერთაშორისო ფორუმი ბორჯომში

27 სექტემბერს ბორჯომში გაიხსნა მწერალთა საერთაშორისო ფორუმი — მუშაობა დაიწყო ხუთი კონტინენტის 33 ქვეყნის წარმომადგენელთა „მრგვალმა მაგიდამ". „მრგვალ მაგიდას" შემოუსხდნენ სიტყვის ოსტატები, საქვეყნოდ ცნობილი მწერლები. დისკუსიის თემა იყო „პოეზია და თანამედროვე კულტურა". დისკუსია გახსნა საქ. მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ აკად. ირაკლი აბაშიძემ. — რუსთაველის იუბილე ისევე, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ გადახდილი იუბილეები დანტესი და შექსპირისა, — თქვა მან, — უწინარეს ყოვლისა, არის ჩვენთვის, მწერლებისათვის, სამყაროს და მისი კანონზომიერების უფრო უკეთ შეცნობის სტიმული. ორატორმა მოუწოდა ფორუმის მონაწილეებს გაუზიარონ ერთი მეორეს აზრები კულტურის განვითარების გზებზე, პრობლემებზე, რომლებიც აღელვებს ყველა ქვეყნის ლიტერატორებს, სხვადასხვა მიმართულების მწერლებს. ეროვნული კულტურის მოქცევა მსოფლიო პოეზიის დიდ კალაპოტში, — ასეთია ჩვენი დროის მოთხოვნა, — თქვა დასასრულს ირაკლი აბაშიძემ.

ალექსი სურკოვმა წამოაყენა მთელი რიგი საკითხები ფორუმზე განსახილველად, მათ შორის, ისეთი პრობლემებიც, როგორიცაა: პოეზია და საზოგადოების სულიერი მოთხოვნები, პოეზია და ეროვნული ტრადიციები, პოეზია და მასობრივი კულტურა. დისკუსიის პირველ დღეს ორატორების გამოსვლამ ცხადყო მწერალთა ღრმა ინტერესი ამ აქტუალური შემოქმედებითი პრობლემებისადმი. მთავარი თემა მაინც, რომელმაც განსაზღვრა დისკუსიის ხასიათი და მიმართულება, იყო თემა მხატვრის პასუხისმგებლობისა საზოგადოებისა და მთელი კაცობრიობის წინაშე. „მრგვალი მაგიდის" მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პიერ გამარამ, ჯეიმს ოლდრიჯმა, ჯეფრი დატონმა, ხუან გოიტისოლომ, ევგენი ევტუშენკომ, რობერტ როჟდესტვენსკომ, ეჟენ გილვიკმა, ჰანს მაგნუს ენცენსბერგერმა, ჩე ლან ვიენმა, ალფერდ კურელამ, გრიგოლ აბაშიძემ, ბორის სუჩკოვმა, დიულიეშმა, ანატალ გიდაშმა, ვ. პერცოვმა, ირჟი ტაუფერმა, მ. ლუკონინმა, ჯო უოლესმა, რაფაელ ალბერტიმ, ალიმ კეშეკოვმა, იულიან პშიბოსმა, ივ. განდონმა, ედუარდო სანგვინეტიმ, კარლო ლევიმ, გ. მარგველაშვილმა, ჰუგო ჰუპერტმა, კატებ იასინმა, ლეონე პი ჩიონიმ, დორა გაბემ, მაქს-პოლ ფუშემ, ცვეტან ანგელოვმა, მარიო ლუციმ, ვოიტეხ მიგალიკმა, თამაზ ჭილაძემ, ყაისინ ყულიევმა, ვლადიმერ მაკავარიანმა, გურამ ასათიანმა, მატეი ბორმა, ბორის რიურიკოვმა.

პოეზიის ინტერნაციონალური საღამო

29 სექტემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა ხუთი კონტინენტის პოეტთა დიდი ინტერნაციონალური საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ირაკლი აბაშიძემ. პირველად ტრიბუნაზე ავიდა ნიკოლოზ ტიხონოვი, რომელმაც წაიკითხა მის მიერ თარგმნილი ლექსი გიორგი ლეონიძისა „ვეფხისტყაოსანი". ტიხონოვი შესცვალა საქართველოს უხუცესმა პოეტმა სანდრო შანშიაშვილმა, რომელმაც დიდი გრძნობით წარმოსთქვა რუსთაველისადმი მიძღვნილი თავისი ლექსი. ტრიბუნაზე ერთი მეორეს სცვლიან სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის წარმომადგენელი პოეტები, რომლებიც კითხულობენ თავიანთ ენებზე რუსთაველის ვეფხისტყაოსნის სტროფებს ან რუსთაველისადმი მიძღვნილ ლექსებს. მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე თავიანთი ლექსებით გამოვიდნენ: პოლონელი იულიან პშიბოსი, ცნობილი ბულგარელი პოეტი ქალი ე. ბაგრიანა, მიკოლა ბაჟანი, უნგრელი პოეტი იშტვან შიმონი, აზერბაიჯანის სახალხო პოეტი სულეიმან რუსტამი, ავსტრალიელი პოეტი ჯეფრი დატონი, ევგენი ევტუშენკო, ალიო მირცხულავა, მებრძოლი ვიეტნამის წარმომადგე-

ნელი პოეტი ჩე ლან ვიენი, სერგეი ორლოვი, ფრანგი ეჟენ გილვიკი, ედუარდას მეჟელაიტისი კანადელი ჯო უოლესი, ინდოელი პოეტი ქალი ამრიტა პრიტამი, იტალიელი პოეტები მარიო ლუცი და ელიო პალერატი, სომეხი პოეტი სილვა კაპუტიკიანი; შემდეგ — ესპანეთის გამოჩენილი პოეტი-ტრიბუნი რაფაელ ალბერტი და მისი თანამემამულე ხოსე ლოპეს პაჩეკო. ტრიბუნაზე არიან მიხ. ლუკონინი, ყაისინ ყულიევი, ჩეხი ივანე სკალა (რომლის ლექსის თარგმანს ქართულად კითხულობს იოსებ ნონეშვილი); ღრმა ინტერესით უსმენდა დარბაზი დანიელ პოეტს იორგენ ვიბეს, იუგოსლაველ ოსკარ დავიჩოს, პოლონელ პოეტ-ქალს ვისლავა შიმბორსკას, გერმანულ ენაზე ვეფხისტყაოსნის სტროფებს კითხულობს ჰუგო ჰუპერტი, პოლონურ ენაზე — იგორ სიკირიცკი.

ერთი მეორის მიყოლებით ტრიბუნაზე ადიან: ცნობილი ჩეხი პოეტი ირჟი ტაუფერი, მუსტაი კარიმი, იუგოსლავიელი დრაგუტინ ტადიანოვიჩი, პოლონელი ლეოპოლდ ლევინი, უნგრელი ლასლო ბენიამინი, რობერტ როჟდესტვენსკი, ჩეხი ვოიტეხ გიგალიკი, ჩუვაშეთის სახალხო პოეტი პედერ ხუზანგაი.

საიუბილეო კონცერტი

30 სექტემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართა დიდი საიუბილეო კონცერტი რესპუბლიკის საუკეთესო არტისტული ძალების მონაწილეობით. დარბაზი სავსე იყო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან და უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრებით. კონცერტს დაესწრნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის და საქ. სსრ მთავრობის წევრები.

რუსთაველის ძეგლთან თბილისში

30 სექტემბერს დილიდანვე ყვავილებით შეამკეს შოთა რუსთაველის ძეგლი თბილისში. დილის 10 საათზე ძეგლთან შეიკრიბნენ მშრომელთა, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსწავლეები, სტუდენტები. დიდი პოეტის ხსოვნის პატივსაცემად მოვიდნენ ვ. პ. მეავანაძე, პ. ა. როდიონოვი დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ვ. თ. შაურო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე .ა. ფურცევა, თვალსაჩინო საბჭოთა პოეტები და მწერლები, მოსკოვის, ლენინგრადის, საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების დელეგაციათა წევრები, საზღვარგარეთელი სტუმრები.

ძეგლის კვარცხლბეკი გვირგვინებით შეამკეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის, მწერალთა კავშირის გამგეობის, ქართველი მწერლების, მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელების, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციათა სახელით.

გამოფენები

რუსთაველის იუბილეს პირველი დღეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო „ქართული კულტურის“ გამოფენის გახსნა საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე. გამოფენა შეიცავს შემდეგ პავილიონებს: „ქართული დამწერლობა და ლიტერატურა, „სახვითი ხელოვნება“, „ხალხური ხელოვნება“, „კინოხელოვნება“, თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნება“, „მეცნიერება და განათლება“, „არქიტექტურა“ და სხვ.

25 სექტემბერს შუადღისას გამოფენის ტერიტორიაზე თავი მოიყარეს საიუბილეო ზეიმის მონაწილეებმა, შემოქმედებითი ინტელიგენციის და რესპუბლიკის მშრომელების წარმომადგენლებმა, მოძმე რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა. გამოფენამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

25 სექტემბერს სამ საათზე სახელმწიფო სურათების გალერიაში გაიხსნა გამოფენა „ყველაფერი რუსთაველის შესახებ“. გამოფენის შესახებ მოკლე მოხსენება გააკეთა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ვახტანგ ბერიძემ. გა-

მოფენაზე თავმოყრილია თითქმის ყველაფერი, რაც კი დაწერილა რუსთაველზე, პოემის ყველა გამოცემა, ვეფხისტყაოსნის შემორჩენილი ხელნაწერები, პირველი გამოცემები, რუსთაველის მკვლევარი ქართველი მეცნიერების პორტრეტები, სსრკ და მსოფლიოს ხალხთა ენებზე ვეფხისტყაოსნის ყველა მთარგმნელის ფოტოსურათები; წარმოდგენილია აგრეთვე ილუსტრაციები და ძველებური მინიატურები მ. თავაქარაშვილის, მ. ზიჩის, თ. აბაკელიას, ს. ქობულაძის, ლ. გუდიაშვილის, ი. ჯაფარიძის და სხვათა ნამუშევრები.

გამოფენები „ქართული კულტურა" და „ყველაფერი რუსთაველის შესახებ" დაათვალიერა ათი ათასობით თბილისელმა.

სპორტული და თეატრალური დღესასწაული

2 ოქტომბერს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა დიდი სპორტული დღესასწაული, მიძღვნილი რუსთაველისადმი. საზეიმოდ იყო სტადიონი მორთული. თითქოს მთელი ქალაქი სტადიონზე შეკრებილიყო. გარშემო მდებარე გორაკები ხალხით იყო სავსე. დღესასწაულს დაესწრნენ საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის და საქართველოს მთავრობის წევრები და დიდძალი სტუმრები მოძმე რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

წინადღით, 1 ოქტომბერს, სპორტის სასახლეში გაიმართა დიდი თეატრალიზებული წარმოდგენა — რესპუბლიკის საუკეთესო არტისტული ძალების მონაწილეობით. შესრულდა ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებები.

ზეიმი მესხეთში

28 სექტემბერს ახალციხეს ეწვივნენ საბჭოთა და უცხოელი მწერლები. მოედანზე აღმართულია თეთრად შებურული ძეგლი; მის წინ გაშენებულია ყვავილნარი, ჩქეფს შადრევნები, იქვე მახლობლად გაისმის სიმღერები. ქალაქის მოედანზე თავი მოუყრია ოცი ათასამდე მშრომელს. 11 საათზე ძეგლის წინ დადგმულ გრანიტის ტრიბუნაზე ავიდნენ იუბილეს მომწყობი კომიტეტის წევრები, გამოჩენილი საბჭოთა და საზღვარგარეთელი მწერლები, ახალციხის მშრომელთა წარმომადგენლები.

მიტინგი გახსნა პარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. გრძელიშვილმა. სტუმრებს მიესალმნენ ახალციხის საშუალო სკოლების მოსწავლეები; სიტყვები წარმოთქვეს: სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანმა ბორისპოლევოიმ, ცნობილმა იტალიელმა მწერალმა, სენატორმა კარლო ლევიმ, საფრანგეთის პენკლუბის თავმჯდომარემ ივგანდონმა, ლონდონის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის კაბინეტის ხელმძღვანელმა დევიდ ლენგმა, ვიეტნამელმა მწერალმა ჩი ლან ვიენმა, ცნობილმა ბელგიელმა მწერალმა დორა გაბემ, გამოჩენილმა ესპანელმა პოეტმა რაფაელ ალბერტიმ, კალკუტის უნივერსიტეტის ფილოლოგიის პროფესორმა სულიდი კუმატ თატერჯიმ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ალფრედ კურელამ, უხუცესმა უნგრელმა მწერალმა ტიბორ დერიმ, ცნობილმა ლიბანელმა მწერალმა და მეცნიერმა მიშელ მუნაიმემ. სიტყვების დამთავრების შემდეგ, ძეგლს ახადეს საბურველი და დამსწრეთა წინ გამოჩნდა გენიალური პოეტის ბრინჯაოს ფიგურა. მიტინგის დამთავრების შემდეგ სტუმრებით სავსე ავტომანქანები გაემართნენ რუსთაველის ეპოქის უნიკალური ძეგლის ვარძიის დასათვალიერებლად.

მოზეიმეთა კორტეჟი შეჩერდა სოფელ რუსთავში, დაათვალიერა რუსთაველის ძეგლი, დიდი მგოსნის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი ობელისკი და განაგრძო გზა. სტუმრებს გზადაგზა ეგებებოდნენ იდუმალის, ასპინძის, საროს, ტოლოშის, ხერთვისის და თმოგვის მშრომელები. სტუმრები ჩავიდნენ ვარძიაში. კლდეში გამოკვეთილმა 11 სართულიანმა ციხე-ქალაქმა უცხოელ სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე

როცა ჩვენ ორნი
პირისპირ ვრჩებით

როცა ჩვენ ორნი პირისპირ ვრჩებით
და ვხვდებით ორთავ იდუმალ წადილს,
ჩვენ შორის წამით ვიღაცა ჩნდება,
თითქოს აჩრდილი ჩვენს შორის დადის.
ის, მიუწვდომი და გამჭვირვალე,
თითქოს რაღაცას გვემუდარება,
ხან მწუხარებით მოგვაპყრობს თვალებს,
ხან თავდახრილი დაიარება.
ვინ არის იგი?! რა მტკივნეულად
გვეცნაურება და გვებრალება.
ნუთუ ის უკვე ლანდად ქცეულა
უმანკოება ცისფერთვალება?
სად, როდის, რისთვის? დღისით თუ ღამით
იგი დაშორდა ჩვენ გულისცემას
ისე, ვით ვარდის ფურცლებზე ნამი,
ციური ნამი , დილით რომ ქრება?
როცა ჩვენ ორნი პირისპირ ვრჩებით
და ორთავ ვაღწევთ იდუმალ წადილს,
წამით აჩრდილი ნაცნობი ჩნდება
და თავდახრილი მწუხარედ დადის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირონ ხერგიანი

მესტიის ტურბაზის მეგზური

მოთხრობა

სატვირთო მანქანა სკოლის შენობასთან გაჩერდა.

გივი პირველი ჩამოხტა ძარიდან, მტვერში ამოსვრილი ტანსაცმელი დაიფერთხა.

ტურისტები ისევ ისხდნენ ძარაზე გარდიგარდმოდ გადებულ ფიცრებზე და ხმამაღლა გაჰყვიროდნენ:

„...პოტომუ-ჩტო ნამ ნელზია ბეზ
პესენ,
პოტომუ-ჩტო მირ ბეზ პესენ ტესენ...“

სიმღერის რიტმისათვის ფეხებიც აეყოლებინათ და იატაკზე აბრახუნებდნენ.

კაბინიდან ლილია გამოვიდა. მას უკან ჩასუქებული მძღოლი გამოჰყვა. მძღოლმა მომღერლებს აჰხედა და იკითხა.

— არ აპირებენ ადგომას?

— ბოლომდე ხომ უნდა ჩაათავონ — თქვა ლილიამ — იგი მთელი გზა კაბინაში იჯდა და სუფთად გამოიყურებოდა.

— ხომ არ მოიწყინე? — შეეკითხა მას გივი.

— რა მომაწყენდა, იევსაკ ციოკოვიჩმა იმდენი მაცინა, — ლილიამ მძღოლს გადახედა.

მძღოლს სინამდვილეში იევსაყ ერქვა, მამამისს კი — ციოყ, მაგრამ ლილია „ყ“-ს ვერ გამოთქვამდა და იევსაკ ციოკოვიჩს ეძახდა.

იევსაყმა თავმომწონედ ჩაიღიმა. მუცელზე მოიტყაპუნა ძარღვიანი, მაზუთში ამოსვრილი ხელი.

მალე სიმღერა დაამთავრეს. იევსაყმა მანქანის ბორტი გახსნა და გოგოებს ჩამოსვლაში მიეშველა. იღლიებში შეუცურებდა ხელს, დერეფანივით განიერ ღიპზე დაისვამდა და ისე ჩამოჰყავდა. გოგოები იცინოდნენ, კისკისებდნენ...

გივი და ლილია წინ წავიდნენ.

— სად არის ბანაკი? — შეეკითხა ლილია.

— აი, შენობის უკან, კარვებს ხომ ხედავ...

უკანიდან ხმაური მოისმა. ეს ჯგუფის მამასახლისი ეჩხუბებოდა ვიღაცას. გივიმ მიიხედა: იევსაყ კაბინის კარებთან იდგა, კისერი წინ წაეგრძელებინა და გაბრაზებული შესცქეროდა მამასახლისს.

— პოსტარელ, ა, ობრაშჩატსა ჟენშჩინამი ნე ნაუჩილსა, — ეუბნებოდა მამასახლისი.

გოგოები შემოხვეოდნენ და ამშვიდებდნენ:

— რა იყო... გვეხმარებოდა, — მაგრამ მამასახლისი მაინც არ ცხრებოდა.

— ერთი წუთით, ლილია, — თქვა გივიმ და იქითკენ გაიქცა.

იევსაყ ისევ კისერწაგრძელებული იდგა და ითმენდა. ეს იყო, ხელები ჩამოეშვა და შეჯიბრებაში გამოსულ მოჭიდავეს ჰგავდა.

გივი მასთან მიიჭრა და ხელი მოჰკიდა.

— შენი ხათრი, თორემ ისე გავხდი-

დი... მამამისი ვერ იცნობდა... —ივსაყმა გაიწია.

გივიმ კაბინაში შეაგდო.

— ეს ვინ ყოფილა, — თქვა ივსაყმა.

— ეგლა გაკლია, ამას აჰყვე — მიუგო გივიმ.

ივსაყმა დაუჯერა. ძრავა ჩართო და ვიდრე მუხრუჭს აუშვებდა, თქვა:

— ჰკითხე გოგოებს თუ არ გჯერა, ვეხმარებოდი, შენც მხედავდი, ვეხმარებოდი... ეს კი წამოხტა იმასავით, მის ცოლს რომ მოვკიდე ხელი, ის ეწყინა...

— ჰო, კარგი, წადი ახლა...

— მადლობის მაგიერ ჩხუბი დაიწყო, ვუჩვენებდი, როგორ უნდა ჩხუბი...

— მშვიდობით იარე...

— შენც ასევე...

ივსაყმა გაზი მოუმატა, მანქანა ადგილიდან დაიძრა და თან მტვერი გაიყოლია.

მთელ ჯგუფში ოთხი ბიჭი იყო, დანარჩენი სულ გოგოები. ივსაყ რომ წავიდა, გოგოებმა თავი დაანებეს მამასახლისს და ძირს, კარვებისაკენ დაეშვნენ. მხოლოდ ცოლი დარჩა მასთან და რაღაცას ეჩიჩინებოდა.

— წავიდეთ, ბორის იაკოვლევიჩ,— უთხრა მამასახლისს გივიმ.

მამასახლისმა არაფერი უპასუხა. ცოლი ჩამოიშორა — ნუ შემიწუხე გულიო.

— როგორ არ გრცხვენია, — უთხრა ცოლმა.

ბორისმა აიკიდა მიწაზე დაგდებული ზურგჩანთა. მისი ცოლი და გივიც მიჰყვნენ.

ლილია მოლზე წამოწოლილიყო და გივის ელოდებოდა. მერე ისიც შეუერთდა სამეულს და ერთად წავიდნენ.

გივიმ უთხრა ლილიას:

— ადგილი დაგეკავებინა, ხომ ხედავ, ყველანი მოეწყვნენ..

— რა საჩქაროა, უადგილოდ ხომ არ დავრჩები, — უპასუხა ლილიამ.

საშინლად ცხელოდა.

მახლობელ მყინვარებიდან მდინარეებს ცივი ჰაერი ჩამოჰქონდათ, მაგრამ მზე მთელი ძალით აცხუნებდა და წვავდა ყველაფერს.

ბორისი კვლავ წარბშეკრული მოდიოდა. ლილია შეეკითხა:

— რა იყო, ბორის იაკოვლევიჩ.

— რა იქნებოდა...

— დღეს შეიძლება გაშავდეს კაცი,— თქვა ბორისის ცოლმა. ეტყობოდა არ სიამოვნებდა იმ ჩხუბზე საუბარი და სხვა თემაზე გადავიდა.

— მშვენიერი ამინდია, — დაემოწმა გივი.

კარავი სამი კაცისთვის იყო განკუთვნილი. სულ ცხრა კარავი იდგა. აქედან ერთი ინსტრუქტორისათვის იყო, დანარჩენები ტურისტებს დაეკავებინათ უკვე. განაპირას დაყენებული კარავი ცოლ-ქმრისათვის დაეტოვებინათ. მესამე კი ლილია აღმოჩნდა, ლილიაც მათთან უნდა მოთავსებულიყო.

ეს რომ გაიგო, სახე მოეღრუბლა, მაგრამ რას იზამდა. ზურგჩანთა კარვის წინ მიაგდო და უხალისოდ შევიდა შიგნით.

გივიმ თავის კარავს მიაშურა. ეს კარავი ავსტრიული იყო და სხვებისაგან საგრძნობლად გამოირჩეოდა: უფრო ლამაზი და უცნაური ფორმა ჰქონდა. სხვები თეთრი ფერის ბრეზენტისაგან იყო შეკერილი, ეს კი, ლურჯი.

საძილე ტომარა გაშალა და ტანზე გაიხადა. საწვიმრებში სული ეხუთებოდა. კარავში კი ჰაერი გახურებულიყო და კიდევ უფრო ცხელოდა. გარეთ გამოვიდა. გოგოებს მოესწროთ გაშიშვლება და თითქმის დედიშობილანი წამოწოლილიყვნენ მოლზე, ზოგიც ლოდებზე იწვა. შავი სათვალეები გაეკეთებინათ. ცხვირი რომ არ დატყავებოდათ, მურყანის ფოთლებით დაეფარათ და მზისთვის მიეშვირათ საცხწასმული სახეები.

— ვისაც სურს, შეუძლია მყავეწყალზე გაისეირნოს, — თქვა ყველას გასაგონად გივიმ, — აქვეა, ახლოს, — ხელი გაიშვირა მყავეწყლისაკენ.

— საშინში არ არის? — იკითხა ცხვირაპრეხილმა გოგომ და რატომღაც მამასახლისისაკენ გააპარა მზერა.

— უკვე ჩაიფიქრე? — მკვახედ მოუჭრა ბორისმა და მზედაუკარებელი, ქალივით თეთრი სხეულის ზელვა გაგრძელა. იგი გასაშავებელ საცხს ისვამდა და არც კი მოუხედავს იმ გოგოსკენ.

გოგოს ნასტია ერქვა. საკმაოდ ლამაზი სახე ჰქონდა, ფეხები კი, ჩამოთლილი და გრძელი.

— ბორის იაკოვლევიჩ, მორიგეები გამოყოფილია? — ჰკითხა მამასახლისს გივიმ.

— ნასტია, დღეს თქვენი კარავი მორიგეობს, ხომ იცი, — მიაძახა ბორისმა ნასტიას.

— რაღაც ოთხი დღის უკან არ ვიყავით? — მხრები აიჩეჩა ნასტიამ.

ბორისმა არაფერი უპასუხა.

ნასტიამ კარავში შერგო თავი და ხმამაღლა თქვა:

— გოგოებო, დღეს ჩვენ ვყოფილვართ მორიგეები...

— მერე რა... — მიუგეს თანაკარველმა გოგოებმა.

გივი ხის ძირში წამოწვა. ერენბურგის „პარიზის დაცემა" გადაშალა. ეს წიგნი წინა ჯგუფიდან ერთმა ნოვოსიბირსკელმა გოგომ აჩუქა და ძალიან მოეწონა. საერთოდ მფრინავებზე ყველაფერი აინტერესებდა. სკოლის ამხანაგმა შეაყვარა მფრინავები. სულ ზეპირად იცოდა გამოჩენილ მფრინავთა სახელები და ბიოგრაფიები, როცა დრო ჰქონდათ, უყვებოდა და უყვებოდა გივის საინტერესო ისტორიებს... მერე თვითონაც მოეწყო საფრენოსნოზე, საავიაციო სკოლაში სწავლობდა. წელს არდადეგებზე ჩამოვიდა და ისეთი გაბღენძილი დადიოდა, ძლივს იცნო გივიმ. მალე ფრენას დავიწყებო, ამბობდა და ძალიან უხაროდა.

გივისთან ლილია მივიდა. თავზე დაადგა და ზევიდან დააცქერდა.

გახდილს პირველად ხედავდა ლილიას. ბრინჯაოსფერი, მკვრივი და გლუვი სხეული ჰქონდა. იგი წარმოშობით მონღოლური მოდგმისა იყო, და ამას მხოლოდ კანის ფერით თუ შეამჩნევდა კაცი.

გივიმ კითხვა განაგრძო:

— რა წიგნია? — ჰკითხა ლილიამ.

ბიჭმა დაკეცა და ყდა აჩვენა.

გოგომ ხმამაღლა წაიკითხა, მერე თქვა:

— დიდებული მწერლის წიგნია, ესეიგი დიდებული წიგნია...

— მომეწონა... შენ გინახავს ერენბურგი? ქუჩაში სტვენით დადის თურმე...

გოგომ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია, მერე სერიოზული სახე მიიღო. თვალები მოჭუტა, დაუსტვინა და გაიარ-გამოიარა.

— ასე კი არა,—გაიცინა გივიმ.

— მწერალს ყოველთვის თვალმოჭუტულს წარმოვიდგენ რატომღაც...

— თვალმოჭუტულს და დაფიქრებულს...

— მჟავეწყალი მომწყურდა, — თქვა უცბად ლილიამ.

— აი, ხიდს გადახვალ, მერე მარცხნივ გაუყვები...

— მარტო ხომ არ წავალ.

— ნასტია წავიდა, შენ რა, ვითომ.

— ის ჩაცმული იყო.

— შენც ჩაიცვი.

— იწვის ყველაფერი, არ ხედავ?

— ასე ვერ წამოვალ, მაშინ მე უნდა ჩავიცვა.

— რატომ ვერ წამოხვალ, რა მოხდა.

— არაა მიღებული და იმიტომ.

— კი მაგრამ, აქ ხომ მთაა.

— რაც არ უნდა იყოს, სოფელია...

— ამ სიცხეში გარეთ არავინ გამოდის, ვის რა უნდა...

— ის კი არა, თქვენც არ უნდა დადიოდეთ, როგორც მოგეპრიანებათ, მე, მითუმეტეს.

— ჭიქას წამოვიღებ, დამიცადე.

გივი ძალაუნებურად წამოდგა, წიგნი იღლიაში ამოიდო და დაელოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვითომ რუსი ხარ, — ხელი მოჰკიდა მას ლილიამ.

— აქ მიცნობენ უკვე, პირველ გზობაზე ვერ გამარჩიეს, მერე გაიგეს...

ბიჭი პირველად მიდიოდა ტრუსის ამარა მჟავეწყალზე და ეუხერხულებოდა.

ლილია აგულიანებდა:

— რა მოგივიდა, გოგო ხომ არა ხარ.

— კარგი, ნუ გამიწყალე გული...

— ნახავ, მერე კმაყოფილიც კი იქნები, რომ გაბედე...

— ერთბაშად მედალი არავინ ჩამომკიდოს გულზე...

— ჰო, ნუ ბრაზობ ახლა...

ხიდს რომ გასცდნენ, მტვრიანი გზა დაიწყო. მტვერში რომ არ ეარათ, გზის კიდეებს მიუყვებოდნენ. მოსახვევთან უცაბედად ადგილობრივ გოგოებს შეეფეთნენ. ხელში თუნგულები ეჭირათ და მჟავეწყალი მოჰქონდათ. მათ წინ მაღაზიის გამგე მოუძღოდა. ყველაზე უფრო იმისი ეშინოდა გივის და მაინცდამაინც ახლა შემოხვდა.

ფეხის თრევა დაიწყო. მაგრამ უკვე გვიანი იყო, ხომ არ მოქუსლავდა, რა სასაცილო იქნებოდა, რომ მოექუსლა. ლილიამ მკლავი გაუყარა გივის და ნიდაყვზე მოუჭირა ხელი — გამაგრდიო.

მაღაზიის გამგეს ოფროსინი ერქვა და იმ გოგოებში უფროსად გამოიყურებოდა. შავი წარბები ისე შეეჭმუხნა, თითქოს ჭექა-ქუხილს აპირებდა. მისმა ამხანაგებმა თავები დახარეს, განზე გაიხედეს და ისე გაიარეს. მხოლოდ ოფროსინი არ შემდრკალა, თვალებში მისჩერებოდა ორთავეს. გივის თითქოს გამჭოლმა ქარმა დაუბერაო, ოფლმა დაასხა.

— ყოჩაღად იარე, — უთხრა ლილიამ, — საშიშროებამ გაიარა...

— უზრდელი. უსინდისო, — მოაძახა საწყობის გამგემ.

— რა თქვა? — იკითხა ლილიამ.

— მეშჩანკა, მეშჩანკა, — ახლა მას დაუყვირა ოფროსინმა. ალბათ სხვა საგინებელი სიტყვა არ იცოდა და რამდენჯერმე გაიმეორა — მეშჩანკა, ბოლშე ნიჩეგო...

ლილია შებრუნდა.

გივიმ მხარი წაჰკრა და გაიცინა:

— აი, რა თქვა, ხომ გაიგე?

— მე მითხრა, არა?

— ჰო, შენ, აბა როგორ გგონია. მეშჩანკას მე ხომ არ დამიძახებდა...

— მე მაგას ვუჩვენებ, — გაბრაზდა ლილია.

გივი იცინოდა:

— ვერაფერსაც ვერ უჩვენებ.

— როგორ გამიბედა...

— წამოდი ახლა, მჟავეწყალი დაგავიწყდა? — უთხრა გივიმ ადგილზე გაჩერებულ გოგოს.

ლილია უკან გაჰყვა.

ერთხანს დუმდნენ. მერე გივიმ თქვა:

— შეხე, კავკასიონს, რა ლამაზია...

თეთნულდის, შხარისა და აილამის მწვერვალები სულ ახლოს მოჩანდა. ისინი მყინვარებით იწყებოდნენ და თოვლის საბურველითვე უერთდებოდნენ ზეცის ლაჟვარდს.

— ეს ბეზინგის კედელია, არა? — თქვა ოდნავ დამშვიდებულმა ლილიამ.

გივის გაუკვირდა:

— შენ არ ხუმრობ, საიდან?

ლილიამ არაფერი უპასუხა.

გივის მოეჩვენა, თითქოს მოიწყინა და დანაღვლიანდა.

— რა იყო, ლილია? — ჰკითხა გივიმ.

— ბავშვობა მთამსვლელთა რუკებთან გავატარე... — თქვა ბოლოს ლილიამ. იგი მართლაც სევდანარევი ხმით ლაპარაკობდა.

გივიმ გაკვირვებით გადახედა. მეტად ამ თემაზე არც გაუგრძელებია საუბარი. გოგოს საოცრად მკვრივი და გლუვი კანი ჰქონდა. ზღვაზე გაშავებულს ჰგავდა. ტურისტებიდან ასე არავინ მოსწონებია გივის. გრძელი, ლამაზი ფეხები ჰქონდა, საერთოდ მშვენიერი გოგო იყო.

— სად მოასწარი ასე გაშავება? — ჰკითხა გივიმ.

— მონღოლეთში, გაიღიმა ლილი-

ამ. — ბებიაჩემი მონღოლი იყო, ჩვენი გვარის ნაშიერნი სულ ასეთი „დამწვრები“ გამოვედით.

მალე მჟავეწყალთან მივიდნენ. ლოდებზე ჩამოსხდნენ. გოგომ ორი ჭიქა გამოსცალა.

— კარგი მჟავეწყლებია თქვენთან...

— ეს არ ვარგა, მესტიის უკეთესია.

— ყველაზე მაგარი შიხრის მჟავეწყალი იყო.

— მე მესტიის მირჩევნია, შეჩვეული რომ ვარ, ალბათ, იმიტომ.

— ალბათ ძალიან მომენატრება...

— ბორჯომი ხომ მოაქვთ თქვენთან, ბორჯომი დალიე...

— ბორჯომი სულ სხვაა.

მერე ტყეში შევიდნენ და ხეებს შორის მოლზე წამოწვნენ.

ლილიამ ბიჭის მკლავზე დადო თავი.

— უნდა დავიძინო, — თქვა მან.

— დაიძინე.

— ამაღამ მაინც არ დამეძინება და ახლა დავიძინებ.

— არ დაგეძინება?

— იმ ცოლ-ქმართან რა დამაძინებს.

— გეუბნებოდი და... არ დაიკავე დროზე ადგილი...

— სულერთია, ვიღაცას ხომ მოუწევდა. ისიც ჩემს დღეში იქნებოდა.

გოგომ თვალები მილულა, ბიჭმაც მას მიბაძა. ორივენი დუმდნენ. გივი ცირაზე ფიქრობდა. ლილიასავით გახდილი არასოდეს არ ენახა იგი. უნდოდა ლილიასათვის შეედარებინა. მაგრამ რამდენი არ ეცადა, ვერაფრით ვერ წარმოიდგინა ასე გაშიშვლებული. გრძელი, მაგრად შემოტმასნული კაბა ვერაფრით ვერ გახადა. გივის უნდოდა, რომ ცირას ლილიაზე გრძელი და ლამაზი ფეხები ჰქონოდა, რატომღაც ძალიან უნდოდა და სთხოვდა გოგოს, გაეხადა კაბა და გამოეჩინა ჩამოქანდაკებული ფეხები. მაგრამ ცირა მორცხვობდა, მერე რომ არ მოეშვა ბიჭი, ატირდა, პატარა ბავშვივით ტიროდა. შავი, მორკალული წარბები შეეჭმუხნა და წამწამებიდან დიდი, მრგვალი ცრემლები ჩამოსწყდა. ცირას ისეთი ლამაზი წარბები ჰქონდა, ტურისტებს შურდათ მისი და ამბობდნენ:

— ეს შეღებილია, ნამდვილად შეღებილია...

— რა არის შეღებილი? — ბრაზობდა გივი.

— რა და ცირას წარბ-წამწამები...

— ვინ მოგახსენათ.

ცირა საქონლის ფერმაში მუშაობდა მწველავად. წელს დაემთავრებინა საშუალო და უმაღლესში შესასვლელად სტაჟს აგროვებდა. ფერმა ლატფარის გადასასვლელთან იყო და გივი თავისი ჯგუფით ყოველ გზობაზე შეუხვევდა ხოლმე მწველავ გოგოებთან. ადრე გაზაფხულზე, პირველი ჯგუფი რომ წაიყვანა, ფერმის მუშაკები არ იცნობდნენ მას და ვეღარ გაარჩიეს სხვებისაგან. ქალებმა იფიქრეს, ვერავინ გაიგებს ჩვენს ლაპარაკსო და უხვად გადმოაფრქვიეს მთაში მარტოობაში დაგროვებული ვნებათღელვა. მათ პირველ რიგში ბიჭები გაინაწილეს:

— ეს, ბანჯგვლიანი მკერდი რომ მოუჩანს, მე, — თქვა ყველაზე ჩასუქებულმა გოგომ, — მკლავებზე შეხედეთ. დათვივით მკლავები აქვს. — მან მალულად შეათვალიერა დათვისმკლავებიანი და თითქოს თბილი წყლის აბაზანას იღებდა, ისე მილულა თვალები.

იმ ბიჭს ვიქტორი ერქვა, დონბასის შახტებში მუშაობდა, მ შახტისათვის დამახასიათებელი ხმამაღალი ლაპარაკი იცოდა და ჯგუფში ყველაზე მეტს ჭამდა.

— ის შენი იყოს. მე კი ამას არავის დავუთმობ, — თქვა მეორემ. ქერათმიანმა გოგომ, ნაწნავები კოჭებამდე რომ სწვდებოდა, და ამხანაგებს ქალაქ იქევსკის მოტოციკლეტების ქარხნის მოწინავე მექანიკოსზე მიუთითა, — ამას შენსაზე კუნთიანი ფეხები აქვს, — უთხრა მსუქანს.

ერთი, შარვალში გამოწყობილი გოგო გივის მიშტერებოდა და მექანიკოსი რომ მოეწონა, იმას მხარი გაჰკრა:

— იმ ბიჭზე რას იტყვი? წარმოგვიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინე ორივე ერთ საწოლში, კოცნით დავახრჩობდი...

ამხანაგმა არაფერი უპასუხა.

— შენ რას იტყვი, ბაბუცა? — ჰკითხა ახლა მეშახტეზე შეყვარებულს შარვლიანმა.

მაგრამ ბაბუცა თავის საფიქრალზე ფიქრობდა და ამისი თავი არა ჰქონდა.

გივი ოთახის კუთხეში მიყუჟულ გოგოს აკვირდებოდა. იგი, ეტყობოდა, ყველაზე პატარა და ახალგაზრდა იყო. არაფერს ამბობდა. წიგნი გადაეშალა და კითხულობდა. მერე და მერე კითხვას თავი ანება. გოგოებმა ასეთი ლაპარაკი რომ დაიწყეს, გაწითლდა. გივიმ შენიშნა, როგორ გაწითლდა. ბოლოს კი ვეღარ მოითმინა და ამხანაგებს მიმართა:

— რა მოგვიდათ, სირცხვილია...

მათ თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, თავები მიატრიალეს იმ გოგოსაკენ და ერთხმად მიახალეს:

— შენ რა, შენ ვითომ უარს იტყოდი?

* * *

გზაზე ცხენის თქარათქური გაისმა.

გივი ფიქრებიდან გამოერკვა. ბილიკისაკენ გაიხედა. ვიღაც ბიჭს ნასტია შემოესვა და მიაქროლებდა. ნასტიას მკლავები შემოეხვია იმ ბიჭისათვის და შეშინებული ზურგზე მიკვროდა.

გივიმ წამოიწია და კარგად დააკვირდა ცხენოსანს. იგი უკანიდან ბაჯუს ჰგავდა. ბაჯუ კარგი ბიჭი იყო და ენდობოდა. ბაჯუმ იცოდა, როგორ დაეჭირა თავი ჩამოსულებთან. გივი დამშვიდდა და ისევ წამოწვა.

— რა იყო? — ჰკითხა ლილიამ.

— შენ არ გძინავს?

— ალბათ დაგიბუჟე მკლავი.

— არა, სულაც არა.

— იცი? დაითუთქა ეს ფოთოლი.

გივიმ თავისუფალი ხელით თავსზემოთ, თითქოს საგანგებოდ გამოწვდილ მურყანის ტოტს ფოთოლი მოსწყვიტა, გოგოს ძველი, დათუთქული ააცალა ცხვირიდან და ახალი დაადო.

— გმადლობთ...

ბიჭმა მკერდზე ჩააყოლა უნებურად მზერა გოგოს და რაღაც ერუანტელმა დაუარა. ძლივს მოსწყვიტა თვალი.

— არაფრის... — დააგვიანა პასუხი გივიმ.

უცბად მოუნდა ხელი გადაეხვია გოგოსათვის და მეავეწყალივით დასწაფებოდა მის წითელ ტუჩებს, მაგრამ თავი შეიკავა. მერე უთხრა:

— არ წავიდეთ?

— რა გეჩქარება, — დამარცვლით უპასუხა ლილიამ.

— კარვებს მიხედვა უნდა...

— ვიყოთ რა, ასე...

გზაზე ცხენმა დაიჭიხვინა. გივიმ მიიხედა, ის თეთრი ლაფშა იყო, წეღან ნასტია და ბაჯუ რომ ისხდნენ. უკან მოუყვებოდა გზას. მხედარი და ნასტია კი არ ჩანდნენ.

გივის ცირაზე უნდოდა ეფიქრა, მაგრამ არ გამოუვიდა.

მზე კი წვავდა ყველაფერს.

დიდხანს იწვნენ ასე.

მერე:

— კიდევ გამოცვალე, რა? სთხოვა ლილიამ.

გამოუცვალა.

— გმადლობთ...

— არაფრის... — კვლავ დაუგვიანა ბიჭმა პასუხი.

* * *

საღამოს, კარვებთან სოფლელებმა მოიყარეს თავი. ისინი მოგიზგიზე კოცონს შემოუსხდნენ და კარვებში წამოწოლილ გოგონებს უთვალთვალებდნენ. გოგონები გრძნობდნენ მათ გამომწვევ მზერას და განგებ ეპრანჭებოდნენ.

ბიჭებს კოხტად ეცვათ. ზოგიერთს ჰალსტუხიც კი ეკეთა. მთელი დღე მუშაობისაგან დაღლილ-დაქანცულებს გართობა და მხიარული საუბარი მონატრებოდათ. დაგეშილებივით ეძებდნენ

საკბილოს: ეს პატარა ბანაკიც გარკვეული კანონზომიერებით ცხოვრობდა. აქ ყოველ საღამოს მოდიოდნენ სოფლელი ბიჭები. მოსვლა მათი საქმე იყო. დამხვდურებს კი ანგარიში უნდა გაეწიათ მათთვის. ისინი დაიღალნენ ტყეებსა და მინდვრებში და ქალებთან ალერსი მოენატრათ. მათ სოფელში ყველა ერთმანეთის ნათესავია. უცხოსთან კი უფრო საინტერესოა ყოველთვის საუბარი. მითუმეტეს ახალგაზრდა ბიჭებისათვის.

კარგად რომ არ იცოდნენ რუსული, საუბარს ჩვეულებრივ ასე იწყებდნენ:

— ნრავიტსია უ ვას ზიდეს?

ამას კი მოსდევდა მეორე შეკითხვა:

— ოტკუდა ვი?

ან:

— კაკ ვას ზავუტსია?

ზოგიერთი ამ შესავლის მერე, პირდაპირ გადადიოდა შეტევაზე:

— ხოროშ ვეჩერ, ა? ნე ხოტიტე პაგულიატსია? — და გულისფანცქალით ელოდა პასუხს.

მათი მამა-პაპები კი ახალგაზრდობისას საზანოში მიდიოდნენ საშოვარზე, თვეობით რჩებოდნენ უცხო მხარეში, ანდა, თუ სახლში იყვნენ, მაგიდებს უსხდნენ, გრძელი ყანწებით ხელში ლოცავდნენ და ადიდებდნენ ჯგურაგსა და მაცხოვარს, იხსენებდნენ წინაპართა საგმირო საქმეებს, მღეროდნენ ცნობილ მოჭიდავეებსა და ცხენოსნებზე, ან შორეულ სოფლებში მიდიოდნენ გოგოს მოსატაცებლად, წელზე ხანჯლები ერტყათ და მზად იყვნენ...

მათ შვილებს და შვილიშვილებს კი წარმოდგენა არ ჰქონდათ იმ ძველ საქმეებზე და შორი მხრიდან მოსულ გოგოებს თვალს უპაჭუნებდნენ. ზოგიერთ მშობელს კარგად შეეგნო, რომ ის ძველი დრო წავიდა, არასოდეს დაბრუნდებოდა და თავის შვილს ეუბნებოდა კიდეც:

— ხალხში გაერიე, ნახე, რას ლაპარაკობენ, რა აინტერესებთ, იქნებ ერთი უცხო სიტყვა ისწავლო...

და სწავლობდნენ ახლადგარეცხილ პერანგებსა და საგანგებოდ დაუთოებულ შარვლებში გამოწკეპილი შვილები რუსულ ლაპარაკს:

— უ რეკი, ზნაეშ, კაკოი სვეჟიი ვოზდუხ ბივაეტსია?!

გოგოები კი ყურადღებითა და ინტერესით უსმენდნენ გამხდარ და ენერგიულ ნაკვთებიან ბიჭებს, ნაადრევად დავაჟკაცებულთა და ხმადაბოხებულთ, და მათ დამტვრეულ რუსულზე არც ეცინებოდათ და არაფერი.

ზოგიერთი მართლაც ღებულობდა ბიჭების მიწვევას, მიჰყვებოდნენ მდინარეზე და საათობით ყლაპავდნენ მყინვარებიდან ჩამოდენილ სუფთა ჰაერს. ის კი არა, გასაგრილებლად გასულებს ავიწყდებოდათ ბანაკის შინაგანაწესი, ყველაფერი ავიწყდებოდათ და ეშმაკმა უწყის, რა ახსოვდათ იმ წუთში. აგვიანებდნენ.

გივი ამ დროს ყოველთვის ღელავდა. ერთხელ ღამით მდინარის ნაპირიდან კივილი მოისმა. ეს მეორე გზობისას იყო. გივი იქეთ გავარდა. სოფლელ ბიჭს გოგო მოეგდო და რაღაცას ებურღღუნებოდა, არ უშვებდა. გივი მივარდა და გააშვებინა. მაგრამ ბიჭი უკან გამოუდგა და დაემუქრა — მოიცა, როგორ განანო.

იმ ბიჭს სავასტი ერქვა. ადგილობრივ ბიჭებში თავი მოჰქონდა და საშინლად განაწყენდა გივიზე — ეს რა გამიბედაო.

მას მერე რამდენი ხანი გავიდა. ისეთი არაფერი მომხდარა. ბიჭები დაუმეგობრდნენ გივის და ხათრი ჰქონდათ, თავს იკავებდნენ ხოლმე.

გივი თავის კარავთან ჩამოჯდა. უკვე საკმაოდ ბნელოდა და გოგოებმა ცეცხლთან იწყეს გამოსვლა. ბიჭები ზრდილობიანად უთმობდნენ ადგილებს და უკან დგებოდნენ. მერე სხვადასხვა ხერხების გამოყენებით ცდილობდნენ მათი გულის მოგებას. ზოგი მღეროდა, ზოგსაც ქართული წიგნები წამოეღო სახლიდან და კითხვას ასწავლიდა. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო

ადრე ჩაიწყობდა საქმეს, რომ მეორე დღეს ეტრაბახა და თავი მოეწონებინა ამხანაგებისათვის.

ისინი, როგორც მარგალიტის მაძიებლები ზღვაში, ისეთი გულისფანცქალით მოდიოდნენ ამ კარვებთან და ყოველი მათგანი ცდილობდა ეპოვა ის რაღაცა, ექაქანა, ეცინა და მხიარულად გაეტარებინა დრო. მაშინ მეორე დღესაც ხალისიანად იმუშავებდა, ხოლო საღამოსათვის ისევ დააუთოვებინებდა შარვალს და კვლავ მოაშურებდა კარვებს. ახლა ახალ ჯგუფში ცდიდა ბედს.

ჯგუფის მამასახლისი და მისი ცოლი ერთად დასხდნენ. ბიჭებს გაეგოთ მათი ცოლქმრობის შესახებ და ახლოს არ ეკარებოდნენ.

გივიმ ლილიას კარავთან სავასტი შენიშნა.

ზღურბლთან წამოწოლილიყო და შიგნით ესაუბრებოდა ვიღაცას. სავასტის თეთრი პერანგი ეცვა და სახელოები მხრებამდე აეკაპიწებინა. სხვები ისევ კოცონს შემოსხდომოდნენ. მხოლოდ სავასტი იჯდა განმარტოებით.

ბორიამ რაღაც ყვირილი ასტეხა, თითქოს მოუარაო, ისე უცბად ასტეხა. იგი ნასტიას სახელს იმეორებდა. ცოლი კი ძველებურად ამშვიდებდა და უმტკიცებდა რაღაცას.

— გივი! — მოისმა კარვიდან ლილიას ხმა.

სავასტის შიგნით შეერგო კარავში თავი.

გივი ფეხზე წამოდგა და იქით წავიდა.

— გივი, მოდი ერთი აქ, — ისევ დაუძახა ლილიამ.

— რა იყო? — იკითხა გივიმ.

სავასტი უკან გამოცოცდა კარვიდან და გივის აჰხედა:

— რა იქნებოდა, ჩვენთვის ვლაპარაკობთ.

— არ მიშვებს, — თქვა ლილიამ.

— გამოუშვი, — უთხრა გივიმ სავასტის.

სავასტიმ რაღაც ბოროტად ჩაიქირქილა და ნელ-ნელა წამოდგა.

— გამოდი, ლილია, — თქვა გივიმ.

ლილია გამოვიდა და ეცინა. ... გაიქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ სულ გაგივიდა თავს, ხომ იცი, — უთხრა გივის სავასტიმ.

— ეს, მე გამივიდა, თუ შენ.

— ამაზე ვილაპარაკოთ, თუ გინდა...

— ვილაპარაკოთ.

— ვის გაუვა, იმასაც ვნახავთ.

— ვნახოთ.

სავასტი წინ წავიდა. გივი უკან გაჰყვა.

სკოლის შენობის კუთხეში გაჩერდნენ. საკმაოდ ბნელოდა. გივი კარგად ხედავდა თეთრ პერანგში გამოწყობილ სავასტის. იგი მოკუნტული იდგა, მომზადებულიყო. გივიც მოემზადა. ერთხანს იდგნენ ასე მამლაყინწებივით ერთმანეთის პირისპირ და ხმას არ იღებდნენ. მერე სავასტიმ რაღაცნაირად დაიღმუილა და გამოუქანა. პირველი დარტყმა არც ერთს არ გამოუვიდათ, ბნელოდა და ალბათ იმისი ბრალი იყო. მერე ერთი მაგრად მოხვდა გივის ნიკაპში, თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა და მიწაზე დავარდა. ამ დროს ბიჭებიც მოცვივდნენ. ააყენეს.

— რა იყო, რა მოგივიდათ, — იკითხეს ბიჭებმა.

— არაფერი, — თქვა გივიმ და კარვისაკენ წავიდა.

— გოგოს ჩემთან უნდოდა, ეს კი მოვიდა და დაიწყო,—მოესმა გივის სავასტის ხმა. ტანში ცივად დაუარა და უკან შეტრიალდა.

— როგორ იყო?— მიახალა სავასტის.

— გოგოს ჩემთან უნდოდა...

— ჰო? — გივიმ უცბად გამოუქანა და სახეში სთხლიშა.

სავასტიმ კვლავ დაიღმუილა და გაშმაგებული მივარდა. გივიმ აიცდინა მისი ხელი და ახლა მუცელში მოუნაცვლა მარჯვენა. სავასტი მკვდარივით დავარდა მიწაზე.

— ეს ტყუილისათვის...

ბიჭები მონუსხულებივით იდგნენ

და არ იძვროდნენ. შესცქეროდნენ მიწაზე გაშოტილ ამხანაგს. მერე თითქოს რაღაცა გაახსენდათო, მივიდნენ და ააყენეს. სავასტი კვნესოდა.

გივიმ თავის კარავს მიაშურა. გულაღმა წამოწვა ბნელში და სულაც არ ნაღვლობდა მომხდარზე. ოდესმე აუცილებლად უნდა მოესინჯათ ერთმანეთი, სავასტი არ გაჩერდებოდა ისე. მთებში, ჭიუხებსა და მყინვარებთან გაზრდილი კაცი თავისუფლებას იყო შეჩვეული და ვერ იტანდა, როცა ხელს უშლიდნენ. გივიმ კი ხელი შეუშალა. და აი, ამაღამ გავარდა მეხი, დაგუბებული ბოლმის ღრუბლები დაიშალა და მოქუფრულ ცას სილურჯე შეეპარა.

გივიმ სასთუმალთან დარჭობილი პარაფინის სანთელი აანთო. წიგნი გადაშალა და კითხვას შეუდგა. გარედან ტურისტების ლაპარაკი მოისმოდა. მერე სახუმარო სიმღერა წამოიწყეს:

„ა კოგდაქ უმრიოშ ტი,
მილიი მოი დედოჩეკ,
ა, კოგდაქ უმრიოშ ტი,
სიზიი გოლუბოჩეკ...“

მალე „მთამსვლელთა აღსარებაც“ მიაყოლეს. ეს სიმღერა საკმაოდ ვულგარული იყო, მაგრამ მთაში ეს არაფერს ნიშნავდა. პირიქით, მოდაშიც კი იყო. მთელი ხმით გაჰყვიროდნენ, როგორც ამ დილით, მანქანის ძარაზე, ისე. ბოლომდე ჩაათავეს და გაჩუმდნენ.

გივისთან მორიგე გოგო მოვიდა, ვახშამზე მიიპატიჟა, გივიმ უგუნებობა მოიმიზეზა და უარი უთხრა.

— ისევ გამომაბრუნებენ, — თქვა იმ გოგომ.

— ნასტია არ მოსულა? — ჰკითხა გივიმ.

— არ მოსულა, — თქვა გოგომ — ბორის იაკოვლევიჩი ღელავს...

— დამშვიდდეს, როგორმე...

— აქ კარგი ხალხია?

— ჩვეულებრივი.

მორიგე წავიდა. გივის არ ეშინოდა. ნასტია არ იყო ისეთი გოგო, ვინმესთვის უკმაყოფილების საბაბი მიეცა. მითუმეტეს, ბაჯუს ენდობოდა გივი.

მერე ლილია მოვიდა.

— ბატონივით გაშხლართულა, შენ რა, ჭამა არ გინდა?

— რომ მინდოდეს, გამოვიდოდი.

— გუნებაზე არა ხარ, რა იყო?

— არაფერი.

— როგორც გინდა, — გაებუტა ლილია და გარეთ გავიდა.

გივის გული დაწყდა რატომღაც. ლილია რომ გავიდა, რაღაც სიცარიელე იგრძნო. მერე დღევანდელი სურათი წარმოიდგინა: ლილია, ასეთი მომხიბლავი, წევს მის გვერდით და პატარა, ლამაზი თავი მის მკლავზე უდევს, თვალები კი მიუნაბავს. გივიმ თავქვეშ ამოიდო ხელები, თვალები კარვის ჭერს მიაშტერა. კარვის ბრეზენტზე ჩრდილები ხტოდნენ. ეს, სანთლის ალი ირხეოდა ჰაერის ტალღებისაგან. ბორისის ყვირილმა ფიქრებიდან გამოარკვია, მამასახლისი ნასტიას ემუქრებოდა.

„ალბათ დაბრუნდა“ — გაიფიქრა გივიმ.

მერე მამასახლისის ხმაც მიწყდა და მალე მდუმარებამ მოიცვა ყველაფერი.

გივის საშინლად მოუნდა ლილიას ნახვა. შეეშინდა, რომ აღარ დაეძინებოდა, თუ გოგოს არ ნახავდა. რამდენჯერმე გადაწყვიტა, წამომდგარიყო და მისულიყო, მაგრამ არ მივიდა.

„ალბათ კუთხეში წევს და სუნთქვა ეკვრება უხერხულობისაგან. იმ ცოლქმარს კი მშვიდად სძინავთ, სიზმრებს ხედავენ“. — ფიქრობდა გივი. მოუსვენრობამ შეიპყრო. თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა, სული ეხუთებოდა. დაცხა. ველარ გაძლო კარავში და გარეთ გავიდა. ლილიას დაძახებას აზრი არ ჰქონდა. გივის ბორისის გაჭარხლებული სახე წარმოუდგა თვალწინ. მდინარეზე დაეშვა და ლოდზე ჩამოჯდა.

სასიამოვნო სიო ქროდა, ცივი, მყინვარებიდან წამოსული სიო. მდინარე ჩქარი იყო, კალაპოტი კი ლოდებით ამოხერგილი. წყალი ისეთი გაშმაგებით

მიბღაოდა სადღაც, თითქოს ბედით უკმაყოფილოს თავის დახრჩობა გადაეწყვიტა. და მიიჩქაროდა, სულმოუთქმელად მიიჩქაროდა. აესრულებინა ულმობელი განაჩენი.

ბიჭი წამოდგა. ზევით აუყვა მდინარეს. ხიდზე გადავიდა და მეავეწყლისაკენ გაუხვია. გივი ღარიდან მოწანწკარე ჭავლთან გაჩნდა, ხელისგული შეუშვირა და მოსვა. მერე სახეზე გადაივლო. ტყეში შევიდა, დღეს იგი და ლილია რომ იწვნენ, იმ ადგილას ჩამოჯდა. მალე ლატფარის გადასასვლელიდან მთვარე ამოიწვერა და გაანათა მიდამო. მთვარეს ხის ტოტები ეფარებოდა, თითქოს ხის ტოტები რკინის ცხაური იყო, მთვარე კი ვიღაცამ დაამწყვდია და ახლაღა გაათავისუფლეს. გივი დამშვიდდა და ცირაზე ფიქრობდა:

* * *

— მოიცა, დაგიმკვრივდეს მკერდი და მაშინ თუ ილაპარაკებ ასე... — თქვა ბაბუცამ.

— ჯერ ცომი აკლია.. აფუვდეს ერთი... — დაემოწმა ამხანაგებს მექანიკოსზე შეყვარებული.

გოგომ ლამის ტირილი დაიწყო, გაწითლდა, გაწითლდა, მერე კარში გავარდა და აღარც შემოსულა.

გივი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. მას ხომ ყველაფერი ესმოდა, რასაც ლაპარაკობდნენ. დროზე რომ გაეცნო თავი, ის გოგოც გადარჩებოდა უსიამოვნებას და ეს ქალებიც არ გააშიშვლებდნენ ასე თავიანთ გრძნობებს, არადა ხვალ ხომ უნდა ამობრუნდეს ამ გზით, ისინი გაიგებენ, ვინც არის და მაშინ როგორღა შერიგდებიან?

გოგოებმა მაწონი გამოუტანეს. მაწონი მისწრება იყო ამ სიცხეში. მაღლა, მთაში წყალს მარილები აკლდა და ბერავდა კაცს. მაწონი კი, პირიქით, სასიამოვნოდ აგრილებდა სხეულს და ენერგიასაც მატებდა. მამასახლისმა მადლობა გადაუხადა მწველავებს გულღია მასპინძლობისათვის. ჯგუფი აიშალა. გივი იმ ახალბედა გოგოს ეძებდა. იგი ქვევით, წყაროსთან ჩაცუცქულიყო, ხელები მუხლზე შემოეჭდო და შორს, ცის დასალიერს გასცქეროდა. გვერდით რომ ჩაუარეს, გივიმ შენიშნა: წყლიანი თვალები ჰქონდა, გაბუტული ტუჩები კი უთრთოდა. ველარ მოითმინა ბიჭმა და ახლოს მივიდა:

— იმღა ხიგვნი[1]? — ჰკითხა სვანურად გოგოს.

გოგო არ მოელოდა ამას და გველნაკბენივით წამოხტა ადგილიდან. დამფრთხალი და დაფეთებული თვალებით მიაშტერდა გივის. მას საოცრად შავი და ლამაზი წარბები ჰქონდა. გივი ღიმილითა და სიხარულით მისჩერებოდა და აღარ უნდოდა წასულიყო.

მაგრამ გოგომ უკან-უკან დაიხია და გაიქცა.

— რისი გეშინია, — მიაძახა გივიმ.

მოშორებით გაჩერდა და კვლავ წინანდებურად უნდოდ და უცნაურად შეაქცერდა. ბოლოს ქოხში აირბინა და შიგნით შევარდა.

გივი თავის ჯგუფს დაეწია.

— ნამდვილად შეღებილია, ნახშირი ექნება წასმული. — ამბობდა ერთერთი ტურისტი გოგო.

ლაპარაკი ახალბედას წარბებს შეეხებოდა. გოგოების უმრავლესობა ამტკიცებდა— ნამდვილად შეღებილიაო. მათ სხვანაირად ვერც წარმოედგინათ ალბათ ასეთი ლამაზი წარბები. თვითონ ყველანი მოთხუპნილიყვნენ საცხებითა და საღებავებით.

— აქ არ ხმარობენ საღებავებს, — თქვა გივიმ. მას სწყინდა, ცილს რომ სწამებდნენ იმ გოგოს. მაგრამ ტურისტები მაინც თავისას გაიძახოდნენ და გივი გაჩუმდა. რა აზრი ჰქონდა ტყუილა მტკიცებას, მაინც ვერ დააჯერებდა.

ტბასთან სურათების გადასაღებად შეჩერდნენ. გივიმ ერთხელ კიდევ მიიხედა ფერმისკენ: მწველავები ეზოში გამოფენილიყვნენ და ქვევითკენ იხედებოდნენ.

---

[1] რატომ ტირი (სვ.)

მეორე დღეს, უკან რომ ბრუნდებოდა, კაციშვილი არ დაუნახავს. ქოხი თითქოს ცარიელი იყო, ხოლო ბინადარნი დიდი ხანია გადაბარგდნენ სადღაც, ჩამიჩუმი არ ისმოდა.

* * *

საიდანღაც კივილი მოისმა.

ტურის ხმას ჰგავდა. გივის ცივად დაუარა კივილმა ტანში და ფიქრებიდან გამოარკვია.

მთვარე ხეებს ასცდენოდა და აღარ ჰგავდა ახლად განთავისუფლებულ პატიმარს.

კარგა დრო გასულიყო. ფეხზე წამოდგა და ბანაკისაკენ გაუყვა. ხიდს გასცდა და სკოლის შენობისაკენ წავიდა. ერთხელ ისევ გაიხედა მამასახლისის კარვისაკენ და დასაძინებლად წალასლასდა.

კარავში ბნელოდა. რაღაც ადამიანის სუნთქვასავით შემოესმა. იწვა ვიღაცა. შეკრთა — კარავი ხომ არ შემეშალაო, მერე იფიქრა, ალბათ წინა ჯგუფის გამყოლი თუ დაბრუნდაო. ხმადაბლა იკითხა:

— ვინ არის?

— როგორ შემეშინდა... ხმა ჩამიწყდა შიშისაგან, — მოესმა გივის გოგოს ხმა.

— შენ, ლილია?!

— ჰო, იმათგან წამოვედი.

— რა იყო?

— არ ვიცი, ვერ გავძელი...

— ხომ არ გეჭამდნენ.

— ნასტიაზე გაბრაზებული, ცოლს ეჩხუბებოდა...

— ვინ აირჩია მამასახლისად?

— რატომ, ზედგამოჭრილი მამასახლისია.

— ღამე რომ არ დაგაძინა ეს კარგია?

— სულ ჩვენი გულისათვის იშლის ნერვებს.

— მერე ვინ უჯერებს, თვითონ ვერ ხვდება?!

— ისე, ცოლ-ქმარისათვის ცალკე კარვები უნდა დაგედგათ. ხომ მართალია?

ლილია საძილე ტომარაში ჩამძვრალიყო, თავიღა მოუჩანდა. გივიმ სანთელი აანთო.

— როგორ დაგიყრია ბარგი, — უთხრა გოგოს.

— არ მქონდა იმისი თავი.

— გკითხა, სად მიდიოდი?

— გივისთან-მეთქი, ვუთხარი.

— მართლა ასე უთხარი?

— ხო.

— მერე?

— არაფერი უთქვამს.

— სხვა დროს გაგიხსენებს, მე რომ აღარ ვიქნები თქვენთან.

— რაც უნდა ის გააკეთოს, სულ არ მეშინია.

გივიმ ტანზე გაიხადა.

— შენ სად იყავი?

— მჟავეწყალზე.

— შიშით არ ჩამეძინა.

— მოლზე ვიწექი, მთვარის ამოსვლას ვუყურებდი და ვფიქრობდი.

— რაზე ფიქრობდი?

— რა ვიცი, ყველაფერზე, რაც გამახსენდა.

ლილიამ სასთუმალთან დადებული წიგნი აიღო და გადაშალა. ყდაზე წარწერას მოჰკრა თვალი — „გივი, ოტ ტატიანი“.

— ამ გოგოზეც ფიქრობდი?

— ამაზეც...

— მე გაგახსენდები ოდესმე? — ჰკითხა ლილიამ.

— არ ვიცი.

ლილიამ წიგნი დახურა და სასთუმალთან დაუდო:

— აბა ტატიანაზე ფიქრი თუ გეყოფა, იფიქრე, რამდენიც გნებავს.

ბიჭი ტომარაში ჩაძვრა.

გოგომ თავისი ზურგჩანთა მოძებნა და რაღაც ქაღალდები ამოიღო. მერე გვერდითა ჯიბიდან ფანქარი ამოაცოცა და რაღაცა დააწერა:

— მამაჩემის ნახმარი რუკაა, თქვენი

მთებია...—თქვა მან და გივის გაუწოდა.

— გმადლობ...

— ახლაც არ გამიხსენებ? — გაიღიმა ლილიამ.

რუკა დაკეცილი იყო. ბიჭმა გადაშალა. რუკიდან ფურცელი გადმოვარდა. ლილიამ ხელში აიღო და წაიკითხა:

„როგორ მოვეპყრათ კაპრონის წინდებს. — მერე გააგრძელა — წინდა ჩაცმის დროს უნდა აკრიფოთ ხელში, ფრთხილად წამოიცვათ წინდის წვერი, თანდათან ამოსწიოთ ქუსლამდე, შემდეგ კი მუხლამდე. შეამოწმეთ ნაკერის მდგომარეობა ფეხზე, შემდეგ ასწიეთ ბოლომდე და დაამაგრეთ რეზინის სამაგრებით...“

გივიმ წარმოიდგინა, როგორ ჩაიცვამდა ლილია კაპრონის წინდებს. როგორ აიწევდა ქუსლამდე, შემდეგ კი მუხლამდე, მერე კიდევ უფრო ზევით. ზევით და რეზინის სამაგრებით დაამაგრებდა. ბაცი ფერის წინდები კიდევ უფრო დაამშვენებდა ლილიას ისედაც ლამაზ ფეხებს. რაღაც ერეოლამ დაუარა ტანში, რაღაც გულდამწველმა სითბომ.

— საგანგებოდ წამოვიღე, მთებში ქალაქს გამახსენებს-მეთქი, — თქვა ლილიამ.

გივიმ დღევანდელი, იქ, მოლზე წამოწოლილი ლილია წარმოიდგინა. მთელ ტანზე გახადა და ხარბად აათვალიერა გოგოს ბრინჯაოსფერი სხეული. მერე რაღაცის თქმა გადაწყვიტა, იგი ეძებდა კიდეც საჭირო სიტყვას, მაგრამ სულ სხვა კი გამოუვიდა:

— მამაშენი ასულა ამ მთებზე? — თითი გაავლო რუკაზე გივიმ.

— იგი ყოველ ზაფხულს მოდიოდა სამხრეთისაკენ... მე და დედაჩემი კი ამ რუკებს დავცქეროდით და იმ მწვერვალებს ვითვლიდით, მათ რომ უნდა დაელაშქრათ. ერთ წელს კი... დააგვიანდა ჩამოსვლა. მერე კუბო მოგვაყენეს კარზე. უშბაზე მოწყდა. მთელი ჯგუფი მოწყდა. მიშლიაევი ხომ გაგიგონია, თექვსმეტი ოქროს მედალოსანი, დამსახურებული ოსტატი, იმის ჯგუფში იყო და ყველანი დაიღუპნენ...

ბიბლიოთეკა

გრძელი დუმილი ჩამოვარდა. მერე ისევ გოგომ გააგრძელა საუბარი.

— ჩვენ სახლში გამოჩენილი მთამსვლელის გაბრიელ ცალანის სურათი გვაქვს, მამაჩემს აჩუქა. გაბრიელი იმ წელს მოსკოვში ჩამოჰყვა მის კუბოს...

გივის ხშირად სმენოდა გაბრიელის სახელი, მეზობელი სოფლიდან იყო. ყველა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ლაპარაკობდა მასზე. სკოლაში ვაჟკაცობის მაგალითად მოჰყავდათ მასწავლებლებს.

— მე ბეჩოში ჩამოსვლისთანავე ვიკითხე გაბრიელი... მითხრეს, ზვავს მოჰყვაო... როგორც ჩანს, მასაც არ ასცდა მამაჩემის ხვედრი... ალბათ, ყველა ნამდვილი მთამსვლელი მთაში იღუპება, კლდეებთან პაექრობისას.

ეს, რამდენიმე წლის წინ მოხდა:

მესტიის გადასასვლელზე, შემოდგომის მიწურულზე მოლდაველი მთამსვლელები ჩაიკეტნენ. საჭირო იყო სასწრაფო მიშველება, მაგრამ ისე ჩამოთოვა, წასვლაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. გაბრიელმა კი არად ჩააგდო საფრთხე და პატარა ჯგუფით გადასასვლელისაკენ გაუყვა. ეს მისი უკანასკნელი მგზავრობა აღმოჩნდა. გაყინული და ღონემიხდილი ხალხი რომ გადმოჰყავდა, საკუთარი თავი დაავიწყდა და უფსკრულში ჩაიტანა ზვავმა. კარგად დაამახსოვრდა გივის, მთელი სოფელი ერთნაირად ღრიალებდა. მას მერე ისეთი ტირილი არ ყოფილა, საერთოდ...

მერე კვლავ ლილიაზე და მამამისზე ფიქრობდა. შეეცოდა გოგო — „როგორ იმოქმედა მამის გახსენებამ“.

— სახეზე რა მოგივიდა, წელან რომ არ გქონდა?!

— რა თქვი? — გამოერკვა გივი.

ლილიამ ხელი გადაუსვა ჭრილობაზე:

— რა არის ეს?

— ჰო, დავეცი. — ყოყმანით გაეპასუხა გივი.

— სტყუი...

— არა, მართლა.

— მარცხენა ლოყაც ჩაგშავებია...

— ორჯერ დავეცი.

ლილიამ ისევ გადაუსვა ხელი.

— იჩხუბე?

გივიმ არაფერი უპასუხა.

„ჩვენ სახლში გაბრიელის სურათი გვაქვს... მამაჩემის კუბოს მოსკოვში ჩამოჰყვა“ — ფიქრობდა ბიჭი. მან მალულად გადახედა ლილიას. რაღაც სევდიანი და მოწყენილი თვალები ჰქონდა. ქვედა ტუჩი ძლივს შესამჩნევად უთრთოდა. ბიჭმა პარაფინის სანთელს შეუბერა. ალმა პარპალი დაიწყო, მერე ჩაქრა. კარავში სიბნელე და მდუმარება დამკვიდრდა. მერე ბიჭს ქვითინი შემოესმა. ეს ლილია ქვითინებდა. გივიმ არაფერი უთხრა, არ უცდია დამშვიდება. გვერდზე გადაბრუნდა. ახლა არც ჭერი ჩანდა და არაფერი. იქნებ არც ჰქონდა ამ კარავს არავითარი ჭერი. ღია ცის ქვეშ იწვნენ, როგორც დღეს, მკავეწყალზე. თავზე კი ბნელი, უსასრულო ცა დამხობოდათ. გივი ეძებდა ვარსკვლავებს, მთვარეს, მაგრამ არ ჩანდა. არც ღრუბლები ჩანდა ცაზე. ეს იყო უღრუბლო, უვარსკვლავო, უმთვარო და იდუმალებით მოცული ცა. მერე რაღაც სურათი გამოიკვეთა უკუნ სიბნელეში. უზარმაზარი, ახმახი კაცის სურათი. იმ კაცს სვანური ქუდი ეხურა და მხარზე მთამსვლელის თოკი მოეგდო. მარჯვენა ხელში წერაყინი ეკავა. კლდის ქიმზე გადმომდგარიყო და გივის შესცქეროდა თვალებში.

გოგო ისევ სლუკუნებდა. მერე გაჩუმდა.

გივი ზურგშექცევით იწვა. ათას ცხრაას სამოცდაერთი წელი გაახსენდა. იმ წელს იყო სწორედ, მამა რომ მოუკვდა. დასაფლავებისას ახლობელი თუ შორეული ნათესავები, ყველანი გაჰკიოდნენ, თვითონ კი ცრემლი არ ჩამოსწყდომია თვალებიდან. უნდოდა ეტირა, მაგრამ ვერაფერი ვერ ეძალა თავი. ყურისძირის მეზობელმა, ძია ატომ ჩასჩურჩულა კიდეც — სირცხვილია, ბიჭო, რა ფიცისმდებელივით დამდგარხარ, ხედავ, ყველა ტირის და გაჰკივისო...

გივი კი მართლა ფიცს დებდა იმ წუთში მამის წინაშე, სამუდამოდ დაკარგული მამის წინაშე ფიცს დებდა, რომ არ შეარცხვენდა ობლად დარჩენილი ოჯახის ღირსებას. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ არ ეტირებოდა. ატომ კი სწორად თქვა — რა ფიცისმდებელივით დამდგარხარო. იქნებ ის წუთები იყო ყველაზე მნიშვნელოვანი წუთები მის ცხოვრებაში, დასაფლავებისას განცდილი წუთები... მას მერე კი რამდენი ხანი გავიდა. ძალიან ხშირად, მარტოობისას გაახსენდებოდა მამა და ტირილი წასკდებოდა ხოლმე. იქნებ ასე დაემართა ლილიასაც და იმიტომ დასტირის მამას, თვეებისა და წლების უკან დაღუპულ მამას. გივიმ კინაღამ ჰკითხა გოგოს, მაგრამ გადაიფიქრა.

იგი კვლავ დიდხანს ხედავდა მთამსვლელის სურათს. მერე სადღაც გაქრა, გაუჩინარდა. გივის ჩასთვლიმა და ჩაეძინა. ცირა დაესიზმრა: დედიშობილა იწვა ფერმის სახურავზე, თეთრი სხეული მზისათვის მიეშვირა და თავი ვიღაც შავულვაშა ბიჭის მკლავზე დაედო. ის შავულვაშა ბიჭი შიშველ მკერდზე უსვამდა თავის უხეშ ხელებს, ვითომ ეალერსებოდა და ეღიმებოდა. გოგოს სიამოვნებდა ბიჭის ალერსი, დროდადრო ამოიოხრებდა...

დილით საშინელ ხასიათზე გამოიღვიძა. თავი უსკდებოდა. ლილიას მშვიდად ეძინა და არ გაუღვიძებია, ფრთხილად ადგა, გარეთ გავიდა. მორიგეებს ცეცხლი გაეჩაღებინათ, ჩაისთვის წყალს ადუღებდნენ. გივიმ კარვებს დაუარა, ხალხი აყარა. ის, წუხანდელი სიზმარი კი საშინლად აეკვიატა. უდროოდ გაახსენდებოდა და მაშინვე გუნება წაუხდებოდა ხოლმე...

მერე ელექტროსადგურის არხში იბანავა. აქედან კარგად მოჩანდა ის მყინვარები, საიდანაც მდინარე იღებდა სათავეს. უკვე შეჩვეული იყო ცივ წყალში ბანაობას. მგზავრობის წინ კარგი იყო ცივი აბაზანა. ამსუბუქებდა და აცოცხლებდა სხეულს, მითუმეტეს უძილო ღამის შემდეგ. ჯგუფს არ უნდა ეგრძნო, რომ მათი გამყოლი დაიღალა.

ტურისტები მოცვივდნენ და უყურებდნენ.

ისინი თბილად იყვნენ შეფუთული, მაგრამ მყინვარებსა და მათგან გამონაყონ წყალში მობანავე ადამიანს რომ ხედავდნენ, ტანში ჟრუანტელი უვლიდათ, სიცივისაგან აკანკალებდათ...

— არ გცივა? — ჩასძახა ლილიამ ზევიდან.

— ცოტა...

მალე ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. გივი ერთხელ კიდევ ჩავიდა არხში. მერე ბანაკს სამი წრე შემოარტყა, წაივარჯიშა და კოცონთან მივიდა. ბორიას შეეკრიბა ტურისტები და რაღაცას უკითხავდა:

— დატოვა მორიგეობა. ვიღაც უცნობ ბიჭთან ცხენით გაისეირნა. ღამის თორმეტ საათზე მოვიდა სახლში. მსგავს შემთხვევებს ადგილი ჰქონდა სხვა ბანაკებშიც. იგი ყოველთვის არცხვენდა ჩვენი ჯგუფის ღირსებას თავისი ქარაფშუტული საქციელით...

ნასტია მოშორებით იდგა და ტიროდა.

გივი მიხვდა, ნასტიაზე იყო ლაპარაკი.

— გივი, თქვენი ხელისმოწერაღა აკლია, — დაუძახა ბორიამ გივის.

— სად აგზავნით?

— სამუშაო ადგილზე, ტუშინოს ქიმიურ კომბინატში...

— ყველამ მოაწერა?

— ჰო; შენ და ლილია დარჩით.

— იცი, ბორის იაკოვლევიჩ, მე არ ვაწერ ასეთ ქაღალდებზე ხელს.

— რატომ? — გაიკვირვა ბორიამ.

— ისე, უბრალოდ.

— კი, მაგრამ, ხომ ასე იყო...

— მე ჯგუფი გადამყავს გადასასვლელზე, შევეცდები მშვიდობიანად გადავიყვანო...

— საინტერესოა... აბა რისი ხელმძღვანელი ხართ...

— გადასვლის ხელმძღვანელი, აი, ნახავ დღეს...

— კარგი...

— ბორის იაკოვლევიჩ, უნდა ვიჩქაროთ, თორემ მზე შუა გზაზე წამოგვეწევა...

ბორისი უკმაყოფილოდ გაშორდა.

გივიმ ტურისტებს მიმართა:

— ყველაფერი მზადაა?..

სახელდახელოდ წაისაუზმეს. ერთ მწკრივად მოეწყვნენ და გზას გაუდგნენ. გვარიანად დატვირთულები იყვნენ. წინ გივი მიდიოდა. უკან ლილია მიჰყვებოდა. გივიმ კარგად იცოდა, როგორ ევლო აღმართებსა და სწორ გზაზე, შესაფერისად უჩქარებდა ნაბიჯს. სიარულის დროს სუნთქვა არ უნდა დარღვეულიყო. პირველად თხუთმეტ წუთში შეისვენეს. მეორედ ნახევარი საათის შემდეგ გაჩერდნენ. სხეული თანდათან უნდა გახურებულიყო. ზოგიერთი მეგზური პირდაპირ შეუყენებდა ჯგუფს აღმართებს, ტურისტები ოფლად იღვრებოდნენ, სუნთქვას. კარგავდნენ და სათრევი ხდებოდნენ.

მალე გადასასვლელის ციცაბოები დაიწყო. გივი მოკლე ნაბიჯით მიდიოდა. ყოველგვარი ლაპარაკი და გადაძახება აკრძალა. გზა ზიგზაგებით მიიწევდა და თანდათან ბილიკში გადადიოდა. ბილიკი ზოგან ჩარეცხილი იყო. ამ დროს მეგზური ყველაზე საშიშ ადგილას დგებოდა და სათითაოდ გადაჰყავდა ტურისტები. ეს ძალიან რთული იყო და საკმაოდ ბევრ დროს თხოულობდა. გადასასვლელთან მიახლოებისას კიდევ უფრო ვიწროვდებოდა ბილიკი, ზოგან არც აჩნდა მიწას. აქ უკვე მთლიანად ირღვეოდა სუნთქვის პროცესი. გამყოლს კი სამმაგი მუშაობა უხდებოდა.

მითუმეტეს თუ ჯგუფში გოგოები სჭარბობდნენ.

ტყე რომ ამოლიეს, უფრო დაცხა. უფრო გაჭირდა სვლა. შეისვენეს. ეს მეათე შესვენება იყო. ლილიამ უთხრა გივის:

— ისე შევეჩვიე შენს ნაბიჯებს, მგონია, სამი ასეთი გადასასვლელი ვერ დამღლის.

გივიმ არაფერი უპასუხა. ბორიას გადასძახა:

— უკან როგორ არის საქმე? ხომ არავინ რჩება?

ბორისი ჩამკეტი იყო. ჯგუფის წევრებისათვის უნდა ედევნებინა თვალი. მას თავი ცოლის მუხლებზე დაედო, გულაღმა იწვა და რაღაცას ილოღნებოდა. გივის ძახილზე უნდილად წამოიწია და მოკლედ უპასუხა:

— კარგად... კარგად...

— რა დიდებული ხედია, — თქვა ლილიამ.

— ჰო,— დაემოწმა გივი.

ცენტრალური კავკასიონის მწვერვალები ვერცხლისფრად ლიცლიცებდნენ. ხოლო დაბლა, მყინვარებზე, მზე რომ ვერ მისწვდენოდა ჯერაც, მუქი ჩრდილები გაწოლილიყო. უკვე მერამდენედ ხედავდა გივი ამ სურათს, მაგრამ სინათლის განაწილების ცვალებადობა და მრავალფეროვანება სხვადასხვა ელფერს აძლევდა კლდეებს შორის სარტყელივით ჩამოშვებულ კულუარებს, გველებივით გაწოლილ მყინვარებსა და დღენიადაგ თოვლით შესუდრულ მწვერვალებს. ამიტომაც იყვნენ ყოველთვის ერთნაირად წარმტაცნი და მშვენიერნი ისინი. ამიტომ არ სწყინდებოდა მათი ცქერა. ხოლო გოლიათი მთების გულჩათხრობილი და იდუმალებით მოცული სიჩუმე, განუმეორებელი სიდიადე და სილამაზე საოცრად ამშვიდებდა მოქანცულ სხეულს. ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა გივის ყოველთვის, თითქოს კინოდარბაზში იჯდა და რომელიღაც მშვენიერ სურათს უყურებდა.

— თითქოს კინოსურათს ვუყურებ, კარგ კინოსურათს, — ეუბნება გივიმ ლილიას.

— მუნჯი მოქმედი გმირებით, არა? და ურეჟისოროდ...

— ბუნებამ თვითონვე იზრუნა, რომ მოგვწონებოდა. ლამაზი ქალივით, მთელი საათი რომ იპრანჭება სარკესთან, მერე კი გამოდის ქუჩაში და თვალს უყენებს ბიჭებს...

ლილიამ არაფერი თქვა.

ალბათ მოგონებებში თუ გადავარდა. მთებში სარკე და პრანჭიობა სულ სხვანაირად ჟღერდა. იგი ადამიანს ქალაქის ასფალტს, ან დაბადების დღეებს ახსენებდა. ყველაფერს, ახლობელსა და მშობლიურს ახსენებდა. თუ რაიმე ჰქონდა მოსაგონებელი, იგონებდა, იგონებდა, თითქოს რაღაც ოცი დღე კი არა, მთელი წელი იყო, რაც სახლიდან წამოვიდა და მთებში დაეხეტებოდა. ალბათ ამ წუთებში დაიბადა ეს ტურისტული სიმღერაც: „... ი, პოშლიუ ვსე გორი კ ჩორტუ, ბუდუ იეზდიტ ნა კურორტი“. და ეს მისამღერიც — „მამა, ია ხოჩუ დამოი“...

მალე შესვენებისათვის განკუთვნილი ათი წუთი ამოიწურა.

ჯგუფი ისევ ჩამწკრივდა. უხმოდ გაუყვნენ ვიწრო ბილიკს. წელში მოხრილნი, ერთიმეორეს შეჰყურებდნენ ფეხებში. ამ წუთში სხვა არაფერი არსებობდა მათთვის. — წინ მიმავალმა ამხანაგმა ხომ აქ დააბიჯა, ისიც ეცდება, რომ ზუსტად იმ ადგილას დააბიჯოს. არც მეტი, არც ნაკლები. არ ღირს რისკზე სიარული. ექსპერიმენტებს მოუკვდა თავი. სხვადასხვა ტურბაზებში უფროსმა ინსტრუქტორებმა ტყუილად კი არ გამოუტენეს თავები მთამსვლელთა ათასგვარი საბედისწერო ისტორიებით. ჰო და, იგიც სხვებივით, გაკვალული ბილიკით ივლის, მორჩა და გათავდა... ხომ შეიძლება მიწა ჩაინგრეს, თოვლი ჩატყდეს და შენც თან ჩაგიპატიჟოს...

თოვლი ღრმა ხევებშიღა იდო. ზოგან ტყდებოდა და მართლაც საშიში იყო.

გივი ცირაზე ფიქრობდა:

— ეჰეი! — დაიძახა გივიმ.

არავინ გაპასუხებია.

„რა მოუვიდათ?“ — ვერაფერი გაეგო გივის.

მეორე გზობაზე ჯგუფის მამასახლისმა ფეხი გაიჭრა. დოლბანდის წამოღება დავიწყნოდათ და ვერაფრით ვერ შეუჩერეს სისხლი. ფერმაში შეუხვიეს, იქნებ მწველავები დახმარებოდნენ რამეში, მაგრამ კიდევ არავინ გამოჩენილან. როგორ არ უბრახუნეს კარებზე— უშედეგოდ. გივიმ უკანასკნელი ცხვირსახოცები შეაგროვა და ის იყო, უნდა შეეხვია, ვიღაცის ხელი შეეხო მხარზე. უკან მიიხედა. შავი, ლამაზი და შავი წარბები ეცა თვალში. მთელი ჯგუფი გატვრინულიყო რატომღაც. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გოგო კი მორცხვად იდგა და გაშვერილ ხელში სუფთა დოლბანდი და იოდის ბოთლი ეჭირა.

— ივასუ ხარი...[1] — უთხრა გივიმ და დოლბანდი გამოართვა.

მაგრად შეუხვია.

ტურისტები კვლავ მონუსხულივით შესცქეროდნენ იმ გოგოს. გივი კი, საქმეს რომ მორჩა, შეეკითხა:

— სხვები სად არიან?

— სამზარეულოში... მაწონს აყენებენ...

— ხო?!..

კარგა ხანს ისაუბრეს. გოგოს ცირა ერქვა. ჩოლურიდან იყო. ჯერ კიდევ ვერ შეჩვეოდა სხვებივით ფერმის ცხოვრებას.

მერე და მერე კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ცირა გამოდიოდა გარეთ და წყაროსთან ხვდებოდა გივის. ერთი დღეც არ გასულა ისე, რომ არ დახვედროდა. გივი, ისე შეეჩვია, ვიდრე ამოყოფდა თავს გადასასვლელზე, შიშობდა — ნეტავი არაფერი მომხდარიყო ისეთი, ნეტავი არაფერი მომხდარიყო. თვითონაც არ იცოდა, რა უნდა მომხდარიყო. „ენგური, უფიცხესი და უძლიერესი ხევის მდინარეთა შორის, ლეხზირისა და შხარის წმინდათა წმინდა მყინვარებში რომ იღებს სათავეს, ისიც კი მთავრდება სადღაც“.—ახსენდებოდა რატომღაც სვანური თქმა და ეშინოდა. მაგრამ ცირა ყოველთვის ადგილზე ხვდებოდა. იგი სასვენი ნიშანივით იდგა წყაროსთან და ელოდა...

— რა სირბილი აგიტყდა, — მიაძახა ლილიამ წინ გავარდნილ გივის.

ბიჭმა არაფერი უპასუხა. ერთი სული ჰქონდა, აეღწია, რაც შეიძლებოდა, მალე აეღწია გადასასვლელამდე. ახლა, ამ წუთში, ყველაზე ძლიერ იგრძნო რატომღაც, რომ ცირა უფრო მეტი იყო მისთვის ვინემ შემთხვევით გაცნობილი ლამაზი გოგო, რომელიც სადღაც გადასაკარგავში მუშაობს მწველავად... სხვა დროსაც ჰქონია ასეთი სურვილი, ჩქარა გაელია გადასასვლელამდე, მაგრამ თავი შეუკავებია, შეიძლებოდა ტურისტები ვეღარ გაჰყოლოდნენ, ადვილად შეიძლებოდა. მაგრამ ახლა არ ჰქონდა ამაზე ფიქრის თავი.

— დავიღალეთ, გივი. — ქლოშინით მოაძახა ლილიამ.

— აბა, რა დამღლისო, — ნიშნისმოგებით მიმართა გივიმ.

ჯგუფი გაიწელა, გაიწელა და სამმაგად დაგრძელდა. მწყობრი სვლა დაირღვა. ვისაც როგორ შეეძლო, ისე მიდიოდა: „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“ — ქლოშინებდნენ, სულს ძლივს ითქვამდნენ, მაგრამ მხნეობას მაინც არ კარგავდნენ და ყველაზე საშიშ ადგილებში დაუხმარებლად გადიოდნენ. ამოქმედდა „თხა, თხაზე ნაკლების“ კანონი: ის თუ გადის, მე რა?! — ფიქრობდა უკან მიმავალი, და მხედველობაში წინ წასულები ჰყავდა. ხოლო, მის უკან რომ მოდიოდა, იგი კიდევ თავის მხრივ ამ წინას ეჯიბრებოდა. არავის არ უნდოდა საკუთარი სისუსტე გამოემჟღავნებინა: ქვევით სხვა იყო... ქვევით მეგზური თვითონ სთავაზობდა დახმარებას, ახლა კი რა-

[1] გმადლობთ (სვან.).

ღა გაეწყობა, რახან იგი ასე მიიჩქარის სადღაც, რახან მეგზურმა მიატოვა ასე უპატრონოდ, ხევებში ხომ არ გადაცვივდებიან... ეცდებიან არავის ჩამორჩენენ. „აი, რაღაცა შეიცვლება, ცოტაც და რაღაცა შეიცვლება“—ფიქრობდნენ ისინი და თავგამოდებულნი შეუყვებოდნენ ახალ აღმართებს.

„ამ ქედს იქით რა იქნება? ან იქნებ სულაც ეს არის გადასასვლელი?“ ამ იმედით ადიოდნენ ქედზე, მერე ეშვებოდნენ ძირს, კვლავ ადიოდნენ და ასე განუწყვეტლივ, ვიდრე ნამდვილ გადასასვლელს არ მიაღწიეს... გადასასვლელზე მათ დახვდათ მესტიის ტურბაზის მეგზური. იგი იჯდა და ქვევით იყურებოდა სადღაც. ტურისტებს არ შეეძლოთ მეტი და ქლოშინით მიეყარნენ მოლზე.

გივიმ მთებსა და კაშკაშა მწვერვალებს ბედნიერი მზერა მოავლო. ბოლოს ტურისტებს გადახედა. მათ გაოფლილი, მტვერში ამოგანგლული სხეულები მზისთვის მიეფიცხებინათ და მკვდრებივით მიყრილიყვნენ. გივი გონს მოეგო. მიხვდა, ცთუნებამ თუ რაღაც ეშმაკმა აიყოლია. კიდევ კარგი, არაფერი მოხდა ისეთი, ჯგუფის წევრები ყველანი ადგილზე იყვნენ. მერე წამოდგა და ხმამაღლა თქვა:

— ყველაზე ძნელი გზა უკან დარჩა...

იგი თითქოს დანაშაულის გამოსყიდვას ლამობდა, ისე ლაპარაკობდა.

ტურისტებზე კარგად იმოქმედა ხელმძღვანელის სიტყვებმა. გაიღიმეს, გამხიარულდნენ და ალაპარაკდნენ კიდეც.

ერთმა სათვალიანმა გოგომ თქვა:

— გაისად მთამსვლელთა ბანაკში ვაპირებ... ამ გადასასვლელის მერეც არ მიმიღებენ? — სათვალიანი კმაყოფილი იყო, დაუხმარებლად რომ ამოვიდა.

— მართლა, ხომ მაგრა წამოვედით,— დაემოწმა მას ბორისის ცოლი, იგი კეთილი ქალი ჩანდა. პატარა რაღაცა უხაროდა ხოლმე. გივის უკვირდა, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ეს საწინააღმდეგო ხასიათის ადამიანები. ბორისი ხომ სულ მოღუშული და შეწუხებული იყო, თითქოს დასასვენებლად კი არა, სანერვიულოდ წამოვიდა სამხრეთისაკენ...

სათვალიანსა და ბორისის ცოლს სხვებიც აჰყვნენ. ზოგი ტრაბახობდა, თუ როგორ მარჯვედ გამოიარა თოვლიანი ხევი და ჩარეცხილი ფერდობი გადასასვლელის მისადგომებთან რომ იყო. მას სულაც არ შეშინებია, რისი შიში, რა შიში. ეს იყო, ცოტათი დაიღალა, მაგრამ ეს რა გასაკვირია, სტამბოლის კაჟი ხომ არაა, ბოლოსდაბოლოს, ისიც ადამიანია. მეორემ უფრო მეტი იყოჩაღა. იგი საერთოდ არც დაღლილა და არაფერი, ასეთ გადასასვლელებს სიამოვნებით გაივლიდა მომავალშიც...

მთამსვლელთა ბანაკში რომ აპირებდა წასვლას, იმან სათვალე მოიხსნა, ცხვირსახოცით გაასუფთავა, გაიკეთა, მერე ხმამაღლა თქვა:

— ჩვენ განგებ მიგვატოვა მეგზურმა. ალბათ გამოგვცადა...

— მართლა, გივი? — დაინტერესდა ბორისის ცოლი.

გივი გაწითლდა. განგებ მიატოვა? სულაც არ მიუტოვებია განგებ.

— ძაანაც კარგი იყო... — თქვა კიდევ ვიღაცამ.

გივიმ ლილიას გადახედა. იგი იჯდა თავისთვის და სამყურას ფოთლებს წიწკნიდა. თითქოს სულაც არ აინტერესებდა ეს, სათვალიანი გოგოს წამოწყებული საუბარი, თითქოს მისთვის სულერთი იყო ყველაფერი.

— ქვევით ქოხებს ხომ ხედავთ, — გივიმ ფერმისაკენ გაიშვირა ხელი, — ჩემი საცოლე მუშაობს, უკვე კვირაა, რაც არ მინახავს, — თქვა გივიმ.

სათვალიანს არ გაუმართლა წინათგრძნობამ და მოიწყინა. სხვებმა გაოცებით გადახედეს მეგზურს — მათაც დაიჯერეს რატომღაც, რომ გივიმ განგებ მიატოვა ისინი. ახლა კი გამოირკვა, რომ მეგზურს საცოლე ჰყოლია.

და რახან რაღაც ექვს დღეში ასე მოენატრა, გამოდის, გაგიჟებულია მისი სიყვარულით. მწველავი საცოლე. მთებში გადაკარგული გოგო. აი, უცნაურობა— სადღაც მიუვალ მთებში გადაკარგული მწველავი მოსწონებია... ეს მათთვის ახალი აღმოჩენა იყო და უკვირდათ.

ლილიასაც ვერაფერი გაეგო და სახეში მისჩერებოდა გივის. მისი თვალები თითქოს ეკითხებოდნენ: „მართლა, გივი? შენ არ ხუმრობ?“ თქმით არაფერი უთქვამს. არც სხვებს უთქვამთ რაიმე. დუმილად იქცნენ.

გადასასვლელის ყელში ისხდნენ. დასავლეთიდან სასიამოვნო სიო უბერავდა. ყველას ეზარებოდა წამოდგომა. გივიმ ცოტა კიდევ დააცალა მათ და მერე სთხოვა, გაჰყოლოდნენ. ლილია მაშინვე წამოდგა. მას ეშინოდა, მეგზურის პირველი მიმყოლის ადგილი არ დაეკარგა, არავინ შესცილებოდა. ლილიას სათვალიანი გოგო მიჰყვა. იგი მართლაც ცოცხალი გოგო ჩანდა, ალბათ მართლა ღირსი იყო მთამსვლელთა ბანაკში მოხვედრისა.

გივი ოდნავ გაწითლებულიყო. ცირას საცოლე რომ უწოდა, იმაზე გაწითლდა. ისე, ბევრჯერ უფიქრია, მაგრამ თქმით პირველად გაბედა, პირველად უწოდა საცოლე. აბა „საყვარელს“ ხომ ვერ აკადრებდა, ადგა და საცოლე უწოდა...

მალე მთელი ჯგუფი წამოიშალა.

ახლა თავდაღმართი იწყებოდა და სულ ზიგზაგებით უნდა ევლოთ. ზიგზაგებით მეტი გზის გავლა უხდებოდათ, მაგრამ სამაგიეროდ ფეხის კუნთებზე დაწოლა ნაკლები იყო და უცბად არ იღლებოდა კაცი.

— გივი სილოვანიჩ, გივი სილოვანიჩ. — დაუძახა ბორისმა.

— რა იყო? — შეტრიალდა გივი.

ნასტია მიწაზე იწვა და არ ინძრეოდა.

— ვეღარ დგება, მგონი გრძნობა დაკარგა...

გივიმ მიირბინა. ნასტია მართლა გრძნობადაკარგული იწვა. გაფითრებული, თვალები მიელულა.

ყველანი მისცვივდნენ, თავზე დადგნენ.

— მთელი დღე ხმა არ ამოუღია; მუნჯივით იყო... — თქვა, წეღან რომ ტრაბახობდა, არც დავღლილვარ და არაფერიო, იმან.

— მართალია, უხასიათოდ გამოიყურებოდა, — დაემოწმა პირველს ბორისის ცოლი.

— წუხელის არ უძინია, ნერვებაშლილი იყო. — წრიპინა ხმით ამოიკნავლა ნასტიას თანაკარველმა და ისე დაეჩერდა ამხანაგს, თითქოს არ სჯეროდა, რომ გონწასული იყო.

— დროზე უნდა მოსულიყო, — მოკლედ მოჭრა ბორისმა...

გივიმ ხელოვნური სუნთქვა დააწყებინა.

გოგო გონს მოდიოდა და თვალებს ახელდა.

— როგორა ხარ, ნასტია? — ჰკითხა გივიმ.

— ცოტა უკ... ეთ... მად...— ვეღარ დაამთავრა სათქმელი.

— ეს არაფერია, მალე გაგივლის...— დაამშვიდა გივიმ.

მალე მართლაც გამოკეთდა. გამოცოცხლდა. თვალები გაახილა. ფერიც დაუბრუნდა.

— ლილია, წყალი მოიტანე რა? — სთხოვა ნასტიამ.

იქ სხვებიც იდგნენ, მაგრამ ნასტიამ რატომღაც მაინცდამაინც ლილიას სთხოვა.

ლილიამ ზურგჩანთის ჯიბიდან პლასტმასის თეთრი ჭიქა დააძრო.

— მოიტა, მე გავიქცევი, — უთხრა მას ბორისის ცოლმა.

— მე ვერ წავალ? აქვეა. — არ დაანება ლილიამ.

ბორისი მოშორებით იჯდა. ქვის ნატეხებს ისროდა ხრამში.

წყალმა კარგად იმოქმედა გონწასულზე. მალე ფეხზე წამოდგა, მაგრამ სიარული ვერ შესძლო.

გივიმ თავისი ზურგჩანთა გახსნა. ხორცისა და რძის ქილები და სხვა სურსათი მოლზე დაყარა და ლილიასა და სათვალიან გოგოს გაუნაწილა — ამას თქვენ წამოიღებთო.

გოგოებს უარი არ უთქვამთ, ოღონდ ვერაფერი გაიგეს და უაზროდ ჩააწყეს ქილები თავიანთ ზურგჩანთებში.

გივიმ ცარიელი ზურგჩანთა სიგანეზე დაკეცა. გოგო ზედ დასვა. ფეხები სამხრეებში გააყოფინა და ჩვეულებრივი ტვირთივით მოიკიდა ზურგზე. ნასტიამ კისერზე მოჰხვია ორივე ხელი და თან ბოდიშობდა — რამდენი გაგაწვალეო. „ჯერ სადა ხარ, წვალება აწი ნახე“ — ფიქრობდა თავისთვის გივი. სოფლამდე, სადაც მათი ბანაკი იყო, ბარე თერთმეტი კილომეტრი მაინც იქნებოდა. მერე თანაც სულ ციცაბო დალმართი. მაგრამ აბა რა უნდა ექნა. მთაში მკაცრი კანონები მეფობენ. მათ ვერსად წაუხვალ. მთაში არ უნდა დაიღალო. თუ ამისი იმედი არა გაქვს, არც უნდა წამოხვიდე, სჯობია სახლში დარჩე, წვიმიან დღეებში ბუხარს მიეფიცხე. საღამოობით კი ასფალტზე გამოდი და ამხანაგებთან გაისეირნე სადმე. თუ რამე მაინც მოხდება ისეთი, ტელეფონის ჯიხურს ეცი და სასწრაფო დახმარება გამოიძახე... ჰო, სჯობია, თორემ ნასტიასავით სხვისი სათრევი გახდები, მაგრამ ის „სხვაც“ რომ შენს დღეში ჩავარდეს? აი, მაგალითად, ამ ჯგუფის დანარჩენი ოცდაოთხი წევრი. მათ ეგრევე ეტყობათ, არა აქვთ დავრდომილი ამხანაგის თრევის თავი. ახლა ყველა საკუთარ ტყავზე ფიქრობს, უჭირთ და რა ქნან... მსგავსი შემთხვევები კი ხშირი იყო მთებში და უმრავლესობა ტრაგიკულად მთავრდებოდა.

გივის ბიჭების იმედი ჰქონდა —ცოტას ისინიც მომეხმარებიანო. მაგრამ მართლაც ისე არაქათგამოცლილებივით მიბანცალებდნენ, რომ ხელი ჩაიქნია. ისევ ბორია თუ გამოიდებდა თავს. ბორია სხვებთან შედარებით ჰერკულესივით გამოიყურებოდა, ჯმუხი აგებულებისა იყო.

— ბორის იაკოვლევიჩ, — შენ წაუძღვები ჯგუფს, ზიგზაგებით იარე...

ყველანი წინ წავიდნენ, მაგრამ ბორისს მალე მოსწყინდა ზიგზაგებით სიარული და პირდაპირ წავიდა. ასე ძალიან ძნელი იყო, ფეხი ცურავდა ბალახზე და ხალხი წამდაუწუმ ეცემოდა.

— ბორია, რა მოგივიდა! — მიაძახა გივიმ ჯგუფის მამასახლისს, — გვერდი-გვერდ იარე...

გივი თვითონაც ფრთხილობდა. საგულდაგულოდ მოსინჯავდა ნიადაგს, ნელა მიიწევდა.

გოგოს შიშველი სხეული სალტესავით შემოტმასნოდა. ჯერ იყო და მზე წვავდა ყველაფერს, მერე, ნასტიას საოცრად ცხელი სხეული ჰქონდა და ორივენი ოფლში ცურავდნენ.

ნასტია ტიროდა, — როგორ შეგაწუხეო, — მთელი გზა ლუღლუღებდა.

— გაჩუმდი, ნასტია, განა ამით ეშველება საქმეს? — ამშვიდებდა გივი. რაც მოხდა, მოხდა... ცოტას გავიჭირვებთ, აბა რა ვქნათ...

გივი გოგოს ოდნავ თრთოლვასა და შერხევასაც კი გრძნობდა. ბაგაბუგივით ჩაესმოდა ნასტიას გულისცემა. იგი თანდათან აჩქარებული ხდებოდა. ხოლო მისი სავსე მკერდი ზურგზე მობჯენოდა და თონესავით ათბობდა.

ყოველ ას მეტრზე ისვენებდა. ოდნავ მოადუნებდა დაჭიმულ სხეულს, მერე კვლავ გზა. უკვე აღარ ტიროდა ნასტია. იგი თანდათან შეეჩვია მდგომარეობას. რამდენჯერმე სცადა კიდეც სიარული, მაგრამ ვერა და ვერ შესძლო. მუხლები ეკეცებოდა, ეკრუნჩხებოდა.

გივი ხედავდა, როგორ ეშვებოდნენ ტურისტები. ლილიამ რამდენჯერმე შესთავაზა მოხმარება, მაგრამ გივიმ წინ გაგზავნა, სხვებს მიხედეო. გოგომაც დაუჯერა და წინ წავიდა. ახლა ლილია და სათვალიანი სულ თავში მიდიოდნენ. ბორისი თავის ცოლს ეხმარებოდა და უკან ჩამორჩა.

კიდევ ცოტა და ფერმამდე ჩააღწევდნენ. ცირა კვლავ წყაროსთან იდგა. გივის უხაროდა, მალე ცირასთან იქნებოდა.

ერთხელ კიდევ შეისვენეს. ბიჭმა კვლავ მოიკიდა ტვირთი და ის იყო, წასასვლელად მოემზადა, რაღაცამ უსიამოვნოდ გაკრა, თითქოს ნემსი უჩხვლიტესო, წაბარბაცდა და ძლივს შეიკავა თავი. რა იყო, თვითონაც ვერ გაეგო. გაოგნებული გაქვავდა ადგილზე. მერე ქვევით ჩაიხედა ფერმისაკენ. წყარო მონახა. წყარო აქედან ყინულის გრძელი ნატეხების გროვასავით მოჩანდა. მაგრამ წყაროსთან არავინ იყო. ვერც ეზოში შენიშნა ვინმე.

მალე დაეშვნენ წყაროსთან და შეისვენეს.

ქოხიდან მწველავი გოგოები გამოვიდნენ. მათ ხელში ვედროები ეჭირათ. სარაგისკენ[1] ჩამოუხვიეს. რიგრიგობით უდგამდნენ ვედროებს ვიწრო ღარიდან მოწანწკარე წყალს და დოინჯშემოყრილნი ელოდნენ, როდის აივსებოდა ჭურჭელი.

— ცირა რა იქნა? — ჰკითხა მათ გივიმ.

გოგოებმა მხრები აიჩეჩეს — რა ვიცითო.

— წეღან აქ იდგა, სულ რამდენიმე წუთის წინ.

მწველავები ისევ დუმდნენ.

გივიმ იგრძნო, როგორ მისჩერებოდნენ ტურისტთა ცნობისმოყვარე თვალები. ისინი ეკითხებოდნენ — აბა რომელია შენი საცოლე? რატომ ხელს არ ჩამოართმევ, რატომ არაფერს ჰკითხავ?

მერე, გზას რომ გაუდგნენ, ლილიამ უთხრა:

— რომელი იყო ის გოგო?

— არც ერთი...

— მოიტყუილე?

— არა. არ ვიცი, რა მოხდა. წეღან აქ იდგა...

— ლამაზია?

— ძალიან, ძალიან ლამაზია...

— მერედა, რატომ არ გსურს, ჩაეთხა გივის ბეჭებსზემოდან ნასტიამ და თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო, განაგრძო, — ბედნიერია, ასე რომ უყვართ, ბედნიერია...

გზა დაბლა და დაბლა ეშვებოდა. ერთი ლამაზი ტბა გაიარეს. ტბასთან შეჩერდნენ და სურათები გადაიღეს. მერე ტყე დაიწყო. ტყეში უფრო გრილოდა. სამარხილო გზამდე რომ ჩააღწიეს, გამოცოცხლდნენ, გამხიარულდნენ. სამშვიდობოზე იგულეს თავი და უხაროდათ. ლილია და სათვალიანი გოგო გივისთან მოვიდნენ. ლილიამ დახმარება შესთავაზა გივის, მაგრამ ბიჭმა არ ქნა. ნასტია ტანით უფრო დიდი იყო ლილიაზე, როგორ უნდა მორეოდა. სათვალიანმა კი დაიჟინა, — მე წავიღებო. არაფრით არ მოეშვა. გივიმ მართლა აჰკიდა ნასტია. საოცრად იმარჯვა სათვალიანმა. ორას მეტრზე არც შეუსვენია და არაფერი.

ლილიამ ყვირილი მორთო:

— ხალხო, შეხედეთ, ხალხო...

ყველამ აქეთ მოიხედა. არ სჯეროდათ: „ეს ვის მოჰყავს ნასტია, ხედავთ?!“

ბიჭებს შერცხვათ და მორიგეობით აიკიდეს თანაჯგუფელი. ბორისმაც სცადა, კუნტრუშით წაიყვანა. ყველას აჯობა. მერე კვლავ გივის ჯერი დადგა და მეტად არც არავინ შენაცვლებია. ოთხი საათის სიარულის მერე, როგორც იქნა, ტყე გალიეს და ყანებში გავიდნენ. გივი მთელი გზა უგუნებოდ იყო. მხოლოდ ლილია ხვდებოდა, რაც აწუხებდა ბიჭს და როგორც შეეძლო თანაუგრძნობდა.

მალე სულ ჩაივაკეს. ხიდზე გავიდნენ და მინდორზე საგანგებოდ გამართულ კარვებს მიაშურეს. გივის თავი სტკიოდა. ძლივს მილასლასდა კარვამდე. მკვდარივით მიეგდო საძილე ტომარაზე. ხელები თავქვეშ ამოდო, კარვის ჭერს მიაშტერდა. ცირა რომ დახვედროდა,

[1] ხის ღარით გამოყვანილი წყალი.

დარწმუნებული იყო, ასე არ დაიღლებოდა.

წინა მგზავრობები გაიხსენა გივიმ. ცირა წყاროსთან შეეგებებოდა ხოლმე და ზურგჩანთას ჩამოართმევდა. იქ, ფერმის ეზოში გრძელი სკამი ედგათ. გივი ჩამოჯდებოდა, ცირა შინ შეირბენდა და მაწონს გამოუტანდა. ბიჭის წინ დაბალ, საწველ სკამზე ჩამოჯდებოდა და თვალებში შესციცინებდა. იჯდა, დუმდა და უყურებდა ცირა, როგორ სვამდა ბიჭი მაწონს. შავი, საყვარელი თვალებით მისჩერებოდა, ბავშვური, ცნობისმოყვარე თვალებით, გივისაც უნდოდა, რაც შეიძლება მეტ ხანს გაგრძელებულიყო ეს წუთები. და ყველაზე უფრო ამ დროს გრძნობდა, რომ ვერაფერი ვერ გადაავიწყებდა ამ მზერას, ამ თვალებს, ამ გოგოს, ვერაფერი ვერ გადაავიწყებდა.

დღეს კი...

გივიმ ინატრა, მალე დაღამებულიყო, მალე გასულიყო ეს დრო, დილამდე რომ იყო დარჩენილი. წრიალმა აიტანა. სისხლი თავში აუვარდა, ძილი გაუკრთა, მთელ სხეულში რაღაცნაირ ყრუ ტკივილებს გრძნობდა, თითქოს სავასტიმ მოიგდო ფეხქვეშ და სცემდა, თავისი ძარღვიანი ხელებით უმოწყალოდ სცემდა.

გველნაკბენივით წამოხტა. შარვალი ჩაიცვა და გარეთ გავარდა. სოფლის ბოლომდე წავიდა. იბორიალა, იხეტიალა, გული ვერაფერს გადააყოლა. კვლავ უკან დაბრუნდა და კარავს მიაშურა. მალე ჩამობნელდა. ტურისტებმა ცეცხლი დაანთეს. მაღაზიიდან ღვინო მოიტანეს და დღევანდელი მგზავრობის სადღეგრძელო დალიეს. თან მღეროდნენ. აწი ფეხით სასიარულო მოლეული ჰქონდათ, ხვალ მანქანები მოადგებოდნენ ბანაკს და შავი ზღვისაკენ გააქროლებდნენ. მერე სოხუმისა და ტურბაზა „სინოპის“ სადღეგრძელო თქვეს. „სინოპი“ ამ მარშრუტზე უკანასკნელი პუნქტი იყო, რაც მთავარია, ზღვიდან სულ რაღაც ოცდაათიოდე მეტრზე მდებარეობდა. ყველაზე უფრო ეს უხაროდათ ტურისტებს, ზოგი წარმოდგენით ცურაობდა კიდეც ზღვაში.

გივისაც არ მოეშვნენ, რამდენიმე ჭიქა გამოაცლევინეს. გივი სვამდა, იქნებ რამე მიშველოსო, მაგრამ ამაოდ. არ უგვრძნია არაფერი. მას ხვალ იგივე გზა ელოდა, დღეს რომ ვაი-ვაგლახით გამოიარეს. იგივე გადასასვლელი და მარტოობა. ყველაზე საშინელი მარტოობა იყო. ამ პირქუშ მთებში მარტოხელა კაცის მგზავრობას ყველაფერი სჯობდა. ღრუბლებში დაკარგული მწვერვალების პირისპირ მდგარს, უსუსურობისა და უძლურობის გრძნობა ეუფლებოდა. ხოლო წვიმისა და ქარბუქის დროს ისეთ ჩაშხამულ გუნებაზე დგებოდა, თავბედს იწყევლიდა ხოლმე. სულ სხვა იყო ჯგუფთან ერთად მგზავრობა. ან ამხანაგებთან ერთად მთა-მთა, ტყე-ღრე ხეტიალი. აქ ხშირი და დაბურული ტყე იცოდა. ნადირით იყო სავსე. ყოველ ნაბიჯზე დათვებს შეიძლება გადაყროდა კაცი. ისინი სიმინდის ყანებს უდარაჯებდნენ. ღამღამობით შეიპარებოდნენ და გამოცდილ მესიმინდეებივით ტეხდნენ ჯერ კიდევ მოუმწიფებელ ტაროებს.

თითქმის ყველა ყანაში რაღაც საფრთხობელები იყო დაგებული დათვების დასაშინებლად, მაგრამ დათვებმა მალე აუღეს ალღო, შეეჩვივნენ და აინუნშიაც აღარ აგდებდნენ ჯოხებზე ჩამოცმულ ძველ ტომრის ნაგლეჯებს თუ კაცის გამოსახულების მსგავს ჯირკვებს. გლეხებმა სხვა გამოსავალი რომ ვერ მონახეს, თოფებს დაავლეს ხელი და ღამე რჩებოდნენ ყანებში, მორიგეობით ყარაულობდნენ, ისროდნენ ნადირის დასაშინებლად...

სროლა ჩვეულებრივად ღამის პირველი საათიდან იწყებოდა. ჯერ კი სიმშვიდე სუფევდა, ისევე როგორც ქარიშხლის დაწყების წინ იცის ხოლმე.

ერთხელ გივი ადგილობრივ კოლმეურნეს სავარიონ ონიანს ესაუბრა და-

თვებზე. სავარიონი გამოცდილი მონადირე იყო და თქვა:

— ჩვენი დათვები მელიებზე ეშმაკები გახდნენ... ამ საუკუნემ ყველა გააეშმაკა, დათვებიც კი...

ლილია და გივი ერთად ისხდნენ კოცონთან. მათთან ნასტია მოვიდა, იგი თავს უკეთ გრძნობდა და მადლობა გადაუხადა გივის:

— შენ რომ არა, რა მეშველებოდა...

მერე სხვებმაც მოიყარეს თავი. კარგად შეზარხოშებული იყვნენ. ზოგიერთს გული აუჩვილდა:

— ესე იგი, ხვალ უნდა დაგვტოვო, რა ცუდია. ეს-ეს არის შევეჩვიეთ ერთმანეთს და ახლა უნდა დავშორდეთ... — ამბობდა სათვალიანი გოგო.

ლილიაც დამთვრალიყო. მან მკლავი გაუყარა გივის და თავი მხარზე მიადო. ბორისის ცოლმა ბლოკნოტი მოარბენინა და თავისი მისამართი მისცა გივის. სხვებმაც მისცეს. ყველანი სთხოვდნენ. როცა დრო ექნებოდა, სტუმრებოდა... გივი თავს უკრავდა ყველას და მადლობას უხდიდა პატიჟისათვის...

მალე წავიდ-წამოვიდნენ.

— მართლა, რა ცუდია, — თქვა ლილიამ.

— რა თქვი? — შეეკითხა გივი.

— რომ მიდიხარ...

— მე შევეჩვიე... წასვლას და მოსვლას.

— ტყუი, არც შენ გინდა, არავის არ სიამოვნებს ამხანაგებთან დაცილება...

— შენთან შეიძლება, სხვები, რა... ახლა დათვერით და გული აგიჩვილდათ ყველას...

— ნუ ლაპარაკობ ასე. რა გულამრეზილი ლაპარაკობ... შენ ხომ კარგად არ იცნობ ამ ხალხს.

— არცაა ეს აუცილებელი, ტურბაზის მეგზურმა მშვიდობიანად უნდა გადმოიყვანოს ჯგუფი, მორჩა და გათავდა...

გოგომ კარგად დააგო საძილე ტომარა. გაიხადა და დაწვა. მერე ბიჭიც დაწვა. გივი სიყვარულით უყურებდა გოგოს მინაბულ სახეს და არაფერს ცუდს არ ფიქრობდა. თითქოს მხოლოდ ბავშვებს შეეძლოთ ეცქირათ ასე საკუთარი შვილებისათვის, გივი რომ უყურებდა ამ წუთში ლილიას.

მერე დედაზე ფიქრობდა. ახლა ხელფასს რომ აიღებს, აუცილებლად უყიდის რაღაცას. მაგრამ რა უნდა უყიდოს? არასოდეს არაფერი არ უყიდია და, რა უნდა უყიდოს დედას? ლილიას ეცოდინება, ლილიას ჰკითხავს, რა უნდა უყიდოს. მაგრამ არ გააღვიძა. გოგოს ეძინა, პატარა ბავშვივით ეძინა და არ გააღვიძა. საკაბეს უყიდის, ან თავსაფარს...

მალე მასაც ჩაეძინა. მკვდარივით ჩაეძინა.

დილას უთენია გამოეღვიძა. წასასვლელად გაემზადა. მორიგეებმა ხალხი წამოშალეს.

სათვალიანმა გოგომ ჯარისკაცებივით ჩაამწკრივა ისინი. ხმამაღლა დაიძახა:

— გიორგი სილოვანიჩს ჩვენი გულთბილი სალამი...

სხვებმა ერთხმად გაიმეორეს: სალამი... სალამი..

— და დიდი მადლობა...

— მადლობა... მადლობა... მადლობა...

ლილია ტიროდა. ის განზე იდგა და ტიროდა.

გივიმ მადლობა გადაუხადა ჯგუფს, კეთილი მგზავრობა უსურვა.

ნასტიამ მიირბინა მასთან და „ფედი“ ჩამოჰკიდა მხარზე.

— რას შვრები, ნასტია? — გაიკვირვა გივიმ.

— ეს სახსოვრად, გიორგი სილოვანიჩ...

— კი მაგრამ, ხომ დაგჭირდება... რა საჭიროა...

— ზღვაზე რათ მინდა... მთები კი დამთავრდა...

— მაინც უხერხულია, ნასტია...

— შენ რომ არა, რა მეშველებოდა... ლილია ხიდამდე გაჰყვა.

ტიროდა.

— მთა მთას არ შეხვდებაო, — ეუბნებოდა გივი, — ჩვენ ხომ მთები არა ვართ...

მაგრამ ლილია მაინც ტიროდა. ცხენისწყალზე გადებულ ხიდთან კისერზე მოჰხვია ხელები ბიჭს და მთელი საათი კოცნიდა, კოცნიდა. ტიროდა და ისე კოცნიდა. სულ დაუსველა სახე. მერე თავი ბიჭის მკერდში ჩამალა და არ ეშვებოდა. ზლუქუნებდა. გივიმ არ იცოდა რა ექნა, როგორ დაემშვიდებინა. გოგო გაგიჟდა, არა და არ უშვებდა. მალე ხმამაღლა აღრიალდა კიდეც...

ზევით, ხრამზე გოგოები გადმოდგნენ. ისინი აქეთ იხედებოდნენ. ბორისის ყვირილიც მოისმა. ვიღაცა ბილიკზე დაეშვა და მათკენ წამოვიდა. ბორისის ცოლი იყო. ბორისი კი ხელებს იქნევდა და უყვიროდა რაღაცას.

ლილია კვლავ ღრიალებდა და არ ეშვებოდა. თმები ჩამოშლოდა. თვალები გაწითლებოდა. ისევ კისერზე შემოეხვია ბიჭისათვის ხელები და რაღაცას გაუგებრად ლუღლუღებდა.

— გოგოები გადმომდგარან და გვიყურებენ, — თქვა გივიმ, — სირცხვილია, რას იტყვიან...

— რაც უნდათ, ის თქვან... — ამოისლუკუნა ლილიამ.

ამ დროს ბორისის ცოლიც მოვიდა. მან ლილიას მოჰკიდა ხელი:

— რა მოხდა, ლილია, ომში ხომ არ მიდის...

ბორისის ცოლს დაუჯერა ლილიამ. ბიჭს ხელი უშვა და უკან დაიწია. ბორისის ცოლმა მეორე ხელიც მოჰკიდა და მკერდში ჩაიკრა. პატარა ბავშვივით ჩაიკრა და მოეფერა, თითქოს დედა იყო და ამშვიდებდა. ლილიაც მიენდო, ძუძუმწოვარასავით ჩაეხუტა და გულიანად აქვითინდა...

გივი წავიდა. ლილიას თავი არ აუწევია, ისე აღრიალდა. ახლა ბორისის ცოლს ჩამოეკიდა კისერზე. ხტოდა და ისე ღრიალებდა. ხრამიდან კი მამლაყინწასავით, ქანდარაზე ახლადგამოღვიძებულ მამლაყინწასავით გაჰყვიროდა ვიღაცა.

გივი ჩქარა აუყვა ბილიკს. სამარხილო გზაზე ავიდა და ვიდრე ტყეს შეერეოდა, ერთხელ კიდევ მოიხედა უკან: ლილია და ბორისის ცოლი კვლავ ხიდისთავთან იდგნენ. მათთან ვიღაც კაცი მისულიყო და ხელებს იქნევდა...

გულისფანცქალით მიუახლოვდა მწყემსების ქოხს.

გარეთ არავინ ჩანდა.

კარებზე მიუკაკუნა. ჩამიჩუმი არ ისმოდა, თითქოს გაწყდნენო. მდუმარებას მოეცვა ყველაფერი. დიდხანს უკაკუნა. მერე უნიათოდ შებრუნდა და გზა განაგრძო. ასეთ საშინელ გუნებაზე არასოდეს ყოფილა. რაღაც პატარა იმედი რომ ჰქონდა, ისიც გაუქრა. დარჩა მარტოდმარტო, უნუგეშოდ და უიმედოდ ამ პირქუშ და მდუმარე მთების პირისპირ. მიდიოდა გაძრცვნილი და გაუბედურებული. ცხვირ-პირი კოშკიდან გადმოსროლილ კატასავით ჩამოსტიროდა, თვალთ დაუბნელდა, სიბნელემ შთანთქა ყველაფერი: ბილიკი, გადასასვლელი და მოღრუბლული ზეცა, ყველაფერი წყვდიადმა მოიცვა. უაზროდ მიბანცალებდა. მერე დასცხა და თავბრუ დაეხვა. მუხლები ეკვეთებოდა და იგრძნო, რომ მეტი აღარ შეეძლო, ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლო.

ნატყვიარივით დავარდა მიწაზე და გულაღმა გაიშოტა. ცას მიაშტერა თვალები. ცა კვლავ მუქი იყო, მუქი და უძირო. მერე კიდევ უფრო გამუქდა... ჩასთვლიმა. უცნაური მოჩვენება ნახა: ბორის იაკოვლევიჩს არყის სახდელ ქვაბში ჩაერგო თავი, ფეხები მაღლა აეშვირა და უმწეოდ ასხმარტალებდა... მისი ჯგუფის წევრები კი ირგვლივ შემოჰხვეოდნენ და დახმარების ნაცვლად ტაშს უკრავდნენ. მხოლოდ ლილია არ უკრავდა ტაშს. ლილიასთან ბორისის ცოლი მივიდა და შეეკითხა:

— კი მაგრამ, შენ რატომ არ უკრავ,

ხომ ხედავ, ყველანი უკრავენ...

— დაუკრან რამდენიც უნდათ, მე კი არ დავუკრავ...

— დაუკარი, დაუკარი, — ხთხოვეს სხვებმაც.

— კაცი იხრჩობა და რატომ უნდა დავუკრა; ყოველ შემთხვევაში, ეს პრინციპის საქმეა.

ვიღაცამ ხელი მოჰკიდა გივის და შეანჯღრია. გამოერკვა. თვალები გაახილა: ბნელოდა. ისევ სიზმარში ეგონა თავი. მერე მის წინ მუქი ლანდი შენიშნა.

— ვინ არის? — დაიყვირა გივიმ, იგი ერთიან კანკალებდა სიცივისაგან.

— გადასასვლელზე აპირებდი ღამისთევას? — მოესმა გოგოს ხმა.

ეს ცირა იყო... ცირა... ცირა... ცირა... იგი არსადაც არ წასულა. იგი კვლავ მთაშია. მას კი ეგონა, რომ წავიდა, ვეღარ გაძლო და წავიდა. გივი დაიბნა. ერთხანს ვერაფერი მოახერხა, მერე ხმამაღლა დაიძახა:

— შენ, ცირა? საიდან, როგორ?!.

მერე მიხვდა ყველაფერს. დაღლილ-დაქანცულს ღრმად ჩასძინებოდა, მთელი ხუთი საათი ეძინა. ცირამ შენიშნა ქოხიდან, ცირა როგორც ჩანს უყურებდა, უთვალთვალებდა, და რომ არ გამოიღვიძა, იფიქრა, ხომ არაფერი მოუვიდაო და ამოვიდა... ცირა რომ არა.. ვინ იცის, რამდენ ხანს იძინებდა კიდევ, ხოლო ყინულებისა და თოვლის სამეფოში ადვილი შესაძლებელი იყო გაციება, ძლიერ, ძლიერ გაციება...

კბილების კაწკაწი აუტყდა: სხეული კვლავ უცახცახებდა. სიცივე ძვალსა და რბილში გაჯდომოდა. ბიჭი წამოდგა და გოგოსკენ წავიდა. მაგრამ გოგომ უკან-უკან დაიწია, როგორც პირველი შეხვედრისას, წყაროსთან, ისე.

ბიჭი მონუსხულივით გაჩერდა.

— გეშინია, არა? ჩემი გეშინია, — თქვა ენის ბორძიკით გივიმ.

ერთხანს არავინ გაპასუხებია. მერე გოგომ დაარღვია სიჩუმე:

— ამხანაგებს სასაცილოდ არ ჰყოფნით... დღეს კი მითხრეს, რომ შენთვის ისეთივე გოგო ვარ, როგორც ის ტურისტი, გუშინ რომ მოგიყვანდი ზურგით... მე აღარ შემიძლია მეტის ატანა, გესმის? მართლაც, ვინ ვარ მე შენთვის? ისინი იმასაც ამბობენ, რომ მეგზურებს სიყვარული არ შეუძლიათ საერთოდო...

გივი გონს მოდიოდა. მას მოუნდა, მისულიყო ცირასთან და კოცნით ამოეხადა სული. მაშინ მაინც დარწმუნდებოდა, როგორ უყვარს, რომ მას შეუძლია ნამდვილი სიყვარული, ძლიერი სიყვარული. ხოლო მისი ამხანაგები მატყუარები არიან. მათ შორეთ ცირასი და იმიტომ დასცინიან, მეტი არაფერი...

— დაანებე მეგზურობას თავი, რა მოხდა, დაანებე... — გააწყვეტინა გოგომ ფიქრები.

„მეგზურობას დაანებოს თავი? რატომ დაანებოს?“ — გივის დედამისი წარმოუდგა თვალწინ, შვილის მუყაითობით რომ ამაყობს ნათესავებსა და მეზობლებში. მერე საკაბე და თავსაფარი გაახსენდა, დედისთვის რომ უნდა ეჩუქებინა, საკუთარი შრომით შეძენილი საჩუქარი.

— დაანებე თავი, გივი...

გოგო მოსწყდა ადგილს და სიბნელეს შეერია. ქვევიდან მოისმოდა მისი ფეხის ხმა. მალე კი, ისიც მიწყდა. მდუმარება დამკვიდრდა ირგვლივ, მდუმარება, წყვდიადი და აუტანელი სიჩუმე.

გივიმ იგრძნო, ეს უკანასკნელი სიტყვები თრთოლვით რომ იყო წარმოთქმული. გოგო ტიროდა, ტიროდა, მაგრამ მალავდა. იგი ამაყი იყო და არ უნდოდა მტირალი დაენახა ბიჭს. იგი სიბნელეს შეერია და დამალა თავისი ცრემლები...

გივი გაოგნებულიყო. მერე გონს მოვიდა და გზა განაგრძო. ამ კუნაპეტ სიბნელეში საშიში იყო სიარული, მაგრამ იგი ცირაზე ფიქრობდა და სულაც არ დარდობდა მოსალოდნელ ხიფათზე. უაზროდ მიუყვებოდა ბილიკს, ვერც კი გაიგო, როგორ გავიდა სამშვიდობოზე.

მერე ტყე დაიწყო. ტყე დაბურული და იდუმალებით მოცული. მერე გზა, სამარხილო გზა. მალე რაღაც ფაჩუნი შემოესმა. სადღაც შორს კი ტურასავით დაიკნავლა რაღაცამ. ბიჭი სირბილით დაუყვა გზას. სიარულში გახურდა და აღარ აკანკალებდა. შუაღამისასღა ჩააღწია ბანაკში. მეგზურისათვის განკუთვნილ კარავში შეძვრა და გაუხდელად მიეგდო.

მეორე გზობაზეც არავინ დახვედრია ფერმაში.

მესამედ რომ წავიდა, მწველავმა გოგოებმა უთხრეს:

— გუშინწინ გაიქცა, ველარ გაძლო, აქ ბავშვთა ბაღი ხომ არ იყო...

მათ ერთი ხარხარი ასტეხეს. დიდხანს ხარხარებდნენ. მერე ერთ-ერთმა თქვა:

— შენ, როგორც ჩანს, კარგად ვერ იცნობ პატარა გოგონებს, ისინი მეტისმეტად ეჭვიანები არიან... შენ გააქციე იგი, სიმართლე თუ გინდა...

სხვები კვლავ ახარხარდნენ.

„რა მოუვიდათ, ხომ არ გაგიჟდნენ? თითქოს შურს იძიებენ რაღაცაზე. ნამდვილად, თითქოს შურს იძიებენ. მაგრამ რაზე? რა დავუშავე ისეთი?... ის პირველი შეხვედრა?... წარმოუდგენელია, აბა რამ გააგიჟათ ასე?“ — ფიქრობდა ბიჭი. ნერვები აეშალა, კინაღამ აღრიალდა: მან კი არა, მათ გააქციეს ცირა, ახლა კი ტყუიან... მათ ჩაასმინეს რაღაც ჭორები და გააქციეს... — მაგრამ თავი შეიკავა. რა აზრი ჰქონდა მათთან ლაპარაკს. მაინც ვერაფერს გააგებინებდა. თავჩაქინდრული აუყვა გადასასვლელისაკენ.. უკანიდან მწველავების ხარხარი მოესმოდა, თითქოს ავტომატის ჯერს აყრიდნენ და მთელი სხეული დაუცხრილეს... ახლა იგი ფილტვებდაცხრილული მიდიოდა, სხეულდაცხრილული მიდიოდა. მთებმა, კლდეებმა და მწვერვალებმა დაკარგეს პირვანდელი სახე და მოჩვენებებად იქცნენ. იგი ამ მოჩვენებებშორის მიიკვლევდა გზას. მერე თვითონაც მოჩვენებად იქცა. გამოფატრული და გამოშიგნული მიბაჯბაჯებდა. მალე ყველაფერმა ტრიალი დაიწყო მის თვალწინ: ღრუბლებმა, მთებმა და მწვერვალებმა... ყველაფერმა თავბრუდამხვევი ტრიალი დაიწყო და გაუჩერებლად ტრიალებდა.

ბიჭი კი ჰგავდა ოქროსმაძიებელს, ხელმოცარულ ოქროსმაძიებელს, სადღაც შორს, მიუვალ მთებში რომ სცადა თავისი ბედი, და არ გაუმართლა.

მერე ცაზე შავი, შემაზრზენად შავი ყვავები გამოჩნდნენ.

— ყვა, ყვა... ყვა... — დაიძახეს ყვავებმა.

— ყვა... ყვა... ყვა... — დაიძახეს ისევ ყვავებმა.

სადღაც ქვევით, ამ მთების სიღრმეში ვერცხლისფერი და ჯანმრთელფილტვებიანი მდინარე მიიკლაკნებოდა და მიანგრევდა ყველაფერს, მაგრამ მისი ხმაური ვერ აღწევდა გივიმდე.

...ყვავებს კი ბიჭის თავზე კამარა შეეკრათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრო ლომიძე

ბ ო რ ო ზ ი

მოთხრობა

შორეული ცურვის შტურმანმა თეიმურაზ თანდილავამ ლიას გულისათვის მიატოვა ხომალდი და ნავსადგურის მრავალტირაჟიანი გაზეთის კორესპონდენტად დაიწყო მუშაობა. დღედაღამ ოცნებობდა ლიაზე. ეძებდა გაცნობის საბაბს და ჩქარა ამის შესაძლებლობაც მიეცა, რედაქტორმა უთხრა:

— ლიას გაესაუბრე, ნარკვევი დამიწერე. ცნობილმა ექიმებმა ვერაფერი უშველეს ბავშვს, ლიამ კი განკურნა.

თეიმურაზი პოლიკლინიკისაკენ გაფრინდა. მაშინ მას უსაზღვროდ უყვარდა ყოველი ადამიანი, ყოველი ხე და სახლი, გადაბარდნილი ქუჩები და ზამთრის პირღრუბლიანი, ხეთა კენწეროებამდე ჩამოწოლილი ბამბისფერი ცა. პოლიკლინიკაში შევიდა, ლიას კაბინეტთან შედგა, მწვანე კარის თითბრის ცივ სახელურს ხელი რომ შეავლო, დასცხა. რამდენსამე წამს უძრავად იყო, მერე კარი მცირედ შეაღო, მოკრძალებით იკითხა:

— შეიძლება?

— შემობრძანდით.

კაბინეტში ძალზე ცხელოდა. წაბლისფერთმიანმა ლიამ წიგნი დახურა, ჭაბუკს დიდრონი, ცისფერი, მოკრიალებული თვალები მიაპყრო.

— რას უჩივით, სად მუშაობთ?

ამ შეკითხვამ გული ისე ატკინა თეიმურაზს, ისე დაამცირა და დააბნია, ვერც ხმის ამოღება მოახერხა, ვერც დაჯდომა. ლიამ იცოდა, რომ თეიმურაზი რედაქციის თანამშრომელი იყო. მაშ რატომ შეეკითხა სად მუშაობთო? ჰმ... რას უჩივითო... ავად რომ იყოს, პედიატრთან მივიდოდა? თეიმურაზი ბავშვი ხომ არ არის? „გრძნობს, რომ მიყვარს და აბუჩად მიგდებს...“ ექიმის მარჯვენა ცერის შეღებილსა და წაწვეტებულ ფრჩხილს უაზროდ მიაჩერდა, ნანობდა, აქ რამ მომიყვანაო. მისი ბრინჯაოსფერი, ფართო შუბლი სიმწრის ოფლს დაეცვარა, სახეს ვაჟკაცური იერი გასცლოდა.

— გისმენთ, — სიჩუმე დაარღვია ლიამ.

— რედაქციიდან გახლავარ. — როგორც იქნა, თვალი გაუსწორა და უმალვე მოიღუშა, ვერ გაეგო ალალად იღიმებოდა ეს ტანადი, წარბებგადახატული, ცისფერთვალება ექიმი. თუ დასცინოდა. სკამზე ჩამოჯდა, მუხლზე ბლოკნოტი დაიდო. ისევ იმ ცერის შეღებილ, ბოლოში ფერგადასულსა და წაწვეტებულ ფრჩხილს მიაცივდა თვალებით.

ლიამ მარჯვენა ხელი მაგიდიდან ჩააცურა, სიცილს ძლივს იკავებდა.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — განზრახ ხმას დაუწვრილა, თეიმურაზის სახის მკვეთრ ნაკვთებს აკვირდებოდა.

— თქვენ თურმე სიცოცხლე აჩუქეთ გიორგი ლებანიძის ბავშვს. გთხოვთ მიამბოთ.

— სიცოცხლე ვაჩუქე? ვუმკურნალე. არაჩვეულებრივი არაფერი გამიკეთებია, — მარჯვენა მხარი აიჩეჩა და მაშინ ქათქათა ხალათის გულისპირი გაეხსნა, გამოუჩნდა რძისფერ, სავსე მხარში ოდნავ ჩაჭრილი ფართო, ოქროსფერი ზონარი პერანგისა.

თეიმურაზს ზონარისკენ გაექცა თვალი. ეს შენიშნა ლიამ, სახე აუყირმიზ-

და, ხალათი შეისწორა, შეიბნია, წარბები შეკრა, თვალები დახარა.

— გთხოვთ, მიამბოთ, — თეიმურაზმა გაიფიქრა: „უხერხულ მდგომარეობაში შენც ხომ ჩაგაყენე, ძვირფასო...“

ლია ძუნწად, უხალისოდ მოუთხრობდა, თანაც წიგნს ფურცლავდა. როცა გაჩუმდა, თეიმურაზი წამოიმართა.

— გმადლობთ, — ბლოკნოტი იღლიაში ამოიდო.

ლიას თავი ზევით არ აუღია, ბრძანების კილოთი თქვა:

— თხოვეთ ავადმყოფებს — შემოვიდნენ.

თეიმურაზმა ნელა გაიხურა კარი, სნეული ბავშვების მშობლებისათვის არაფერი უთქვამს. აღელვებული დაბრუნდა რედაქციაში, მწარე ფიქრებს მიეცა: „მენატრებოდა გაცნობა. გავიცანი, მერე? ზევიდან დამყურებს, გულში ალბათ დამცინის...“

კალამი და ქაღალდი კარგა ხანს აწვალა. ნარკვევში დახატული უნდა ყოფილიყო სიკვდილის დათრგუნვით გამოწვეული სიხარული, მას კი ბოღმა აღრჩობდა. ფანჯარასთან მივიდა, მეზღვაურთა პოლიკლინიკას დააშტერდა, თვალწინ აეხატა ტანმაღალი, შეთქვირული ლია, მისი ღრმა. სუფთა, ცისფერი თვალები.

რედაქციის შენობა მთიდან თავს დასცქეროდა ნავსადგურს. ხელმარცხნივ, მწვანე, მღელვარე ზღვაში შეჭრილი მდინარეების — ბესლეთისა და კელასურის ამღვრეული, თიხისფერი წყალი ნაპირს დრანდამდე ზოლივით გასდევდა. ხელმარჯვნივ ზღვას იასამნისფერი ნაზი ნისლი ებურა, ხოლო ჰორიზონტთან წყალზე თეთრი წერტილი ელავდა. ნისლი თანდათან გაიცრიცა, გაიპარა, თეთრი წერტილი ლილისფერმა შეცვალა. ზღვა დაემსგავსა ლილისფერხალიან უზარმაზარ, მწვანე. გადახნულ ველს, რომლის „ბელტები“ მოძრაობდა. აქა-იქ „ბელტი“ თოვლისფრად აელვარდებოდა და მყისვე მწვანე ფერს ღებულობდა.

თეიმურაზი მაგიდას დაუბრუნდა. ქაღალდის სუფთა ფურცელს წინ დაიდებდა. რამდენიმე სიტყვას დაწერდა. არ მოეწონებოდა და ნაგულ-ნაკეწვად დახევდა.

შეღამდა. გაბრაზებულმა კალამი მაგიდაზე დააგდო, ტახტზე წამოწვა. უნდოდა ავადმყოფ ბავშვზე ეფიქრა, თვალწინ კი ლია ედგა და იტანჯებოდა. ძილი როგორ წამოეპარა, არ გაუგია: „გრძელწამწამიანი, სიცხისაგან გათანგული ბიჭუნა წყალს ითხოვს...“ შეწუხებული ლია შერვაშიძე მაჯას უსინჯავს, წამალს ალევინებს. ბავშვს სიცხე უნელდება, გიორგის ჩამომდნარ სახეზე გადარჩენის იმედი აღიბეჭდება, ლია იღიმება და თეთრი მტრედები დანავარდობენ მისი ცისფერი თვალების უსასრულო ლაჟვარდში...“

გაეღვიძა სიხარულის ცრემლით თვალდანამულს, ირგვლივ მიმოიხედა. იგი სავსე იყო სიცოცხლის სიყვარულითა და რაღაც დიდი, გულისამაჩუყებელი გრძნობით. გამარჯვების რწმენით. კალამს სტაცა ხელი და გატაცებით შეუდგა წერას...

გაზეთი „ამერიკანკაზე“ იბეჭდებოდა. იმ ღამეს თეიმურაზი მორიგეობდა, გვერდების ანაბეჭდებს კითხულობდა, ნარკვევში ჩასმულ ლიას პორტრეტს ეალერსებოდა.

მთელი დღე რული ერეოდა, შინ მაინც არ წასულა, ელოდა — ლია რას იტყვის ნარკვევზეო. ვერაფერი გაიგო. „იქნებ წაკითხვის ღირსად არ სცნო? ხვალ ვკითხავ ნათელას, იგი ლიას ამხანაგია და ჩემი სიყრმის მეგობრის შალვას დაა, არ დამიმალავს, მეტყვის“.

* * *

მეორე დღეს პოლიკლინიკაში ეახლა ნათელას.

— ხომ არ მიჯავრდება ლია?

— მოსწონს შენი ნარკვევი. ძალიან გიყვარს? — გამხდარმა, მომცრო ტანის ქალიშვილმა კუნაპეტივით შავი, სევდიანი თვალები თვალებში გაუყარა თეიმურაზს.

— მიყვარს. გევედრები, ერთხელ მაინც შემახვედრე.

— სად, ბიჭო? აქა?

— აქ უხერხულია, მინდა საუბრით გული ვიჯერო.

— მაშ სად?

— შენს ბინაში. საცაა ჩამოვა შალვა, თავი მოუყარე შენსა და შალვას მეგობრებს.

— თემო, მომისმინე: შენ ხომ იცი, რომ ლიას მამას, ამ სახელმოხვეჭილ კაპიტანს არაოფიციალური ცოლიც ყოლია ოდესაში. ლიას დედა თავის ქმარს ამის გამო გაეყარა, ცხოვრობდა ისე, როგორც პატიოსან აფხაზ ქალს შეეფერება. მთხოვნელი ბევრი ყავდა; თუმცა ახალგაზრდა და ლამაზი იყო, ყველა უარით გაისტუმრა — ლია დამეჩაგრებაო. სისულელეა იმის თქმა, რომ „ყოველი მეზღვაური გარყვნილია". ლიას არ უყვარს მეზღვაურები, ბევრჯერ უთქვამს: — მეზღვაურს არ გავყვები ცოლადო. ლია გრძნობს, რომ გიყვარს, მაგრამ მის გულს შენი სიყვარული არაფერს ეუბნება. გაითვალისწინე ისიც, რომ ლია მეცნიერია, ოცნებობს რაღაც დიდ, მნიშვნელოვან ალმოჩენებზე და არა ოჯახის შექმნაზე. ამაყია, გოროზია, განებივრებულია.. ჩემო თემო, კარგა ხანია ალარ ისმის შენი ზარიანი სიცილი, მუდამ გახსოვდეს: ქალს რაინდი უყვარს, გამაგრდი, შენ ხომ ვაჟკაცი ხარ? თხოვნას შეგისრულებ, შეგახვედრებ.

* * *

თეიმურაზი აფორიაქებული იყო, ერთ ადგილას დიდხანს ვერ ჩერდებოდა, რედაქციის შენობაში სული ეხუთებოდა, ვერც ქუჩაში პოულობდა შვებას. ენატრებოდა დათრობა, თავს იკავებდა; სიფხიზლეში მშვიდი, თავაზიანი. სიმთვრალეში კარგავდა ყოველსავე ადამიანურს, მხეცს ემსგავსებოდა, უწმაწური სიტყვებით ამკობდა კაცსა და მანდილოსანს, მკლავებს იკაპიწებდა, საჩხუბრად იწევდა. კაცთან გავლილ, დალაპარაკებულ ლიას თვალს თუ მოკრავდა, შმაგდებოდა, ტუჩებს კვნეტით ისევებდა. ერთხელ, აგტობუსის გაჩერებასთან პოლიკლინიკის დირექტორი და ლია დაინახა. ლია კისკისებდა, დირექტორი ალბათ რაღაც სასაცილო ამბავს უყვებოდა. თუმცა დირექტორი მოხუცებული იყო, თეიმურაზის ტვინს იჭვის მორიელები გესლავდნენ მაინც.

* * *

შალვა შორეული ცურვიდან რომ დაბრუნდა, ნათელამ ვახშამი გამართა, შალვას მეგობრები მოიწვია, იქ იყო ლიაც.

თამადობდა შალვა. ლია რომ ადღეგრძელა, მის გვერდით მჯდომმა თეიმურაზმა ამოიოხრა. შალვა დაიხარა, ჩასჩურჩულა: „თემო, თავი ვაჟკაცურად დაიჭირე, თორემ შემომელანძღები. ლიას ნათელასთვის უთქვამს — თეიმურაზს არ გავყვები ცოლადო. ეშმაკსა და ქაჯს გაჰყოლია ცოლად, მაგის დასაწუნი რა გჭირს? ისე დადის, თითქოს სარი გადაეყლაპოს".

შეზარხოშდნენ, გამხიარულდნენ, არ მღეროდა მხოლოდ თეიმურაზი, ჭიქაში წვეთს არ ტოვებდა, მაინც არ ეკიდებოდა.

ლია და ნათელა ჩუმად საუბრობდნენ:

ლია: — ზედაც არ მიყურებს, შენ კი ჩამჩიჩინებ, გაგიჟებით უყვარხარო.

ნათელა: — რომ იწუნებ, იცის, ამაყია.

ლია: — ვისგან გაიგო? შენ უთხარი?

ნათელა: — თემოსთვის არაფერი მითქვამს. მე შალვას ვუთხარი, შალვა ეტყოდა.

ლია: — ალბათ ბევრი მაგინა...

ნათელა: — ბიჭი დარდისაგან დაიდრიკა, ნუთუ ვერაფერს ამჩნევ?

ლიამ თეიმურაზს ფიქრიანი თვალებით გახედა.

— თემო!

თეიმურაზმა ლიასკენ მოწყვეტით მოატრიალა თავი.

— გისმენთ, ქალბატონო.

— თავი ასწიეთ, მე მგონია მიწყრებით.

— რა უფლება მაქვს გაგიწყრეთ?

— თქვენი ფელეტონი წავიკითხე, ის ადგილი მომეწონა, სადაც ბავშვის ოცნებას ხატავთ. როცა რვა, თუ ცხრა წლის გოგონა შევყურებდი ნაოჭებით სახედაღარულ ჩემს ბებიკოს, ვფიქრობდი: გავიზრდები, ექიმი გავხდები, სიბერესა და სიკვდილს შევებრძოლებიმეთქი. როგორც ხედავთ, ჯერ ვერაფერს მივაღწიე. ზედმეტი, გადაჭარბებული ქება ადამიანს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს, მე ასეთი დითირამბები არ დამიმსახურებია. მართალია, სიკვდილს გამოვტაცე ბავშვი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემისთანა პედიატრი არ მოიძებნება ქალაქში. ბავშვის გადარჩენისათვის მე ვიბრძოლე ბოლომდე. რა თქმა უნდა, საჭიროა ცოდნა. მთავარი მაინც სიყვარული ყოფილა. როცა ავადმყოფს ფეხზე დავაყენებ, რომელიმე სნეულების წინააღმდეგ ახალ სამკურნალო საშუალებას მივაგნებ, ან სადისერტაციო ნაშრომს ახალი იდეებით გავამდიდრებ, მზად ვარ ვიმღერო, თუმცა სმენა არ მივარგა, მზად ვარ ვიცეკვო, ვიცინო, ნაცნობი თუ უცნობი გადავკოცნო. მე მგონია, ნამდვილ ბედნიერებას მხოლოდ მაშინ განიცდი, როცა ხალხისათვის საჭირო, სასარგებლო, შემოქმედებითი შრომით ხარ გატაცებული. — ლიამ გაიღიმა.

თეიმურაზს საოცრად უყვარდა როცა ლია იღიმებოდა. მისი დიდრონი, ცისფერი თვალების უძირო ლაჟვარდში ფრთამოფართქალე თეთრი მტრედების ბოინი ჩნდებოდა და უჩინარდებოდა...

— აი, მაშინ თქვენთან ახლოს რომ ვიყო, მაკოცებთ? — თეიმურაზის გულს შეალერსების სურვილი შემოეგზნო.

ლიამ წარბები შეჭმუხა, ტუჩაბზუებით თქვა:

— თქვენ, ბატონო თეიმურაზ, ხავსს ეჭიდებით. — ნათელას რაღაც გადაუჩურჩულა და გადაიხარხარა.

ნათელას შეეცოდა თეიმურაზი, ლიას უსაყვედურა:

— როგორი მკაცრი ხარ...

თეიმურაზს სახე წამოენთო, გაგულისებული, შეურაცხყოფილი ერთ ხანს მერყეობდა — იქ დარჩენილიყო, თუ სუფრა მიეტოვებინა: „რომ წავიდე, ლიას თვალში უფრო დავმცირდები. თავს ისე დავიჭერ, თითქოს არაფერი მომხდარა, აგრე აჯობებს“, — გადაწყვიტა. ლიას ოდნავ ზურგი შეაქცია და აკანკალებული ხელით პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა.

— შესვი ღვინო! — ლიას ცოტა მკვახედ მიმართა შალვამ, — უფრო ზრდილი, გულისხმიერი მეგონე, ნუ ჩაგრავ ჩემს მეგობარს, ამის უფლებას არ მოგცემ.

— განა დავჩაგრე? — ჯერ თითქოს გაიოცა, მერე კმაყოფილებით გაიღიმა, ჭიქა გამოცალა და გულდაჭინჭრულ, თვალებამღვრეულ თემოსკენ თვალი გააპარა.

ნათელას გიტარა მიართვეს. გულის სიღრმიდან ამოფრენილი წკრიალა ხმით დაამღერა: „მშვენიერო, შენ გეტრფი...“

* * *

შალვას ამხანაგმა — ელამმა, შეჟიჟღილებულმა, მელოტმა ცეცხლფარეშმა თეიმურაზს ბარათი მისწერა. „ცხვირი რატომ ჩამოგიშვია, რატომ იბღვირები? მოილხინე, ღვინო და არაყი ბევრი გვაქვს“. თეიმურაზმა ზიზღით გადახედა ღვინისაგან წამოჭარხლებულსა და გაოფლილ ცეცხლფარეშს, მან კი მიამიტად გაიცინა და დაბრეცილი ჭროღა თვალი დაუპაჭუნა.

ნაშუაღამევს აიშალნენ.

—მე მინდა თქვენ გამაცილოთ,—გ-

მომწვევად უთხრა ლიამ სკამზე მჯდომ, სახემოღრუბლულ თეიმურაზს.

თეიმურაზი უფრო მოიქუფრა, ნელა, ზანტად ადგა.

— დაბრძანდით, შალვა გამაცილებს. — ლიამ თავი ამაყად გადაიღერა, ქუსლებზე შემოტრიალდა, თეიმურაზს ზურგი უჩვენა, ასე იდგა, ვიდრე შალვამ თავისი ქუდი არ მონახა.

თეიმურაზს ვერ გადაეწყვიტა — დამჯდარიყო, თუ სხვებთან ერთად წასულიყო.

—ნახვამდის, თემო!—ლიამ ამღვრეულ თვალებში ჯიქურ ჩახედა, უცებ უბიძგა, მოტრიალდა და მკლავი მკლავში გაუყარა შალვას.

* * *

თუ წინათ ლია თეიმურაზს ყურადღებას არ აქცევდა, ახლა ცისფერი თვალების მადლიან ღიმილს აჩუქებდა ხოლმე. ივნისის მიწურულში ლიამ ნავსადგურში შეაჩერა თეიმურაზი და ჰკითხა:

— საყელო რატომ აგიწევიათ?

— ყელი მტკივა.

— რატომ არ მოხვალთ ჩემთან?

— თქვენ ხომ ბავშვების ექიმი ბრძანდებით? გარდა ამისა, მე მეშინია თქვენი გესლიანი ენის.

— წავიდეთ პოლიკლინიკაში,—უთხრა ბრძანების კილოთი.

ლიამ თავის კაბინეტში შეიყვანა, ყურმილს დასწვდა. ყელ-ყურის ექიმს სთხოვა, მინახულეო. რამდენიმე წუთის შემდეგ შეჭაღარავებული, დარბაისელი ექიმი ქალი შემოვიდა, ლიას აკოცა.

— რამ შეგაწუხა, ჩემო მშვენიერო? რამე ხომ არ გტკივა?

— მე კარგად ვარ, ეს მეზღვაური უნდა გასინჯო.

ყელ-ყურის ექიმმა თეიმურაზს პირი დააღებინა, თქვა:

— ანგინაა, წამოვიდეს ჩემთან

ლიამ, ჯიუტად თავი გააქნია:

— მე ვუმკურნალებ.

ყელ-ყურის ექიმმა ერთ ხანს უყურა განაბულ, ფერმიხდილ თეიმურაზს, მერე ლიას თლილ თითებსა და ლამაზ, მკაცრ სახეს დაადგა თვალი. გაიფიქრა: „ამ მეზღვაურმა ნუთუ მოინადირა ზვიადი, თავნება გოგოს გული?“ იგი კაბინეტიდან გავიდა.

— რა მხდალი ყოფილხართ, თემო! კაცის ფერი არ გადევთ, ნუთუ ანგინაც აგრე შეგაშინათ?

— კიდევ რას მეტყვით?

— მე მეგონა ვაჟკაცი იყავით.

— ჩემი დამცირებით თქვენ თუ მხიარულდებით, ნეტარებას განიცდით, დამამცირეთ, დამგესლეთ, მაკადრეთ ყველაფერი. არ მეწყინება, რადგან ვგრძნობ: თქვენს მკერდში თბილი, კარგი გული ძგერს.

— არავინ გეკითხებათ — ჩემს მკერდში როგორი გული ძგერს... — აეხთოლია.

—ნუ მიჯავრდებით, მე მინდა თქვენი მზერით, თქვენთან ახლოს ყოფნით დავტკბე, სხვა ბედნიერებას არ ვისურვებ.

— ვითომ? საეჭვოა...

ამ დროს გაიღო ღრიჭოდ დატოვებული კარი, ბავშვიანმა ახალგაზრდა ქალმა თავი შემოჰყო, იკითხა:

— შეიძლება, ექიმო?

— მოითმინეთ.

ორიოდე წუთის შემდეგ სხვა ქალმა ითხოვა შემოსვლის უფლება.

— თუ საქმე არა გაქვთ, გარეთ მოიცადეთ, ავადმყოფებს გავისტუმრებ, კვლავ ვისაუბროთ. როგორც გატყობთ, გეძნელებათ წასვლა, — ლიას გულიანად გაეცინა.

— მე მინდა სახლამდე მიგაცილოთ, მომცემთ უფლებას?

— კი.

სახეგაბრწყინებული თეიმურაზი კაბინეტიდან გავიდა, იქვე მერხზე ჩამოჯდა, სადაც ავადმყოფი ბავშვები და მათი დედები ისხდნენ. ზოგი ბიჭუნა, თუ გოგონა ხმას არ იღებდა, ზოგი კვნესოდა, ზოგი ჩხაოდა, ზოგიც ტიკტიკებდა, ცელქობდა. „ამდენ ბავშვს როდის გაისტუმრებს? რაღა დღეს მოიყარა ყველამ თავი?“

ორ საათში მერხი დაცარიელდა, თე-

იმურაზი ერთბაშად გამხიარულდა და გულისამჩუყებელი სიყვარულით განიმსჭვალა დედამიწაზე მცხოვრებ ყოველი ბავშვისადმი. ლიასთან შესვლა რომ დააპირა, კრუსუნი შემოესმა, მიიხედა, სამი ბავშვიანი ქალი შეეფეთა და აღშფოთდა, ისევ მერხზე დაეშვა. სამს ოთხი შეემატა, გრძელი მერხი კვლავ აივსო სნეული ბავშვებითა და მათი დედებით. ბავშვების ჩხავილსა და ტიკ-ტიკს დაერთო მშობლების გაუთავებელი ყაყანი, ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. გაცოფებული თეიმურაზი ქუჩაში გავარდა, პოლიკლინიკის წინ დიდხანს მიმოდიოდა.

* * *

სამუშაო დღე მიიწურა. ლიას კაბინეტის კარმა რომ გაიჭრიალა, თეიმურაზი წამოდგა. ლია განცვიფრდა. წარბები აზიდა და ჰკითხა:

— ნუთუ მას შემდეგ აქა ხართ და მელოდებით?

— დიახ.

— ავადმყოფები რომ წავიდნენ, რატომ არ შემოხვედით?

— თქვენ ხომ იცოდით, რომ აქ ვიყავი?

— დღეს ბევრი ავადმყოფი მივიღე, დავიღალე და სულ დამავიწყდა.. ალბათ გულში მაგინებთ. ახლავე, თემო...

ლია და თეიმურაზი პოლიკლინიკიდან ერთად გამოვიდნენ, ერთხანს დუმილით მიჰყვებოდნენ ზღვის ნაპირს.

— რა ლამაზად ღელავს ზღვა! მომიყევით რამე, თქვენ ხომ მრავალჯერ გადასერეთ ოკეანეები და ზღვები, ნახეთ მსოფლიოს თითქმის ყოველი კუთხე. ნათელამ მითხრა. თეიმურაზს ბევრი საინტერესო წიგნი აქვსო.

— ბათუმიდან ოდესამდე ყოველ ბუკინისტს ვიცნობ, რუსულ, ფარნგულ, ინგლისურ ენებზე გამოცემული ძვირფასი წიგნი თუ ჩაუვარდათ ხელში, ჩემთვის ინახავენ.

— მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურას ეტანებით?

— ვკითხულობ მეცნიერულს, თუ ის გასაგები ენით არის დაწერილი.

—ვინ არის თქვენი საყვარელი მწერალი?

— საბა, ბარათაშვილი, დოსტოევსკი, ჩეხოვი და გოეთე.

— ფრანსუა ვიიონი არ მოგწონთ? მთელი მისი ცხოვრება რომანტიულია და მიმზიდველი.

— ვიიონი მომწონს როგორც პოეტი, როგორც ადამიანი კი... მკვლელის, მძარცველის, ყაჩაღის ცხოვრება, აბა, რა მიმზიდველია? ადამიანი უნდა გიყვარდეს, გებრალებოდეს. როცა წაჩხუბებულ, გაავებულ. წაკინკლავებულ ადამიანებს ვხედავ, გული სიბრალულის გრძნობით მევსება, მინდა შევარიგო ისინი, ვთხოვო: გიყვარდეთ ერთმანეთი! პატივი ეცით ერთმანეთს!

— ფრანგულ ენაზე კამიუს რომელიმე ნაწარმოები თუ წაგიკითხავთ?

— მხოლოდ ერთი რომანი, სათაური არ მახსოვს.

— მამამ შარშან მარსელიდან ჩამომიტანა კამიუს ორი რომანი და დრამატიული ნაწარმოებები. ბრწყინვალე მწერალია, მაგრამ ვერ მხიბლავს, ვერ მატყვევებს, ის არსებითად უარყოფს ამ ცხოვრებას. მე კი თავდავიწყებით მიყვარს ეს ქვეყანა.

— კამიუმ ნაღვლიანი ფიქრები აღმიძრა, იქნებ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მამა გარდამეცვალა, მერე უმცროსი დაი დავასაფლავე. ადამიანი ისე გლოვობს, ისე დასტირის მიცვალებულს, როგორც რამდენიმე ათასი წლის წინათ დასტიროდა. მაშინ სწამდათ საიქიოს არსებობა და მაინც ეთუთქებოდათ გული, როცა საყვარელი ადამიანის ცხედარს დაჰყურებდნენ. ახლა უფრო მშვავედ განვიცდით ადამიანის სიკვდილს. ადამიანი დაიბადება, იხილავს ამ მშვენიერ სამყაროს, შეიყვარებს და ტირილით ეთხოვება. ხანდახან მეც ვფიქრობ: რა საჭიროა ასეთი ლამაზი სამყაროს არსებობა. რა საჭიროა სიყვარულის გრძნობა, როცა სიკვდილი თავს დაგვ-

ტრიალებს? ადამიანი ვერასოდეს ვერ შეურიგდება სიკვდილს. განა შეიძლება არ გაფიქრებდეს, არ გტანჯავდეს, არ გაღელვებდეს ის მოვლენა, რომელიც ემუქრება სიცოცხლეს? სიკვდილი იმიტომ არის საშინელი, შემაძრწუნებელი, რომ სიცოცხლე ტკბილია და უსაზღვროდ საყვარელი. სადაც სიბერეა, სნეულება და სიკვდილი, იქ არ შეიძლება იყოს ნამდვილი, სრულფასოვანი ბედნიერება.

— სიკვდილი მართლაც საშინელი მოვლენაა, მაგრამ თქვენ ამჩნევთ ადამიანის მხოლოდ სუსტ მხარეს. მე კი, როცა ტელევიზორის ეკრანს მივჩერებივარ, ან რადიომიმღებს ვუსმენ და მესმის კოსმონავტების საუბარი, სიამაყის გრძნობა მეუფლება, მიხარია, რომ ადამიანი ვარ. ერთმა მწერალმა, მოხდენილად თქვა: ადამიანი მხოლოდ მოაზროვნე ლერწამი როდია, იგი საკუთარი თავის და სამყაროს გარდამქმნელიცაა, იგი დაუსაბამო სივრცეა წერტილში გამოსახული და წუთში მოთავსებული უსასრულობა ჟამისაო. დედას უკვდება ერთადერთი შვილი და თავს მაინც არ იკლავს, აი, როგორი ძლიერია სიცოცხლის სიყვარული! როგორ მოვიქცეთ, თემო, ადამიანს მოვუშხამოთ ცხოვრება სიკვდილზე, სიბერეზე, სნეულებაზე წუწუნით, თუ შევებრძოლოთ სიბერეს, სნეულებას, სიკვდილს? გამოირკვა, რომ ზოგიერთი ცოცხალი არსება უკვდავია, რატომ არ შეიძლება, ადამიანიც გავხადოთ უკვდავი?

— მე არ მითქვამს, ვიწუწუნოთო. რა თქმა უნდა, საჭიროა ბრძოლა. უნდა ვიბრძოლოთ ისეთი ცხოვრებისათვის, როცა ადამიანი ადამიანს არ დაჩაგრავს, ერი ერს არ დაჩაგრავს, როცა ადამიანი მუდამ ჭაბუკი იქნება. არავინ იცის, ადამიანი მიაღწევს თუ არა უკვდავებას, მაგრამ რადგან ვარსებობთ, უნდა ვიბრძოლოთ. მე ვხედავ ადამიანის ძლიერ მხარესაც, მეც ვამაყობ მისი სიბრძნით. მიღწევებით, მაგრამ ვიცი, რომ ადამიანი დაბერდება, დაჭკნება; ის, ვინც ქმნიდა და მუსრავდა ღმერთებს, მიწად იქცევა, ეს მიკლავს გულს.

ლია და თეიმურაზი ქვის ორსართულიანი სახლის წინ შეჩერდნენ.

— შემობრძანდით, ვისადილოთ. — სთხოვა ლიამ.

— გმადლობთ, სხვა დროს.

ლიამ ხელი გაუწოდა.

თეიმურაზი ეამბორა, მის ტუჩებს „წითელი მოსკოვისა“ და რაღაც წაშლის სუნი აჰყვა. უნდოდა ლიას ფაფუკი ხელი ერთხანს დატყვევებული ყოლოდა განტელებისგან დაკორძებულ თავის ხელში, მაგრამ ვერ გაბედა.

— სათხოვარი მაქვს, ლია.

— ბრძანეთ.

— მე მინდა სახლამდე მიგაცილოთ ხოლმე.

— არ შეწუხდებით?

— პირიქით.

— პირიქით? — რაღაც ცბიერმა იფეთქა ლიას თვალებში, ტუჩებზე დამცინავი ღიმილი შეუთამაშდა. — მეტად გულუბრყვილო ჭაბუკი ბრძანდებით.

თეიმურაზი აიწურა, დაიბნა.

„მორიელი ვარ“, — გაიფიქრა ლიამ, თეიმურაზისაკენ გადადგა ნაბიჯი და დაყვავებით უთხრა:

—აქ დიდხანს დგომა უხერხულია, მეზობლების ცნობისმოყვარე თვალები გვჭამენ. ყოველთვის ჩემი თანამგზავრი იქნებით, გესმით? მე ეს მინდა. ახლა ან წადით, ან შინ შემობრძანდით.

— ნახვამდის! — თეიმურაზი ჯერ ორეული ნაბიჯით მიდიოდა, მაგრამ ჩქარა გზა მტკიცე ნაბიჯით განაგრძო. „ყოველთვის ჩემი თანამგზავრი იქნებით. მე ეს მინდა...“ — გულში ვიღაცა მღეროდა ამას, თითქოს ბედნიერი იყო და რატომღაც მაინც იტანჯებოდა.

თეიმურაზს ივნისში იშვიათად უნახავს აგრე აბორგებული ზღვა. ზღვაური ქროდა ხან მძლავრად, გააფთრებით. ხანაც უსტვენდა უღონოდ, იდუმალი ხმით. ზღვის ზედაპირი დასერილი იყო მოგრძო, თოვლისფერი მოძრავი ზოლებით. ზვირთები ნაპირისაკენ მიეშუ-

რებოდა, იქ ყალყზე დგებოდა. ტყდებოდა, ქაფდებოდა, შხეფებს შადრეკნებივით ისროდა და ამრიალებული ტყის ხმას გამოსცემდა.

ღრუბლებში ხანდახან იგრაგნებოდა ელვა და ისმოდა გრუხუნი.

არც გემი ჩანდა, არც მებადურთა ნავები თუ კატარღები. თოლიები დაფრინავდნენ ნაპირთან, წყალს მონუსხულებივით დასცქეროდნენ, თევზს ეძებდნენ. ფრთებს ხან ზანტად აფათფათებდნენ, ხანაც ფრთაგაშეშებულნი ქანაობდნენ ქარის ზვირთებზე.

თეიმურაზს უყვარდა აქაფებული ვეება ტალღებთან თამაში და შერკინება, მაგრამ ნაპირთან ეყარა შეხავსებული და ნიჟარებმოკიდებული ლოდები. ბანაობა საშიში იყო.

ზღვისაგან ცოტა მოშორებით, ხრეშზე, ბავშვის ტანისამოსი შენიშნა და გაოცდა, მიხვეულ-მოხვეულ, ქაფით გადათეთრებულ ნაპირს თვალი გააყოლა, გაიფიქრა: „ნეტავი ვისია ეს ტანისამოსი?“ და სწორედ იმ დროს იქვე, წყლიდან ამოყოფილი პაწია, თეთრი თითები დალანდა. „ნუთუ? ეგებ მომეჩვენა? მაგრამ ტანისამოსი? ცოცხალია? დამორჩვალს ხომ არ ათამაშებს ზვირთი?“

ზღვაში შევარდა, ლოდს ფეხი წამოსდო და წაიქცა. წამოდგომისთანავე შეაბარბაცა ტალღამ, თავზე შხუილით, ბუყბუყით გადაუარა. მცირე მანძილით გასცდა იმ ადგილს, სადაც ტალღა ტყდებოდა და ჩაიყურყუმელავა. წყალი ნაპირთან ამღვრეული იყო, კენჭებისა და ზვირთის ხმაური ყურის აპკებს თითქოს უხეთქავდა, ფრთხილად დაცურავდა — ლოდს თავით არ შევანჯღეო. ზოგჯერ ფსკერზე შავ, მოზრდილ საგანს ნახულობდა, იცოდა, რომ ეს ლოდი იყო, ხელს მაინც უფათურებდა. „მისი სული იქნებ ჯერ არ გაჰყრია სხეულს და საცოდავი ელის შვებას?“

თეიმურაზი კვლავ უახლოვდება მოშავო საგანს, ესეც უთუოდ ლოდია, მაგრამ არა, ადგილს თითქოს ინაცვლებს. თითქოს მოძრაობს. თეიმურაზს ჰაერი წყურია, უჭირს წყლის სიღრმეში ყოფნა, ლამის პირი დააღოს... ამოყვინთავს, ფილტვებს ჟანგბადით ამოივსებს და ამ ადგილს ისევ დაუბრუნდება, მაგრამ ეს იდუმალი საგანი მერე რომ ველარ იპოვოს? იქნებ ბავშვია? თეიმურაზმა რამდენჯერმე გადაყლაპა მარილიანი, გულისამრევი წყალი და იმ საგანთან მიცურდა. ზღვის დიდმა კატამ შხამიანი ბოლო მოიქნია, თეიმურაზს კინაღამ სახეში ჩაჰკრა. დაფეთებულმა უმალ უკან დაიხია. ამოიჭრა, ჰაერი ხარბად, ღრმად ჩაისუნთქა და ისევ ჩაიძირა, ახლა ბავშვს სხვაგან დაუწყო ძებნა. ლოდებს შორის მურენასავით დასრიალებდა, თვალებს ძაბავდა, ლოდებზე მიმაგრებულმა ბასრმა ნიჟარებმა თითები რამდენსამე ადგილას გაუკაწრა, განაკაწრი მარილიანმა წყალმა აუწვა.

პაწაწინა თეთრი თითები ელანდებოდა...

იქ, სადაც თეიმურაზი ბავშვს ეძებდა, ღრუბლებში ჩაისრებული მზის სხივი ზვირთს სვეტად დაადგა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღეკო შენგელია

დაგრუნეგა პირველ სიმღერასთან

მოვალ, ბავშვობის ლექსებს სალამი,
თქვენსკენ მომიხმობს ხმა საოცარი.
ჩემი მექა და იერუსალიმი.
ჩემი სენაკი და სალოცავი.

ნირშეუცვლელად ჭირს გავუძელი,
და უთქვენოდ კი ვეღარ გავძელი,
როგორც ქაღალდის თეთრი
ფურცელი,
ხელში მიჭირავს მიწის ნაჭერი!

კვლავაც მიგალობს, მეტყვის,
მასწავლის
იგი, — სიმღერის ჩემის თავდები,
და აღარ ვეძებ სხვა გზას არსაით,
აქ დავიწყე და აქ გავთავდები.

ეჰე, ბავშვობის ლექსებს სალამი,
ბუბუნებს მიწა მზეში ნაწერი,
და როგორც ჩემი ლექსის წამალი,
ხელში მიჭირავს ზეცის ნაჭერი!...

მოვალ, მოვდივარ ცავ და მიწაო,
პირველ სიმღერას სალამი ჩემი,
უპირველესი სხვა რა ვიწამო,
თქვენი ვიწამე შუქიც და ცრემლიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგი ჭილაია

ეკატერინე ჭავჭავაძე

ქრონიკა

წიგნი მეორე

თევდორე ხოშტარიას დღიურების გაგრძელება

5 იანვარი. საბოლოოდ დავამარცხე ჩემს გულში უიღბლო სიყვარული. მაშინ მე იმ სიყვარულმა მთლად გამომალენჩა. მე, თევდორე ხოშტარიამ, რომელსაც უბრალო სატრფიალო ბარათიც კი არავისთვის მიმიწერია, მაშინ ლექსების წერა დავიწყე. გუშინ ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე ეს ლექსები და ცეცხლის ალს გავატანე. მე ახლა ვწყევლი, ვწყევლი ჩემს შემცდენელ ეშმაკებს და ხატის წინ ვლოცულობ ჩემი დედოფლისათვის, ვინც ასეთი სულგრძელობა გამოიჩინა ჩემს მიმართ, არ გამომაგდო. მარტო დატუქსვა მაკმარა. მერე მომეფერა და ასეთი დიდი დავალებით და მინდობილობით გამომისტუმრა პეტერბურგს.

დიდად სულგრძელია ჩვენი დედოფალი. აბა, რა სულელი ვიყავი მაშინ პარიზში, იმ ერთ წყეულ დილას თავი ეკატერინეს სწორად რომ წარმოვიდგინე და გულში გავივლე ეშმაკეული აზრი. ახლა პეტერბურგს ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, ეკატერინე ჩემი მზეა, ჩემი კი არა, მთელი ჩემი ქვეყნის მზეა. და მე მის მონას, თევდორე მღვდელს, მევალება მუდამ დღე დამხობილი ვიყო ამ ხატის წინაშე და ვილოცო მისთვის. მე, დედოფლისაგან უღირსმა, ნდობა დავიმსახურე და დედოფლისაგან ბოძებული ეს პატივი ვეღარ მოარჩენს ჩემს ცოდვილ სულს. ლოცვითა და გვემით, მრთმინებითა და მონახიებით თუ განვკურნავ ჩემს სულს, თორემ სხვა გზა აღარა მაქვს მე უბედურსა...

10 იანვარი. ამ დილით ისეთი ექსტაზით ვილოცე, რომ ასე მეგონა განიბანა სული ჩემი ყოველი შეცოდებისაგან. ახლა ისევ ჩემს ნაწერებს ვალაგებ, ბევრი რამ არ მომეწონა, დავხიე და გადავყარე, ზოგი რამ ხელმეორედ უნდა დავწერო, ზოგიც უნდა შევავსო.

ახლა მარტო ვზივარ ჩემს ოთახში და ისევ პარიზი მაგონდება. ის ორი თვე ლამაზი ზღაპარივით დარჩება ჩემს სულსა და გონებაში. ისევ ვიგონებ და ვწერ ამ ზღაპარს, რომ არ დამავიწყდეს, როცა სამეგრელოში ჩავალ მინდა ჩემს ნაცნობებს და მეგობრებს ზუსტად ვუამბო ნახული და გაგონილი.

ლუვრი რომ ვნახე, იმ დღეს ზოგი რამ ჩავინიშნე ჩემს დღიურში. მაგრამ ახლა, როცა პეტერბურგში ვარ, როცა ასე შორსა ვარ პარიზიდან, ისევ თვალწინ მიდგას ეს მუზეუმი. გუშინ ერმიტაჟი ხელმეორედ დავათვალიერე. ვათვალიერებდი და ყოველივეს ლუვრში ნახულს ვადარებდი. უნდა ითქვას, რომ ერმიტაჟში ცოტა როდია ისეთი საოცრება, რაც ლუვრშია. რუსთა მეფეებს ამ მხრივ ქება ეკუთვნით, მაგრამ ლუვრი მაინც სხვაა. რუსებსაც ბევრი რამ გადმოუღიათ ლუვრიდან. ლუვრში საფრანგეთის მეფეები, თავიდან მოყოლებული და ნაპოლეონ პირველით დამთავრებული, სამხედრო ტანისამოსით, საომარი იარაღითა და ჯავშნით, ცხენებზე

გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 7, 8.

შემსხდარნი, როგორც ცოცხლები, ისე დგანან ცალ-ცალკე ოთახებში. ამავე ოთ-ახებში ალაგია, ან კედელზე ჰკიდია ნამდვილი ნივთები და იარაღები, სხვადასხვა ომებში რომ მოუპოვებიათ ამ შეფეებს. განსაკუთრებით ნაპოლეონ პირველია საინტერესო. ის ისე დგას თავის ოთახში, რომ გგონიათ, ცოცხალია. საპარადო ტანისამოსი აცვია, სამკუთხიანი ქუდი ჰხურავს, ბურნუთის კოლოფი და საყურე ბალიშიც თან აქვს, თითქოს ეს-ეს არის ომიდან შინ დაბრუნებულა დიდი ნადავლით და გამალებით ამბავს ჰყვებაო.

... პარიზში მე ვნახე სისხლის სამართლის სახლი. სადაც მსაჯულებიც და ვექილებიც, ჩვენებურად, ბერულად ჩაცმულ-დახურულნი იყვნენ. თავმჯდომარის თავს ზევით მაცხოვრის ჯვარცმაა აღმართული, და მოწმეები მის წინაშე სდებენ ფიცს. ჯვარცმას მარჯვენა ხელს მიაპყრობენ და ისე იფიცებიან, რომ ყველაფერს მართალს იტყვიან.

12 იანვარი. ისევ პარიზი მაგონდება. იმ დღეს ეკატერინესა და მის შვილებთან ერთად სასეირნოდ ვიყავი ბულონის ბაღში. რა ბაღები არ მინახავს ჩემს მოგზაურობაში, მაგრამ ამის მსგავსი არსად არაფერი. ბაღში შედიხარ ვეება ჭიშკრით, რომელზედაც გამოქანდაკებულია თითქმის მთელი ისტორიული მოქმედება ნაპოლეონ პირველისა. ბაღი სიდიდით, იშვიათი ხეებით, შესანიშნავი გზებით, ხელოვნურად გაკეთებული კლდე-გორებით და წყაროს წყლებით მომხიბლავია. ეკატერინე ყოველივე ამას აკვირდებოდა და მეუბნებოდა, აი, როგორ უნდა მოვაწყო ჩემი ბაღები ზუგდიდსა და გორდშიო. ამ ბაღში ყოველდღე, შუადღისას, ოთხი საათის განმავლობაში, 45 ათასი კარეტა შედის, რომლებშიც კაცებიც სხედან და ქალებიც. ისინი იქ სასეირნოდ შედიან.

13 იანვარი. წუხელ მთელი ღამე არ მეძინა. ისევ პარიზი მესიზმრა. ოღონდ უსიამოვნო იყო ეს სიზმარი. ცხადად წარმომიდგა ის სურათი, რაც პარიზში ვნახე. ეს იმ დღეს მოხდა, ნიკომ სასეირნოდ რომ წამიყვანა სენის პირას. ზედ სენის ნაპირზე ერთი დიდი [illegible] ლივით ქვის დარბაზია, [illegible] დამხრჩვალი ადამიანების გვამები ალაგია. ამ კედელში მილია გამოყვანილი, საიდანაც ცივი წყალი ესხმის იქ შენახულ გვამებს, ვიდრე პატრონები გამოჩნდებიან და წაასვენებენ. ასე მითხრა ნიკომ: პარიზში ყოველდღე ხუთმეტიოცი კაცი იხრჩობს თავს ამ მდინარეში. ზოგი გაჭირვების გამო, ზოგი უპატრონოა დამხრჩვალთა შორის, ზოგი უიღბლო მიჯნურია, ზოგიც — კაცებისაგან მოტყუებული და გაუპატიურებული.

მე სულელს ასე მეგონა: მარტო ჩვენს ქვეყანაში იყვნენ დამშეულები და უპატრონონი. თურმე პარიზშიაც ყოფილან ღატაკნი და ბედით განწირულნი. ეჰ, ნეტავ როდის მოეღება ბოლო ცხოვრების უსამართლობასა და ავკაცობას!..

15 იანვარი. პარიზში ერთ ახალგაზრდა სტუდენტს დავუმეგობრდი. იგი ნიკოსთან ერთად სწავლობდა, თუმცა უბრალო წრიდან იყო გამოსული, ნიკო დიდად აფასებდა. ეს რუსი სტუდენტი ნიკოს უმტკიცებდა მომავალი ხალხს, მშრომელ ხალხს ეკუთვნისო. იმან ერთ საღამოს ერთ დიდ რესტორანში წამიყვანა. იქ პურის ჭამა შედარებით იაფი იყო. ორსართულიანი დარბაზი რამდენიმე ათას კაცს იტევდა. ქვედა და ზედა დიდ დარბაზში გარშემო წრედ მაგიდები იდგა, შუაში კი დიდი მოედანი დაეტოვებიათ საცეკვაოდ. თითო მაგიდაზე ერთმანეთის პირისპირ, როგორც მატარებელში, მიმჯდარი იყო ხუთ-ხუთი კაცი. ასეთი წესით ერთდროულად ამ რესტორანში ათი ათასამდე კაცი ზის. კიდეც სვამენ, შეთვრებიან ხოლმე, მაგრამ ვერასოდეს ერთ ხმამაღალ შელაპარაკებას და აყალმაყალს ვერ ნახავ. ჩვენში არამცთუ ამდენ ათასში, არამედ ხუთსა და ათ კაცში რომ არ ატყდეს ერთი აყალ-მაყალი, ზოგჯერ სისხლის ღვრა და მკვლელობაც, ისე როგორ გადარჩება კაცი ან მეჯლისს, ან გასართობ შეკრებილებას, გინდ სხვა რაიმე წვე-

ულებას. სადაც უნდა იყოს, ნამეტურ ბაზარში. ჩვენში, საუბედუროდ, თავს იჩენს თავმოწონება, გვაროვნების უპირატესობა, მეტოქეობა, უშნო ოხუნჯობა, რაც შეურაცხყოფაში გადადის ხოლმე, ჩხუბი, ხანჯლების ტრიალი და ჯოხების ქნევა. ამპარტავან ადამიანთა მსხვერპლნი ხშირად უდანაშაულო ადამიანები ხდებიან. აქაც ასე რომ იყოს, დღეში, ალბათ. რამდენიმე ათასი კაცი მოკვდებოდა.

პარიზი დიდი წესრიგის ქალაქია, დაკრიალებული ქუჩებითაც სანიმუშოა, სისუფთავითაც, დიდი კულტურითაც, აღზრდითა და საზოგადოებრივი წესრიგითაც.

20 იანვარი. ახლა მაგონდება როგორ გამომისტუმრა მთავრინამ პეტერბურგში: მაისი იყო, ვარდობის თვე. პარიზში ყველაფერი ყვაოდა, ჩემს გულში კი ზამთარი იდგა, გაპარტახებული და დამეხილი ჩემი გული სტოვებდა თავის პატრონს და უმშვენიერეს ქალაქს. მხოლოდ ორი თვით გაიღიმა ჩემმა გულმა, რომ შემდეგ სამუდამოდ დახურულიყო იგი სიხალისისათვისაც და სიყვარულისათვისაც.

მატარებელში მთელი დღე ვხვნეშოდი. ისე ვიყავი დამგლოვიარებული, რომ ერთი მოხუცებული კაცი გამომელაპარაკა: რა მოგვიდათო, ვინ მოგიკვდათ, რაზე ხართ ასე დამგლოვიარებულიო. იძულებული ვიყავი მეცრუა — ერთი ახლობელი ნათესავი მომიკვდა საქართველოში და ახლა იქ მივდივარ-მეთქი. სადაო? საქართველოში-მეთქი. მერე ვერაფრით გავაგებინე, სად იყო საქართველო და, ვუთხარი, პეტერბურგთან ახლო-მეთქი. მაშინ კი მომეშვა ის დამთხვეული.

კელნში ჩამოვედი და ქალაქი დავათვალიერე. ვნახე კელნის შესანიშნავი ძეგლები, მდიდარი ფრესკებითა და ქანდაკებებით. მითხრეს. რამდენიმე საუკუნეა, რაც ამ ეკლესიის გუმბათს აკეთებენ და ჯერაც დამთავრებული არ არისო. მართლაც, არაჩვეულებრივი იყო ამ ეკლესიის გუმბათი. აქვე მაჩვენეს ოდეკოლონის ქარხანა და საწყობი. მეორე დღეს ბერლინში ჩავედი. ერთი დღე დავრჩი ქალაქის სასტუმროში. მოღრუბლული დღე იყო და უხალისოდ ვათვალიერებდი ქალაქს. მერე დავწევი სასტუმროში და საღამომდის მეძინა.

მეოთხე დღეს ჩამოვედი პეტერბურგს და პირდაპირ კონსტანტინე დადიანს მივადექი. დადიანი სტოლიპინის სახლში იდგა, დიდი თეატრის პირდაპირ, მოედანზე. ჩემი მისვლა კონსტანტინეს დიდად ეამა, პატივით მიმიღო და დაწვრილებით გამომკითხა ეკატერინეს და მისი შვილების ამბავი. ერთი კვირის შემდეგ კონსტანტინე დადიანი სამეგრელოში გამოემგზავრა და დადიანების დაქირავებულ სახლში მე დამტოვა.

25 იანვარი. პეტერბურგს რომ ჩამოვედი, მაისი იყო, ყველაფერი ყვაოდა. ჩემს გულში კი ისევ ზამთარი იდგა, თეთრი ღამეების ზამთარი.

წმ. ნიკოლოზის ტაძარში მიმიწვიეს მღვდლის მაგისტრის იოანე ვასილევის თხოვნით. და ერთი ხანი ლიტურგიისა და სხვა ლოცვების მსახურება-აღსრულებაში გავატარე. ცოტა მომეშვა გულზე. დეკანოზი შილა მესამე. მღვდელი ალექსანდრე სოკოლოვი, დიაკვნები ილია და ანდრია, ყველანი დიდი სიყვარულით მექცეოდნენ და პატივით მიღებდნენ თავიანთ ოჯახებში.

15 აგვისტო. საცხოვრებლად ახალ ბინაში გადავედი. ეს სახლი ყაზანის ტაძართან ახლოა. ყაზანის ტაძარში ხშირად მაწირვინებენ, და მეც კმაყოფილი ვარ ჩემი ბედისა. ასე მიდის ჩემი ცხოვრების უღიმღამო დღეები.

15 ნოემბერი. დღეს მთავრინა თავის შვილით — ნიკოთი ჩამობრძანდა საზღვარგარეთიდან პეტერბურგში. ქართველები ყველანი დიდი პატივით დავხვდით სადგურზე.

ორი დღეა, რაც ეკატერინე ლაზარევის სახლში დაბინავდა. ისევ ძველებურად არის დედოფალი, ოღონდ იმას უჩივის, სამთავროს შემოსავალი ცო-

ტაო, დიმიტრი ყიფიანი ცოტა ფულს მიგზავნისო...

10 დეკემბერი. ლაზარევის სახლი ყაზანის ტაძრის პირდაპირ არის. ახლა მეც აქ გადმოვედი საცხოვრებლად, ეკატერინეს ბინაში. ჩემს ცხოვრებაში კი არაფერი არ შეცვლილა. ისევ ყველასაგან მიტოვებული მღვდელი ვარ, რომელსაც მოვალეობად მაკისრია ვილოცო სხვისთვის, სხვათა სულის სალხინებლად, ჩემი ობოლი სულის გამკითხავი კი არავინ არის ამ სოფლად.

ისევ ყაზანის ტაძარში დავდივარ წირვაზე, ხოლო მწუხრის და ცისკრის ლოცვებს შინ, მთავრინას სამლოცველო სახლში ვასრულებ. ეკატერინემ დიდებული სამლოცველო მოაწყო. სხვა ხატთა შორის აქ ასვენია წმინდა ღვთისმშობლის ხატი, პატიოსანი მისი სარტყლის ნაწილი, რომელიც ძვირფასი თვლებით, ბრილიანტ-ალმასით და სხვა მრავალი თვალმარგალიტით, ოქროს გვირგვინით შემკობილია, გარს ოქროს არშია აქვს შემოვლებული და ჩასვენებულია დიდი ხელოვნებით გაკეთებულ, ვერცხლითა და ოქროთი დაფერილ და გარეთაც ხატებით მოჭედილ ლუსკუმში. ეკატერინეს დიდად უყვარს ეს ხატი და ამბობს, როცა სამეგრელოში წავალ, ამ დიდებულ ხატს თან წავიღებ და გორდში სასახლის ეკლესიაში დავასვენებო.

2 თებერვალი. ორი დღეა, რაც ნიკო მძიმე ავადმყოფია. დედოფალი ნერვულობს, სწყევლის პეტერბურგს, ჩემი ნიკო ისევ აქ გამიცივდაო, საშველი არ არის. სანამ სამეგრელოში წასვლის ნებართვას მივიღებთ, ისევ პარიზს უნდა დავბრუნდეო. დღეს საოჯახო ექიმმა გირშიმ ფილტვების ანთების დიაგნოზი დაუსვა ნიკოს. დედოფალი ამას არ დასჯერდა და იმპერატორის პირადი ექიმი ბოტკინი მოაწვევინა. გირშიმ და ბოტკინმა ითათბირეს და ნიკოს წურბლები მოჰკიდეს მარჯვენა და მარცხენა გვერდებზე. ავადმყოფი ძალზე დასუსტდა, ძლივს სუნთქავს. შიშით ზარდაცემული დედოფალი წუხს და მოსთქვამს.

3 თებერვალი. დღეს ცოტა უფრო უკეთ გახდა ნიკო, მაგრამ ისევ მოიწვიეს იმპერატორის ექიმი, ლერვე ექიმი — გირში და ბოტკინი. ისევ დიდხანს სინჯავდნენ ავადმყოფს. მთლად დამწუხრებული დედოფალი ჩემთან მოვიდა და სამლოცველოში მხურვალე ცრემლის ღვრით ერთად გადავიხადეთ წირვა წმინდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე. გავათავეთ თუ არა პარაკლისი, გულისკანკალით შევედით ავადმყოფის ოთახში. ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა: მხიარული თვალებით შემოგვცინა ნიკომ. ექიმებიც გაკვირვებულნი შესცქეროდნენ ავადმყოფს. ახლა ყველას იმედი მოეცა ნიკოს გამოჯანმრთელებისა.

4 თებერვალი. ნიკო უკვე კარგად გახდა. ოღონდ მეფისწული ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე სწორედ დღეს გარდაიცვალა. ნიკო დიდი მეგობარი იყო გარდაცვლილი მეფისწულისა, ამიტომ მისი გარდაცვალება არავის გაუმხელია ავადმყოფისათვის. დედოფალი ჩუმათ წავიდა სასახლეში, სადაც მეფისწული ასვენია.

6 თებერვალი. ნიკო ლოგინში აღარ ისვენებს. ისევ გარეთ მიიწევს. დედოფალი ბრაზობს. საქმე ის არის, რომ ნიკო ასტრონომია და ყოველდღე ვარსკვლავებს უთვალთვალებს. ნეტავ რას დაეძებს იქ! ისა სჯობია ამ დალოცვილ დედამიწაზე ეძიოს თავისი ბედი. ასე ამბობენ, სასახლის სახურავიდან რომ უთვალთვალებდა ვარსკვლავებს, სწორედ მაშინ გაცივდაო. სწორედ რომ ცოდვაა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, ახია მასზე! დააყენოს ის ვარსკვლავები და ღმერთი თავის ადგილას, რა ჩასციებია ამ ღმერთთა სავანეს.

5 მარტი. ნიკო მოღონიერდა, ფეხზე დადგა. მაგრამ ექიმების რჩევით, აუცილებელია სადმე თბილ ქვეყანაში წაყვანა, რომ სულ გამოკეთდეს ფილტვების ანთებით დასუსტებული ავადმყოფი.

20 მარტი. დღეს დედოფალი შვილებით ისევ საზღვარგარეთ გაემგზავრა. დიდი პატივით გავაცილე ვარშავის

ვაგზლიდან. ცრემლმორეული დავემშვიდობე ჩემს პატრონსა და სამეგრელოსაკენ გამოვწიე.

მინაწერი: მე უკვე სამეგრელოში ვარ, მშვიდობით მოვედი და მშვიდობითვე დამხვდა ჩემი ოჯახი. გულს მომეშვა, სევდაც უკუვყარე და მეც დავმშვიდდი ამდენი ხეტიალის შემდეგ. გავიხარე ჩემს ოჯახში, ჩემს მამულში, მაგრამ ვაი, რომ წუთისოფელი არავის ახარებს დიდი ხნით!

ჩემი პატარა ძმა რომანოზი, ეკატერინეს შუამდგომლობით, კადეტთა კორპუსში მიიღეს. 5 წელია, რაც იქ სწავლობდა და საუკეთესო მოწაფედაც ითვლებოდა. შარშან, ზაფხულის ბოლოს, მუხლის შუაძვალთან მუწუკები გასჩენია. სასწავლებლის მმართველობას რუსეთის მინერალურ წყლებზე გაუგზავნია, მაგრამ ვერაფერს უშველია. ერთი თვის წინათ ავადმყოფი ძმა უნტერ-ოფიცერმა კარზე მოგვაყენა. მაშინვე ექიმები დავასიეთ, მაგრამ ამაოდ, — სექტემბრის ბოლოს მიიცვალა ის უბედური, და ჩვენი ოჯახი ფრიად დამწუხრდა.

ვეკერლინის ვილაში

ეკატერინე ყოველ ზაფხულს ჰომბურგში ისვენებდა, იქაური წყლებით მკურნალობდა. იქ დედოფალი ერთი მდიდარი ვეკერლინის ვილაში ჩერდებოდა. ბაღის პირას მდებარე ეს ვილა მთელს ამ აგარაკზე გამოირჩეოდა. ეკატერინეს ამ ვილის პირველი სართული ეკავა. ეს სართული რამდენიმე ოთახისაგან შედგებოდა: სასადილო დიდი დარბაზი, მისაღები ოთახი, სალონი, სადაც მუდამ უცხოელი სტუმრები ტრიალებდნენ, საძინებელი ოთახი დედოფლისა, ბავშვების ოთახი, გუვერნანტებისა და მოახლეების ოთახები...

სალონი და თავისი საძინებელი ოთახი დედოფალს ფაქიზი გემოვნებით ჰქონდა მოწყობილი. აქ საუკეთესო ნივთები ელაგა და ათასნაირი ფრანგული ნელსაცხებლების საამო სუნი იდგა. ეკატერინემ თბილისშივე ფორთოხლის ყვავილის, თამბაქოს ფოთლისა და ვარდის ნარევით განსაკუთრებული სურნელების შემზადება ისწავლა და ყველგან, ზუგდიდში, გორდში, პეტერბურგში თუ პარიზში მისი ბინა მუდამ გამოირჩეოდა ამ სურნელებით. ასევე იყო აქაც.

დედოფალი დილით ადრე, 7 საათზე დგებოდა და წყლის დასალევად მიდიოდა. ლამაზად ჩაცმული და დიდი გემოვნებით მორთული, განსაკუთრებული სიარულითა და მიმოხვრით ყველას ყურადღებას იპყრობდა. მისი ამალაც ყველას ხიბლავდა. მის ქალებს ყველას ქართული კაბა ეცვა, ეროვნული თავსახური ებურა, მამაკაცები ქართულად — ჩოხა-ახალუხში იყვნენ გამოწყობილნი, გარდა ფრანგი მუსიო ფერისა და შვეიცარიელი მუსიო დავითისა.

ეკატერინემ განსაკუთრებით ავსტრიელი ქალიშვილი ბერტა მოხიბლა. ბერტა კინსკი გრაფის შვილი იყო. ბავშვობიდანვე ფუფუნებაში იზრდებოდა. მას განსაკუთრებით მწერლობა და ხელოვნება იტაცებდა. ერთ ხანს სიმღერასაც სწავლობდა, მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ ბერტას ნაკლებად ჰქონდა სიმღერის ნიჭი. სწორედ ამ დროს ვიღაც მომღერალი თავადი გაიცნო, და სიმღერის მოყვარული ბერტა უმალვე დანიშნა ამ თავადმა. მერე ეს თავადი ნიუ-იორკს გაემგზავრა საგასტროლოდ და გზაზე გემში გარდაიცვალა. მეჯლისსა და გართობას შეჩვეული ბერტა იძულებული გახდა შავები ჩაეცვა და გამოეგლოვა გულუბრყვილო მიჯნური.

ბერტა მოგზაურობას შეუდგა. ჯერ კენაში, ბარონ ზუტნერების ოჯახში, დადგა გუვერნიორად, სადაც თავისზე შვიდი წლით უმცროსი არტურ გუნდრაკი შეუყვარდა. ამის შემტყობმა ბარონმა ეს რომანტიკული გოგონა კინწისკვრით გააგდო, და ბერტაც იძულე-

ბული გახდა პარიზს გამგზავრებულიყო. აქ ერთ ხანს ნობელის, ამ ცნობილი ინჟინრის პირადი მდივანი გახდა. ნობელი ახალ გამოგონებაზე — ასაფეთქებელ დინამიტზე მუშაობდა. ამავე დროს პოემებსა და ლექსებს წერდა. ბერტას ეს რომანტიკული ბუნების კაცი დიდად მოეწონა, მაგრამ მასთან დიდხანს ვერ დარჩა.

ბერტა ახლა აგარაკ ჰომბურგში ისვენებდა, მაგრამ სატრფო ზუტნერი თვალთაგან არ სცილდებოდა. გამიჯნურებულ გოგონას ყველა და ყოველივე აინტერესებდა. ჰომბურგში ჩასვლისთანავე მისი ყურადღება ეკატერინე დადიანმა და მისმა ამალამ მიიპყრო. და აი, ყოველ დილას, ჩუმათ აედევნებოდა, წყარომდე მიაცილებდა და ისევ უკან, ვეკერლინის სალონამდე შორიახლო მოსდევდა დედოფალს.

იმ დილასაც წყაროსაკენ მიმავალ ეკატერინეს ავსტრიელი ქალიშვილი ჩვეულებრივ აედევნა, აქვე წყაროსთან პარიზელი ნაცნობი ბანკირი შეხვდა და ცნობისმოყვარე ქალიშვილს იქვე გააცნო დედოფალი. შემდეგ დედოფალმა ბერტა ვილაში მიიპატიჟა და თავისი შვილები წარუდგინა. ეკატერინესა და ბერტას შორის ისეთი ურთიერთობა დამყარდა. რომ დედოფალი ამ ცნობისმოყვარე ქალიშვილს ხშირად ეპატიჟებოდა სადილად, ვახშმად, კონცერტებზე.

იმ დღესაც ერთად უსმენდნენ კონცერტს. აგარაკის პარკში ბუნებრივი ამფითეატრი იყო, და დედოფალი თავისი ამალით მუდამ მის ერთ ამაღლებულ ადგილას იყო მოკალათებული. მსოფლიოში განთქმული მომღერალი ადელინა პატის კონცერტი იყო, და აუარებელ მსმენელს მოეყარა თავი. ეკატერინეს გვერდით ფრანგი ბანკირი კონიგსვარტერი და იტალიელი მილიონერი მარკიზ ალმორინი ისხდნენ. ფრანგიცა და იტალიელიც უკვე ხანში შესულნი, ამქვეყნად ბევრის მნახველნი, მთისა და ბრის ამბებს უყვებოდნენ ეკატერინეს. დიდი შთამომავლობისა და დიდი თანამდებობის ეს კეთილი მოხუცები დედოფალს ძალიან უყვარდა და მათთან ყოფნა მუდამ სასიამოვნოდ მიაჩნდა. ახლაც ყურადღებით უსმენდა იტალიელ მარკიზ ალმორინის, რომელიც რაღაც სასაცილო ამბავს ჰყვებოდა. დედოფალი და მთელი მისი ამალა გულიანად იცინოდნენ.

ბერტა დედოფალთან სტუმრად ჩამოსული ერეკლე ბაგრატიონის გვერდით იჯდა. ერეკლე 40 წელს მიღწეული იყო, მაღალი, გამხდარი, ხმელ-ხმელი. ავადმყოფობას ისე დაერია ხელი, რომ სახე მთლად გაყვითლებული ჰქონდა. ბერტას ბაგრატიონის გასაოცარი, თავაზიანი საუბარი, რაინდული საქციელი და კულტურა მოსწონდა, და შეეთვისა კიდეც ამ ქართველ კაცს. ახლაც ახალგაზრდა გოგონა ერეკლე ბაგრატიონს თვალით შესცინოდა.

სულ მალე კონცერტი დაიწყო. ადელინა პატის სიმღერით აღტაცებულმა ეკატერინემ ეს სახელოვანი მომღერალი იმავე საღამოს ოჯახში მიიპატიჟა. ფრანგი ბანკირი, იტალიელი მილიონერი, ერეკლე ბაგრატიონი და ბერტაც აქვე იყვნენ. გათამამებულმა ბერტამ თვითონ დაუკრა შოპენის ვალსი. ცეკვა შეწყდა და ახლა ნიკოს და ადელინა პატის მუსიკაზე საუბარი ხიბლავდა ყველას. ადელინა პატიმ ნიკოს სთხოვა, რამე დაუკარითო. ნიკომ ლისტის რაფსოდიები შეასრულა. ადელინა პატი ისევ არ ეშვებოდა ნიკოს. ნიკო ისევ უკრავდა, ადელინა პატი მღეროდა, და ეკატერინეს სასტუმრო დარბაზი მუსიკის ჰანგებით გაივსო. ვეკერლინის ვილაში მთელ ღამეს არ შეწყვეტილა ლხინი, მუსიკა, სიმღერა და ცეკვა...

იმ დღესაც ისევ კურჰაუზის ტერასაზე ისხდნენ. ახლაც ეკატერინეს ერთ მხარეს ერეკლე ეჯდა, მეორე მხარეს ბერტა, სალომე და ნიკო უსხდნენ. ისევ კონცერტს უსმენდნენ. სწორედ ამ დროს დიდი ჩოჩქოლი ატყდა. რუსეთის იმპერატორი... იმპერატორი... ამ ჩურჩულმა გადაუარა კურჰაუზის ტერასას. იმპერატორი ალექსანდრე მეორე კონ-

ცერტს ესწრებოდა. ეს ამბავი რომ შეიტყო, ეკატერინე ერთბაშად გამოიცვალა, ნერვულობდა, ბავშვივით ებუტებოდა ყველას...

ის იყო, ანტრაქტიც გამოცხადდა. იმპერატორმა დედოფალი დაინახა. დედოფალი ფეხზე ადგა, ოღონდ ვერ გადაეწყვიტა შეგებებოდა იმპერატორს თუ არა. ყოყმანობდა. სწორედ ამ დროს მხიარულმა, სახემომცინარმა ალექსანდრე მეორემ შორიდანვე გაუღიმა. მერე თავაზიანად მოუახლოვდა, ხელზე ეამბორა და სთხოვა, გავისეირნოთო. მთელი ანტრაქტის განმავლობაში ეკატერინე იმპერატორთან ერთად სეირნობდა პარკში. ბერტა შორიდან აცქერდებოდა მათ საუბარს, ყოველ მოძრაობას და ადვილად ატყობდა: დედოფალი ხან ფრიად გაიხარებდა, ხან კიდევ ისე მოიღუშებოდა. წარბებს ისე შეჰკრავდა, რომ ბერტას უკვირდა, ეს რა ემართებაო, და ვერ გაეგო რა ხდებოდა.

მეორე განყოფილება დაიწყო. იმპერატორმა ხელი გაუყარა ეკატერინეს და გვერდით მოისვა.

ბერტამ მხოლოდ მეორე დღეს ნახა დედოფალი. ცნობისმოყვარე გოგონამ მაშინვე იმპერატორთან შეხვედრის ამბავი გამოკითხა. ეკატერინე ისე ენდობოდა უმცროს მეგობარს, რომ არაფერი დაუმალავს. „ალბათ, თქვენც შემატყეთ, რომ ხან მომღიმარი ვიყავი, ხან კიდევ ნაღვლიანი. რას იზამ, ჩემო ბერტა! ჩემი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ მწუხარება და სევდა, საზრუნავი და საფიქრელი არასოდეს მცილდება. სულ მალე ჩემს ვაჟს 20 წელი შეუსრულდება. იმპერატორი მპირდებოდა, რომ სრულწლოვან ჩემს ვაჟს ისევ მთავრად დაამტკიცებდა. გუშინ ამაზე მქონდა საუბარი და ვერ გავიგე, ნამდვილად სურს თუ არა იმპერატორს შემისრულოს ეს სათხოვარი.

— მე ჩემი ერთგულებითა და თავდადებით დამიმსახურებია, — ეკატერინე უამბობდა ბერტას, — რომ ჩემი შვილის კანონიერი მემკვიდრეობა არ დაუკარგოს იმპერატორმა ჩემს ოჯახს... ახლა ეკატერინე თავისი ცხოვრების ისეთ ეპიზოდს ჰყვებოდა, მეფის ერთგულებასა და მამულის თავდადებას, რომ მოწმობდა...

ამ მეოცნებე ქალის სულზე თურქეთთან ომის ეპიზოდებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა...

ეკატერინე ისე გაიტაცა თავისი ცხოვრების ამბის მოყოლამ, რომ ესპანელ ელჩთან ურთიერთობის ამბავიც არ გამოუტოვებია. იმავე საღამოს ბერტამ თავის დღიურებში ყოველივე ეს დაწვრილებით ჩაწერა.

...ყოველ ცისმარე დილას ავსტრიელი ქალიშვილი დედოფალს წყაროსაკენ მიაცილებდა და უკანვე ვეკერლინის ვილაში მოაცილებდა. ეკატერინე ისევ უყვებოდა ამბავს ცისა და ბრისას, თავისას და სხვისას, და ეს მეოცნებე ქალიშვილიც დედოფლის ყოველ სიტყვას ღრმად იბეჭდავდა გონებაში. ასე გახდა ბერტა დიდი მესაიდუმლე სამეგრელოს დედოფლისა. ეკატერინესაც ეს ქალიშვილი თავისი ოჯახის წევრად ჰყავდა მიჩნეული.

დედოფალს ბერტა იმ წელს განსაკუთრებით დაუახლოვდა. იმ ზაფხულს ერეკლე ბაგრატიონი ისევ აქვე იყო სამკურნალოდ ჩამოსული. ყოველ ღამე ეს ახალგაზრდები ეკატერინესთან იკრიბებოდნენ. ნიკო და ბერტა როიალს უკრავდნენ, სხვები ხმას აყოლებდნენ. მერე იყო ერთი გამუდმებული სჯა-ბაასი, კამათი, მოლხენა და შექცევა...

სწორედ ამ მეჯლისებზე დაუახლოვდა ერეკლე ბაგრატიონი ბერტას. ბერტამ გულით შეიყვარა ეს ხანში შესული კაცი. რომანტიკულად განწყობილი ქალი ყოველ მის ნაამბობს აზვიადებდა, საქართველოს მეფის მემკვიდრეს უძლეველ გმირად სახავდა. ეკატერინეც ხელს უწყობდა მათს დაახლოებას.

ერთხელ ბერტამ თვითონ გაუმჟღავნა სიყვარული ერეკლე ბაგრატიონს. ერეკლე არ იყო გულცივი ბერტას მიმართ და მოსწონდა კიდეც, მაგრამ გულში უკვე სხვისთვის დაედო ბინა. ეს სხვა კი დავით ჭავჭავაძის უმცროსი ქა-

ლიშვილი თამარი იყო. ერეკლეს ეს ამბავი არავისთვის გაუმჟღავნებია, არც ეკატერინემ იცოდა.

იმ ზაფხულს ერეკლე ბაგრატიონი სრულიად მოულოდნელად წავიდა პარიზიდან. მალე დიდი საჩუქარი და ბარათი გამოუგზავნა ბერტას. ბარათში წერდა, მოულოდნელად საქართველოში მომიხდა წასვლაო, და პატიებას სთხოვდა. ერთი წლის შემდეგ ბერტამ ისევ ვეკერლინის ვილას მიაშურა და სწორედ აქ უამბო ეკატერინემ ერეკლე ბაგრატიონის საიდუმლო:

— იცი, ბერტა, თურმე შენცა და მეც გვატყუებდა ერეკლე ბაგრატიონი. მას თურმე სხვა უყვარდა. მერე იცით ეს „სხვა“ ვინ ყოფილა? ჩემი ძმისწული! სწორედ გასაოცარია, მე მაინც რად დამიმალა? რას იზამ, ჩემო ბერტა, ალბათ, ბედია. მას უკვე შეურთავს ჩემი ძმისწული. ახლა შენთვის სხვა უნდა ვეძიოთ. შენ ღირსი ხარ დიდებული, შეძლებული და ლამაზი ვაჟკაცისა...

ესა თქვა და დედოფალი გადაეხვია აქვითინებულ ქალიშვილს. იმ ზაფხულს ბერტა ვეკერლინის ვილას არ მიჰკარებია. სწორედ იმხანად ბარათიც მიიღო: მისი პირველი მოტრფიალე ზუტნერი ატყობინებდა: „მე პარიზში ვარ, შენ დაგეძებდი და ვერ გნახე. უშენოდ ვერ გავძელი, და გთხოვ ჩამოხვიდე პარიზს“.

იმ წელს, მართლაც, ჯვარი დაიწერა ბერტამ ზუტნერზე.

ჯვარდაწერილი ბერტა პარიზში წარუდგა ეკატერინე დედოფალს. დედოფალმა პატივით მიიღო ცოლ-ქმარი, დალოცა ისინი და საქართველოში სტუმრად მოიწვია: იმედია, რომ არ დამივიწყებთ და ჩამოხვალთ ჩემთან. მე ვიცი, ბერტას უკვე უყვარს საქართველო და არა მგონია მას არ სურდეს იხილოს ეს ქვეყანა. მე მგონია, არც თქვენ წახვალთ ამის წინააღმდეგ, მეუღლეს გულს არ ატკენთ. თუ ჩამოხვალთ, ერთგულ მასპინძლად მიგულეთ, — ეს თქვა და თან დაუმატა: სანამ აქა ვართ, კიდევ შემოიარეთ, თქვენი მოსვლა ყოველთვის მესიამოვნება...

იმ ზაფხულს ისევ ეწვია ეკატერინეს ესპანელი ელჩი... ეს ამბავი ბერტამ გაიგო, და ცნობისმოყვარე ქალიშვილს არ შეეძლო არ მოენახულებინა დედოფალი. იმ დღეს ისევ ეახლა ბერტა დედოფალს.

— დედოფალო, როგორც გავიგე, იმ წარჩინებულ გვარიშვილს, ესპანელ ელჩს თავგამოდებით უყვარხართ. მე მაინც არ მესმის, ქალი რად უნდა ეურჩოს გულისტოლის სიყვარულს, თუ ეს სიყვარული გულწრფელია! რა არის კიდევ საჭირო იმისათვის, რომ ცოლ-ქმრობის ბედი გადაწყდეს?

ბერტას ერეკლე ბაგრატიონი ისევ თავდავიწყებით უყვარდა. და ახლა ეს სიყვარულის მღაღადებელი ავსტრიელი ქალიშვილი ეკატერინეს პასუხში თავისი გულის პასუხსაც ეძებდა.

—ეჰ, ჩემო ბერტა, შენ, რასაკვირველია, უკვე იცი, თუ რას ნიშნავს სიყვარული. შენც გულწრფელი სიყვარულით გიყვარდა ჩვენი ერეკლე. მაგრამ როცა დედა გახდები, მაშინ გაიგებ, რომ შვილების სიყვარული სულ სხვა ყოფილა. შვილები ამავე დროს ეგოისტებიც არიან, ყველაფრის დათმობას მოითხოვენ... და ახლა ჩემი მეორედ გათხოვება განა ივარგებს?

ამას დედოფალი გულდათუთქული, სევდიანი, თითქმის ცრემლმორეული ამბობდა. ისე ამბობდა, რომ ბერტამ სიტყვის შებრუნება ვერ გაუბედა, მაგრამ გულში კი ჩაიხვია. ბერტამ ასე ირწმუნა: დედოფალსაც უყვარს ესპანელი ელჩი, მაგრამ მოვალეობა დედისა აიძულებს უარი თქვას პირად ბედნიერებაზეო...

ბერტა აღტაცებული მოეხვია დედოფალს და დიდხანს ჰკოცნიდა. შემდეგ უსიტყვოდ გასცილდა და მთელი დღე პარკში სევდიანი და დაფიქრებული დაბორიალობდა.

ბერტა იმავე საღამოს პარიზს გაემგზავრა. პარიზში მას ესპანელი ელჩი, დ'ოსუნა გააცნეს.

ბერტა უმტკიცებდა ელჩს, რომ დედოფალს, რაკი ის შვილების დედაა, არ

გაემტყუნება, თავს რომ იკავებსო, ისე კი გულით უყვარხარო.

— რამდენიმე დღის წინათ საუბარში შევატყე დედოფალს და გმირობადაც ჩავუთვალე ეს საქციელი, — ეუბნებოდა ელჩს ბერტა, — ისე კი, ჩემო ბატონო, გულს ნუ გაიტეხთ. როგორც მე გამიგია, მდიდარი და გავლენიანი კაცი ბრძანდებით, და უარს ვინ გეტყვით? მთავარი სიმდიდრეა ჩვენს დროში. თაფლი იყოს, თორემ ბუზი იმდენი დაბზუის, რომ...

— არა, თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხართ... მე ისეთი დიდი სიმდიდრე დავკარგე ჩემი სულისა, რომ მიკვირს, როგორღა შემრჩა ეს სიმხნევე, ოქრო და სიმდიდრე ვერასოდეს გამოისყიდის ჩემს ამ დაკარგულ გრძნობას. ალბათ, გაგიგონიათ, რომ ძველი ბერძნები, რომაელები და კიდევ ბევრნი სხვანი კავკასიაში ოქროს დაეძებდნენ, მერე იქ ლამაზ ქალიშვილებს დაიხელთებდნენ, და მათს გულში იმართებოდა ბრძოლა ოქროსა და ლამაზ ასულთა შორის... დიახ, საქართველოში ოქროს მადნები ეგულებოდათ და მისთვის მიეშურებოდნენ. მერე ირკვეოდა, რომ საქართველოში მარტო ოქროს მადნები კი არ იყო, არამედ ულამაზეს ქალთა მადნებიც. მე ერთმა იმათთაგანმა დამჭრა. და ახლა მთელი მსოფლიოს ოქროც ვერ განკურნავს ჩემს გულს. ჩემთვის ყველაზე დიდი ოქრო, ყველაზე დიდი სიმდიდრე ეკატერინე იყო, — ესა თქვა და მწარედ ამოიკვნესა ელჩმა.

მეოცნებე ქალიშვილმა ვერაფრით ანუგეშა უიღბლო მიჯნური. იმ დღეს ბერტა ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ აუცილებლად უნდა მოენახულებინა საქართველო, ეს ზღაპრებისა და ლეგენდების ქვეყანა.

ერთი წლის შემდეგ, ნიკოს ოცი წელი შეუსრულდებოდა. ამასთან დაკავშირებით, ეკატერინეს შვილები პეტერბურგს უნდა წაეყვანა და იქ იმპერატორის სასახლისათვის წარედგინა. სამეფო კარზე ეკატერინეს შვილები საგანგებოდ უნდა გამორჩეულიყვნენ. ამიტომაც ახლა დედოფალი არაფერს ზოგავდა, რომ შესაფერისი სწავლა და აღზრდა მიეცა შვილებისათვის.

სალომე ცხენოსნობას სწავლობდა, და ბერტაც მუდამ თან ახლდა. ახლა ისინი ცხენოსნობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ყოველთვის ადრე დგებოდნენ და ისაუზმებდნენ თუ არა, მაშინვე ჰომბურგის პარკს მიაშურებდნენ. სადილობამდის დააქროლებდნენ ცხენებს.

პარკის ხეივანში სალომე და ბერტა იმ დილასაც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. დაღლილები ახლა ხის ძირას ისხდნენ და ლაპარაკობდნენ

— ქართველები, როგორც ჩანს, ცხენოსნობის ნიჭითაც არიან დაჯილდოებულნი ბუნებისაგან. ბავშვობიდანვე უბოძებია თქვენთვის ღმერთს ეს ნიჭი. ერეკლე მიამბობდა, საქართველოში ბევრ ქალს ნახავ, ცხენოსნობაში კაცებს რომ სჯობიან და გამოჩენილი მხედრები არიანო.

ერეკლეს ხსენებაზე ერთბაშად ამოიკვნესა ბერტამ. სალომე იცინოდა:

— რა, ბერტა, გაგახსენდა შენი გულის სატრფო? გაგიფრინდა ხელიდან! ეჰ, ჩემო ბერტა, მე რომ შენს ადგილას ვიყო, სრულებით არ ვინაღვლებდი. ერეკლე ხომ ბიძა იყო ჩემი, მაგრამ მაინც უნდა გითხრა: მიკვირს, როგორ მოგეწონა ეს ორმოცს გადაცილებული კაცი! — 20 წლის ქალიშვილს რა შეიძლება ჰქონდეს საერთო 40 წელს გადაცილებულ მამაკაცთან!

ბერტა სალომეს უყურებდა და უკვირდა, საიდანა აქვს ასეთ ახალგაზრდა ქალს ეგზომ თავშეკავების და სიდარბაისლის ნიჭიო. მერე ისევ შეხედა მის სახეს, რომელსაც ჭკვიანი გამომეტყველების შუქი ადგა.

— მე მშურს შენი სიხალისე და გულწრფელობა. სიყვარულმა ასაკი არ იცის. ნამდვილი სიყვარული ასაკის მიხედვით არ მოდის. არ ვიცი, რამდენი წლისა იყო ერეკლე ბაგრატიონი, მაგრამ ისე მომაჯადოვა, ისე დამიპყრო, რომ მე თავი ზღაპარში მეგონა და მეც

თქვენს ზღაპრულ საქართველოში დავფრინავდი. თავი თქვენს რძლად მყავდა აღიარებული და არც მეგონა თუ რამე დაუდგებოდა წინ ამ ჩემს სურვილს. არც ის მეგონა, თუ ასე უღმერთოდ მომატყუებდა ერეკლე. ის ნაზი სიტყვებით მეჩურჩულებოდა და მარწმუნებდა, რომ მე ლამაზიცა ვარ და ჭკვიანიც, მომხიბვლელიცა და სასურველიც, და არც არასოდეს მიღალატებდა. მაგრამ თურმე მამაკაცის ფიცი სანდო არ ყოფილა. ეს ვიცოდი, მაგრამ ქართველები სხვანაირი ხალხი მეგონა. მის გამოხედვაში, მის თვალებში, მის საქციელში რაღაც გმირულსა და ზღაპრულს ვხედავდი. ასე მეგონა, ეს ლამაზი ზღაპარი მუდამ გაგრძელდებოდა. მაგრამ მოტყუებული დავრჩი. ამას, იმიტომ კი არ გეუბნები, რომ ჩემი სევდა შენ მოგახვიო. არა, სალომე ჩემო, მართალი თუ გინდა გითხრა, არც ვნანობ, რომ მიყვარდა ერეკლე. მეტსაც გეტყვი: ეს სიყვარული ისევ ანთია და არც არასოდეს გაქრება ჩემს სულში, თუმცა ახლა უკვე ზუტნერს ვეკუთვნი. მე ისევ ვოცნებობ საქართველოში წასვლაზე. მინდა გესტუმროთ და იცით ყველაზე უფრო ვინ მიტაცებს საქართველოში? — ერეკლე ბაგრატიონი!

ესა თქვა და ბერტას ცრემლი მოერია.

სალომემ ისევ ბავშვურად გადაიკისკისა. მერე თვითონ შერცხვა თავისი თავისა, მივიდა და აკოცა ბერტას. მერე ხელი მოჰხვია, წამოაყენა. ცხენებზე შესხდნენ და შინ გამოსწიეს.

* * *

რუსეთმა ფორმალურად ეკატერინე დადიანის შვილს სრულწლოვანებამდე შეუნახა სამეგრელოს მთავრის ტიტული, ხოლო ვიდრე იგი სრულწლოვანი გახდებოდა, მთავრინას ტიტული ეკატერინეს ჰქონდა. თუმცა რუსეთის მეფე 1857 წლიდან უკვე ერთადერთი მმართველი და პატრონი იყო სამეგრელოსი, ეკატერინეს, რომელსაც ამდენი გამოცდილება ჰქონდა, მაინც ეგონა, როცა ჩემ ვაჟს ოცი წელი შეუსრულდება, ალბათ ლებლად დაუბრუნებენ სამეგრელოს მთავრის უფლებასო და ყოველდღე ითვლიდა დღეებს, ელოდა ამ თარიღის მოახლოებას, იმედით შესცქეროდა მომავალს.

1867 წლის 4 იანვარს ნიკო დადიანს ოცი წელი უსრულდებოდა. 1865 წლის დეკემბერში დადგა საკითხი რუსეთის იმპერიასთან სამეგრელოს საბოლოოდ შეერთებისა და ქუთაისის გუბერნიაში მისი შეყვანისა. ამასთან დაკავშირებით, იმპერატორმა ამიერკავკასიის მეფისნაცვალს მურავიოვს დაავალა პეტერბურგში ჩამოსულიყო, ეკატერინე და მისი ვაჟი პარიზიდან გამოეწვია და ნებით დაეთანხმებინა უარი ეთქვათ სამთავროზე.

1865 წლის 1-ლ დეკემბერს პეტერბურგს გაიწვიეს ეკატერინე თავისი შვილით. საქართველოდან გაიწვიეს აგრეთვე ეკატერინეს შვილების მეურვე, დიმიტრი ყიფიანი.

ეკატერინემ თავისი ნიკოთი დიდი ხალისით გამოსწია პეტერბურგს. პეტერბურგშიაც დიდი პატივისცემითა და ზეიმით მიიღეს. იმავე დღეს იმპერატორმა მიიპატიჟა, გულუხვად გაუმასპინძლდა, მოეფერა, დაუყვავა, ამბავი გამოჰკითხა. იმ საღამოს ეკატერინე შინ გახარებული დაბრუნდა. მეორე დღეს კი მას კავკასიის მეფისნაცვალი მურავიოვი ესტუმრა, დიმიტრი ყიფიანთან და მეფის კანცელარიის რწმუნებულთან ერთად.

მურავიოვმა პირდაპირ წამოუწყო ეკატერინეს: იმპერატორმა, ღვთისა და ხალხის შთაგონებით, გადაწყვიტა იმ დიდი დამსახურებისათვის, რომელიც გაუწიეთ თქვენს მამულსა და მეფის იმპერიას, დიდი პენსია დაგინიშნოთ, ხოლო სამეგრელო ქუთაისის გუბერნიას შეუერთოს. ამასთან, იმპერატორმა ისიც გადაწყვიტა, რომ თქვენს უფროს ვაჟს მთავარ ნიკო დადიანს სამეგრელოს თავადის ტიტული დაუმტკიცოს მეგობრონის უფლებით; უძრავ-მოძრავი

ქონება, რაც თქვენს მამა-პაპას ეკუთვნოდა, ჩარიცხოს სასახლის განკარგულებაში.

მურავიოვს სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ეკატერინე ფეხზე წამოდგა:

— როგორ, ტახტს გვართმევთ? აბუჩად გვიგდებთ? არაფერს ანგარიშს არ უწევთ? აკი პირობა იყო, რომ, როცა ჩემს ვაჟს ოცი წელი შეუსრულდებოდა, ყველაფერს დაგვიბრუნებდით, რაც ღმერთსა და წინაპრებს ჩემი ოჯახისათვის უბოძებია.

მურავიოვი ახლო მივიდა ეკატერინესთან, ხელი გაუწოდა და სთხოვა, დაბრძანდითო.

— ასე არ ივარგებს, ჩემო დედოფალო, — უთხრა მურავიოვმა ეკატერინეს, — თქვენთან საჩხუბრად კი არა, მოსალაპარაკებლად მოვსულვართ. იმპერატორმა დამავალა მშვიდობიანად მოვაგვარო თქვენთან ეს საკითხი. თქვენს პრეტენზიებსაც მოვახსენებ მას. მთელს ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი სამთავრო ახლა აღარავისა აქვს. მოგეხსენებათ, რომ აფხაზეთის და სვანეთის მთავრებმა თავად მოისურვეს უარი ეთქვათ თავიანთ სამთავროებზე. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ თქვენც ასევე იზამდით.

— როგორ, ნიკოლაი პეტროვიჩ — გაცხარდა ეკატერინე, — მე იმას დავთანხმდები, რომ ტახტი წამართვან, საშუალება მომისპონ, ქუჩაში გამაგდონ, მაწანწალა გამხადონ?!..

ვერაფრით ვერ დააწყნარეს დედოფალი. ნიკო დადიანი განზე იდგა და დუმდა. არც დიმიტრი ყიფიანი იღებდა ხმას. მეფისნაცვალი იძულებული გახდა გასცლოდა დედოფალს. წასვლისას კვლავ გაუმეორა:

— დაფიქრდით, დედოფალო! მე სრულად არ მომიხსენებია თქვენთვის, რასაც იმპერატორი ჰპირდება თქვენს ოჯახს. იმპერატორმა ინება თქვენს შვილს, ვითარცა მემკვიდრეს, ბრწყინვალე თავადის ტიტული შეუნახოს და თქვენს ოჯახს ერთი მილიონი მანეთი ერთდროულად მისცეს. ასევე ანდროს შეუნახონ ბრწყინვალე თავადის ტიტული თავის სიცოცხლეში. ნიკოს მხრიდან კი ბრწყინვალე თავადის ტიტული მემკვიდრეებსაც გადაეცემათ. თქვენ დაგენიშნებათ პენსია რვაათასი მანეთი ოქროთი, ანდროს — ექვსასი, სალომეს — ოთხასი. ეს დიდი თანხაა, ჩემო დედოფალო. დაფიქრდით, დაფიქრდით, დაფიქრება და მოთმინება ჩვენი მოვალეობაა, ჩემო კეთილო.

მეფისნაცვალი ოთახიდან დინჯად გავიდა. ის დარბაზიდანაც არ იყო გასული, რომ ეკატერინემ მიაძახა:

— მაშ, გინდათ მიყიდოთ, არა? მე ფულზე არ გავცვლი ჩემს ტახტს, ჩემს დიდებას, ჩემს სახლს!

* * *

დიმიტრი ყიფიანი ისევ თავის ოთახში იჯდა და ეკატერინე ჭავჭავაძეზე ფიქრობდა:

— გასაოცარი ქალია ეს ეკატერინე! ჯერ იყო და ქმარი მოუკვდა სრულიად ახალგაზრდა ქალს, მერე უმცროსი შვილი. დაიტანჯა, მაგრამ ვერაფერმა გატეხა მისი დაუცხრომელი ნებისყოფა და დაუოკებელი შემართება! უკუღმა დატრიალებულმა ბედმა ვერ მოახრევინა ქედი დედოფალს და ბოლომდე გაიტანა ლელო: შვილებიც დაზარდა, მამულიცა და მდგომარეობაც შეინარჩუნა. თუმცა ახლა ტახტს ართმევენ, მაგრამ ეს უკვე მის ძალღონეს აღემატება, ბედი ქართლისა უიმისოდაც გადაწყვეტილია.

დიმიტრი ამ ფიქრებიდან ჯერ არც კი გამორკვეულიყო, რომ ოთახში აღელვებული დედოფალი შემოვიდა.

— ეს რასა ჰგავს, — შესჩიოდა ეკატერინე ყიფიანს, — ვიღაცის პირით მითვლიან, ნებით უარი თქვით სამთავროზეო. დიმიტრი ჩემო, ხედავ, როგორ მიღებენ ბოლოს! არა, მე გადავწყვიტე ნაპოლეონ მესამეს მივმართო დახმარებისათვის. ეგებ, იმან მიხსნას ამ ძალადობისაგან...

ყიფიანმა არც დაამთავრებინა სიტყვა, ისე მოუჭრა:

— არ გირჩევ. იქიდან საფრანგეთის იმპერატორი ვერ მოგეშველება, იმის იმედი ნუ გექნება. მოიგონე ჩვენი სულხან-საბა ორბელიანი. იქ, პარიზში, ვერსალში ფეხით ეწვია ლუდოვიკო მე-14-ს, ეაჯა, ემუდარა, მაგრამ რა გამოვიდა! ცარიელი დაპირება რა არის, ცარიელი დაპირებაც კი არ აღუთქვა. არა, ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს, რუსეთის ფრთებქვეშ უნდა ჰპოვოს საქართველომ აღორძინება. მე ახლა სხვა რა უნდა გირჩიოთ. — საქართველოს კუთხეები ერთ ბედქვეშ არიან და რაკი კახეთსა და ქართლს, იმერეთსა და გურიას არა აქვს ცალკე სამთავრო, შენ ვინ დაგითმობს, ჩემო ეკატერინე! ეს საკითხი დიდი ხანია გადაწყვეტილი აქვს რუსთ ხელმწიფეს. შენ ახლა ის ეძიე, რომ მამული შეუნარჩუნო შენ შვილებს, ქონება და დახმარება ითხოვე. ეს უფრო რეალურია.

— როგორ, შენც ამას მირჩევ, დიმიტრი?

— დიახ, ჩემი აზრი ასეთი გახლავთ. მე ვფიქრობ, რომ საქართველომ, რაკი თავი შეაფარა რუსეთის მფარველობას, ბოლომდე მისი იმედი უნდა იქონიოს, ოღონდ მეფესაც მოეთხოვება პატივისცემით მოეპყრას ჩვენს ქვეყანას. ამას გულწრფელად მოგახსენებთ. შენ იცი, კატინა, რომ მე უბრალო აზნაური ვარ წარმოშობით. ამან ბევრჯერ შემიშალა კიდეც ხელი სამსახურში დანიშვნასა თუ დაწინაურებაში. მე ორჯერ მეტი შრომა და გარჯა მჭირდებოდა, ვიდრე თავადიშვილებს. პირველად რომ სამაზრო სამსახურში შევედი და ახალგაზრდული გატაცებით შევუდექი სამსახურს, ქვეყანა ჩემი მეგონა, მაგრამ თვენახევრის შემდეგ არ დამამტკიცეს, აზნაურობის ქაღალდი არ წარმოგიდგენიაო. როგორც იქნა აღვადგინე საბუთები აზნაურობისა, მაგრამ მერე მითხრეს, აზნაურობა საკმარისი არ არისო. მაინც შრომითა და გარჯით დავწინაურდი, უფრო მაღალ საფეხურზე ავედი. მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორად დამნიშნეს. დღე-ღამეს ვასწორებდი. დილის 6 საათიდან საღამოს 11 საათამდე ვმუშაობდი. მერე რა, აქედანაც დამითხოვეს — აზნაური ხარო. მერე, ბარიატინსკის დროს, უკვე 38 წლისა ვიყავი, ისევ რომ დამაბრუნეს მეფის კანცელარიაში. 12 წელი საბჭოში ვიმსახურე, მაგრამ ვინ დამიფასა? შენ უფრო კარგად გახსოვს, ეკატერინე, ბარიატინსკი შენი საქმის გამო გადამეკიდა და სამსახურიდან გამომაძევეს. გული მაინც არ გამტეხია. მე მგონია, რომ ისევ მოხედავს საქართველოს რუსეთის იმპერატორი. მე მჯერა, ადგილებზე მეფის უცოდინარი მოხელეები რომ არ ურევდნენ, საქართველოს საქმე უკეთ წავიდოდა.

— ჩვენ, ქართველები, — განაგრძობდა ყიფიანი, — ძველი ქრისტიანი ხალხის მცირე ნაწილი, გარშემორტყმული ჩვენი მოწინააღმდეგე ერებით, დიდხანს, მრავალი საუკუნის განმავლობაში ვებრძოდით მტერს და მხოლოდ ამ საუკუნის დასაწყისში მოვისვენეთ რუსეთის მფარველობის ქვეშ... ახლა ჩვენ სრულიად მშვიდობიანად ვიმყოფებით ჩვენს ქვეყანაში, დამშვიდებით ვაკეთებთ ჩვენს შინაურ საქმეს. მტერს ჩვენს მიწა-წყალზე კი არ ვეომებით, არამედ მის საზღვრებში. შვილებს ვზრდით და შევხარით მათს მომავალს. ჩვენს მართლმადიდებლობას, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას არავითარი საფრთხე აღარ მოელის. ვინ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდის?..

— როგორ, შენ ამბობ, არავითარი საფრთხე არ მოგველისო? როგორ, სახლს მართმევენ, უფლებას მართმევენ, ჩემი ქვეყნიდან მაგდებენ, და ეს საფრთხე არ არის? შენ ამბობ, რომ რუსეთის ფარგლებში უნდა მოვიპოვოთ ჩვენ წარმატებაო. რა წარმატებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ბატონ-ყმობაც გაგვიუქმეს.

— მე ამ საქმეზე საქართველოში უკვე ავტეხე განგაში. რასაკვირველია, ჩვენი წარმატება ის იქნება, რომ დარ-

ჩეს გლეხობისა და თავადაზნაურობის ისტორიული კავშირი. გლეხმა უნდა იმუშაოს, დოვლათი უნდა შექმნას, ხოლო თავადაზნაურობამ მართოს და განაგოს ქვეყანა, მეთაურობა გაუწიოს გლეხს. მე შევიტანე წინადადება — მიწა ბატონისა იყოს, გლეხებმა ამუშაონ მიწა და აძლიონ ღალა მებატონეს. ამ საკითხზე მსჯელობაა და ვნახოთ, რა გამოვა! მაგრამ ამასთან ერთად, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი საზოგადო თუ სამოქალაქო დაწყობილება იცვლება. დღეს ის არ არის, რაც გუშინ იყო. ხვალ ის არ იქნება, რაც დღეს არის. გავა ხანი, დიდი თუ მცირე და, რაც გუშინ მკვიდრი იყო და მუდმივი გვეგონა, იქნებ, კვალიც აღარსად დარჩეს იმისი. ასე გუშინდელი, შარშანდელი და შარშანწინდელი ჩვენი დარბაისლობა და სწავლა შეიძლება ხვალ უკან ჩამორჩეს და არ შეიძლება ყოველივე ამას ანგარიში არ გავუწიოთ.

— მე მჯერა, — არ ცხრებოდა ყიფიანი, — ხელისუფლების დაბალი მოხელეები თავიანთ ნებაზე იქცევიან. ვისაც როგორ მოუვა თავში, ისე მოქმედებს, ამით ისინი დანაშაულს სჩადიან, ხალხში უკმაყოფილებას ჰბადებენ. საქმეს რომ ნორმალურად წასძღოლოდნენ, ამ უკმაყოფილების საბაბიც არ იქნებოდა. აი, ჩვენ ამ ადგილობრივ, უგუნურად მოქმედ მეფის მოხელეებს უნდა ვებრძოლოთ. აი, ეს არის ახლა ჩვენი გზა. ასე წარმომიდგენია მე ჩემი მოვალეობა, და შენ, ჩემო ეკატერინე, უნდა შეურიგდე შექმნილ ვითარებას. გიმეორებ, რომ მზადა ვარ ვიყო თქვენი მამულების მრომვლელი, მაგრამ მე ვერ გამოგადგები იმის თავდებად, რომ გიშუამდგომლო, ან შენთან ერთად ვიბრძოლოთ სამთავროსათვის. მე მგონია, ეს ხელიდან წასული საქმეა და თავი უნდა დავანებოთ. ახლა რთული ვითარებაა. ყმები მეცა მყავს, მაგრამ იმის მომხრე ვარ, რომ მეტი მოთმინება გამოვიჩინოთ და მეტი პატივი ვცეთ ჩვენს ყმებს. ვინც ასე არ მოიქცევა, ის მხოლოდ საქმეს წაახდენს.

ყიფიანს დედოფალი ეწინააღმდეგებოდა, არ ეთანხმებოდა, [illegible] მაინც თავისას ამტკიცებდა.

— დავუბრუნდეთ ბატონყმობის საკითხს. ეს საკითხი მეფის რუსეთში 1840 წელს დადგა მწვავედ. ბარონ განი 1840 წელს თბილისს ეწვია რევიზორ სენატორის უფლებით. საქართველოში ბატონყმობის საკითხი უნდა გამოერკვია. ბარონ განის მაშინ მეფე ვახტანგის კანონი წარუდგინეს, სადაც სწერია: „ადამიანი თავისთავად თავისუფალია, მაგრამ ყმა პატრონისაა, სანამ იმის მიწით სარგებლობს“. ჩავჭიდეთ ხელი ამას მაშინ ქართველმა მებატონეებმა და ვამტკიცებდით, ცხადია, აქ არასდროს არ ყოფილა ბატონყმობაო. რასაკვირველია, ჩვენი ეს მტკიცება არ დაიჯერეს და საქართველოშიაც ისევე შეაფასეს ბატონყმობა, როგორც მეფის რუსეთის შუაგულ გუბერნიებში.

ახლაც ისე უდგებიან ჩვენში ბატონყმობის საკითხს, როგორც რუსეთში, და ამ შემთხვევაშიაც ჩვენ მეფის რუსეთის შემყურე უნდა ვიყოთ. იმპერატორი არც ჩვენ გაგვიმეტებს და არც რუსეთის თავადაზნაურობას. ბატონყმობას მოსპობს, მაგრამ თავად-აზნაურობასაც არ დაივიწყებს. ოღონდ არც ჩვენ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით ჩვენს თავადაზნაურობას ბატონყმობის საკითხზე ერთი აზრი არა აქვს.

აი, ჩვენი ილია ჭავჭავაძე აიღეთ. კარგად მოგეხსენებათ, თუ რა დიდი რიხით გამოვიდა იგი სამოღვაწეო ასპარეზზე, და უნდა ითქვას, რომ ახლა ჩვენს საზოგადოებაში დიდი გავლენაცა აქვს მოპოვებული. და აი, ეს ჩვენი ილია თავადაზნაურობის პირველსავე კრებაზე გამოვიდა და განაცხადა, გლეხებს მიწა უნდა მიეცესო. მართალია, კრების უმეტესობა ამ კადნიერი აზრის წინააღმდეგ აღშფოთდა, ერთმა თავადიშვილმა ხანჯალიც კი იშიშვლა, „გამიშვით, გამიშვით, ახლავე უნდა მოვკლაო“, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, ილიამ უკან არ დაიხია. და რაკი ეს აზრი კრებაზე ვერ გაიტანა, იქვე დაგვემუქრა: — მე თვი-

თონ პირველი გავათავისუფლებ ყმებს მიწიანადო.

ის, მართლაც, ასე მოქცეულა. ამას წინათ შემხვდა და მითხრა: — ბატონო დიმიტრი, მე შევასრულე ჩემი ქადილი და ახლა ჯერი თქვენზეაო; მე თვით წავედი კახეთში და ჩემი პირით განვუცხადე ჩემს ყმებს, დღეიდან თქვენთვის საკუთრებათ გადმომიცია ის მიწები, რაც თქვენ გიკავიათო. დიახ, მთელი საკომლო, საკარმიდამო ადგილები. მათი ხვედრი ვენახები უსასყიდლოდ დავუთმე, ხელშეუხებელ საკუთრებად დავუმტკიცე და ამით მოვსპე ყოველივე ბატონყმური ნაშთი ჩემსა და ჩემს ნაყმევთა შორისო. იცით, რა დიდი რიხით გამიცხადა ეს ილია ჭავჭავაძემ?

— მჯერა, მჯერა, რომ ის ასე მოიქცეოდა. ჯერ კიდევ შვიდი წლის წინათ, როცა ის სტუდენტი იყო, მე, დედოფალს, მიმტკიცებდა, ყმები უნდა გავათავისუფლოთ, ადამიანის მიერ ადამიანის გაქელვის მიზეზი — ბატონყმობა უნდა მოისპოსო. კაცი კაცად უნდა ვაღიაროთო, საქართველოს ბურჯი გლეხკაცია და ჩვენვე უნდა ვუშველოთ გლეხკაცობასო. დიახ, მაშინ ასე ამბობდა. სწორედ ამისთანა თავადიშვილები არიან, ჩვენ რომ გვღუპავენ.

დედოფალმა ეს სიტყვები გულამოსკვნილი ოხვრით დაამთავრა.

ორი დღეც გავიდა. ისევ ეწვივნენ ეკატერინეს მურავიოვი, საიმპერიო კანცელარიის დირექტორი და დიმიტრი ყიფიანი. ისევ სთხოვდნენ, რომ მის შვილს ნიკოს ნებით ეთქვა უარი სამთავროზე. მაგრამ დედოფალი ისევ უარზე იყო. ასე ვაჭრობასა და თათბირში ერთმა თვემ გაიარა.

ეკატერინე ვერა და ვერ მიუდგა ალექსანდრე მეორეს, ვერაფრით ვერ გადაათქმევინა სამეგრელოს სამთავროს გაუქმების გადაწყვეტილება. ისევ წუხდა დედოფალი.

ოთახში ახლა სამნი ისხდნენ: ეკატერინე, დიმიტრი ყიფიანი და ნიკო დადიანი. დედოფალი დუმდა. არც ნიკო იღებდა ხმას. ისევ ყიფიანმა დაარღვია სიჩუმე:

— არა, დედოფალო! [illegible] ეს საქმე უკვე გადაწყვეტილია და აქ წინააღმდეგობას აზრი არა აქვს. მეტი დაფიქრება, მეტი გონიერებაა საჭირო. მოვიფიქროთ, მოვისაზროთ და ისე გავაკეთოთ, როგორც აჯობებს თქვენი ოჯახისათვის, საერო საქმისათვის...

ეკატერინე ისევ დუმდა, მაგრამ გრძნობდა, რომ სხვა გზა არ იყო. ორი დღის შემდეგ დიმიტრი ყიფიანმა ეკატერინესთან ისევ მოიწვია მურავიოვი და იმპერატორის კანცელარიის დირექტორი. ისევ დასხდნენ, ისევ ითათბირეს. ხუთი დღის შემდეგ კი ნიკო დადიანმა თავისი ნებით ასეთი თხოვნა მიართვა რუსეთის იმპერატორს:

1866 г. 15 декабря. Всеподданейший доклад владетеля Мегрелии кн. Н. Дадиани имп. Александру II

Всеавгустейший государь!

Вскормленный и безграничной к вам преданности, я искренно желаю исполнить святую Вашу волю и в день моего совершеннолетия сложить к стопам вашим владетельские права на Мингрелию.

Как монарху, ничего не могу сказать более, но благоволите, государь, взглянуть в области сердца; какую нравственную борьбу выношу я и какую ответственность возлагаю на себя в самом начале моей жизни. Разрушаю надежды ряда предков, становлюсь во главе семьи, матери, брата, сестры и решая судьбу их, страшусь увидеть их в нужде, — опасаюсь наконец вызвать себе упреки в будущем поколении.

Но я делаю этот шаг к вам, государь, к величайшему из государей, благороднейшему из людей. Велики, правда, колебания моей юности и неопытности, но велика и вера моя в благость вашего сердца. Одобряемый матерью и попечительством моего детства, я не допускаю мысли, чтоб Вы, государь, затруднились обеспечить меня как предлагалось отцу моему.

Без больших затрат и надежды на частное мое имение будут весьма тщетны.

Взгляните сердцем, государь, на мое положение и устраните его по нашим чувствам.

Вашего имп. вел. верноподданный кн. Николай Дадиани.

რუსეთის აბსოლუტური მონარქიის ფარგლებში სამთავროებად დაყოფილ

ძველი საქართველოს დაცვა და შენახვა, მაღალი ფეოდალური არისტოკრატიის იმ წრეს, რომელიც 1832 წლის შეთქმულების შემდეგ გადარჩა, იდეალად მიაჩნდა. ამ ვითარებაში გაჩნდა მსახური არისტოკრატიის კასტა. ეკატერინეც ფსიქოლოგიურად ამ წრეში აღიზარდა, ამიტომაც იგი ბოლომდე ერთგული დარჩა მეფის რუსეთისა, ოღონდ ამ ერთგულებაში იგი თავის სამთავროს ხელშეუხებლად დატოვებას გულისხმობდა, არავის ინდობდა, ვინც ავი თვალით შეხედავდა სამთავროს და დაუოკებლად იცავდა თავის მამულს, დიდებას, ღირსებას და წოდებას...

რუსეთის მონარქიის ფრთებქვეშ ფეოდალური საქართველოს არსებობა განწირული აღმოჩნდა. და თუ ამ ვითარებაში ყველაზე დიდხანს მაინც სამეგრელოს სამთავრომ იბოგინა, ეს ეკატერინე დადიანის ცდას და ღვაწლს უნდა მიეწეროს.

ეკატერინე უაღრესად ლამაზი იყო და ამ მომხიბვლელობით ნიჭიერად სარგებლობდა. ამ ლამაზ ქალს მარტო გუბერნატორები და მეფისნაცვლები კი არ უთმობდნენ, არამედ თვით ალექსანდრე მეორეც...

თბილისში ბარიატინსკი საიდუმლოდ ადგენდა და მოითხოვდა: „საჭიროა დაუყოვნებლივ გაუქმდეს სამეგრელოს სამთავრო. ამას მოითხოვს მეფისა და ქვეყნის ინტერესები“... მაგრამ გამოჩნდებოდა თუ არა ეკატერინე ჭავჭავაძე იმპერატორის წინაშე, იმპერატორი ვერ უძლებდა მის სილამაზეს, უარს ვერ ეუბნებოდა და სულ სდებდა და სდებდა სამეგრელოს სამთავროს საკითხის გადაწყვეტას.

ბოლოს ეკატერინე მრავალგზის დაებეზღეს. ისიც თქვეს, საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-ის წინაშე სამეგრელოს ხელშეუხებლობის საკითხი აღძრაო. ეს იყო, თუ ის, რომ არავითარ ძალას არ შეეძლო საქართველოს დამოუკიდებლობისა და მეფის მონარქიზმის მორიგება, — მოხდა ის, რაც შეიძლებოდა უფრო ადრეც მომხდარიყო: 1866 წელს, როდესაც ნიკოლოზ დადიანი სრულწლოვანი ხდებოდა — ოცი წელი უსრულდებოდა და უფლება ეძლეოდა მთავარი გამხდარიყო, გამოუცხადეს, იმპერატორის წინაშე შენი ნებით უარი უნდა თქვა სამთავროს უფლებებზეო. ითქვა და შესრულდა კიდეც.

ძველი ფეოდალური საქართველოს ნაშთს — სამეგრელოს სამთავროს ბოლო მოეღო. ამისათვის ნიკოლოზ დადიანს ერთი მილიონი მანეთი მისცეს, მთელი მისი სამთავრო სახლის მამული მაიორატობის წესით დაუმტკიცეს.

ეკატერინე მაინც დიდად უკმაყოფილო დარჩა.

დიმიტრი ყიფიანმა პარიზს მიმავალი დედოფალი სადგურზე გააცილა. დამშვიდობებისას დედოფალმა უთხრა:

— ალბათ, განწირული ვარ მეფისაგან, მაგრამ ვიცი, რომ ღმერთი, მამული და მეგობრები არ გამწირავენ. მე მალე დავბრუნდები სამეგრელოში და იმედი ღვთისა და ჩემი მეგობრებისა მაქვს, ჩემო დიმიტრი...

ლუვრის სასახლეში

1867 წლის მარტს ეკატერინე ისევ პარიზში დაბრუნდა. ცხოვრება ისევ ძველი გზით წავიდა. პარიზში, ეკატერინეს სალონში ისევ უამრავი სტუმარი ირეოდა. ვის არ შეხვდებოდი აქ: ესპანელ ჰერცოგებს, ინგლისელ ლორდებს, ფრანგ ბარონებს, რუს გრაფებს, ბანკირებს, უფლისწულებს, გადამდგარ გენერლებს, ულამაზეს პარიზელ ქალებს და ქალიშვილებს.

იმ დღეს სალომეს 18 წელი შეუსრულდა. პარიზის საუკეთესო საზოგადოებას თავი მოეყარა მის დღეობაზე. ეკატერინეს ბროწეულისფერი კაბა ეცვა. სავარძელში ამაყად იჯდა და, ისე უპასუხებდა სალომეს დღეობაზე მოსულ

სტუმრებს, როგორც ეს ნამდვილ დედოფალს შეეფოდა.

ქალიშვილის დღეობაზე დედოფალს საფრანგეთის იმპერატრიცა ევგენია ეწვია. ეკატერინემ გულით გაიხარა. ევგენიას დიდად მოეწონა თვრამეტი წლის სალომე და დედოფალს უჩურჩულა, ჩვენს დამოყვრებას წინ არაფერი დაუდგებაო. ეკატერინე გუმანით გრძნობდა, რომ რაღაც ბედნიერება მოელოდა მის ასულს, მაგრამ ზუსტად არ იცოდა, ვინ უნდა ყოფილიყო ეს გამბედნიერებელი.

სალომეს დღეობა დიდი ზეიმით გადაიხადეს. ერთი კვირის შემდეგ, საფრანგეთის დედოფალმა ევგენიამ დადიანები ლუვრის სასახლეში გადმოიყვანა: იმპერატორების სასახლის ერთ-ერთი ფლიგელი ეკატერინეს ოჯახს დაუთმეს. იმპერატორი ნაპოლეონ მესამე და დედოფალი ევგენია ყოველდღე ეპატიჟებოდნენ ეკატერინეს და მის შვილებს. ახალგაზრდა ვაჟი, ნაპოლეონის ნათესავი აშილ მიურატიც, მუდამ აქვე ტრიალებდა.

აშილი იმ წელს ოცი წლისა გახდა. იმპერატრიცა ევგენიამ პრინცს დაბადების დღეობა თავის სასახლეში გადაუხადა. სასახლის დიდ დარბაზში პარიზის გამოჩენილი საზოგადოება იყო მოწვეული. აშილი, სასახლის კარზე აღზრდილი პრინცი, ყველაფრით გამოირჩეოდა. ქერაულვაშებიანს, წაბლისფერთმიანს, გამხდარსა და მაღალს განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით აცქერდებოდა ეკატერინე. აშილის მამა, პრინცი ლუსიენი და მისი მეუღლე — ამერიკელი ქალი, ამაყობდნენ თავიანთი ლამაზი ძით.

აშილი ფრანგულად და ინგლისურად ლაპარაკობდა. დიდი მომლხენი და არშიყობის მოყვარული იყო. რაკი სალომე გაიცნო და მოეწონა, იმ დღიდან არც მოსცილებია, თავისად იგულა და არც არავის აკარებდა. დადიანების ეს ლამაზი ასული იმ დღესაც გვერდით მოისვა. ბოლოს საქმე ისე მოეწყო, რომ ევგენიამ იმავე დღეს ეს დღეობა სალომესა და აშილ მიურატის დანიშვნად გადააქცია და ქორწილიც იმავე კვირას დანიშნა.

ბიბლიოთეკა

დადიანები მეორე დღიდანვე საქორწილო სამზადისს შეუდგნენ. ახლა ამ საქმეს ყველაზე უფრო ბერტა განიცდიდა. სწორედ ბერტა იყო საქორწილო მზადების სული და გული.

8 მაისს სალომესა და აშილ მიურატს იმპერატორების სასახლის ეკლესიაში ჯვარი დასწერეს. ჯვარისწერის ცერემონიალს იმპერატორი ნაპოლეონ მესამე და დედოფალი ევგენია დაესწრნენ.

კათოლიკურ ეკლესიაში გადახდილი ეს ბრწყინვალე ჯვარისწერა ეკატერინე დადიანმა საკმარისად არ ჩათვალა და იმავე საღამოს რუსეთის საელჩოს მართლმადიდებელთა ეკლესიაში ხელმეორედ დასწერეს ჯვარი აშილსა და სალომეს. აქ სალომეს მეჯვარეები ტარიელ დადიანი და ბერტა იყვნენ...

ეკატერინემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მართლმადიდებელთა ეკლესიაში ჯვარისწერა უკეთესი ყოფილიყო, ვიდრე კათოლიკურ ეკლესიაში გადახდილი. დადიანებს ამისათვის ყველაფერი მოემზადებინათ: ბრიუსელში საგანგებოდ მოექსოვათ თავსაბურველი სალომესათვის. მასზე სამეგრელოს სამთავროს ღერბი იყო გამოსახული ოქროს საწმისით. თეთრი, ძვირფასი თვალმარგალიტებით შემკული ეს გვირგვინი ხელთ ბერტასა და ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ ტარიელ დადიანს ეპყრათ. ბერტა თვალებში შესციცინებდა ნეფე-დედოფალს. ნეფე-დედოფალს უკან ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი ეკატერინე დედოფლის ამალა მოსდევდა, ხოლო ეკლესიაში რუსული საეკლესიო გუნდი გალობდა. ეკლესია სავსე იყო უცხოელი სტუმრებითა და მაყურებლებით. ჯვარისწერის შემდეგ ლუვრის სასახლეში გამართულ დიდ საქორწილო სუფრაზე ეკატერინემ დიდძალი სტუმარი მიიპატიჟა. სუფრას საგანგებოდ თბილისიდან ჩამოსული ეკატერინეს ძმა, დავით ჭავჭავაძე, თამადობდა. დავით ჭავჭავაძემ ხელთ აიღო ქართუ-

ლი ყანწი და ბრწყინვალე ფრანგულით მიმართა ნეფე-დედოფალს, შემდეგ ამ მოზრდილი ყანწის დაცლა მან სავალდებულოდ გამოაცხადა.

დადიანების ამალაში რამდენიმე მომღერალი ერია. დავით ჭავჭავაძემ მრავალჟამიერი წამოიწყო, დადიანები აჰყვნენ თამადას და ლუვრის სასახლის საქორწილო დარბაზს ქართული სიმღერების ჰანგები მოეფინა. პარიზელები პირველად ესწრებოდნენ ქართულ ქორწილს და გაოცებული შესცქეროდნენ ამ დიდ თეატრალურ სანახაობას. ხოლო როცა ქართველებმა ცეკვა-ქართული ცეკვა შეასრულეს, ლხინმა ისევ აიწყვიტა აღვირი, რომ გამოცდილი თამადა ვეღარ აკავებდა სუფრას...

ქართველების სიმღერამ და ცეკვამ ყველაზე მეტად ავსტრიელ მეჯვარეს— ბერტას დაახვია თავბრუ. ამის მსგავსი მას ჯერ არაფერი ენახა.

ერთი თვის შემდეგ დადიანები საქართველოში გამოემგზავრნენ.

სხვა საქართველო სად არი...

ეკატერინე, ნიკო, ანდრო, სალომე და პრინცი მიურატი გემიდან გადმოვიდნენ. გამოჩნდნენ თუ არა დედოფალი და მისი შვილები, ფოთის პორტის მოედანზე შეკრებილმა დიდძალმა ხალხმა ტაში დასცხო და ვაშათი მიესალმა დედოფლის მობრძანებას. ამის დანახვაზე ეკატერინეს ტანში გააჟრჟოლა, მერე თვალზე ბინდი გადაეფარა, წაიბორძიკა, კიდეც. ამ დროს ნიკომ მკლავი მიაშველა დედას და ძირს ჩამოიყვანა. დაადგა თუ არა ფეხი საქართველოს მიწას, დედოფალი უცნაურმა გრძნობამ აიტანა. ათი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც თავისი შვილებით სწორედ აქედან გამოემშვიდობა საყვარელ სამშობლოს ახლა, ათი წლის ჯოჯოხეთური წვალებისა და ბედის ტრიალის შემდეგ, ისევ დაუბრუნდა თავის მამულს.

იდგა დედოფალი მამულის ნაპირზე, სახეზე ზღვისპირეთის თბილი ნიავი ელამუნებოდა, გარშემო თავისიანები, ერთგული და ნაცნობი მამულიშვილები ეხვევნენ. გამოუცნობ გრძნობას შეეპყრო დადიანი. კაცი ვერ გაიგებდა ეს გრძნობა სიხარულისა იყო, მწუხარებისა თუ მამულის ტრფიალისა...

ეკატერინე მთელი ტანით ცახცახებდა. ნიკოს რომ არ მიყრდნობოდა, ალბათ, წაიქცეოდა. მერე ერთბაშად ხელი უშვა ნიკოს, ბანდალით განზე გაიწია, იქვე დაიჩოქა, თითებით მოფხოჭნა მიწა, მუჭაში ჩაბღუჯა, მუჭი პირთან მიიტანა, მერე გაშალა და ხელისგულზე დატკეპნილ მიწას ეამბორა. ეამბორა და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსცვივდა. მისიანები გარშემო იდგნენ და მისჩერებოდნენ. იმ წუთს მდუმარებამ, უცნაურმა მდუმარებამ მოიცვა ყოველივე. ვერავის მოეფიქრებინა, რომ მიშველებოდა დედოფალს, რომელიც მღელვარებისგან ძლივს იდგა ფეხზე.

პირველი კონსტანტინე დადიანი მოვიდა გონს, დედოფალს მივარდა, ხელი მოჰხვია, მერე გადაეხვია და თვითონაც აქვითინდა. ახლა სხვებიც მიჰყვნენ მის მაგალითს. მალე მდუმარება, მძიმე მდუმარება მხიარულებამ შეცვალა.

მშვენიერი ამინდი იდგა. ზღვის წყნარი ზედაპირი მზის სხივებით ლაპლაპებდა, ბრწყინავდა. საზეიმოდ ქუჩებში გამოსული ხალხი არსად ეტეოდა. აივნებიდან, ფანჯრებიდან, მოაჯირებიდან გადმომდგარი ხალხი ფოთის ახლად კურთხეულ მონასტრისაკენ დედოფალს ხელის ქნევით მიაცილებდა. დედოფალმა და მისმა მხლებლებმა ძლივს გაარღვიეს ხალხით გაჭედილი მოედანი და პირდაპირ ტაძარს მიაშურეს. ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და საცვეთ-წაღებით მოწკიპული მამაკაცები და ქართული კაბებით მორთული ლამაზმანები ჩოხის კალთებისა და კაბების შრიალით

მიაცილებდნენ უზომოდ გახარებულ დედოფალს.

. ეს დიდძალი ხალხი ტაძართან შედგა. ტაძრიდან მიტროპოლიტი გამობრძანდა და ეკატერინესათვის ლოცვა-კურთხევა აღავლინა. წირვის შემდეგ ეკატერინე ჭოჭუას ოჯახში მიიწვიეს და დიდი ნადიმი გაუმართეს. რჩეული საზოგადოება სათითაოდ აცქერდებოდა დედოფალს, მის შვილებს და ფრანგ მიურატს — დედოფლის სიძეს. გონებით, სიდარბაისლით, ზრდილობით ძალიან მოეწონათ ეკატერინეს შვილები, სიძე მიურატიც. ნადიმზე დედოფალს ქებადიდება შეასხეს და მშვიდობით დაბრუნება მიულოცეს. სიხარულისაგან აღტაცებულ დედოფალს მთელი ღამე არ უძინია.

მეორე დილით ადრე პატარა გემით დადიანები ფოთიდან ორპირს გაემგზავრნენ. აქედან კი დედოფალი მარტვილს გააცილეს.

მარტვილის მონასტერში ეპისკოპოსმა ტარასიმ დიდი პარაკლისი გადაიხადა დედოფლის მშვიდობით დაბრუნებისა და ქალიშვილის გათხოვებისა.

ასეთმა შეხვედრამ იმედები განუახლა და ოცნებით აღავსო დედოფლის გული. ახლა მას მოაგონდა, პეტერბურგს რომ გაემგზავრა მეფის გაწვევით, ორპირამდე დიდის ამბით რომ გააცილეს და დიდი პატივისცემა დაუდასტურეს. ამის შემდეგ დიდმა დრომ განვლო. ახლა სამეგრელოში სულ სხვა მმართველობა იყო. ეკატერინესა და მის შვილს მემკვიდრეობით ბოძებული სამთავრო ჩამოართვეს და ახლა უბრალო, ჩვეულებრივი მემამულე დაუბრუნდა სამეგრელოს. და ამიტომ არც მოელოდა ყოფილი დედოფალი, თუ ასე ახსოვდათ და უყვარდათ. დღეს კი... პარიზიდან დაბრუნებულ ეკატერინეს და მის შვილებს ფოთში, ორპირში და მარტვილში ისეთი შეხვედრა მოუწყეს, როგორც ეს ნამდვილ დედოფალს ეკადრებოდა.

ცარიზმის ჭუსლებქვეშ მოქცეული სამეგრელოს სამთავრო ისევე ორმაგად იტანჯებოდა, როგორც მთელი საქართველო — სოციალურად და ეროვნულად. უცხოობაში დატანჯული ხალხი ისევ იმ მძიმე დროს იგონებდა, დადიანების სამთავროში რომ იმყოფებოდა და ძველსა და ახალს ადარებდა. ახალი მთავრობისა არც ენა ესმოდათ და არც კანონი იყო რამე შეღავათის მომნიჭებელი. ხალხი ისევ მონობის უღელში გმინავდა. ბუნებრივია, რომ ამ ვითარებაში დედოფლის გამოჩენას დიდი აღტყინება და აღტაცება მოჰყვა. დედოფალი თავბრუდამხვევი სიხარულის ტალღებში ცურავდა. როცა ეკატერინე მარტვილის მონასტრიდან გამოვიდა და მის გასაცილებლად მოსულ უამრავ ხალხს გადახედა, ხმამაღლა შესძახა:

— დიდება და პატივი თქვენ, ჩემო დებო, ძმებო, შვილებო და შვილიშვილებო. მე ახლა უზომოდ აღფრთოვანებული ვარ და უზომოდ მადლიერი.

ესა თქვა და თავი ფეხებამდე დახარა. შემდეგ ცრემლმორეულმა გაარღვია გარშემორტყმული ხალხის წრე და თავის შვილებთან ერთად ეტლში ჩაჯდა. დიდხანს უქნევდა ხელს გორდისაკენ მიმავალი დედოფალი მადლიერ ხალხს.

* * *

ეკატერინე საქართველოში რომ დაბრუნდა, გრიგოლ ორბელიანი სამსახურიდან გასული იყო. ომებგადახდილი გენერალი შინ ნებივრობდა. ეკატერინეს სამშობლოში დაბრუნება ყველაზე მეტად გრიგოლ ორბელიანს გაუხარდა. მან ვრცელი ბარათი მისწერა დედოფალს. ეს ბარათი სავსე იყო ხუმრობითა და ზმებით, პატივისცემითა და სიყვარულით. წერილი ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა:

...გეყოფათ, გეყოფათ ჩვენგან შორს ყოფნა, ქართველ კაცს ყველგან შეუძლია იყოს, მაგრამ ცხოვრებით მარტო საქართველოში უნდა იცხოვროს, არა? ხომ ასეა... შორს იყავ, მაგრამ უხილავად, თუ ხილულად შენთან ვიყავ მუდამ, შენთან, ჩემო კატინა, ზქაც, მთებს აქეთ და იქაც, ზღვებს იქით. ყველგან

და ყოველთვის თქვენი ერთგული... გადძომცეს, რომ გორდში კაბინეტისათვის პატარა ხანჯალი გდომებიათ. ვისწრაფი მოგართვათ და თან ჩემი ერთგულებაც გამოგიცხადოთ, მიიღეთ და ფლობდეთ. მაგრამ ქარქაშიდან კი ნუ ამოიღებთ. უნებურად აღმეძვრის კითხვა: რად გინდათ, ჩემო დედოფალო, ხანჯალი? გასაგმირად ხომ უფრო საშიში და მძლავრი იარაღი სხვა გაქვთ, ეს გახლავთ თქვენი ბრძანებლობითი, მეფური წარმოსადეგობა და ცხოველმყოფელი ნათელი თვალები, რომლებიც ყოველსავე იმორჩილებენ და დამორჩილებულნი ბედსა თვისსა კურთხევით იხსენიებენ. ხანჯალი რაღად გინდათ? მე თუ მომიკითხავ, ტაბახმელაში ვარ.

ტაბახმელავ, ო ტაბახმელავ, ლამაზო ტაბახმელავ! ქვეყნად მხოლოდ ერთი ტაბახმელაა — მოდი, შენსა გორდსა გავაჯიბროთ. ხო!

ვცხოვრობ წყნარად ქეთევანთან და ტასოსთან ერთად ტაბახმელაში და არასა ვწუხვარ, თუ სახლი ჩემზე უარესი დახავსებულ-მოძველებულია. სამაგიეროდ ჰაერი სამოთხისებურია, წყალი უკვდავებისა. ახლა რა სანახაობა და გადასახედია! თითქმის ნახევარი საქართველო სურათივით ჩემ წინ არის გადაშლილი. აი, აგერა, თეთრწვერა ყაზბეგსა და მის ბუმბერაზ ძმებს ღრუბლებიდან თავი ამოუყვიათ და პირდაპირ ტაბახმელას დასცქერიან, გრილ ნიავთან ერთად სუფთა და ცხოველმყოფელსა, მშვენიერს ჰაერს მოგბერვენ; იქ კი საადმირალო ანძასავით ამართულა თოვლის ნემსივით ჰაერში თუშეთის მთა ბორბალო; გასწვრივ მოსჩანან შავი მთები საგურამოსი, გომბორისა. ცივი დედოფლის წყაროსაკენ წრე გაუვლიათ, ვხედავ ყველა მათ და ჩემი მგონია...

ეკატერინე კითხულობდა ამ წერილს, და ახალგაზრდობის მოგონებამ ერთბაშად აღუდგინა წინანდალსა და თბილისში, ტაბახმელასა და კოჯორში გატარებული დღეები. და ისე ძლიერ [illegible] ეს ყმაწვილქალობის მოგონებები, რომ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ თბილისს წასულიყო და შემდეგ წინანდალი, ტაბახმელა და კოჯორიც მოენახულებინა. ხოლო ვიდრემდის ამ სურვილს აღისრულებდა, იმავე დღეს ვრცელი წერილი მისწერა გრიგოლ ორბელიანს. მოკითხვას უთვლიდა, მადლობას სწირავდა მოგონებისათვის და თავის საყვარელ „კურკას“ ჰპირდებოდა, სულ მალე მოგინახულებ და თავათ გეტყვი ბევრ რამეს საიდუმლოს, სანუკვარსა და სანატრელსაო.

სწორედ ერთი თვის შემდეგ, ეკატერინე თბილისს წავიდა. დედოფალმა ჯერ თავისიანები მოინახულა, ძმას, დავით ჭავჭავაძეს ესტუმრა, მერე კი, იმავე დღეს, გრიგოლ ორბელიანს მიაშურა. გრიგოლი და ეკატერინე დიდი სიხარულითა და სიყვარულით ცრემლმორეულნი გადაეხვივნენ ერთმანეთს.

რას არ მოჰყვნენ, რა არ მოიგონეს, ბევრი სასაცილოც და ბევრი სამწუხაროც. ლაპარაკს ერთმანეთს არ აცლიდნენ. მთელი საღამო ასე საუბარში გალიეს. ორი დღის შემდეგ, ეკატერინე გამოემშვიდობა თბილისს, გამოემშვიდობა თავის მეგობარს გრიგოლ ორბელიანსაც. გამომშვიდობებისას ეკატერინემ გრიგოლს სთხოვა: იცოდე, გელოდები გორდს და უნდა შემისრულო ეს თხოვნა, უნდა მოხვიდე ჩემთან. ასე, ჩემო გრიგოლ, თუ ამოხვალ, როგორც შემპირდი, გაგვახარებ, თუ არა და შენებურ წერილებს მაინც ნუ მომაკლებ.

ეკატერინე გორდში ელოდებოდა გრიგოლის ჩამოსვლას, მაგრამ ეს სასურველი სტუმარი არსად ჩანდა. ამ ფიქრში იყო, რომ ეკატერინეს გრიგოლ ორბელიანის ბარათი მოართვეს. კონვერტი გახსნა და სულმოუთქმელად წაიკითხა:

„უგანათლებულესო კნეინა ეკატერინა!

წაბრძანდით თბილისიდამ და მე დავჰშთი თქვენს წინაშე პირშავად აქამდის წერილის მოურთმევლობის გამო. სიბერე არის მიზეზი თუ ბაგრატიონები, რომელთაცა დამანათლეს ცოტაოდენი პოხონდრია და სევდები, მგონია ორივე ერთად, შემიპყრეს მე და სიცხვილეულმყვეს თქვენს წინაშე, რომლისადმი თავდადებით ერთგულება, პატივისცემა და ჭეშმარიტი სიყვარული მაინც კი ისევ ისე შეუცვლელია, ისევ ისე შეურყეველია?!

წაბრძანდით, და ვისაც კი შეეძლო გასვლა თბილისით, აიშალნენ და წავიდნენ გარეშე საგრილებელს ადგილებში. სასახლე გადავიდა ბორჯომს: მასა შეუდგნენ რებინდერი და ადუტანტები და იქვე წავიდა კნეინა ტერეზიაცა, მირსკიანნი, აპაჩინინები, ივანოები, ტასო აღლობქიოთი ავიდნენ კოჯორს; იქვე ბრწყინვალებს ანგელოზებრი სახე პოპორიღოპულოს მეუღლისა და არიან იოსებ ყორღანოვის სახლობა და არღუთინსკიანნი, მაგრამ უწინდელი კოჯრის დედოფალი ვარვარა თამამშევისა წავიდა საზღვარგარეთ და მით დაობლდა კოჯორი. ლიზა მუხრანსკისაც ძლივს, რასყოფით გადავიდა დიღომს, დიდად გულჩაკლული ქალაქის მოშორებითა; მანანაც აპირებს ყირიმში წასვლას, მაგრამ ჯერ მხოლოდ აპირებს; ელენე და სოფიოცა აპირებენ ტაბახმელას ასვლასა, მაგრამ ესენიც არიან ჯერ ისევ პლანებში და დიდს რჩევაში, ხუთშაბათს გავიდნენ თუ შაბათს. შაბათი ელენეს არ მოსწონს, რადგანაც ურიების დღეა, ხუთშაბათი სოფიოს მიაჩნია ცოდვის დღედ, რადგანაც მის დღეს მაცხოვარი შეიპყრეს ურიათა; კვირა დღესასწაულია, ოთხშაბათი და პარასკევი მარხვა არის; ორშაბათი ყოველმა იცის რა ბაიყუში დღეა; სამშაბათი სძულს ელენესაც და სოფიოსაცა, მგონია უმიზეზოდ, და ამ ბაასში ზაფხული კი მიდის და მიდის ჩუმჩუმად, მეცა ვეღარ გაუძელ ამათ ესრეთს ყოველდღე რჩევასა და ბაასსა და წინ მოველ კოდას, სადაცა ვეღარ—და ვეღარ ჩვენს ბაბალეს და არ იქნა არ მოვიდა, თურმე ესეც ელის და ელის კაკოსა და ზაქარიას წინანდლიდამ. აი, რა ძნელი ყოფილა ქალაქიდამ გასვლა და ჩვენ კი ლიზას წუწუნი არ გვესმის...

...ამის წერა დავიწყე კოდაზე და ვათავებ თბილისში, სადაცა მოულოდნელად მომიხდა ჩამოსვლა: ჩემს რძალს ქეთევანს მოუკვდა მოხუცებული დედა და მიველ მე, რათა მოვალეობისაგან ჩემისა ნუგეშ ვჰსცე შეწუხებულსა. დღეს იყო წირვა ანჩისხატში, სადაც ჰგალობდნენ. ქართულად და მოგახსენო, დიდად მიამა. იფიქრეთ, საქართველოში გვიკვირს ქართული გალობა! გეეედრებით, ნუ გააქრობთ ქართულს გალობას თქვენს ქვეყანაში, სადაც ათასს წელიწადს ისმენდა ერი თავის ენაზე თავის გალობას.

იყო აქ რამდენიმე დღე ბუტკოვი, მაგრამ მე ვეღარ მოუსწარ, წასულიყო ყირიმს. ეს ორი კვირა არის მოუწყვეტლით ჰსწვიმს, სჭექს და ცივა, ასე რომ 14 გრადუსამდის ჩამოვა სითბო. არ ვარგა ესრეთი უდროოდ ცვლილება ჰაერისა. ზაფხულში სითბო, ზამთარში სიცივე ზომიერი.

დიდს პლანებში ვართ აქა ქართულის ენის მოყვარენი. ვაბეჭდვინებთ ძველს ქართულს წიგნებსა, და ვიმედოვნებთ, რომ ესრეთს საყოველთაოდ კეთილს საქმეში შეგვეწევით ფულითა და თქვენცა, სალომეცა, ნიკოცა და ანდრიაცა. ქართული წერილი იყო სამასი წლის უწინარეს ქრისტეს დაბადებისა, და თუ კი არ განჰქრა და მამა-პაპათა ჩვენთა დაიცვეს იგი დროსა საშინელისა გაოხრებისა, დატყვევებისა, აკლებისა მაჰმადიანთაგან ჩვენის მამულისა, ეხლა ჩვენს მშვიდობიანობის ჟამსა, დიდი მოწყალეს ხელმწიფის მფარველობის ქვეშ დაცული, რად უნდა დაეცეს წერილი ჩვენი? ვის რა დაუშავდება, რომ სხვათა ენათა შორის იყოს ჩვენიცა ცოცხალ?

ახლა, ჩემო მოწყალეო ხელმწიფავ, როგორ ბრძანდებით, როგორ ატარებთ დროსა თქვენსა საგრილებელს გორდსა, ანუ თქვენ, და ანუ თქვენნი საყვარელნი, სასურველნი შვილები და მშვენიერი სიძე ბატონი. მაგონდებით რა ერთად მყოფნი, გულით მჯერა, რომ მადლი ღვთისა ტრიალებს თქვენს სახლში, და იყოსმცა მარადის კურთხევა მისი განუშორებლივ თქვენზედა, და მეცა ნუ დამივიწყებთ ნუცა ერთი თქვენთაგანი და გრწამდესცა, რომ საცა გინა ვიყო, მაინც ვარ თქვენი ერთგული გულით, სულით, თავდადებით ერთგული და პატივისმცემელი გრიგოლ ორბელიანი.

1-ს ივლისს, 1869, თბილისი".

იმავე დღეს ეკატერინემ გრიგოლს საპასუხო წერილი მისწერა. ამ წერილში ისევ სთხოვდა ამოსულიყო გორდს, თან აუწერდა გორდს როგორც ზღაპრულ დასასვენებელ ადგილს, მაგრამ ის ზაფხული ისე გავიდა, რომ გრიგოლ ორბელიანი არა თუ არ ამოსულა გორდს, არამედ წერილიც არ გამოუგზავნია. ვანაწყენებულ დედოფალსაც არ მიუწერია წერილი იმ ზაფხულს გრიგოლისათვის.

* * *

თბილისიდან დაბრუნებული ეკატერინე ავადმყოფობდა. ის გაზაფხული და ზაფხული გორდში გაატარა. ახლა იგი სათითაოდ სწერდა წერილებს ძველ მეგობრებს. ერთი წერილი მანანა ორბელიანსაც მისწერა. დედოფალს მოენატრა ძველი მეგობრის ნახვა და გულით სთხოვდა გორდში ჩამოსულიყო. მანანამ წერილის მიღებისთანავე გადაწყვიტა მოენახულებია განუყრელი მეგობარი და ახალგაზრდობის მესაიდუმლე.

თბილისიდან გამომგზავრებული მანანა ორბელიანი ერთი დღით ქუთაისს შეჩერდა. ქუთაისის ნახვამ ძველი ჭრილობა განუახლა; სწორედ ქუთაისში შეხვდნენ უკანასკნელად მანანა ორბელიანი და ეკატერინე ჭავჭავაძე. აქ შეეყარა ეს ძველი მეგობრები ერთმანეთს ... ტრაგედიამ. გაგარინს ... ორბელიანის ქალიშვილი ტასო ჰყავდა ცოლად. მაინც რა უბედურად წარიმართა მანანას ქალიშვილის ბედი! ჯერ მანანას არც უნდოდა გადამთიელი კაცისათვის მიეთხოვებინა ქალიშვილი, მერე ან გათხოვება რა იყო და ან ასე ადრე დაქვრივება! ახლაც ამის მოგონებამ ცრემლები მოჰგვარა მანანას, და მეორე დღესვე გადაწყვიტა გასცლოდა ქუთაისს. ცრემლმორეული და დაღონებული გამოვიდა სასტუმროდან. ქვემოთ ეკატერინესაგან გამოგზავნილი კონსტანტინე დადიანი შეეგება, მოწიწებით ხელზე ეამბორა, შემდეგ საუზმეზე მიიწვია, ეკატერინე მოუთმენლად გელოდებაო, სულ თქვენს ხსენებაშია, თქვენი ნახვა ენატრებაო...

ისაუზმეს და გზას გაუდგნენ. საღამოს გორდს იყვნენ, ავადმყოფი ეკატერინე სასურველ სტუმარს გამოეგება, ეზოს ჭიშკართან შეხვდა. დიდი ხნის უნახავი მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ, ჰკოცნიდნენ და ტიროდნენ. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდათ.

და ეს იყო ცრემლი გაფრენილი წლების სინანულისა, ნახვის სიხარულისა და, ვინ იცის, კიდევ რისა... დიდხანს იყვნენ მეგობრები ასე გადახვეულნი და, როცა გონს მივიდნენ, ეკატერინემ ხელი მოჰხვია მანანას და სახლისაკენ გაუძღვა.

ეკატერინე და მანანა მეორე დღეს გორდის სასახლის აივანზე ისხდნენ და კვლავ მღელვარებით საუბრობდნენ. ან რა გამოულევდა სალაპარაკოს დიდი ხნის უნახავს მეგობრებს.

გორდის სასახლის აივანი სოფელს გადაჰყურებდა. ფერდობზე შეფენილი სოფლის ბოლოს ცხენისწყლის ხევი იწყებოდა. ტკბებოდნენ თვალწინ გადაშლილი ბუნების შესანიშნავი სურათით, ასე ეგონათ, თითქოს ისევ ამ ორმოცი წლის წინათ წინანდლის სასახლის აივანზე ისხდნენ და ალაზნის ველს უმზერდნენ, მაგრამ ახლა საღამო იყო ის

ეშხი და გატაცება, ის უდარდელობა და აღტაცება! — ახალგაზრდობაზე ძვირფასი და სანუკვარი აღარაფერი ყოფილა ამ ქვეყანაზე! მხოლოდ ახალგაზრდობას ჰქონია დიდი ფრთები, დიდი თვალები და დიდი გული...

ჩემზე უფროსს რომ შევხედავდი, თავი მომწონდა, მეგონა სულ ახალგაზრდა ვიქნებოდი და ხნიერს ალმაცერად ვუყურებდი. გულში ვფიქრობდი, ეყოფა იმას, რაც ისიამოვნა ამ ქვეყანაზე, ახლა ჩვენი ჯერია-მეთქი. თან მეგონა, ჩემი ჯერი სულ იქნებოდა და მე სულ ახალგაზრდა ვიქნებოდი, ის კი — სულ ბებერი. ვერ წარმომედგინა, თუ როდისმე მეც დავბერდებოდი, როდისმე იმ ბებრის როლში გამოვიდოდი. აი თურმე როგორია ახალგაზრდა ადამიანის სითამამე! ასე ჰგონია, ეს ქვეყანა სულ ჩემი იქნებაო. ეჰ, რანაირად მოტყუებული ვიყავი თურმე! მანანა, სიმართლე მითხარი, შენც ხომ ასე გეჩვენებოდა მაშინ? იქნებ, მარტო მე ვიყავი ასეთი; იქნებ, მარტო მე მეგონა, რომ ეს ქვეყანა ჩემს სასიამოვნოდ იყო გაჩენილი, და მე კი, მუდამ ახალგაზრდა, სრული პატრონი ვიქნებოდი ამ ქვეყნიური ბედნიერებისა? ჰე, ჩემო მანანა, მაშინ ჩემთვის ამოდიოდა ღაღაჟა მზეც და გაბადრული მთვარეც, ყვავილიც ჩემთვის ჰყვავოდა და ვარდიც. მე, მე ვიყავი ყველაფრის პატრონი და მფლობელი და ჩემზე ბედნიერი არავინ იყო ამ ქვეყანაზე. ვაი, რა ადრე გაქრა ეს ბედნიერება! სულ გუშინწინ იყო ყოველივე ეს! დღეს გული მიკვნესის, ჩემო მანანა, გულიც მიკვნესის და სულიც! ასე მგონია, მარტო მე კი არ მეღება ბოლო, არამედ ჩემს ოჯახსაც, ჩემს მომავალსაც.

და აქ კინაღამ ცრემლი წასკდა ეკატერინეს, მაგრამ თავი შეიკავა, ადგა, ხელი მოჰხვია მანანას და არ კი იცოდა რატომ ჩაიდინა ეს, სიყვარულით, პატივისცემით, თუ სინანულით!

მანანა ადვილად მიუხვდა დედოფალს გულისთქმას. მასაც მწარედ აკვნესებდა მოხუცებულობის სევდა და ცხოვრების ამაოება. მანანა ეკატერინეს მსგავსად განცხრომასა და ფუფუნებაში იყო აღზრდილი, სილამაზითაც გამოჩენილი იყო და ტრფიალითაც განებივრებული. მართალია, მას დედოფლის ტახტი არ არგუნა ბედმა, მაგრამ სხვა მხრივ ის ეკატერინეს არაფერში ჩამორჩებოდა და ახლა ძველი ცხოვრების სიამტკბილობის მოგონებაც, გადასული სიხარულიც და მოხუცებულობის ჭირიც ერთნაირად ღრღნიდა მათ გულს. სწორედ ამიტომ მანანამ სულ ადვილად გაუგო ცხოვრებაზე გულაღრენილ დედოფალს:

— ეჰ, ჩემო კატინა, წავიდა, წავიდა მოუბრუნებლად ბედნიერი წლები და ახლა, როდესაც აქედან გადავყურებ ჩემს განვლილ ცხოვრებას, გული მტკივა. მე ვერც ღვთისაგან ბოძებული ნიჭი გამოვიყენე, ვერც სილამაზე და ვერც ჩემი მდგომარეობა. შენთან დამალული არასდროს არაფერი მქონდა და ახლაც მინდა გულახდილი ვიყო შენს წინაშე. მეც შენსავით და ნინოსავით ლამაზი ვიყავი, მაგრამ ეს სილამაზე ვერ გამოვიყენე. გარს მეხვეოდნენ ვაჟკაცები და ახალგაზრდა ქვრივს ხელს მთხოვდნენ, მაგრამ მე მუდამ უარზე ვიყავი. რატომ? რისთვის? — ვეკითხები ახლა ჩემს თავს — რათ მარხულობდი? დიახ, მე შემეძლო მეორედ, თუნდ მესამედაც გავთხოვილიყავი. არა, კატინა?

— მანანა, ჩემო მანანა, მეც ბევრი მიფიქრია ამაზე. მაგრამ არა მგონია, შენ მართალი იყო, როცა ფიქრობ, თუ მეორედ, ან მესამედ გავთხოვდებოდით, ჩვენ უფრო ბედნიერნი ვიქნებოდით. არა, ჩემო მანანა. მეც ასე მეგონა, მაგრამ ახლა სულ სხვა აზრის ვარ. ქალი მხოლოდ ერთხელ უნდა გათხოვდეს, ოღონდ გულის კარნახით უნდა გათხოვდეს, და ის უთუოდ ბედნიერი იქნება. ბედნიერი იქნება, თუნდა ადრეც დაქვრივდეს, რადგან სიყვარულით გათხოვება მას იმდენ ბედნიერებას მოუტანს, რომ ეს სულ ეყოფა მის სულს.

— კი, ჩემო მანანა, ეს უთუოდ ასეა. ჩემი და — ნინო სულ მალე დაქვრივდა, მაგრამ იგი თავის თავს ბედნიერად

თვლიდა. ისევ უყვარდა გრიბოედოვი და ამ სიყვარულით ცხოვრობდა. დიახ, ბედნიერები ისინი არიან, ვინც ასეთი სიყვარულით თხოვდებიან. მათი სული ისეა განათებული შემდეგ სიყვარულის ალით, რომ იგი სიკვდილამდე აღარ ქრება.

მე ისე მგონია, რომ არც მე და არც შენ ტრფიალების ასეთი ალით არ ავნთებულვართ, რადგან ჩვენ ანგარიშით გავთხოვდით, ანგარიშით, ჩემო მანანა...

ნინომ ერთის შეყვარება მოასწრო და მაშინათვე გათხოვდა. შემდეგ ეს ნამდვილი სიყვარულის ძალა არც მოსცილებია მის გულს, როგორც მოლანდება ბედნიერებისა. შენცა და მეც, ჩემო მანანა, ბევრი ვინებივრეთ, ვიდრე გავთხოვდებოდით, ბევრჯერ შევიყვარეთ და გადავიყვარეთ ჩვენით გატაცებული მიჯნურები. არა, პირველი სიყვარული სულ სხვაა. დანარჩენი უკვე ანგარიშით ხდება...

გიყვარდეს, ეტრფოდე და შენც გეტრფოდნენ — ამაშია, ბოლოს და ბოლოს, ცხოვრების აზრიც და ხალისიც და, როცა შენს სულში ქრება მიჯნურობის პოეტური ალი, ამ ქვეყანაზე ცხოვრებაც მოსაწყენი ხდება, მერე შენი გვამით სულსაც ამძიმებ და მიწასაც...

— გახსოვს, ეკატერინე, 15-16 წლის გოგონები იყავით შენ და ნინო, როცა პირველად გამოჩნდით საზოგადოებაში და ერთბაშად მიიპყარით ყურადღება. — ეს თქვა და ეკატერინეს მიაპყრო მზერა.

ეკატერინე დუმდა, თითქოს რაღაცას იგონებსო.

— მე როზენის სასახლის ბალებზე მოგახსენებ. აქ იყრიდა თავს მაშინდელი რჩეული საზოგადოება, რუსი ოფიცრები და ჩვენები, მაგრამ ამ მეჯლისებს ჩვენმა ლამაზმანებმა გაუთქვეს სახელი. ფართოდ გახელილი გავარვარებული თვალებით ვაცქერდებოდით მაშინ ყველას და ყველაფერს... ხომ ასე იყო, კატინა?

ეკატერინე ისევ დუმდა.

— შენ და ნინომ, მეჯლისისა და ბალმასკარადის სტუმრებმა, აქ ჩაიცვეთ პირველად გრძელი კაბა და ბალიანი ტუფლები... ჰოი, რა პოეტური გარემოცვა იყო მაშინ და რა ბედნიერებიც ვიყავით... ლამაზმანებიც ბევრნი იყვნენ, ბევრიც გეჯიბრებოდა შენ. გახსოვს, ბეგთაბეგიშვილის ქალი რომ იყო? ლამაზიც იყო და კარგადაც ცეკვავდა, მაგრამ შენ მაინც სხვა იყავი, კატინა, შენი ცეკვა, შენი გრაცია ყველას ატყვევებდა, შენ ნამდვილი ჯადოქარი იყავი, ჯადოქარი...

მერე... მერე ყველაფერი აირია... მე ყველაზე ადრე გავთხოვდი, მერე ნინო, ქეთევანი, მაია... შენ ყველაზე გვიან... მერე დავქვრივდი, ყველაზე ადრე მე და ნინოს წამოგვეწია უბედობა.

— სიყვარულს ანგარიშით რომ დაიწყებ და აწონ-დაწონას შეუდგები, იქ უკვე ვაჭრობა იწყება. ვაჭრობას ნამდვილ სიყვარულთან, ჭეშმარიტ გრძნობასთან რა ხელი აქვს, ჩემო მანანა! სიყვარულს ანგარიშიანობა და ვაჭრობა არ უყვარს და, ვაი, რომ ეს ძალიან გვიან გავიგე.

— არა, კატინა, არა ხარ მართალი. ანგარიში და გონიერება ყოველ საქმეს სჭირდება. ვისაც გონება აქვს და განსჯის უნარი შესწევს, მას სიყვარული იმდენჯერ ეწვევა, რამდენჯერაც გონება უკარნახებს. შეიძლება, რამდენჯერმე გიყვარდეს და თანაც გულით გიყვარდეს, გააჩნია ვინ არის ტრფიალების საგანი. სიყვარული გონების კარნახით ხდება, იგი გატაცება და მოწონებაა. და რაკი ეს ასეა, რატომ არ შეიძლება ცხოვრების გრძელ გზაზე ქვრივი ქალი ისეთ ადამიანს გადაეყარო, ვინც ღირსია ყურადღებისა, მით უფრო, თუ იცი, რომ ის წინანდელზე უფრო შეგიყვარებს და არ გიღალატებს. არ დაგიმალავ და გეტყვი: ქმრის შემდეგ, რამდენჯერმე ვიყავი გატაცებული და ტრფიალით შეპყრობილი, მაგრამ არ მეყო გამბედაობა. მაგრამ განა ეს იმიტომ, რომ ჭკვიანი ვიყავი? რა იცი, რომ სხვა ჩემზე ჭკვიანი არ აღმოჩნდე-

ბა? ჩემო კატინა, თურმე შეიძლება რამდენჯერმე გიყვარდეს მამაკაცი და დიდი გატაცებითაც გიყვარდეს, ეს შემთხვევასა და გარემოებაზე ჰკიდია, ყველასათვის ერთი სავალდებულო რეცეპტი არ არსებობს, სიყვარული ინფექციური ავადმყოფობა როდია. ამ ქვეყანაზე იმდენნაირი სიყვარულია, რამდენიც ადამიანია. ყველას თავისებურად უყვარს, ყველას თავისებურად ესმის სიყვარული. საკუთარ თავზე გამომიცდია და ვერავინ დამარწმუნებს, რომ შეყვარება მხოლოდ ერთხელ შეიძლებოდეს. არა, ჩემო კატინა, ყველას ერთნაირი ინსტინქტი კი არა აქვს, ეს გაბედულების, გონიერების საქმეა.

ეკატერინე არ ეთანხმებოდა მანანას, აღელვებით ლაპარაკობდა: — არა ხარ, მანანა, მართალი, სიყვარული და მოწონება ერთი როდია, ეს სულ სხვადასხვა რამ არის. გეთანხმები, რომ შეიძლება რამდენჯერმე მოგეწონოს ადამიანი, მაგრამ რამდენჯერმე რომ გიყვარდეს, — ეს თავის მოტყუებაა. ნამდვილი სიყვარული მხოლოდ ერთხელ შეიძლება. იგი არც სხვაზე გაიცვლება და არც მეორედ გვეწვევა. სადაც ასეთი სიყვარული არ არის, იქ მხოლოდ მოწონება და ანგარიშია. ანგარიშით შექმნილ ოჯახს კი სითბო და სიტკბო აკლია. ნამდვილი ბედნიერება მხოლოდ სიყვარულია. სიმდიდრე კი არა, სიყვარული ანიჭებს ქალს ბედნიერებას. ადრე მეც შენსავით ვფიქრობდი და ვედავებოდი კიდეც ნინოს. მაგრამ ცხოვრების გამოცდილებამ, ჩემმა პირადმა ბედმა ღრმად დამარწმუნა, რომ ჩემი და მართალი იყო და მე — მტყუანი. მეც ხომ ჩემი ქალიშვილი სიყვარულით გავათხოვე. მართალი გითხრა, არ მინდოდა შვილი ვიღაც გადამთიელისათვის მიმეცა, მაგრამ რაკი ვიცოდი, რომ მათ ერთმანეთი უყვარდათ, არ დავუშალე ჩემს ქალიშვილს, ფრანგს შევრთე უცხოეთში. ახლა შენც კარგად მოგეხსენება, ჩემო მანანა, რა ბედნიერნი არიან ჩემი ქალიშვილი და ჩემი სიძე აშილი...

ამ საუბარში იყვნენ მეგობრები, რომ მათთან კონსტანტინე დადიანი მოვიდა და ახალი ამბავი მოიტანა: სელიმეს და აშილს მეორე ვაჟი შესძენიათ.

...ლამაზი ქალი იშვიათად თუ არის გულახდილი მეორე ლამაზი ქალის წინაშე. ეჭვს, შურსა და ქიშპობას არსად ისეთი დიდი ადგილი არა აქვს, როგორიც ლამაზი ქალების ცილობაში. აქ ყველაზე ადვილად მიმართავენ სიცრუესა და ორპირობას და არც რცხვენიათ, თუ ეს შეამჩნიე. ლამაზმანები ხშირად არც უმხელენ ერთმანეთს თავიანთ გულისნადებს და ბევრ რამეს, გამოგონებულსა და გაზვიადებულს, გადამეტებულსა და შეთხზულს მართალ ამბად ასაღებენ. მაგრამ საქართველოს ეს ორი ულამაზესი ქალი—ეკატერინე ჭავჭავაძე და მანანა ორბელიანი საკმაოდ მობერებულნი იყვნენ და ის დაფარული ქიშპობაც სადღაც გამქრალიყო.

იმ საღამოს, რაკი შეატყო, რომ ეკატერინეს დიდად აინტერესებდა გარდასულ ამბავთა მოგონება, მანანამ თვითონ წამოიწყო:

— ახლა ჩვენ ისეთ ასაკში ვართ, ჩემო ეკატერინე, რომ სირცხვილია გულახდილნი არ ვიყვნეთ ერთმანეთთან და ჩვენს შორის კიდევ იყოს რამე დამალული.

—მართალია, ჩემო მანანა, გულახდილობაც, გულწრფელობაც და მეგობრობაც ჩვენ სწორედ ახლა გვმართებს, რომ ეს დარჩენილი დღეები სიამტკბილობაში გავატაროთ.

— ჰოდა, იმას მოგახსენებდი, ჩემო ეკატერინე, აი ჩვენ სამივენი გავთხოვდით, სამივენი ბედნიერად ვთვლიდით თავს, მერე სამივენი დავქვრივდით, და ახლა რომ ვაკვირდები, სამივეს ერთი ბედი გვარგუნა ღმერთმა.

მანანა ამ სამში ეკატერინეს, ნინოს და თავისთავს გულისხმობდა.

— მართალი გითხრა, ნინოსაგან არასოდეს მსმენია ბედზე ჩივილი. მან ბოლომდე ატარა ცოლ-ქმრობის უღელი და შეასრულა ერთგულების ფიცი. მაგრამ, ასე მგონია, რომ ნინოც, შენც და მეც ცუდად მოვიქეცით, ჩვენ სრული-

ად ახალგაზრდები დავქვრივდით და შეგვეძლო მეორედაც გავთხოვილიყავით, ახალი ბედნიერება მოგვეტანა ჩვენი სულისათვის. თქვენი არ ვიცი და, მე კი ვნანობ, რომ ასე არ მოვიქეცი. ცუდად განვვლე ჩემი ახალგაზრდობა, ჩემი ქვრივობა და საერთოდ ჩემი ცხოვრება.

აქ შეჩერდა მანანა, ხანშესულ ქვრივს ცრემლი მოერია და სათქმელი ვერ დაასრულა. ეკატერინე ჯერ მოეფერა მეგობარს, მერე სხვა საგანზე გადაიტანა საუბარი, მაგრამ მანანა არ ეშვებოდა გაუთხოვრობაზე ლაპარაკსა და ძველი ამბების მოგონებას:

— კატია, შენ კარგად იცი, რომ ვიქტორი ძლიერ მიყვარდა. არც ის იყო ურიგო კაცი, შესაფერისიც იყო ჩემი წოდებისა და მდგომარეობისათვის, და ის იყო, დავუახლოვდი კიდეც. მე იგი განათლებით, ნაკითხობით, ჭკუით მაოცებდა, მაგრამ რაც უფრო ვუახლოვდებოდი, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ მამაკაცისათვის, განათლებისა და ჭკუის გარდა, თურმე მამაკაცური, ფიზიკური ძლიერებაც არის საჭირო. ეს ბუნების კანონია და სხვა ვერაფერი შესცვლის. მაგონდება: ჩვენ ერთად ვისხედით თქვენს ბაღში, წინანდალში... რაზე არ მესაუბრებოდა ვიქტორი: პოლიტიკაზე, ლიტერატურაზე, მუსიკაზე, ყველაფერზე, მაგრამ ვხედავდი, რომ მე კიდევ სხვა მინდოდა, ამ სხვისთვის მე მაშინ სახელი ვერ დამერქმია, მაგრამ ვგრძნობდი, ქალური ალღოთი ვგრძნობდი, რომ მე კიდევ სხვა რაღაც მსურდა, უფრო მეტი მსურდა. ვუსმენდი მის საინტერესო საუბარსა და იმ წუთში მინდოდა ვიქტორი მოუხეშავ მამაკაცად ქცეულიყო, რომელიც მომვარდებოდა, თავისი მძლავრი მკლავებით გულში ჩამიკრავდა და ისეთ კოცნას დამიწყებდა, რომ სულს არ მომათქმევინებდა. მაგონდება ყოველივე ეს და ვრწმუნდები, რომ ის ქალი, რომელსაც ძლიერი მამაკაცი არ ეღირსება მეგობრად, უბედურია...

— ჰოდა, იმას მოგახსენებდი, მთელი საღამო ვისაუბრეთ. ის ჰყვებოდა ცისა და ბარისას, მე ვუსმენდი და ჩემი თვალები ეძახდნენ ვიქტორს. ის კი იჯდა და ისევ პოლიტიკაზე და ლიტერატურაზე მესაუბრებოდა. მერე — [illegible] — გამომემშვიდობა და ხელი ჩამომართვა, შევამჩნიე, რომ ქალივით პატარა და ნაზი ხელები ჰქონდა, ოფლიანი და ცივი. მე ავკანკალდი, ტანში გამაჟრჟოლა. მან ეს შემატყო, მაგრამ მაინც ღიმილით გამომემშვიდობა.

იმ ღამეს სულ არ მიძინია, ვბორგავდი, რაღაცას ვეძებდი, რაღაც ძლიერი მინდოდა, ფიზიკური შეხება მინდოდა. ვიქტორს, ვისაც ასე თაყვანსა ვცემდი, როგორც ჭკვიანს, ნაკითხსა და განათლებულს, მე მაშინ სიამოვნებით გავცვლიდი ვინმე უხეშ მამაკაცზე. შენ როგორც ქალი, მიმიხვდები და სადღაც გულის სიღრმეში დამეთანხმები კიდეც შენს ერთგულ მეგობარს.

მერე ერისთავს გავყევი. ეს მოფიქრებულად გავაკეთე. ჩემი ქმარი, გარეგნულად შავტუხა და ფიზიკურად აყლაყუდა ქართველი კაცი, კლდესავით მაგარი და შეუდრეკელი მამაკაცი მეგონა და მივანდე კიდეც ბედი და ოცნებები. მაგრამ დაუფარავად გეტყვი, ჩემო ეკატერინე, რომ ამაშიაც მოვტყუვდი. მთელი თხუთმეტი წელი ვიცხოვრე ერისთავების ოჯახში და იმ წლების ბედნიერი დღეები არ მახსოვს. აი, ამიტომ უნდა გავთხოვილიყავი მეორედ, ამიტომ უნდა მეცადა ისევ ბედი.

ეკატერინე უსმენდა და ხმას არ იღებდა. მანანას უკვირდა, ვერ მიმხვდარიყო, რატომ დუმდა ეკატერინე.

— არ დაგიმალავ და გეტყვი, — განაგრძობდა მანანა, — როცა ქმარი გარდამეცვალა, ერთხანს არც გამიხედია მამაკაცისაკენ, მაგრამ შემდეგ ქალურმა სისუსტემ მძლია და ისევ დავუწყე რჩევა მამაკაცებს. მაგრამ ჩემს ნაცნობებში და მეგობრებში ისეთი ვერავინ დავიგულე, იმის გულში ის ნაპერწკალი რომ დამენახა, ის გრძნობა რომ ამომეკითხა, რომელსაც ყმაწვილქალობიდან დავეძებდი. მეც ავდექი და ჩავიქნიე ხელი, ჩემო ეკატერინე. ვერაფის მივანდე ჩემი ბედი. მართალი გითხრა, არ მი-

ნდოდა თავი ხელმეორედ გამეწვალებინა, ვიღაც უხეიროს ხელში დამეტანჯა და დავხურე ჩემი გულის ყველა სარქველი. გათხოვებაზე ფიქრს თავი დავანებე, მაგრამ სამაგიეროდ, მოვისურვე ყოველდღიური ჩემი ცხოვრება ისე მეტარებინა, რომ რაღაც სიამოვნება და ბედნიერება მომეპოვებინა ამ უთავბოლო ქვეყანაში. ვერც აქ გამიმართლა ბედმა. ახლა-გულახდილად გიყვები ყოველივე ამას და ასე მგონია, ეს ჩემი უკანასკნელი აღსარებაა, ქალის აღსარება მეგობრის წინაშე. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, გამიგებ თუ არა ყოველივე ამას, ჩემო ეკატერინე! ჩვენი დღეები უკვე დათვლილია და არც მადარდებს, თუ რას იტყვიან ჩემი სიკვდილის შემდეგ. ეს კი ვიცი, რომ დღემდე ამბობენ ორბელიანების ქალებზე, ლამაზები, დროსტარების მოყვარულნი, დიდებული სატრფონი იყვნენ და არც არა დაუკლიათ ამ ქვეყანაზეო. მაგრამ თუ ჩემს გულს ჰკითხავენ, ყველაფერი ეს გარედან ჩანდა ასე. ნამდვილად კი უბედური ვიყავი ყველა ჩემს სწორსა და მეგობარს შორის.

მანანამ თავი ვერ შეიკავა და ტირილი მოერია. ეკატერინე სულ ახლოს მივიდა და მეგობარი გულში ჩაიკრა. დიდხანს ისხდნენ ასე.

* * *

მარტვილში ივნისის ბოლოს ყოველწლიურად დიდი საეკლესიო დღესასწაული იმართებოდა. საიდან არ მოდიოდნენ იმ დღეს მონასტერში სალოცავად, შესაწირავად, სადღეობოდ, ზოგნიც მისტერიების და ცეკვა-თამაშის სანახავად: სამეგრელოს და იმერეთის, გურიისა და აფხაზეთის სოფლებიდან და დაბებიდან... ზოგი ურმით მოდიოდა, ზოგი ცხენით და ზოგიც — ფეხით. ურმებზე ღვინით სავსე ტიკები, სანოვაგით დატვირთული ხურჯინები ელაგა. დეკეული, ცხვარი, ბატკანი თუ ციკანი ჭალებზე იყო მიბმული. ცხენებს კი ერთ მხარეზე ტიკები ჰქონდათ აკიდებული, მეორე მხარეზე — სანოვაგით სავსე ხურჯინები. ღარიბებსა და ღატაკებს თავიანთი ღარიბული სანოვაგე ხურჯნე ჰქონდათ გადაგდებული. მარტვილისაკენ მიმავალ გზებზე ტევა არ იყო.

სამი დღე გრძელდებოდა ეს დღესასწაული. პირველ დღეს მლოცველები მარტვილის მონასტრის ფერდობებზე, მონასტრის ეზოს ქვემოთ, კარვებს დგამდნენ ხოლმე და ღამეს იქ ათევდნენ; მეორე დღეს საკლავს ჰკლავდნენ, იქვე ხარშავდნენ და სწვავდნენ. ცეცხლის ალი, კვამლი და ქვაბების ოხშივარი ერთმანეთს უერთდებოდა, მერე დაუბერავდა დასავლეთიდან მოსული ზღვაური და ზედ ბალახებზე გააკრავდა ნისლსა და ბურუსს.

მესამე დღეს დღეობა იწყებოდა. ყოველ დიდ ოჯახს, ან ყოველ გვარს თავისი სუფრა ჰქონდა გაშლილი, მერე ყველაფერი აირეოდა, ვინ ვისთან სჭამდა და სვამდა, ძნელი გასარჩევი იყო. მშვიდობიანი ხალხი კი ლიტანიობდა, ზეიმობდა, ერთობოდა. საგანგებოდ ჩაცმულნი და დახურულნი მოდიოდნენ, თავს იწონებდნენ და თავს აწონებდნენ სმითა და საუბრით, სადღეგრძელოებითა და მოხდენილი სიტყვა-პასუხით, სიმღერითა და ცეკვით, ოხუნჯობითა და ანდაზებით, ბერიკაობითა და სხვა სანახაობით, ლამაზი ქალიშვილებითა და ვაჟიშვილებით.

ეგრეთწოდებული გინოჯინაფაც—წინასწარ შეგულებული გასათხოვარი ქალიშვილებისა და საქორწინო ვაჟების ნახვა-გასინჯვაც აქვე იმართებოდა. ზოგი ნიშნობაც აქვე ღრეობაზე ხდებოდა და ქორწილის დღეც აქვე ინიშნებოდა.

ზოგნი გაშლილ სუფრას უსხდნენ ფეხმორთხმულნი. ზოგნი ფეხზე იდგნენ სავსე ყანწით, ზოგიც მღეროდა, მეზობელთან ხელგადახვეული, და იყო გაბმული ლხინი... იქვე შორიახლო ლერწამივით აშოლტილი, ნაწნავებიანი ქალიშვილები, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ქამარ-ხანჯალში ჩამჯდარი, წუღამესტებით თითის წვერებზე შემდგარი ვაჟები პირისპირ იდგნენ და ცეკვაოდ

და საასპარეზოდ გამზადებულნი, ერთმანეთს ზვერავდნენ. იდგნენ რაღაც დიდის მოლოდინში; ჩუმად, შეპარვით, ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდნენ ერთმანეთს.

მერე შეგროვდებოდნენ, წრეს შეჰკრავდნენ, ვაჟები სიმღერას წამოიწყებდნენ, ქალები ტაშსა და დაირას ააყოლებდნენ, და იწყებოდა თავდამავიწყებელი ცეკვა-თამაში. ვაჟი ქალს გამოიწვევდა სათამაშოდ, ქალიც გოგმანით გამოჰყვებოდა ცერებზე შემდგარ ვაჟს, მერე შემოუვლიდნენ მოედანს, ვაჟი ქალს გამოეკიდებოდა, ქალი გაურბოდა მას, ვაჟი ცეკვით გზას გადაუჭრიდა და პირისპირ კედელივით აღემართებოდა, ქალი მკლავებქვეშ ლამაზად გაუძვრებოდა და ისევ გოგმანით წრეს უვლიდა. ცეკვავდნენ, მღეროდნენ და ცას სწვდებოდა მათი ჟრიამული.

ხშირად დასანიშნავად შეგულებული ქალ-ვაჟიც გამოდიოდა საცეკვაო მოედანზე. მაშინ კი უფრო გამახვილებული ყურადღებით აკვირდებოდნენ ყოველ მათ მოძრაობასა და მიმოხვრას. მერე იყო აწონ-დაწონა, ფიქრი და მსჯელობა. ვის რა ჰქონდა კარგი: ფეხი თუ ხელი, ტუჩ-კბილი თუ ტანი. და ასე, ამ ცეკვასა და ლაღობაში, საქმეც ბევრი იჩარხებოდა.

ახლა ბერიკები გამოვიდოდნენ მოედანზე. ბერიკებს მესაზანდრეები მოსდევდნენ. ზოგ ბერიკას დათვის ტყავი ემოსა, ზოგი კაცი ქალურად გამოეწყობოდა და თავზე თავსაფრიანი, დედაკაცივით წრეს უვლიდა, ვიღაცას დასცინოდა და ჰკილავდა. ისევ სიცილი და ღრიანცელი ჰფარავდა იქაურობას.

მონასტრის მოედანზე ყველა ადგილი განაწილებული იყო. თავადიშვილები ცალკე იყვნენ, აზნაურები და გლეხები — ცალკე. როცა შეზარხოშდებოდნენ მოქეიფენი, წოდებრივი ზღუდე პირველად აზნაურსა და გლეხებს შორის ირღვეოდა, ყველა ერთმანეთში აირეოდა; თავადები კი, თუ მოისურვებდნენ გლეხის სუფრასთან მისვლას, გლეხი ხარობდა მათი სტუმრობით, გულგაშლილი და ხელგაშლილი ეგებებოდა თავადიშვილებს. ეს მისვლა-მოსვლა მეტწილად კეთილად მთავრდებოდა, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა დღეობას დიდი უსიამოვნებაცა და მსხვერპლიც მოსდევდა ხოლმე.

იმ დღესაც ასე მოხდა. ჩიჩუას ქალი საკანდელიძის ბიჭს ეცეკვებოდა. გვი საკანდელიძე გლეხის პირობაზე შეძლებული ოჯახის შვილი იყო, კარგად ჩაცმული და ტანადი. ჩოხა-ახალუხში და აზიურ წაღებში გამოწკეპილი, გარეგნობით ნამდვილ თავადიშვილს არ ჩამოუვარდებოდა და დიდადაც მოსწონდა ყველას. ახლა იგი შეზარხოშებული იყო და თამამად ცეკვავდა. როცა გოგმანით წრეს უვლიდნენ, ისე ახლო მიეჭრა ქალს, ისე ახლო მიიტანა სახე ქალის სახესთან, რომ იტყოდი, საკოცნელად ემზადებაო. ქალებმა სიცილი ატეხეს. იქვე იდგა ქალის ძმა, ერთი თავნება და ჩხუბისთავი — ანდრო ჩიჩუა. თვალის დახამხამებაში ჩაჭრა მოცეკვავენი და თვითონ გაჰყვა დას საცეკვაოდ. საკანდელიძის ბიჭმა ეს გამოწვევა იუკადრისა. გადაუხტა მოცეკვავეებს, და ჩიჩუას ქალი ისევ გაჰყვა გოგმანით წკიპზე შემდგარ ვაჟს. ეს კი აშკარა შეურაცხყოფად მიიღო ანდრომ და მრისხანედ შეუტია საკანდელიძის ბიჭს:

— ჰაი, შე გლახის შვილო, შე გლეხუჭავ შენა! თავი რომ გაგიყადრა ჩემმა დამ, რა, შენი ტოლი გეგონა, შე ყურუმსაღო, შენა?

ახლა საკანდელიძის ვაჟი გაჯიქდა და თავის მხრივ შეუტია გაბღენძილ თავადიშვილს. საკანდელიძის მამას ნოლალევში საწვრილმანო დუქანი ჰქონდა; პურით, ნავთით და მარილით ვაჭრობდა და იმდენი ფული შეიძინა, რომ წელში გასწორდა. საკანდელიძის ვაჟი ახლა უკვე გლეხობასაც აღარ კადრულობდა და მუდამ წარჩინებულთა წრეში ტრიალებდა. წარჩინებული თავადიშვილები კი ამრეზილად უყურებდნენ გათამამებულ გლეხის შვილს.

საკანდელიძის ბიჭს გულში ჩაუვარდა ჩიჩუას ქალის სიყვარული, მაგრამ

ჯერ არც ქალს უმხელდა და არც არავის. ქალი კი ადვილად უხვდებოდა გულისნადებს და ამიტომაც ასე მღელვარედ ეცეკვებოდა. საკანდელიძის ბიჭს ქონების იმედი ჰქონდა და დროს უცდიდა თავისი ხვაშიადი გაემხილა ქალის დედ-მამისათვის. და აი სწორედ ამ დროს გადაეღობა წინ ქალის ძმა. ბიჭს ასე ეგონა, ჩიჩუების გამოწვევა უარს ნიშნავსო, თავს არ მიყადრებენ უბრალო გლეხსო და ახლა ამან უფრო ააღელვა, სისხლი ყელში მოაწვა:

— არა, შე მართლა ყურუმსაღო, ისეთი ვინ ბრძანდებით, რომ ცეკვასაც არ კადრულობთ ჩემთან? შენისთანა მშიერი თავადიშვილი ცოტა როდი დაღოღავს აქ. რა თავში ვიხლი მე შენს ცარიელ თავადიშვილობას, კუჭი კი მშიერი გაქვს! ერთი ეს მითხარი, ვინ დაგალევინა ღვინო, შე დამშეულო, ა?

ამ სიტყვა-პასუხს სიცილი და ხარხარი მოჰყვა. ეს კი უკვე მეტისმეტი იყო და მთვრალმა ჩიჩუამ ხანჯალი იშიშვლა, მაგრამ საკანდელიძის ბიჭმა დაასწრო და შიგ მუცელში ატაკა სვანური სატევარი. ხანჯლებითა და ჯოხებით ჩიჩუას და საკანდელიძის მომხრეები ერთმანეთს დაერივნენ, და აირია მონასტერი. შეკინკლავებულთა ბრბო თოვლის გუნდასავით აგორდა და მთელ მონასტრის ფერდობს მოედო. ვინ ვის ურტყამდა, ვინ ვის აგინებდა — არავინ იცოდა. ძაღლი პატრონს ვერა სცნობდაო, რომ იტყვიან, სწორედ ისე იყო ახლა იმათი საქმე.

როცა ყველაფერი დამშვიდდა, სამი დაჭრილი გამოიყვანეს საკაცით. ჩიჩუას ბიჭი იმავე საღამოს გარდაიცვალა, საკანდელიძე კი იქვე დააპატიმრა სენაკელმა ჩაფარმა...

როცა აქ, მონასტრის ფერდობზე, ასეთი ამბავი იყო, მაშინ იქ, მარტვილის მონასტრის ეზოში, ჭყონდიდელის სახლში, დიდი თავადიშვილები მშვიდად უსხდნენ სუფრას და ეკატერინე დედოფლის საღეგრძელოს მიირთმევდნენ.

სამეგრელოში ყოფნისას ეკატერინე ყოველთვის ესწრებოდა პეტრეპავლობის დღესასწაულს. შვილებით იმ წელსაც ეწვია მარტვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღეს თეოფილე ჭყონდიდელი სწირავდა, დიდი ქება-დიდებით მოიხსენია ეკატერინე, როგორც მფარველი ანგელოზი ამ კუთხისა. წირვა-ლოცვის დამთავრების შემდეგ კი, ოჯახშიც მიიპატიჟა. ჭყონდიდელის სუფრაზე თავმოყრილმა თავადიშვილებმა უზომო ხოტბა შეასხეს ეკატერინეს...

* * *

1870 წლის 25 მაისს ეკატერინეს გორდში შეატყობინეს, თბილისში მანანა ორბელიანი ავად გახდა და უკანასკნელ დღეშიაო. ამ ამბავმა დედოფალს თავზარი დასცა.

ერთი წლის წინათ ყირიმიდან დაბრუნებულმა მანანა ორბელიანმა ეკატერინე გორდში მოინახულა. მანანა 1858 წლიდან მეტ დროს ყირიმში, თავისი ქალიშვილის, დაქვრივებული ტასო გაგარინას მამულებში ატარებდა. ეკატერინე 1857 წლიდან ხან პეტერბურგში იყო და ხან პარიზში. და აი, დიდიხნის უნახავი დობილები შარშან პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. მათს ხსოვნაში ქალიშვილობის დაუვიწყარი დღეები აღსდგა. დიდხანს საუბრობდნენ და განვლილ დღეთა ნეტარებასა თუ წუხილს იგონებდნენ. ეს მოგონება ერთსა და იმავე დროს ტკბილიც იყო და მწარეც. ჩავიდა თუ არა თბილისში მანანა, ერთბაშად ავად გახდა.

თუმცა ეკატერინეც ავად იყო, მაინც გადაწყვიტა დაუყოვნებლივ თბილისს გამგზავრებულიყო. გული უგრძნობდა, რომ ვერასოდეს ვეღარ ნახავდა მანანას. ეს აიძულებდა, რომ ავადმყოფსაც კი არ დაეზოგა თავი და მოენახულებინა სიყრმის მეგობარი.

ეკატერინემ ბრძანა და მეორე დღესვე მოამზადეს ამალა — ექვსი სეფე ქალი და თორმეტი მამაკაცი. გორდიდან დილით ადრე გამოვიდნენ და ქუთაისამდე საღამოს ძლივს მიაღწიეს. აქ ეკატერინემ ერთბაშად თავი ცუდად იგრძნო —

გულს იტკიებდა. მოასვენეს, მოუარეს, მაგრამ ტკივილებმა არ უკლო. მთელი ღამე წვალებაში გაატარა, მეორე დღეს კი იძულებული გახდა უკანვე — ზუგდიდს დაბრუნებულიყო. წუხდა და ბორგავდა დედოფალი, დობილზე ფიქრი არ ასვენებდა, გული თბილისისაკენ მიუწევდა, მაგრამ ვერა და ვერ მოიკეთა.

სარეცელს მიჯაჭვული მანანაც ასევე ოხრავდა და კვნესოდა. კვდებოდა საქართველოს კიდევ ერთი ულამაზესი ასული — ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეთა სიყრმის მეგობარი.

ეს სამება — მანანა, ნინო და ეკატერინე მთელ საქართველოში მარტო დობილებად კი არა ულამაზეს ასულებადაც იყვნენ მიჩნეული, და აი ამათგან ერთი — ნინო უკვე ათი წელი იყო, რაც გამოეცალა ამ სამეულს. ახლა კი მანანაც ეთხოვებოდა წუთისოფელს. მათი განუშორებელი მეგობარი გრიგოლ ორბელიანი ახლა სასთუმალთან უჯდა მანანას. რას არ უყვებოდა, რას არ იგონებდა, ოღონდ კი ცოტა გუნებაზე მოეყვანა ავადმყოფი.

მანანამ თვალი გაახილა, მეგობარს შეანათა და სვენებ-სვენებით დაიწყო:

— გახსოვს, გრიშა, რანაირი იყო ჩვენი მეგობრობა! შენ მაინც სულ სხვა იყავი ჩვენთვის, ჩემთვისაც, ნინოსთვისაც და ეკატერინესათვისაც. ჩვენ ხშირად ვეჭვიანობდით კიდეც. ჩვენს შორის ვისთან უფრო ახლო იყავი, იყო ერთი ცილობა, მიწევ-მოწევა და უნდობლობა, მაგრამ ჩვენ მაინც ერთად ვიყავით და მხოლოდ შენს სიყვარულში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. აბა, სხვა რა გვქონდა ჩვენ გასაყოფი. შენც კარგად გახსოვს, ჩემო გრიგოლ, მე ქმრის საფლავზე ფიცი დავდე არავის გავყოლოდი, არ გავთხოვილიყავი და შევასრულე კიდეც ეს სიტყვა. შავი კაბა დღემდის არ გამიხდია ნიშნად ქმრის, ოჯახისა და შვილების პატივისცემისა, თუმცა მთხოვნელები და თაყვანისმცემლები როდი მაკლდნენ. უკვე ორმოც წელს გადაცილებული ვიყავი, როდესაც თბილისში ამერიკის ელჩი გვესტუმრა. მეცა და ჩემს ქალიშვილს ტასოსაც ორივეს შავები გვეცვა. არ მოერიდა ელჩი ამას და ორივეს პატივისცემას — და სიყვარულს გვიმჟღავნებდა, განსაკუთრებით მე არ მაცილებდა თვალს. მისი ინგლისურისა მე არაფერი მესმოდა, მაგრამ როგორც მერე მითარგმნეს, თურმე სიყვარულს მეფიცებოდა და ცოლობასაც მე მთხოვდა. მე კი მეგონა, ქალიშვილის ხელს მთხოვდა და გაოცებული ვიყავი ამის გამგონე. და განა მარტო ეს ელჩი? ბევრნი იყვნენ ჩემი ხელის მთხოვნელები, მაგრამ ქმრის საფლავთან დადებული ფიცი წმინდად შევინახე. თუმცა გულცივი არ ვიყავი არავის მიმართ, განსაკუთრებით კი, შენს მიმართ, ჩემო გრიგოლ, და ახლა, სიკვდილის წინ, როგორც აღსარება, ისე მითქვამს შენთვის: მამაკაცთა შორის ყველაზე უფრო ტკბილი შენ იყავი, იმედად შენ მეგულებოდი. როცა შორს იყავი ჩემგან, მე შენი დარდი და სევდა მახრჩობდა; როცა ახლო იყავი, ვხარობდი და ვნეტარობდი, თან ვეჭვიანობდი. დიახ, შენ სხვა იყავი სულ სხვა, ჩემო...

თვალზე ცრემლი მოადგა და სიტყვა ყელში გაეჩხირა. გრიგოლმა უხერხულად იგრძნო თავი, ცრემლები მოერია, შერცხვა და, რომ არ აქვითინებულიყო, ადგა. დიდხანს იდგა გაშეშებული...

გრიგოლ ორბელიანს მანანასავით არავინ ჰყვარებია...

გრიგოლი ყოველ წერილში მანანას მიმართავდა, მას ეაჯებოდა. ხან წერილის მოწერას სთხოვდა, ხან კიდევ ქისას, თბილ წინდასა თუ სხვა რამე მის ნახელავს. შემდეგ მისგან გამოგზავნილ ამ ნივთებს გულში იხუტებდა, ხელით ეალერსებოდა, მიჯნურობას უმჟღავნებდა. ამის გახსენებაზე გრიგოლი პატარა ბავშვივით აზლუქუნდა. მანანას შეუმჩნეველი არ დარჩენია მისი მდუღარე ცრემლები:

— რაა, გრიგოლ, ნუ მაჩვენებ შენს ცრემლებს! ხომ იცი, ამის ატანა აღარ შემიძლია. განა ვკვდები? — ამ სიტყვებზე ხელი ხელზე მოუფათურა

გრიგოლს. ასე იყვნენ დიდხანს სულგანაბულნი, მაგრამ უცბად მანანას ხველება აუვარდა და ცუდად გახდა. ექიმს მოუხმეს, მაგრამ ექიმმაც ვერ მოუსწრო, გულშეღონებული ბალიშებზე მიესვენა და ხროტინი დაიწყო. გრიგოლმა ვეღარ გაუძლო ამ სურათს და გარეთ გავარდა. მთელი საათი იწვალა მანანამ და ასე წვალებით აღმოხდა სული საქართველოს ამ ულამაზეს ასულს...

1870 წლის 3 ივნისს მანანა ორბელიანი სამების ეკლესიაში დაასაფლავეს. მთელმა თბილისმა გააცილა თბილისის ცისკარი.

გულმოკლული გრიგოლ ორბელიანი ეკატერინე ჭავჭავაძეს ატყობინებდა: „მწუხარება მწუხარებაზე დაგვერთო... სამებაში მივასვენეთ ჩვენი სასიქადულო მანანა“... როდესაც ეკატერინემ ეს სტრიქონები წაიკითხა, გული შეუღონდა, იტირა, იტირა კი არა, იბღავლა. ავადმყოფ დედოფალს ამშვიდებდნენ, ეფერებოდნენ, მაგრამ ამაოდ... მერე ეკატერინემ ის ბარათი მოატანინა, რომელიც ცოტა ხნის წინათ მანანამ გამოუგზავნა მისი ქალიშვილისათვის მოქსოვილ საჩუქართან ერთად. მანანა სწერდა: „უსაყვარლესო დაო ეკატერინე, იმ დღეს მოგახსენე, თქვენის ქალიშვილისათვის ორი სარტყელი და ერთი თავსაკრავი მომირთმევია, თუმცა არ არის მაგისი შესაბამი ლამაზები, მაგრამ გიყვარვართ და ჩემგან სიამოვნებით მიიღებს, და არ შემრისხავთ. ყმაწვილი ქალია და გაებედება მცირე რამ ჩემგან“...

ეს ბარათი წაიკითხა ეკატერინემ და უფრო ცუდად გახდა. შემდეგ ხატის წინ დაიჩოქა:

„ეჰ ჩემო მანანა, შენ წახვედი ჩვენგან და მეც მალე მოგეწევი. ცხოვრება თურმე უფრო რთული ყოფილა, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვედგინა ქალიშვილობისას. ცხოვრება არც ის ყოფილა, რაც მე და შენ რუსულ და ფრანგულ რომანებში ამოგვიკითხავს, რის გამოც ბევრი ცრემლებიც გვიღვრია. თურმე ის რომანები სხვა ყოფილა, ცხოვრება კი — სხვა. ის ლამაზი სიყვარული, რომელზედაც ისინი მოგვითხრობდნენ, მოჩვენება ყოფილა, ლამაზი ზღაპარი ყოფილა, ყველაფერი ამქვეყნად წარმავალი და წუთიერია. წავიდა ჩვენი დღეები, სიამით სავსე; მოვიდა ჩვენი უკანასკნელი განკითხვის დღეც. აჰა, შენ უკვე წარსდექი ამ განკითხვის წინაშე და ვალი მით მოიხადე. ახლა მე მიკაკუნებს სიკვდილი კარსა, და მაკრჟოლებს შეგრძნება იმისა, რომ მარტო დავრჩი ამ განკითხვის ჟამს, მარტო, მეგობრებისაგან და ახლობლებისაგან მიტოვებული... ვაი, რა გაუტანელი ყოფილა ეს წუთისოფელი“.

ესა თქვა და თვალი ცრემლით აევსო ეკატერინეს, ცრემლს რომ არ დაეხრჩო, ხმამაღლა იყვირა: — წყალი, წყალი.

დედოფალს წყაროს წყალი მიართვეს. შესვა, მოსულიერდა, მაგრამ ისევ მილულა თვალი და მთელი დღე ისე გაატარა, რომ ხმა არავისთვის გაუცია...

იმ დღეს ეკატერინე თავის ბარათებს ალბომში ალაგებდა. მაგიდის უჯრიდან ერთი ბარათი ამოიღო. გრიგოლ ორბელიანის წერილი იყო, მანანა ორბელიანისადმი მიწერილი. გაშალა და წაიკითხა:

„ალბათ, ისევ ნებივრობთ უჩემოდ. როგორა ხარ ჩემო მანანა, ღ-თს ვჰსთხოვ თქვენ და ნინო ამ დიდმარხვის მადლმა მაინც მოგარჯულოსთ... დაუტევეთ ეშმაკი, რომელიცა წინ გიძღვისთ თქვენ სულისა თქვენისა წარსაწყმენდელად, თორემ იქნების საზარელ, რომელთა აღარსათ უშველის არც კბილთა ღრჭენა და არც სასოწარკვეთილება. ნინო ხომ არ მოსულა რუსეთიდან?

სალომე და ეკატერინე როგორ იმყოფებიან? ძალუა ელისაბედი მწერს, რომ ნინო დანიშნულაო მოსკოვში, მართალია?“

აქ შეჩერდა. წერილი განზე გადადო და გრიგოლ ორბელიანთან გასაგზავნ ბარათს ზედ მიაწერა: „ჩემო გრიგოლ, ამას წინათ ჩემთან რომ იყო მანანა, მაშინ აქ დარჩა ეს შენი წერილი. მაშინ ერთად წავიკითხეთ და ბევრიც ვიცინეთ. მანანა ძალიან კარგ გუნებაზე იყო. ნე-

ტავ იმ დროსა! ვინ იფიქრებდა, თუ ასე გამოგვეცლებოდა ხელიდან. წერილი მანანასათვის უნდა გამეგზავნა, მაგრამ შემრჩა. რაკი ახლა მანანა აღარ არის, შენვე გიგზავნი ამ შენს ბარათს".

ეკატერინემ ეს ბარათი თავის წერილთან ერთად დაკეცა, ფრთხილად ჩადო კონვერტში და გრიგოლ ორბელიანს გაუგზავნა.

* * *

ის ზამთარი ზუგდიდში გაატარა ეკატერინემ. სწორედ ზუგდიდში მოართვეს მას გრიგოლ ორბელიანისაგან გამოგზავნილი ბარათი:

— თქვენო უგანათლებულესობავ, მოწყალეო დაო ეკატერინევ! მომირთმევია კრძალვითა და შიშით სალაღობოს ალავერდი. არ ვიცი, მოიწონებ თუ არა, მაგრამ არ დავმალავ. მინდა კი დიდად რომ მოგეწონოთ. რა ვქნა სიტყვა-სიტყვითი თარგმანი არ ივარგებდა. ამის გამო გადმოვიღე მხოლოდ აზრი სალაღობოსა და განვავრცელე ქართველთა ჩვეულებების ჩამატებით, და ახლა არ ვიცი, ეს ჩამატება მოუხდა თუ არა. მსაჯული ამისა თქვენ ბრძანდებით...

...ამ ზამთარში არის დიდად გაჩაღებული არტისტიჩესკი კრუჟოკი, სადაც ყოველ კვირას ერთხელ, ორჯერ ხან აქვთ ბალი, ხან მასკარადი, ხან თეატრი. თითქმის მთელი ქალაქი არის ჩაწერილი ჩლენად ამ კრუჟოკში და არის დიდი გაკვრა-გამოკვრა, მხიარულება, ტანცობა დიდს ხანსა.

იყო რამდენიმე ლექციები ფიზიოლოგიიდან, რომელთაც დიდად სახელოვნად კითხულობდა, ახლად გამოჩენილი სწავლული კაცი თარხანოვი — რამაზის შვილი. ძლივს ვეღირსენით ერთს სწავლულ ქართველსა, ქალებს დიდად მოსწონთ, ყაფლანს კი სწყინს, ღმერთსა ვთხოვთ თქვენს სუფევასა სიხარულით, გულდასვენებით, სიმართლით, თქვენის მშვენიერი შვილებითა, და მეც მაღირსოს ხილვა თქვენი.

თქვენის უგანათლებულესობის მარადის ერთგული მოსამსახურე

გრიგოლ ორბელიანი.

5 იანვარი 1872 წ. თბილისი".

სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი გრიგოლ ორბელიანი უხვად წერდა ლექსებს; ისევ თბილისის საზოგადოების ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, ისევ დაუღალავად იგონებდა მეგობრებსა და ამხანაგებს, მათ შორის ყველაზე გულუხვად ეკატერინეს უმასპინძლდებოდა წერილებით:

...„უმოწყალესო, დაო ეკატერინავ!

ვჰგრძნობ ჩემს დანაშაულობას; ვცოდე ცად მიმართ და წინაშე თქვენსა დავშთი პირშავად! არ ვიმართლებ თავს მით, რომ თან შეუძლებლობა, თან აქაიქ სოფელში თრევა მიშლიდნენ აქამამდის წერილის მორთმევასა და ახლა ისევ თქვენმა გულმა, სიკეთით სავსემ, მომიგონა და წერილითა გამომაღვიძა, გამამხნევა და დამარწმუნა, რომ ამ დაუდგრომელს სოფელში არ ვჰყოფილვარ დაკარგული. ღმერთმან თქვენ, თქვენ შვილებითა ისე გაგაბედნიეროს, როგორც მე გამახარეთ თქვენის მოგონებითა.

მიბრძანდებით პარიზში, უფალი მარადის გიძღოდეთ თქვენ მფარველად ზღვაშიაც და ხმელეთზედაც. მიხვალთ თქვენს მშვენიერს სალომესთან. იქ მომიგონეთ და ჩემს მაგიერ მიულოცეთ ორი ვაჟის დედობა და ჩამიკოცნეთ გულით, სულით, ხალომეცა, მისი ქმარიცა და შვილებიცა მათი.

...ამ ზაფხულმა ისე გაიარა, რომ ღრუბელი არ მინახავს, საშინელმა მოუწყვეტელმა სიცხემ გაახმო მიწა, მოსავალი დაჰსწვა, წყაროები დაჰშრნენ, მტკვარი ძლივსღა მოწინწკილებდა, ხოლო სექტემბრის გასვლის მოვიდა წვიმა და გაგრილა ჰაერი.

...გუშინ აქაური ხალხი რკინიგზით პირველად წავიდა მცხეთას, სადაც იღღესასწაულა. დილის ექვს საათიდან შუალამემდის მოუწყვეტლივ მიდიოდნენ და მიდიოდნენ ვაგონები, ხალხით და-

ტენილები, ზურნებით, ჭიანურებით, სიმღერით. სასიამოვნო სანახავი იყო, უშლიდნენ ზურნის დაკვრასა, მაგრამ არ დაიშალეს! ჰეი, ინგლისს, ზნაეშ, სეგოდნია მცხეთობაა, პრაზდნიკ, ზურნა ნადა". ანგლიჩანმაც ვერ გაიგო რა და თავი დაანება. შუაღამემდის მოუწყვეტლივ ისმოდა ზურნა და სიმღერა. მიყვარს ეს ჩვენი ხალხი, თუ არ წაუხდინეს ხასიათი...

თქვენი მარადის, საფლავამდი ერთგული.

გრიგოლ ორბელიანი.

2 ოქტომბერი 1872 წ. თბილისი".

* * *

ილიას გამოცანები მთელს საქართველოში გახმაურდა. ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ხელიდან ხელში გადადიოდა. მერე დაიბეჭდა კიდეც, და დიდი განგაშიც ატყდა. ეს ილიას მიერ ძველი საქართველოს ჭაობში გადასროლილ მეორე ყუმბარას ჰგავდა; პირველი ყუმბარა კი „ცისკარში" დაბეჭდილი ორიოდე სიტყვა იყო, ძველი აზრებისა და შეხედულებების ასაფეთქებლად გადასროლილი. აქედან მოკიდებული მამათა და შვილთა შორის, ძველსა და ახალს შორის გამართული ბრძოლა არ შეწყვეტილა. იგი ხან აშკარად მომდინარეობდა, ხან ფარულად. ახლა კი ამ გამოცანებმა ისევ ააფეთქა საზოგადოებრივი აზრი, და ამ ყუმბარის ნამსხვრევები დიდ თანამდებობაზე მყოფ ბობოლა არისტოკრატიასაც მოხვდა. ისინი ერთბაშად დაადგენენ ილიას საწინააღმდეგო მხარეს. ახლა უკვე აშკარა იყო, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა არაფერს აპატიებდა, არაფერს დაუთმობდა ძველ თაობას. და ძველებმაც მოუხმეს თანამოაზრეებს, შეიარაღდნენ „თოფითა და ჯინჯილითა". აქეთ იმერეთიდან მისცეს ბანი გრიგოლ ორბელიანს, იქით სამეგრელოდან გრიგოლ დადიანმა — კოლხიდელმა მოაწვდინა ხმა. და აი, ბრძოლის ასპარეზზე განრისხებული გრიგოლ ორბელიანი გამოვიდა, ილიას გამოცანებს მწვავე სატირული ლექსით უპასუხა („პასუხი შვილთა"). ორბელიანის ამ ლექსს ისევ მოჰყვა ილიას „პასუხის პასუხი", აკაკი წერეთლის „ხარაბუზა ღენერალს" და „კოლო-ბუზების პასუხი". და თაობათა ბრძოლა აშკარა შეტაკებად გადაიქცა. მამებმა და შვილებმა არ დაიშურეს ერთმანეთის სალანძღავი სიტყვები: „ქონდრის კაცი", „საქმით კუზა", „ღობემძვრალა", „ჭკუით გლახები", „კატის კნუტები", „ცრუ პოეტები", და ასე შეისხა ფრთები „უცენზურო მწერლობამ". მთელი საზოგადოება ჩაება ბრძოლაში. ეს ამბავი ეკატერინემ გორდში გაიგო. ილია ჭავჭავაძეზე ისედაც გაბრაზებული დედოფალი ახლა მთლად გადაირია:

— ამას რას ვხედავ! როგორ ბედავს ასე აშკარად ყველას მასხარად აგდებას! არა, ამ გრიგოლ ორბელიანთან მაინც რა უნდა! როგორ, გრიგოლს თუ არ უყვარს ჩვენი მამული, გრიგოლი თუ არ არის საქართველოსათვის თავდადებული, მაშ აბა, ის ვიღაც გლახის შვილები ყოფილან, არა?

ახლა ეს „ვიღაც" არ მოეწონა და გაასწორა:

— ილია არ არის ნამდვილი ჭავჭავაძე, მე უარს ვამბობ მაგის გვარიშვილობაზე, უარს, — გაბრაზებული ამბობდა ეკატერინე, გორდიდან ედავებოდა ილია ჭავჭავაძეს!

როცა ეკატერინემ გრიგოლ ორბელიანის „პასუხი შვილთა" წაიკითხა, ცოტა დამშვიდდა. იმისი მწვავე, პილპილიანი სიტყვები მოეწონა და მთელი ღამე იმეორებდა: „ბურთივით მრგვალი ის ლიბერალი, ცრუ პოეტები, მესხი, მეველე"...

მაგრამ საქმე ისე წავიდა, რომ ყველა ხედავდა, ყველა გრძნობდა, სიმართლე ილიას თაობის მხარეზე იყო. ცხოვრებამ თვითონ გადაწყვიტა თაობათა დავა. ახალი საქართველო თავის ბელადებად ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს ირჩევდა. და ასე, ცხოვრების სასწორი ილიას თაობის მხარეზე გადაიხარა.

ილიასა და აკაკის სახელები ხალხში

ლეგენდად გადავიდა. ხალხი იმეორებდა ახალი საქართველოს ბელადების სიტყვებს: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, და ისევე გაიღვიძებს“. „მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია“.

აქ ილია ბუბუნებდა: „მესმის მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა, სიმართლის ხმა ქვეყნადა ქუხს დასათრგუნად მონობისა“; იქით აკაკი მოსძახოდა: „რაგინდ ბედით ვიყო კრული, საშინელიც მექნეს ბოლო, არ შედრკება ჩემი გული, გინდა ქვითაც დავიქოლო“. ახალი საქართველოს ბელადები გმირებს ეძახდნენ, უყიოდნენ. მათი დაფისა და ნაღარის ხმაზე ხალხიც იღვიძებდა და ფეხზე დგებოდა. ხალხი იმეორებდა ილიას სიტყვებს:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ
მოგიწყენია,
აწმყო თუ არა გვწყალობს,
მომავალი ჩვენია“.

ხალხში იზრდებოდა სამშობლოს სიყვარულის, მისთვის თავდადების, მისთვის თავშეწირვის დიადი გრძნობა. ახალი საქართველოს ბელადები ყოველივე დრომოჭმულს, უხამსს, უვარგისს ამხილებდნენ, და ხალხი ისევ მათს კვალზე იმეორებდა: „ბატონსა და ყმას შორის ძმობის ხიდი არ გაიდებაო“. ხალხში იზრდებოდა ძმობის, ერთობის, თავისუფლების რწმენა, იმსხვრეოდა ბატონყმობის ბორკილები, ისახებოდა ახალი საქართველოს კონტურები. ძველისა და ახლის გაყრა დიდი ტკივილებით ხდებოდა. მიმავალნო, გზა დაგვითმეთო, მისძახოდნენ მომავალნი. დრომოჭმულ წესებზე აღზრდილი ძველი თაობა უბრძოლველად არ სთმობდა პოზიციებს, და იყო შეხლა-შემოხლა, შეუპოვარი ბრძოლა.

ეს წლები საქართველოში გამოღვიძებული ახალი მებრძოლი დასის წლები იყო. ახალ აზრს ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა, რაც ეკატერინე ჭავჭავაძეს უფრო აბრაზებდა და აანჩხლებდა. იგი „კაკო ყაჩაღისა“ და „კაცია ადამიანის“ ავტორს გინებით იკლებდა. ეკატერინე ფიქრობდა: „მე თვითონ ბალ თბილისში, მე თვითონ მოველაპარაკები ილიას, მე, ქალი, საკადრისად გავუმასპინძლდები მას, რაკი ვერაფერს გამხდარან ამ თავზეხელაღებულ თავადიშვილთანო“.

ამ დროს ილიას „მგზავრის წერილებიც“ გამოქვეყნდა. ეს ახალი ნაწარმოები გაფაციცებით გადაათვალიერა ეკატერინემ. შიგ გრიგოლ ორბელიანის ლექსს წააწყდა: „თერგი რბის, თერგი ღრიალებს“... ეს ეკატერინეს საყვარელი ლექსი იყო. ისევ გადაიკითხა ეს სტრიქონები და გაიხარა. მერე დაფიქრდა და გაოცდა: „როგორც ეტყობა, ისევ შერიგებულან გრიგოლი და ილია!“ ახლა უკვე გრიგოლ ორბელიანზე ბრაზობდა. ეკატერინეს თავგზა აებნა, ვერაფერი გაეგო, რა ხდებოდა, და ის იყო გადაწყვიტა კიდეც თბილისში წასულიყო. მეორე დღესვე, ახლა უკვე გრიგოლ ორბელიანზე გაჯავრებულმა ეკატერინემ თავისი ვაჟით ნიკოთი თბილისს მიაშურა.

ეკატერინემ თბილისში ძმასთან — დავით ჭავჭავაძესთან დაიდო ბინა. იმ საღამოს დავითს ბევრი სტუმარი ჰყავდა. ეკატერინემ გულით გაიხარა, რომ ჭავჭავაძის ოჯახი ძველებურად კვლავ სალონი იყო თბილისის არისტოკრატიისა. ახლა დავითის ცოლი ანა განაგებდა ამ სალონს. ანა ევროპული და რუსული განათლების კვალობაზე აღზრდილი ქალი იყო და ისე აოცებდა ყველას, როგორც თავის დროზე ეკატერინე და ნინო. იმ საღამოს დავით ჭავჭავაძეს რუსი გენერალი და ფრანგი მხატვარი ეწვივნენ. ანა ფრანგულად ელაპარაკებოდა სტუმრებს. ეკატერინე ჩაერია ამ პაექრობაში და ყველაფერი დაავიწყდა. ამ საღამოს ისევ ძველებურად ქედმაღლობდა და დედოფლობდა, ყველას აოცებდა განათლებით, ფრანგული ენით, საუბრითა და საქციელით.

მეორე დღეს ეკატერინემ გრიგოლ ორბელიანი ინახულა.

ისხდნენ ახლა ძველი მეგობრები და იგონებდნენ ახალგაზრდობის დღეებს, გულს იოხებდნენ წარსულის მოგონებით და ბრაზით ლაპარაკობდნენ ახალთაობის თავგასულობაზე. ეკატერინე ილია ჭავჭავაძეს აგინებდა. გრიგოლი უფრო თავშეკავებით ლაპარაკობდა, ეკატერინეს ყველაფერს უხსნიდა და განუმარტავდა.

ეკატერინემ გადაწყვიტა, ილიას შინ ხლებოდა და მოლაპარაკებოდა. ის იყო მეორე დღეს მოემზადა ახლად დაქორწინებულ ილიასთან წასასვლელად, რომ მოახსენეს, ილია ჭავჭავაძე პეტერბურგს გაემგზავრა თბილისის ბანკის წესდების დასამტკიცებლადო.

იმავე დღეს ეკატერინე გორდს დაბრუნდა.

1874 წლის მაისს ნიკო დადიანი გრაფ ადელბერგის ქალიშვილზე დაქორწილდა. ამ გრაფს — რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მეორის ბავშვობის მეგობარს — ახლა სასახლეში კარის მინისტრის ადგილი ეკავა და დიდად მიღებული იყო მეფის კარზე. გრაფის უფროს ქალიშვილ მერისთან პარიზიდან დაბრუნებულმა ნიკომ ისევ განაახლა რომანი. საქმე ის იყო, რომ, როდესაც ნიკოს მინგრელსკის ტიტული დაუმტკიცეს და მთავრობა ჩამოართვეს, ალექსანდრე მეორემ თავის ადიუტანტად დატოვა. აი, აქ ყოველ დღე ხვდებოდნენ ერთმანეთს ბავშვობაში შეყვარებულნი: მერი ადელბერგი და ნიკო დადიანი. შემდეგ ეს შეხვედრა მწველ რომანად გადაიქცა, და ერთ დღეს ერთმანეთს ცოლქმრობის პირობაც მისცეს.

მერი აღტაცებული იყო, რომ ამ დარდიმანდმა, პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაში პირველ ვაჟკაცად მიჩნეულმა დადიანმა ცოლობა სთხოვა. ნიკომ ეკატერინეს ნებართვა მიიღო და ქორწილიც დაინიშნა. ნეფე-დედოფალს ზამთრის სასახლის ტაძარში დიდი ამბით დასწერეს ჯვარი. ახალ ჯვარდაწერილები საქართველოში გამოეშურნენ. პეტერბურგიდან ოდესამდე საგანგებო მატარებლით იმგზავრეს, ოდესიდან კი საიმპერატორო გემით ფოთში ჩამოვიდნენ. ფოთში მათ დიდი ზეიმით შეხვდნენ. ფოთიდან ისევ საგანგებო მატარებლით ქუთაისს გამოემგზავრნენ, რადგან ქორწილი გორდში იყო დანიშნული.

ფოთიდან მატარებლით გამომგზავრებულ ნეფე-დედოფალს პირველი დიდი შეხვედრა სენაკში მოუწყეს. მატარებელი გაჩერდა თუ არა, სადგურის მოედანი ხალხით გაივსო. ორი ულამაზესი ქალიშვილი მატარებელზე ავიდა, წინ გამოუძღვა ნეფე-დედოფალს. კიბეებთან სახლთუხუცესი არჩილ დადიანი შემოეგებათ დიდი ყანწით. ყანწი ღვინით გაავსო და ნეფე-დედოფალი ადღეგრძელა. იქვე მდგარმა გუნდმა მრავალჟამიერი დააგუგუნა, ხოლო ჩოხა-ახალუხში გამოწყობილმა 12 წლის ბიჭმა ნიკო დადიანს ხელში ხაჭაპური შეაჩეჩა და ასე უშურჩულა: ნახევარი მეუღლეს მოუტეხე და მერე თქვენი ხელით ორივემ იმათ ჩამოურიგეთ, ვინც ახლა შემოგეგებათ მატარებელშიო. ნეფე-დედოფალი ხაჭაპურს ურიგებდა, ხალხი ხელს ართმევდა, ყვავილებს ესროდნენ, ხელს უქნევდნენ, ტაშს უკრავდნენ. ვარდ-ყვავილებმა მთლად დაფარა მოედანი. მატარებელი ნელა დაიძრა და ხალხიც ფეხდაფეხ მიჰყვა. ისევ ვარდებს და ყვავილებს ესროდნენ ფანჯრიდან გადმომდგარ ნეფე-დედოფალს.

ქუთაისში თორმეტი ეტლითა და ასი ცხენოსნით ნეფე-დედოფალს ზუგდიდიდან და გორდიდან ჩამოსული მაყარი დახვდა და მაშინვე დაიძრნენ გორდისაკენ. წინა ეტლზე ნეფე-დედოფალი იჯდა, ეტლის კოფოზე — სახლთუხუცესი არჩილ დადიანი, და მერე ეტლები, ცხენოსნები... გამწკრივებული მაყრიონი გორდისაკენ გაუდგა გზას და გორდის უღელტეხილთან შეჩერდა, სადაც ცხენისწყალზე პომპეუსის თუ ბომბუას ხიდია გადებული. მაყარი ეტლიდან და ცხენებიდან ჩამოქვეითდა და ფარდაგებითა და ყვავილებით მოფენილ ხიდზე გაიარა. ხიდის სახელურები კი მთლიანად ყვავილებით იყო შემოსილი. გავიდნენ, და გაღმა სუფრა იყო გამარ-

თული. სუფრის თავზე გრიგოლ დადიანი — ეკატერინეს მაზლი იდგა. ის წამოვიდა სავსე ყანწით, ჯერ გადაკოცნა ნეფე-დედოფალი და მერე დალოცა. ამ დროს იქვე ჩამწკრივებულმა მხედრებმა თოფი ორმოცჯერ გაისროლეს. ამას კი გორდიდან ზარბაზნებმა მისცეს ბანი და მთების ექომ გააყრუა იქაურობა.

გრიგოლ დადიანმა მთელი მაყარი ხიდის მეორე მხარეს გაშლილ სუფრაზე მიიწვია, დიდი ყანწი აიღო, ისევ მხურვალედ გადაკოცნა ნეფე-დედოფალი და მერე ხმამაღლა ადღეგრძელა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბედნიერი იყოს ფეხი თქვენი, — ესა თქვა და ყანწი გამოცალა. ახლა კი „კუჩხა-ბედნიერი“ დააგუგუნა მაყარმა. ორმოც თოფს ისევ ბანი მისცეს გორდის ზარბაზნებმა.

მერე დედოფალი ტახტრევანზე შესვეს. წინ გრიგოლ დადიანი გაუძღვა ცხენით. ტახტრევანს ასამდე მაყარი ცხენდაცხენ და ფეხდაფეხ გარს შემოერტყა და გორდისაკენ გასწიეს. მთელი ის შვიდი ვერსი, ბომბუას ხიდიდან გორდამდის, მაყარმა სიმღერასა, ზარბაზნების სროლასა და თოფების გრიალში გაიარა.

გორდის სასახლის ეზოს მიადგნენ თუ არა, ისევ იგრიალა ზარბაზნებმა. ცაში შუშხუნები აუშვეს. კინჩხის მთაზე ანთებული კოცონი მთელ სამეგრელოს ამცნობდა გორდში დადიანების ქორწილის ამბავს.

ეკატერინე ნეფე-დედოფალს სასახლის ჭიშკართან შეეგება. ნიკომ ცალ მუხლზე დაიჩოქა და ხელი მოჰხვია დედის კალთას, მაგრამ უცბად დედოფალმა ხელი სტაცა, ფეხზე წამოაყენა და ცრემლმორეული თავათ გადაეხვია. ის ორივეს — შვილსა და რძალს — ხელმოხვეული ეკლესიისაკენ გაუძღვა.

სასახლის ეკლესიაში ნეფე-დედოფლის ბედნიერად მობრძანების აღსანიშნავად მცირე პარაკლისი გადაიხადეს და ის იყო გორდის ხეივანში დიდ მოედანზე სუფრაც გაიშალა. სუფრას 500 კაცამდე უჯდა. მაგიდის გარშემო სიმღერა გუგუნებდა, ცოტა მოცალებულ მუსიკა უკრავდა, ხოლო მოედანზე — ამოტეტილ ცეკვა-თამაშს ბოლო არ უჩანდა. მთელი ღამე გაბმული ლხინი იყო გორდის სასახლეში.

მეორე დილას, დილით ადრე, ნიკო მინგრელსკიმ მაყარი აშალა და თურჩას ტყეში დათვებზე სანადიროდ წაუძღვა. სანადიროდ წასულ მაყრიონს წინ ყარაბახულ ბედაურზე ამხედრებული გრიგოლ დადიანიც მიუძღოდა. მართალია, სამეგრელოში სამთავროს დროშა უკვე გაუქმებული იყო. მაგრამ ეს დროშა ისევ სასახლეში ინახებოდა და ასეთი დიდი ზეიმობის დროს ყოველთვის გამოაფენდნენ ხოლმე. ახლაც გორდის სასახლის თავზე ეს დროშა ამაყად ფრიალებდა.

გვიან დაბრუნდნენ მონადირენი, თან მოიტანეს ნანადირევი: დათვი, შველი და რამდენიმე კურდღელი მოეკლათ.

საღამოს ისევ სუფრა გაიშალა, კინჩხის მთებზე ისევ ენთო კოცონი, ჰაერში ისევ მაშხალებს ისროდნენ. ეზოში ისევ გუგუნებდა მუსიკა, ისევ გრძელდებოდა გაბმული ლხინი. სამ დღესა და ღამეს განუწყვეტლად გაგრძელდა გორდში ნიკო დადიანისა და მერი ადელბერგის ქორწილი...

გაიგო თუ არა გრიგოლ ორბელიანმა. ნიკო დადიანმა ცოლი შეირთო, ერთბაშად ორი წერილი აფრინა:

„უგანათლებულესო კნეინავ, უმოწყალესო დაო ეკატერინავ! წუხელის სრულიად მოულოდნელად თქვენმა ნიკომ მაცნობა ტელეგრაფით სასიხარულო ამბავი: დანიშვნა თავისი გრაფინია მარია ადელბერგის ქალზე. ღმერთმან მოუვლინოსთ კურთხევა თავისი ნიკოსაცა და მის სასძლოსაც და ყოს სიცოცხლე მათი ბედნიერება ურთიერთისა სიყვარულითა ისე, როგორც გულსა თქვენსაა. ასე არის ჩვენი საზოგადოდ ლოცვა ღვთისადმი და თქვენზეც მოგილოცავთ ჭეშმარიტისა სიხარულითა, ახლა კი განისვენებთ გული ღელვისაგან მუხთალისა სოფლისა.

დაგიკოცნით ხელებს და ჭეშმარიტითა პატივისცემითა და ერთგულებით სიყვარულითა ვეგები მარადის.

თქვენი უგანათლებულესობისა ერთგული მოსამსახურე.

თ. გრიგოლ ორბელიანი.

5 იანვარი 1874 წ. თბილისი".

ასეთივე ბარათი ნიკოსაც მისწერა:

„თქვენო უგანათლებულესობავ, კნიაზო ნიკოლოზ დავითის ძევ! გულით და სულით, ჭეშმარიტი სიყვარულით მოგილოცავთ დაწინდვასა გრაფინია მარია ადელბერგისაზე. უფალსა ღმერთსა ვთხოვ მოიღოს ორთავე თქვენზე კურთხევა თავისი დღეგრძელობისა და ბედნიერად ცხოვრებისა თქვენისა. მერწმუნეთ, ამავე სიტყვებითა გლოცავენ ყოველი თქვენი ნათესავნი და ძველი პატივისმცემელნი თქვენის ოჯახისა.

ჭეშმარიტი პატივისცემით და ერთგულების

სიყვარულითა ვეგებებით მარადის

თქვენი უგანათლებულესობისა მორჩილი მოსამსახურე

თ. გრიგოლ ორბელიანი.

5 იანვარი 1874 წ. თბილისი".

* * *

გავიდა წლები. ილია ჭავჭავაძე თბილისის ბანკის დირექტორი იყო. ეკატერინე ხშირად ხვდებოდა ახლა ილიას. რაც მათ ერთმანეთისაგან აშორებდათ, დავიწყებას მიეცა, და გვარიშვილები ისევ დამეგობრდნენ. ახლა ეკატერინე ხშირად მიმართავდა ბანკის დირექტორს თავისი საქმეებისათვის. ილიაც მზად იყო დასახმარებლად.

იმ წელს ისევ ეწვია ეკატერინე თბილისს. ილია უკვე „ივერიას" რედაქტორობდა. თბილისში სამკურნალოდ ჩამოსული დედოფალი მეტ დროს იწვა. დედოფალს თავისი შვილი ნიკო ადგა თავზე. ავადმყოფ დედოფალს ერთხელ ილია ესტუმრა. „ივერიის" რედაქტორის, ბანკის დირექტორისა და ძველი მეგობრის მოსვლა დედოფალს დიდად გაუხარდა. ის იყო საუბარიც გაიმართა, ეკატერინე, ილია და ნიკო ერთურთს ლად, მეგობრულად, შინაურულად საუბრობდნენ. ილიამ პეტერბურგში დაწყებული ამბავი მოაგონა ეკატერინეს:

— გახსოვთ, დედოფალო, თქვენ ჯერ კიდევ პეტერბურგში მითხარით, ჩვენს სასახლეში დიდძალი ხელნაწერია დაცულიო. რა დღეშია ახლა ეს ხელნაწერები და შეგვიძლია თუ არა გავეცნოთ მათ?

— ჩემო ილია, არსად, არც მამაჩემის ოჯახში, არც გრიგოლ ორბელიანის ოჯახში, არც სხვაგან მეგულება ისეთი ბიბლიოთეკა, როგორც ჩემ ქმარს, დავით დადიანს ჰქონდა. ჩემი ბიბლიოთეკა და იქ დაცული წინაპართა ხელნაწერები რომ ნახოთ, გაოცდებით. ნამდვილი მუზეუმია, ხელნაწერებისა და წიგნების დიდი მუზეუმი. და იცით მერე, როგორ უყვარდა ის ჩემს დავითს, როგორ უვლიდა ყოველ წიგნსა და ყოველ ხელნაწერს?.. თურქეთთან ომის დროს მთელი ეს ხელნაწერები და ბიბლიოთეკა გორდში გადავიტანეთ. ახლა ყველაფერი იქ არის შენახული. ამ ძვირფას განძეულს, დავითისაგან მოვლილსა და შენახულს, მე საკუთარ თავზე მეტად ვუფრთხილდები, ჩემო ილია! აბა, მის ნახვას როგორ დაგიშლით! დიახაც მეამება, რომ მის სანახავად ჩამოხვიდეთ. ჩამობრძანდით და თვითონ დარწმუნდებით, რა ძვირფასია ჩვენი ბიბლიოთეკა.

ილია ისე დაინტერესდა ამ საქმით, რომ გაუბედა და უთხრა ეკატერინეს:

— ჩვენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას ვაპირებთ. ამ საზოგადოების პირველი მოვალეობა ის იქნება, რომ თავი მოუყაროს ყველა იმ ხელნაწერსა და ძვირფას წიგნს, რაც ჩვენს წინაპრებს შეუქმნიათ და ხალხშია გაბნეული. „ივერიაში" განცხადება უკვე გამოქვეყნდა. ჩვენ შევუდგებით ამ ხელნაწერების შესყიდვასა და შეგროვებას, და თქვენ, დედოფალო, ვითარცა განათლებული ქალი და ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, ალბათ, თა-

ვათ ინებებთ ეს ხელნაწერები ჩვენს საზოგადოებას გადმოსცეთ.

ილიას საუბარიც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ დედოფალმა ხელები გაასავსავა:

— არა, ვერ გავიმეტებ, ჩემო ილია, მე იმ ძვირფას ნივთებს. აკი მოგახსენეთ, იგი ისე უყვარდა ჩემს დავითს, რომ, სანამ ცოცხალი ვარ, ვერ მოვიშორებ, ჩემს გვერდით უნდა მეგულებოდეს ყოველივე საგულდაგულოდ შენახული. ჩემი დავითის ძვირფას განძს ჩემსავით არავინ გაუფრთხილდება. ახლა, სიბერის ჟამს, ამ წიგნებს შვილებივით ველოლიავები და ვერც ვერავის დავუთმობ, ჩემო ილია, სანამ ცოცხალი ვიქნები. ამას საწყენად ნუ მიიღებ.

სწორედ ამ დროს საუბარში ნიკო ჩაერია:

— არა, დედაჩემი მოიფიქრებს და. თუ ჩვენი ქვეყნისათვის აჯობებს, არა მგონია, ამის წინააღმდეგი წავიდეს. — თქვა თუ არა ეს ნიკომ, მოეხვია დედას, მაგრამ ეკატერინემ ახლოსაც არ გაიკარა შვილის ნათქვამი:

— არა, ჩემო ნიკო, სანამ ცოცხალი ვარ, ეს ნივთები ჩემთან იქნება. ჩემი სიკვდილის შემდეგ კი, შენ გეკუთვნის და, როგორც გინდა, ისე გადაწყვიტე...

ილია დუმდა. ვერაფერი თქვა ისეთი, რაც საქმეს მის სასარგებლოდ მოაბრუნებდა.

და მართლაც ასე მოხდა: სანამ ეკატერინე ცოცხალი იყო, ვერავინ გაბედა კვლავ დაეყენებინა ეს საკითხი, და დავით დადიანის ბიბლიოთეკა და ხელნაწერები წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადაეცა. ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ, ნიკომ თავათ განაცხადა სურვილი, მთელი მამისეული ბიბლიოთეკა და ხელნაწერების ფონდი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უფასოდ გადასცემოდა. ეს საქმე დიდად გახმაურდა, და ნიკო დადიანს ქებით იხსენიებდნენ ამ პატრიოტული ნაბიჯის გამო.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღადო სულაბერიძე

თმოგვთან

მთას შეუმართავს მჯიღივით თმოგვი,
ქარი შემოდგა გალავანზე,
ბუკებს ჩაჰბერა.
მტკვარი რას უხმობს ზათქით და ბორგვით?!
მთას შეუმართავს მჯიღივით თმოგვი.
ციხე ვნებებმა და ომებმა
ჩამოაბერა.

ქვაზე ფართხალობს პატარა ნისლი,
თუ ციხეს ძველი ჭრილობიდან
კვლავ ორთქლი ასდის?
რად გეშინია შენ ახლო მისვლის?
ქვაზე ფართხალობს პატარა ნისლი.
ხელზე დაისვი,
ე მაგ პეშვზე ჩიტივით გაზრდი.

იმ ქორს ამაღამ დაკოდილს მოგგვრი.
მე მიგასწავლი
იქ მისასვლელ გზას და წარაფებს.
და შეგვიფარებს ბებერი თმოგვი.
იმ ქორს ამაღამ დაკოდილს მოგგვრი.
შენ გალავანზე შემოდექ და
მელაპარაკე.

ნ ა ს ო ფ ლ ა ‧ რ ი

ნაომარია თუ ნამეწყარალი,
ველარ გაიგო მატიანემაც.
ალარ ბრუნდება მისი მერცხალი,
შერჩა რბევას და გატიალებას.

გადაუშლია ნაბილიკარი
ლორთქო ბალახის მწვანე საღებავს.

ბებერი ციხის იყო ჭიშკარი
და ძნელი იყო ციხის აღება.

ცის ნამი კრთოდა იმის იაში,
დაბრიალობდა მაღლა არწივი.
აწ დაკარგულა ისტორიაში
ის უსახელო ჯარისკაცივით.

დაინთქა სახლი...
დაინთქა ყორე...
გამოელია ფქვილი და ქატო,
შენ მაშინდელი მითხარი, თორემ
ამ ადგილს ახლაც აწვიმს და ათოვს.

თავსხმაში ხშირად წასცდებათ
გორებს:
ნუ შემოგვიჭერთ ელვის ქამარსო.
შენ მაშინდელი ქარი თქვი, თორემ
ამ ადგილს ქარი ახლაც თამაშობს.

შეისწორებდნენ ვაჟები თორებს,
ტბასთან აშლიდნენ ლამაზ
მზეწვიებს.
იმ სიყვარულზე მითხარი, თორემ
აქ ჩემს სიყვარულს მეც დავეწიე.

მაშინაც ასე ათევდა ღამეს
ეს ნაკადული აჩუხჩუხებით.
შენ იმ მუხებზე მითხარი რამე,
თორემ სოფელში მეც მაქვს მუხები.

ალბათ, ვიღაცა უხმობდა ქორებს,
ქუსლით თელავდა ამ სოფლის
დეკას.
შენ იმ მგელკაცზე მითხარი, თორემ
წუთისოფელში რა დალევს
მგელკაცს.

მხარულით კვეთდნენ ცხოვრების
მორევს.
თესდნენ...
ელოდნენ...
კვნესდნენ...
მღეროდნენ...
შენ ის სიმღერა მითხარი, თორემ
სიმღერა მეც მაქვს საქართველოზე.

ნამი ახლაც კრთის იმის იაში,
ცად დაბრიალობს ახლაც არწივი.
ვაგლახ, გამქრალა ისტორიაში
ის უსახელო ჯარისკაცივით.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ მაისურაძე

დაკარგული ოცნება

რომანი
წიგნი მეორე

VI

პალიკო ბეთანელი გამოჭიმული იჯდა სავარძელში. ახალთ-ახალი, ზაფხულის თხელი პიჟამო ეცვა.

ნელიმ დაამთავრა თავის გასაჭირზე საუბარი და პალიკოს თხოვნით მიმართა:

— შენი ჭირიმე, პალიკო, ისეთი სამსახური უშოვნე, რომ შემოსავლიანიც იყოს და... თანაც არ ითაკილოს იქ მუშაობა. ხომ იცი, ცოტა უკადრისია, ამპარტავანი.

პალიკომ გულიანად გადიხარხარა.

— მაგას რა სჯობია, შემოსავლიანიც იყოს და, თანაც არ ითაკილოს. ასეთი სამსახური ჯერჯერობით არსად მეგულება, და გინდაც იყოს, ვახტანგს იქ არავინ დასვამს... ამიტომ მე სხვა ადგილს გამოვუნახავ. რა უფულო კაცის საქმეა ამპარტავნობა და კუდაბზიკობა, — სახე შეიკრა პალიკომ. —მაგაზე კარგი ვაჟკაცები არიან, ფულის გულისათვის ყველგან კადრულობენ მუშაობას.

— შენ მართალი ხარ, პალიკო, მაგრამ...

— მაგრამ რა? ჩინებს აყრიან? წადი, აქ მომგვარე ეგ შენი ვაჟბატონი და მე მოველაპარაკები!

— ის აქ არ მოვა!

— რატომ არ მოვა?

— მიუკარებელია და იმიტომ!...

— თხოვე ჩემს მაგივრად და მოვა!

— კარგი, თუ დამეთანხმა!

— ხა-ხა-ხა-ხა... — ხმამაღლა გადიხარხარა პალიკომ, როცა ნელიმ კარები გაიხურა. — ხომ ხედავ, — მიუბრუნდა დარეჯანს, — ფულიანი ადგილიც უნდა და კარგი თანამდებობაც. მამა უცხონდა, მინისტრად დასვამენ... იფ, რა გემოვნება ჰქონია!

— ვახტანგი კარგი ბიჭია, პალიკო, ეგრე რატომ ლაპარაკობ? — გამოექომაგა დარეჯანი თავის სტუდენტობის ამხანაგს.

— კარგი ბიჭია, მაგრამ სხვა პროფესია ვერ ამოირჩია? მასწავლებლობა რა ვაჟკაცის ხელობაა. რამდენი აქვს ხელფასი?

— ათას მანეთამდე იღებს!

— მერე ათასი მანეთით ოჯახს შეინახავს? ეგ ხომ პაპიროსის ფულადაც არ ეყოფა!

— მაშ რა ქნას, საწყალმა, ასპირანტურაში უნდა შესვლა. სწორედ ამიტომ აქვს უკმაყოფილება ცოლთან.

დარეჯანს კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ჯერ ნელი შემოვიდა, მერე ვახტანგი.

— მობრძანდით, ვახტანგ, მობრძანდით! — ჩვეული იერი მიიღო პალიკომ, ზეზე წამოდგა, ხელი ვაჟკაცურად ჩამოართვა და სკამი შესთავაზა.

ვახტანგი სავარძელში ჩაეშვა.

— როგორა ხარ, რა არის შენსკენ ახალი?

— აი ეს, რის გულისთვისაც მოვედით! — მოკლედ მიუგო ვახტანგმა.

გაგრძელება იხ. „მნათობი" № 8.

— მერედა, ადრე რატომ არაფერი მითხარით?

— რა ვიცი!...

— ძალიან კარგი! — პაპიროსი მოქაჩა პალიკომ — მე შემიძლია მოგაწყო ისეთ სამსახურში, შენც კმაყოფილი იყო და შენი მეუღლეც. თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ, მხოლოდ მითხარით, რა სამსახურია და რამდენი მექნება ხელფასი!

პალიკოს ცინიკურად გაეღიმა.

— ხელფასით ცხოვრება თუ გინდა, მაშინ უმჯობესია, სადაც მუშაობ, იქ დარჩე, რადგან ჯამაგირი აქ უფრო ნაკლები გექნება. მაგრამ ხალტურა, რომელსაც იქ გააკეთებ, ათჯერ გადააჭარბებს შენს ხელფასს.

ვახტანგს თვალები გაუფართოვდა.

— იცით რა? მე არა მაქვს იმის უნარი, რომ იქ რაიმე კომბინაცია დავატრიალო და ამ გზით ვიშოვნო ფული. თუ ასეთი სამუშაოა, ახლავე ვაცხადებ უარს. ერთ დღეს რომ გავმდიდრდე და მეორე დღეს დამიჭირონ, ციხეში ჩამაგდონ, მე ეს არ მინდა!

პალიკოს გაეცინა. ეს სიცილი ქალებსაც გადაედო.

— ვიცი, რომ შენ მაგის შნო და მარიფათი არა გაქვს. მე სწორედ იმისთანა ადგილზე გელაპარაკები, ყოველგვარი კომბინაციის გარეშე, დღეში ათას მანეთამდე გააკეთო. ხოლო თუ ცოტა ჭკუასა და შანსს გამოიჩენ — მეტიც.

ნელის სახე გაუბრწყინდა პალიკოს სიტყვებზე. დარეჯანს კმაყოფილებით გადახედა.

— ძალიან კარგი, მაგრამ რა სამსახურია ასეთი? — იკითხა ვახტანგმა.

— საბურთალოს ბაზარზე ფინამკრეფად მოგაწყობ!

— საბურთალოს ბაზარზე? ფინამკრეფად? — ტუჩები აბრიცა ვახტანგმა.

— დიახ, რატომ გაგიკვირდა? შენისთანა ბიჭები მუშაობენ იქ ფინამკრეფად და, მე მგონი, უკეთესებიც. კიდევაც არ დაიწუნო? — მტკიცედ უთხრა პალიკომ.

— მერედა ფინამკრეფობა რისა უნდა გააკეთოს? რაში გამოიხატება ეს ფინამკრეფობა?

— ბაზარში ქვითრებს გაყიდი!

— ქვითრებს გავყიდი ბაზარში! რის ქვითრებს?

— ბაზარში ხომ ყოფილხარ, არ დაგინახავს ქვითრებს რომ ყიდიან ბიჭები? ესე იგი, ადგილის ქირას გადაახდევინებენ გამყიდველებს. თითო ქვითარი თხუთმეტი მანეთი ღირს. ახლა მე ზუსტად არ ვიცი, როგორ და რანაირად კეთდება ფული, მაგრამ ამბობენ, ფინამკრეფები მინისტრებზე უკეთესად ცხოვრობენო. იქ გადამყიდველებთან გექნება საქმე, და ხომ იცი, ფულიც იმათ ხელში ტრიალებს.

— მერედა, სირცხვილი არ არის უნივერსიტეტდამთავრებულმა კაცმა იქ დავიწყო მუშაობა? რას იტყვის ხალხი? — ძლივს ამოღერღა ვახტანგმა. ყურებამდე გაწითლდა.

— ეს უკვე შენი საქმეა, ჩემო ძმაო,— სერიოზული გამომეტყველება მიიღო პალიკომ, — თქვენ დახმარება მთხოვეთ, მე ხელი გამოგიწოდეთ. თუ არა და, რატომ არის სირცხვილი, ბაზარს ხომ არ შეაბერდები? დროებით იმუშავებ, ცოტა ხელს მოითბობ, წელში გასწორდები. მერე, როცა აღარ გენდომება იქ სამსახური, ისევ შენ პროფესიას დაუბრუნდი.

— პალიკო მართალია, ვახტანგ, — ჩაერია ლაპარაკში დარეჯანი, — მარტო შენ ხომ არ ხარ გამონაკლისი. რამდენი კარგი ოჯახის შვილი ვიცი, არა თავისი პროფესიის მიხედვით მუშაობს. რა ქნან, უჭირთ.

— ყველა ხომ ერთი არ არის? — ძლივს ამოთქვა ვახტანგმა.

— იცი, რა გითხრა, ჩემო ძმაო? — ვეღარ მოითმინა პალიკომ, —რის სირცხვილი, რა სირცხვილი, რომელ სირცხვილზე ლაპარაკობ?

— სირცხვილზე, ადამიანურ სირცხვილზე!

— მოგცლია შენც, — მკვახედ მიაძახა პალიკომ, — სირცხვილი ეგ კი არ არის, ჯიბეში გახვრეტილი კაპიკიანი რომ არ გიგდია, ის არის სირცხვილი!

ვახტანგი წამოენთო.

— ეგ არ არის სირცხვილი! — თავშეკავებით უთხრა მან.

— დიახ, სწორედ ეგ არის!

— სირცხვილი ის არის, რომ არაკეთილსინდისიერი გზით გავმდიდრდე!

პალიკოს სადღაც არ მოეწონა ვახტანგის სიტყვები და ცალი წარბი მაღლა აეზნიქა.

მიხვდა ვახტანგი, რომ ტყვია მიზანში მოხვდა. სწორედ ასეთები თელავენ პატიოსანი ადამიანების სინდისსო, გაიფიქრა და პაპიროსს მოუკიდა.

— მაშინ დაჯექი სახლში და ელოდე, ღმერთი როდის ჩამოგიყრის ფულს. როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო, არ გაგიგონია? მე სიკეთე მინდა გაგიკეთო, და თუ არ გინდა, შენი ნებაა!

— უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, ძვირფასო პალიკო, ამ სიკეთისათვის, მაგრამ იქ მუშაობა ჩემთვის სიკვდილს უდრის.

— თუ ძმა ხარ, დაანებე ამ კუდაბზიკობას თავი. რომ იცოდე, რას ნიშნავს ბაზარში მუშაობა, მერე ისიც საბურთალოს ბაზარში, სიხარულით გაფრინდებოდი. ხომ არა გგონია ადვილი იყოს მოწყობა. ბიჭი ხარ და სცადე. ბევრი ფულს ხარჯავს, მაგრამ ვერაფერს გამხდარა.

ვახტანგი სდუმდა. პალიკო კი განაგრძობდა.

— მე შემეძლო სხვაგანაც გამომენახა ადგილი, მაგრამ მერწმუნე, ეს ყველას სჯობია. აი, დაიწყებ მუშაობას და გამიხსენებ. ბაზრის დირექტორს კარგად ვიცნობ. იმის საქმე ჩემს ხელში იყო და დაჭერას გადავარჩინე. ახლა რაც უნდა ვთხოვო, ყველაფერს გამიკეთებს.

— კარგი, თანახმა ვარ, როდის წავიდეთ? — ზეზე წამოდგა ვახტანგი.

— წავიდეთ, როცა შენ გინდა!

— დღესასწაულის შემდეგ რომ იყოს?

— რა თქმა უნდა, მაშინ აჯობებს!

— კარგად ბრძანდებოდეთ! — ხელი გაუწოდა ვახტანგმა.

— მოითმინეთ! — მკლავი დაუჭირა პალიკომ, — მოსვლა თქვენი ნება იყო, წასვლა კი — ჩემი. დაბრძანდით!

— დარეჯან, — მიმართა ცოლს, — შენ იცი ახლა!...

დარეჯანი სწრაფად მოსწყდა ადგილს. მას ნელიც მიეშველა და სახელდახელო სუფრა გააწყეს.

სუფრაზე ბლომად დახვავდა ნაირნაირი საჭმელები, და ოთახში მადის აღმძვრელი სურნელება დადგა.

ახლა გაახსენდა ვახტანგს, რომ დილას აქეთ პური არ ეჭამა.

— ხელებს ხომ არ დაიბანთ? — მიმართა პალიკომ და ზეზე წამოდგა.

— დავიბან!

— წამობრძანდით!

პალიკომ სამზარეულოში შეიყვანა ვახტანგი.

კუთხეში ღვინით სავსე დიდი კასრი იდგა. იქვე ხუთვარსკვლავიანი კონიაკები და ტყვიის ქაღალდში შეფუთული „შამპანურები“ მოჩანდა.

ვახტანგმა ცალი თვალით გადახედა ყოველივე ამას და ონკანი მოუშვა. ის იყო, პალიკომ საპონი მიუტანა, რომ დერეფანში ზარის წკრიალი გაისმა.

პალიკო უკან გატრიალდა კარის გასაღებად. ვახტანგი ხელების ბანას შეუდგა.

უეცრად მისი ყურადღება გარედან რაღაც ხმაურმა მიიქცია და უნებურად ფანჯარაში გაიხედა, რომელიც პირდაპირ დერეფნის შემოსასვლელს გასცქეროდა.

შემოსასვლელის წინ, სინათლის ჩრდილში, ორი ჯინჯილებქუდიანი თათარი დალანდა. მათ რაღაც ტვირთი ელაგათ წინ და კარებს მისჩერებოდნენ, როდის გაიღებოდა.

ვახტანგმა კისერი წაიგრძელა და ახლა კი გარკვევით დაინახა ცოცხალი ბატკანი, რომელიც თოკით ეჭირა ხელში ერთ მათგანს.

ბატკნის გვერდით, ორ ფეხზე შემდგარი, ტომარაში ჩაგდებული ტიკი მოჩანდა. ტიკის გვერდით ორი თათრული ჭრელი ხურჯინი იდო, სანოვაგით სავსე.

ვახტანგი მიხვდა, რაშიც იყო საქმე. მიხვდა, რომ ბორჩალოელმა თათრებმა პალიკოს ქრთამი მოუტანეს. ალაჰმა უწყის, რა საქმის გულისათვის

— ეე, ჩემო პალიკო, — გუნებაში გაიფიქრა მან, — ნამუსზე თუ ხელს აიღებ, იცხოვრებ, აბა რა იქნება.

გაიჭრიალა დერეფნის კარმაც, და თათრებიც დასწვდნენ ტვირთს. ბატკნის ბღავილი ახლა უფრო მკაფიოდ გაისმა. ეს ბღავილი შემდეგ საბაზანოში განმეორდა.

ვახტანგმა ხელები შეიწმინდა და ისევ იმ ოთახში შევიდა, სადაც სუფრა იყო გაშლილი. ნელი და დარეჯანი ქმრების მოლოდინში ტკბილად საუბრობდნენ. ნელის ღრუბელი გადაყრილა სახიდან და ახლა მხიარულად ჭიკჭიკებდა.

VII

მხიარულად გაირბინა უქმე დღეებმა სანებლიძეების ოჯახში. მართალია, ასე ხელმოკლედ არც ერთ დღესასწაულს არ შეხვედრიან თავიანთი სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ ნელის გამოცოცხლებამ სულ სხვა ელფერი მოჰფინა ცოლ-ქმრის ურთიერთობას და ოჯახში გამეფებულ უსიამოვნო მოწყენილობას.

— შეიძლება არც ისეთი ურიგო იყოს იქ მუშაობა, როგორც მგონია,— ამბობდა ვახტანგი გუნებაში, — ვნახოთ, ვცდი ბედს და, თუ ისეთი გამოდგა, როგორც მე მინდა, როგორსაც ჩემი ოჯახი მოითხოვს, ამას რა სჯობია. თუ არა და, შემოდგომიდან ხომ ასპირანტურაში მოვეწყობი.

ამჯერად კიდევაც კმაყოფილი იყო თავისი გადაწყვეტილებით. თუ ვალი მოსვენებას არ აძლევდა, სოფელშიაც დავეხმარებიო, ფიქრობდა და მშობელი დედა, ძმები თვალწინ ედგა.

ახლა ნელის ელოდებოდა. ამბავი უნდა მოეტანა პალიკოსაგან, რომელ საათისათვის წასულიყვნენ საბურთალოს ბაზარზე.

ის იყო, ნელიმაც შემოაღო სახლის კარი. თვალები საოცრად უბრწყინავდა. ასე გახარებული, კარგა ხანია, აღარ ენახა.

— ვახტანგ, ძვირფასო, — მიმართა მან აღტაცებით, — პალიკო დილით ადრე წასულა სამსახურში. დარეჯანისთვის დაუტოვებია ამბავი, თერთმეტ საათზე ვახტანგი ბაზრის კანტორასთან იყოს, და მეც იქ მივალო. ახლა რომელია?

ვახტანგმა საათზე დაიხედა.

— ათის ნახევარია... ცოტა ადრე კი არის, მაგრამ წავალ!...

— წადი, წადი! შენ ადრე უნდა დახვდე იქ! სანამ მიხვალ, თერთმეტიც გახდება!

ვახტანგმა ტანსაცმელი შეისწორა და ცოლს ნაძალადევი ღიმილით შეხედა.

— მაინც შენი გაიტანე, ხომ!...

სიცხის ბუღი ასდიოდა პლეხანოვის პროსპექტს. ნიავი შეეხუთა მიჯრით ჩამწკრივებულ შენობებს. ადამიანს სუნთქვა უძნელდებოდა.

ვახტანგი ჩელუსკინელების ხიდთან დაჯდა ტრამვაიზე. გმირთა მოედანზე ჩამოვიდა.

ფეხით აჰყვა აღმართს. საქართველოს სამხედრო გზის მარჯვენა მხარეს, დაწყებული თერთმეტსართულიან შენობიდან, ვიდრე საბურთალოს ბაზრამდე, ბულდოზერები და ექსკავატორები კლდის ქანებს შებმოდნენ და მომავალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი თუ ადმინისტრაციული შენობების ასაგებად ნიადაგს ასწორებდნენ.

იქვე იდგნენ თვითმცლელი მანქანები და ნათხარ მიწას ეზიდებოდნენ მტკვრის ხეობაში, სადაც შენდებოდა სანაპირო და მტკვარს გრანიტის ორწოხებში ამწყვდევდნენ.

ირგვლივ მოტორების გამაყრუებელი გუგუნი ისმოდა.

ვახტანგი დინჯი ნაბიჯით მიჰყვებოდა აღმართს. მზე პირდაპირ საქოჩრეზე აჭერდა და სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი.

კარგა ხანი იყო, რაც საბურთალოს ბაზარზე არ ყოფილა. წინათ, სტუდენტობის დროს და უფრო ადრეც, როცა მაღაზიებში ძნელად იშოვებოდა ფართო მოხმარების საქონელი, საბურთალოს ბაზარზე დაიარებოდა ხოლმე ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის საყიდლად.

კარგად იცნობდა ამ ბაზარს.

ისიც იცოდა, რომ საბურთალოს ბაზარი მთელს საქართველოში იყო ცნობილი და სხვაგან რომ არაფერი იშოვებოდა, აქ ჩიტის რძეს იყიდდა კაცი.

დღეს უფრო დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი ამ ბაზარს. ომის დროს საკმაო პოპულარობა მოეპოვებინა და ხალხი იმდენად მაღაზიებსა და უნივერმაღებში არ დადიოდა, რამდენად აქ.

განსაკუთრებით კვირა დღეს მთელი თბილისის მცხოვრებლები მიეშურებოდნენ სავაჭროდ, ვისაც კი რამის ყიდვა ან გაყიდვა უნდოდა. ამას ემატებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული ხალხი და ბაზრის მოედანზე რომ ვერ ეტეოდნენ, მის გვერდით ქუჩებშიც იმართებოდა გახურებული კერძო ვაჭრობა.

რას არ ნახავდით აქ გამოტანილს. იყიდებოდა როგორც მსუბუქი, ისე საბარგო ავტომანქანები, მოტოციკლები, ველოსიპედები, ყოველგვარი ავეჯეული, პატეფონები, აკორდეონები, ჭურჭლეული, ყველა სახის და ყველა მოდის ტანსაცმელი, ყველანაირი შალეულის ნაჭრები, აბრეშუმის საკაბეები, თეთრეული, შინაური თუ საზღვარგარეთული ხალები და ხალიჩები, პალტოები, ფეხსაცმელები, კალოშები, ფარაჯები, ჩექმები, წიგნები, ტვეულები, საწერი ქაღალდი, ფეხსაცმლის ტყავი, თუნუქი, თუნუქის ღუმელები და, წარმოიდგინეთ, ტყვია და თოფის წამალიც კი.

ერთი სიტყვით, აქ იყიდებოდა ყველაფერი, რასაც კი ინატრებდა ადამიანი.

საქონელი ბაზარში გამოჰქონდათ გადამყიდველებს, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ სხვადასხვა მაღაზიების საწყობებთან, აგრეთვე გაჭირვებულ ოჯახებთან. ოჯახებიდან გამოტანილ საქონელს პატრონებისაგან ისევ სპეკულიანტები ყიდულობდნენ იაფად და იქვე, მათ თვალწინ, ორმაგ ფასებში ჰყიდდნენ.

ვახტანგმა აღმართი გადაივაკა და ახალშენის ქუჩით ბაზრისკენ შეუხვია.

ბაზრის შესასვლელში შორიდანვე დაინახა თავმოყრილი ხალხი. ისე როგორც სხვა დროს, ახლაც უამრავ მყიდველსა და გამყიდველს აევსო ვეებერთელა მოედანი. მათი აყალმაყალი სკანაყარ ფუტკრის ზუზუნივით მოისმოდა შორიდან და საქართველოს სამხედრო გზამდე სწვდებოდა.

ვახტანგი ბაზრის მთავარ შესასვლელს მიუახლოვდა და ხალხში შეერია.

ხალხი ერთმანეთში არეულიყო და გავლა ჭირდა, ისეთი სიმჭიდროვე იყო, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა.

ირგვლივ ჭუჭყისა და ოფლის სუნი ტრიალებდა.

ვახტანგმა საათზე დაიხედა. ორმოცი წუთი იყო დარჩენილი პალიკოს მოსვლამდე. ვინაიდან დრო ამის საშუალებას აძლევდა, გადაწყვიტა ბაზარი დაეზვერა და ზოგიერთ რამეს ახლავე გასცნობოდა.

მთელ ბაზარს შემოუარა გარშემო და ყველაფერს დაკვირვებით დაუწყო თვალიერება.

პირველი, რაც შენიშნა, ის იყო, რომ

ბაზარი სამი განყოფილებისაგან შედგებოდა.

შუა განყოფილებაში დახლები იყო გამართული. იქ ბოსტნეული, ხილი, ხორცი და სხვადასხვა სურსათ-სანოვაგე იყიდებოდა.

ბოლოში კი, შედარებით დიდ, ფართო მოედანზე, მანქანებს, მოტოციკლებს, ველოსიპედებს, სასადილო თუ საწერ მაგიდებს, შიფონერებს, ჭურჭლის კარადებს, საწოლებს, ღუმელებს და სხვა ამგვარ საქონელს ყიდდნენ.

ბაზრის თავში, ესე იგი პირველ განყოფილებაში, რომელსაც „ტალკუჩკას" ეძახდნენ და სიდიდით ბოლო განყოფილებას არ ჩამოუვარდებოდა, იყიდებოდა ყოველგვარი სახეობის ჩასაცმელ-დასახური, თეთრეული, ფარჩეული, ხალიჩები, აკორდეონები, პატეფონები, ფეხსაცმელები და სხვა მრავალი საოჯახო საქონელი.

სპეკულიანტები რომ ერთმანეთში არ არეულიყვნენ და მყიდველსაც ადვილად მიეგნო, სად რა იყიდებოდა, „ტალკუჩკა" ჭადრაკის დაფასავით ჰქონდათ დაყოფილი. მათ მოფიქრებულად ჰქონდათ შემუშავებული თავიანთი „სავაჭრო წესდება", რომელსაც ზუსტად იცავდნენ.

ყველა გამყიდველმა იცოდა თავისი ადგილი, სადაც უნდა დამდგარიყო და გაეყიდა საქონელი.

მაგალითად, ერთ მხარეს ანუ ერთ კუთხეში საკოსტუმე ნაჭრებს ყიდდნენ. მეორე კუთხეში ხალიჩებს, მესამეში საკაბეებს, მეოთხეში ფეხსაცმელებს და ასე შემდეგ...

ცალ-ცალკე კუთხეებშიც იყო თავისებური წესრიგი. მაგალითად, ფეხსაცმლით მოვაჭრენი ერთად იყრიდნენ თავს, მაგრამ ქალის ფეხსაცმელის გამყიდველები ცალკე იდგნენ, კაცის — ცალკე, ბავშვისა — ცალკე. ისე რომ, ერთმანეთს ხელს არ უშლიდნენ.

ვახტანგი დინჯად დადიოდა ბაზარში, ყველაფერს ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა, ეცნობოდა, აკვირდებოდა.

უეცრად თვალი მოჰკრა ერთ წარმოსადეგ ახალგაზრდას, რომელიც ქვითარს ყიდდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ოცდაათი წლისა იქნებოდა. სამხედრო შარვალ-ხალათი ეცვა. ქუდიც სამხედროსი ეხურა. ეტყობოდა, ახალი ღაბრუნებული იყო არმიიდან.

ძალზე სიმპათიური სახე ჰქონდა. შავგვრემანი იყო, შავთვალწარბა. ერთთავად იღიმებოდა.

ვახტანგი შორიახლო აედევნა ფინამკრეფს და თვალთვალი დაუწყო. ერთი სული ჰქონდა, შეეტყო, როგორ მუშაობდა.

ფინამკრეფი ჯერ ქვითრებს გაუსინჯავდა გადამყიდველებს, ვისაც არ აღმოაჩნდებოდა, მოუხევდა და მისცემდა.

ზოგი უხმოდ ჩამოართმევდა და იმ წუთში თხუთმეტ მანეთს გადაიხდიდა. ზოგი გაჯიუტდებოდა: წინდაწინ რომ ავიღო, დავითარსები და საქონელს ვეღარ გავყიდიო.

ზოგიც ნისიად მოითხოვდა; გავყიდი და ფულს მაშინ მოგცემო.

ფინამკრეფი ყველას თავისებურად უდგებოდა. ზოგისაგან მაშინვე იღებდა ფულს, ზოგს ნისიად აძლევდა, ზოგს კი ძალით ახდევინებდა.

ვახტანგმა ახლა სხვა თანამშრომელი შენიშნა ხალხში. პირველს თავი დაანება და მეორეს აედევნა.

ეს იყო შუახანს გადაცილებული ქალი, მაღალი, ძროხასავით ტლანქი, ჩასუქებული. მას ბოძივით მსხვილი ფეხები ჰქონდა და სიარულის დროს ბატივით ბაჯბაჯებდა. სახე წვიმის ღრუბელივით მოქუშოდა და შუბლზე კაკლისოდენა კოპები ასხდა. ეტყობა, დიდი ხნის ნამსახური იყო ბაზარში, ყველას იცნობდა, რადგან ქვითრებს თითქმის ნისიად არიგებდა და წიგნაკში ინიშნავდა, არ დამავიწყდესო.

ვახტანგმა ამ ქალსაც მიანება თავი და ახლა იქით გაუხვია, სადაც საკაბე ნაჭრებს ყიდდნენ.

ქალის საკაბეებით მოვაჭრე სპეკულიანტები თითქმის ყველანი ახალგაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდები იყვნენ. ერთად მოეყარათ თავი და ისე თავისუფლად გაეშალათ ნაირ-ნაირი საქონელი, თითქოს კანონით აკრძალული არ ყოფილიყო კერძო პირისაგან მათი გაყიდვა.

მათ არც მილიციისა ეშინოდათ, არც სხვა ორგანოების მუშაკებისა. თავისუფლად ვაჭრობდნენ და ისე გრძნობდნენ თავს, თითქოს თვითონ ყოფილიყვნენ ამ ბაზრის ბატონ-პატრონნი.

ის იყო მიუახლოვდა მათ, რომ მოპირდაპირე მხრიდან სპეკულიანტებს სხვა ფინამკრეფი წამოადგა თავზე.

ეს იყო მაღალი, სუსტი აგებულების ორმოციოდე წლის კაცი. თავზე სვანური ქუდი ეხურა, საწყალი ჩანდა.

— აბა, ბიჭებო, აიღეთ ქვითარი, ვის არა გაქვთ!... — მიმართა მან.

— გვაქვს! — ერთხმად უპასუხეს სპეკულიანტებმა და გვერდით შებრუნდნენ.

— მაჩვენეთ!

— გვაქვს! — კვლავ იყო პასუხი.

— ვა!... რამდენჯერ უნდა გაჩვენოთ, აღარ მოგვეშვები? — აგდებით უთხრა ერთმა.

— მაჩვენეთ და, თუ გაქვთ, მეორედ ხომ არ აგაღებინებთ! — ზრდილობიანად მიმართა ფინამკრეფმა.

— აჩვენე, ბიჭო! — გადულაპარაკა ერთმა მეორეს.

— აჩვენე, ბიჭო, რას გაჩერებულხარ! — მეორემ მესამეს უთხრა.

— ვა, ამოიღე რაღა, კაცი არ არის, რომ გელაპარაკება? — მესამემ მეოთხეს მიმართა და ბოლოს ხარხარი ატეხეს. მერე გარშემო შემოეხვივნენ და ლაზღანდარული ტონით მიმართეს.

— კაკოია, გვაქვს ჩეკი, შენი ჭირიმე, და რაღას გვაწუხებ?

— თუ გაქვთ, მაჩვენეთ, ბატონო, და წავალ!

— კაკოია, მერე გამოიარე, შენი ჭირიმე, და გაჩვენებთ!

კაკოია გაბრაზდა. მიხვდა, რომ ამათთან ვერაფერს გააწყობდა, თავისთვის რაღაც წაიბურდღუნა და წავიდა.

ბიჭებმა კვლავ გულიანად გადიხარხარეს.

— ალბათ, საწყალია და [illegible] სხარად აიგდესო,—გაიფიქრა ვახტანგმა.

ის იყო, უნდა მოშორებოდა მათ, რომ მეორე მხრიდან, ახლა სხვა ფინამკრეფი გამოჩნდა.

ეს გახლდათ შუახანს გადაცილებული მამაკაცი, მაღალი, ახმახი, მკაცრი სახისა. თავზე თეთრი ნაბდის ოსური, ჯინჯილებიანი ქუდი ეხურა, მკლავზე შარვალ-ხალათი გადაეკიდა. მის დანახვაზე ბიჭებს ელეთ-მელეთი მოუვიდათ და ზურგი შეაქციეს, იქნება, გვერდი აგვიაროსო, მაგრამ ჯინჯილებქუდიანი თავზე წამოადგა.

— მაჩვენეთ თქვენი ქვითრები! — მკაცრად მიმართა მან.

— გვაქვს! — უპასუხეს ერთხმად.

— მაჩვენეთ, რომ გეუბნებით! — შეუტია მკვახედ ჯინჯილებქუდიანმა.

გადამყიდველებმა ერთმანეთს გადახედეს და ხელი ჯიბისაკენ წაიღეს.

— მოხიე რაღა!

ფინამკრეფმა ქვითრები მოხია და სათითაოდ ჩამოურიგა.

— მერე გამოიარე! — თითქმის ერთხმად მიმართეს მათ.

— არავითარი მერე, ახლავე ამოიღეთ ფული! — შეუტია მწყრალად.

— მერე გამოიარე და ოც-ოც მანეთს მოგცემთ!

— ვახ... დავითარსებით, შე კაი კაცო!

— მე თქვენთვის კი არა მცალია! — დაუტატანა ფინამკრეფმა. ერთს ხელიდან საკაბე გამოგლიჯა.

— მოიცა, კაცო, მოგცემთ, მოგცემთ!... — მოტყდნენ სპეკულიანტები და ჯიბიდან ფულის ამოღება იკადრეს. — შენ სულ წართმევაზე გიჭყეტია თვალები!

— რომ დაგეცლია, როგორც წესი, ოც-ოც მანეთს მოგცემდით. რახან არ გვაცდი, თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი მიიღე.

ფინამკრეფმა წყენით გადახედა ვაჭრებს, ფული გამოართვა და წავიდა.

ვახტანგს თვალები გაუფართოვდა. ფულის გაკეთების საიდუმლოების ერთ ნიუანსს უკვე მიხვდა.

— ესე იგი, —ამბობდა გუნებაში,— ქვითარს ნისიად თუ მისცემ. თხუთმეტი მანეთის მაგივრად, ის ოც მანეთს მოგცემს. არ მისცემ ნისიად და, ისიც არაფერს მოგცემს. მაგრამ ამ ზღვა სპეკულიანტებში განა რამდენი უნდა დაიმახსოვროს კაცმა? — ფიქრობდა ვახტანგი.

გზა განაგრძო.

ბაზრის თავში საკოსტუმე ნაჭრების გამყიდველთა ჯგუფს მიადგა.

ეს სპეკულიანტები სულ განსხვავდებოდნენ სხვა სპეკულიანტებისაგან, როგორც ჩაცმულობით, ისე გარეგნობით, მოქცევით და სიტყვა-პასუხით. ამათ უფრო მოინტელიგენტო ადამიანებად მოჰქონდათ თავი და ხელში თუ ვერაფერს დაუნახავდით, ისე ეჭვს ვერ შეიტანდით მათ ბინძურ საქმიანობაში.

ზოგი მათგანი ვახტანგს ქუჩაშიც შეხვედრია და მისი ყურადღება მიუპყრია, თავისი თავდაჭერილობით, ზრდილობით, გარეგნული სილამაზით და ჩაცმით. მაგრამ რას იფიქრებდა, რომ ისინი საბურთალოს ბაზრის „პროფესიონალური“ სპეკულიანტები იქნებოდნენ და თავიანთი არაკეთილსინდისიერი საქმიანობით ცხრაპირ ტყავს გააძრობდნენ მშრომელ ადამიანებს.

ვახტანგს მოეჩვენა, რომ ეს „ვაჟბატონები“ ყველაზე უფრო სარფიანი და მომგებიანი საქმოსნები იყვნენ იმ გადამყიდველებს შორის, რომლებიც კი აქ იყრიდნენ თავს.

მან გაიცნო აგრეთვე ეგრეთწოდებული „საწყალი“ სპეკულიანტები, კალოშებით და წუღა-მესტებით რომ ვაჭრობდნენ. დილით ადრე მაღაზიებთან იკავებდნენ რიგს, ყიდულობდნენ და მერე აქ გამოქონდათ გასასყიდად.

ვახტანგმა საათზე დაიხედა. დრო უკვე ამოწურულიყო, თერთმეტი ხდებოდა, იფიქრა: მოდი ასევე გადავჭრი ხალხს და კანტორასთან მივალ. კანტორა, წელანვე გაიგო, სადაც იყო მოთავსებული — გადახურული დახლების გვერდით, ყაფაზების პირდაპირ, ოროთახიან ძველ დარაბაში.

უკან შეტრიალდა. გვერდით ჩაუარა შარვლების, კუსტარული შალების, ნალისა და საბნის პირების გამყიდველებს.

იქ, სადაც იარდალს ყიდდნენ ბიჭები, შორიდანვე შენიშნა ჩოჩქოლი. იარდლით მოვაჭრე გადამყიდველების სიფათი რატომღაც არ მოეწონა. ესენი კარგი სულის ადამიანები არ უნდა იყვნენო, გაიფიქრა და ძალაუნებურად შორიახლო გაჩერდა.

იარდალს ძირითადად სოფლიდან ჩამოსული ხალხი ეტანებოდა. სპეკულიანტები ჯერ მოურიგდებოდნენ მყიდველს ფასში, მერე ფულს გამოართმევდნენ.

თუ ნახავდნენ, რომ მყიდველი ცოტა საწყალი იყო, ან ზომაში მოატყუებდნენ, ან თუ ვერ მოატყუებდნენ ზომაში, აღარ მიყიდდნენ, შეეშლებოდნენ და ფულს უკან გადაუთვლიდნენ; მაგრამ ამ გადათვლის დროს, ისე ოსტატურად ჩაუკეცავდნენ ასმანეთიანებს და გამოაცურებდნენ ხელში, რომ მყიდველი აღარც კი თვლიდა იმ ფულს, პირდაპირ ჯიბეში იდებდა.

ისიც კი შენიშნა ვახტანგმა, სპეკულიანტები განგებ იაფად მოურიგდებოდნენ ხოლმე მყიდველს, რომ მერე შეშლოდნენ და ფული ნაკლები მიეცათ.

ამ ამბავმა მწარედ ჩააფიქრა ვახტანგი. დარწმუნდა, რომ მუშაობა მოუხდებოდა მეტად რთულ პირობებში; რომ საქმე ექნებოდა არა მარტო სპეკულიანტებთან, ქურდებთან, ჯიბგირებთან, მტაცებლებთან, მექრთამეებთან, არამედ ყველა ბნელი ხელობისა და ფსიქოლოგიის ადამიანებთან.

ბავშვობიდანვე სძულდა ასეთი ხელობის ადამიანები. განსაკუთრებით ვერ იტანდა გადამყიდველების ცბიერსა

და ველურ სახეებს. მათი დანახვა ზიზღსა ჰგვრიდა. ახლა კი მათ შორის უნდა ემუშავა, მათთან უნდა ჰქონოდა საქმე, მათში უნდა გათქვეფილიყო.

ერთხანს გადაწყვიტა უარი ეთქვა აქ მუშაობაზე და ისევ თავის პედაგოგიურ მოღვაწეობას დაბრუნებოდა ავჭალაში, მაგრამ ნელის გაუთავებელი ჩხუბი და ბუზღუნი რომ გაახსენდა, გადაწყვიტა, დარჩენილიყო ამ პოსტზე და სასტიკი ბრძოლა გამოეცხადებინა სპეკულიანტებისათვის.

ზიზღით მოსცილდა სპეკულიანტთა ბრბოს და კანტორასთან მივიდა. სწორედ ამ დროს პალიკოც წამოადგა თავზე.

— აქ არის ვარაზანაშვილი? — მისვლისთანავე ჰკითხა მან.

— ამ წუთში მოვედი, არაფერი არ ვიცი! — უთხრა ვახტანგმა.

— შევიდეთ! — უთხრა პალიკომ და პირველმა შეაღო დირექტორის კაბინეტი.

კაბინეტში მაგიდას მოსჯდომოდა შუახნის ჩასუქებული კაცი. სამკეცი ღაბები გულთან ჰქონდა მიბჯენილი. სიმსუქნისაგან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე და ცხვირსახოცით იწმენდდა.

პალიკოს დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა მსუქან კაცს. ისედაც სავსე სახე, მთვარესავით გაებადრა. ორივე ხელი მაგიდაზე დააბჯინა, წამოიწია და ძლივს აიტანა სკამიდან ვეება ტანი.

— რაზე შეწუხებულხართ, პალიკო დავიდოვიჩ? — მხიარულად მიმართა მან და თავისი ბანჯგვლიანი ხელი გაუწოდა. მერე სკამი აიღო და პალიკოს შესთავაზა.

— დაბრძანდი, პალიკო დავიდოვიჩ, დაბრძანდი!

პალიკო სკამზე დაეშვა და ვახტანგსაც უთხრა, დამჯდარიყო, მაგრამ ვახტანგი არ დაჯდა. ვარაზანაშვილმა ახლა მას ჩამოართვა ხელი.

— ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან, პეტო იოსებოვიჩ, — სულის მოთქმა არ აცალა პალიკომ.

— ბრძანეთ, პალიკო დავიდოვიჩ, ხომ იცით, უკან არ დავიხევ. თქვენ ისეთი სიკეთე გამიკეთეთ, რომ... — აღარ დაამთავრა და პალიკოს მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა.

— ეს კაცი უნდა მოაწყო სამუშაოზე!

— სიამოვნებით, პალიკო დავიდოვიჩ. ხომ გითხარით, თქვენი გულისათვის უკან არ დავიხევ. ფინამკრეფად, არა? — უთხრა და ვახტანგს გადახედა. ვახტანგი სდუმდა.

— ფინამკრეფობა სჯობია, თუ?

— რა თქმა უნდა. თუმცა ჩვენთან, რაზედაც არ უნდა იმუშაოს, ერთ ლუკმა პურს ყველგან შესჭამს! გენო, — გასძახა მეორე ოთახში ბუხჰალტერს.

გენო იმ წუთში დაერჭო დირექტორის წინ. ეს იყო სამოც წელს მიღწეული, შუა ტანის, მელოტი კაცი, ახალი გაპარსული თავი ისე უპრიალებდა, თითქოს მოუნიკელებიათო.

— ეს ახალგაზრდა ახლავე გააფორმე ფინამკრეფად. ხვალიდან ჩვენთან იმუშავებს „ტალკუჩკაზე“. აუხსენი მუშაობის წესი და დანარჩენს თვითონ მიხვდება, გასაგებია?

— გასაგებია, უფროსო! წამობრძანდით ჩემთან! — მიმართა გენომ ვახტანგს და თავის ოთახში გავიდა.

ვახტანგი უკან მიჰყვა.

— მაგარი პროტექტორი გყოლია, თორემ აქ მოხვედრა ადვილი საქმე კი არ არის, ჩემო ძმაო. — უთხრა გენომ, როცა გაფორმებას მორჩა.

ვახტანგს გაეღიმა.

— დილის შვიდ საათზე, აქ, ჩემთან გამოცხადდები, — განაგრძო გენომ, — ქვითრებს მოგცემ. მერე გახვალ „ტალკუჩკაზე“ და გაყიდი. ამასთან ერთად გევალება გადამყიდველების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი დაკავება. აი ესაა შენი საქმე. ვნახავთ, როგორი ბიჭი იქნები! — ბოლო სიტყვები გენომ მრავალმნიშვნელოვნად ჩაიქირქილა.

— კი ბატონო! — მოკრძალებით უთხრა ბუხჰალტერს. მადლობა გადაუხადა და ისევ დირექტორის კაბინეტში გავიდა, სადაც ვარაზანაშვილი და პალიკო მხიარულად იცინოდნენ.

VIII

დილის შვიდ საათზე ვახტანგი ბაზრის კანტორასთან დაერჭო.

კანტორის წინ თავი მოეყარა თხუთმეტამდე ფინამკრეფს. გენოს მოლოდინში მხიარულად საუბრობდნენ და თან ხმამაღლა იცინოდნენ.

ესენი იყვნენ: ანიჩკა ხეჩუაშვილი, რომელსაც სქელ ანიჩკას ანუ „ბებერ ძროხას“ ეძახდნენ სპეკულიანტები; ანტონ ტალიაშვილი, გუშინ პირველად რომ ნახა ვახტანგმა; აკაკი რუხაძე — სპეკულიანტების მიერ კაკოიად მონათლული; ილიკო გაგნიძე —სიმკაცრის გამო „ფაშისტი“ რომ შეარქვეს; ბებერი ხაჩიკა ხაჩატურიანი; დაბალ-დაბალი, ყბაგაკაწრული ვართან მამიკონიანი, „მოუსვენარ თაგვად“ წოდებული, სულ ერთავად მსხვილ საქმოსნებს შორის რომ დაცუნცულებდა, რათა მეტს გამორჩენოდა; სამსონ ნამორაძე; თამარ ყანდარელი; „გრძელი დათიკო“ კალანდაძე, „ლამაზი ვარა“ ბასილაშვილი; ალიოშა სოხაძე, კოლია ორჯონიკიძე და სხვები.

ესენი ძირითადად „ტალკუჩკაზე“ მუშაობდნენ და სხვა განყოფილებებში არა ჰქონდათ ქვითრის გაყიდვის უფლება. იქ ვარაზანაშვილს თავისი „ძმაკაცები“ ჰყავდა გამოყოფილი.

მოვიდა გენოც, თანამშრომლებს მხიარულად მიესალმა და კანტორის კარი გააღო.

ფინამკრეფები ხორხოცით შეჰყვნენ უკან.

სულ ბოლოს ვახტანგი შევიდა.

— მოითმინეთ, ამხანაგებო, ჯერ ახალ თანამშრომელს მივცემ ქვითარს, მერე თქვენ! — უთხრა გენომ და ვახტანგს თვალი ჩაუკრა, წინ წამოდექიო.

ფინამკრეფებმა ალმაცერად შეათვალიერეს ახალი კოლეგა და განზე გადგნენ.

— აიღონ ამათ, მე ბოლოს ავიღებ,— მოკრძალებით მიმართა ვახტანგმა და ახლოს მისვლის მაგივრად, უკან დაიწია.

— მიბრძანდით, მიბრძანდით, — ხელი დაუჭირა ვახტანგს ანტონ ტალიაშვილმა, — ჯერ თქვენ აიღეთ, მერე ჩვენ ავიღებთ.

ვახტანგი წინ წარსდგა. გენომ ერთი შეკვრა ქვითრის ნუმერაცია ჟურნალში ჩაინიშნა და გაუწოდა.

— დღეს ეს რომ გაყიდო, დიდი ვაჟკაცობაა. ხვალ-ზეგ კი, მეორეს დაგიმატებ. მერე შენზე იქნება დამოკიდებული, დღეში რამდენს გაუშვებ.

ვახტანგმა ქვითრის შეკვრა გამოართვა და ნუმერაციას დახედა. შეკვრაში ასი ცალი იყო.

— ეს ასივე რომ ნისიად გამაცემინა, ხუთასი მანეთი ფული დამრჩება. იფ... რა კარგია ხუთასი მანეთი დღეში?— გაიფიქრა და კანტორიდან გავიდა.

მოტიტვლებული მოჩანდა მიჯრით ჩარიგებული დუქნებისა და სავაჭრო დარაბების შუა მომწყვდეული ვეებერთელა მოედანი, რომელსაც მრავალ ადგილას ვიწრო შესასვლელები ჰქონდა დატანებული. ეს იმიტომ, რომ ხალხმრავლობის დროს ადამიანს ყველა კუთხიდან შესძლებოდა როგორც შესვლა, ისე გასვლა, რათა „ტალკუჩკაზე“ ხალხი არ დაგუბებულიყო.

გადამყიდველები ჯერ კიდევ არ გამოჩენილიყვნენ. კანტიკუნტად ახლა იღებოდა ხის ხუხულებში მოთავსებული ლუდხანები, ჩაიხანები, გამაგრილებელი წყლის კიოსკები, სამწვადეები, სახინკლეები, საპარიკმახეროები, წვრილ-წვრილი სავაჭროები, დუქნები და კიდევ დუქნები, სადაც კერავდნენ ქუდებს, ფარაჯებს, დაბამბულ ქურთუკებს, კიტელებს, შარვლებს, ხალათებს, კოსტუმებს, კაბებს, პალტოებს, ქალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და მამაკაცის ფეხსაცმელებს, წუღამესტებს...

კერავდნენ და ჩუმად და ცხადად იქვე ყიდდნენ, ან აყიდვინებდნენ „თავიანთ ბიჭებს“.

ვახტანგი დაფიქრებული გაჰყურებდა ცარიელ მოედანს. გაჰყურებდა და თვალწინ ესახებოდა ქურდბაცაცებისა და მუქთახორების მთელი ხროვა, რომლის კორიანტელში დღეს უნდა ჩაბმულიყო.

კი მაგრამ, უნივერსიტეტი იმიტომ დავამთავრე, რომ აქ ამომეყო თავი? ერთხელ კიდევ შეეკითხა თავის თავს,— ესაა ჩემი მოწოდება?

მოძალებულ ფიქრებს ლაგამი ამოსდო და თავიდან მოიცილა. კვლავ ქვითრებს დახედა. სათითაოდ გადათვალა. ზუსტად ასი იყო.

ზედ არც კი შეუხედავთ კოლეგებს, ისე გაუარეს გვერდით და გადახურულ დახლების მიღმა გაიფანტნენ.

ზოგი ბაზრის მთავარ შემოსასვლელისაკენ წავიდა.

ზოგმაც სხვა შემოსასვლელისაკენ აიღო გეზი.

ვახტანგმა თვალი გააყოლა ფინამკრეფებს და კვლავ ფიქრები... ჯერ ოშორა გაახსენდა, როცა უნივერსიტეტში მოწყობაზე ოცნებობდა, მერე ეთერი, გივი, რუსუდანი, სამამულო ომი, ნელი, ასპირანტურა...

ბოლოს ისევ ქვითრებს დახედა.

ესე იგი, ქვითარს ნისიად თუ მისცემ, ის თხუთმეტის მაგივრად ოც მანეთს მოგცემს. არ მისცემ ნისიად და ისიც არაფერს მოგცემს. დასწყევლოს ღმერთმა, — გაიფიქრა გუნებაში, — განა რამდენი კაცი უნდა დაიმახსოვრო. ვთქვათ და კიდევაც მიეცი ნისიად, ამ ზღვა ხალხში იპოვნი? არ დაგემალებიან?

ჯერ კიდევ გაურკვეველ მდგომარეობაში იყო ვახტანგი. გუშინ იმედის ნაპერწკალი ჩაესახა გულში. იფიქრა, უკვე მივხვდი ფულის გაკეთების საიდუმლოებასო, მაგრამ დღეს ახალი სიძნელე დაუდგა წინ.

ნისიად ვერ გასცემდა ქვითარს. ვერ გასცემდა იმიტომ, რომ არავის იცნობდა, რომ გაეცნო, ამას დიდი დრო უნდოდა, ანდა უნდა ჰქონოდა ისეთი ნიჭი, რომ ყველა დაემახსოვრებინა.

არა და... როგორ ეჩქარებოდა თედოს ვალის გადახდა, ნელის გულის მოგება, დედისა და ძმების დახმარება.

ამ ფიქრებში იყო, რომ ვიღაცამ მკლავზე ხელი შეახო. გვერდით მიიხედა. მის წინ ანტონ ტალიაშვილი იდგა და ღიმილით მისჩერებოდა.

— რას დაფიქრებულხარ, მეგობარო? — უთხრა მან, — ხომ არ გეძნელება მუშაობა?

ვახტანგმა დაკვირვებით შეათვალიერა ეს წარმოსადეგი, მზეზე დამწვარი, შავგვრემანი ვაჟკაცი, რომელიც სამი თუ ოთხი წლით უფროსი იქნებოდა მასზე. მოეწონა მისი პირდაპირობა. მისდამი სიმპათიით ჯერ კიდევ გუშინ განიმსჭვალა, როცა პირველად ნახა. გულღია ბიჭი ჩანსო, გაიფიქრა და ღიმილითვე უთხრა:

— რა თქმა უნდა, გამიძნელდება. დღეს პირველად გამოვედი...

— არაფერია, — სიტყვა შეაწყვეტინა ანტონმა, — ორ-სამ დღეში ყველაფერი გეცოდინება!

— მართლა?! — თვალები გაუბრწყინდა ვახტანგს.

— წამოდი ჩემთან, ყველაფერს აგიხსნი. ეს გათახსირებულები ხომ, — ანტონმა ფინამკრეფების მისამართით წარმოსთქვა,—არაფერს გეტყვიან, ერთ სიტყვას არ შეგაწევენ... მარტო თვითონ უნდათ იყვნენ. პირველად რომ მოვედი, მეც შენსავით დაბნეული ვიყავი. არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, როგორ მემუშავა. ერთი კაცი არ ამომდგომია გვერდში, რომ ეთქვა: ანტონ, აი ასე უნდა იმუშაო. ყველა გამირბოდა, ზედ არავინ მიყურებდა, ახლოს არავინ მეკარებოდა. ბოლოს მე თვითონ მივხვდი

ყველაფერს, მაგრამ... ომში ნამყოფი ხარ?

— დიახ, ომში ნამყოფი ვარ! —უპასუხა ვახტანგმა, — შენც ხომ?

— რა თქმა უნდა, მეც! ოცდაცხრამეტ წელში წამიყვანეს და ორმოცდახუთის ბოლოს დავბრუნდი.

— ერთ ცეცხლში ვყოფილვართ გამოვლილები.

— იმიტომაც გამოგელაპარაკე. მივხვდი, შენც მრავალჭირგადახდილი ბიჭი ჩანხარ, ჩემსავით... ეს ბრიყვები ხომ ვერაფერს გაგიგებენ... შენი სახელი მითხარი, თუ ძმა ხარ!

— ვახტანგი მქვია!

— კეთილი!

ანტონმა მკლავში ხელი გაუყარა ვახტანგს და დახურულ დახლებისაკენ წაიყვანა, საითაც წელან სხვა ფინამკრეფები წავიდნენ.

დახლებს გასცდნენ, ვიწრო გასასვლელით „ტალკუჩკიდან“ ქუჩაში გავიდნენ და იქვე, ალიზით ნაგებ ერთსართულიან სახლს მიადგნენ.

ეზოს მაღალი კედლები ჰქონდა შემოვლებული. სანამ შიგ არ შეხვიდოდით, ვერაფერს დაინახავდით.

— აქ სად მოვედით?! — გაკვირვებით იკითხა ვახტანგმა და ანტონს დაეცქერდა.

— საიდუმლოა, — გაიცინა ანტონმა, — შიგნით რომ შევალთ, თვითონ მიხვდები!

ჭიშკართან მივიდნენ.

ანტონმა ხელი შეყო ჭიშკრის ჩარჩოს გვერდით საგანგებოდ დატანებულ ხვრელში, სადაც საიდუმლო ელექტროზარის ღილაკი იყო გაკეთებული. თითი დააჭირა.

მცირე ხნის შემდეგ ჭიშკარი ვიწროდ გაიღო და ეზოდან სუფთად ჩაცმულმა, სიმპათიური შესახედაობის მოხუცმა ქალმა ფრთხილად გამოყო თავი. ანტონი რომ დაინახა, სახე გახსნა და კარი უფრო ფართოდ გააღო.

ანტონი ეზოში შევიდა და ვახტანგიც შეიყვანა. შესვლისთანავე მოხუცმა კარები დაკეტა.

— როგორ არის საქმეები, ფათალო? — ღიმილით მიმართა ანტონმა, — არის?

— არის, შვილო! — ჩიფჩიფით მიუგო ფათალომ.

— კარგია?

— ასეთია, აი! — ფათალომ ცერა თითი ასწია.

— ისიც ხომ არის?

— არის, შვილო, მაშ!

— კარგია?

ერთის მაგიერ ორივე ხელის ცერა თითი ასწია ფათალომ.

ანტონს გაეცინა და ვახტანგს გადახედა.

ვახტანგი გაკვირვებით მისჩერებოდა მოხუც ქალს და თან ცალი თვალით ათვალიერებდა ციხესავით შეკრულ პატარა ეზოს, რომელიც თუთისა და ალუბლის ნარგავებს დაებურა.

— ძია ბეგო დაბლა არის? — იკითხა ბოლოს ანტონმა.

— სახლში შევიდა, ახლავე ჩამოვა, ჩაბრძანდით!

ვახტანგმა შენობას შეხედა. ახლა შენიშნა, რომ სახლი სარდაფზე იყო დაშენებული.

სანამ ანტონი ადგილიდან დაიძროდა, ფათალომ ვახტანგი ალმაცერად შეათვალიერა და იკითხა:

— ახალია?

— ახალია!

— სანდოა?

— რა თქმა უნდა, სანდოა. ასეთი ბიჭია, აი! — ანტონმა ცერა თითი აჩვენა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. შვილო, ჩაბრძანდით!

ანტონმა ვახტანგს თვალი ჩაუკრა, მომყევიო და პირველად დაეშვა ფილაქნის საფეხურებზე.

მას ვახტანგი მიჰყვა. ჯერ სარდაფში არ ჩასულიყვნენ, რომ ქვემოდან ანიჩკას როხროხი შემოესმათ.

— ბებერი ძროხაც აქ ყოფილა! — ზიზღით წარმოსთქვა ანტონმა.

ვახტანგი გაოგნებული მიჰყვებოდა ანტონს და ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის ირგვლივ.

კიბეები ჩაათავეს და ელექტრონით განათებულ ფართო სარდაფში შევიდნენ.

სარდაფში ანიჩკა, ბებერი ხაჩიკა, „გრძელი დათიკო", „ლამაზი ვარა", „ფაშისტი" გაგნიძე, „მოუსვენარი თაგვი" და სხვები მაგიდას შემოსხდომოდნენ, ვეება მათლაფებით ხაში დაედგათ და გემრიელად შეექცეოდნენ.

— იფ... იფ... იფ... რა ხაშია! — ბუხუნებდა ანიჩკა, — თან ძროხასავით აღებდა ვეება პირს.

— ვახ, ამისთანა ხაშს დუნიაზე ვერ შეხვდები!... — კვერს უკრავდა ბებერი ხაჩიკა.

გაგნიძე ყურადღებას არ აქცევდა მათ ლაპარაკს და დაჟამული სახე ისე ჩამოსტიროდა, თითქოს ყველას მაგიერ ფული ამან უნდა გადაიხადოსო.

ვართანა კი ხარბად წრუპავდა წვენს და თაგვივით აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, თითქოს აქაც სპეკულიანტებს ზვერავსო.

დანარჩენებიც გემრიელად შეექცეოდნენ ხაშს. გრძელი დათიკო ჭიქასჭიქაზე სცლიდა და ლამაზ ვარას აძალებდა, შენც დალიეო. მაგრამ ლამაზი ვარა თავს იდებდა და დათიკოს ხვეწნაზე გულიანად იცინოდა. ცალი თვალი თან ალი მამედოვისაკენ გაურბოდა.

მაგიდის ბოლოში იჯდა კაკოია რუხაძე. გადამყიდველებსავით ამათაც გაენაპირებინათ და ზედ არ უყურებდნენ.

გულჩათხრობილ კაკოიას კოლეგებისათვის გაბუტულივით ზურგი შეექცია და თავისთვის შეექცეოდა ხაშს.

მეორე მაგიდასთან ცალკე დამსხდარიყვნენ სასწორების გამცემი ალი მამედოვი; ყველაზე უფრო სარფიანი ფინამკრეფი მთელს ბაზარში, დირექტორის კაცად წოდებული კოჭლი გოგია ვარამაშვილი და სურსათის განყოფილებაში მომუშავე მუსა მურადოვი.

ალი მამედოვს სიმსუქნისგან თავი და სახე გაერთიანებული ჰქონდა და თვალები ძლივს მოუჩანდა.

კოჭლ გოგიას კი მუცელი მაკე ღორივით გაბეროდა და მკერდზე ქალივით მოუჩანდა ძუძუები.

ვახტანგი გაოცებული დარჩა ამ სანახაობით.

— ახლა ხომ მიხვდი, სადაც მოვედით? — ღიმილით უთხრა ანტონმა და ცარიელ მაგიდასთან სკამი შესთავაზა,— დაჯექი, თითო ხაში შევჭამოთ და მერე უფრო კარგად ვიმუშავებთ.

— ო... გმადლობთ, რატომ სწუხდებოდი! — დაიმორცხვა ვახტანგმა, — მეც არა ვთქვი, სად მივყავარ-მეთქი!

— ეს არაფერია, — ღიმილით წარმოსთქვა ანტონმა, — ბევრ ამისთანას ნახავ ჩვენთან და გაიგებ იმას, რაც არასოდეს გაგიგია, დაჯექი!

მაგიდას შემოუსხდნენ.

— ყველაფერი ეს კონსპირაციულადაა მოწყობილი? — გაკვირვებით ჰკითხა ვახტანგმა.

— მაშ, მაგის უფლებას ვინ მისცემს კერძო პირს, რომ გაუგონ, ციმბირს აქეთ დაატოვებინებენ ჩვენს ბეგოს და იქნებ ფათალოც თან მიაყოლონ. მაგრამ ეს ჩვენი საქმე არ არის, —თავი გააქნია ანტონმა, — მე პასუხისმგებელი ვარ „ირანსკზე", ბეგო კიდევ — თავის ხაშზე. სიმართლე თუ გინდა გაიგო, ამისთანა ხაშს თბილისის ვერც ერთ რესტორანში ვერ შეხვდები. ბეგო საგანგებოდ აკეთებს ჩვენთვის. მართალია, ძვირად ყიდის, მაგრამ, სამაგიეროდ, კარგია.

ვახტანგმა ვერ გაიგო, რას ნიშნავდა „ირანსკი". ძლიერ დააინტერესა, მაგრამ ამჟამად კითხვა უადგილოდ მოეჩვენა და თავი შეიკავა.

— მერე არ ეშინია ბეგოს, რომ გაუგონ?— ჰკითხა ანტონს.

— ყველასთვის კი არა აქვს კარი ღია. მარტო შინაური ხალხი დავიარებით.

ასეა ცხოვრება, ჩემო ძმაო. ყველა რაღაც გზას პოულობს არსებობისათვის. აქ ბაზარი ახლოსაა. გადავა, გაუკეთებელ ხაშს იყიდის, ცოლ-შვილს გააკეთებინებს, გაასუფთავებინებს. საღამოთი შესდგამს ცეცხლზე და, ამ დროს უკვე მზად არის. ყოველივე ამას შრომა ხომ უნდა? მაშ რა ქნას, იქურდოს? ხუთი სული ყავს შესანახი... გაჭირვებამ ყველაფერი ასწავლა ხალხს.

— ამ რისკს გაჭირვების გამო ეწევა ბეგო, თუ გამდიდრების წყურვილით? — მოურიდებლად ჰკითხა ვახტანგმა.

— შეიძლება ეგრეც იყოს, — თავი დაუქნია ანტონმა, — რას გაიგებ. ეს ომი ზოგისთვის თუ უბედურება იყო, ზოგისთვის ბედნიერება გახდა. მე ვიცნობ ადამიანებს, ამ ომის პერიოდში ისე გამდიდრდნენ, საკუთარ ტყავში ვეღარ ეტევიან.

ფინამკრეფებს უკვე დაემთავრებინათ ხაშის ჭამა. სვავივით გამძღარნი ხვნეშით წამოიშალნენ და გასასვლელისაკენ გაემართნენ.

ანტონმა ლაზათიანი გინება დაადევნა კოლეგებს, და ამ დროს ბეგოც ჩამოვიდა სარდაფში.

ეს იყო შუახნის, ხმელ-ხმელი, სათვალეებიანი მამაკაცი. ვახტანგი რომ დაინახა, სათვალეების ქვეშიდან ანტონს გაკვირვებით შეხედა და ხელით ანიშნა, ვინ არისო.

— ნუ გეშინიან,— თავი გაუქნია ანტონმა, — ეს ჩვენი ახალი ფინამკრეფია. დღეიდან შენი კლიენტი იქნება!

— კარგი ბიჭია?

— ისეთი, როგორც შენ გაგეხარდება.

ბეგომ კმაყოფილებით გაიღიმა ერთი სანდო მუშტრის შემატებაზე და ვახტანგი თავით ფეხებამდე შეათვალიერა.

ბეგო სამზარეულოში შევიდა და იმავე წუთს ორი თავმოდგმული მათლაფა ხაში გამოიტანა. ხაშს არაყიც მოაყოლა. მერე ცხელ-ცხელი თონის პური დაახვავა სუფრაზე.

— შენ გენაცვა! — წამოიძახა ანტონმა, ჭიქას ხელი წამოავლო და ვახტანგს მიუჯახუნა.

— ჩვენი გაცნობისა იყოს, ვახტანგ, იმედია, ერთმანეთს გავუგებთ!

— ნამდვილად! — კვერი დაუკრა ვახტანგმა.

ხაში, მართლაც, კარგი იყო... რძისფერი დაჰკრავდა. ხორცთან ერთად ორ-ორი ჩლიქი ეგდო მათლაფაში.

ანტონმა ხორცი ცალკე თეფშზე გადაიღო, წვენს ნიორი უყო, შეაზავა. შიგ პური ჩაამტვრია და მადიანად დაუწყო ჭამა.

— სპეკულიანტები საოცარი ხალხია, — დაიწყო ანტონმა. — მათ თავიანთი კაპრიზები და კანონები აქვთ. დილით სიკვდილია მათთვის ჯიბიდან ფულის ამოღება; დავითარსებითო, საქონელს ვერ გავყიდითო, ხეირს ვერ ვნახავთო. ამიტომ ყველა ნისიად მოგიხოვს ქვითარს. ნისიად კი არავითარ შემთხვევაში არ მისცე, რადგან დღეს შეიძლება ვეღარ ნახო ისინი, თვითონ კი არ მოგძებნიან. მართალია, იმ ფულს არ შეჭამენ, როცა შეხვდები, შენც რომ არ გახსოვდეს, დაგიბრუნებენ, მაგრამ დღეს ასეთი რამ არ გამოგადგება. თანდათანობით, როცა ყველას გაიცნობ, მაშინ რამდენიც გინდა, იმდენი გაეცი ნისიად. ახლა კი, ქვითარს რომ მისცემ, ფული აუცილებლად გამოართვი. შუაღამის შემდეგ, დაახლოებით სამი საათიდან, შეგიძლია ის ქვითრები ისევ უკან მოსთხოვო სპეკულიანტებს და ახლად შემოსულ ხალხზე ხელმეორედ გაყიდო. გამყიდველები შუადღის შემდეგაც ბლომად მოდიან. შეიძლება ყველამ არ მოგცეს, მაგრამ ვინც მოგცემს, ესეც კარგია.

— მერედა იმ სპეკულიანტს, სხვა რომელიმე ჩვენმა თანამშრომელმა რომ გაუსინჯოს ქვითარი, მეორედ ხომ აღარ აიღებს?

— სხვა თუ გაუსინჯავს, ის ეტყვის, უკან მივეცით და თავს დაანებებს. შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს. ეს საყოველთა-

ოდ ცნობილი კანონია ჩვენსა და სპეკულიანტებს შორის. ახლა მეორე ამბავი... პირველად მკაცრად უნდა მიუდგე გადამყიდველს სანამ ხელში აიყვანდე, თორემ მათ თვალში ამოჩემება იციან, თუ ერთი გაგინაპირეს, მერე საქმეს ვეღარ უშველი. აი, ჩვენი კაკოია რუხაძე რომ არის, დღეში ორმოცდაათ ქვითარზე მეტს ვერ ასაღებს. ყველა გაურბის...

— ვიცი, გუშინ შევნიშნე!

— ძალიან კარგი, თუ იცი! ახლა მთავარი მაინც სხვა არის. საღამოთი, ბაზრის დახურვის დროს, ეცადე ქვითრები ისევ უკან გამოართვა გადამყიდველებს, სულერთია, ვისი გაცემულიც არ უნდა იყოს. ამჯერად ყველა მოგცემს, უარს არავინ გეტყვის. იმ ქვითრებს სახლში წაიღებ, გვარსა და რიცხვს წაშლი. ახალს დააწერ. დამავიწყდა მეთქვა, გვარსა და რიცხვს როცა სწერ, ძალიან მკრთალად დააწერე. ქიმიური ფანქარი არ იხმარო. უბრალო, შავი ფანქარი ყველას სჯობია, წასაშლელად ადვილია და არც არაფერი შეეტყობა. იმ ქვითრებს კარგად დააუთოებ და მეორე დღეს გაყიდი. მაგალითად, ხვალისათვის ოცი ქვითარიც რომ მოაგროვო, ფულია. სამასორმოცდაათ მანეთს ჯიბეში ჩაიდებ. ამას სხვაც დაემატება და... ასე!.

— მერე საშიში არ არის? — ჰკითხა ვახტანგმა.

— მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. ბებერი ხაჩიკა ჩვენს კონტროლად არის გამოყოფილი. გვამოწმებს „ირანსკები“ არ გავუშვათ, მაგრამ ნუ გეშინიან... კარგი კაცია, ფული უყვარს.. დღის ბოლოს ერთ ხუთთუმნიანს მიუგდებ და ცხრაჯერ მადლობას გეტყვის. სამმართველოდანაც მოდიან ხოლმე, მაგრამ იშვიათად.

— „ირანსკი“ რაღა ჯანდაბაა? — ვეღარ მოითმინა ვახტანგმა.

— ის, რაზედაც ახლა გელაპარაკე. ჩვენი ტერმინია. ყალბ ქვითარს ვეძახით, მეორე დღეს რომ ვყიდით. დღეს კი არა, მაგრამ ხვალიდან თვალყური ადევნე შენი გვარით არავინ გაუშვას „ირანსკები“. ჩვენი თანამშრომლები ისეთი გადაგვარებულები არიან, ყველაფერს კადრულობენ. ახალი მოსული რომ ვიყავი, თურმე დამპალი ანიჩკა, გაგნიძე, ვართანა, სულ ჩემი გვარით ასაღებდნენ „ირანსკებს“, მაგრამ ბოლოს გავუგე და შავი დღე ვაყარე. ჩვენთანაც არიან კარგი ბიჭები, აი შაგალითად, სოხაძე, სამსონ ნამორაძე, კოლია ორჯონიკიძე. დანარჩენები კი, რა მოგახსენო...

ანტონმა ხელი ჩაიქნია. მერე ვახტანგს გაუღიმა, თვალებში ჩახედა და მხარზე ხელი დაჰკრა.

IX

ვახტანგი ხალხში შეერია, ქვითარი და ფანქარი მოიმარჯვა და სპეკულიანტთა ერთ ჯგუფს მტკიცე ხმით მიმართა:

— მაჩვენეთ თქვენი ქვითრები!

გადამყიდველებმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე უცხო ფინამკრეფი ალმაცერად შეათვალიერეს.

— შე კაი კაცო, აქამდე ვინ გაგვიშვებდა, აი ქვითრები! — უთხრეს და ჯიბიდან ამოიღეს.

— მართლაც, რას გაუშვებდნენ მეძებრებიო, — გაიფიქრა და ახლა მეორე ჯგუფს მიადგა.

იმათაც აჩვენეს ქვითრები.

როგორც იყო, ბოლოს, ერთი უქვითრო გამოიჭირა.

ეს გახლდათ დაბალ-დაბალი, ჩასკვნილი, შავ-შავი კაცი. ორმოციოდე წლისა იქნებოდა. ცბიერი, ღორული თვალები ჰქონდა. მკლავზე შალის შარვლები გადაეკიდა და ყიდდა.

— მე თქვენგან არ ავიღებ ჩეკს!— მტკიცედ უთხრა შარვლიანმა.

— რატომ? — წარბები შეყარა ვახტანგმა.

— იმიტომ, რომ ვართანასგან ვიღებ. იმას მსუბუქი ხელი აქვს!

— თუ ძმა ხარ, თავი დაანებე ამ მაი-

მუნობას და აიღე ქვითარი! — მწყრალად შეუტია ვახტანგმა.

— ვართანასგან ვიღებ, რაღა!... არა გჯერა? აი, წავალ და ავიღებ! — ბოლო სიტყვა გარმონივით გაწელა სპეკულიანტმა.

— ვერსადაც ვერ წახვალ! გადაიხადე ფული!

— ვა, შარია! — ხელები აპრანჭა შარვლის გამყიდველმა. ჯერ გვერდით მდგომ კოლეგებს გადახედა, მერე ისევ ვახტანგს მიუბრუნდა, — შენი ხელი დაცდილი არა მაქვს, ძმაოჯან, გინდა დამთარსო?!

— არაფერსაც არ დაგთარსავ! რატომ უნდა დაგთარსო?

— ხომ გეუბნები, ვართანასგან ავიღებ-მეთქი. წადი რაღა, გაიარე, ნათლიმამად შამეყარე, ტო?

— შენცა და შენი ნათლიმამაც! — ველარ მოითმინა ვახტანგმა, ქვითარი მოუხია და ხელში მიაჩეჩა, — შენმა მზემ, ნათლიმამად თუ შეგეყარე, ძაან სახელოვანი ნათლია მეყოლები.

აქეთ-იქით ხარხარი გაისმა.

— მაშ, კარგი, ავიღებ... ვნახოთ როგორი ხელი გექნება... — გატყდა გაჯიუტებული სპეკულიანტი და გაბრაზებით ქვითარი ჩამოართვა, — მერე გამოიარე!

— სასეირნოდ კი არა ვარ მოსული, მერე გამოვიარო, ახლავე უნდა გადაიხადო ფული! — შეუტია ვახტანგმა.

— ვახ!... აი შარი! ტო, ასეთი რამ გინახამთ! — წადი რაღა, საღამოზე ოც მანეთს მოგცემ!

— ღმერთმა შენც შეგარცხვინა და შენი ოცი მანეთიც... მე შენთვის კი არა მცალია. მითხარი, აიღებ თუ არა ქვითარს? თუ არ აიღებ, ამ წუთში დირექციაში წაგიყვან!

გვერდით მდგომი სპეკულიანტები ვახტანგს წინ ჩამოუდგნენ.

— ჩვენ ასეთი წესი გვაქვს, ახპერჯან! ჩეკს რომ ავიღებთ, ფულს მერე ვაძლევთ. ჩეკი ხომ მიეცი, წადი ახლა, გაიარ-გამოიარე და მოდი... ბახჩო ისევ აქ დაგხვდება, არსად გაგექცევა!

— მე თქვენი წესი არ ვიცი, ჩქარა, ამოიღე ფული!

— ვახ!... შე დალოცვილო, ამოვიღო რა, ჩაკეცილები მილაგია? კაპიკიანი არ მიგდია ჯიბეში. გავყიდი და მოგცემ. თუ არა და, აიღე შენი ჩეკი უკან, წავალ და ვართანას გამოვართმევ.

ვახტანგი გაბრაზდა. გაახსენდა გუშინდელი ამბავი, გაგნიძემ როგორ გადაახდევინა ფული საკაბეების გამყიდველებს. გადაწყვიტა თვითონაც ისე მოქცეულიყო. ბახჩოს შარვალში სწვდა, ხელიდან გამოგლიჯა, მკლავზე გადაიკიდა, წასასვლელად ნაბიჯი გადადგა.

— ეს ვინა ყოფილხარ, ტო!... მოიცა, მოგცემ-რაღა! — მოტყდა ჯიუტი გამყიდველი.

ვახტანგი შეჩერდა. ბახჩომ ჯიბიდან თუმნიანი და ხუთმანეთიანი ამოაძრო და გაუწოდა.

— აჰა! — უთხრა მკვახედ, — აბა ერთი კარგი ხელი ნუ გექნება!

ვახტანგმა ფული და ქვითარი მარცხენა ხელში გადაიტანა, პატრონს შარვალი უკან დაუბრუნა და ის იყო, გვერდით უნდა შეტრიალებულიყო, რომ ბახჩომ ხელახლა შეაჩერა.

— ვახ!... შე დალოცვილო, ხელი მაინც დამირტყი შარვალზე და ხეირი მითხარი, ფული ხომ მოგეცი?

ვახტანგს გაეცინა. შარვალზე სამჯერ დაურტყა ფულიანი ხელი, ხეირი ნახეო და გზა განაგრძო.

— გამოიარე შუადღის შემდეგ, ჩეკს უკან მოგცემ! — დაადევნა სიტყვა ბახჩომ.

ვახტანგმა ყურადღება არ მიაქცია. გადამყიდველებმა თვალი გააყოლეს და მერე ბახჩოს შეხედეს.

— მაგარი ჩანს, აი!

ბახჩომ გულიანად შეუკურთხა ახალ ფინამკრეფს და თან გვერდზე გადააპურჭყა.

— ამ სიფთაზე თხუთმეტი მანეთი არ ამაძრო, ტო?!

სპეკულიანტებს გულიანად გაეცინათ ამხანაგის სიტყვებზე. ბოლოს თვით ბახჩომაც გახსნა მოჟამული სახე.

სწორედ ამ დროს კაკოია რუხაძე წამოადგათ თავზე.

— აი, მოვიდა მშვიდობის მაძიებელი! — ხმამაღლა წამოიყვირა ბახჩომ.

გამყიდველებმა ხარხარი ატეხეს რუხაძის დანახვაზე. რუხაძე მიუხვდა მაიმუნობას. ქვითრის გასინჯვა ვერ გაუბედა. გამამასხარავებენო გაიფიქრა. გვერდი აუქცია და ქალებისაკენ წავიდა, სადაც კაზანბალები[1] კუსტარულად მოქსოვილ შალებს ყიდდნენ.

მოედნის შუაგულში, თხლად შეგროვილ ხალხს, ვახტანგმა თითქმის ყველას გაუსინჯა ქვითარი. უქვითროდ ვერავინ ნახა. გვერდზე დადგა და შემოსასვლელებს გახედა.

შემოსასვლელებში მეძებარ ძაღლებივით გაჩერებულიყვნენ ფინამკრეფები, ორ-ორი, სამ-სამი ერთად და უქვითროდ კაცს არ უშვებდნენ.

მთავარ შემოსასვლელში ვართანა და ანიჩკა მეცხვარის ქოფაკებივით დადარაჯებოდნენ, ქვითრის მოხევას ვერ ასდიოდნენ და ისევე არიგებდნენ ნისიად.

ათ საათამდე ვახტანგმა ათამდე გამყიდველი კიდევ გამოიჭირა უქვითროდ. როგორც პირველს, იმათაც ძალის-ძალით გადაახდევინა ფული. ათი საათიდან კი უამრავი ხალხი მოაწყდა ბაზარს. მყიდველი და გამყიდველი ერთმანეთში აირია და მთელი „ტალკუჩკა“ გაივსო.

ფინამკრეფებმა ველარ გაუძლეს ხალხის ტალღას და შემოსასვლელები მიატოვეს.

ერთი საათის განმავლობაში ვახტანგმა ოცდაათზე მეტი ქვითარი გაყიდა. ზოგს კი ჩხუბით აღებინებდა, ზოგი ულაპარაკოდ იხდიდა ფულს. არ ჯანჯლობდნენ მხოლოდ ის გამყიდველები, რომლებიც დილიდან საღამომდე დგომას დაჩვეულები არ იყვნენ. უცბად მოიტანდნენ საქონელს, გაყიდდნენ და წავიდოდნენ. ანდა ოჯახებიდან მოსული დიასახლისები, რომლებსაც გაჭირვებით გამოჰქონდათ რაიმე ნივთი, რომ პურის ფული ეშოვათ.

რამდენიმე მსხვილმა სპეკულიანტმა თხუთმეტი მანეთის მაგივრად ოცი მანეთი გადაუხადა ქვითარში. ერთმა-ორმა კაცმა კი, რომელთაც საქონელი გაეყიდათ „და სახლში მიდიოდნენ, უკან დაუბრუნეს ქვითრები. ის ქვითრები ვახტანგმა იმ წუთშივე გაყიდა.

ახლა იგი გახურებულ მუშაობაში იყო გართული. ხან მაღლა აყვებოდა „ტალკუჩკას“, ხან დაბლა ჩამოყვებოდა. მთელს ბაზარს უვლიდა გარშემო. თორმეტ საათამდე ორმოცდაათი ქვითარი ჰქონდა გაყიდული. მუშაობის ამ მოკლე დრომ უდიდესი გამოცდილება შესძინა. ამ ზღვა ხალხში ისე სწრაფად სცნობდა უქვითროებს, რომ უკვირდა. უფრო სწორად, თვითონ გამყიდველები აგრძნობინებდნენ. როგორც კი დაინახავდნენ მას, ან ზურგს შეაქცევდნენ, ან გვერდით შეტრიალდებოდნენ, მაგრამ ვახტანგი სწორედ იმათ დაადგებოდა თავზე.

ახლაც ასე დაემართა ერთ გამყიდველს, რომელიც საკოსტუმე ნაჭერს ჰყიდდა. ვახტანგი რომ დაინახა, მაშინვე ზურგი აქცია და ნაჭერი იღლიაში ამოიდო.

— მაჩვენეთ თქვენი ქვითარი! — უთხრა მან და პირდაპირ ზედ მიადგა.

დაბალმა გადამყიდველმა ველური თვალებით ახედა ფინამკრეფს.

— რას ვყიდი, რომ ქვითარს მთხოვ?

— საკოსტუმეს! — მიუგო მოკლედ.

— ვიყიდე, განა ვყიდი!

— მოსატყუარი ბავშვი სახლში გეყოლება. აიღე ქვითარი!

— ანიჩკასაგან ვიღებ! — გამოტყდა გადამყიდველი.

— მე ანიჩკა არ ვიცი! — მოუხია და მიაწოდა, — მიიღეთ!

— ანიჩკასაგან ვიღებ-მეთქი, შარი ხარ? — შუბლი შეიკრა გამყიდველმა.

— შარი შენა ხარ! აიღე ქვითარი,

[1] კაზანბალები — ყაზანის თათრებს ეძახიან.

სანამ ჩამოგართმევდე მაგ ნაჭერს! — მიმართა მტკიცე ხმით.

— ჩამომართვა რა, შენი ნაყიდია?..

— ჩემი ნაყიდი რომ იყოს, შენ აღარ ვეჭირებოდა ხელში. რადგან შენია, მიიღე ქვითარი და გადაიხადე თხუთმეტი მანეთი! — მკვახედ უთხრა ვახტანგმა.

სწორედ ამ დროს ანიჩკას როხროხიც გაისმა. იგი ბატისებური ბაჯბაჯით უახლოვდებოდა მათ.

— აი, ანიჩკაც! — თვალები გაუბრწყინდა სპეკულიანტს, — დეიდა ანიჩკა, მომეცით ჩეკი!

ანიჩკა მიხვდა, რაშიც იყო საქმე. რას ვერ მიხვდებოდა?! მან შორიდანვე დაგეშა ისინი. ახლა სწორედ იმიტომ მობაჯბაჯებდა მათკენ, ახლო მისვლისას ვახტანგს ირიბად ახედა და გადამყიდველს ქვითარი მოუხია.

— არავითარ შემთხვევაში, გამოართვით უკან!— თითქმის ბრძანებით უთხრა ვახტანგმა.

— რატომ უნდა გამოვართვა! — დაიბუზუნა ანიჩკამ. სახე შეიკრა და შუბლზე კაკლისოდენა კოპები დაასხდა.

— იმიტომ, რომ თქვენზე ადრე ვნახე ეს კაცი!

— მერე მაგას რა მნიშვნელობა აქვს? ეს ჩემი კლიენტია!

— არ მაინტერესებს ვინ ვისი კლიენტია. მე ქვითრებს ვყიდი და იმიტომ უნდა აიღოს ჩემგან, რომ პირველი შევხვდი!

— უკაცრავად, — გამოაჯავრა ანიჩკამ, — ჯერ არ მოსულხარ და უკვე დაიწყეთ?

— თქვენი საქმე არაა, მე რა დავიწყე. გეუბნებით, ქვითარი გამოართვით უკან!

ანიჩკა ჯერ ვირზე შეჯდა, მერე იფიქრა: ეს აღარ ხუმრობსო. უკან დაიხია და იკადრა ქვითრის გამორთმევა. კოლეგას ზიზღით გადახედა და დუდღუნით გაშორდა იქაურობას.

ვახტანგმა ფული გადაახდევინა სპეკულიანტს. უკან გამობრუნდა. თავქვე დაჰყვა. გზა და გზა კიდევ ოცი ქვითარი გაყიდა და იმ უბანს მიადგა, სადაც ბიჭებს ქალის საკაბეები გაეფარჩავებინათ.

მაშინვე იცნო ისინი. ერთ მათგანს აბრეშუმის ძვირფასი საკაბე მთელს ტანზე შემოეხვია და გამვლელთ უჩვენებდა: შეხედეთ, რა ნაჭერია, მოდით იყიდეთო.

ვახტანგი მშვიდი ნაბიჯით მიუახლოვდა მათ.

— თქვენი ქვითრები მაჩვენეთ! — უთხრა შუბლშეკრულმა, ცივი ხმით. რადგან იცოდა, მათთან რბილად მიდგომა უარესი იქნებოდა.

ბიჭებმა დაკვირვებით შეათვალიერეს ახალი „ჩეკის გამყიდველი“ და ერთმანეთს შესცინეს.

— ვახ!... ახალი მეჩეკე მიუღიათ!— წამოიძახა ერთმა, მაღალ-მაღალმა, ჭორფლიანი სახის ბიჭმა და ვახტანგს დამცინავად ხელი გაუწოდა, — გამარჯობა შენი, ვიცნობდეთ, მე ჩახტიას მეძახიან!

გადამყიდველებმა ხარხარი ატეხეს. ვახტანგმა შუბლი შეიკრა. ეს ბიჭი გუშინაც ნახა აქ. ისევ ისე იდგა, როგორც მაშინ. ხელში არაფერი ეჭირა.

ეს ის ბიჭი იყო, კაკოია რუხაძე რომ გააქცია და გაგნიძეს პირში ვარდებოდა თვითონ არაფერს ყიდის და უსაქმურად ნეტავ რატომ დგას, ნუთუ საჯიბგიროდ არის გამოსულიო, გაიფიქრა და ჩახტიას დააცქერდა.

ჩახტია ლამაზად იყო გამოწყობილი. მწყრის კვერცხივით დაწინწკლული სახე ჰქონდა და საოცრად მოძრავი, ცბიერი თვალები. ამ თვალებს რომ შეხედავდით, დარწმუნდებოდით, რომ მისი პატრონი ყველა შავბნელი საქმის გაკეთებას იკისრებდა.

ვახტანგმა თვალი თვალში გაუყარა ჩახტიას, მერე მის გამოწვდილ ხელს ხელი აუკრა და იქვე მდგომ ბიჭებს მკაცრად მიმართა.

— მაჩვენეთ ქვითრები!

— გვაქვს! — ერთხმად უპასუხეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეკულიანტებმა და გვერდით შეტრიალდნენ.

— მაჩვენეთ, თუ გაქვთ, — უფრო მკაცრად გაუმეორა ვახტანგმა.

— გვაქვს! — კვლავ იყო პასუხი.

— რამდენჯერ უნდა გაჩვენოთ, აღარ მოგვეშვები?! — აგდებით უთხრა ერთმა.

— აჩვენე, ბიჭო! — შეუტია ჩახტიამ ერთ მათგანს.

— აჩვენე, ბიჭო, რას გაჩერებულხარ! — მეორემ მესამეს შეუტია.

— ამოიღე ჯიბიდან, კაცი არ არის, რომ გელაპარაკება? — მესამემ მეოთხეს უთხრა და ბოლოს ხარხარი ატეხეს.

ჩახტია წინ ჩამოუდგა ვახტანგს.

— კაკოია, მერე გამოიარე შენი ჭირიმე და გაჩვენებ! — თან მხარზე ხელი დაარტყა.

ვახტანგს სისხლი ყელში მოაწვა. ჩახტიას ხელი ჰკრა, იქით გადააგდო. საკაბეში გახვეული სპეკულიანტი მაგრად შეაჯანჯღარა და ხელიდან ნაჭერი გამოგლიჯა.

— ახლავე მილიციას დავუძახებ, შენი!... კბილების კრაჭუნით უთხრა მათ.

ბიჭები შედრკნენ. არ მოელოდნენ. ყველამ სათითაოდ ამოიღო ქვითარი და აჩვენა.

ამ ამბავმა ვახტანგი უფრო მეტად აღაშფოთა. ჩამორთმეული საკაბე ხელში მოჭმუჭნა, პატრონს სახეში ესროლა და უკან გამობრუნდა.

— მოითმინე, მეგობარო! — მოესმა უკანიდან ჩახტიას ხმა.

ვახტანგი შეჩერდა.

ჩახტია ახლოს მივიდა. მას სერიოზული სახე ჰქონდა. თვალებში ბოროტი სიბრაზე ჩაჰგუბებოდა.

— არ გინდა, რომ ერთი ლუკმა პური ჭამო? — უთხრა დინჯად, მტკიცე ხმით.

— ჩემს ლუკმასთან შენ რა საქმე გაქვს?

— ჰმ... — მწარედ ჩაიცინა ჩახტიამ, — ეს ერთხელ მიპატიებია და მეორედ აღარ გაბედო!

— რას იზამ?

— მერე გაიგებ!

— მაინც!

— შენი ფეხი აღარ იქნება ბაზარში!

— თუ თქვენი ფეხი აღარ იქნება?!

— ხომ გეუბნები... ახალგაზრდა ბიჭი ხარ და არ მინდა ლუკმა დაგაკარგვინო იმიტომ, რომ ჩვენც ამ ლუკმის ამარა ვართ! ჩვენ საერთოდ კაცის გაფუჭება არ გვიყვარს, მტერიც რომ იყოს... იმიტომ, რომ ჩვენც ყოველთვის ამ საფრთხეს მოველით. მაგრამ თუ ასე დაიწყებ, წააგებ!

— კი მაგრამ, რას მემუქრები, — აენთო ვახტანგი, — პირიქით, შენ უნდა გეშინოდეს ჩემი. მე შემიძლია დღესვე დაგაკავო და მილიციას გადაგცე. ამის უფლება მაქვს, როგორც ფინამკრეფს. და თუ კიდევ გაჯიუტდებით, ქვითრის აღებაზე, ასე მოვიქცევი!

ჩახტიამ ჩაიცინა.

— ბავშვი ყოფილხარ! აი, სწორედ იმიტომ გაპატიებ, რომ გამოუცდელი ხარ. ჩახტია რომ ასე ადვილი დასაჭერი იყოს, აქამდე ჩემი ბურტყლი აღარ იქნებოდა. ეს უნდა გცოდნოდა შენ, როცა ბაზარში მოდიოდი სამუშაოდ.

— რას მეუბნები! ბოდიშს ვიხდი, რომ არ ვიცოდი!... მითხარით, რამ გამოიწვია ყოველი ეს?

— ამაში მართალი ხარ, მაგრამ ისიც უნდა იცოდე, რომ ჩვენ, სანამ საქონელს გავყიდით, ჯიბიდან ფულის ამოღებას ვერ ვიტანთ. იმიტომ კი არა, რომ ფული გვენანება. არა! გამოიარე საღამოს, ბაზრის დახურვის დროს და ორმაგად მოგცემთ, ოღონდ სიფთაზე ნუ დაგვთარსავთ!

— არა, ბიჭო, შენს კაპრიზებზე ვივლი! — მკვახედ მიაძახა ვახტანგმა. უკან შეტრიალდა და გაშორდა.

ჩახტიამ თვალი გააყოლა.

ვახტანგი პირდაპირ წავიდა. სანამ „ტალკუჩკას“ ჩაუთავებდა, ოცდაათი

ქვითარი კიდევ გაყიდა და მერე ისევ ალმა აჰყვა ბაზარს.

იარდლის გამყიდველებთან, გუშინდელივით, რაღაც ჩოჩქოლი შენიშნა. ახლოს მივიდა. ვიღაც სოფლელი გადამყიდველს ედავებოდა: შენ მომატყუე, ასი მანეთით ნაკლები მომეციო. სპეკულიანტი კი არწმუნებდა: ხომ დაგითვალე, რას მედავებიო.

ვახტანგმა გლეხი შეათვალიერა. საწყალი ჩანდა, ძლივს ლაპარაკობდა. შეეცოდა. წელანდელმა გაბრაზებულმა თაგვისთვალება გადამყიდველს საყელოში მოკიდა ხელი, შეანჯღრია, თავისკენ შემოატრიალა და მუქარის ხმით უთხრა.

— დაუბრუნე ამ წუთში ფული!

სპეკულიანტი წახდა. ხმა ვეღარ ამოიღო. იმ წუთში დააძრო ჯიბიდან ასმანეთიანი და გლეხს გაუწოდა.

— მე არ გამიკეთებია აჯო, მაგრამ მაინც გაძლევ ფულს. წადი, ხეირი ნახე!

გლეხმა ფული ჩამოართვა, ფინამკრეფს. მადლობა გადაუხადა და წავიდა.

ვახტანგი გადამყიდველს მიუბრუნდა.

— შენ აქ იარდალს ყიდი, თუ აფერისტობას ეწევი?! — შეუყვირა მკაცრად.

— ჩემი თავის მზემ, მე არ გამიკეთებია აჯო.

— აჯოს მოგცემ მაგ გოგრაში!

—გეფიცები სინდისს, რომ სხვამ გაუკეთა, მე ტყუილა მაბრალებს.

— დაიფიცე, თორემ, შენმა თავის გახეთქვამ, ნამუსი არ გაგიჭრის! მაჩვენე ქვითარი!

— არა მაქვს. მოხიე!

ვახტანგმა ქვითარი მოუხია. გადამყიდველმა ორი ათმანეთიანი ამოაძრო ჯიბიდან, გაუწოდა და მლიქვნელურად უთხრა:

— ხეირი ნახე!

ვახტანგმა ფული ფულს მიუმატა და ბაზარს ისევ ალმა აჰყვა. მიხვდა, „აჯოს“ ფულის ჩაკეცვას ეძახდნენ აფერისტები.

დაიღალა. შუადღის მზე პირდაპირ სახეზე აჭერდა და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. მუხლებში ტკივილი დგრძნო. მოშივდა. მაგრამ მუშაობას თავი მაინც არ დაანება. მთელი შეკვრიდან ოცი ცალი ქვითარიღა ჰქონდა დარჩენილი. იფიქრა, იმასაც გავყიდი, პურსა ვჭამ და თან ცოტას შევისვენებო.

ასეც მოიქცა. ის ოცი ცალი ქვითარი მალე გაყიდა და კანტორისაკენ დაეშვა.

კანტორაში გენო დახვდა. ანგარიშობდა. მოტვლეპილ თავზე ოფლი წინწკლებად დასხდომოდა. ვახტანგი რომ დაინახა, სახე გახსნა, ანგარიშს თავი დაანება და გაკვირვებულმა ჰკითხა.

— რატომ მოხვედი, ჭაბუკო, დაიღალე?

— კიდეც დავიღალე, ქვითარიც გამითავდა! — უთხრა ვახტანგმა და მოწყვეტილი სკამზე დაეშვა.

გენომ გაკვირვებით შეხედა.

— ყოჩაღ! შენ აღარ ხუმრობ! — წამოიძახა ხმამაღლა.

— მძიმე სამუშაო კი ყოფილა, ძია გენო!

— სამაგიეროდ სხვა რამეა კარგი. ხომ აუღე მუშაობას ალღო?

— ისე რა!

— ხვალ-ზეგ ყველაფერი გეცოდინება. შენ ისეთი ბიჭი ჩანხარ, ფულის შემოტანაში ყველას უკან ჩამოიტოვებ!

— ვნახოთ, ძია გენო!

— ვნახოთ კი არა, ასე იქნება. ჯერ სამი საათია და უკვე ერთი შეკვრა გაყიდე. ამდენს ძველი ინკასატორებიც ვერ ასაღებენ.

გენომ ახალი შეკვრა ამოიღო უჯრიდან, ნომერაცია ჟურნალში ჩაიწერა და გაუწოდა.

X

დილის შვიდ საათზე ვახტანგი კვლავ ბაზრის კანტორის წინ იდგა. ორი შეკვრა ქვითარი აეღო და ახლა ანტონს ელოდებოდა, რომ ბეგოს „სახაშეში“ წასულიყვნენ.

ანტონმაც აიღო ქვითარი. კარში გავიდა. ვახტანგმა მკლავში ხელი მოჰკიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნელი ნაბიჯით გადახურულ დახლებისაკენ გაემართნენ.

ვიწრო შესასვლელით გარეთ გავიდნენ, ციხესავით შეკრულ ბეგოს ეზოს მიადგნენ.

ვახტანგმა ხვრელში ხელი შეჰყო. კარის ღილაკს თითი დააჭირა.

მალე ჭიშკარმაც გაიჭრიალა. ვიწროდ გაღებულ კარებში ფათალომ ფრთხილად გამოყო თავი.

ანტონი და ვახტანგი შიგნით შევიდნენ.. ფათალომ მაგრად დაკეტა კარი.

სარდაფიდან ხმაური მოისმა. ფინამკრეფებს უკვე დაემთავრებინათ „ნადიმი“ და არყისაგან შეზარხოშებულნი სათითაოდ ამოდიოდნენ მაღლა.

— ეს ვირიშვილები, დასკდებიან ხაშის ჭამით! — თქვა ანტონმა და ვახტანგს შეხედა. ვახტანგი ჩუმ-ჩუმად იცინოდა.

სარდაფში ჩავიდნენ.

— ბეგო ძია, ორი ხაში მოიტანე და ორიც ას-ასი მოაყოლე!

— დღეს მე გპატიჟობ, ანტონ! — თავი გამოიდო ვახტანგმა.

— არავითარ შემთხვევაში! ამჯერად მე ვიქნები შენი მასპინძელი, მერე, როცა კარგად გაიწაფები და ფულს გააკეთებ, მაშინ შენს დაპატიჟებასაც მივიღებ.

ბეგომ მათლაფებით ხაში შემოდგა მაგიდაზე, ხაშს არაყთან ერთად თონის პური მოაყოლა და ჩვენი ბიჭებიც კარგად დანაყრდნენ.

ის იყო, სუფრიდან უნდა ამდგარიყვნენ, რომ ვახტანგმა, მეორე მაგიდაზე, ცარიელი მათლაფის გვერდით, ტყავის მინიატურული საფულე შენიშნა.

— ვილაცას დარჩენია! — წამოიძახა და საფულეს გადასწვდა. — ვისი უნდა იყოს?

ანტონმა ტუჩები აბრიცა.

— აზრზედ არა ვარ. აბა ერთი გახსენი, რა არის შიგ!

ვახტანგმა საფულე გახსნა. თვალები გაუბრწყინდა. საფულიდან კოხტად დაუთოებული, დაკეცილი ქვითრები ამოიღო.

— ირანსკებია! — ღიმილით წამოიძახა ანტონმა და ქვითრები გამოართვა. გადაშალა. ქვითრებს დღევანდელი რიცხვი ესვა და ანიჩკას გვარი იყო მოწერილი. დათვალა, ორმოცდაათი ცალი იყო.

— არ უყურებ, მაგ მამაძაღლს, — გაკვირვება ვეღარ დაფარა მან, — მე ოცი ცალი ირანსკი რომ გავუშვა, იმაზედაც ხელი მიკანკალებს. ამას კი, რამდენი უკეთებია! ახლა რა ვუყოთ ამ ქვითრებს?

ვახტანგმა მხრები შეარხია.

— უნდა გავყიდოთ! — დაასკვნა ანტონმა, — არავითარ შემთხვევაში უკან არ დავუბრუნებ!

— მერე რომ გაიგოს?

— ჯერ ერთი, ვერ გაიგებს, და გინდაც გაიგოს, შიშით ვერაფერს იტყვის, რადგან თავისია.

—მაშ გავყიდოთ! — წარმოსთქვა ვახტანგმა.

— გავყიდოთ!... შენ გაყიდე. უფულო კაცი ხარ, დედის რძესავით შეგერგება.

— რატომ მე, შუაზე გავყოთ!

— მე ჩემიც მეყოფა, შენზე უფრო ალალია! — მტკიცედ მიუგო ანტონმა და ქვითრები ძალით მიაჩეჩა ხელში.

ზეზე წამოდგნენ, ბეგოს მადლობა გადაუხადეს, მაღლა ამოვიდნენ და ის იყო, გაიჯახუნეს ეზოს რკინის კარი, რომ ბაზრის ვიწრო შესასვლელიდან ქოშინით გამოვარდა ანიჩკა. სახეზე ფერი წასვლოდა და ძლივს მოათრევდა მორღვეულ ტანს.

— ერთი შეხედე, როგორ დაფეთებული მორბის! — სიცილით წამოიძახა ანტონმა. — ახლა მაგას იმის ჯავრი კი არა აქვს, რომ დღეს, ფულს ვერ გააკეთებს. არა, ფული მაგას იმდენი აქვს, თავის სიცოცხლეში ეყოფა. ეშინია ქვითრები ვინმეს არ ჩაუვარდეს ხელში და საქმე არ გაუხსნან.

— რა შეწუხებული მორბიხართ,

ანიჩკა დეიდა, — უთხრა ანტონმა, როცა ერთმანეთს მიუახლოვდნენ.

— საფულე დამეკარგა... ნეტავ ბეგოსთან ხომ არ დამრჩა? — ძლივს ამოთქვა შეშინებულმა.

— რას მეუბნებით!... ფული იყო შიგ?

— ფულის ჯავრი არა მაქვს, საბუთები მეწყო. თქვენ ხომ არ გინახავთ, იქ?

— როგორ გეკადრებათ, დეიდა ანიჩკა. რომ გვენახა, არ მოგცემდით?

— ჩემი საბუთები თქვენ რაში გამოგადგებათ. ოი, ღმერთო ჩემო, ნეტა სად დამივარდა!

— იქნებ, მართლა ბეგოსთან დაგრჩათ, ნახეთ! — უთხრა ბოლოს ანტონმა.

— ნეტავი კი იქ იყოს... — წარმოსთქვა შეწუხებულმა და ფეთიანივით გავარდა .

ანტონი იცინოდა. ვახტანგსაც გადასდებოდა ეს სიცილი.

— ბებერი ძროხა... მაგას თურმე იმდენი ცოდვები აქვს ჩადენილი, ანკი ცოცხალი როგორ დადის ამ დედამიწაზე, — ხელი ჩაიქნია ანტონმა. —საფულე დაუკარგავს!... კარგი საფულე დაუკარგავს, მე და ჩემმა ღმერთმა.

„ტალკუჩკაზე“ გავიდნენ, როგორც გუშინ, ახლაც შემოსასვლელებთან გაჩერებულიყვნენ ფინამკრეფები. სულ თავში გაგნიძე მოჩანდა თავის ოსური, ჯინჯილებიანი ქუდით. იქვე იდგა „მოუსვენარი თაგვი“.

აქეთ, სადაც ქალის ფეხსაცმელებს ყიდდნენ, ლამაზი ვარა კოხტად მიარხევდა ფაშფაშა ტანს. მას შორიახლო მიჰყვებოდა გრძელი დათიკო, თავისი აყლაყუდა ტანით. კაკოია რუხაძე შუა მოედანზე წრიალებდა. სვანური ქუდი თვალებზე ჰქონდა ჩამოფხატული.

ბითაძე, სამსონ ნამორაძე და სხვები სხვადასხვა შემოსასვლელებთან დადარაჯებულიყვნენ.

ვახტანგი და ანტონი ნელი ნაბიჯით აყვნენ მოედანს. ჯერ კიდევ არ გამოჩენილიყვნენ გადამყიდველები. ახლა იღებოდა დუქნები და სავაჭროები.

— მე ასე გავყვები, — უთხრა ანტონმა და ხელი შემოსასვლელებისაკენ გაიშვირა, — შენ საით წახვალ?

— მთავარ შემოსასვლელთან გავჩერდები, სადაც გაგნიძე და ვართანა დგანან.

— მხოლოდ იცოდე, ირანსკები ახლა არ გაუშვა!

— მაშ, როდის?!

— მერე... სამი საათის შემდეგ!

— სულერთი არ არის?

— არ არის სულერთი! შემოწმებაზე თუ მოვლენ, სამ საათამდე მოვლენ. ადრე რომ გაუშვა, შეიძლება გამოიჭირონ.

— ეს კარგი მითხარი. მე ახლავე მინდოდა გამეყიდა! — მადლობა გადაუხადა ვახტანგმა.

— ახლა ერთსაც გეტყვი და მერე კარგად იყავი საღამომდე. საერთოდ, მაგარი მუშაობა ჩვენთან სამ საათამდეა. უნდა ეცადო, რომ ამ დრომდე ქვითრები მეტი გაყიდო და გეგმას არ ჩამორჩე, რადგან სამი საათის შემდეგ, საკუთარ ჯიბისათვის გვიხდება მუშაობა. გასაგებია?

— გასაგებია!

— კიდევ ერთიც და, მერე თავისუფალი ხარ. ხომ იცი, ხვალ კვირაა. კვირაობით ორჯერ დიდი ვაჭრობაა, ვიდრე ჩვეულებრივ დღეს. ხვალისთვის ქვითრები მოაგროვე. ოცდაათი ცალი ირანსკიც რომ გაუშვა, ბაზარს არაფერი შეეტყობა. ხომ ხედავ, ანიჩკას რამდენი უკეთებია. ახლა კი, კარგად იყავი. მიდი, მისცხე!

— ვნახოთ, ვეცდები!...

ვახტანგი პირდაპირ წავიდა. ანიჩკას „ირანსკები“, რომელიც მომზადებული ჰქონდა გასაყიდად, შარვლის წინა პატარა ჯიბეში შეინახა და შვიდას ორმოცდაათი მანეთი საკუთარ ჯიბეში დაიგულა.

ახლა მისი ფიქრი სხვა იყო. როგორმე უნდა მოეგვარებინა ნისიად გაცემის საქმე, რადგან ფულის უმტკივნეულო

გაკეთება, სწორედ ამ ნისიებთან იყო დაკავშირებული.

მან უკვე იცოდა, რომ ნისიად გაცემულ ქვითარზე გადამყიდველი თხუთმეტი მანეთის მაგივრად, ოც მანეთს იხდიდა. ეს იყო კანონი, რომელსაც, რომ იტყვიან, წყალი არ გაუვიდოდა. ესე იგი, ყოველ ქვითარზე ხუთი მანეთი ზედმეტი რჩებოდა. ასი ან ორასი ქვითრიდან, რომელიც ყოველდღიურად უნდა გაეყიდა მას, ნახევარიც რომ ნისიად გაეცა, კარგი თანხა დგებოდა, ეს ლუკმა, ვახტანგის აზრით, ძალზე ტკბილი და გემრიელი იყო, რადგან არავითარ საფრთხესთან არ იყო დაკავშირებული.

მას მიხვედრის საოცარი უნარი აღმოაჩნდა. ერთი დღის მუშაობის გამოცდილებამ ბევრი რამ ასწავლა. ჩაიხედა ბაზრის საიდუმლოებაში, გაეცნო მის კანონებს. მაგრამ ნისიად გაცემა ყველაზე ძნელი საქმე აღმოჩნდა. ამას უნდოდა დრო, დრო და კიდევ დრო. დრო კი ხელის არ აძლევდა.

მისმა ნიჭმა და უნარმა ამ სიძნელის გასაღებსაც მიაგნო. გუშინ გაცნობილ ქორვაჭრებიდან ოცდაათამდე სახე მაინც დაამახსოვრდა. გადაწყვიტა ოცდაათამდე ქვითარი გაეცა ნისიად და, ვინაიდან არც სახელი იცოდა, არც გვარი, ქაღალდზე აღენიშნა მათი გარეგნული დამახასიათებელი ნიშნები.

მაგალითად, თუ წარბი ჰქონდა გახეთქილი სპეკულიანტს, ჩაეწერა წარბა. თუ ცხვირი ჰქონდა დიდი, დაეწერა დიდცხვირა. თუ კოჭლი იყო, ჩაეწერა კოჭლი. თუ ვინმე ნაცნობს აგონებდა, იმ ნაცნობის სახელი აღენიშნა და ასე...

ვახტანგის აზრით, ეს იყო ყველაზე კარგი საშუალება, რომ ოცდაათი კაციდან, ოცს მაინც იპოვნიდა და დანარჩენი ათი, ანტონის სიტყვით, მეორე-მესამე დღეს დაუბრუნებდნენ ფულს.

— მაშ ასე, დღეს ოცდაათამდე ქვითარს ვუშვებ ნისიად, — გუნებაში წამოიძახა მან და ქვითრების შევსება წინდაწინ დაიწყო.

უცბად თავისი გვარის ძახილი მოესმა. უკან შეტრიალდა. დახლებთან თვალი მოჰკრა გენოს, რომელიც ხელს უქნევდა.

— ნეტა რა უნდაო, — გაიფიქრა და ჩქარი ნაბიჯით გასწია მისკენ.

— პეტო იოსებოვიჩი გეძახის! — უთხრა გენომ, როცა ახლოს მივიდა.

— სად არის?

— თავის კაბინეტში!

ვახტანგი კანტორაში შევიდა და ვარაზანაშვილის კაბინეტის კარი მორიდებით შეაღო.

— შეიძლება?

— მოდი, დაჯექი! — ცივად უთხრა პეტო იოსებოვიჩმა.

ვახტანგი სკამზე დაეშვა.

— შენზე საჩივარია შემოსული, მეგობარო!

— საჩივარი?! — გაკვირვებით წამოიძახა ვახტანგმა, — კი მაგრამ, მუშაობა გუშინ დავიწყე და დღეს უკვე მიჩივიან?

— სწორედ მაგაშია საქმე, რომ მუშაობა გუშინ დაიწყე და დღეს კი გიჩივიან. — წარბები შეიკრა ვარაზანაშვილმა, — რა შენი საქმეა ხალხს დაჭერით რომ ემუქრები?

— ვინ ხალხს? — ვერ გაიგო ვახტანგმა.

— ხალხს, გამყიდველებს! იცი, რა გითხრა, ჩემო ძმაო? — ტკბილად უთხრა ვარაზანაშვილმა ,— დაჭერა რა ვაჟკაცის ხელობაა. შენ ერთი ლუკმა პურის საჭმელად მოხვედი და ეს ლუკმა ჭამე. ვინც დასაჭერია, მილიცია დაიჭერს. შენი მოვალეობა ხომ იცი, რაც არის? — თვალებში ჩააცქერდა ვარაზანაშვილი.

— როგორ არ ვიცი!

— ჰოდა, ქვითრები ყიდე! რასაც ხალტურას გააკეთებ, ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროს. გასაგებია?

— გასაგებია, პეტო იოსებოვიჩ!

— წადი ახლა და იმუშავე!

ვახტანგი კარში გამოვიდა. მიხვდა, ვარაზანაშვილი სადაც ურტყამდა. ჩახტიას ბანდასთან რაღაც საერთო უნდა

ჰქონდესო, გაიფიქრა და „ტალკუჩკას“ ალმა აჰყვა.

ბაზარში უკვე დაეწყოთ დენა სპეკულიანტებს. ფინამკრეფებს ფანქარი და ქვითარი მოემარჯვებინათ და მუშაობას შესდგომოდნენ.

ვახტანგი ბაზრის მთავარ შემოსასვლელთან მივიდა. გაგნიძესა და ვართანას შუა ოჩანი ცხენივით ჩადგა.

გაგნიძემ და ვართანამ ვახტანგი ალმაცერად შეათვალიერეს. არ მოეწონათ გუშინ მოთრეული ახლგაზრდის თავხედობა. ერთმანეთს ქურდულად შეხედეს, რაღაც უნდა ეთქვათ, მაგრამ ამ დროს მათკენ მომავალი გადამყიდველების ჯგუფი დაინახეს და ქვითრები მოამზადეს.

ვახტანგი გამოცოცხლდა. ორი ნაბიჯით წინ წარსდგა და სპეკულიანტები დაკვირვებით შეათვალიერა. იცნო. ბახჩო და მისი ამხანაგები იყვნენ.

ვართანას და გაგნიძეს თვალები გაუბრწყინდათ. ქვითრის მისაცემად მოემზადნენ, მაგრამ ბახჩო და მისი ამხანაგები პირდაპირ ვახტანგისაკენ წამოვიდნენ და შორიდანვე ღიმილით შესძახეს:

— მოხიე!

ვახტანგმა ქვითრები მოუხია. თანაც სათითაოდ ჩამოურიგა წყალობა, ხეირი ნახეთო, და ქაღალდზე აღნიშნა: „ბახჩო და მისი ამხანაგები: გურგენა, ლევანა, არტუშა, აშოტა“.

შემდეგ გამოჩნდა თაგვისთვალება იარდლის გამყიდველი აფერისტი, გუშინ გლეხს რომ ასი მანეთი მოტყუებით ასწაპნა, უფრო სწორად, აჯო რომ გაუკეთა, ისიც პირდაპირ ვახტანგისაკენ წამოვიდა, ვართანასა და გაგნიძეს ქვითარი ხელში გაშეშებული დარჩათ.

ვახტანგმა ამასაც მოუხია ქვითარი და ქაღალდში ჩაწერა: „იარდლის გამყიდველი აფერისტი“.

ის იყო, წერას მორჩა, რომ ახლა სხვა სპეკულიანტი წამოადგა თავზე. ეს გახლდათ ველურთვალება ბიჭი, ანიჩკასაგან რომ უნდოდა ქვითრის აღება. ახლა კიდევაც გაუკვირდა მისი დანახვა: ალბათ, ბახჩოსავით მოგებულია და პირდაპირ ჩემთან იმიტომ მოვიდაო, — გაიფიქრა და ქვითარი იმასაც მოუხია. ქაღალდში კი ჩაწერა: „საკოსტუმე ნაჭრის გამყიდველი, ველურთვალება ბიჭი, რომელსაც ანიჩკასაგან უნდოდა ქვითრის აღება და მე არ გავუშვი“.

იმასაც „ხეირი“ დაადევნა ვახტანგმა და ცალი თვალით თან გაგნიძესა და ვართანას გადახედა, რომლებიც გაოგნებული იდგნენ და ერთმანეთს გაოცებით მისჩერებოდნენ.

მთავარ შემოსასვლელთან მალე ჩახტიას ბანდა გამოჩნდა. ისინი თხუთმეტნი იყვნენ. ჩახტიას გუშინდელივით ფაქიზად ეცვა და სულ განსხვავდებოდა თავის ამხანაგებისაგან. იგი ბიჭების შუა იდგა, ხმამაღლა ელაპარაკებოდა, თვითონაც იცინოდა და ბიჭებსაც აცინებდა.

მათ დანახვაზე ვახტანგმა შუბლი შეიკრა. გაგნიძე და ვართანა ნახტომისათვის მოემზადნენ, ამ თხუთმეტ კაცში, იქნებ, რამეს გავხდეთო, მაგრამ ბიჭები ახლოს არ მოსულან. მოშორებით დადგნენ და ჩუმი ტუტუნი დაიწყეს. ალბათ, ფიქრობდნენ, ვისგან აეღოთ ქვითარი.

ბოლოს ჯგუფს გამოეყო ჩახტია, პირდაპირ ვახტანგისაკენ წამოვიდა, შორიდანვე ღიმილით მიესალმა და თან ომახიანად შეუძახა:

— მოხიე თხუთმეტი ჩეკი!

ვახტანგმა შუბლი გახსნა, ჩახტია ალმაცერად შეათვალიერა, ხმაამოუღებლად მოხია თხუთმეტი ქვითარი და გაუწოდა.

ჩახტიამ ეს ქვითრები გამოართვა. ბიჭებს სათითაოდ ჩამოურიგა. მერე ისევ ვახტანგისაკენ შემობრუნდა, მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა, თვალი ჩაუკრა და უთხრა:

— ვნახოთ, როგორი ხელი გექნება!

ვახტანგმა ნაძალადევად გაუღიმა ჩახტიას. ფანქარი მოიმარჯვა და ქაღალდში ჩაინიშნა: „ჩახტიას ბანდა — 15 ქვითარი“.

გაგნიძე და ვართანა გაოცებულნი დარჩნენ: გუშინ მოეთრა, ჯერ ხალხი არ გაუცვნია და დღეს უკვე კლიენტები წაგვართვაო, გაიფიქრეს. გაკვირვებულებმა ერთმანეთს რაღაცა წაუტუტუნეს, ისე რომ ვახტანგს არ გაეგო, მაგარი შეუკურთხეს, მთავარ შემოსასვლელს მოსცილდნენ და ბურდღუნით სხვა მიმართულებით დაიკარგნენ.

ვახტანგს გაეცინა.

— იდიოტები! — წარმოსთქვა იმათი მისამართით, — მთელი ომის პერიოდი აქ მუშაობდნენ და ფულისთვის კიდევ როგორ დახარბებულები არიან!

ახლა ანიჩკა შენიშნა მოედნის შუაგულში. ზემოთ მოდიოდა.

— აი, ბებერი ძროხაც, როგორ მოძუნძულებს აქეთ! იფ... იფ... იფ... რა ხაშია!... რა კარგი ადგილიც დაუგულებია?!

ვახტანგმა იცოდა, როგორც გაგნიძეს და ვართანას, ანიჩკასაც აქ უყვარდა დგომა, ბაზრის თავში, მთავარ შემოსასვლელთან, სადაც ყველაზე მეტი ხალხი აწყდებოდა.

გარდა ამისა, ისიც იცოდა ვახტანგმა, რომ აქ, ამ ადგილას იყრიდნენ თავს ყველაზე უფრო მსხვილი საქმოსნები, საკოსტუმეების, კაბარდინებისა და ძვირფასი საპალტოე ნაჭრების გამყიდველები.

XI

ნელი შინ გულაძგერებული ელოდებოდა ვახტანგს. მოთმინება არ ყოფნიდა. ერთი სული ჰქონდა მალე შეხვედროდა ქმარს და გაეგო, დღეს როგორღა იმუშავა ბაზარში. იყო თუ არა ისეთი შემოსავლიანი, როგორზედაც ოცნებობდა.

დღე მოუსვენრად გაატარა. სახლში ვერ ისვენებდა. ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა. ხან დარეჯანთან ჩავიდოდა, საუბარს გაუბამდა, ვახტანგზე ელაპარაკებოდა. ხან ისევ სახლში შეტრიალდებოდა, საქმის გაკეთებას შეუდგებოდა, მაგრამ ატყობდა, არაფერი გამოსდიოდა და თავს ანებებდა.

ბოლოს აღარც სახლში გაუჩერდა გული. ქალაქში გავიდა და ყველა უნივერმაღი შემოიარა. არც საკმოსნო მაღაზიები გაუშვა დაუთვალიერებელი, რადგან იქ უფრო კარგი საქონელი გამოჰქონდათ, ვიდრე უნივერმაღებში.

როგორ უყვარდა წინათ მაღაზიებში სიარული! საქმეზე მიმავალს, გული არ მოუთმენდა არ შესულიყო და არ დაეთვალიერებინა გინდაც საყიდელი არაფერი ჰქონოდა.

მაშინ ხასიათიც ჰქონდა ნელის და ჯიბეშიც ბლომად ედო ფული, მაგრამ ახლა, კარგა ხანი იყო, რაც აღარსად გაევლო. იცოდა, ტყუილა გულს გაიფუჭებდა.

მართალია, არც ამჟამად ჰქონდა ჯიბეში ფული, მაგრამ იმედის ნაპერწკალი სიხარულის ფრთებს ასხამდა და კარგ განწყობილებაზე აყენებდა. სჯეროდა, დღეს თუ არა, ხვალ მაინც ექნებოდა ამის შესაძლებლობა. ამიტომაც უნდოდა, წინდაწინ დაეთვალიერებინა, სად რა იყიდებოდა.

მართლაც, ბევრი რამ ნახა მაღაზიებში ისეთი, ფული რომ ჰქონოდა, თვალს არ დაახამხამებდა, იმ წუთში იყიდდა.

განსაკუთრებით მოეწონა ლურჯი „კრეპჟორჟეტის“ საკაბე და შავი კარაკულის პალტო.

კარაკულის პალტოს ყიდვა ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. ნეტა რატომ დიდი არ ვიყავი, როცა მამა ცოცხალი იყო, ხომ მიყიდდაო, რამდენჯერ უნატრია. ჩაცმით გატაცებულ ქალს ფუჭ ოცნებად მოსჩვენებია მაშინდელი სურვილი და გულდაწყვეტილი წამოსულა სახლში.

მაგრამ დღეს ასე არ დამართნია ნელის. მის დანახვაზე არც გული დასწყვეტია, არც ხასიათი გაფუჭებია. პირიქით, მხიარულად გრძნობდა თავს, რადგან ღრმად სწამდა ამ ბედნიერებას მალე ეზიარებოდა.

ახლა სახლში იყო და სიხარულით ატაცებული მოუსვენრად ტრიალებდა. წამდაუწუმ ფანჯრიდან გადახედავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროსპექტს, ვახტანგი ხომ არ მოდისო. თვალი საათზე ჰქონდა მიპყრობილი, ყური კარებისაკენ ეჭირა, როდის დაიწკრიალებდა ზარი, მაგრამ ვახტანგი იგვიანებდა.

გახდა ექვსი საათი... შვიდი, რვა...

ნელი ღელავდა, აევსო მოთმინების ფიალა.

— ღმერთო ჩემო, სად არის აქამდე, ნუთუ ასე გვიან იკეტება ბაზარი? — ამბობდა გუნებაში და ერთ ადგილას ვერ ისვენებდა.

აი, დერეფანში დაიწკრიალა ზარმაც. ნელის თვალები გაუბრწყინდა. სიხარულის ელვამ თავიდან დაჰკრა და მთელ ტანში დაურბინა.

დღემდე კარის გაღება რომ ეზარებოდა ხოლმე, ახლა თითქმის სირბილით გაექანა ქმრის შესახვედრად. გულაძგერებულმა გააღო კარი, მაგრამ მის ნაცვლად, შუშიკა შერჩა ხელში, კევს ღეჭავდა.

მას შემდეგ, რაც ვახტანგმა გააგდო იგი, ნელის თვალი აღარ დაუკრავს.

— დაგწყევლა ღმერთმა, შუშიკ, მე მეგონა ვახტანგი მოვიდა-მეთქი!... სად დაიკარგე?

— გამარჯობა, ქალბატონო! — ქვემოდან ირიბად ახედა შუშიკამ.

— გამარჯობა.. რა თავპირი ჩამოგტირის. მოდი სახლში, არაფერი მოიტანე ახალი?!

შუშიკა კარებში ჩადგა, შეეშინდა ვახტანგი შინ არ იყოსო. ადგილიდან ფეხი არ მოიცვალა.

— რას გაიხიდე შუა კარებში, არ გესმის? შემოდი სახლში! — ნელიმ კაბა დაუჭირა და თითქმის ძალით შეათრია.

შუშიკამ დარბაზს მოავლო თვალი. რადგან ვახტანგი ვერ დაინახა, ცოტა გათამამდა.

— რა უნდა მომეტანა! იმ დღეს შენმა ქმარმა სახლიდან გამაგდო!

— ხომ არ გაგიჟდი, რას ლაპარაკობ! — გაიკვირვა ნელიმ.

— ჩანთას ფეხი რომ ამომიკრა, აგერ იქ ისროლა, აი! — შუშიკამ ძალლა აიხედა.

— როდის?!

— პირველი მაისის წინ! იცი, რა პირსახოცები და ქალის აბრეშუმის ტრიკოები მოვიტანე? — შუშიკამ კევის ღეჭვას მოუმატა.

— მერე რა გითხრა, რატომ გაგაგდო სახლიდან?

— ნელი შენ გადამირიეო, აქ აღარ მოხვიდე, თორემ მილიციაში წაგიყვანო. აბა, მე გადაგრიე? სინდისი არ არის? ნამუს ჩკაა, ახჩიკ?

ნელის გაეცინა.

— კიდევაც რომ დამცინის? — გაბრაზდა შუშიკა, — მომეცი ჩემი პიატტიში, აღარაფერს მოვიტან შენთან, ჩემმა მზემ, არაფერს მოვიტან!

— დაწყნარდი, შუშიკ! მაშინ, ალბათ, ცუდ ხასიათზე იყო ვახტანგი. შეგარიგებ. ახლა იცი, სად მუშაობს?

შუშიკა თვალებში ჩააცქერდა.

— საბურთალოს ბაზარზე!

— საბურთალოს ბაზარზე? — პირი ღია დარჩა შუშიკას.

— ხო, საბურთალოს ბაზარზე. ქვითარს ყიდის!

— ჩეკს ყიდის?!

— ხო, ჩეკს ყიდის. თუ რაიმე საქმე გექნება, ვახტანგი დაგეხმარება.

შუშიკას სახე გაუბრწყინდა. კევის ღეჭვა შეწყვიტა.

— მაგას რა სჯობია.. იქ ერთი მილიციელი გადამეკიდა და შიშით ვერ გავსულვარ...

— კარგი ადგილია, შუშიკ? — მოთმინება არ ყოფნიდა ნელის.

— ნელიჯან, ისეთი ადგილია, უკეთესი რომ არ შეიძლება!

— მართლა?

— ჩემა მზემ... აი, ასეთი ადგილია, ხომ გეუბნები. მეჩეკეები, როგორც მინისტრები, ისე ცხოვრობენ!

ნელიმ მხიარულად გადიკისკისა შუშიკას სიტყვებზე. პალიკო გაახსენდა.

— მერე შენი ქმარი დამეხმარება? — ვერ მოითმინა შუშიკამ.

— დაგეხმარება რომელია! იქ უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემს.

შუშიკამ კმაყოფილებით გაიღრიჭა და კვლავ კევის ღეჭვას მოჰყვა.

— მაშ ახალი არაფერი მოგიტანია, ხომ? — ჰკითხა ბოლოს ნელიმ.

— ჯერჯერობით არაფერი.. ის ტრიკოები და პირსახოცები უკვე გავყიდეთ. ასე ამბობენ: ხვალ, დიდ უნივერმაღში, ვენგერსკი ტუფლები იქნებაო.

—თუ აიღო, ჩემთან მოიტანე, გესმის? სხვასთან არ წაიღო. ფულს მალე დაგიბრუნებ, სულ მალე!

შუშიკა გაჩუმდა. ვალზე ხმა აღარ ამოიღო. ნელის კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს, დერეფანში ხელახლა გაისმა ზარის წკრიალი.

— აი, ვახტანგიც მოვიდა! — წამოიძახა მან და კარებისაკენ გაექანა.

შუშიკამ კევის ღეჭვა შესწყვიტა. სახე შეიკრა.

ნელიმ კარი გააღო. კართან მზისგან დამწვარი, სახე გაწითლებული ვახტანგი იდგა და იღიმებოდა.

—ვახტანგ! — სიხარული ვეღარ დაფარა ნელიმ, — მოხვედი, ძვირფასო? ოხო... ეს რა არის, სად დაგილევია?!

— დამილევია კი არა.. მზეზე დავიწვი... მთელი ტანი მიხურს. ძალიანა ვარ სახეზე გაწითლებული?

—არა უშავს, მოდი სახლში, დაისვენე!

დიდ დარბაზში შევიდნენ, ვახტანგმა შუშიკას ირიბად გადახედა და გაეცინა.

— ეს ქალბატონი კიდევ აქ არის?

ნელიმ ხმამაღლა გადაიკისკისა. შუშიკამ გაღიმებული ვახტანგი რომ დაინახა, თვითონაც გახსნა მოღუშული სახე და ახლა კი, გათამამებულმა ჰკითხა:

— ხაზეინჯან. მეჩიკეთა ხარ ბაზარში?

— ხო, მეჩიკეთა ვარ!—თავი დაუქნია ვახტანგმა.

— ხაზეინჯან, იქ რომ გამოვიტანო საქონელი, არ დამიჭერენ? ხომ დაძეხმარები? ჩეკს შენგან ავიღებ-ხოლმე, ხაზეინჯან!

ვახტანგს გაეცინა.

— რატომაც არ დაგეხმარები! ოღონდ ნელისთან ნურაფერს მოიტან და საბურთალოს ბაზარზე რამდენიც გინდა, ყიდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის სიტყვებზე, ნელისთან ერთად, თვითონაც გადიხარხარა. შუშიკასაც გაეცინა.

მცირე ხანს კიდევ იმუსაიფეს. შუშიკამ იფიქრა, ახლა მე ზედმეტი ვარო, და გახარებულმა დასტოვა სანებლიძიანთ ოჯახი.

— სხვა.. დღეს როგორღა არის, ვახტანგ საქმე, — ღიმილით ჩახედა ნელიმ თვალებში!

— ჯერ წყალი დამალევინე და მერე გეტყვი!

— ამ წუთში! მაგაზე გაწყენინებ?— ნელიმ ქმარს წყალი შემოურბენინა.

ვახტანგმა წყალი დალია.

— დღეს ათას შვიდასი მანეთი გავაკეთე!

— რას მეუბნები?! — გაკვირვება ვეღარ დაფარა ნელიმ ,— ათას შვიდასი მანეთი?-

— დიახ, ათას შვიდასი!

— ეს ხომ შენი ორი თვის ხელფასია, ვახტანგ! აი, გელაპარაკებოდი ხოლმე, ძვირფასო. ამაზე გეჩხუბებოდი!... შენ კი შენსას გაიძახოდი: ვერ ვიმუშავებ, ეს ჩემი პროფესია არ არის, ვერ მოვიპარავო... აქამდე რომ ჩემთვის დაგეჯერა. ასე არ ვიქნებოდით!... ახლა? იპარავ? ვის ამოაცალე ჯიბიდან?

— კარგი, ძველ ამბებზე ნუღარ მელაპარაკები. არ დაივიწყებ?

— ისე გეუბნები, კი არ გეჩხუბები!

— რაღაზე უნდა მეჩხუბო, — სიტყვა შეაწყვეტინა ვახტანგმა, — ახლა დღეში ათას შვიდას მანეთს ხალტურას ვაკეთებ. ხვალ, ალბათ, მეტი იქნება.

ნელიმ კეკლუცად გადიკისკისა. მიუხვდა ქმარს, რის თქმაც უნდოდა ამით.

— რა სართ ეს ქალები... თქვენ ოღონდ ფული მოგიტანოთ კაცმა და... დანარჩენს არაფერს დაეძებთ!

—რატომ ამბობ მაგას, ვახტანგ? — წარბი შეიკრა ნელიმ, — განა მე ოჯახის ნაკლებობა არ მალაპარაკებს, ოჯახზე არ ვფიქრობ? სხვანაირად რად გესმის.

ჩემი ნათქვამი?... აი რამდენი ვალი დავგიგროვდა... ამას გადახდა ხომ უნდა? გარდა ამისა, შენ ერთი კოსტუმის მეტი არაფერი გაგაჩნია. მეც თითქმის გამიცვდა ჩემი ქალიშვილობის ტანსაცმელი. დედაშენს ,ძმებს, დახმარება ხომ უნდათ?

— კარგი, კარგი. გეყო, რაც ნერვები ვიშალეთ. ახლა მაინც ნურაფერს გამახსენებ!

— ისე ხომ შემოსავლიანი ადგილია? — ვეღარ მოითმინა ნელიმ.

— ისეთი, როგორც გაგეხარდება, — ღიმილით უთხრა ვახტანგმა, — ბლომად ფულის გაკეთება შეიძლება, თუ კაცი ნამუსზე ხელს აიღებს. მაგრამ..

— მაგრამ რა?

— სჯობია ცოტა იყოს და შეგერგოს!..

— რა თქმა უნდა... მეტის მეტსაც ნუ დაეხარბები... რათ მინდა ისეთი შემოტანილი ფული, თუ კი იმ ფულს თან გადაჰყვები!

ვახტანგს მოეწონა ნელის სიტყვები. „მართალია ვერ იტანს ხელმოკლეობას, მაგრამ ხარბი მაინც არ არისო", გაიფიქრა და ცოლს სიყვარულით შეხედა.

პირველ რიგში, თედოს უნდა გადავუხადოთ ვალი, — უთხრა მცირე ფიქრის შემდეგ, — ერთი თვით გამოვართვი და მას შემდეგ ოთხი თვე გავიდა.

— გადავუხადოთ, ჭირიმე, გადავუხადოთ...

—მერე სოფელში უნდა მივხედოთ... რა კარგი იქნება, ამ ზაფხულს ოშორაში წასულიყავი. რაც ჩემი მეუღლე ხარ, ჯერ ხომ ჩვენს ოჯახში არა ყოფილხარ. იცი, როგორ უნდა დედას შენი ნახვა? ვერ წარმოიდგენ. ცას დაეწევა სიხარულით. გოგია ხომ... როგორ მეხვეწებოდა ამას წინათ, წამიყვანე, ნელი მაჩვენეო.

— რატომ არ წამოიყვანე?!

— აბა, როგორ წამომეყვანა! აქ რა უნდა გააკეთო ამ ზაფხულს. წადი სოფელში. თუ რამეს ვიშოვნი, მოვაგროვებ და კვირაში ერთხელ, თქვენთანაც ჩამოვალ.

— მერედა, დედა მარტო დავტოვო?

— დედაც თან წაიყვანე, ჰაერს გამოიცვლის, დაისვენებს!

— შენ?

— მე რა? ხომ გითხარი, თუ კი რამეს ვიშოვნი, მოვაგროვებ და, რომ ჩამოხვალ, უკლებლივ დაგახვედრებ.

— ასე ვერ წავალ, ვახტანგ!

— მაშ როგორ?

— როგორ და, ჩასაცმელი მინდა ვიყიდო.

— რომ ჩამოხვალ, მერე იყიდე. რა გაჭირვებაა!

— ჩემი ქალიშვილობის ტანსაცმლით წავიდე?

— მერე, რა მოხდა?

— სირცხვილია. ვინც დამინახავს, რას იტყვის. დიდი ხნით ვერ წავალ და ერთი-ორი დღით ყოველთვის შეიძლება ჩასვლა. რა შორს ის არის!

— როგორც გინდა, მაგრამ ამ ზაფხულს დედასთან რომ ყოფილიყავი, აჯობებდა. ხალხი შემოგხედავდა, ან მტერი დაგინახავდა, ან მოკეთე.

— ხალხი ისეც კარგად მიცნობს ოშორაში. შეიძლება ითქვას, უფრო მეტად, ვიდრე შენ.

— ეგ ცაცხვის უბანში. ჩვენთან?

— თქვენთანაც!..

ვახტანგი თვალს არ აშორებდა ნელის. უყურებდა მთელის გრძნობით, უყურებდა და უხაროდა, რომ ის აღარ იყო მოწყენილი, დადარდიანებული.

— ღმერთო ჩემო, ძლივს არ დავინახე გაღიმებული, — ამბობდა გუნებაში.

ბოლოს ვეღარ მოითმინა. მოეხვია. ასე თამამად და გაბედულად კარგა ხანი იყო, რაც აღარ ჩაეკრა გულში.

— ოხ... რა ბედნიერი ვარ, — გაიფიქრა და საყვარელ მეუღლეს ტუჩებზე დაეკონა.

— ახლა ხომ ხარ, ძვირფასო, კმაყოფილი? — უთხრა ღიმილით, როცა ალერსით გული იჯერა.

შენით კმაყოფილი ყოველთვის ვიყავი, ვახტანგ!

— უკანასკნელ ხანებში არ ყოფილ-ხარ, ძვირფასო!

— ყოველთვის, ყოველთვის! მაგრამ ვერ გამიგე!

—კარგად. კარგად გაგიგე, მაგრამ შენ ვერ ჩაგახედე ჩემს სულში, ვერა, ვერა. და ვერც...

— ვერასოდეს გაგიგებ, ხომ?

ვახტანგს გაეცინა.

— გამიგებ?

— გაგიგებ. ძვირფასო, გაგიგებ!...

ვახტანგმა ხელახლა მოხვია ხელი.

— ჩემი ქარაფშუტა გოგო, ჩემი სულელი ბავშვი... ოხ,... რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ...

ნელი იცინოდა, იცინოდა დაუსრულებლად. ოდნავადაც არ ეპარებოდა ეჭვი ქმრის სიტყვების გულწრფელობაში. ახლა თვითონ ეხვეოდა ვახტანგს და უკოცნიდა სახეს, ტუჩებს, ყელს.

თათიამ ასეთ მდგომარეობაში რომ დაინახა ქალ-სიძე, სახე მხიარულად გახსნა და გუნებაში გაიფიქრა:

— ოხ.. ღმერთო. ძლივს არ დავინახე შეხმატკბილებული!...

XII

ივლისის თაკარა მზეს ჭიაკოკონა დაენთო თბილისის ტაფობში. ქალაქს სიცხის ბუღი ასდიოდა. ტროტუარებზე ასფალტი დამდნარიყო და, როგორც ნაწვიმარ მიწას, ისე დასტყობოდა ნაფეხურები.

იწვოდა თბილისი. ფოთლებდამჭკნარი ხეები საცოდავად გაყურსულიყვნენ. და მტვერი სქლად დასდებოდათ.

ქუჩებში აღარ იგრძნობოდა ხალხმრავლობა. კანტიკუნტად მიმოდიოდა ხალხი.

ლოტკინის გორაზე დასახლებულ მცხოვრებლებს სულაც არ აწუხებდათ დღევანდელი სიცხე. დილიდან მონაბერი ნიავი საამურად აშრიალებდა საკარმიდამო ბაღნარებს და ირგვლივ სასიამოვნო სიგრილე იგრძნობოდა.

თედოს თავისი კოხტად მოვლილი ბაღი ძირის-ძირობამდე წყლით დაეჟეჟბინა, გაეგრილებინა. თვითონ ხეივანში ტახტზე ჩამომჯდარიყო, მკერდი ნიავისავით მიეშვირა და ირხეოდა და დაყურებდა მტკვრის ხეობაში გადაშლილ ქალაქს, რომელსაც სიცხის ალმური ისე ასდიოდა, როგორც ახლად გახურებულ თორნეს.

მის გვერდით იჯდა ჩიტოკ. ტახტზე ახლად დაკრეფილი კიტრი დაეხვავებინა, თიხის ქილებში ალაგებდა და მწნილად სდებდა.

ონკანთან ბავშვები ცელქობდნენ. ნახევრად დატიტვლებულნი რეზინის მილს აწვალებდნენ, ერთმანეთს სწუწავდნენ და თან ხმამაღლა იცინოდნენ.

— გეყოფა, ბიჭო! — შეუტია თედომ ყარამანს, რომელმაც ის იყო, რეზინის მილი ჩამოგლიჯა ონკანს და თავი მიუშვირა. მერე ჩიტოსკენ მიბრუნდა და უთხრა:

— ჩიტო, აბა ერთი გახედე ქალაქს, ცეცხლი უკიდია!

— ადამიანო, ქალაქის საყურებლად მცალიან! მოდი მომეხმარე ,დროზე ჩავდოთ!

— რატომ არ მოგეხმარები!... წადი, შენ წყალი მოადუღე. მე ამას ჩავალაგებ.

— წყალი უკვე მოდუღებული მაქვს!

— მაშ ჩავალაგოთ! — თქვა თედომ და ქილას წამოავლო ხელი, — ერთი კასრი რომ გვქონდეს, ზამთრისათვის შევინახავდით. რა სჯობია ზამთარში კიტრის მწნილს!

— ბარემ კარგი იქნებოდა, მაგრამ სად არის...— უპასუხა ჩიტომ.

ცოლ-ქმარმა დაამთავრა ქილებში კიტრის ჩალაგება. ჩიტომ ნიახურით, წიწაკითა და ნივრით შეზავებული მოდუღებული წყალი დაასხა ზემოდან. ქილებს ფილაქნის სარქველები დააფარა და ქმარს უთხრა: — მომეშველე, სარდაფში ჩავიტანოთო.

სარდაფში ჩაიტანეს. ჩიტო საქმის გაკეთებას შეუდგა. თედო ისევ მაღლა ამოვიდა და სადაც წეღან იჯდა, იმ ადგილას ჩამოჯდა.

ბიჭები ისევ წუწაობდნენ ონკანთან.

ყარამანი თავითფეხებამდე სველი იყო და მაინც არ სცილდებოდა წყალს.

— გეყოფა, ბიჭო, შე ღმერთძაღლო, შენა! — დაუტატანა თედომ ყარამანს. თან ფეხები დაუტყაპუნა.

ყარამანი სწრაფად მოსწყდა ონკანს და ჭიშკრისაკენ ისარივით გავარდა.

— მოიცა, მოვიყვანო მილიციელი,— დაემუქრა თედო, — თუ მილიციაში არ წავაყვანინო შენი თავი, მაშ ბიჭი არ ვიყო!

— ვერაფერსაც ვერ წამიყვანს! — იქიდან შემოსძახა ყარამანმა და სველ მუცელზე ხელები აატყაპუნა.

თედომ უყურა, უყურა, ბავშვობა გაახსენდა. ნოღელაზე ბანაობით რომ ვერ ძღებოდა ხოლმე. თავი ვეღარ შეიკავა და უნებურად გაეცინა.

ბიჭებსაც სიცილი აუტყდათ.

— კარგით ახლა, — დაუტკბა ბოლოს თედო, — ჩაიცვით ,არ გაცივდეთ. ნოღელის წყალი კი არ გეგონოთ!

ის იყო, ბავშვებმაც დაუჯერეს მამას, რომ ეზოს გარედან მანქანის გრიალი გაისმა.

ბიჭებმა თვალები აჭყიტეს და ჭიშკრისაკენ გაქანდნენ. ყარამანი, რომელიც კარში პირველი გაიჭრა, ისევ უკან შემოვარდა და ყვირილი ასტეხა:

— მამაა, ძია ვახტანგი მოვიდა, ძია ვახტანგი! კიდევ ერთი ქალი...

თედო ტყვიანაკრავივით წამოვარდა ზეზე. ყარამანის ყვირილზე ჩიტოც ამოცუნცულდა სარდაფიდან. ბავშვებს დაუცაცხანეს: წადით, ტანსაცმელი გამოიცვალეთ, სირცხვილია, მაგრამ ბავშვებმა ადგილიდან ფეხი არ მოიცვალეს; უცბად კარები გაიღო და ეზოში ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი ნელი და ვახტანგი შემოვიდნენ.

ნელი ფეხმძიმედ იყო. ოდნავ შემჩნეოდა მუცელი. ძალზე მხიარული სახე ჰქონდა. თვალები საოცრად უბრწყინავდა, იღიმებოდა.

ამ ორთვენახევრის განმავლობაში ახალ ცხოვრებას ისევ დაებრუნებინა მისთვის ქალიშვილობის დროინდელი სიკეკლუცე და სინარნარე. ეცვა კრეპსატინის უკანასკნელ მოდაზე შეკერილი თეთრი კაბა, თეთრივე ფეხსაცმელები. ყელიც თეთრი მძივით დამშვენებინა, საყურეებიც თეთრი გაეკეთებინა. ამ თეთრ ტანსაცმელში საოცრად მიმზიდველი და ლამაზი მოჩანდა.

ჩიტოს თვალი დარჩა ნელიზე. ერთხანს დაიბნა. გაოგნებული მისჩერებოდა. მერე მიხვდა, რომ მაზლის ცოლი ესტუმრა და სიხარულით გაექანა მისკენ.

— გამარჯობა, თედო! ჩიტო, გამარჯობა, ბიჭებო, გამარჯობათ! — ომახიანად დაიძახა ვახტანგმა, როგორც კი ფეხი შემოდგა ეზოში და თან გატენილი ჩანთა შემოიტანა.

თედოს სახე გაუბრწყინდა. ღიმილით გაექანა ბიძაშვილისაკენ. სანამ ახლოს მივიდოდა, ვახტანგმა ჩანთა დადგა და ბიძაშვილს სიყვარულით გადაეხვია. ჩიტოც გადაეცინა. ბავშვებს სათითაოდ ჩამოართვა ხელი და მათაც აკოცა. მერე ისევ თედოსაკენ შემობრუნდა და ცოლ-ქმარს ღიმილით მიმართა:

— სხვა, როგორა ხართ, ხალხო? როგორ ცხოვრობთ?

— გმადლობთ! მობრძანდით სახლში! — ჩიტომ ნელის მოკიდა ხელი.

— ჯერ აქ დავისვენოთ, მერე სახლშიაც დაგათვალიერებთ. — მიმართა ნელიმ და ხეივნის ქვეშ სკამებზე დასხდნენ. ბაღის სიღრმიდან მორცხვად იჭყიტებოდნენ თიბათვის შეწითლებული ატმები, თაფლივით ჩაშაქრული ლენკროტი, დამასხი, რომლებიც მის ყურადღებას უნებურად იპყრობდნენ.

ნელიმ თვალი მოატარა იქაურობას და აღტაცებით წამოიძახა:

— რა მშვენიერი ბაღი გქონიათ!

თედოს თვალები გაუბრწყინდა ამ სიტყვებზე. ვახტანგს შეუმჩნეველი არ დარჩა ეს და ჩუმად გაეცინა.

ვახტანგი ჩიტოს მიუბრუნდა.

— აი, ხომ მოგიყვანე მაზლის ცოლი. კიდევ დამემდურები?

— ხშირად თუ მოხვალთ, არ დაგემდურებით! — მორცხვად უპასუხა ჩიტომ. რომელსაც ნელის ტუჩების ანა-

ბეჭდი წითლად დარჩენოდა ლოყაზე.

— აბა, ჩიტო, — უთხრა თედომ ცოლს, — ასეთი მაზლი და მაზლის ცოლი გესტუმრა. შენ იცი, როგორ მარიფათობას გამოიჩენ!

— მაგას რა ლაპარაკი უნდა, ჩემო თედო, — მხიარულად უპასუხა ჩიტომ,—შეიძლება, ისე ვერ გავუმასპინძლდეთ, როგორც ეკადრებათ, მაგრამ სულით და გულით ნაძღვენიო, ხომ გაგიგონია.

თედოს მოეწონა ცოლის ნათქვამი.

— შენ კი გენაცვალე მაგ სიტყვებში, ჩიტო! — ისეთი ხმით წამოიძახა, რომ ნელიმ სიცილი ვერ შეიმაგრა. ვახტანგმაც ხმამაღლა გადიხარხარა, წასასვლელად შებრუნებულ რძალს ხელი სტაცა და ისევ უკან შემოაბრუნა.

— მოიცა, სად გარბიხარ, — უთხრა ჩიტოს, — ჩვენ იმისთვის კი არ მოვსულვართ, შუაღამემდე დავრჩეთ. აი, რაც მე მოვიტანე, ეს გააკეთე და სრულიად საკმარისია. მალე უნდა წავიდეთ.

ვახტანგმა ხელი წამოავლო ჩანთას, გახსნა. შიგნიდან რაღაც შეხვეული ამოიღო და ჩიტოს გაუწოდა:

— ჯერ ეს საკაბე გამომართვი. ნელიმ გიყიდა. ნახე, მოგეწონება თუ არა!

ჩიტოს თვალები გაუბრწყინდა. მაზლს შეხვეული გამოართვა და გახსნა. გულზე ნათელი მოეფინა. სწორედ ისეთი იყო, როგორიც არა ერთხელ უნატრია.

— გმადლობთ, გმადლობთ!... კეთილად გადამახდევინოს ღმერთმა! — სიხარულით ჩამოლოცა ჩიტომ მაზლი და მაზლის ცოლი.

— რის მადლობელი, შე დალოცვილო! იმდენი სიკეთე გაქვს დათესილი ჩემზე, ხელისგულზე რომ ერბოკვერცხი მოგიწვა, მაინც ვერ გადავიხდი. ეს კიდევ შენ, ჩემო ბიძაშვილო, — ახლა თედოს მიუბრუნდა ვახტანგი, — არც შენ მიგიძღვის ჩიტოზე ნაკლები ამაგი. ისეთი შარვალ-ხალათი გიყიდე, ნამდვილად მოგეწონება.

თედოს სახე გაებადრა. არ მოელოდა ვახტანგისაგან ასეთ რამეს. იცოდა, რომ იგი ხელმოკლედ იყო. სიხარულისაგან დაიბნა. ხმა ვერ ამოიღო. უსიტყვოდ ჩამოართვა ბიძაშვილს შეხვეული, გახსნა და... ნელისა რომ არ შერცხვენოდა, უსათუოდ ლეკურს ჩამოუვლიდა.

— მე... მე რაღა მიყიდე? — ეშმაკურად წამოიძახა ყარამანმა, რომელიც ძმებს შუა იდგა და იმათსავით ისიც გაკვირვებით მისჩერებოდა ვახტანგს.

ნელიმ მოხდენილად გადიკისკისა ყარამანის სიტყვებზე.

— შემდეგ თქვენც გიყიდით, ბიჭებო. აუცილებლად გიყიდით! — უთხრა და ყარამანს ხელით ანიშნა. ჩემთან მოდიო.

ყარამანს შერცხვა. ახლოს მისვლის მაგიერ, უკან დაიწია.

თედომ მწყრალად გადახედა ყარამანს. თვალებით ანიშნა: ხმა ჩაიწყვიტე, თორემ მეს გაჩვენებთო.

ვახტანგმა ახლა შოკოლადის ფილები ამოიღო ჩანთიდან და ბიჭებს გაუწოდა.

— აი თქვენ! მოდით, გამომართვით! — ბავშვები ხელებში ეცნენ.

სულ ბოლოს ცხვრის ერთი ბარკალი და ოთხი ბოთლი დაბეჭდილი ღვინო ამოიღო ჩანთიდან. ბოთლები თედოს გადასცა, წყალში ჩააცივეთო. ხორცი კი ჩიტოს მისცა.

— წამოსვლისას ვიყიდე, — უთხრა მან. — ცოტა ახლა მოსჭერი, თათარიახნად ჩახრაკე, დანარჩენი ხვალ გააკეთე.

—რატომ სწუხდებოდით, ხორცსა და ღვინოს აქ ვერ ვიშოვნიდით? — დაიმორცხვა ჩიტომ.

— არაფერია, გზად შეგვხვდა და ვიყიდეთ. — უპასუხა ვახტანგმა, — როგორც გითხარი, ისე მოიქეცი. ჩვენ მალე უნდა წავიდეთ!

— სად უნდა წახვიდეთ?! — თვალის გუგები გაუფართოვდა თედოს, — მოსვლა რა იყო, წასვლა რა არის?

— თეატრში მივდივართ, თედო, ნუ გეწყინებათ!

— ნამდვილად! — კვერი დაუტყა ნელიმ ქმარს, — ბილეთები აღებული გვაქვს.

— ვერსადაც ვერ წახვალთ, — თავი გამოიდო თედომ, — მოსვლა თქვენი ნება იყო, წასვლა კი ჩემი.

ეს რომ თქვა, ჩიტოს თვალით ანიშნა, შენებურად დატრიალდიო. თვითონ ბოთლებს სწვდა, ონყანის ქვეშ ცემენტის აუზში ჩააწყო, წყალი მოუშვა და სახლის უკან გაუჩინარდა.

მალე იქიდან ქათმის კრიახი გაისმა.

— მაინც არ იშლიან თავისას, — წარმოსთქვა ვახტანგმა. ზეზე წამოდგა. უკან უნდა გასულიყო და ეთქვა: ნუ კლავო, მაგრამ დაკლული ქათამი თედომ სწრაფად გამოარბენინა აქეთ და ჩიტოს დაუძახა გააკეთეო.

— რატომ სწუხდებით, თედო, — ჰიმართა ნელიმ. — ქათამი რომ არ დაგეკლათ, ისე არ შეიძლებოდა?

— როგორ გეკადრებათ, ჩემო რძალო, — ღიმილით უთხრა თედომ, — პირველად მობრძანდით ჩვენს ოჯახში და ქათამიც არ დაგიკლათ? მოგიკვდეთ ჩემი თავი, თქვენ თედოს ოჯახს არ იცნობთ კარგად.

— როგორ არ გიცნობთ! — გაიცინა ნელიმ, — ვიცი, რომ თქვენ კეთილი ადამიანები ბრძანდებით და სტუმრისათვის არაფერი გენანებათ, მაგრამ ახლა ამის დრო არ იყო.

ნელის სიტყვებზე სიამაყე იგრძნო თედომ. ალბათ, ვახტანგს აქვს ნალაპარაკევი, თორემ ჩვენი გულკეთილობის ამბავი ამას საიდან ეცოდინებაო. ბიძაშვილს ღიმილით დაჰკრა მხარზე ხელი და საყვედურით მიმართა.

— ეგრე უნდა დაგვივიწყოთ, ბიჭო? აქამდე არ უნდა მოსულიყავით?

— კი უნდა მოვსულიყავით, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. ხომ იცი, ახლა სხვა ადგილას ვმუშაობ და მოცლა უფრო ნაკლები მაქვს.

— ავჭალაში აღარა ხარ?

— დასწყევლოს ღმერთმა ავჭალა, — ხელი ჩაიქნია ვახტანგმა, — ავჭალაში კი არა, — უნდა ეთქვა, საბურთალოს ბაზარში ვმუშაობ, მაგრამ შერცხვა, მოერიდა. უფრო სწორად, დამალა.

— დიდი ხანია, რაც სკოლას თავი დაანებე?

— ორთვენახევარი იქნება.

— იმიტომაც ხარ ეგრე გაშავებული. ალბათ, აქ კარგი ადგილია, ხელფასი მეტი გაქვს.

— რა თქმა უნდა. სანამ ვიქნები, ცოტა სულს მოვითქვამ. მერე კი, ისევ ჩემს საქმეს დავუბრუნდები.

— ძალიან კარგი, მაგრამ საშარო საქმე ხომ არ არის, ბიჭო! — ეჭვი შეეპარა თედოს, რადგან ბიძაშვილი ასე ფულიანი არასოდეს ენახა.

— არავითარი მაგის მსგავსი. გამოიარე ჩემთან, სახლში, კარგი?

— ვნახოთ, თუ მოვახერხე!

— თუ მოახერხე კი არა, აუცილებლად მოდი. მოცლა არა მაქვს, თორემ ხშირად ამოვიდოდი. დღესაც ძლივს გამოვნახე დრო. დასვენება მე არა მაქვს და არაფერი!...

— კარგი, გამოვივლი!

— მხოლოდ საღამოს იყოს! მაშინ უფრო ვარ სახლში. ახლა კი... შენი ფული უნდა მოგცე... დიდი ბოდიში, თედო, რომ დაგიგვიანე. მაპატიე, თუ ძმა ხარ. რა ვქნა, აქამდე არა მქონდა საშუალება გადამეხადა! — ვახტანგმა ჯიბიდან დაკეცილი ფული ამოიღო და თედოს გაუწოდა. თედომ ფული ჩანოართვა. ჯიბეში ჩაიდო.

— რის ბოდიში, რა მოხდა მერე? — უთხრა სიყვარულით. — ძმა ძმისთვისა, და ამ დღისთვისაო ,არ გაგიგონია?

— კი გამიგონია, მაგრამ შენ ფული გამოგერთმეოდა? ვალებში რომ არ ვყოფილიყავ ჩავარდნილი, როგორ შეგაწუხებდი. მადლობა ღმერთს, ის ვალები მოვიშორე.

— აღარავისი გმართებს?

— აღარავისი! მარტო შენიღა მემართა და შენც მოგეცი. ვინ იცის, ხელი შეგიშალე ღორის ყიდვაში, არა?

— ღორს ახლაც ვიყიდი, მაგის ჯავრი ნუ გაქვს. სხვამხრივ კარგად ვიყოთ, თორემ ეგ არაფერია.

ვახტანგს კიდევ რაღაც უნდა ეთქვა,

მაგრამ სწორედ ამ დროს, ბაღის სიღრმიდან, ნელის ძახილი მოესმა:

— ვახტანგ, აბა მოდი ნახე, როგორ ასხია ამ ატმებს!

— წავიდეთ, — ხელი დაუჭირა თედომ.

ბაღში შევიდნენ. ნელის თავისი ფეხსაცმელები გაეხადა და ჩიტოს მესტები ჩაეცვა. მორწყულ ბაღში დადიოდა, ატმებს სწყვეტდა და გემრიელად მიირთმევდა.

თედომ ძირის-ძირობამდე დაათვალიერებინა ნელის ბაღი; აჩვენა ოჯახი. მერე სახლის უკან გაიყვანა და მოუყვა, როგორ ამოყარა აქედან კლდის ლოდები, როგორ დასახლდა პირველად, გააშენა ბაღი და ბოლოს, როგორ მოუშატა ეს ადგილი.

თედო გატაცებით ლაპარაკობდა თავის გაწეულ შრომაზე. ნელი ყურადღებით უსმენდა.

—წელს იმდენი თუთა, ბალი და ალუბალი გვქონდა, ძლივს გამოვლიეთ. ადრე რომ ამოსულიყავით, სამურაბეთაც გაგატანდით, — ამბობდა თედო და თან სათავითაო ატმებს უკრეფდა საყვარელ რძალს.

— ყოჩაღ, თედო, ყოჩაღ, — მარჯვენას უქებდა ნელი, — მართლაც რომ კარგი ბაღი გაგიშენებია. აი, რას ნიშნავს მშრომელი ადამიანი, ოჯახზე რომ ფიქრობს, ოჯახისათვის რომ ეწვის გული.

ისევ ხეივნის ქვეშ დასხდნენ. ჩიტო სუფრის გაწყობას შეუდგა. თედომ ჩაციებული ბოთლები ამოალაგა აუზიდან, მაგიდაზე დადგა და სტუმრებს მიმართა:

— ნელ-ნელა შევუდგეთ საქმეს!

ვახტანგმა ბოთლს წამოავლო ხელი.

— ეს ღვინო არასოდეს დამილევია, კარგია? — სთქვა თედომ.

— ისაკას ღვინოს ჰგავს! — ირონიით ჩაიცინა ვახტანგმა.

— ისაკამ თქვენი ჭირი წაიღო, ვახტანგ!

— როგორ?! — თვალები აჭყიტა ვახტანგმა.

— კამარლოდან ღვინო მოჰქონდა, გზაში მაგრად დამთვრალიყო, მატარებლის ქვეშ ჩავარდნილიყო და... ამ ერთი კვირის წინ დავასაფლავეთ.

—რას მეუბნები... საწყალი კაცი. ახლა სადღა ყიდულობ ღვინოს?

— ღვინის მეტი რა არის ლოტკინის გორაზე. შენ ფული მითხარი, თორემა..

ჩიტომ დაამთავრა კერძის გაკეთება. რაც ჰქონდა, ყველაფერი მაგიდაზე შემოდგა და ნელის გვერდით მოუჯდა.

— აბა, ჩემო მაზლო და მაზლის ცოლო, მიირთვით, რაც გესიამოვნებათ! — მიმართა და ნივრით მოხარშული დედალი წინ დაუდო.

თედომ ჭიქას წამოავლო ხელი.

— თქვენ გაგიმარჯოთ, — სიყვარულით უთხრა ცოლ-ქმარს და ჭიქა ჭიქაზე მიუჯახუნა, — ბედნიერად ყოფილიყავით. ტკბილად დაბერებულიყავით. ღმერთსა ვთხოვ, ისე გყვარებოდეთ ერთმანეთი, როგორც მე და ჩიტოს გვიყვარს.

ნელიმ ხმამაღლა გადიცინა.

— ამინ! — წამოიძახა ვახტანგმა და თვითონაც გულიანად ახარხარდა.

— გმადლობთ, თედო, გმადლობთ!— სიცილით ამბობდნენ ისინი და თედოს მადლობას უხდიდნენ.

მცირე ხნის შემდეგ მეორე საღღეგრძელო ასწია თედომ, სტუმრებს თვალი ჩაუკრა და ჩიტოს მიუბრუნდა.

— ამ ჭიქით ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩიტო, შენ გაგიმარჯოს... ჩემი შიში და ხათრი მოგცეს, ღმერთმა...

— რას ამბობ, რას, — შუბლქვეშიდან მწყრალად გამოხედა ჩიტომ ქმარს, — ხათრი კი, მაგრამ შენი შიში რატომ უნდა მომცეს ღმერთმა. ალარაფერს ჩაგიკლებ!

ნელი იცინოდა, იცინოდა სულმოუთქმელად. ვახტანგი კი ხმამაღლა ხარხარებდა და სიცილის გამო თვალებიდან ცრემლები ჩამოსდიოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბრიელ ჯაბუშანური

კალმახი და აპრილი

კალმახი გატეხს ჭირხლის თეთრ
ფაცერს,
ზე ამოხტება მდინარის თავზე
და შეთხელებულ ყინულის ფიცარს
ზიზღნარევ მზერით დაბზარავს
თევზი.
მერე ახედავს არხოტის ზეცას, —
მრუმე ნისლის რომ გაუბამს
ჭირხლი,
ფარფლებში ფრთხილად შეიფრენს
სიცილს
და გაუთბება მცივანა სისხლი.

შეიტკბობს იმ კლდეს,
ეძმობა ამ მთას,
თავს გადაუფრენს შურთხი-მუტრიბი
და თევზს — აპრილის სურვილით
დამთვრალს —
ნიშნი რომ ასე მოუგო ზამთარს,
ჩიტივით სტვენა მოენატრება.

პირს გააღებს და მღერას ეცდება,
შეებრძოლება ყანგბადის ნარჩენს.
მაგრამ გამჩენი განა შეცდება
და თევზი მდურვით შეხედავს
გამჩენს.

საღამო მთეგში

კენტ შუქს, შავი კლდის შუბით
მოსხეპილს,
„მშვიდობით!“ — უთხრეს შავთა
ქვიშათა.
მთებმა ჩაიცვეს ჩრდილის ჩოხები
მზის ჩახდომაზე გლოვის ნიშნადა...

ქვითინებს ქვიშა შეუნიშნავად,
ღაწვზე ლამის ცვარმითოვებული.
მეც ამგვარივე შავი ქვიშა
ვარ, —
მზე — მზექალისგან მიტოვებული.

ორი გზა

წავარნამ მთაზე ამომიყვანა,
მზეობს ჩანჩქერი ოქროსმტვრიანი.
დაბლა გაშლილა ბარის ქვეყანა
მისი შფოთით და ორომტრიალით.

ჩემს წინ აწვდილან კლდეთა ეშვები
(ჯიხვთა საუფლო არის შავი კლდე).

მთიდან ბილიკი დაბლა ეშვება
და მაწვევს იგი: ბარად ჩავიდე.

— ბარად ჩავიდეთ! — ჩქროობს
ჩანჩქერიც
და აურაცხელ შხეფად იშლება.
ჩაფიქრებული ბილიკს ჩავცქერი,
მე რომ ბარისკენ მეპატიჟება...

— ჩამოდი ჩემთან!—მეძახის ბარი.
— ჩავიდეთ! — მაწვევს წყარო ანკარა.
მთაზე ვყუდივარ მე, როგორც ბერი,
და მზერით ვზვერავ ხან ბარს, ხან ქარაფს.
შავი ხევიდან საწვიმარ ნუზლით
ამოფრენს ნისლი ნიავის ფრთებით,
— წავიდეთ კლდეში! — მეძახის ნისლი.
— საჯიხვეს ეძმე!—ყვირიან მთები.
— წავიდეთ კლდეში! — მაწვევს ნიავიც.—
მშობელ მთებს ბარი ვით დაგირჩევდა,
და ყინვარებიც, ნაპერწკლიანი,
მე მეძახიან: წამოდი ჩვენთან!
მთის თხემზე ვდგავარ მარტოკა კაცი,
არ იცის გულმა რომელ ხმას მიჰყვეს,—
ვენდო ამ ბილიკს, ბარისკენ კეცილს,
თუ საჯიხვეში მივეგო ჯიხვებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იშვან ზემერკენი

მოთხრობები

მეველის სიკვდილი

დღე მიიწურა და სიმინდებში ქარმა დაბერა. მეველე საყარაულოზე აცოცდა, თავის საბრძანებელს თვალი გადააავლო, რადგან საეჭვო ვერაფერი შენიშნა, ძირს ჩამოვიდა და ვახშმის მზადებას შეუდგა. ჩხა დაასო ლამიან მიწაში (დალოცვილია ეს ნიადაგი: კაცს როდი გიძალიანდება) და ზედ კარდალი ჩამოჰკიდა. ფუჩეჩით ფიჩხს მოუკიდა და ქონის გამოსატანად ქოხში შევიდა. ქონი დაჭრა, ნაჭრები სათითაოდ შეათვალიერა, და ისე ჩაუძახა ქვაბში. ქონი ხელად აშიშხინდა გახურებულ ქვაბში. მეველემ ქოხიდან ახლა პარკი გამოიტანა. ხელი შიგ იდაყვამდე ჩაყო. სურსათი გამოლეოდა. მხოლოდ ერთი მუჭა ტარჰონია[1] ამოიღო და აშიშხინებულ ქონს დააყარა. შემდეგ წიწაკით შეანელა. ვახშამი მზადდებოდა, დაბრაწული ტარჰონიის სუნი ლამიან გზასა და სიმინდის ყანებს ედებოდა. მეველე დროდადრო ქვაბს დოქიდან წყალს უმატებდა.

ყველაფერს ზოზინით აკეთებდა. მოხუცი იყო მეველე. ახალგაზრდობა ისეთ საქმეს ეტანება, სადაც ძალ-ღონეა საჭირო და გასამრჯელოც მეტია. ჯანგატეხილ მოხუცებს კი სხვა რაღა დარჩენიათ, ყანებს უვლიან გარშემოსიმინდს, საზამთროს, ლობიოსა და ყვითელყვავილიან, კოპწია მზესუმზირას დარაჯობენ.

თოფის ხმარებაც თუ ემარჯვებათ, ბედად ნადირსაც მოკლავენ. დღისით მეტწილად თავისი სადარაჯო ქოხის ახლომახლო დაჩალიჩობენ: ხისაგან რამეს გამოთლიან და დააჭრელებენ. ზოგჯერ საყარაულოზე აცოცდებიან და იქაურობას თვალს მოავლებენ — ხომ ყველაფერი რიგზეაო. ხან წაიძინებენ კიდევაც. ღამით კი ყანებს შემოუვლიან. მაინც უძილობა სჭირთ და ეამებათ კიდეც ნამიანში ხეტიალი. ამ დროს მეველე ყალიონსაც აბოლებს, თუ მთვარიანი ღამეა, თავს ძაღლისა და ზღარბის კინკლაობითაც იქცევს.

ბერიკაცის ძაღლი ახლაც სადღაც დაცუნცულებს, არსად ჩანს. მეველე მარტო დაფუსფუსებს თავის ქოხთან. ისევ შებრუნდება კოვზისათვის. მის მოძებნას რა უნდა. ქოხში ხომ მეტი არაფერია, ქურქის ტყაპუჭისა და პატარა კიდობნის გარდა. სხვა არც რა დაეტეოდა ძურწანარევი სიმინდის ჩალით ნაგებ ამ ერთ ციცქნა ქოხში, რა ვუყოთ, ვისაც ამგვარი თავისუფალი ცხოვრება იზიდავს, ეს ქოხი მეფის სასახლეს ურჩევნია.

მეველემ შუბლზე იტკიცა ხელი და ქოხს მიაშურა. კინაღამ სულ არ გადააავიწყდა მარილი! ეჰ, სადღა აქვს გულისყური.

შორიახლოს ურმის ჭრიალი მოისმა, ცოტა ხნის შემდეგ ურემმა ქოხს ჩაუარა. კოფოზე შემომჯდარი ფალ-შებეკი და მისი მაზლი ბერიკაცს მიესალმნენ.

— ძია იანოშ, გემრიელი ვახშამი მოგიმზადებიათ, — შეეხმიანა ქალი, — ნერწყვი მოგივა მაგის სუნზე.

მოხუცმა ღიმილით მიუგო:

— შენნაირ პატარძალს ველოდი ვახშმად, მობრძანდით, დამეწვიეთ.

— ვაი, რომ არ შემიძლია, ძია იანოშ,

[1] გამხმარი და დაქუცმაცებული პურის ცომის სახეობა.

— შეეხუმრა პატარძალი, — ეს ყმაწვილი უეჭველად დამაბეზღებს ჩემ კაცთან.

ყველანი იცინიან. ყმაწვილი იცინის, ბერიკაცი იცინის, პატარძალი იცინის, თითქოს ცხენებიც კი იცინიან. ურემი ტაატით მიიწევს ლამიან გზაზე. მოსახვევთან ყმაწვილმა მოხუცს გადმოსძახა:

— ბიჭთან არაფერს დამაბარებთ?

— იქით ჩაივლით?

— ჰო.

მოხუცმა ზედ ყანის პირას მორჩილი საზამთრო მოწყვიტა და ურემთან მიიტანა.

— ჩემს მარცისა და იანჩის მიეცი, პაპილომ გამოგიგზავნათ, ორივემ გაიყავით-თქო...

— კარგი, — მიუგო ყმაწვილმა, — მაგაზე როგორ დაგზარდებით.

თვალს მიეფარნენ. მეველე ტარჰონიას ფაცი-ფუცით მიუბრუნდა და ქვაბს ამოურია. თუ დამეხრუკა რაღა ფასი აქვს ტარჰონიასო. გემო გაუსინჯა. ცოტა წყალი უნდა ჩაემატოს. ჩაიშრობს და მერე ქონზე მოშუშდებაო.

დასწვდა დოქს, მაგრამ უეცრად დაბარბაცდა.

— ეჰე, — ჩაიბუტბუტა, — ეჰე...

თავბრუ დაეხვა, მალე კი გადაუარა, თვალებზე ბინდმა რამ გადაჰკრა, თითქოს ქორმა ნათესებს გადუქროლაო. ოდნავ შეაკრეჭოლა, ერთხანს მხარი კიდევ უძაგძაგებდა. სიცივემ აიტანა. საღამოს სიგრილეს დააბრალა — სუსხმა დამკრაო. ჩხას წაეტანა და შეტრიალდა, ცეცხლს მოარიდა ქვაბი. მერე გადმოიღო, სახეში ოხშივარი ეცა, ეამა. აბა, საჩქაროდ შეეექცეთო... ის იყო სკამზე უნდა დაედგა, რომ ისევ დაბარბაცდა და ქოხს მიეყრდნო.

— ერიჰა, — გაიფიქრა მეველემ,—ეს რა მემართება? ქვაბი ჯერაც არ დაუდგამს, ხელი დაუშუშხა. დადგმა უნდა, მაგრამ რომ ვერ მოუხერხებია? ხელი არ ემორჩილება... აწევით აწევდა, მაგრამ რომ არ შეუძლია. თითქოს გონებაც უბნელდება. ეს რაღა უბედურებაა? ნეტავ ვინ გამთვალა? ამ დროს ყველაფერს სჯობს პირჯვარი გადაიწეროს და მერე მამაო ჩვენო სთქვა. კბილი კბილს დააჭირა, ძალა დაატანა, რომ ხელი გაენძრია. ოდნავ ასწია კიდეც მარჯვენა, მაგრამ მოწყვეტით ჩამოუვარდა. ქვაბი ფეხებზე წამოექცა და ბარძაყი დაუთუთქა. მას კი ვერაფერი უღონია,— რა ვქნა, ეს რა ამბავია ჩემს თავს!

ჭირის ოფლმა დაასხა. თვალწინ დიდი შავი ცხოველი აეტუზა. მერეღა გაარჩია ნაგაზი, რომელიც საჭმლის სუნს მოეყვანა. ეტყოდა რამეს: კერეკეშიანთ ძაღლო (ძაღლი ადრე კერეკეშიანთი იყო, ვიდრე მას მიეკედლებოდა), კერეკეშიანთ ძაღლო, გასწი, ჩემიანებს შეატყობინეო. ძაღლი უთუოდ მიუხვდებოდა, რომ ეს სიტყვები მართლაც წარმოეთქვა ბერიკაცს. შურდულივით დაეშვებოდა სიმინდებსა და სათიბებზე, მიირბენდა მიჰაისთან, შვილიშვილებთან და მის ამბავს მიუტანდა. ასე იციან გონიერმა ძაღლებმა.

მაგრამ რა ქნას, რომ კრიჭა შეეკრა. მხოლოდ მკერდი მძიმედ ადი-ჩაუდის. ძაღლი უშფოთველად შესცქეროდა, ჯერ ვერაფერს მიმხვდარიყო. უკანა ფეხებზე ჩაცუცქდა და ენით ტუჩები გაილოკა. ძაღლი ხომ ჭამის წინაც ილოკავს ტუჩებს, ამითაც განსხვავდება ის ადამიანისაგან. თვალებიდან ბინდი ოდნავ გადაეყარა და, როცა ძაღლი გაარჩია, გული დაუმძიმდა.

— შენს ანაბარას დავრჩი და, დახე, შენაც არ გებრალები... — გაიფიქრა ბურანში წასულმა. თვალთაგან კურცხალი მოსწყდა. ჯერ ერთი ფეხი გააფართხალა, მერე მეორე. ტარჰონია ერთიანად მიწაზე გადმოიყარა... გათავდა კაცი.

კერეკეშიანთ ძაღლი შეშფოთებით დააცქერდა, თავი გვერდზე მიაბრუნა, ჯერ ცალი ყური დაცქვიტა, მერე —მეორე. ადგა, ორიოდე ნაბიჯით მოშორდა. მერე ისევ ჩაჯდა და ისევ პატრონს მიაჩერდა. მაგრამ ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, ამის მიზეზი ტარჰონიაც იყო. გვამს ირგვლივ შემოუარა და

ცხვირი ყელთან მიუტანა. მერე ტარ-ჰონიას მიუახლოვდა. თავისი წითელი ენით ცოტა შეთქვლიფა. შემდეგ ისევ აწრიალდა. უცებ გაირინდა, მეველეს ჩააცქერდა და უცნაურად შეღრინა. ეს არც ყეფა იყო და არც წკავ-წკავი. ეს ცხოველის გულის სიღრმიდან აღმომხ-დარი შემაძრწუნებელი ხმა იყო. ახლა რომ ვინმე გამოჩენილიყო, კარგ დღეს არ დააყრიდა.

ძაღლი გვამს დასცქეროდა. ამოვიდა მთვარე და მკრთალი ნათელი მოჰფინა მდუმარე არემარეს, სიმინდებს, მკვდა-რსა და დაფერფლილ ნაღვერდალს, რო-მელზედაც ის თავის უკანასკნელ ვახ-შამს ხარშავდა. კერეკეშიანთ ძაღლი მკვდრის ფეხებთან ჩაცუცქდა, თავი ცისკენ აიშვირა და გაბმული, გულსა-კლავი ყმუილი აღმოხდა. მისი ხმა წამ-სვე მოედო არემარეს. მას სხვა ძაღ-ლებმაც მოჰკრეს ყური, მიწაზე ჩა-ცუცქდნენ და ყმუილი მოჰყეს.

...მიჰაისას პაპის გამოგზავნილი სა-ზამთროთი უკვე ჩაიტკბარუნეს პირი იანჩიმ და მარციმ და საჩეხში ტყაპუჭ-ზე ბიჭუნებს ტკბილი ძილით ეძინათ, რომ კერეკეშიანთ ძაღლის გულსაკლავ-მა ძახილმა იმათთანაც მიაღწია და მო-ჩკოშმაც დაიწყო თავისი შემზარავი სი-მღერა.

— ძაღლს სული ეჩვენება, — ეუბ-ნება მიჰაი თავის ცოლს და თან გო-რახს ისვრის ძაღლისაკენ — სუ, შე სა-ოხრე, ბალღები არ დაგვიღვიძო!

მოჩკოში მაინც არ ყუჩდება, რადგან სულს ხედავს. პაპის სულმა უმალვე შვილიშვილებს მიაშურა და ახლა სახლს დასტრიალებს.

1897

ᲛᲮᲔᲪᲘ

ამას წინათ გაზეთში მონადირისა და მინდვრის თაგვის ანეკდოტურ ამბავს წავაწყდი. თურმე ერთმა მონადირემ სხვის ნაკვეთზე გაითარეშა, სადაც შე-ხვდა კაკაბი, დახოცა, სადაც არა, მინდ-ვრის თაგვები გაჟლიტა. მაზრის უფ-როსთან უჩივლეს და მოსამართლემ მო-ნადირე მინდვრის თაგვების გამოც დაა-ჯარიმა. ამ ამბავმა შინაგან საქმეთა სა-მინისტრომდეც მიაღწია, იქაური ბევრი მოხელე, მოგეხსენებათ, ნადირობის ტრფიალიცაა. როგორ თუ სხვის მიწაზე უნადირიაო, აღშფოთებულებმა კაკბის დახოცვისათვის ჯარიმა ერთიორად გა-უდიდეს, სამაგიეროდ მინდვრის თაგვე-ბზე ნადირობა აპატიეს, აქაოდა, მინდვ-რის თაგვი ნადირის კატეგორიას არ ეკუთვნისო.

ჩვენ თუ გვკითხავთ, არცთუ მთლად საფუძვლიანია ასეთი გადაწყვეტილე-ბა. მართალია, მინდვრის თაგვი ისეთი ნადირი არ არის, როგორიც, მაგალი-თად, კურდღელია, სამაგიეროდ, მასზე გაცილებით უფრო მხეცია. ვირთაგვა კი არ გეგონოთ, ბინძური, აშმორებუ-ლი სარდაფების ბინადარი, კაცს რომ სათოფეზე არ ეკარება, მხოლოდ ღამ-ღამობით ბედავს სურსათის მოპარვას, და რომელსაც კატაც კი ერევა. მინდვ-რის თაგვი, ჩვეულებრივ, მინდორში ცხოვრობს, თუმცა ზოგჯერ სოფლის განაპირა ქოხმახებსაც ეწვევა და იქაუ-რებს ულმობელ, საზარელ მხეცად მოე-ვლინება.

ამას მოწმობს ერთი საგულისხმო სცენა ახლახან მაზრის სასამართლოში რომ შევესწარი. აი, თურმე რა შავ-დღეშია სოფლის ბოლოში მცხოვრები ღარიბ-ღატაკობა.

ბრალდებული ქალი იყო, მომჩივანი კი, თითქოს და, მისი ქმარი უნდა ყო-ფილიყო. მათ სახლს ცეცხლი გასჩე-ნოდა, დროზე რომ არ ჩაექროთ, უთუოდ სხვა სახლებსაც მოედებოდა. ეს ამბავი სოფელ ტაპეში მოხდა, სადაც სახლები, ძველებურად, ერთმანეთზეა მიტყუპული.

სინამდვილეში ქმარი როდი იყო მომ-

ჩივანი, ერთი პატიოსანი უნგრელი გახლდათ — თავის ერთგულ სახლობას მოსამართლესთან აბა ვისთვის გამოაჭენებდა. ეს სულ პოლიციელის ხრიკები იყო: თუ მომჩივანი არ იქნება, სასამართლოც ვერ შედგებაო. ჰოდა, ოქმში მომჩივნად ქმარი ჩაეწერა.

ქმარი—ასე ორმოცდათიოდე წლის, ხმელ-ხმელი, აყლაყუდა კაცი, თავს იკლავდა, რის მომჩივანი, რა მომჩივანიო. უწყება მივიღე, სასამართლოში ამიტომ გამოვცხადდიო, თანაც ცოლს მარტოს ხომ არ გამოვუშვებდი — „კანონის სახლში“ გზა აებნეოდა, თავის დღეში აქ საქმე არ გვქონიაო.

— ჩვენ ეგეთები კი არ გეგონოთ, — ჩაერია ლაპარაკში დედაკაცი. მისი დამფრთხალი თვალები კითხულობდნენ: ნეტა, ამ უცხო ადგილას რა მომელის, ბატონი მსაჯულები ჩამომახრჩობენ, თუ რას მიპირებენო? ბრალდებული — ხანძრის მიზეზი — ტანმორჩილი, მოტეხილი ქალი იყო, ისიც დაახლოებით ქმრის ხნისა ჩანდა.

მოსამართლე დაეკითხა — სადაური ხარო?

— სადაურიო? სადაური და ტაპელი,— გაიკვირვა ქალმა. აბა საიდან იქნებოდა, სიმღერა მაინც არ გაუგია ამ მამაცხონებულს: სეგედი განთქმული ქალაქია, ტაპეს მეზობელი, იქ ცხოვრობს ჩემი ლამაზი, ჩემი მპყრობელი...

— სად დაიბადე? — განაგრძობდა დაკითხვას მოსამართლე.

— სად უნდა დავბადებულიყავი, — ეხლა კი დაუტია ქალმა, — სად დავიბადე და ტაპეში.

— ვითომ რაო, სხვაგან ვერ დაიბადებოდი?

ქალი მსაჯულს მიშტერებოდა. რაო, ნეტა რას მიედმოედება, თქვენი ჭირიმე, გაგიგიათ, ტაპელი ტაპეში არ დაბადებულიყო? არა, აქ რაღაც ამბავია, მახეს მიგებენ ეს ვაჟბატონები. ემანდ არაფერი დამაცდენინონ. ტყუილად კი არ უთქვამთ ჩვენ ძველებს: სიფრთხილეს თავი არა სტკივაო.

რის ვაივაგლახით გრძელდება დაკითხვა. ქონება რა გაქო? — ერთი პატარა ქოხმახი აქვთ ჭირად, იმის გამოა, რომ ბრალი ედება.

— ბავშვი თუ გყავთ?

— მაშა.

— რამდენი გყავთ?

— ერთი.

— თუ სამი?

— მე უკეთ არ ვიცი რამდენი გავაჩინე?

— ჰოდა, რამდენი?

— რამდენი და სამი.

— აკი ერთიო?

მოდი შენ ამას ელაპარაკე. უნგრული ენა არ იცის ქალაქელმა ხალხმა. ქალი უხსნის: ოჯახში სულ ხუთნი არიან, პატარები სამი ჰყავს, მაგრამ ბიჭი ერთია, რადგან დანარჩენი ორი გოგოა.[1]

როგორც იქნა, ჩაათავეს საანკეტო კითხვები. შეიძლება უკვე საქმის განხილვას შეუდგნენ.

— ყური დამიგდე. შენ ბრალი გედება ხანძრის გაჩენაში. შენი დაუდევრობის გამო სახლის კედელს ცეცხლი წაეკიდა. დროზე რომ არ შეემჩნიათ ხომ სხვა ღარიბების სახლებსაც მოედებოდა. კიდევ კარგი, რომ ეს უბედურება არ დატრიალდა. შენ კი მაინც უნდა აგო პასუხი კანონის წინაშე.

ქალმა მძიმედ ამოიოხრა:

— ვიცი, პასუხი უნდა ვაგო, თქვენ ხომ ცხოველებზე ძალა არ შეგწევთ. ძაღლმა თუ ვისმეს უკბინა, ადამიანს აჯარიმებენ.

იმას პატრონი მაინც ჰყავს, რომ პასუხი აგოს. მაგრამ მე რად ვაგო პასუხი მინდვრის თაგვის გამო? ჩემი ხომ არ არის, ის თვითონ მოგვივარდა ჩვენ ქოხში.

— რომელ მინდვრის თაგვზე მელაპარაკები? — ეკითხება მოსამართლე.

— იმაზე, ჩვენ რომ მოგვივარდა. ხანძარიც იმის ბრალია, განა ჩემი.

— ვითომ ეგ როგორაო?

---

1 ლიტერატურული უნგრული ძერეკ — „ბავშვი“, დიალექტებში მხოლოდდამხოლოდ ბიჭს აღნიშნავს.

— აგრეა. თავის დღეში არა ყოფილა ჩვენსას. მერე კი საიდანღაც გამოტყვრა, კედლის ძირში სორო გაიკეთა. გაგდება მოუნდომეთ, გაგიგონია? ჯერ მარტო იყო, მერე მეორეც მოუვიდა, იმ წყეულებმა ოჯახიც გაიჩინეს. ისეთი წრუწუნი მორთეს, ყურთასმენა აღარ იყო.

— როგორ ვერ გაყარეთ?

— ეგ ადვილი საქმე არ გეგონოთ, სადაც ერთხელ მოშავდება, ფეხს აღარ მოიცვლის. თანდათან შემოგვეჩვია. სულ გაგვაჩანაგა. ვერაფერს ვტოვებდით მაგიდაზე. რასაც კედლებზე პარკებით ვკიდებდით, იმას ვერ უდგებოდნენ. ისეთი რამე მოახდინეს რომა... აბა რა დაგიმალოთ ჩვენი სიღარიბისა, ნავთის ლამფის თავი სადა გვაქვს, ჭრაქი გვიბჟუტია, ხოლო, თქვენი ჭირიმე, ერთ დღეს ჭრაქიდან პატრუქი არ ამოგვიჭამეს... საჭმელს ვიღა დაეძებდა, მაგიდიდან კოვზიც კი მოგვტაცეს.

— კოვზიო? — გაიკვირვა მოსამართლემ, — ეგ რაღა ეშმაკად უნდოდათ?

— აბა, რა ვიცი, ხის კოვზი იყო, ქონით გაჟღენთილი; აგვიკლეს. სახლის კედელიც კი დაღრღნეს.

— აგურისა თუ ალიზისა?

ქალმა ხელი ჩაიქნია..

— მაგას ჩვენ ვინ მოგვაშავქვავებს, თქვენი ჭირიმე, წნულია, ნაკელით შელესილი. ერთი ციცქნა ქოხმახია, სულ არარაობას მაინც სჯობია, ოღონდ ეგ ტიალი არ შემოგვჩეოდა და... რას იზამ, — ამოიოხრა ქალმა — ესეც ჩვენი წერა ყოფილა... ხვრელი რამდენჯერ ამოვქოლეთ, ის წყეული მაინც ამოქვრა.

ერთხანს დადუმდა, გონებაში სათქმელი დაალაგა... მერე ისევ განაგრძო ოხვრით..

— იმას მოგახსენებდით, თქვენი ჭირიმე, შუშის ნამტვრევები გვქონდა, ზოგი ჭიქისა იყო, ზოგი ბოთლისა... როდინში დავნაყეთ და ხვრელში ჩაუყარეთ ნაფხვენი, იქნება ეჭამა იმ გაუმაძღარს. აბა რა ვიცი, შეჭამა? იმას კი არა ევნო რა და, ბოლოს მეც გავბეზრდი, ჯანდაბას შენი თავი მეთქი.

— ვერც ქმარმა მოუხერხა რამე?

— თქვენი ჭირიმე,—ჩაერია ქმარი,— მე მაგისათვის სადა მცალია, დავეთრევი აღმა-დაღმა, დედამიწას ფრჩხილებით ვჩიჩქნი...

— რაო?

— ჰო, თქვენი ჭირიმე, — უხსნიდა ქალი მოსამართლეს, — საშოვარზე დადის, მაშ შიმშილით ხომ არ დავიხოცებით...

ნამდვილად ასეა. ვინ იცის სად არ დაეხეტება, წელებზე ფეხს იდგამს, ათივე თითით მიწას ჩიჩქნის, რომ ცოლ-შვილი როგორმე გამოკვებოს.

— მეზობელმა მასწავლა — განაგრძობდა თავის უბრალო ცხოვრების დიდ ამბავს ქალი — პალო ჩავჭედეთ ხვრელში, მაინც არ უშველა. ისიც გამოთხარა. მერე დაგვარიგეს, ხვრელის წინ თეფშით არაყი დაუდგითო. მოდი და ნუ დაუდგამდი, კაი ლოთივით, ამოწრუპეს. პური მივართვით წიწაკიან არაყში დამბალი, შეჭამეს და უფრო მონდომებით აწრიპინდნენ, გეგონებოდათ ქორწილში არიანო. მაშინ გვითხრეს, ძროხის ქონში ღრუბელი მოუხრაკეთ და უსათუოდ ფეხებს გაფშიკავენო. თქვენც არ მომიკვდეთ, უფრო თავს გავიდნენ. ღამე ძილში თმა დამიღრღნეს, ჩემი კაცის საგარეო ქუდი ლურსმნიდან ჩამოაგდეს და სოროსთან მიათრიეს.

ერთხანს ისევ იყუჩა, წამოსასხამის ბოლოს ხელში აწვალებდა...

— ბოლოს კაცს ვუთხარი, მოდი სახლი გავყიდოთ, ხომ ხედავ რა დღეში ჩაგვაგდო-მეთქი, რომ ვერ დავიყოლიე, ისევ საქმეზე წავიდა, მე სახლში დავრჩი თაგვებთან.

შემდგომი ჩვენებანი, ცოტა არ იყოს, დარცხვენით მოახსენა.

— პატარა გოგო გვყავს სააკვნე — უხერხულად იშმუშნებოდა თან იატაკს დასცქეროდა ხანდაზმული დედა — ფუნთულა ბავშვია, ჩუმი, აკვანში ისე გასუსული წევს, გეგონება სული არ

უდგასო. ერთიც ვნახოთ ღნავილი მორთო, აკვნესდა, მივირბინე და რასა ვხედავ, ლოყა ერთიანად დასუსხული და დაკაწრული ჰქონდა... ხელი დავტაცე და აკვნიდან თაგვმა-ტიალმა კი არ ისკუპა. ღმერთმა დამიფაროს, კიდეც შემიჭამდა გოგოსა, შინ რომ არა ვყოფილიყავი. დანარჩენი ორნი მოზრდილებია, სამუშაოზე არიან ხოლმე.

ჰოდა, სწორედ მდინარიდან ბრუნდებოდა კაცი. გზაში დალაქთან შეევლო. იმასაც სცოდნოდა ჩვენი უბედურება. ურჩევია, ნავთიანი ტილო ჩაჩარეთო სოროში, თუ მაგანაც არ უშველა ცეცხლი მოუკიდეთო.

— ვითომ ეგ უშველისო?

დალაქს უთქვამს: — თუ არც მაგან უშველა, მაშინ წიწაკა და გოგირდი აურიეთ ერთმანეთშიო. აკი ჩვენც აურიეთ. ჩავყარეთ ხვრელში, მერე ცეცხლი წაუკიდეთ. აი თქვენი ჭირიმე, თაგვი კი მოგვწყდა თავიდან, მაგრამ კედელსაც ცეცხლი გაუჩნდა.

კვლავ ამოიოხრა:

— ასე იყო, თქვენი ჭირიმე, ჩვენი ამბავი, აბა მე რათა ვარ ხანძრის მიზეზი, თაგვია და თაგვი. ჩვენ ცოდოს ნუ დაიდებთ, ისიც გვაკმარეთ რაც თაგვმა დაგვმართა.

ეპატიოს, თუ არ ეპატიოს. და მაინც ეპატიოს. თუმცა ისიც უნდა მოხსენდეს, რომ ხანძარი მისი გაუფრთხილებლობით გაჩნდა და კინაღამ სხვა სახლებიც გადაბუგა. ამისათვის კი უნდა დაჯარიმდეს. მოსამართლე აცხადებს— ასი მანეთით დაჯარიმდესო, მაგრამ იქვე აუქმებს განაჩენს.

— მაშ, თავისუფლები ვართ? — ისეთი გრძნობით იკითხა კაცმა, მსახიობსაც კი შეშურდებოდა.

ქალმაც გაიმეორა, თითქოს ყურებს არ უჯერებსო:

— თავისუფლები ვართ?

— დიახ. — უპასუხა მოსამართლემ.

მოსამართლეს აყლაყუდა მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

— ღმერთმა დიდი დღე მოგცეთ ჩვენი დანდობისათვის.

ქალმაც ჩამოართვა ხელი:

— ჰო, ღმერთმა გადაგიხადოთ სამაგიერო, თქვენი ჭირიმე.

გახარებულებმა კარებს მიაშურეს.

მოსამართლემ სიტყვა დააწია:

— იცოდეთ, მეტი ასეთი რამე აღარ დაგემართოთ.

კაცი შემობრუნდა და მიუგო:

— არა, ეგ თავის დღეში აღარ მოხდება. ვისწავლეთ ჭკუა. ოღონდ, — დაუმატა მან ჩაფიქრებით და ნიკაპი მოიფხანა — ოღონდ, თუ თაგვი არ დაგვიბრუნდა.

1913 წ.

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲗᲐᲜ

ამჯერად იანოშს ქალაქს წასასვლელად რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში ბაზრის ფასები აინტერესებდა. გარდა ამისა, რკინის რგოლები ჰქონდა საყიდელი. ერთი რგოლი ქანქარიანი საათის ჯაჭვისათვის სჭირდებოდა, მეორე კი — **გოჭისათვის დინგში** გასაყრელად. დაბოლოს, საადგილმამულო გადასახადიც უნდა შეეტანა.

იანოშმა ჯერ ამ უკანასკნელს გაართვა თავი და საგადასახადო კანტორიდან გამდიდრებული გამოვიდა. მანამდე გადაწყვეტილი ჰქონდა ათ ფორინტს გადავიხდიო, მაგრამ მხოლოდ ხუთი გაიმეტა და, ასე მოიგო ფული. რა გასაკვირია, რომ გუნებაზეც მოვიდა. მერე კი რგოლების ძებნას შეუდგა.

ერთი რგოლი საათისათვის გამოდგებოდა, მეორე კი, ცოტა არ იყოს, ედიდა, **მაგრამ**, ჯანდაბას, გაიფიქრა — გოჭი თუ გაიზრდება, დინგს რაღა მოუვაო. ესეც მოაგვარა და ის იყო გამგზავრება დააპირა, რომ ფიქრმა გაუელვა: მოდი, ბიჭს პატარა უბის წიგნაკს ვუყიდი, სახლის კედლებს მაინც აღარ დაჯღაბნისო.

კარგი და პატიოსანი. იანოში სათამაშოების მაღაზიაში შევიდა, თაროები შეათვალიერა და ორიოდ გროშად უბის წიგნაკი იყიდა. მართალია, პატარაა, მაგრამ მეტად ლამაზია, ყუა ისე აქვს მოვარაყებული, სახარება გეგონება.

— აბა, ვნახოთ შიგ რას ჩაწერს ბიჭი, — ღიმილით უთხრა იანოშმა ნოქარს, — მის ნაცოდვილარზე, იცოდეთ, პასუხს თქვენ გაგებინებთ.

იანოში გამობრუნდა კიდეც, თან ქისა წაიღო უბისაკენ, მაგრამ უცებ ხელიდან გაუვარდა. არც თუ ასე ადვილია ტყაპუჭიანის მიხრა-მოხრა.

იანოში დაწვდა ქისას, ის იყო უნდა აეღო, რომ უცებ ფერად ფიგურას მოჰკრა თვალი. ეს სათამაშო ჯარისკაცია, რომელიც ხის ხელით სალამს იძლევა. მუნდირი ლურჯად აქვს შეღებილი, ფეხები კი წითლად. საბრალო პატარა ჯარისკაცი იატაკზე იწვა, ბოხოხით დახლის ფეხთან ჩაჭედილიყო, მაგრამ ასე გაშოტილიც ჯიუტად იძლეოდა სალამს. ამის დანახვა და გაფიქრება ერთი იყო: არც ეს თოჯინა აწყენსო ჩემს ბიჭს. იანოშმა ფიცხლავ ამოგლიჯა ჯარისკაცი, ქისასაც დასტაცა ხელი და ორივე მაგრად ჩაბღუჯული უბის ჯიბისაკენ გააქანა. მერე, ვითომცდა აქ არაფერიაო, გაშლილი ხელი უკანვე ამოიღო, ესეც ასე... იანოში საბოლოოდ დაემშვიდობა ნოქარს და ქუჩაში არხეინად შეიბერტყა ტყაპუჭი.

ეხლა კი ჯიბეს აღარც გაეკარება ხუტორში მისვლამდე...

შინ არავინაა. ბიჭი ამ დროს სკოლაშია, დედაკაცი კი მეზობელ ხუტორში გადადის ხოლმე. რა გაეწყობა. იანოშმა თავად გამოუშვა და დააბინავა ცხენები. მერე საჩეხის დირედან გასაღები ჩამოიღო და სახლში შევიდა. **შინ საა**მოდ თბილოდა. შეციენულმა, ერთხანს ფეხები აბაკუნა, შემდეგ ბოლთისცემა დაიწყო, თან გუნებაში ფიქრობდა — ცოლს გადავაკითხო, თუ საათს მოვარგო რგოლიო.

ამასობაში წიგნაკი და ჯარისკაცი გაახსენდა. აბა. ამოდითო, და ორივე უბის ჯიბიდან ამოიღო, მაგიდაზე დააწყო, თვითონ კი ფანჯარასთან მივიდა. თვალი მოავლო არე-მარეს, გზას გახედა — ბიჭი თუ მოდისო. ბიჭი არსად ჩანდა.

მოტრიალდა და მაგიდას თვალი რომ შეავლო, შემცბარმა უკან დაიხია. წიგნაკი ისევ მაგიდაზე იდო, ჯარისკაცი კი აღარ იწვა, წამომდგარიყო და ხელი ჰქონდა შემართული.

— ერიჰა, — აღმოხდა იანოშს.

მივიდა და დააწვინა.

მაგრამ რაწამს ხელი მოაშორა, ჯარისკაცი ისევ ფეხზე წამოხტა. ჯერ აქეთ-იქით გადაქანდა, თითქოს უჯავრდებაო, მერე კი სწორედ მის პირდაპირ დაერჭო და არაფრის დიდებით ხელს არ უშვებდა ძირს.

— ეჰე, — კვლავ აღმოხდა იანოშს და ლურჯწითელა კაცუნას ჩააშტერდა.

რა ვქნა, ხისა უნდა იყოს და... მაშ როგორღა მოძრაობს.

ძალით დააწვინა მაგიდაზე, დააწვა კიდეც... ესეც ესე. მისი ტორის ქვეშ გართხმულია ჯარისკაცი და ძვრაც არა აქვს.

მაგრამ ხელი მოაშორა თუ არა, ისევ წამოუხტა, აქანავდა, ცხვირწინ აეტუზა და შეღებილი თვალები მიანათა.

— წყალსამც წაუღიხარ! — დასჭყივლა იანოშმა და გაგულისებულმა მაგიდაზე დაანარცხა.

ამჯერად უკვე ხერხს მიმართა. ხელი უცებ არ აიღო, ნელ-ნელა მოვაშორებო. ასეც მოიქცა. მაგრამ, ნურას უკაცრავად, ნება-ნება აწეულ თითებს ჯარისკაციც თან მიჰყვებოდა, ბოლოს იანოშს ისევ წინ გამოეჭიმა და ხელიც კი მოუღერა.

— ვითომ რას მექადნები! — დაუტია იანოშმა, თან უკან-უკან დაიხია. ოთახის კუთხიდან ჯარისკაცს ალმაცერად დაუწყო ცქერა. სიჩუმეა შინ და გარეთ. ბინდდება... უდაბურზე ტყვიის პირბადე ჩამოშლია მიმწუხრის მზეს. ჩქამიც კი არსაიდან ისმის, მხოლოდ ბუხარში ჩაშლილი მუგუზლები თიხით შელესილ კედლებს ეხეთქება დროდა-

დრო. იანოში ცეცხლს მიუჯდა. მაგიდაზე წიგნაკი ძევს, ჯარისკაცი კი დგას და უბღვერის მას.

იანოშს ჯიქური მზერა თანდათან მოეღალა, დაბოლოს თვალი ვეღარ გაუსწორა და დაბლა დახარა.

— მე შენ არ მომიპარიხარ: — ხმადაბლა იმართლა თავი, — შენ ხომ ძირს ეგდე, მაშ, რაღად ეგდე... იმად, რომ ჩაჭედილი იყავ. მადლობა მითხარ, რომ აგიყვანე! განა ეს ქურდობაა? სხვაც ესე აგიყვანდა. გეყურება! თვალი არა მკრა, თორემ მაგიდიდან ძირს გადაგიძახებ!

ძალა მოიკრიბა და მუქარით მიუახლოვდა. ის იყო უნდა გადაეგდო, რომ თავში ახალმა აზრმა გაუელვა. მაგიდაზე დოქი იდგა. ირგვლივ, ახლადშეღებილ ფიცარზე, წყალი იყო დაქცეული. იანოში უცებ დაწვდა ჯარისკაცს და თავი წყალში უკრა.

— ეგეც შენ, ძაღლო! — წამოიხრიალა, შუბლზე ოფლმა დაასხა. ჯარისკაცს ხელი უშვა და... ყივილი აღმოხდა. ჯარისკაცი აღარ წამომდგარა.

— ეგდე მანდ! შე შეჩვენებულო! აბა, ეხლაც გატოკდი! ბიჭოს, მართლაც რომ ტოკავს! თვალი როდი ატყუებს შემკრთალ იანოშს. წყალმა საბოლოოდ ვერ მიაწვა მაგიდის მწვანე საღებავს ჯარისკაცის ლურჯი საღებავი. ჯარისკაცმა ერთბაშად წამოიწია და ჰოპლა! ისევ დაეყუდა იანოშის ცხვირწინ.

ნამდვილად ემუქრება, მერე როგორ!

იანოში გვერდზე გახტა, საწოლს მიეჯახა, სიმწრისაგან შეჰყვირა:

— ნეტა აქ რისთვის წამოგათრიე! იცოდე, ნუ მერჩი, თორემ დაგამტვრევ.

სწვდა კუთხეში მიყუდებულ კეტს და ცდილობდა შორიდან წაექცია ჯარისკაცი, მაგრამ ამაოდ. ის გვერდს უქცევდა ჯოხს და რაც უფრო გამეტებით უბიძგებდა იანოში, მით უფრო დაჟინებით ემუქრებოდა ჯარისკაცი.

იანოშს ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზე. რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?

რას იზამ, ერთხელ მოკვდება კაცი. უცებ მაგიდას უგანა და ფანჯარასთან მიიჭრა. ათრთოლებული ხელით გამოაღო. მერე ჯიქურ შემოტრიალდა და ვეება ხელი დასტაცა კაცუნას.

— ღმერთო, მიშველე! — შესძახა იანოშმა და ჯარისკაცი ფანჯრიდან მოისროლა.

კარგა მოშორებით დაეცა და აქეთ-იქით აქანავდა.

იანოშმა თვალი გააყოლა.

— უჰ!

ჯარისკაცი ისევ დგას დათოვლილ ბელტზე, ტორტმანებს, ხელს უღერებს და თვალები საყვედურით სავსე აქვს.

— მოიპარე, მოიპარე, მოიპარე...

თითქოს ვიღაც ჩასძახის იანოშს და გაუგონარი შიში იპყრობს.

...ვაი შენს იანოშს, სწორედ ახლა არ გამოჩნდა ბიჭი გზაზე. საცაა თავს წაადგება ხის კაცუნას. იანოშს უნდა დაუძახოს:

— მოერიდე, მოერიდე!

მაგრამ კრიჭა შეეკრა. თავზარდაცემული ხედავს, რომ ბიჭმა შეამჩნია ჯარისკაცი.

აღტაცებული მოარბენინებს, კარებში შემოიჭრება და გაჰკივის:

— შეხედე, მამილო, შეხედე...

მამა ხრიალებს და ხელებს ასავსავებს.

— არ გაბედო, სად მოგაქვს!... სწორედ ეხლახან რა ომი გადამხდა...

ბიჭი ვერაფერს მიმხვდარა. პატარას თვალები სიყვარულით დაცქერის მასზე უფრო პაწაწინას. მერე კისკისით შესძახა.

— შეხედე, ტყვია აქვს ძირში, თუ დავაწვენ წამოხტება. ერთი შეხედე!

იანოშს გულზე მოეშვა.

— უჰ, ამოისუნთქა შვებით, — ტყვია ჰქონია ჩასხმული!

მერე დარცხვენილი შეიშმუშნა და ნირწამხდარმა ჩაილუღლუღა:

— მე კი ავი სული მეგონა.

1895.

უნგრულიდან თარგმნეს

მ. იუტვანოვიჩმა და **ა. ლეკიაშვილმა**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჩუჩუა

პალესტინის სიკვდილთა შორის

* * *

მალხელთა ხვედრზე კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრა სანახაობამ, რომლის მოწმენიც თელავივში გავხდით. აქ, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის კუთვნილ მიწაზე, ე. წ. „რუსულ ბაღში“ ყოველ მაისს ეწყობა რაღაც რელიგიური დღესასწაული ქრისტიანი არაბებისა, რომლის სახელწოდება თითქოს გადასხვაფერებულ-შევცლილ „გიორგობას“ მოგვაგონებს. იქნებ, ამ მსგავსებისათვის ყურადღება არც მიგვექცია, რომ საკუთრად არ გვეხილა ქრისტიან არაბთა ეს დღესასწაული, არ შევსულიყავით მის ატმოსფეროში. თვალში გვეცა ჩვენებურ მცხეთობასა თუ ალავერდობასთან მსგავსება. იგივე წესი რწმენისადმი კუთვნილის მიგებისა, სახალხო დღესასწაულის ისეთივე ქანრული სცენები, უხვი პურ-მარილით, მოლხენითა და ცეკვა-თამაშით, ღამისთევებით...

აი, ძლიერ დაკოჟრილ ხელებს თითქოს კახელი ვაჟკაცი უხათქუნებს დოლზე. აღგზნებული სახეები შესცქერიან გოგონას, რომელიც შუა წრეში მოხდენილად და გატაცებით ცეკვავს, თითქმის, ნაცნობ „განდაგანას“... რიტმის საყოველთაო შეგრძნება, მძაფრი და ხალისიანი, რომელიც ნაკლებად ეგუება მოთენთილობასა და გრძნობათა დაშაქრულობას. ფიცხდება დოლი და წრეში უკვე მოზრდილები, მოწიფული ქალები და ვაჟები გადადიან, მოხუცებიც ცდილობენ გამოაჩინონ მუხლის ძალა...

დადიხართ ჩრდილდაფენილ ვრცელ ეზოში და პირდაპირ მიწაზე გაშლილ სუფრებზე ხედავთ სულ ჩვენებურ ხაჭაპურებსა და ქადებს, ნიგვზითა და პილპილით შეზავებულ ბადრიჯანს, თითქოს იმერული დერგიდან ამოღებულ ყველს, ღვინოც ისმევა და არაყიც...

აკვირდებით ხის ძირას განმარტოებით მსხდომ მოგრძოსახიან ჭარმაგებსა და მოხუცებს, რატომღაც უადგილოდ დანაღვლიანებულ მათ სახეებს და თითქოს ხედავთ ძალიან ნაცნობსა და ახლობელს. ასე გგონია, ვიღაც მშობლიურ ენაზე უნდა დაგელაპარაკოს.

გამოგველაპარაკა კიდეც ერთი, მაგრამ ებრაელი ფოტოგრაფი ქალი აღმოჩნდა, ოდესღაც ქუთაისში დაბადებული და გაზრდილი.

დადიხართ ეზოში, შესცქერით ჭრელ, მოზეიმე ბრბოს და რატომღაც არ გტოვებთ აკვიატებული აზრი და ფიქრი, რომ ამათაგან ბევრი მალხელებზე ადრე ეზიარა დღეს უკვე ძნელად შესაცნობ სახეცვლილებას, ნაცნობ-ახლობლობიდან სრულ გაუცხოვებამდე. სამშობლოს მოწყვეტილ, უცხო გარემოცვაში ჩაკარგულ ადამიანთა არსებაში ხომ, ალბათ, უფრო ადვილად ეძლევა დავიწყებას პირველი და თანდაყოლილი, უკვალოდ ქრება... თუმცა ვინ იცის, იქნებ, სულ ბოლომდე მაინც არ ქრება...

საიდან მოსულან, რომელ ღმერთს სცემენ თაყვანს ეს არაბები?... „პირველ ღმერთი“, თუ „რჯულის ღალატის“ შემდეგ შეძენილია?... ან, იქნებ, ყველაფერი ეს ინერციაა ძალიან ძველის, დავიწყების პირამდე მისულის...

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ,
რა ზნე გჭირსა“...

იქნებ, სამშობლოდან ესოდენ შორს, უცხო ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა შორის წინაპართა სულის ნაწილის შეცნობის ცდა მისტიფიკაციაა და მეტი არაფერი?! იმ წუთებში მიფიქრია კიდეც, ფანტაზიით ძალიან შორს ხომ არ შევტოპე-მეთქი. მაგრამ თუ ყოველმხრივ განსჯი, ისტორიულ გადმოცემებს სინამდვილის ფაქტებს შეაჯერებ, შეუძლებელი არაფერია.

განა, მართლა, ერთადერთი და უპრეცედენტოა, და ამდენად დაუჯერებელი, ტრაგიკული ხვედრი, რომელიც ჩვენს წინაპრებს ერგოთ ამ შორეულ მხარეში?

ეტყობა, არა!

აგერ ჩვენს თვალწინ, სამი თუ ოთხი თაობის ხსოვნაში, ძალით თუ ნებსით შეჰგუებიან პალესტინის მიწასა და ჰაერს ჩვენი ისტორიული მეზობლები, ამაყი კავკასიონის შვილები— ჩერქეზები. თუმცა მათი ეროვნული მრწამსის

დასასრული. იხ „მნათობი“ № 9.

მიმართ დროება უფრო შემწყნარებელი აღმოჩნდა. ამაში თავადაც დავრწმუნდით, როცა მოვინახულეთ ჩერქეზული სოფელი ფარკამა ნაზარეთის მახლობლად, თაბორის ისტორიული მთის ძირას.

მშვენიერია ნაყოფიერ ველზე გაშენებული ეს სოფელი. მამაცი და ჩაუქი ჩერქეზები ვაკესაც კარგად შეგუებიან და სოფლის მეურნეობის საქმეებშიც საკმაოდ გაწაფულან. არც შორეულ სამშობლოს, მის ენასა და წეს-ჩვეულებებს ივიწყებენ. ფარკამელებმა გვიჩვენეს როტატორზე დაბეჭდილი რამდენიმე ნომერი ალმანახისა მშობლიურ ენაზე. მათში მოთხრობილია შამილისა და მისი ნაიბების გმირობაზე, ჩერქეზთა მოდგმის სიმამაცესა და ღირსებებზე, იმათზე, რომლებიც საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ხმალს იქნევდნენ თურქეთის სულთანისა და არაბი ხალიფების ტახტის მცველობა-ერთგულებაში... ამ ტრადიციას ისინი დღემდე მისდევენ. ყოველ შემთხვევაში, როგორც ამბობენ, აქვე, მეზობლად, იორდანიის მეფე მათ თავის ყველაზე საიმედო და უერთგულეს ძალად მიიჩნევს...

ფარკამელებს ასეთ სამსახურს ისრაელში არავინ სთხოვს და ისინი მიწის მაშვრალებად იქცნენ. ისღა დარჩენიათ, ნაღელიანი თვალებით ათვალიერონ ფერგადასული ფოტოები და ძველებური გრავიურები, რომლებზედაც გამოსახული არიან ყაბარდოელ ულაყებზე ამხედრებული ტანწერწეტა ვაჟკაცები ჩერქეზულ ჩოხებსა და მოსევადებულ იარაღში. ჩერქეზი იარაღისადმი გულგრილი ვერ იქნება. როცა გაიგეს საიდანაც ვიყავით, გვთხოვეს, მოგვიხერხეთ სამშობლოდან ოციოდე ჩვენებური ხანჯალი გამოგვიგზავნონ, ანსამბლისათვის გვინდაო. რაც არ უნდა ღირდეს, მზადა ვართ გავიღოთო. არც ცხენებისადმი სიყვარული განელებიათ.

ფარკამელები თავიანთი სამშობლოს ცხოვრების ამბების კურსშიც არიან. ისმენენ რადიოგადაცემებს, ახერხებენ წიგნების მიღებას. სოფელში გახსნილი აქვთ საკმაოდ კარგად მოწყობილი სკოლა, სადაც სწავლება ორ ენაზე — ივრიტსა და ჩერქეზულზე მიმდინარეობს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ „რუსულ ბაღში“ გამართულ ღღესასწაულს.

ძმობასა და მეგობრობაზე, მაშვრალთა ხსნასა და ბედნიერებაზე ბევრი სიტყვა და ქადაგება დაიხარჯა იმ დღეს მღვდელთმთავართა ტრაპეზზე. ასე გასინჯეთ, ქრისტიანული კაცთმოყვარული ლოზუნგები მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — პირველი მაისის მიზნებსა და იდეებსაც კი დაუკავშირეს. გულუბრყვილო ადამიანს, მითუმეტეს მორწმუნეს, მეტი კი არ უნდა...

ტრაპეზზე ჩვენ, „ურწმუნონი“ პირველად მოვხვდით. მე პირადად იგი ძირითადად ეკლესიაში გადახდილი წირვა-ლოცვის, თავისებურ გაგრძელებად, ასკეტურ სერობად წარმომედგინა. მაგრამ გამოაცა მისმა ძიწიერმა ხასიათმა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლუკმის კურთხევის დროს წარმოთქმულ მოკლე ლოცვას და პირჯვარის გადასახვას. ისიც კარგად შევნიშნეთ, კმაყოფილებისაგან როგორ გაებადრა სახე მღვდელმთავართაგან ყველაზე უფროსს, როცა ხელქვეითებმა ერთხმად გადაათქმევინეს შესრულება ხორცისა და სულის დამამძიმებელი რაღაც წესისა.

თამადობა გასწია ჩვენთვის უკვე ნაცნობმა არქიმანდრიტმა გერმოგენმა, დინჯად და ღირსების გრძნობით, ნამდვილ კავკასიურ დონეზე.

რამდენიმე ჭიქის შემდეგ, დაიწყო ნამდვილი მხიარულება. ისევე როგორც ერისკაცთა სუფრას, ტრაპეზზსაც გაუჩნდა ლხინის თავკაცი. ეს გახლდათ თაბორის მთის მონასტრის წინამძღვარი, ახალგაზრდა ბერძენი მღვდელი დიონისე. მე არ ვიცი, როგორ მღვდლად ითვლება იგი ნაზარეთისა და მთელი გალილეის მიტროპოლიტის ისიდოროსის თვალში, მაგრამ დიონისე სუფრაზე სავსებით ამართლებდა ღვინისა და მხიარულების ღმერთისაგან ბოძებულ სახელს. იგი დაუსრულებლად ხუმრობდა, ქილიკობდა და იცინოდა.

ისიდოროსი ყოველნაირად აგულიანებდა დიონისეს, ყველაფრის მიმტევებელი ღიმილით ადევნებდა თვალ-ყურს მის შექცევას. ბოლოს ითხოვა, „მოსკოვური საღამოები“ ვიმღეროთო. თურმე ისიდორისს გაგიეებამდე უყვარს ეს სიმღერა. როცა სიმღერა წამოიწყეს, სიამოვნებისაგან თვალები მინაბა, ლამაზი სახე გაებადრა, ბოლოს სიმღერას ხელებიც ააყოლა და ტაქტის მიხედვით სკამზე რწევას მოჰყვა...

„მოსკოვური საღამოები“ რომ ჩათავდა, ბერძენმა დიაკვანმა რაღაც დარდიმანდული სიმღერა დასჭექა. მაყვალივით შავწვერებიანმა ახალგაზრდა რუმინელმა მღვდელმაც ცხადყო მომადლებული მუსიკალობა. ყველაზე ბოლოს დინჯი და სიტყვაძუნწი ეთიოპელი ამღერდა. უფრო სისხლისმოყვარე ძველი აფრიკული ღმერთების წინაშე აღვლენილ რიტუალურ ბუტბუტს ჰგავდა მისი სიმღერა.

გამოცოცხლდნენ უკვე მიხრწნილი კავასები. მიუხედავად ხანდაზმულობისა, მათს იერში მაინც იყო რაღაც ძველი მხედრული პეწიანობისა. ტანსაცმელიც მხედრული ეცვათ, პირველი იმპერიალისტური ომის დროინდელი ინგლისური ფასონისა, უკვე გახუნებული, მაგრამ საგულდაგულოდ ნალოლიავები. მკერდზე რაღაც ორდენებისა და მედლების ნიშნები ეკეთათ... ყოფილი დაბალი ჩინის ოფიცრები აღმოჩნდნენ, სხვადასხვა ქვეყნების ჯარებში ნამსახურნი. ვინ იცის, რამდენი ბრძოლა და ავანტურისტული თავგადასავალი გადახდათ, ვიდრე

დაღლილ ძვლებს პალესტინაში მოიტანდნენ, რათა ღიმილის მომგვრელი ბრავადითა და გათეთრებული ბიბინა ულვაშების გრეხით მღვდელმთავართა კვერთხები ზიდონ სიცოცხლის დასასრულამდე.

თვით ისიდოროსიც, როგორც გვითხრეს, ოდესღაც ოფიცერი ყოფილა. მანერებზე ეტყობა კიდეც. შემდეგ, რაღაც მიზეზით, მხედრულ კარიერაზე ხელი აუღია. ახალ ასპარეზზედაც საკმაოდ შორს წასულა. ბერძენ მღვდელმთავრებში, თურმე, მეორე პირად ითვლება ბენედიქტეს შემდეგ. ცოცხალი და მოქნილი გონების კაცი ჩანს, რამდენიმე ენაზე ლაპარაკობს. მათ შორის რუსულადაც.

ტრაპეზის დასასრულს, ბორისმა დააგუგუნა „დოლგიე ლეტა“ და ფეხზე წამოშლილმა ძეინახეებმა სათითაოდ ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვეს ქრისტიანული სამყაროს პირველ მღვდელმთავრებს, მათ შორის სრულიად საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსს ეფრემ მეორეს.

ერთი სიტყვით, ტრაპეზმა ჩაიარა, როგორც იტყვიან ხოლმე, „მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში“.

აშკარად უკმაყოფილო სახე მხოლოდ მიხეილ ივანეს ძეს ჰქონდა. ეტყობოდა, შემტევი კლასის შვილი მღვდლებთან მეინახეობით თავს „წაწყმედილად“ თვლიდა, მაგრამ ამის გამო ათეისტი კაცი ეკლესიაში ხომ არ შევიდოდა. გზა პირდაპირ საელჩოსაკენ ავიღეთ. ბით უმეტეს, რომ მიხეილ ივანეს ძე პოლიტსწავლების დარგში თავის კონსულტანტს უნდა შეხვედროდა. მანქანაში იგი სამღვდელოებას უბედურად ამუშავებდა და თითქოს ტანიდან უკმურის გამოსადევნად იგონებდა წინა საღამოს თავისიანებში გატარებულ საათებს. თავისიანებად მიხეილ ივანეს ძე თვლის საელჩოს პერსონალს დიდით-პატარებამდე და ყოველ საბჭოთა მოქალაქეს, რომელიც მტკიცედ გამიჯვნია ეკლესიას.

— აბა რა გამოდის, — ხელებს შლის იგი, — ჩვენ წინ ვეწევით სახელმწიფოს კომუნიზმისაკენ, ესენი კი, მღვდლები, უკან ეჭაჩებიან.

ჩვენ გულიანად ვიცინით და სიტყვა ბურჟუებზე ჯადაგვაქვს. ახლა იმათ მოსდგა მიხეილი. მას აქამდე ვერ მოენელებინა, რომ ერთმა ბურჟუამ, ისიც ქალმა, მის თვალწინ დღისით მზისით გაძარცვა სამი საბჭოთა მოქალაქე. რომ უფრო გასაგები იყოს, გაგაცნობთ საქმის ნამდვილ შინაარსს.

იმ დღით იერუსალიმში „ხამსინის“ სიცხე იდგა. მაგრამ ჩვენ სიგრილეში განცხრომისათვის არ გვეცალა და ვიღებდით. შუა დღის თაკარამ რომ ძალიან დაგვაჭირა, შევედით სასტუმრო „ჰოლილენდში“, წყალი რომ დაგველია და ცოტა სულიც მოგვეთქვა. თანაც გვინდოდა გვენახა ამ ფეშენებელური სასტუმროს ტერიტორაიზე, ღია ცისქვეშ გაკეთებული ძველი, დავითისდროინდელი იერუსალიმის მაკეტი.

ჰოლში მრგვალ, დაბალ მაგიდას შემოვუსხედით, ორანეი და ბუტერბროდები მოვითხოვეთ. მიხეილ ივანეს ძეს სახეზე სისხლი მოაწვა, როცა ანგარიში მოგვიტანეს. ასეთი თანხით მომჭირნე ოჯახი ბარე სამი დღით გაიტანდა თავს.

ძველი იერუსალიმის მაკეტის გადაღებაზე უარი გვითხრეს. ის იყო, უნდა გავბრუნებულიყავით, რომ გამოჩნდა სასტუმროს დიასახლისი — ლამაზი და მოხდენილი ქალი, რომელიღაც ამერიკელი მილიონერის ერთადერთი მემკვიდრე. მან ჯერ საავტორო უფლების გარანტიის ხელწერილი მოგვთხოვა, მაგრამ შემდეგ უსასყიდლოდ გადაღების ნება მაინც მოგვცა იმ პირობით, თუ მასალის გამოყენების შემთხვევაში მისი საავტორო უფლებები დაცული იქნებოდა.

მიხეილ ივანეს ძემ მტრული მზერით გააცილა მარმარილოს კიბეებზე გრაციოზულად მიმავალი ქალი და არანაკლები სიძულვილით გადახედა ჰოლის რბილ სავარძლებსა და საცურაო აუზის შეზლონგებში ნებივრად ჩაწოლილ, ნახევრად ტიტველ ქალბატონებსა და ჯენტლმენებს.

— აღმაშფოთებელია, პირდაპირ აღმაშფოთებელი! — მოგვიბრუნდა მიხეილ ივანეს ძე. — ყველგან ფული, ფული... ნაბიჯსაც ვერ გადადგამ, რომ ფულის მახე არ დაგხვდეს... განა ჩვენ ვინმეს რასმე ვახდევინებთ, დღე და ღამ კრემლს რომ იღებენ?! ფული, ფული!... მერედა ვისი ფულითაა ნაყიდი ამოდენა მიწა, რითია აშენებული ეს მდიდარი სასტუმრო, თვით პატივცემული დიასახლისის სასახლე? თანაც როგორი, წმიდა მოდერნი... ოჰ, ეს ბურჟუები!... რაც გინდათ თქვით და, უსამართლობაა ყველაფერი ეს, საშინელი უსამართლობა!..

ასეთი კაცია მიხეილ ივანეს ძე, უბრალო მშრომელი, შემტევი კლასის შვილი. მას გამომუშავებული აქვს თავისი მტკიცე შეხედულებები და პრინციპები, რომელთაც არასოდეს უღალატებს. იგი აქაც, შორეულ პალესტინაშიც, მშობელი ქვეყნის ჯარისკაცად თვლის თავს. ჯარისკაცივით დარაჯობს კიდეც მიწის პატარა ნაჭერს, რომელიც მისი ხალხის, უფრო ზუსტად — მეცნიერებათა აკადემიის საკუთრებას შეადგენს.

იქვე, გვერდზე, რაღაც ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულებაა მოთავსებული. ეზო საერთო აქვთ. ერთხელ, თურმე, მიხეილ ივანეს ძემ და მისმა მეუღლემ შენიშნეს, რომ დაწესებული მიჯნა ვიღაცას ფარულად გადმოუწევია. მიხეილ ივანეს ძემ, რა თქმა უნდა, უმალ გააფრთხილა მეზობლები. ცოტა ხნის შემდეგ „სასაზღვრო ზონა“ ისევ დაარღვიეს. პროტესტი უფრო კატეგორიული იყო. ტერიტორიული ხელყოფის ცდა მესამედაც რომ გა-

ნმეორდა, მიხეილ ივანეს ძის მოთმინების ფიალა აივსო. მეზობელთა თვითნებობის აღსაკვეთად ახლა დიპლომატიური ტერმინოლოგიაც მოიშველია:

— ადონი, ადონი!... თუ ასეთი რამ კიდევ განმეორდა, ამას ჩავთვლი სახელმწიფო საზღვრის დარღვევის აქტად, ყველა აქედან გამომდინარე სერიოზული შედეგებით.

ჩვენთვის დღემდე გაუგებარია, რა ენაზე გააკეთა მიხეილ ივანეს ძემ ესოდენ კატეგორიული განცხადება, მაგრამ ფაქტია, რომ იმ დღის შემდეგ მიკრო სასაზღვრო ინცინდენტს ადგილი არ ჰქონია.

ასეთ რამეებს მიხეილ ივანეს ძე ჭეშმარიტი იუმორის გრძნობით ყვება. ეს არის იუმორი ჯანსაღი და გულმართალი კაცისა, ტიორკინისებური ბიოგრაფიის მქონე ადამიანისა. ამიტომ ოდნავადაც არ წყენია, როცა საპირველმაისო საღამოზე, ჩვენს საელჩოში იგი იმპროვიზირებულ სცენაში წარმოადგინა გურამ პატარაიამ.

საერთოდ ის საღამო, უცხო ქვეყანაში, მაგრამ თანამემამულეთა გარემოცვაში გატარებული, სამუდამოდ დაგვამახსოვრდა. იყო „ოფიციალური“ ნაწილიც და იყო გულღია მხიარულება, რომელშიც ყველა აქსოვდა თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმს. ტონის მიმცემნი ამჯერადაც ჩვენი ელჩი და მისი მეუღლე იყვნენ. ასე, რომ თავს ყველა შინაურ გარემოცვაში გრძნობდა.

ბავშვები თანდათან უფროსებმა შესცვალეს. კითხულობდნენ საყვარელ ლექსებს. ერთმა ჩასუქებულმა ქალმა, საკმაოდ მოწაფურად, მეჯლისის მთელი სცენა წაიკითხა „ომი და მშვიდობიდან“. თითქმის ნახევარი საათის მანძილზე სულგანაბული უსმენდნენ. სხვა დროს და სხვა ადგილას, ალბათ, ასეთ წარმატებაზე ვერც იოცნებებდა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ტრადიციისამებრ მოგვთხოვეს ტემპერამენტიანი ქართული ცეკვების შესრულება, მაგრამ ბოლოს კომპენსაციას დასჯერდნენ — გურამ პატარაიამ წარმოადგინა ზემოაღნიშნული იმპროვიზირებული იუმორისტული სცენა. მიხეილ ივანეს ძემაც გულიანად იცინა.

გათამაშდა სამახსოვრო ლატარეიაც. როცა უკანასკნელი ჯილდო გადასცეს და უიღბლო ბილეთების მფლობელთ ხელი ჩაიქნიეს, ვითხოვეთ გათამაშების გაგრძელება „ქართული ფონდის“ ხარჯზე. დამატებითი ხუთი „პრიზი“, ჩვენებური ჭედურობისა და კერამიკის ნიმუშები, ერთი ზარ-ზეიმით გადაეცა „იღბლიანთა“ ახალ ჯგუფს, რომელშიც ძირითადად აღმოჩნდნენ სასულიერო პირები გერმოგენთან ერთად.

თვითმოქმედება ბოლოს ნამდვილ პროფესიულ ოსტატობაში გადაიზარდა. საქმე ის არის, რომ კონცერტიდან პირდაპირ ჩვენთან მოვიდა სახელგანთქმული საბჭოთა პიანისტი დიმიტრი ბაშკიროვი, თბილისური მიწის მადლს ნაზიარები „დიმა“ და დაუკრა. ცხადია, სულ ბოლოს მოითხოვეს „ვრცელება ჩვენი სამშობლო“ და ყველანი ერთად ავმღერდით.

თბილისელები, თუ დიმა ბაშკიროვსაც მივითვლიდით, საღამოზე ხუთნი აღმოვჩნდით. ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე, კონსტანტინე სიმონოვის პატივსაცემად გამართულ მიღებაზე, გავიცანით ჩვენი თანამემამულე, მეცნიერი ქალი ზეინაბ აჯიბეილი. იგი საბჭოთა მეცნიერების ჯგუფთან ერთად სწავლობდა აქაურ მწერთა და ქვეწარმავალთა სამყაროს. მისია თითქოს საკმაოდ პროზაულია. მაგრამ ამ დარბაისელმა ქალმა უცხო გარემოში ნამდვილი მანდილოსნის ყველა ღირსებით ისეთნაირად შემოანათა, რომ ჩვენ გულის სიღრმეში მისადმი განსაკუთრებული პატივისცემისა და მოწიწების გრძნობით აღვივსეთ. და არა მარტო ჩვენ.

მთელი ამ ხნის მანძილზე ადგილობრივ მცხოვრებთაგან ქართულად მოლაპარაკე რამდენიმე კაცს თუ შევხვდით, მათ შორის, ირაკლი აბაშიძის წიგნში მოხსენებულ არონ ბაღდადლიშვილს, როგორც აქ ეძახიან, „წითურ არონას“, რომელიც თუმც ისრაელშია დაბადებული, მაგრამ მშობლებისაგან იმდენი ქართული მაინც უსწავლია, რომ თავისუფლად გველაპარაკებოდა. ისრაელ რიჟინაშვილმა „დედა-ენა“ გვთხოვა. მინდა ჩემმა შვილიშვილებმა ქართული კარგად იცოდნენო. სამწუხაროდ, ეს თხოვნა ვერ შევუსრულეთ, რადგან არც კი გვიფიქრია, თუ ისრაელში ვინმე ქართულ სახელმძღვანელოს მოგვთხოვდა. ჩვენ სტუმრად მოვხვდით ერთ ებრაულ ოჯახში.

მასპინძლებმა დიდებული სუფრა დაგვახვედრეს.

სწორედ ამ ოჯახში გავიცანით სომეხთა პატრიარქი პალესტინაში ეღიშე.

ეღიშე ნაკითხი და მრავალმხრივ განათლებული ადამიანია. თეოლოგიც არის და პოეტიც. წაგვიკითხა რამდენიმე საკუთარი ლექსი, რომლებმაც პლატონის ზოგიერთი ეპიგრამა მომაგონა. თუ ლექსების ხასიათისა და ახალგაზრდულად ცოცხალი თვალების ციმციმის მიხედვით ვიმსჯელებთ, პატრიარქი მიწიერ სიამეთადმი გულგრილი კაცი არ უნდა იყოს.

ეღიშე იცნობს საქართველოს ისტორიას, ქართველთა მოღვაწეობას პალესტინაში.

— ჩვენ საუკუნეების მანძილზე ერთმანეთის გვერდზე გვიცხოვრია და გვიმოღვაწია, — გვითხრა პატრიარქმა, — ქართველების ნიშსა და უნარს კარგად ვიცნობ. მაგრამ, თუ საწყენად არ მიიღებთ, ერთ რამესაც გეტყვით, ზოგჯერ დაუდევრობა გჭირთ... რამდენი ენერგია და კულტურული განძი ჰქონდათ თქვენს წინაპრებს აქ,

პალესტინაშიც, მაგრამ არც ერთი აღარ შეგრჩათ... ჟამთა სიავის ბრალიაო, მეტყვით. მაგრამ ისტორია არც ჩვენ, თქვენს ისტორიულ ძმებსა და მეზობლებს გვწყალობდა დიდად...

როცა გაიგო, რომ იორდანიის მხარეს ვაპირებდით გადასვლას, წინასწარ მიგვიწვია თავის პატრიარქიაში. თუ ძველ იერუსალიმში მოხვდებით, დამირეკეთ და ყოველნაირ დახმარებას აღმოგიჩენთო. ეს დაპირება, მართლაც, ლიტონი სიტყვები როდი აღმოჩნდა.

* * *

პალესტინის მიწაზე ქართულ სიძველეებს ყველგან წაწყდებოდით, მაგრამ მეტწილად იავრქმნილს, სახეშეცვლილს. კატამონი, მაგალითად, მარტოოდენ დაბზარულ-გამოქარული ქვების წყობის ძველი ფენითა და ვაზით თუ ამქვავნებს თავის წარსულს. ვაზითო რომ ვამბობთ, ამას გადამეტებად ნურავინ ჩაგვითვლის. იმდენი ტაძარი და საკულტო ნაგებობა დავიარეთ პალესტინაში და მხოლოდ ქართველთა ნაქონ ადგილებში თუ იზრდება ვაზი თვალის გასახარად. იგი ეზოს თუ ნაგებობის ცოცხალ, ორგანულ ჩუქურთმას წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, მისი ნახვა ჩვენ ყოველთვის გვაღელვებდა და რაღაცას მიგვანიშნებდა. პირველად დარგული ნერგი თუ იყო მეტად გამძლე და ჯიშიანი, ან მისი გამხარებლის ხელი მადლიანი. იქნებ, ორივე ერთად.

კატამონში ერთადერთი მოხუცი ბერძენი ბერი ცხოვრობს, თითქოს რემბრანდტის ტილოდან გადმოსული მამა უძღები შვილისა. ბნელ და ჩახუთულ სენაკში ხანგრძლივი ცხოვრებისაგან მიტკლის ფერი ადევს. დახუთულ ფეხებზე წამოცმული ფოსტლების ფრატუნით შეგვიძღვა ტაძარში. გულდასმით ვაკვირდებოდით ადგილებს, სადაც, მოგზაურთა აღწერილობის თანახმად, ქართული წარწერები უნდა იყოს. მაგრამ არაფერი ჩანს. ძველ იატაკზე, ეტყობა, ზევიდან დაუგიათ მდარე მარმარილოს ფილები. მთელ საეკლესიო ინვენტარს შეადგენს თუნუქზე დახატული ჭყეტელა ხატები, ქარხნული წესით დამზადებული ჭაღები და კანდელები. არაფერი უნიკალური, კაცის ხელით სასოებითა და შთაგონებით გაკეთებული! ბერიც ადასტურებს, რომ კატამონი ოდესღაც ქართველებს ეკუთვნოდა. იმასაც ამბობს, აქ მათებური ხატები და კანდელებიც ყოფილა, მაგრამ მე აღარ დამხვედრიაო.

ძველი წერილობითი წყაროებისა და გადმოცემების მიხედვით, ჩვენს წინაპრებს ტაძრები და სასტუმრო სახლები ჰქონიათ ნაზარეთშიც, ტიბერიადის ტბის მიდამოებშიც. ერთი ღამე ამ ტბის პირას, რუსული ეკლესიის კუთვნილ მიწაზე ჩადგმულ სასტუმრო სახლში, გავატარეთ. მოხუცი მონაზონ ქალებს ყოველნაირად ჩავეძიეთ, მაგრამ ქართული ვერაფერი მიგვასწავლეს. შეგვრჩა მარტოდენ მოგონება ეგზოტიკურად ლამაზი და მომხიბლავი ტბის — პირას გატარებული ღამისა. იღუმალებით სავსე სიჩუმეში ისმოდა თევზების დაუსრულებელი დგაფუნი. დილით კი ვიბანავეთ ლურჯად მოკამკამე და გამჭვირვალე ტბის საამოდ თბილ წყალში.

ნაზარეთში რატომღაც კათოლიკური ტაძრები ჭარბობს. ცხადია, არის ბერძნულიც. ერთი მათგანი, სერზე განმარტოებით მდგარი, გულდასმით დავათვალიერეთ, მაგრამ საგულისხმომიმნიშნებელს არაფერს შევხვედრივართ. უფრო დაგვაინტერესა იქვე, გვერდზე, გადარჩენილმა ნანგრევებმა რაღაც გვირაბებითა და გასასვლელებით, მაგრამ თანმხლებმა არაბმა მათ შესახებ ვერაფერი გვითხრა. გვირჩიეს გვენახა ნაზარეთისა და გალილეის მიტროპოლიტი ისიდოროსი, რომლის რეზიდენცია მარიამის სახელობის ტაძრის მახლობლადაა. ეს ტაძარი ბერძნებს ეკუთვნით და ერთერთ უძველესად და უმნიშვნელოვანესად ითვლება ნაზარეთში, თუმცა გარეგნულად შედარებით ახლის შთაბეჭდილებას ახდენს. ეს ახალი ნაწილი დაახლოებით 350 წლისა ყოფილა.

ვიდრე კავასი ყავით გვიმასპინძლდებოდა, ისიდოროსს საკმაოდ ბევრი რამ გამოვკითხეთ. პალესტინაში ქართველთა მოღვაწეობის ამბებიც ცოდნია. გვირჩია, თუ იორდანიაში მოვხვდებოდით, გვენახა მთავარანგელოზის ტაძარი ძველ იერუსალიმში და წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია, სხვანაირად ხოჯევიტა, იერუსალიმსა და ერიქონს შორის. ოდესღაც ქართველების ყოფილაო. შემდეგ ისეთი ამბავი მოაყოლა, სულის სიმშვიდე დავკარგეთ. თურმე ნაზარეთში ახლად აგებული ერთი კათოლიკური ტაძრისათვის საძირკვლის გათხრისას წაწყდომიან რაღაც შენობის ნაშთს მოზაიკური იატაკითა და წარწერებით. რაკი წამკითხავი არავინ აღმოჩენილა, მიტროპოლიტისათვის მიუმართავთ. მე, ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ იმის დადგენა შევძელი, რომ ბერძნული არ იყოო.

„ალბათ, ქართული იყო, უსათუოდ ქართული", — გამიელვა თავში. იგივე თუ გაიფიქრა გურამმაც, რადგან მაშინვე გადმომხედა. მართლაც, ვინ იცის, იქნებ, ბეთლემის მოზაიკის დროინდელია ან კიდევ უფრო ადრინდელი. იქნებ, ძალიან დიდ ისტორიულ საიდუმლოს გვიცხადებდა მისი წარწერა!..

აქვე, ნაზარეთში, გავხდით მოწმენი, ცოტა არ იყოს, ძნელად დასაჯერებელი ამბისა, რომელშიც ნათლად მეღავნდება თანამედროვე ცხოვრების გაქანება და ხასიათი, ადამიანთა კეთილი ურთიერთობის ამოუწურავი შესაძლებლობანი.

ჩვენმა ნაზარეველმა მეგზურმა — ახალგაზრდა არაბმა ბიშარა ჟარჟურამ, წესისამებრ,

ყავაზე მიგვიწვია. დავსხედით ღია, სვეტებიან ყავახანაში და მუსაიფი გავაბით. ამ დროს ყავახანის გვერდზე მოთავსებული საპარიკმახეროდან გამოვიდა წარმოსადეგი, ლამაზი გარეგნობის ახალგაზრდა არაბი და ბიშარას არაბულად ლაპარაკი გაუბა. უმალ მივხვდით, რომ რაღაცას ჩვენზე ეკითხებოდა. შემდეგ გაგვეცნო და ისიც ჩვენს მაგიდას მოუჯდა. მოულოდნელად ეს არაბი რუსულზე გადავიდა. ჩვენს თვალწინ კაცი შეიცვალა. უჩვეულოდ გამხიარულდა, ძმურად ხელს გვხვევდა. გივი მელქაძეს ჩაეცივდა — გინდა თუ არა, სადღაც მინახავხარო.

გივიც უდასტურებდა, მეც მეცნობიო, თუმცა ჩვენ ასეთი პასუხი უბრალო ზრდილობას მივაწერეთ. მაგრამ სულ მალე დადგინდა, რომ ისინი, მართლაც, ძველი ნაცნობები ყოფილან.

სად ნაზარეველი არაბი პარიკმახერი და სად თბილისელი ოპერატორი! ხომ ძნელია დასაჯერებლად, მაგრამ ნამდვილი ამბავი კია.

1962 წელს საქართველოს ტელევიზია ოდესაში იღებდა მოკლემეტრაჟიან ფილმს „კვლავ მიელინებაში“. ამ ფილმში, რომელსაც ჩვენი ტელემაყურებელი კარგად იცნობს, მოთხრობილია თავგადასავალი უსინათლო ქალიშვილისა, რომელსაც კეთილი ადამიანების ზრუნვამ მხედველობა დაუბრუნა. გივი მელქაძე, როგორც ამ ფილმის ოპერატორი, მთელი თვის მანძილზე ფილატოვის სახელგანთქმულ კლინიკაში ტრიალებდა. და, აი, მას აქ მოუხდა გადაეღო ერთი ფრიად იშვიათი ოპერაცია, რომელმაც შემდეგ მთელი სამედიცინო სამყარო განაცვიფრა. ვიღაც არაბ ჭაბუკს სამუდამოდ დაბრმავებული თვალების ნაცვლად ჩაუდგეს სხვა — რამდენიმე საათით ადრე საავტომობილო კატასტროფის დროს დაღუპული ადამიანის თვალები...

ასე იხილა კვლავ არაბმა ჭაბუკმა მზე და ადამიანები.

ამ ადამიანთა შორის იყო ერთი ქერათმიანი ქართველი ოპერატორი.

არც ერთსა და არც მეორეს მაშინ აზრადაც არ მოსვლია, რომ ოდესმე ერთმანეთს შეხვდებოდნენ. მაგრამ მოულოდნელი შეხვედრა მოხდა შორეულ ნაზარეთში. ეს ამბავი სადღაც თითქოს ეხმიანებოდა კიდეც შოთას უკვდავი პოემის სულს...

უკეთეს ეპიზოდს მომავალი ფილმისათვის ისრაელზე ვერც მოიფიქრებდა კაცი. გივი მელქაძე ფილმის ოპერატორიდან, ერთ-ერთ ეპიზოდში, მის გმირად იქცა. შტატივზე დადგმულ კინოაპარატთან გურამი დადგა, მე კი უბის წიგნაკში ისამის სიტყვები ჩავიწერე:

„— დიდად მოხარული ვარ, რომ ნაზარეთში შევხვდი ძველ მეგობარს, კარგ საბჭოთა ადამიანს, რომელმაც ოდესღაც გადაიღო ჩემთვის მხედველობის დაბრუნების რთული და წარმატებით ჩატარებული ოპერაცია.

ოდესის ფილატოვის სახელობის ინსტიტუტში მე ხუთი თვე ვიწექი. თავს შინაურებში ვგრძნობდი. ეს იყო გამოხატულება საბჭოთა ხალხის კეთილგანწყობისა არაბების მიმართ საზოგადოდ და ჩემს მიმართ, პირადად.

შემიძლია განვაცხადო, რომ ჩემს ცხოვრებაში არ შემხვედრია ხალხი უფრო ყურადღებიანი და მზრუნველი. თქვენთან ასე ექცევიან ყველას, განურჩევლად კანის ფერისა და ეროვნებისა. მე იქ გავეცანი ბევრ კარგ საბჭოთა ადამიანს, მათ შორის ქართველებს. ერთს, ბათუმელ გოგის, განსაკუთრებით დავუმეგობრდი.

მინდა თქვენი მომავალი ფილმის საშუალებით, კინოეკრანიდან კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ვუძღვნა საბჭოთა ხალხს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ფილატოვის სახელობის ინსტიტუტის მთელ კოლექტივს, განსაკუთრებით, პროფესორ დავით გრიგოლის ძე ბუშმიშს.

საბჭოთა ადამიანებს უყვართ მშვიდობა.

შემიძლია აღგითქვათ, რომ მთელ ჩემს უნარსა და შესაძლებლობას მოვახმარ მშვიდობის საქმეს. აი რითი შემიძლია გადავუხადო საბჭოთა ადამიანებს დიდი სიკეთე“...

ასე ამბობს ისამ ტანუზი და თან გვიჩვენებს არაბულ ჟურნალ-გაზეთებს, რომლებიც ფართოდ გამოხმაურებიან ამ იშვიათ ოპერაციას, ახალგაზრდა არაბის ბედნიერებას.

ისამი მამის კვალს მიჰყვება. პროფესიითაც და პოლიტიკური შეხედულებებითაც. მამამისი, ჯერ კიდევ ძალ-ღონით სავსე არაბი, 25 წლის წინათ შესულა კომუნისტური პარტიის რიგებში, პირველი კომუნისტია ნაზარეთში.

ისამის სურვილია კვლავ ჩამოვიდეს საბჭოთა ქვეყანაში, მოინახულოს ძველი ნაცნობ-მეგობრები, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები, რომლებმაც მას მხედველობა დაუბრუნეს.

მახსოვს, — იგონებს ისამი ,— პროფესორ ბუშმიშს ვკითხე, ვისი თვალი ჩამიდგით-მეთქი. პროფესორმა გაიცინა და მითხრა, — რუსისა. ნუ გეფიქრება, არაბულ შავ თვალებზე ნაკლებად არ ხედავსო.

ისამის შავგვრემან სახეზე ეს თაფლისფერი თვალები ცოტა ღია ფერისად გეჩვენებათ, მაგრამ სიცოცხლითა და ხალისით კი ბრწყინავს. მათში ანთია მზე და სიხარული, კეთილ ადამიანთაგან დაუშურებლად ბოძებული.

* * *

ქართულ სიძველეებს რომ დავეძებდით, ცხადია, ჩვენ თავისთავად მოწმენი ვხდებოდით ებრაელი ხალხის ყოველდღიური ცხოვრებისა, ვხედავდით ამ ცხოვრების კარგსა და ავს, ძველსა და ახალს.

ძველი და ახალი! მათი შერწყმა, ერთმანეთის გვერდზე ხილვა, იქნებ, ყველაზე დამახასიათებელია ისრაელის სინამდვილისათვის. ამ ქვეყნის ბიბლიური მიწა კაცობრიობის ცივილიზაციის ერთერთი აკვანიც არის და ამავე დროს მსოფლიოს ერთერთი ყველაზე ახალგაზრდა, სულ რაღაც 18 წლის წინათ შექმნილი სახელმწიფოს ტერიტორიაც.

ჩვენ მოგვეწონა ენთუზიაზმი და გულმოდგინება, რომლითაც ებრაელი ხალხი აშენებს თავის ახალ სახელმწიფოს. ამან თავისი ნაყოფი გამოიღო შედარებით მოკლე ხნის მანძილზე და, ალბათ, კიდევ უფრო შეცვლის საუკუნეების მანძილზე გამოხრულ-გახრიოკებულ მიწას. მთავარია ეს ენთუზიაზმი სწორად წარმართონ იმათ, რომელთაც დღეს აბარია ამ უნიჭიერესი ხალხის ბედი.

ჩვენ მოგვეწონა თადარიგიანობა და წესრიგი, ყოველი წუთის თუ ყოველი წვეთი წყლის რაციონალურად გამოყენების უნარი...

მრავალმხრივ მისაბაძად გვეჩვენა მშენებლობის კულტურა, რომელიც დგას თანამედროვე მოთხოვნებისა და გემოვნების დონეზე, ამასთან ორგანულად ითავსებს ნანგრევებიდან გაცოცხლებულ არქიტექტურულ-მხატვრულ ხაზებსა და მოტივებს. გემოვნებით გაშენებულ ბაღ-ბაღნარში ჩაფლული ყოველი სახლი ზის ერთიან არქიტექტურულ სტილში, ამასთან რაღაც საკუთარსა და განუმეორებელს მატებს ქუჩას, უბანს თუ ქალაქს.

სასიამოვნო იყო საბჭოთა ადამიანებისადმი სტუმარმოყვარული ყურადღებისა და კეთილგანწყობილების შეგრძნება. საკმარისია გავიხსენოთ მიღება, რომელიც გაუმართეს იმხანად ისრაელში ჩამოსულ ცნობილ საბჭოთა მწერალს კონსტანტინე სიმონოვს, სახელმოხვეჭილ მუსიკოსებს ლეონიდ კოგანსა და დიმიტრი ბაშკიროვს.

ლეონიდ კოგანის კონცერტი, რომელსაც ჩვენც დავესწარით, იყო თავისებური დემონსტრაცია ებრაელებისათვის ესოდენ დამახასიათებელი, თითქმის თანდაყოლილი მუსიკალური კულტურისა. უზარმაზარ, ხალხით გაჭედილ 3 ათასადგილიან საკონცერტო დარბაზში, როცა მევიოლინე უკრავდა, უბრალო შარიშურსა და ჩახველებასაც კი ვერ გაიგონებდით. სამაგიეროდ, როგორი იყო ოვაცია, როცა უკანასკნელი აკორდები მიწყდა. პირველი განყოფილების დამთავრებისთანავე მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და სცენას მიაწყდა. ოვაციასა და შეძახილებს ბოლო არ უჩანდა. მაშინ კოგანმა კიდევ ერთი კონცერტი შეასრულა პროგრამის დამატებით. ამჯერად ყველა ფეხზე იდგა და ისე უსმენდა მოწიწებით.

მთელი ეს ატმოსფერო როგორ არ ჰგავდა იმას, რისი უნებური მოწმენიც გავხდით ისრაელში კონრად ადენაუერის ჩამოსვლის დღეებში. მის მანქანას ყვავილებს როდი აყრიდნენ, არამედ პროტესტის ნიშნად წინ უვარდებოდნენ და უწვებოდნენ. ებრაელებისათვის — წმიდა ადგილებში მას ხალხის ზღვა კი-არ მიაცილებდა, არამედ პოლიციელთა მოტორიზებული, შეიარაღებული ნაწილი.

რა თქმა უნდა, ადამიანი თვალებზე ლიბრაგადაკრული ობივატელი უნდა იყოს, რომ ვერ შეამჩნიოს მრავალი მანკი და ნაკლოვანება, რაც კაპიტალისტურ სინამდვილეს ახლავს ხოლმე. ახლავს იგი ისრაელის სახელმწიფოებრივ ცხოვრებასაც.

ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი გაკვრით ე. წ. თეთრი და შავი ებრაელობის ურთიერთობის მწვავე პრობლემაზე. თუ ეს პრობლემა არსებობს, უპირველესად იმის გამო, რომ ქედმაღლურ შეხედულებებს შავი კონტინენტიდან გამოსულ ადამიანთა არასრულფასოვნებაზე აქაც გამოჩენიან მიმდევრები; უმთავრესად ოკეანისიქითა ქვეყნიდან ჩამოსულთა შორის, სადაც ლინჩის წესი და სეგრეგაცია დღემდე თავის უფლებებშია. ბუნებრივია, ყოველი ებრაელი, რომელიც პალესტინას დაუბრუნდა თავისი პატრიოტული მრწამსის კარნახით, შეურაცხყოფილია დისკრიმინაციის გამოვლინებით, რა შენიღბულ ფორმასაც არ უნდა ატარებდეს იგი. მართლაც-და, რატომ უნდა სარგებლობდეს ამერიკელი თუ ევროპელი ებრაელი უპირატესობებით, რატომ უნდა ღებულობდეს საგრძნობლად მეტ ხელფასს ერთსა და იმავე სამუშაოში, ვიდრე აფრიკელი ებრაელი. ნუ თუ მხოლოდ იმიტომ, რომ აფრიკიდან გამოსულს კანი მოშავოდ აქვს შეფერილი?

ისიც საკითხავია, ასეთ პირობებში შეიძლება თუ არა არაბს ჰქონდეს მაინცა და მაინც დიდი იმედი ეროვნული თანასწორობისა; მით უმეტეს, თუ მას საგანგებო ნებართვის გარეშე ეკრძალება შევიდეს „წმინდა ქალაქში“.

ასეთ მწვავე საკითხებზე რომ არაფერი ვთქვათ, გაუგებარია, როგორ იგუებს ისრაელის მოწინავე საზოგადოებრიობის აზროვნებისა და კულტურის თანამედროვე, მაღალი დონე ორთოდოქსალური იუდაიზმის ფანატიკურ დოგმებს. ამ დოგმების დაჟინებული და ბრმა დაცვა-ერთგულება ხომ ყველას თვალწინ ასე ამახინჯებს ადამიანის ფიზიკურ და სულიერ სახეს, დაჩიავების, გადაგვარების პირამდე მიჰყავს საზოგადოების თვალსაჩინო ნაწილი.

ფაქტია, რომ ისრაელში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ყველაფერ ამას, ჯერჯერობით, ბაზისს უქმნის გარედან მიღებულ-შემოგზავნილი დახმარება. ისრაელის ეკონომიკას დღეს-დღეობით ამაგრებს მთელ მსოფლიოში გაფანტულ ებრაელ მილიონერთაგან გაღებულ შემოწირებულებათა ფონდი და დასავლეთ გერმანიიდან შემოსული რეპარაციები, მეორე მსოფლიო ომში ებრაელობისათვის მიყენებული აუნაზღაურებელი ზა-

რალის საფასურად. საკუთრივ ისრაელის ეკონომიკას, როგორც ამას ოფიციალური წყაროებიც ადასტურებენ, ჯერ კიდევ არ ძალუძს საკუთარ ფეხზე იდგეს. ეს ეკონომიკა მაინც გარედან დაწოლას განიცდის და თავისი ხასიათით დაქვემდებარებულია. ეს გარემოება კი ბადებს ძნელად გადასაჭრელ სიძნელეებს. ამას არც ოფიციალური პირები უარყოფენ. ასე, მაგალითად, ჩვენს იქ ყოფნაში ისრაელის ფინანსთა მინისტრმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ „ისრაელის ეკონომიკის გამოჯანსაღების პირველი ნაბიჯი უნდა გახდეს ფარული უმუშევრობის ლიკვიდაცია. უმუშევარი გვყავს 90 ათასი მშრომელი“.

იმავეს ადასტურებს ეკონომისტი, დოქტორი მოშიოვი, — ისრაელში 100 ათასი უმუშევარია.

ამიტომაც მოდიოდნენ აშტოდსა და დიმონაში მუშები საპირველმაისო დემონსტრაციაზე პლაკატებით: „მოგვეცით პური და სამუშაო!“ აშტოდში დემონსტრაცია დამთავრდა პოლიციასთან სისხლისმღვრელი შეტაკებით და 60-მდე უმუშევრის დაპატიმრებით.

ისრაელის სოფლის მეურნეობა ძირითადად აკმაყოფილებს შინაური ბაზრის მოთხოვნებს. ეს თვალსაჩინო მიღწევად უნდა ჩაითვალოს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საუკუნეთა მანძილზე ებრაელობა მოწყვეტილი იყო მიწას და გადაჩვეული მის დამუშავებას. ებრაელი დღეს კვლავ გახდა მიწის მაშვრალი, თუმცა მას ამჯერად თანამედროვე ტექნიკა ეხმარება. კავსა და გუთანს არაბული დასახლების ადგილებში თუ შეხვდებით.

მიწები ძირითადად სახელმწიფოსა და ებრაელთა ეროვნული ფონდის საკუთრებაა და მუშავდება იჯარის წესით. კერძო, კაპიტალისტური მეურნეობების გვერდით, არსებობს სხვადასხვა სახის კოლექტიური გაერთიანებანი, ძირითადად ე. წ. „კიბუცის“ სახით. ერთ-ერთი ასეთი კიბუცა ჩვენც მოვინახულეთ შარონის ნაყოფიერ ველზე. მას მართავს წევრთა საერთო კრება. მთელი ქონება კოლექტიური საკუთრებაა, წევრთა მატერიალურ მოთხოვნებს უზრუნველყოფს კომუნა. შრომის ორგანიზაცია ეწყობა კოლექტიურ საწყისებზე. ოჯახები ცხოვრობენ ინდივიდუალურ ბინებში. რაც შეეხება ბავშვებს, სასკოლო ასაკიდან მოკიდებული, ცხოვრობენ ცალკე, იმ კლასის შენობაში, რომელშიც სწავლობენ. ყოველ კლასს თავისი საკუთარი შენობა აქვს, რომლის მოწყობილობა სახეს იცვლის ბავშვის კლასიდან კლასში გადასვლისა და მისი გონებრივი და ფიზიკური მოთხოვნილებების მიხედვით. ერთი სიტყვით, ბავშვები უფროსებისაგან დამოუკიდებლად ცხოვრობენ თავიანთ ქალაქში, იმუშავებენ შრომის, ურთიერთობის, დამოუკიდებელი არსებობის ჩვევებს. ბავშვის კლასში დატოვება არ ხდება. საშუალო განათლების კურსის გავლის შემდეგ, ყველანი მიჰყავთ ჯარში, განურჩევლად სქესისა.

კიბუცი „მაბაროტი“, რომელიც ჩვენ ვნახეთ, ეტყობა, ერთ-ერთი საჩვენებელ-სანიმუშოა. ასეთები კი ცოტა ყოფილა. კიდევ მეტი. კიბუცების მეტი ნაწილი, თურმე, კისრამდე ვალებშია და სულს ღაფავს. ამას თავისი მიზეზები აქვს.

ჯერ ერთი, კიბუცი როდია გლეხური მეურნეობა ნამდვილი გაგებით. მისი სანიმუშო მოდელი შემუშავებულია უტოპიური „კომუნის“ პრინციპების მიხედვით. ამიტომ მას არ ძალუძს აიყოლიოს და დაიქვემდებაროს გლეხური მასები, იგი ისრაელში ძლიერიც რომ იყოს. კიბუცა ხელმოცარულ წვრილ ბურჟუათა და შრომისმოყვარე პატიოსან ინტელიგენტთა ქმნილებად გვეჩვენა.

მიუხედავად ამისა, კიბუცა უდავოდ უფრო პროგრესულია კაპიტალისტურ მეურნეობებთან შედარებით. ალბათ, ამიტომ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, კოლექტიური შრომის პრინციპებზე დაფუძნებულ მეურნეობებს კაპიტალი რომ ასე ავიწროვებს და ხელთ იგდებს, ძირითადად საბანკო სესხების საშუალებით. ამაზე მეტყველებს კიბუცებში გაერთიანებული მოსახლეობის პროცენტისა და მის მიერ წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წონის შემცირება წლიდან წლამდე.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ემიგრანტთა რიცხვის ზრდის კვალობაზე, სულ უფრო რთულდება მათი შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობის საკითხი. ამიტომ თუ კი პირველ ხანებში ებრაელობის სწრაფვას ისრაელისაკენ ძირითადად პატრიოტული აღტკინება და სიონისტური მოწოდებები განაპირობებდნენ, შემდეგ ხანებში ასეთ ნაბიჯს უფრო მეტი აწონ-დაწონვის შემდეგ გადადგამენ ხოლმე. სინამდვილემ ბევრს დაანახვა, რომ სამშობლო ყველას თანაბარი სითბოთი და ალერსით როდი ხვდება, რომ ერთისთვის ნამდვილი დედაა, მეორისთვის კიდევ — დედინაცვალი.

ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, დიდი ქონებითა და შეძლებით ჩასულთათვის საჭირო არ არის კოლონისტთა ვიწრო, ბარაკული ტიპის შენობებში ცხოვრება, საარსებო პირობების შექმნაზე ფიქრი. ისინი ნებისმიერ ადგილებში უმალ აშენებენ წალკოტში ჩაფლულ ფეშენებელურ სახლებს, ადვილად ახერხებენ სარფიანი და ხელსაყრელი ეკონომიური საქმიანობის წამოწყებას, მდგომარეობისა და გავლენის შექმნას. ღარიბთ და ხელმოკლეთ, მხოლოდ საკუთარი შრომის მოიმედეთ, უჭირთ.

იერუსალიმში, ერთ პატარა მაღაზიაში, ჩვენ შევხვდით ახალგაზრდა ინჟინერს, რომელიც ისრაელში ჩამოსვლამდე საბჭოთა ინ-

ქინრად მუშაობდა. აქ კი დიდხანს სამუშაო ვერ იშოვნა და შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, სასურსათო მაღაზიის პატრონს ნოქრად დაუდგა, კარებთან დგას და მუშტარს ეპატიჟება.

შეუძლებელია დაგავიწყდეთ სახეები ადამიანებისა, რომლებიც საბჭოთა საელჩოში მოდიან და თვალცრემლიანნი იხვეწებიან — კვლავ დაგვაბრუნეთ საბჭოთა კავშირშიო.

ალბათ, არასოდეს დამავიწყდება სურათი, როცა ინტელიგენტური გარეგნობის, დაღლილი სახის, გაცვეთილ-დაკუმუკვნილ კოსტუმში გამოწყობილი კაცი ხელების კანკალით იხდიდა ჯიბიდან ამოფხეკილ უკანასკნელ გროშებს ერთ ნაჭერ პურსა და კატლეტში. იმის მიხედვით, თუ რა ხარბად ჭამდა, ადვილად დაასკვნიდით, რომ დიდი ხნის მშიერი იყო.

მწუხარების ცოცხალ ჩრდილად წარმომიდგება ლატვიელი მოხუცი ცოლ-ქმარი: აწოწილი, წელში მოხრილი ბერიკაცი პირში ჩიბუხით და რუმბივით ფეხებდასიებული დედაბერი. მათ პატარა ფარდულს, სადაც თაგვიც კი კუდს ვერ მოიქნევს, არავინ ეკარებოდა. მეტად უღიმღამო იყო მათი იმედის უკანასკნელი თავშესაფარი, ყავლგასული და დამტვერიანებული — სავაჭროდ გამოტანილი წვრილმანი საქონელი. ეტყობოდა, მათხოვრობამდე ერთი ნაბიჯი-ღა რჩებოდა.

იერუსალიმისა და თელ-ავივის ცენტრების ბრწყინვალებასთან დიდ კონტრასტს ქმნის გარეუბნების ვიწრო ქუჩები, ძველი სახლებითა და ქოხმახებით. აქ ხშირად სავაჭროდ გამოფენილია ისეთი რამ, რასაც წესით სანაგვე ყუთში უნდა ჰქონდეს მიჩენილი ადგილი. ძველი იაფის ერთერთ ქუჩაში ჩვენ წავაწყდით ყოვლად უცნაურ სავაჭროს. ვიღაც ებრაელი ძველმანი თეთრეულის ზღვაში იჯდა და თავისი საქონლის დახარისხებით იყო გართული. ნახმარი თეთრეულის მტვერისაგან ისე იყო გათეთრებული, სახეს ვერც კი გაარჩევდით. ადვილად წარმოსადგენია, რამდენ ათას ავადმყოფობის ბაცილას ყლაპავს ყოველდღიურად, მაგრამ რა ქნას, მისი ბიზნესი ეს არის, წყალწაღებული კაცის უკანასკნელი ბიზნესი. თუ ამ გზითაც ვერაფერი იშოვნა, რჩება ერთადერთი გზა — უნდა შეუერთდეს იმ ბიბლიურ წვერებიან მათხოვრებს, ხელებგაწვდილნი რომ დადიან ქუჩებში.

ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ მსგავს მოვლენებს საგანგებოდ ვუდარაჯებდით. ამისთვის როდი გვეცალა. ჩვენ უბრალოდ ფაქტებს აღვნიშნავთ; ფაქტებს, რომლებიც არც აღმოჩენაა და არც ერთი რომელიმე კაპიტალისტური ქვეყნის თანამგზავრი.

ასეთ ფაქტებზე ოფიციალური წყაროები და ოფიციალური პირები, ჩვეულებრივ, დუმილს არჩევენ, მაგრამ ამით ასეთი ფაქტები როდი ისპობიან. მათი არსებობა გამოწვეულია მთელი რიგი გადაუჭრელი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემებით. ისრაელში არიან ძალები, რომლებიც ამ პრობლემებზე პირდაპირ და დაუფარავად ლაპარაკობენ. სახავენ მათი გადაჭრის რეალურ გზებს.

ერთი ასეთი საზოგადოებრივი მსჯელობის მოწმენი ჩვენც გავხდით. იმ დღეს კიბუცის ნახვა გვქონდა განზრახული და გზად კომუნისტური გაზეთ „კოლ გაპამის" („ხალხის ხმა") რედაქციაში შევიარეთ, რათა თან ნაცნობი ჟურნალისტი წაგვეყვანა. დილის გადაღებაზე დავყოვნდით, ამიტომ რედაქციაში მისვლა რამდენიმე საათით დაგვაგვიანდა. როცა მივედით, სამუშაო საათები დამთავრებული იყო, მაგრამ რედაქციის მუშაკები და სტამბის მუშები შენობის წინ ირეოდნენ. თურმე საპირველმაისო შეხვედრაზე იკრიბებოდნენ. ცოტახნით დარჩენა ჩვენც გვთხოვეს.

როგორც გამოირკვა, გაზეთის რედაქცია და სტამბა იმავე შენობაში ყოფილა მოთავსებული, რომელიც ისრაელის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს უჭირავს. შენობა თუმც ძველია, მაგრამ სიმბოლურად გვეჩვენა ის, რომ იგი დგას ყველაზე მუშური რაიონის ცენტრში, თელ-ავივის გარეუბანში. შენობის ყოველი ფანჯრიდან წმიდად მუშური პეიზაჟი იშლება — ღარიბთა უბნები, ჩაჟანგებულ-გაქვარტლული სახელოსნოები და საწარმოები.

უბრალო სადღესასწაულო სუფრა საბჭედ საამქროში გაეშალათ. სუფრაზე — სულ რამდენიმე ბოთლი არაყი, უფრო ბლომად ლუდი და ბუტერბროდები ელაგა. ჩვენ უმალ მოგვხიბლა ნამდვილად მუშურმა, ძალდაუტანებელმა მეგობრულმა ატმოსფერომ, დემოკრატიულმა სულმა, როცა სტამბის მუშა და რედაქტორი ერთ ტაბურეტზე იყვნენ ჩამომსხდარნი, ხოლო პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს, სიტყვას რომ ამბობდა, მოწონების ნიშნად მხარზე უთათუნებდნენ ხელს.

შეხვედრა გახსნა რედაქციის მდივანმა, რომელმაც სიტყვა მისცა სტამბის მუშათა კომიტეტის წარმომადგენელს. შემდეგ კი ილაპარაკა გაზეთის მთავარმა რედაქტორმა, ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და მდივანმა მოშე სნემ.

— ჩვენში ასეთი ტრადიციაა, — თქვა მან,— ოქტომბრისა და პირველი მაისის დღესასწაულებს ერთობლივად აღვნიშნავთ. გარდა იმისა, რომ ამით ხაზს ვუსვამთ ამ ორი დღესასწაულის განუყრელობას, ამაში არის სიმბოლიური აზრი მუშათა კლასის მიზანთა ერთიანობისა.

ისევე როგორც ყოველი ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე, ისრაელის მუშათა კლასის წინაშეც მრავალი პრობლემა დგას. მათ არსებობას თვით ბურჟუაზიული პრესაც ვერ უარყოფს. სიტყვიერად რომ უარყოს კიდეც, ცხოვრება გვახსენებს მათს არსებობას. მაგალითად,

გაფიცვები ვისიმე უბრალო სურვილით კი არ ხდება; მას კაპიტალისტური სინამდვილე წარმოშობს. იმისათვის, რომ თავიანთთვის არასასურველი მოვლენები თავიდან აიცილონ, კაპიტალისტები ხრიკებს მიმართავენ. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა შეგნებულების ამაღლებას და ჩვენი რიგების ერთიანობას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი გაზეთი. და რომ ამ სამსახურს გაზეთი ცუდად არ ეწევა, ამას ადასტურებს ერთი კაპიტალისტის განცხადება: — როცა ამ გაზეთს დილის 8 საათზე ვკითხულობ, უკვე ვიცი, რას მეტყვიან მუშები დღის 12 საათზეო.

ჩვენი გაზეთი თუმც პატარა ფორმატისაა და მატერიალურად შეზღუდული, ზემოქმედების ძალა დიდი აქვს, რადგან სიმართლეს ქადაგებს. იგი სჭირდებათ არა მარტო კომუნისტებს, არამედ სჭირდება მთელ ხალხს, რათა მისი გონება არავინ მოადუნოს საყოველთაო კეთილდღეობისა და თანასწორობის ზღაპრებით, არ მოწამლოს ნაციონალიზმის შხამით.

ჩვენი ამოცანებია: მუშათა კლასის ინტერესების დაცვა, ისრაელის მომავლის უზრუნველყოფა სოციალური და პოლიტიკური თანასწორობის საფუძველზე, ებრაელებსა და არაბებს შორის ნდობისა და მეგობრობის დამყარების საფუძველზე. ჩვენ ვგმობთ ყოველგვარ შოვინიზმს, სულერთია, ექნება მას ადგილი ებრაელების თუ არაბების მხრივ. მათ შორის სიმშვიდესა და თანამშრომლობაზე უნდა აიგოს ჩვენი მომავალი.

ჩვენი დროშაა ინტერნაციონალიზმი.

ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ვიეტნამელ ხალხს, ყველა ხალხს, რომელიც იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ჩვენ სრულ სოლიდარობას ვუცხადებთ საბჭოთა ხალხს მის ბრძოლაში კომუნიზმის მშენებლობისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და სამართლიანობის განმტკიცებისათვის...

საქმიან ლაპარაკს მოსდევდა სიმღერა-მხიარულება. სიცილისაგან მთელი საამქრო ზანზარებდა, როცა მუშა-ლინოტიპისტმა ხაიმ რაცადიმ წაიკითხა გაზეთებში გაპარული კურიოზული შეცდომები, რომლებიც ენაკვიმატ და მხიარულ მუშას გულმოდგინედ ამოეწერა.

შეკრებილებმა ერთსულოვნად შესვეს ჩვენი სადღეგრძელო, წარმატებები უსურვეს საბჭოთა ხალხს. დაწვრილებით გვეკითხებოდნენ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეზე, საბჭოთა ებრაელობის ცხოვრებაზე.

საპასუხო სიტყვაში ხაზგასმით აღვნიშნეთ ისტორიული და ტრადიციული მეგობრობა, რაც ებრაელ ხალხთან გვაკავშირებს; ის ფაქტი, რომ ჩვენში არასოდეს არ ჰქონია ადგილი ანტისემიტურ გამოსვლებს, რომ ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილებს არაერთხელ გაუწირავთ საკუთარი სიცოცხლე ებრაელთა უფლებების დასაცავად. ბევრს თვალზე ცრემლიც აუბრწყინდა, როცა ვუვებოდით საბა გლდანელს თავდადების ამბავს.

ამ შეხვედრამ კიდევ უფრო ღრმად დაგვარწმუნა, თუ რაოდენ დიდია ებრაელი ხალხის მასების სიმპათიები საბჭოთა ქვეყნისა და მისი ხალხისადმი. თუმცა ისიც ცხადია, რომ ეს განწყობილება ყოველთვის როდი პოულობს სათანადო მხარდაჭერას ზოგიერთ ოფიციალურ ფენებში.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ისრაელის საშინაო და საგარეო საქმეებში ხელებს აფათურებენ ოკეანისგაღმელი იმპერიალისტები. მათი სურვილია ისრაელის სახელმწიფო, მისი ეკონომიური ბერკეტების ხელში ჩაგდებისა და დიქტატის გზით, გადააქციონ თავიანთი ინტერესების პლაცდარმად აზიაში. ყველაფერი ეს გარეგნულად ატარებს უანგარო „დახმარების“ იერს, თუმცა ეკონომიური დახმარების უდიდესი ნაწილი ხმარდება აგრესიული მუშტის შექმნას არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ჩვენ შემთხვევა მოგვეცა დავსწრებოდით სამხედრო პარადს ხაიფაში. იგი უდავოდ შთამბეჭდავი იყო: უახლესი ტიპის ამერიკული საბრძოლო თვითმფრინავებისა და საჭურველის დემონსტრაციით, სხვადასხვაგვარეობის ჯარის ნაწილთა საბრძოლო იერითა და გაწრთვნილობით. ტრიბუნებზე განსაკუთრებული აჟიოტაჟით ხვდებოდნენ ქალთა ნაწილების გამოჩენას.

რა თქმა უნდა, ყოველ სახელმწიფოსა და ხალხს მართებს იზრუნოს თავისი თავდაცვისა და უშიშროებისათვის, მაგრამ ისრაელისა და არაბული ქვეყნების საზღვრებზე მომხდარი სისხლისმღვრელი ინცინდენტების ანალიზი ხშირად ცხადყოფს, რომ ზოგიერთებს სურთ ისრაელის შეიარაღებული ძალები თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ. ეს კი, ჩვენი ღრმა რწმენით, ძირშივე ეწინააღმდეგება ებრაელი ხალხის ინტერესებს, იმათ მისწრაფებებს, რომლებიც იარაღს იღებენ წმიდა პატრიოტული მრწამსითა და შეგნებით.

• • •

არის პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში, ადრეული სიჭაბუკის წლებში, როცა მას განსაკუთრებით იტაცებს და აბრუებს მითებისა და ლეგენდების შორეული მომხიბვლელობა, ჯერ კიდევ გაუხსნელ აზრთა და შეუცნობელ სახეთა ბუნდოვანება. იქნებ, ეს სიყმაწვილის საერთო სენია ან ლიტერატურით უზომო გატაცების შედეგი. ყოველ შემთხვევაში ჩვენი მშობლიური სკოლის „გაუსწორებელმა ლიტერატორებმა“, როგორც იტყოდა მათემატიკის მასწავლებელი სევერიან მდივანი, ეს გატაცება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვცადეთ. არჩილ ტოტოჩავა და კუკური ფოცხიშვილი, ილო და ნოდარ ალანიები, გიორგი სალუქვაძე და გოგიტა ლორთქიფანიძე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ძველი და ახალი აღთქმის ზღაპართა ცოდნაში, გაბრუებულებივით იმეორებდნენ ფსალმუნებისა და აპოკალიფსის სტრიქონებს. ჩვენ არ გვტოვებდა ბუნდოვანი შეგრძნება იმისა, რომ რაღაც მკრეხელობას ჩავდიოდით, მაგრამ საკლასო თხზულებებში დიდად გვსიამოვნებდა ახლად აღმოჩენილი იდუმალი სიტყვებისა და გამოთქმების გაპარება.

— ყმაწვილებო, — გვეტყოდა ლიტერატურის ჩვენი სათაყვანებელი მასწავლებელი სერგო ვადაჭკორია, — ეს სიტყვა სწორად ვერ გაგიგიათ. გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელები ამ სიტყვას ასეთი აზრით ხმარობენ...

ახლა იწყებოდა, სანამ ხელი მიგვიწვდებოდა, ძველი წიგნების ჩხრეკა და კამათი ახლადაღმოჩენილი რაიმე ბიბლიური სიტყვისა თუ სახელის გარშემო. ასე ივსებოდა ჩვენი წარმოდგენები და ცოდნა შორეულ, ლეგენდების ბურუსით შემოსილ მხარეზე. იქნებ, ამის შედეგიც იყო, რომ ჩვენ უკვე მეტ პატივისცემას ვგრძნობდით თანაკლასელ ებრაელთა მიმართ. ეს სიმპათია შემდეგ ბანძელ მეწვრილმანეებზედაც კი გადავიდა. იქნებ, იმიტომაც მგვრიდა რაღაცნაირ სიამოვნებას მიქელანჯელოს მოსეს ბანძელი ორეულის აბრამ აჯიაშვილის ნახვა. ისიც მეწვრილმანე იყო, მაგრამ მის ღრმა თვალებში რაღაც სხვა, ამოუხსნელი სევდა იკითხებოდა, ძალიან შორიდან მზირალი.

ებრაელი კაცის ფიზიკური არსების მხატვრულ ეტალონად შეცნობილ ამ სახეს მე კიდევ ერთხელ შევხვდი, მაგრამ ამჯერად თვით პალესტინაში, იერუსალიმში, ისრაელის ეროვნული მუზეუმის ტერიტორიაზე, პირდაპირ ღია ცის ქვეშ მოწყობილი თანამედროვე ქანდაკების საექსპოზიციო მოედანზე ჩვენ დიდხანს ვიდექით იუგოსლავიელი მოქანდაკის მეშტროვიჩის „მოსეს“ წინაშე. სადა, ოთხკუთხა პედესტალზე მყარად მდგარ მძლავრ მკერდს დაჰფენია ბიბლიური წვერი. დაფანჩულ წარბებს ქვემოდან მზირალ გამჭრიახ თვალებზე, მეტყველად დაძაბულ თითებსა და ტუჩებზე ეტყობა, რომ წინასწარმეტყველი რაღაც მნიშვნელოვანსა და დიადს ეუბნება თავის ხალხს.

ეს იდუმალი ენა, ალბათ, განსაკუთრებით კარგად ესმის ებრაელ ჟურნალისტს რაულ ტეტელბაუმს. ამ ახალგაზრდა კაცს, რომელმაც სიეაბუკეში გამოიარა ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკის ჯოჯოხეთი, გარეგნულად თითქოს არც კი შეხებია ცხოვრების სუსხი. კეთილი სახე ყოველთვის ნდობის აღმძვრელი ღიმილით აქვს განათებული. მხოლოდ თვალებზე ეტყობა, რომ ცხოვრების მწარე სიბრძნე ნაგემი აქვს. ალბათ, ამ გამოცდილებით შეძენილმა დასკვნებმა მიიყვანა იგი კომუნისტური პარტიის რიგებში.

ამ გულთბილ და უშუალო კაცს ძალიან დავუახლოვდით. რამდენჯერ ვიყავით მის ოჯახში. დიასახლისები — რაულის დედა და ცოლი სტუმრათმოყვარულად გვხვდებოდნენ. თავს იმდენად შინაურულად ვგრძნობდით, რძალ-დედამთილიანის უკვდავ თემასაც კი შევეხეთ ხუმრობით. რაულის გოგონებს ძალიან მოეწონათ ქართულ კაბაში გამოწყობილი პატარა დედოფლები.

ვიდრე გივი იღებს, რაული და მე ვათვალიერებთ დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილ ქანდაკებათა კოლექციებს, ძველსა და ახალს, რეალისტურსა და ულტრამოდერნისტულს. განსაკუთრებით სრულად არიან წარმოდგენილი ოგიუსტ როდენის, ონორე დომიესა და იაკობ ეპსტეინის დედნები. თანამედროვე სკულპტორთა ნამუშევრებს შორის შეხვდებით ისეთ „შედევრებს“, რომელთაც აბსტრაქციული ხელოვნების ყველაზე აღგზნებული თაყვანისმცემლებიც კი უხერხულად ჩაუვლიან გვერდს. მაგრამ არის ნამუშევრები, რომლებიც გაჯერებთ მათი შემქმნელების ძიების ჭეშმარიტ აზრში. მაგალითად, ერთი შეხედვით, გამაღიზიანებელიც კია ჟაკ ლიფშიცის „დედა და შვილი“, მაგრამ განგებისად გატლანქებულ ფორმაში შთაგონებით არის ჩაქსოვილი მშობლიური სიყვარულის უსაზღვრო სინაზე და აღმაფრენა. ფეხებგაჩაჩხულ აფთარს მოგაგონებთ ლინ ჩედვიკის ბრინჯაო, მაგრამ ამ ხახადაღებული უსახო არსების მომწოდებელი ხმა თითქოს ცას აზანზარებს. კარგია, ნამდვილად კარგი. ჩემი და რაულის აზრი ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს, თითქმის არ ვდაობთ.

გზას განვაგრძობთ წიგნის სასახლისაკენ. ისრაელის ეროვნული მუზეუმი თანამედროვე ფორმის ფართო არქიტექტურული ანსამბლია, რომელშიც ქანდაკებათა პარკისა და წიგნის სასახლის გარდა, შედის სახვითი ხელოვნებისა და ბიბლიური არქეოლოგიის მუზეუმი.

საქართველოს მსგავსად, პალესტინაში ყოველ ნაბიჯზე ისტორიას აწყდებით. დროის შეზღუდულობის გამო, სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ მცირედი რამ ვნახეთ უშუალოდ ებრაელი ხალხის ისტორიასთან დაკავშირებული. პირველი — ეს იყო მეფე დავითის საფლავი სიონის მთაზე. თუ ამ ბიბლიური მეფის არსებობა ნამდვილად მითია და სხვა არაფერი, მაშინ უთუოდ გენიალური მისტიფიკატორი იყო ის, ვინც მის საფლავს ასეთი გარეგნული სახე და მშვიდი ბუმბერაზობა მიანიჭა. ძნელია მორწმუნემ არ იწამოს მისი ნეშტის ფიზიკური არსებობა ამ აკლდამის ქვეშ. ალბათ, ამიტომაც არის ესოდენ გულმხურვალე ებრაელ მლოცველთა ღაღადისი აქ, რაღაც არაამქვეყნიურ ექსტაზში გადასული.

ჩვენ ვნახეთ და გადავიღეთ რომაელთა ბატონობის ხანაში პალესტინის დედაქალაქ კესარიის ნანგრევები. იგი ახლაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს წმინდა რომაული, რამდენადმე მშრალი, მაგრამ მაინც გრანდიოზული არქიტექტურული დაგეგმარებითა და ნატიფი ფორმებით.

ყველაზე მეტად გვაინტერესებდა მკვდარი ზღვის ნაპირებთან აღმართული კუმრანის კლდის გამოქვაბულებისა და რომაელთა წინააღმდეგ ებრაელთა უკანასკნელი თავგანწირული ბრძოლის მოწმე სიმაგრის—მასადის ნახვა. ამისთვის, როგორც გამოირკვა, მთელი ორი დღის მგზავრობა მაინც დაგვჭირდებოდა ნეგევის უდაბნოში. ამდენი დრო კი ჩვენ აღარ აღმოგვაჩნდა. ეს ადგილები იმითაც არის საყურადღებო, რომ აქ აღმოჩნდა ძველებრაული ხელნაწერები, რომელთა შესახებ თავის დროზე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა.

ეს ხელნაწერები ამჟამად იერუსალიმში, წიგნის სასახლეში, ინახება. ჩვენც სწორედ მისკენ მივდივართ და რაული გვიყვება ამ ხელნაწერების აღმოჩენასთან დაკავშირებულ ამბებს.

მკვდარი ზღვის ხელნაწერთა გრაგნილებმა, გამოქვაბულთა სიბნელეში ორიათასწლოვანი ტყვეობის შემდეგ, დღის სინათლე იხილა სწორედ იმ კვირას, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხმა მისცეს ისრაელის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. კიდევ უფრო გასაოცარი აღმოჩნდა მეორე დამთხვევა. როგორც რაული ამბობს, 99 წლის 18 დეკემბერით დათარიღებული ერთერთი წერილი ნაბათისა, საუკუნეების შემდეგ ზუსტად იმავე დღეს უპოვნიათ.

კუმრანის ხელნაწერთა აღმომჩენი არაბი გლეხისაგან გრაგნილები სირიის ეპისკოპოსის ხელში მოხვედრილა. ეპისკოპოსს უმალ უყნოსია, თუ რა ძვირადღირებული საგანძური ჩაუვარდა ხელთ და თავი ამერიკაში ამოუყვია. იქ კი 1947 წელს ხელნაწერთა პირველი სამი გრაგნილი. მდიდარ ებრაელთა შემწეობით, შეუსყიდია ისრაელის ცნობილი არქეოლოგის იგაელ იადინის მამას — პროფესორ სუკენიკს. რამდენიმე წლის შემდეგ კი, უკვე ისრაელის სახელმწიფოს დავალებით, დანარჩენი ოთხი გრაგნილი თვით იადინმა შეიძინა და ჩამოიტანა.

წიგნის სასახლის არქიტექტურული ფორმა ფრიად ორიგინალურია. მისი გუმბათი მიმსგავსებულია თიხის მოგრძო ჭურჭლის წოწოლა სახურავს, რომელშიც ძველად ჩვეულებრივ ინახავდნენ ხოლმე ხელნაწერებს. ქათქათა გუმბათის ხაზები განსაკუთრებით ნათლად იკითხება შავი ბაზალტის უზარმაზარი მონოლითის ფონზე. არქიტექტორთა ჩანაფიქრით, ეს კედელი განასახიერებს ორი ათასი წლის მანძილზე ებრაელი ხალხის მიერ განვლილ ვაებას, ხოლო თეთრი გუმბათი მის სწრაფვას სინათლისაკენ. ამ ნაგებობას ორიგინალობას ანიჭებს ისიც, რომ გუმბათის გარდა, მთლიანად მიწის ქვეშ არის მოქცეული. ამით იგი, თითქოს, მიგვანიშნებს ორი ათასი წლის მანძილზე სიბნელის ტყვეობაში მყოფ ხელნაწერთა ბედს. გარდა ამისა, როგორც ამბობენ, რაიმე კატასტროფული საფრთხის შემთხვევაში, საკმარისი იქნება ღილაკზე თითის დაჭერა, რომ მთელი სასახლე თავისი საგანძურით ყოველგვარი საფრთხისათვის მიუწვდომელ სიღრმემდე ჩავიდეს მიწაში.

ხელნაწერთსაცავში რომ შევდიოდით და ჩვენს შთაბეჭდილებებს ერთმანეთს ქართულად ვუზიარებდით, კარისკაცმა გაგვაჩერა, — საიდან ხართო. საბჭოთა კავშირიდან წამოსული ებრაელი აღმოჩნდა — სოლომონ შნაიდერმანი. ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა არმიის რიგებში უბრძოლია, უკრაინის ფრონტებზე. ორჯერ დაჭრილა და თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში წოლილა. ზედმიწევნით კარგად იცნობს ჩვენს დედაქალაქს, განსაკუთრებით ნაძალადევის უბნით დაინტერესდა, 9 ძმის ქუჩაზე ძველი ნაცნობებიც მოიკითხა. ძალიან გაუხარდა ჩვენი ნახვა, ამ შეხვედრის სამახსოვრო სურათი გადავიღეთ აქვე და წიგნის სასახლის კიბეებზე დავეშვით.

ამ ჭეშმარიტად დიდებული სასახლის თაღის ორმაგი პარაბოლა ზევით აუტყორცნია დაუმუშავებელი ციკლოპური ლოდების მრგვალ კედელს, რომლის დიამეტრი იატაკის დონის გასწვრივ ოცდახუთი მეტრია. სახურავს ქვემო გახსნილი სარკმელიდან იღვრება დღის სინათლე, რომელიც თვალის გაღიზიანების გარეშე როგორღაც რბილდება გამოფენილ ექსპონატებზე. ხელნაწერთა გრაგნილები, ზოგი დახვეული და ზოგიც გაშლილი, დევს გამოქვაბულის ფორმის ოდნავ სტილიზებულ ნიშებში. იქვეა — თიხის მოგრძო ჭურჭლები და რამდენიმე ტყავის გუდა, რომლებშიც ეს ძვირფასი ხელნაწერები აღმოჩნდა. მათთან ერთად ხედავთ კუმრანსა და მასადაში გადარჩენილ არქეოლოგიურ მასალას. წარმოდგენის სისრულისათვის გამოფენილია ფერადი ფოტოები და დიაპოზიტივები, რომლებზედაც აღბეჭდილია ყველაფერი ისე, როგორც აღმოჩენათა მომენტში იყო. ზოგიერთი რამ შევსებულია თანამედროვეთა ფანტაზიით და პირობითად აღადგენს მასადის ტრაგიკული ეპოპეის ეპიზოდებს.

ისრაელის ეროვნული მუზეუმის მთელი ეს კომპლექსი და უნივერსიტეტის ქალაქის კორპუსთა ანსამბლი, თავისი არქიტექტურული ფორმებით უაღრესად თანამედროვე, გორაკიდან პირდაპირ გადაჰყურებს ქვემოთ, ზეთის ხილის ხეების ჭალაკის ბოლოში აღმართულ ჯვარის მონასტერს. მოპირდაპირე მხარეს, შემაღლებაზე, მოჩანს ახალი კვარტალები, ხელმარცხნივ — მთავრობისა და პარლამენტის

ახალი რეზიდენცია, ხელმარჯვნივ კი, მთების ძირში, მიიკლაკნება თელ-ავივისაკენ მომავალი გზა. ასე რომ, ოდესღაც იერუსალიმის განაპირას მდგარი ქართული მონასტერი ამჟამად ქალაქის ახალ კვარტალთა შუაგულშია მოქცეული.

ისრაელის დედაქალაქის თანამედროვე ნაგებობათაგან განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა რამდენიმე. კერძოდ, უნივერსიტეტის ქალაქს არაფრით ჩამოუვარდება სამედიცინო ქალაქი, თანამედროვე მოდერნისტულ ყაიდაზე აგებული პატარა სინაგოგით, რომელიც დამშვენებულია მსოფლიო სახელის მქონე ებრაელი მხატვრის მარკ შაგალის განთქმული ვიტრაჟებით. ეს დიდი თანამედროვე მხატვარი დაბადებითა და მხატვრული აღზრდით რუსეთთან არის დაკავშირებული. თავადაც არაერთხელ აღუნიშნავს, რომ რუსულმა სასულიერო მხატვრობამ, საერთოდ, რუსულმა ხალხურმა და პროფესიულმა ხელოვნებამ განმსაზღვრელი ზემოქმედება იქონია მისი მხატვრული გემოვნებისა და მანერის ჩამოყალიბებაზე. ვიტრაჟები მართლაც რომ შთამბეჭდავია. განსაკუთრებით, როცა შენობის შიგნით იმყოფებით და იგი დღის სინათლითაა განათებული. ვიტრაჟების გადაღება ვერ მოვახერხეთ, რადგან საამისოდ, თურმე, საჭირო ყოფილა საგანგებო ნებართვის გამოთხოვა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, შაგალის საავტორო უფლებათა რწმუნებულისაგან.

ებრაელობისათვის მეორე უწმინდეს ადგილად იერუსალიმში, სიონის მთის შემდეგ, ითვლება ღრმა და ხრიოკ ხეობებში მოქცეული მემორიალური მთა — გარ გაზიკარონი. აქ, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მილიონობით ებრაელის ხსოვნის აღსანიშნავად გაშენებული პარკის შუაგულში, აღმართულია ნაციზმის მსხვერპლთა ძეგლის — მემორიალური დარბაზის მონუმენტური შენობა. შენობის ირგვლივ გაშლილ, ბეტონით მოგებულ მოედანს შეუძლია დაიტიოს ერთდროულად 5-6 ათასი კაცი. ვრცელი ხეივნებითა და კიბეებით, რომელთა ირგვლივ ჩამწკრივებულია მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოსულ ებრაელთა ხელით გაშენებული ხეები დაღუპულ ახლობელთა ხსოვნის აღსანიშნავად, ადიხართ მოედანზე, სადაც დგას უზარმაზარი, ბრტყელსახურავიანი შენობა. მისი სახურავიც უბრალო ბეტონისაა და ერთი შეხედვით საჰაერო თავშესაფარს გაგონებთ. სახურავი ეყრდნობა ვულკანური წარმოშობის უზარმაზარი ლოდებისაგან ამოყვანილ კედლებს. გალილეის მთებიდან ჩამოტანილ ამ ქვებზე, რომელთაგან ზოგიერთი რამდენიმე ტონას იწონის, აღბეჭდილია საუკუნეთა სუნთქვის კვალი. ამ კედლებში დატანებულია ორი კარი, ერთი შესასვლელი, მეორე გამოსასვლელი, მოჭედილი ჟანგმოკიდებული, აბსტრაგირებული რკინის ნაჭრებით, რომლებიც ადამიანთა ნატანჯ-ნაგვემ, დეფორმირებულ გვამებს მოგაგონებენ.

დარბაზის შინაგანი სივრცეც მკაცრი და დიდებულია. იატაკზე დაფენილია გრძელი და ვიწრო მოყვანილობის ოცი კერამიკული ფილა. მათზე წარწერილია სახელები ფაშისტური საკონცენტრაციო და სიკვდილის ბანაკებისა, სადაც მასობრივად ანადგურებდნენ ებრაელებს.

კონუსისებური ბეტონის თაღის ცენტრალური ნაწილის ძირში, ყვავილის ფოთლების ფორმის ბრინჯაოს თასში, ლაპლაპებს მარადიული ცეცხლი. იქვე დევს დიდი ქვის ფიალა, რომელშიც ინახება საკონცენტრაციო ბანაკებში დაღუპულთა ფერფლი.

ამ მემორიალური დარბაზის მშენებლობა, რომელიც განხორციელებულია სამი ცნობილი ებრაელი არქიტექტორის ხელმძღვანელობით, დამჯდარა 800 ათასი დოლარი და ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე დამთავრებული.

• • •

ისრაელში ჩვენი მივლინების დღეები იწურებოდა. თითქოს ცუდად არ გვიმუშავია, ბევრი რამ ვნახეთ და ფირზე აღვბეჭდეთ. მაგრამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინც არ გვტოვებს. მრავალი ქართული სიძველე იორდანიის მხარესაა მოქცეული. სხვა რომ არაფერი, იორდანიის ხელთაა იერუსალიმის მთელი უძველესი ნაწილი, შემოზღუდული ცნობილი ისტორიული კედლით.

მართლაც, ძნელია სულ რაღაც ორიოდე ნაბიჯზე, ერთი ხელის გაწვდენაზე შეჰყურებდე ყოველივე ამას და ახლოს მისვლა არ შეგეძლოს. მაგრამ სახელმწიფო სახელმწიფოა და საზღვარი — საზღვარი. საერთოდ, ისრაელიდან იორდანიაში ან იორდანიიდან ისრაელში მოხვედრა მეტად ძნელი საქმეა, მით უმეტეს უცხოელისათვის, რადგან ამ ორ სახელმწიფოს შორის ჩვენი ადამიანისათვის ძნელად წარმოსადგენი მტრობა და სიძულვილი სუფევს.

მართალია, რამდენიმე დღის წინათ მოსკოვიდან მივიღეთ გიორგი მდივნის გამამხნევებელი დეპეშა — იორდანიაში თქვენი გადასვლის საქმე მოგვარებულიაო. მაგრამ ჩვენი საელჩოს ზოგიერთი მუშაკი მაინც ეჭვს გამოთქვამდა. გურამ პატარაია მაინც ფრიად ოპტიმისტურად იყო განწყობილი. ყოველი შემთხვევისათვის, მთელი გადაღებული მასალა, ჩვენი საელჩოს მუშაკთა დახმარებით, თვითმფრინავით კვიპროსზე გავაგზავნეთ და გაღასვლისათვის საჭირო ყველა თადარიგი დავიჭირეთ.

დანიშნულ დღეს ივანე სტოვბუნის, იური პავლოვისა და მიხეილ ივანისძის თანხლებით, მთელი ჩვენი ბარგი-ბარხანით მივადექით სასაზღვრო ჭიშკარს, რომლითაც წინ და უკან

თავისუფლად დააქროლებენ თავიანთ მანქანებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლები და მაღალი რანგის სასულიერო პირები. აქვე, განსაზღვრულ დღეებში, ერთმანეთს ხვდებიან გარემოებათა გამო გათიშული და სხვადასხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მოქცეული არაბები. არის ერთი გაუთავებელი ტირილი და ვაი-უბედურება, ლოყების ხოკვა და წივილ-კივილი.

ჩვენი „პარლამენტიორი“ გურამ პატარაია მესაზღვრეთა თანხლებით ნეიტრალურ ზონაში შევიდა და კარგა ხნით თვალთაგან დაგვეკარგა. გადის ერთი საათი, ორი... არაფერი ისმის. ივანე სტოვბუნს უკვე ეშვი აღარ ეპარება — აკი გეუბნებოდითო. ბოლოს, როგორც იქნა, გურამიც გამოჩნდა, მაგრამ ყურებჩამოყრილი. საზღვრის მეორე მხარეს, მესაზღვრეთა პუნქტში, მას ჩვენი საელჩოს წარმომადგენელი კი დახვედროდა, მაგრამ გადასვლის საქმე მაინც ვერ მოგვარებულა. იორდანელ მესაზღვრეებს ჩვენს პასპორტებში როგორც კი ისრაელის სახელმწიფო შტამპები დაუნახავთ, საბუთები უკანვე გადმოუყრიათ. ალაჰს მადლობა შესწირეთ, თუ თქვენთვის ჯერ კიდევ არაფერი დაგვიშავებიაო. არამც თუ ისრაელის შტამპი, ერთი ივრიტული ანბანიც რომ იყოს პასპორტში, იორდანიაში თურმე არავინ გაგაჭაჭანებს.

გურამს ამჯერადაც მოსაზრებულობა გამოუჩენია და ჩვენი საელჩოს წარმომადგენელთან მოთათბირების შემდეგ მესაზღვრეებს ჩვეული სითამამით შეპირებია, ხვალ ამ დროს ახალი, უშტამპო პასპორტებით გეახლებითო.

ელჩმა დიმიტრი ჩუვახინმა ჩვენი საჭიროება ამჯერადაც გულთან მიიტანა და პირადი პასუხისმგებლობით განკარგულება გასცა შეევსოთ ახალი საპასპორტო ბლანკები, ყოველგვარი ბეჭდებისა და შტამპების გარეშე.

მეორე დღეს უკვე აღარ შევფერხებულვართ. მეგობრულად გამოვეთხოვეთ ჩვენს შეთვისებულ მასპინძლებს. მიხეილ ივანეს ძს აღელვება შევატყეთ.

— მაპატიეთ, თუ ხანდისხან ვბუზღუნებდი,— გვითხრა მან გამომშვიდობებისას. — სად ახალგაზრდა ხალხის გამძლეობა და სად ჩემი... მოხარული ვარ, რომ გაგიცანით და დაგიახლოვდით... უთქვენოდ, ალბათ, ძალიან მოვიწყენთ... მაგრამ არა უშავს, მალე ჩვენც გამოვემგზავრებით სამშობლოში... ერთმანეთს ნუ დავივიწყებთ...

იორდანიის მხარეს ჩვენი პირველი თანამემამულე — მასპინძლები აღმოჩნდნენ კონსული ალექსანდრე ოგანიანცი და მისი მეუღლე. დავბინავდით იერუსალიმის იორდანიის ნაწილის ცენტრალურ ქუჩაზე, სასტუმრო „ოლივიეში“.

დაპირებისამებრ, ტელეფონით შევეხმიანეთ ელიშეს. სომეხთა პატრიარქმა თავაზიანად თავის რეზიდენციაში საღამოს 7 საათისათვის მიგვიწვია. რაკი ორიოდე საათი კიდევ გვქონდა, ჩვენი კონსულის მანქანით ირგვლივ შემოვუარეთ იერუსალიმის კედელს, ავედით ელეონის მთაზე... ჩვენს ქვემოთ, უფრო სრულად, ვიხილეთ ისრაელის მხრიდან, გადაიშალა ძველი იერუსალიმი თავისი ისტორიული ტაძრებითა და ძეგლებით... ზემოდან გადავცქერით გეთსიმანიის ბაღს, სადაც ქრისტიანული ლეგენდების მიხედვით, მრავალი დრამატიული ამბავი დატრიალებულა. იქვე, პატარა მეჩეთის გვერდით, გვიჩვენეს რაღაც შენობის ქვეშ მოქცეული კლდის ქიმზე აღბეჭდილი „ქრისტეს ნატერფალი“. რაოდენ მცირე და გულუბრყვილო რამ ასაზრდოებს ხოლმე მორწმუნეთა ფანტაზიას!

სომეხთა პატრიარქია იერუსალიმის კედლებს ებჯინება და მას საკმაოდ დიდი ნაწილი უკავია ძველი იერუსალიმისა. პატრიარქია თავისებურ პატარა სახელმწიფოს წარმოადგენს სახელმწიფოში. იგი მთლიანად კედლებით არის შემოზღუდული და შიგ მხოლოდ ერთადერთი კარით შეიძლება შეხვიდეთ. ამ კარს გაივლით თუ არა, პატარა დერეფნის ბოლოში იწყება მარმარილოს ფართო კიბეები, რომელსაც მიყავხართ პატრიარქის რეზიდენციისაკენ.

ელიშე თავისი სამუშაო კაბინეტის კარებთან შემოგვეგება. ერთი მთლიანი ხალიჩით მოფენილი უზარმაზარი კაბინეტი მდიდრულად და გემოვნებით არის მორთული. ძველებური, მაგრამ ძვირფასი, კარგად შენახული უნიკალური ავეჯი, ფრანგ ოსტატთა ნახელავი. კედლებზე რუბენსის, ვანდეიკის, აივაზოვსკისა და სხვა დიდ მხატვართა ორიგინალები... კიდევ უფრო მდიდრულად გამოიყურება პატრიარქის სატახტო დარბაზი, კედლების გასწვრივ ჩარიგებული მღვდელმთავართა სავარძლებითა და წითელი ხის განჯინებით, რომლებშიც ინახება სომხური ეკლესიის ძვირფასი რელიკვიები და სიგელები... ყოველ მხრიდან შემოგცქერით ისტორიულ პირთა და მღვდელმთავართა პორტრეტები... აქვეა ორი საბანკეტო დარბაზი, ერთი დიდი და მეორე მცირე; ასევე ჩინებული ავეჯითა და მდიდრული სატრაპეზო ინვენტარით გაწყობილი...

ვსაუბრობთ უთარჯიმანოდ, რადგან ცოტ-ცოტა სომხურს ჩვენც ვახერხებთ, თუმცა გიეი მელქაძესთან მაინც ვერ მოვალთ. როცა სიტყვები მოგვაკლდება ან წავიბორძიკებთ, უმალ მოგვეშველება თავისი თბილისური სომხური.

ამასობაში მოვიდნენ ვახშამზე მოწვეული ადგილობრივი მსხვილი არაბი თანამდებობის პირები ცოლებით, და მალე საბანკეტო დარბაზში გადავინაცვლეთ. ელიშემ, ვითარცა ახლო აღმოსავლეთის საქმეებში კარგად ჩახედულმა კაცმა, ლაპარაკი თანდათან პოლიტიკურ საკითხებზე გადაიტანა. ასეთ საუბარში აქტიური ჩარევისაგან ჩვენ თავს ვიკავებდით, მაგრამ

კარგად გვესმოდა ლაპარაკის მთელი აზრი. ვითომდა ხუმრობით, მაგრამ საკმაოდ მწარედ, ეღიშე სტუმრებს კენწლავდა იმისათვის, რომ არაბულ სახელმწიფოებს არა აქვთ ნამდვილი ერთიანობა და სოლიდარობა. როცა კამათი საკმაოდ გამწვავდა, ეღიშემ ლაპარაკი ყოფაცხოვრებით საკითხებზე გადაიტანა და ზოგიერთი ანეკდოტიც მოაყოლა. ახლა ქალებიც გააქტიურდნენ და საერთო სიცილში გაიცინეს ზოგიერთი დრომოჭმული ჩვეულება. ცოტ-ცოტა ეღიშეს წკიპურტებისა ყველას მოხვდა... ჩვენ საკუთარი დარდი გვქონდა. მაგრამ სუფრაზე ამის შესახებ არ გვილაპარაკნია, მხოლოდ გამომშვიდობებისას ვთხოვეთ პატრიარქს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე დაეთმო ცალკე დრო, რაზედაც სიამოვნებით დაგვთანხმდა.

მეორე დღე იორდანიის დედაქალაქ ამანში დავყავით. მიგვიღო და მოგვისმინა საბჭოთა ელჩმა პეტრე სლესარენკომ. მანვე გაგვაცნო საკდესის აქაური კორესპონდენტი ბორის ურონოვი, რომელმაც, მართლაც, დიდი სამსახური გაგვიწია ჩვენთვის ესოდენ უცხო ქვეყანაში.

ცხადია, ჩვენი მუშაობის წარმატება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ მოვამზადებდით ნიადაგს ქართულ სიძველეთა ადგილებში შესაღწევად. საქმეს კიდევ უფრო აძნელებდა ის გარემოება, რომ პოლიციის დეპარტამენტის წინასწარი ნებართვისა და პოლიციის თანხლების გარეშე ერთი ნაბიჯის გადადგმა არ შეგვეძლო. ამის გამართლებას იმით ცდილობდნენ, რომ მტრული სახელმწიფოს, ე. ი. ისრაელის ტერიტორიიდან ვიყავით გადმოსულნი, თუმცა ჩვენდამი, როგორც საბჭოთა მოქალაქეებისადმი, სიმპათიას არ მალავდნენ.

ასეა თუ ისე, მთელი აქაური სიძველეები სხვადასხვა ეკლესიების ხელშია და მათ ნებასურვილზე ვიყავით დამოკიდებული. ამ მხრივ ეღიშე იყო პირველი, რომელმაც დახმარებისათვის მზადყოფნა გამოამჟღავნა. როცა სომხურ პატრიარქიაში მივედით, მან თავისთან იხმო რამდენიმე სასულიერო პირი, რომელთაც დაავალა ჩვენი მეგზურობა როგორც პატრიარქიის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. შემდეგ ისიც დასძინა, ჩვენთან დაცული ქართული ხელნაწერებიც აჩვენეთ და გადააღებინეთო.

პატრიარქიის დათვალიერება, რა თქმა უნდა, დავიწყეთ მისი ერთ-ერთი უპირველესი ისტორიული ღირსშესანიშნაობით — იაკობის ტაძრით. ისიც ჯვარის მონასტრის თანატოლია. თუმცა შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ მის ადგილას უფრო ადრე იდგა მეხუთე საუკუნეში აშენებული ეკლესია. იაკობის სახელობის ტაძარი საგრძნობლად სახეშეცვლილი და გადაკეთებული ჩანს, მოცულობით დიდია. როცა შიგ შევედით, სომეხ ბავშვთა მრავალრიცხოვანი გუნდი გალობდა.

ეზოშიც ბლომად შემოგვხვდნენ ბავშვები. პირველად გაგვიკვირდა ბავშვების ასეთი სიმრავლე, მაგრამ შემდეგ ყველაფერი გასაგები გახდა. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მრავლად გაფანტული სომხობისათვის იერუსალიმის პატრიარქია არა მარტო სასულიერო ცენტრია, არამედ თავისებური კულტურულ-საგანმანათლებლო კერაც. აქ, როგორც წესი, უმთავრესად მოჰყავთ ღარიბთა შვილები, რომლებსაც ჯერ სასულიერო სკოლაში ასწავლიან, ხოლო შემდეგ სასულიერო სემინარიაში. სასწავლებლის შენობები საკმაოდ სრული და მოწყობილი გვეჩვენა. ბავშვებს თავიდანვე ყოველნაირად უნერგავენ დედა-ენისა და დედა-სამშობლოს ღრმა სიყვარულს. ოთახების კედლები დაფარულია სომხეთის გამოჩენილ შვილთა პორტრეტებით. ყველგან სომხური ტაძრების სურათები და მაკეტებია, ბავშვების ხელით შესრულებული.

ყველაზე ნიჭიერთ უცხოეთშიც აგზავნიან უმაღლესი განათლების მისაღებად, განსაკუთრებით, ამერიკაში, ინგლისსა და საფრანგეთში. ბოლო ხანებში, სწავლას მოწყურებულ აქაურ ახალგაზრდებს დედა-სამშობლოც ყოველნაირად უწყობს ხელს. თურმე ყოველწლიურად არჩევენ და საბჭოთა სომხეთის უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლად ჩამოჰყავთ მრავალი ღარიბი ახალგაზრდა.

პატრიარქიის საკმაოდ დიდ და კარგად მოწყობილ სტამბაში, სასულიერო-რელიგიური ხასიათის წიგნებს გარდა, იბეჭდება სახელმძღვანელოები და ჟურნალები, რომლებსაც ყველგან ავრცელებენ.

ცალკეა მოწყობილი ბეჭდური გამოცემების ბიბლიოთეკა. აქ თავს იყრის მსოფლიოს ყველა კუთხეში სომხურ ენაზე გამოცემული წიგნი თუ ჟურნალ-გაზეთი. ასე გასინჯეთ, თბილისში გამომავალი სომხური გაზეთის კომპლექტიც კი გვიჩვენეს.

რა თქმა უნდა, გულუბრყვილობა იქნებოდა ასეთი მასშტაბის საქმიანობა აგვეხსნა მხოლოდ და მხოლოდ სომხური მოსახლეობის პატრიოტული ენთუზიაზმით, რომელიც მას ნამდვილად არ აკლია. ასეთი საქმიანობის მატერიალურ ბაზას ქმნის ისეთ მილიონერთა დახმარება, როგორც ნავთის მრეწველობის მაგნატი ნუბარ გიულბეკიანია. შემთხვევით კი არ დგას აქაური ბიბლიოთეკის შესასვლელში მსოფლიოში ერთერთი ყველაზე მდიდარი ადამიანის ბიუსტი.

ჩვენ მილიონერებთან საქმე არ გვქონია. მაგრამ სასიხარული იყო შეგრძნობა იმ გულთბილობისა, რომლითაც გვხვდებოდნენ ისტორიულად ჩვენი ხვედრის თანაზიარი მოძმე ერის შვილები. მათ, განსაკუთრებით, აქ დაბადებულთა და გაზრდილთ, მღელვარებისაგან ხმა უთრთოდათ, როცა ჩვენს ვინაობას იგებდნენ, არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდნენ რითი ესიამოვნებინათ, რა გაეკეთებინათ. ერთხელ, ხელნაწერთა გადაღებისათვის, ფოტოაპარატის სადგარი დაგვჭირდა. საკმაოდ ძვირი ღირდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, უნდა გვეყიდა. როცა გამყიდველმა, რომელიც სომეხი აღმოჩნდა, ჩვენი ვინაობა გაიგო, ფული არაფრით არ აიღო. თქვენი ფეშქაში იყოსო. თუ მაინცა და მაინც, იხმარეთ და შემდეგ დამიბრუნეთო. ჩვენ, რა თქმა უნდა, დიდი მადლობით დავუბრუნეთ. იმ მაღაზიას შემდეგ აღარ გავკარებივართ. თუმცა იგივე განმეორდა სხვაგანაც, როცა ფოტო-კასეტების საყიდლად შევედით. პირდაპირ თავზე გვევლებოდა ჩვენი სასტუმროს მორიგე ადმინისტრატორი, შუახნის სომეხი კაცი, რომლის ერთადერთი ოცნებაა დედა-სამშობლოში დაბრუნება.

ჩვენი მოგზაურობა სომხურ პატრიარქიაში დასრულდა ხელნაწერთა ბიბლიოთეკაში. სხვა რომ არაფერი, რამდენი ცდა და ენერგია იქნებოდა საჭირო, რომ ასე ერთად მოეყარათ თავი მთელ აღმოსავლეთში დაფანტული ხელნაწერებისათვის. შენობა შესაფერისი შეურჩევიათ და კარგადაც მოუწყვიათ. ეტყობა, ყველაფერი თავის დონეზეა — კატალოგების სიზუსტე, ხელნაწერთა განლაგება და შენახვა... ბიბლიოთეკაში რამდენიმე თვეს მსხდარან ერევნის მატანდარანის მეცნიერ-მუშაკები, ყველაფერი ზუსტად შეუსწავლიათ და აღუნუსხავთ. ფრიად კმაყოფილნი დაბრუნებულან სამშობლოში.

ბიბლიოთეკის გამგებელმა, უკვე ღრმად მოხუცებულმა ბიშოპმა ნორაირ ბაგარიანმა თაროებიდან გადმოგვიღო რვა სომხური ხელნაწერი წიგნი, რომლებშიც აღმოჩნდა ცალკეული ფურცლები სხვადასხვა დროის ქართული ხელნაწერებისა. ეს გვერდები, ფირზე გადაღებული, სამშობლოში ჩამოვიტანეთ. მათი არსებობის შესახებ, თურმე, ჩვენში აქამდე არაფერი ყოფილა ცნობილი. პროფესორებმა ილია აბულაძემ და ელენე მეტრეველმა პირველი შეხედვითვე იცვნეს IX-X საუკუნეთა რამდენიმე ხელნაწერი გვერდი. ყურს ვუგდებდით, როგორ კითხულობდა ხმადაბლა ცალკეულ ფრაზებს ქალბატონი ელო. ძველი და ახალი ლოთქმის ცნობილი სიტყვები თითქოს გვიცხადებდნენ ცხრა მთას იქით, უკაცრიელ უდაბნოში გადახვეწილ მწიგნობარ კაცთა, მოძმეთათვის სიკეთის გამოსათხოვრად დაყუდებულ ბერთა ჭირთათმენას, ფიქრსა და გულისთქმას:

„გვემეს და წარავლინეს“...

„სოფელი დაუტევე და ხორცნი დაიმონენ ჭეშმარიტითა მოღვაწეობითა“...

„სამარადისოსა მას და არასადა წარმავალსა პატივსა იგენებდ, ღირსო, და შეურაცხყავ დიდებაი ესე წარმავალი და განქარვებადი“...

„და სძლო მათ მკლავითა თვისითა და დაყენა მოწყალებათ თვისი და შეიმოსა სიმართლეი ვითარცა ჯაჭვი და დაიდგა თავს თვისა ვითარცა ჩაფხუთი“...

* * *

ბერძნული ეკლესიის მესვეურებთან ურთიერთობის დამყარება გაჭირდა. პატრიარქი ბენედიქტე იმხანად თურმე ავადმყოფობდა და ეღიშემ გვირჩია უშუალოდ მისი მდივნისათვის მიგვემართა. ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში რომ ვიყავით, ბორის ურონოვს გაახსენდა ერთი ბერძენი ხელოსანი, რომელსაც ცოლად რუსი ქალი ჰყოლია. მათ ოჯახში რამდენჯერმე ვყოფილვარ კიდეც და რამდენადაც ვიცი, ვასილის ახლო ურთიერთობა აქვს პატრიარქიის მესვეურებთან, მათ რაღაც-რაღაცეებს უკეთებსო. ბორისი გამამხნევებელი პასუხით დაბრუნდა — ვასილი დაპირებია, რომ ინახულებდა ბერძნული საპატრიარქიო ბიბლიოთეკის გამგებელს და მოგვიხერხებდა ბიბლიოთეკაში შესვლას.

მოვსინჯეთ მესამე გზაც. ჯერ კიდევ თბილისში გვქონდა გაგონილი აკადემიკოს გიორგი წერეთლისაგან, რომ ელეონის მონასტერში, მგონი ერთი ქართველი ბაგრატიონის გვარის მონაზონი ქალი უნდა ცხოვრობდესო. იქნებ, იმან იცოდეს რაიმე საყურადღებო ქართულ სიძველეთა შესახებო.

ელეონის მონასტერს ჩვენ უკვე რამდენჯერ ავუარ-ჩავუარეთ. მაგრამ რა შეუვალი ციხესიმაგრე და რა ეს მონასტერი! საქმე ის არის, რომ სწორედ აქ არის მოკალათებული რეაქციული რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ემიგრაციული ნაწილი, რომელიც საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ სამღვდელო პირებსაც კი სათოფეზე არ იკარებს, მით უმეტეს ჩვენ. გამოსავალი მაინც ვნახეთ. ჩვენმა მეგზურმა ახალგაზრდა სომეხმა მღვდელმა არშენ აივაზიანმა საქმისათვის სასარგებლოდ ჩათვალა, რომ სომხურს ვლაპარაკობდით და პალესტინის მზისაგანაც საკმაოდ გაშავებულნი ვიყავით. მოკლე თათბირის შემდეგ, თავი სირიელ სომხებად გამოვაცხადეთ, ბანძელი გლეხის ჩამომავალი გურამი კი ნახევარქართველად, ციხფერსისხლიან ბაგრატიონად დედის მხრიდან და რიხიანად მონასტრის კარებს მივადექით.

მონაზონმა ქალებმა, ცოტა არ იყოს, უნდობლად კი შემოგვხედეს, მაგრამ მაინც შეგვიშვეს. ერთადერთი მამაკაცი, ვინც მონასტერში შეგვხვდა, უტყუვრად არისტოკრატიული იერის წვერებიანი რუსი მოხუცი იყო. მან გამომცდელი თვალებით აგვათვალ-ჩაგვათვალიერა, რაზე მოსულხართ, ვინ გინდათო. გურამმა რაღაც მიკიბ-მოკიბა და ბოლოს ბაგრატიონის ქალზე ჰკითხა. ასეთი აქ არავინ მეგულებაო, — გვიპასუხა მოხუცმა და გაგვეცალა.

კარგახანს ვათვალიერებდით მონასტერს, რო-

მელიც, მართლაც, შესანიშნავ ადგილას არის გაშენებული. თან ვცდილობდით მონაზონ ქალებისათვის რაიმე დაგვეცდინა იმ ვიღაც ბაგრატიონზე. არა და არა. ბოლოს, ერთმა ღრმად მოხუცმა მონაზონმა ჩაჩიჩიფიფა, — ის ქალი ჩვენი იღუმენია ხომ არ არისო. მაშინვე ვაფრინეთ შუამავალი. ცოტა ხნის შემდეგ, ქალი მობრუნდა სასურველი პასუხით, — იღუმენია თავისთან გთხოვთო.

შევედით რუსული ხატებით, ნიკოლოზ მეორისა და მისი ოჯახის წევრების პორტრეტებით გაჭედილ მოზრდილ ოთახში და სკამებზე ჩამოვჯექით. ცოტა ხნის შემდეგ, კარები გაიღო და შემოვიდა შავ სამონაზონო სამოსელში გამოწყობილი იღუმენია, საშუალო ტანის, უკვე ღრმად მოხუცებული, მაგრამ მაინც საკმაოდ კარგად შენახული ქალი. სახის ნაკვეთებზე ადვილად შეატყობდით, რომ თავის დროზე ულამაზესი ქალი იქნებოდა. გურამი, „დედის“ დავალებისამებრ, ხელზე ემთხვია იღუმენიას, მოიკითხა. გაიბა საუბარი გურამის მხრიდან ფრიად დამტვრეული რუსულით. ენის ასე დამახინჯების შესაძლებლობა თუ არსებობდა, მანამდე ვერ წარმომედგინა.

მოკლედ რომ მოვჭრათ, იღუმენია აღმოჩნდა არა ქართველი ქალი, არამედ რუსეთის უკანასკნელი მეფის ძმისშვილი, ცოლი ქართველი გენერლის გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკისა, იმ გენერლისა, რომელიც პირველ მსოფლიო ომში მოუკლავთ და მცხეთაში ყოფილა დაკრძალული. ქმრის სიკვდილის შემდეგ საქართველოში არ ვყოფილვარ, გვითხრა იღუმენიამ, თუმცა ზოგიერთი ვინმე კი გაიხსენა ქმრის ნათესაობიდან.

ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო საკითხზე ბევრი ვერაფერი გვითხრა, თქვა მხოლოდ ის, რაც ისედაც კარგად ვიცოდით.

დადგა დათქმული დღე, 9 მაისი, რომელსაც ასე მოუთმენლად და მღელვარედ ველოდით, მივდივართ ბერძნული საპატრიარქო ბიბლიოთეკისაკენ. ჩვენი მწერლობის ისტორიაში ცოტად თუ ბევრად ჩახედულ ყოველ ადამიანს მოეხსენება ქართულ ხელნაწერთა იმ ცნობილი ფონდის შესახებ, რომელიც დღემდე აქ ინახება. არსებობს მათი რამდენიმე აღწერილობა და კატალოგი, რომელთა დამოწმებას სამეცნიერო წიგნებში ესოდენ მიჩვეულია ჩვენი თვალი.

მღელვარების გრძნობა გეუფლებათ, როდესაც დერეფნებისა და კიბეების ლაბირინთების გავლით მიადგებით უბრალო, თითქმის, ფარღალალა შუშაბანდს, რომელსაც ერთი უბრალო საკეტი ადევს.

ნუ თუ ეს არის განთქმული ბიბლიოთეკა, რომლის შესახებ ამდენი გვსმენია, ამდენი წაგვიკითხავს?

პატარა წინაკარიდან, რომელიც ბიბლიოთეკის გამგებლის, არქიეპისკოპოს არტემონის კაბინეტის მოვალეობას ასრულებს, ხვდებით ორ ბნელ და ნესტიან ოთახში. მათი იატაკი მიწის დონეზეა. პირველ ოთახში, ძალიან კედლის სიმაღლეზე გაკეთებულ, უკვე საკმაოდ დანჯღრეულ-დახრული კარადების თაროებზე აწყვია ქართული ფოლიანტები. შეჰყურებთ ტყავზე თუ ქაღალდზე გადაწერილ, წამება-განსაცდელ გარდახდილ ფურცლებს და ფიქრობთ ადამიანებზე, რომელთა მოწამებრივი თავდადება და ღვაწლი ქმნიდა ამ წიგნებს:

„აქ მეთორმეტე საუკუნის მძიმე წიგნები
ყვითელ ქაღალდზე დაღალული ხელით
ნაწერი!
ვიცი: მე მათთან მორევიან ნისლში ვიქნები,
როგორც ავდარში შუქი მკრთალი და
ალმაცერი.
გაჰქრნენ ძვირფასი ანბანები: „ჩვენი
ქვეყანა
მშვენი თვინიერ, ჰოი ზღვათა და ხმელთა
ზედა“,
მათში მარტოდენ ჩაქსოვილა მძინარე ნანა
აღმოუთქმელთა მწუხარებათ და სინაზეთა“.

მოწიწებით გადმოგვაქვს თაროებიდან ძველი წიგნები, ნელა, ფრთხილად ვფურცლავთ გაყვითლებულ ფურცლებს, თვალს ვაყოლებთ სასოებითა და სიფაქიზით ჩაგვრისტებულ მრგვლოვანსა და ხუცურს... ახლადდაღვრილი სისხლივით ხასხასებს სინგურით ნაწერი სტრიქონები...

ჩვენ გულის სიღრმეში ყოველთვის ვშფოთავთ ამ წიგნების ბედზე...

ასე გვეგონა, ბევრი რამ კვლავადაც დაფანტული დაგვხვდებოდა.

რამდენადმე მაინც დავმშვიდდით, როცა ყველაფერი ეს ადგილზე ვიხილეთ.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, არის კია ადგილზე, ვიდრე ჩვენგან ასე შორს გვეგულება, როცა ასე ხელშესახები და საჩინოა შემთხვევითობის, უკვალოდ გაქრობის საფრთხე?!

ესეც არ იყოს, წიგნები ისეა დაღრღნილ-დაფუტურებული ჩრჩილისა და ნესტისაგან, თუ ხსნის ხელი არ გავუწოდეთ, დაიღუპებიან, დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერიათ.

ჩვენს განკარგულებაში სულ ოთხი საათია, ორი დღეს, ორიც ხვალ, დილის ცხრიდან თერთმეტ საათამდე. რა უნდა მოვასწროთ ამ ოთხი საათის მანძილზე?

მხოლოდ ტყავზე გადაწერილი სამი წიგნის გვერდების ფოტოგადაღება. შემდეგ მოვყევით სულ ქვედა თაროდან, დავიწყეთ ყოველი წიგნის პირველი და უკანასკნელი გვერდების გადაღება. იქნებ ეს მაინც მოვასწროთ...

გახურებულ მუშაობაში რომ ვიყავით, ბიბლიოთეკის ეზო უცებ გაივსო შავანაფორიანი, ჩასუქებული ბერძენი მღვდლებით. ბათუმელ კაცს ცოტა ბერძნულიც გამეგება. არტემიოსს საყვედურით იკლებენ — რატომ აძლევთ გადაღების ნებას, ამას შეიძლება უსიამოვნება მოჰყვესო.

თუ უსიამოვნებაზეა ლაპარაკი, პირველ რიგში, არ გვინდა იგი შეხვდეს არტემიოსს. ძალიან კეთილი და სათნო სახე აქვს ამ მოხუცს, ხმაც გულითადი. თითქმის ნახევარი საუკუნეა განაგებს ბიბლიოთეკას.

ვწყვეტთ გადაღებას. არტემიოსი შეწუხებულია. ბოდიშსაც კი იხდის, ასე რომ მოხდა.

გულდაწყვეტილი ვეთხოვებით ჩვენი ხალხის საუნჯეს. არ ვიცით, კიდევ ვიხილავთ თუ არა ოდესმე. ერთი შესაძლებლობა მაინც დავადგინეთ — თუ ბორის ურონოვს შევუთვლით, ნებისმიერ ხელნაწერს გადაგვიღებს და გამოგვიგზავნის. ესეც საქმეა.

* * *

კინოაპარატით დავდივართ ძველი იერუსალიმის ვიწრო ქუჩებში.

ყოველდღე ზღვა ხალხი მიედინება ამ ქუჩებში, სხვადასხვა ჯურისა, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე. მსოფლიოს ყოველი კუთხიდან მიეშურებიან იერუსალიმისაკენ მორწმუნე-პილიგრიმები. ყოველ მათგანს უხმობს ცნობისმოყვარეობა „წმიდა მიწის“ ხილვისა, ან ეგულება რწმენის ტაძარი.

ოდესღაც ასე იყო ქართველებისათვისაც. თავის დროზე, როგორც ვიცით, ჩვენს წინაპრებს პალესტინაში ორმოცამდე ტაძარი და სასტუმრო ჰქონიათ. მორწმუნე ქრისტიანთათვის ყველაზე წმიდა ტაძრებშიც კი, როგორადაც „ქრისტეს საფლავი“ და გოლგოთა ითვლება, ქართველებს, თურმე, ენთოთ ყველაზე მეტი კანდელი, რაც უკვე თავისთავად პირველობას ნიშნავდა გავლენის მხრივ. ცხადია, ჩვენთვის, მეოცე საუკუნის ადამიანებისათვის, გავლენის საზომად სულ სხვა კრიტერიუმებია მიღებული, მაგრამ იმ დროს ასეთი რამ ფრიად ანგარიშგასაწევად ითვლებოდა და გარკვეულ პოლიტიკურ ამინდსაც ქმნიდა. რაც მთავარია, ტაძრებში მიმდინარეობდა ინტენსიური და ნაყოფიერი ლიტერატურულ-კულტურული საქმიანობა, ისმოდა ქართული ენა და გალობა. ალბათ, შემთხვევით როდი ჩათვალა თამარმა საჭიროდ სარკინოზთაგან დაპყრობილ იერუსალიმში გაეგზავნა თავისი ყველაზე გამოჩენილი პოეტი და ვაზირი — მეჭურჭლეთუხუცესი, სალაჰადინთან მოსალაპარაკებლად და ქართულ ტაძართა გამოსასყიდად.

საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ გარემოებათა გამო, ამ ტაძრების ერთი ნაწილი სხვათა ხელში გადავიდა, ნაწილმაც დაჰკარგა პირვანდელი სახე ან მთლიანად გაპარტახდა. მიუხედავად ამისა, ამ სიძველეთა შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის ისტორიისათვის, რადგან ყოველ ახლად აღმოჩენილ წარწერას შეუძლია შუქი მოჰფინოს ბნელით მოცულ გარდასულ ამბებს.

ისტორიული ცნობებით, ქართული ტაძარ-ეკლესიები მჭიდროდ ყოფილა მიჯრილი „ქრისტეს საფლავთან“. ამ ნაგებობებს თუმც სახე არსებითად და ზოგჯერ სახელიც, შეცვლილი აქვთ, აქა-იქ მაინც შერჩენიათ რაღაც ქართული. მაგალითად, ერთ-ერთი კუთხის სახლის კედელზე, რომელიც ძველი იერუსალიმის ცენტრში „ქრისტეს საფლავის“ მახლობლად დგას, აქამდე დარჩენილა ასომთავრული წარწერა. გვითხრეს სხვა წარწერებზედაც, კერძოდ, ბერძნული პატრიარქიის ერთერთი ეკლესიის შიგნით შემორჩენილზე. მაგრამ ეკლესიაში ვერაფრით ვერ მოვხვდით. ხან რა მოგვიმიზეზეს და ხან რა.

„ქრისტეს საფლავისა“ და გოლგოთას ტაძრები, რომელთა გულისათვის ხალხებს იმდენი ომი და ხოცვა-ყლეტა გადახდენიათ, არც იმდენად დიდი ტაძრებია. არქიტექტურული ღირებულების თვალსაზრისითაც არ ბრწყინავენ მაინცა და მაინც. თვით „ქრისტეს საფლავი“ ამ ტაძრის შუაგულშია. გუმბათს ქვემოთ დგას რომანული სტილის მოწითალო ფერის მარმარილოსაგან აგებული ბალდახინი. ვიწრო და დაბალ კარებში რომ შეხვიდე, წელში უნდა მოიხარო. ჭაღებითა და სანთლებით გაჩირაღდნებულ, საკმეველის სუნით გაჟღენთილ პატარა სენაკში ორი-სამი კაცი ძლივს მოტრიალდება. მღვდელი გიჩვენებთ „მაცხოვრის საფლავს“— ოთხკუთხა კლდის ნაჭერს. სულიერი ნეტარება, რომელსაც აქ მორწმუნე ადამიანი განიცდის, მეთვალყურე კაცის თვალსაზრისით, რამდენადმე გაუბრალოებულია აქვე გაღებული შესაწირავი ფულის ტრიალით.

„ქრისტეს საფლავს“ დღეს სამი ეკლესია განაგებს — ბერძნული, კათოლიკური და სომხურ-გრიგორიანული. ტაძრის მთელი ტერიტორია და სვეტებიც თანაბრად აქვთ განაწილებული, თუმცა დავაც ხშირი ჰქონიათ.

ჩვენს იქ ყოფნაში ტაძრის აღდგენა-შეკეთების კაპიტალური სამუშაოები მიმდინარეობდა. მაცხოვრის ლეგენდარული საფლავის საუკუნეობრივ მყუდროებას დაურიდებლად არღვევდა უზარმაზარ ამწეთა ხრიალი, ქვის სახერხი ჩარხების გუგუნი. პნევმატური ჩაქუჩები კედლებს აცლიან საუკუნეების მანძილზე შეძენილი ბათქაშის მრავალფენოვან პერანგს და უსახოდ ქცეულ გროვას სამუდამოდ მოჰყვება მრავალზე მრავალი საიდუმლო. ყველაფერი ეს კეთდება უცერემონიოდ, სხვადასხვა ეკლესიე-

ბის მამათა დაჟინებით, ერთმანეთის დაუკითხავად, ერთმანეთის ჯიბრზე. ხანდახან კედელში ჩარჩენილი ძველი ლუსმნის გამოც კი სასამართლომდე მიდის საქმე. მაცხოვრის შიში და მორიდება ასეთ დროს არავისა აქვს.

იმასაც კი ამბობენ, აქ ერთ დროს ხანძარი განგებ გააჩინეს, რათა ზოგიერთ ხალხებს პრეტენზიები არ ჰქონოდაო. მაშინ მოუშლიათ ჯვაროსანთა იერუსალიმის სახელმწიფოს და ზოგიერთი ქრისტიანული ქვეყნის მეფეთა საფლავები. თუ ერთი ჯვაროსანი რაინდის ცნობას სარწმუნოდ ჩავთვლით, თვითონ თამარიც სადღაც აქ უნდა იყოს დაკრძალული. მაგრამ დღეს მხოლოდ ბოდუენის საფლავს უჩვენებენ. სხვა საფლავები წარწერებიანად გამქრალა, რაც დრო გადის, უფრო ქრება.

გოლგოთას ტაძარში, რომელიც „მაცხოვრის საფლავს“ უშუალოდ ზედ აკრავს, სამუშაოები თითქმის დაუმთავრებიათ. მისთვის უფრო თანამედროვე იერი მიუნიჭებიათ შიგნიდან. როგორც სომეხთა მღვდელმა გვითხრა, ტაძრის კედლებზე, ვიდრე მას მოზაიკით დაფარავდნენ, რამდენიმე ქართული წარწერა ყოფილა. ორივე ტაძარში ბევრი ვუტრიალეთ ჩამოუხსნელად დატოვებულ კანკელებს, მაგრამ, ჩვენი დაკვირვებით, ქართული არა ეცხო რა.

არც მუსლიმანური რელიგიის მიმდევრები დგანან გულხელდაკრეფილნი. ისინიც ახდენენ ომარის მიზგითის აღდგენა-შეკეთებას. ასე რომ, არაბული არქიტექტურის ამ ბრწყინვალე ძეგლს მხოლოდ შორიდან შევავლეთ თვალი.

ჩვენს განკარგულებაში რჩებოდა კიდევ სამი დღე. როგორმე, პირველ რიგში, უნდა მოგვესწრო საბაწმიდის ლავრისა და კორბოს მიერ ჩატარებული გათხრების ადგილის ნახვა. ძველი ქართული ტაძრის ნანგრევების ძებნას ორი დღე მოვანდომეთ. პირველ დღეს ამაო ძებნაში შემოგვაღამდა. ვერცერთმა არაბმა ვერ გვითხრა ზუსტად, სად უნდა ყოფილიყო. ვინ საით იშვერდა ხელს და ვინ კიდევ საით. ისევ კათოლიკური ტაძრის ახალგაზრდა მღვდელი დაგვეხმარა. ბიბლიოთეკიდან გამოიტანა კორბოს წიგნის იტალიური გამოცემა და მის მიხედვით თითქოს დავადგინეთ კიდეც ქართული ტაძრის ნანგრევების ადგილი.

მეორე დღეს, ნაშუადღევს, პაპანაქება სიცხეში, ძლივს მივაღწიეთ იმ გორაკს, მაგრამ გიორგი წერეთელის წიგნში მოყვანილ ფოტოებთან მიმსგავსებული ადგილი არ ჩანდა. ყველანი სხვადასხვა მიმართულებით დავიფანტეთ. სხვის ამბებს ვერ გეტყვით ზუსტად, მაგრამ მე პირადად ცხელ ლოდებზე ხოხვითა და ხტუნაობით ბარე რამდენიმე კილომეტრი მოვიარე. უნაყოფოდ. ბოლოს, როგორც იქნა, დაბანაკების ადგილიდან მესამის ჩვენების ძახილი — აქეთ, აქეთ, ვიპოვეთო. ისევ ბორის ურონოვის პროფესიული ჟურნალისტური ყნოსვა, თორემ დაღუპული იყო საქმე. მას ყველა ჩვენგანზე გაცილებით მეტი უკლია და ბედუინებთან კითხვა-კითხვით მიუგნია ბორ-ელკუთია გორაკისათვის. დრო რომ არ დაუკარგავს, ბოლომდე აღარ მისულა, ჩვენს წასაყვანად გამობრუნებულიყო.

ავიკიდეთ აპარატურა და გავსწიეთ. ჩვენი თანმხლები ახალგაზრდა პოლიციელი ჰალაბი ფავაზი მძიმე ხელჩანთას აღარ მანებებს. ჩვენი განწყობილება მასაც გადაედო. წამდაუწუმ ქათქათა კბილებს სიცილით აჩენს და გვეთანხმება, რომ პოლიციელობას არქეოლოგობა სჯობს.

— არქეოლოგ, არქეოლოგ! — დრო და დრო პათეტიკურად სწევს ხელს ზევით პოლიციელი და აღმართს სწრაფად მიჰყვება.

ადრეული ქრისტიანობის ხანაში აგებული ქართული ტაძარი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ გათხარა, მდებარეობს ბეთლემის მახლობლად, დღეს გახრიოკებულ გორაკზე. თუმც ცოტა რამ გადარჩენილა, მაგრამ თვალი მაინც გაარჩევს ნაგებობის ადრინდელ გეგმას, კერძოდ, სვეტებიან ღია ეზოს აუზთა ნაშთებით. ტაძრის შუაგულში, თლილ ქვებს შორის დარჩენილ ნაპრალში რაღაც მიწისქვეშა საცავსოები ილანდება. ეტყობა ძალიან ღრმაა, რადგან გადაგდებულმა კენჭმა მოგვიანებით გამოსცა ხმა. ნეკროპოლში დღესაც ყრია ადამიანის ძვლები. დამახასიათებელი გეგმითა და ცალკეული დეტალებით ადვილად იცნობთ მარანსა და ზეთის სახდელს.

კორბოს ყველაზე დიდ ნაპოვნს მაინც წარმოადგენს მთლიანი მოზაიკით დაფარული იატაკი ჩინებული ასომთავრული წარწერებით. ეს წარწერები, როგორც აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა ცხადყო, ნახევარი საუკუნით მაინც უსწრებენ ბოლნისის სიონის ცნობილ წარწერას. ეს მოზაიკა იერუსალიმშია გადატანილი და ამშვენებს ფრანციսკელთა მუზეუმის არქეოლოგიურ დარბაზს, მისთვის საგანგებოდ ამოშენებულ კედელზე.

ჩვენ იერუსალიმში მოვინახულეთ და ფირზედაც აღვბეჭდეთ არქეოლოგი, რომელმაც თავისი აღმოჩენით ესოდენ დიდი ამაგი დასდო ქართული კულტურის ისტორიას. კორბო სასულიერო პირი აღმოჩნდა. ჩვენ ხელთ გვქონდა ავტორის პირადი ბიბლიოთეკიდან წამოღებული ეგზემპლარი გ. წერეთლის წიგნისა „ქართული წარწერები პალესტინიდან“, რომელიც ძირითადად აგებულია კორბოს გათხრების მასალებზე. გამოირკვა, ამ წიგნის არსებობის შესახებ იტალიელ არქეოლოგს არაფერი ცოდნია, და იგი იქვე შეუდგა წიგნის რეზიუმეს კითხვას. ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენოდა გარდა იმისა, რომ ქართველი მეცნიერის სახე-

ლით წიგნი კორბოსათვის დაგვეტოვებინა, რა-თაც ფრიად ნასიამოვნები დარჩა.

საკმაოდ დიდი მანძილის გავლა, ცხელი და უკაცრიელი უდაბნოს გადალახვა მოგვიხდა, რათა საბა-წმიდის განთქმულ ლავრაში მივსულიყავით. კომფორტაბელური თანამედროვე მანქანის რბილ სავარძელზე გადაწოლილ მგზავრსაც კი უჭირს მზით გავარვარებული სივრცის გადალახვა. როგორ უნდა გაჭირვებოდათ იმათ, რომლებიც შორეული კავკასიონის კალთებიდან მოემართებოდნენ აქეთკენ სამოღვაწეოდ, ათასი საფრთხისა და განსაცდელის პირობებში.

ქართველები ამ ლავრის ერთერთი უმთავრესი და საპატიო მკვიდრნი ყოფილან. განსაკუთრებით ინტენსიურად მათ VIII-X საუკუნეებში უმოღვაწიათ. უმეტესი ნაწილი ძველქართული ხელნაწერებისა, აქამდე სინას მთაზე რომ ინახება, ამ ხანებშია გადაწერილი თუ თარგმნილი.

ეტყობა, ლავრას ახლაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან ამას წინათ დიდის ამბით ვენეციიდან აქ გადმოუსვენებიათ წმიდა საბას ნეშთი, რომელსაც ბერები დღემდე სასწაულმოქმედ ძალას მიაწერენ.

პირველი, რამაც ლავრის ნახვისას ჩვენ გაგვაოცა, იყო ვარძიასთან მსგავსება. ისეთივე ხეობა, ოღონდ უკვე ამომშრალი მდინარისა, ისეთივე კირქვოვანი კლდე მრავალი გამოქვაბულით, რომელსაც ხეობის მოპირდაპირე მხრიდან დასცქერის ლავრის მრავალსართულიანა ანსამბლი. ვნახეთ კლდეში ჩაშენებული ეკლესია, რომელსაც დღემდე ქართულს უწოდებენ; აგრეთვე იოანე დამასკელის სენაკი. ეს ის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე გახლავთ, რომლის ფრესკასთან, ჯვარის მონასტრის სვეტზე გამოხატულია შოთას პორტრეტი.

ლავრაში სამი თუ ოთხი ბერი დაგვხვდა. ბერძენ ეპისკოპოსთან ერთად. ერთი ბერი, სახელად ნიკოლოზი მხოლოდ მაშინ გვეჩვენა, როცა ჩვენი სადაურობის ამბავი გაიგო. ღარიბული, დაფლეთილი ტანსაცმლის მიუხედავად, მასში მაინც შეიცნობთ არისტოკრატიული წარსულის ადამიანს. თავისი გვარი და ვინაობა არ გაუმჟღავნებია, მაგრამ ის კი გვითხრა, რომ დაჯერებული მონარქისტი და ღვთისმორწმუნეა. ისიც დასძინა, თავს ქართველთა ჩამომავლად ვთვლი, რადგან ჩემი წინაპარი ოდესღაც ვახტანგ მეექვსეს გაჰყოლიაო რუსეთში. სახის ოვალი, თვალები და კეხიანი ცხვირი რამდენადმე ადასტურებს მის ნათქვამს.

ნიკოლოზი საკმაოდ ნაკითხი, განსწავლული ადამიანი აღმოჩნდა. ზოგიერთი რამ იცის კიდეც საქართველოს ისტორიიდან, სმენია რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ. ყველაზე მეტად კი დაინტერესებულია ხატებით, რომელთა დიდი კოლექცია აქვე, მთავარ ტაძარშია დაცული. ნიკოლოზს რამდენიმე ხატი ქართულად მიაჩნია, უცდია კიდეც მათი განახლება. გაცხოველება უვაროვისებური მეთოდით, მაგრამ იმის შიშით, არ გავაფუჭოო, თავი დაუნებებია. სამწუხაროდ, ამ ხატების გადაღება არ მოხერხდა ელექტროგანათების უქონლობის გამო. მათი ჩამოხსნისა და მზეზე გადაღების ნება კი არ მოგვცეს.

ამანში წასასვლელად იერუსალიმიდან რომ ავიყარეთ, გზად ერიქონში შევიარეთ. ამ ისტორიული ქალაქის მახლობლად, მდინარე იორდანის ნაპირას, გვეგულებოდა კიდევ ერთი ქართული მონასტერი, ვითომდა პირველი ნათლისღების ადგილას აგებული.

იორდანი, რომელიც აღთქმის წიგნების მიხედვით, რაღაც ფანტასტიურ მდინარედ წარმოგვიდგენია, ერთი მდორე, მომწვანო ღელეა, აქა-იქ ნაპირებზე შემორჩენილი მცენარეებითა და ბუჩქებით. ტურისტებსა და მორწმუნეებს მაინც მრავალად იზიდავს წმიდა მდინარე. გაჩაღებულია სუვენირებით ვაჭრობა. თავისებურ ბიზნესში ბედუინიც ჩაბმულა. მისი კარავის წინ აქლემზე ამხედრება, ფოტოაპარატის გაჩხაკუნება და ეგზოტიკური განცდის მომენტი უკვდავყოფილია. აი ყველაფერი, რაც დარჩა ბედუინთა ცხოვრების რომანტიკიდან!

ქართული მონასტრის ადგილას დაგვხვდა საოცრად ულაზათოდ აღდგენილი ბერძნული ეკლესია. ნატიფი ქართული ჩუქურთმებით დამშვენებული ლოდები და კაპიტელები იქვე, შესასვლელთან ყრია. სათუთად ვეხებით. ვუალერსებთ ამ ქვებს, რომელთაც თავის დროზე ალამაზებდა და აჩუქურთმებდა შთაგონებული ქართველი კაცის ხელი.

* * *

იერუსალიმს რომ ვტოვებდით, ჩვენ უკვე დავემშვიდობეთ ბიბლიურ ქალაქს. მაგრამ მოხდა ისე, რომ კიდევ ერთხელ მივუბრუნდით მას. მთელი კვირა მოგვიხდა ამანში უქმად ყოფნა, რადგან არაბულმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს თავიანთ ტერიტორიაზე გავეტარებინეთ ისრაელში ნამყოფი ადამიანები.

ისევ კიპროსის ავიაკომპანიის თვითმფრინავს დაველოდეთ, რომელიც იერუსალიმის აეროდრომიდან მოფრინავდა. ასე რომ, თვითმფრინავის ილუმინატორიდან კიდევ ერთხელ გადავავლეთ თვალი ძველ და უკვდავ ქალაქს. იერუსალიმის თავზე რომ მოვფრინავდით, თითქოს ხელახლა განვიცადე მთელი ერთი თვის მანძილზე გარდახდილი ამბები. და რატომღაც ყველაზე მძაფრად და შთამბეჭდავად მეჩვენა რუსთაველთან გამოთხოვების მომენტი.

ალბათ, ბევრს განუცდია კიდეც უხერხულობა, რომელსაც ხანდახან ბადებს პოეტური აღტკინება. გარემო ყოველთვის სინქრონულად როდი ესიტყვება შინაგანი ბუნების აფეთქებე-

ბსა და ჩვენებებს, ამიტომ ხშირად, ვინმეს სასაცილო და მელოდრამატიული რომ არ ეჩვენო, თავს იკავებ წრფელი ემოციების გამოვლინებისაგან. თუ მაინცა და მაინც მარტოობას ირჩევ.

სწორედ ასეთი მარტოობის ჟამს აღვასრულე ერთხელ, ჯვარის მონასტერში, თავისებური „მღვდელმსახურება“ პოეზიის წინაშე.

თბილისიდან რომ მივემგზავრებოდი, თან გავიყოლიე შოთას, ბარათაშვილისა და გალაკტიონის წიგნები. და კიდევ ერთი პატარა კრებული ძალიან უჩინარი პოეტისა, მაგრამ ჩემთვის სათაყვანებელი, უფაქიზესი სულის ადამიანისა.

იქ, იერუსალიმში, მე ვერ მოვიცალე მათ წასაკითხად. მაგრამ ვგრძნობდი, რომ ეს წიგნები აქ რაღაც წმიდასა და ამაღლებულს უნდა ზიარებოდნენ.

მაინც რას?

და აი, ერთ დღეს, როცა გივი მონასტრის გარეთა ხედებს იღებდა, მე ფეხაკრეფით შევედი ტაძარში, დავდექი შოთას ფრესკის წინ. რიგრიგობით გადავშალე ყველა ეს წიგნი და ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა შოთას აჩრდილა წავუკითხე მისი საკუთარი შაირი, სხვათა ლექსებიც, თითო-თითო, განწყობილების შესაფერისი.

იმ დღის შემდეგ კიდევ რამდენიმე ხანს დავყავი იერუსალიმში, მაგრამ ჯვარის მონასტერს რატომღაც, შინაგანად, უკვე ვეკრძალებოდი. და არა მარტო მე. იქნებ, ამათაც აქვთ რაიმე მიზეზი, ვფიქრობდი მეგობრებზე. მიზეზი, ცხადია, ერთი იყო. შოთას უკანასკნელ სავანეს ჩვენ ვერ დავემშვიდობებით ჩვეულებრივად. გულგრილად და კაზიონურად. საჭირო იყო რაღაც განწყობილება, თუნდ მცირე შთაგონება.

იმ საღამოს თელ-ავივიდან ვბრუნდებოდით. შემოღამებამ ჯვარის მონასტერთან მოგვასწრო. გავიხედეთ და ერთხმად მანქანების გაჩერება მოვითხოვეთ. ჩამავალი მზის მიბნედილ სხივებში, იერუსალიმის ცის ფონზე ზვიადად და დიდებულად იკვეთებოდა მონასტრის ქონგურები.

როცა ეზოში შევედით, უკვე ბნელოდა, მაგრამ იოაკიმი, თითქოს ფიქრს მიგვიხვდაო, უხმოდ შეგვიძღვა ტაძარში, ელექტრონი არც აუნთია. ნახევარბინდში კარგახანს ვიდექით შოთას ფრესკის წინაშე და დიდებული დუმილი ვერცერთს ვერ დაგვერღვია.

— ჩვენ ღმერთი არ გვწამს, — გაისმა უცებ სიბნელეში გურამის ხმა, — მაგრამ იგი მაინც არის. აი, ჩვენი ღმერთი!

გურამი შოთას სვეტს მიუახლოვდა და ბინდში ჩაძირულ სახეს ეამბორა.

შემდეგ მივედი მე.

მივიდა გივი.

ჩვენც იგივე გავიმეორეთ, ჩუმად და უსიტყვოდ.

როცა იოაკიმს ვეთხოვებოდით, მკერდში სათითაოდ ჩაგვიკრა. ეტყობოდა მისი თვალებიდანაც ცრემლი მოჟონავდა.

ჩვენს წინაშე იდგა არა მღვდელი, არამედ ელინელი, გაღვიძებული პოეტური სულით.

რისთვის უნდა მიგვეწერა ამგვარი მეტამორფოზა?!..

...სადღაც, ახლოს, რუსთაველის აჩრდილი სუნთქავდა.

იერუსალიმი—თბილისი
1966 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ირემაძე

სერგო ორჯონიკიძე რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელი

80 წელი შესრულდა სერგო ორჯონიკიძის დაბადებიდან. მრავალი რამ დაიწერა ს. ორჯონიკიძეზე. განსაკუთრებით თვალსაჩინო გამოკვლევები მიეძღვნა მის რევოლუციურ მოღვაწეობას სამოქალაქო ომის პერიოდში. და ეს ბუნებრივიცაა. ს. ორჯონიკიძემ სწორედ აქ — სამოქალაქო ომის ფრონტზე გამოიჩინა თავისი საოცარი, მრავალმხრივი სამხედრო-პოლიტიკური და ორგანიზატორული ნიჭი.

სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისარი ს. ორჯონიკიძე მტრის ნამდვილ რისხვას წარმოადგენდა არა მარტო სამხრეთ რუსეთში, არამედ ყუბანსა და ჩრდილო კავკასიაში, მთელს ამიერკავკასიაში. ვ. ი. ლენინის უსაზღვრო ნდობით აღჭურვილი ს. ორჯონიკიძე პარტიამ კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სათავეში ჩააყენა, მაშინ, როცა ეს ორგანიზაციები აწარმოებდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას კაპიტალისა და ინტერვენტების უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის.

ამიერკავკასიის ბნელმა ძალებმა, უცხოელი ინტერვენტების დახმარებით, შესძლეს დროებით შეეჩერებინათ ოქტომბრის რევოლუციის გავრცელება რუსეთის იმპერიის ამ ნაწილში. 1918 წელს, ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ. მთელი კავკასია საბჭოთა რესპუბლიკისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. შეწყდა მრავალეროვანი კავკასიელი ხალხის ეკონომიური, პოლიტიკურ-კულტურული კავშირი რუს ხალხთან. სოციალიზმის მშენებლობის ინტერესები რუსეთში, კავკასიელი და რუსი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდა დარღვეული ურთიერთობის აღდგენას. ბოლშევიკების პარტია არასოდეს შერიგებია რუსეთისაგან ამიერკავკასიის მოწყვეტას. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები კვლავ შედიოდნენ რუსეთის კომუნისტური პარტიის შემადგენლობაში, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. პარტიის ცკ-ის, ვ. ი. ლენინის მითითებითა და დირექტივებით ხელმძღვანელობდნენ კავკასიელი ბოლშევიკები მშრომელთა ბრძოლებს ბურჟუაზიული ნაციონალისტური მთავრობებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ სამოქალაქო ომის მრისხანე წლებშიც.

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მუდამ იყვნენ დარაზმული ერთიანი ცენტრის, პარტიის ცკ-ის ირგვლივ. წითელმა არმიამ ზედიზედ გამანადგურებელი დარტყმები აგემა მტერს სამოქალაქო ომის ფრონტზე. 1920 წლის თებერვალ-მარტში დენიკინმა მწარე დამარცხებები იწვნია ყუბანში და თერგზე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით, 1920 წ. 4 თებერვალს შეიქმნა პარტიული ბიურო საბჭოთა ხელისუფლების აღსადგენად ჩრდილოეთ კავკასიაში. დიდი რწმუნებებით უფლებამოსილ ორგანოს სერგო ჩაუყენეს სათავე-

ში. იგი ენერგიულ ბრძოლას აჩაღებს საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების აღდგენისა და განმტკიცებისათვის. მალე 17 თებერვალს ორჯონიკიძე ახლად შექმნილ ჩრდილო-კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრად დაინიშნა. გატარებული ღონისძიებების წყალობით წითელი არმია ზედიზედ ამარცხებს მტერს გადამწყვეტ უბნებზე: სტავროპოლის, ეკატერინოდარის, პიატიგორსკის, გროზნოს, მაიკოპის თავზე წითელი დროშა აფრიალდა. 31 მარტს განთავისუფლებული იქნა თვით კავკავი. იმავე დღეს სერგოს თავმჯდომარეობით შეიქმნა ჩრდილო კავკასიის რევკომი. 2 აპრილს ორჯონიკიძემ დეპეშა აფრინა ლენინთან: „მთელი ჩრდილო კავკასიის, ყუბანის, სტავროპოლის, შავზღვისპირეთის, თერგის და დაღესტნის ოლქების განთავისუფლება თეთრებისაგან მომხდარი ფაქტი გახდა. ოსები, ინგუშები, ყაბარდოელები, დაღესტნელები, ბალყარები გამსჭვალულნი არიან საბჭოთა ხელისუფლების ძლიერების სრული შეგნებით და მისადმი უსაზღვრო ნდობით. მასების რევოლუციური განწყობილება ბევრ ადგილას ისეთ დაძაბულობას აღწევს, რომ მათთან წითელი არმიის მისვლამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე მოსახლეობა საკუთარი ინიციატივით ამხობს თეთრების ძალაუფლებას, ირჩევს რევკომებს, რომლებიც ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტებისაგან შედგება... ძველი მუშაკები გამოდიან იატაკქვეშეთიდან და ხელმძღვანელობენ სააჯანყებო მოძრაობას. მოსახლეობა მოულოდნელად მოელის ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა მოსვლას, მოითხოვს განკარგულებებსა და ინსტრუქციებს ცენტრიდან და მხოლოდ ცენტრისას“. (ს. ორჯონიკიძე, ტ. I, გვ. 139).

პარტიის, ლენინის მთელი გულისყური ახლა კავკასიისაკენაა მიპყრობილი. ილიჩი აღფრთოვანებულია წითელი არმიის წარმატებებით ჩრდილო კავკასიაში, მაგრამ ჯერ დამშვიდების დრო რადი დამდგარა! ამიერკავკასიის მშრომელები დახმარებას ითხოვენ. ისტორიის დასავლეთელი ფალსიფიკატორების საყურადღებოდ აქ ერთ დოკუმენტს მოვიტანთ. დოკუმენტი წარმოადგენს პარტიის სამხარეო კომიტეტისა და მთელი კავკასიის ყველა ხალხის წარმომადგენლების მიმართვას საბჭოთა რუსეთისადმი საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ძმური დახმარების გაწევის შესახებ. იქ ვკითხულობთ: „ჩვენ კავკასიის ყველა ხალხთა მშრომელი მასები ჩვენს მხურვალე ძმურ სალამს ვუძღვნით რუსეთის პროლეტარიატს. გლეხობას და წითელ არმიას, თქვენი გამარჯვებანი სამოქალაქო ომის ფრონტებზე, თქვენი უმაგალითო გმირობა და სამხედრო წარმატებანი ბრძოლის ველზე და შრომაში ჩვენ გულს გვიმხნევებს და გამარჯვების რწმენას გვინერგავს.

რუსეთსა და კავკასიაში რევოლუციური ბრძოლის მთელ პერიოდში ჩვენ, კავკასიის მშრომელი მასები, დღემდე ჩვენი და სხვისი კაპიტალისტების უღელქვეშ ვიტანჯებოდით. იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის საქმეებში აღმაშფოთებელი აქტიურობით ერეოდა ანტანტა, კავკასია თანმიმდევრობით განიცდიდა გერმანიის, თურქეთის და ინგლისის სამხედრო ძალების ოკუპაციას, მსხვერპლად ვეწირებოდით ჟორდანიას, გეგეჭკორის, ჩხენკელის, რამიშვილის და წერეთლის სახით საქართველოს მენშევიკური მთავრობის, აზერბაიჯანის „დემოკრატიული“ პარტიის „ჰუსავატის“ და სომხეთის „რევოლუციური“ პარტიის „დაშნაკცუტიუნის“ ვერაგულ და კონტრრევოლუციურ პოლიტიკას.

ჩვენ არაერთხელ მივიტანეთ სისხლისმღვრელი იერიშები ჩვენს ფლიდსა და გაიძვერა მთავრობებზე, მრავალჯერ განვახორციელეთ გმირული ცდა გაგვეთავისუფლებინა დამონებული ქვეყანა ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის მტაცებელი ონავრებისაგან და ბანკე-

ტებსა, ორგიებსა და გარყვნილების წუმპეში ჩაფლულ ყორდანიას, უსუბეკოვისა და ხატისოვის ლაქიურ მთავრობათაგან.

წითელი ფრონტის უსაშინელესი კრიზისის ჟამს, როცა შავი გენერლის დენიკინის ბანდები ორიოლიდან მოსკოვის გზაზე გამოვიდნენ, ჩვენ რევოლუციური ინსტინქტით ვიგრძენით რა, თუ რა დიდი საფრთხე ემუქრებოდა რევოლუციას, საქართველოში ჩავებით ბრძოლაში, თუმცა გამარჯვების პერსპექტივების გარეშე. მხოლოდ იმისათვის, რომ დენიკინისათვის ზურგიდან შეგვექმნა საფრთხე და გაგვეწია თქვენთვის დახმარება. ჩვენივე მტრების აღიარებით, ჩვენ არ ვზოგავდით ძალღონეს, ჩვენს კერას და სიცოცხლეს, რომ დამარცხებიდან გვეხსნა წითელი არმია, რადგან გვჯეროდა, რომ თქვენი დამარცხება — ეს ყველა ჩვენგანის სიკვდილია, ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დაღუპვაა, რომ საბჭოთა რუსეთის კატასტროფა იქნებოდა ყველა ქვეყნის მუშათა მისწრაფებებისა და იმედის განადგურება.

ჩვენ მაშინ დავმარცხდით.

მაგრამ წითელმა არმიამ სასიკვდილოდ განგმირა დენიკინი და კავკასიის საზღვრებს მოუახლოვდა...

ჩვენ არ გვსურს მონებად დავრჩეთ, განსაკუთრებით, ამიერიდან, როცა ჩვენ გვერდით დგას რუსეთის განთავისუფლებული პროლეტარიატი, რომელთანაც გვსურს გავერთიანდეთ ერთიან პროლეტარულ ინტერნაციონალურ ოჯახში.

კავკასიის ყველა კომუნისტი, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და დაღესტნის ყველა მუშა და გლეხი, კავკასიის ყველა ეროვნების მშრომელი მასების წარმომადგენლები, რომლებიც ორი წლის განმავლობაში უმაგალითო სიძნელეთა პირობებში ვეწევით განუწყვეტელ ბრძოლას იმ იდეალებისათვის, რომელთაც თქვენ მიაღწიეთ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით... ჩვენ ჯერ არ გვიხილავს ოქტომბრის რევოლუციის დიადი მზე, რომელიც თქვენ დაგყურებთ.

ჩვენი ამხანაგები, ძმები და შვილები წინანდებურად ლპებიან და იტანჯებიან მეფის ძველ ციხე-ჯურღმულებში.

ჩვენ ბედმა არ გვარგუნა თავისუფალი სუნთქვა მეფის რეჟიმის დამხობის შემდეგაც.

ეს რეჟიმი შესცვალა მუშურ-გლეხური საქართველოს ჯალათის ნოე რამიშვილის, გამხეცებული უსუბეკოვისა და უსულგულო ხატისოვის კიდევ უფრო მწარე რეჟიმმა, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე მეფის გენერლების ტყვიით მოჭედილი მათრახი ტრიალებდა.

ვიხსენებთ რა ჩვენს მეგობრულ რევოლუციურ საქმიანობას დენიკინის ღრმა ზურგში, იმედსა და ოცნებებს კავკასიის მშრომელი მასებისა, რომლებიც მოუთმენლად მოელიან საბჭოთა რუსეთთან გაერთიანებას, ჩვენ ურყევად და მტკიცედ გვწამს, რომ მუშურ-გლეხური რუსეთი, კომუნისტური ინტერნაციონალი და გმირული წითელი არმია არ დარჩებიან გულგრილ მაყურებლად ჩვენი უთანასწორო ბრძოლისა გაერთიანებულ შავ-ყვითელ კონტრრევოლუციასთან და აქტიურად დაგვეხმარებიან კაპიტალის ბატონობისაგან გათავისუფლების საქმეში...“[1]

საბჭოთა რუსეთს არ შეეძლო უარი ეთქვა დახმარებაზე. ამასთან სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კონტრრევოლუციური ძალების განადგურება კავკასიაში უპასუხებდა კიდეც სოციალისტური რუსეთის ინტერესებსაც. ეს როდი იყო მხოლოდ კავკასიელთა კერძო საქმე. საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ინტერვენციის კავკასიის პლაცდარმის მოსპობა მთელი რუსეთის მშრომელთა ინტერესებსაც შეესაბამებოდა.

[1] „Борьба за победу советской власти в Грузии“, დოკ. კრებ., თბილისი, 1958 წ. გვ. 548-550.

პარტია ატარებს ფართო ღონისძიებებს, რათა მომზადდეს პირობები დახმარების წარმატებით განხორციელებისათვის.

ჯერ კიდევ 1920 წ. დამდეგს რკპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიურომ თავის სხდომაზე განიხილა საკითხი კავკასიის პარტიული ორგანიზაციების შესახებ და მიიღო რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა კავკასიელი ბოლშევიკების მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას. პარტიის ცკ-ის მითითებით, გატარდა ღონისძიებანი კავკასიის პარტიული, საბჭოთა და სამხედრო ორგანოების კადრებით გასამტკიცებლად. 6 თებერვალს ი. ბ. სტალინი დაინიშნა კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრად; მოსკოვში მუშაობას შეუდგა კომისია, რომელიც კავკასიელ კომუნისტებს აგროვებს და სამშობლოში გზავნის. თავის მხრივ კავკასიის სამხედრო კომიტეტი, ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, გაცხოველებულ სამზადისს ეწევა ამიერკავკასიაში შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად. კომიტეტის 1920 წლის 3 აპრილის პროკლამაციაში ნათქვამია: „...ამხანაგებო! ახლა ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. ერთი მძლავრი დარტყმით ერთხელ და სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო გამცემლობასა და ინტრიგებს... მერყეობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. გადამწყვეტი მომენტი დადგა.

გაბედულად აღდექით მტრის წინააღმდეგ. ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია. თქვენს უკან და თქვენთან ხომ საბჭოთა რუსეთის მამაცი, უძლეველი პროლეტარული წითელი არმიაა“.[1]

ამიერკავკასიაში იქმნებოდა პირობები სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისათვის. გაძლიერდა მშრომელთა ბრძოლა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური რეჟიმის დასამხობად. ბრძოლისათვის შეგნებული ხასიათის მიცემა და სწორი გზით წარმართვა მოითხოვდა ადგილობრივ პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, მათი პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის ამაღლებას. ამ ამოცანების განხორციელება თავის მხრივ მოითხოვდა ცენტრიდან ხელმძღვანელობის გაძლიერებას, მეტ ოპერატიულობას. ეს კი კავშირურთიერთობის მაშინდელ პირობებში ცენტრიდან ესოდენ დაშორებული მხარისათვის ერთობ რთული და ძნელი იყო. ამიტომ იყო, რომ რკპ (ბ) ცკ-ის პლენუმმა 1920 წლის 8 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტის გაუქმებისა და მის ნაცვლად რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს შექმნის შესახებ. კავკასიის ბიუროს სათავეში სერგო ორჯონიკიძე იქნა ჩაყენებული. კავკასიის ბიურო, როგორც რკპ (ბ) ცკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა, იყო მხარის ორგანიზაციების მიმართ უმაღლესი პარტიული ორგანო. მას ევალებოდა განეხორციელებინა ხელმძღვანელობა ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. რა ამოცანები დასვა პარტიამ, ლენინმა ახლად შექმნილი ორგანოს წინაშე? აი რას ამბობს ამის შესახებ თვით ს. ორჯონიკიძე: „...როდესაც წითელი არმია შემოვიდა ჩრდილო კავკასიის ფარგლებში, რკპ (ბ) ცკ-ის დადგენილებით, შეიქმნა ცენტრალური კომიტეტის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა კავკასიის ბიუროს სახით კავკასიის პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობისათვის.

რკპ (ბ) კავკასიის ბიურომ ძირითადად და მთავარ ამოცანად დაისახა შემდეგი: 1) საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრება და განმტკიცება და მტკიცე კომუნისტური პარტიის შექმნა კავკასიაში; 2) ნაციონალური მშვიდობის დამყარება და შენარჩუნება; 3) მიწის საკითხის გადაწყვეტა; 4) არმიის ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება, 5) კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური გაერთიანება ერთმანეთთან და რსფს რეს-

[1] გაზ. „კომუნისტი“ 1966 წ. 14 სექტემბერი, გვ. 2.

პუბლიკასთან ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენარჩუნების პირობებში და 6) ყოველმხრივი დახმარება მეზობელი კომუნისტური პარტიებისა და რევოლუციური მოძრაობისადმი აღმოსავლეთში". ცხადია, ამ ამოცანათაგან უპირველესსა და უმთავრესს, ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის შემდეგ, წარმოადგენდა „ამოცანა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა ამიერკავკასიაშიც".[1]

ორჯონიკიძე მაშინვე შეუდგა კავკასიის ბოლშევიკების დარაზმვას რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრისათვის. მალე ორჯონიკიძის მითითებითა და უშუალო მონაწილეობით მიღებულ იქნა მიმართვა ჩრდილო კავკასიის ყველა კომუნისტური ორგანიზაციისა და ცალკეული პარტიული ამხანაგებისადმი მთელი კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ერთიანობის და ამიერკავკასიის მშრომელებისადმი სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლაში ძმური დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ლენინი კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ორჯონიკიძეს ავალებდა: აზერბაიჯანის განთავისუფლება „ჩვენთვის უაღრესად, უაღრესად საჭიროა. მთელი ღონისძიებანი აქეთ წარმართეთ, ამასთან აუცილებელია განცხადებებში უაღრესი დიპლომატიურობა გამოიჩინოთ და მაქსიმალურად დარწმუნდეთ მტკიცე ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მომზადებაში. იგივე ეხება საქართველოს, თუმცა გირჩევთ მას კიდევ უფრო ფრთხილად მოეპყროთ."[2] ვ. ი. ლენინის დირექტივა სერგოს ავალებდა: აზერბაიჯანელი და ქართველი კომუნისტების სწრაფ დარაზმვას, მათ გაბედულ ჩაყენებას მუშებისა და გლეხობის ბრძოლების სათავეში, შეიარაღებული აჯანყების (თუ ამის გარეშე, მშვიდობიანი გზით არ მოხერხდებოდა ძალაუფლების აღება) დასაწყებად ზუსტი დროის განსაზღვრას. ხოლო ამისათვის საშინაო და საგარეო ვითარების წინასწარი ღრმა ანალიზის გაკეთებას, მსგავსად 1917 წლის ოქტომბრის პეტროგრადის გაკვეთილის გათვალისწინებით. მუშებისა და გლეხობის შეიარაღებას ბრძოლისათვის, მათს გაწვრთნას და ბოლოს წითელი არმიის, კერძოდ XI არმიის მომზადებას. ცხადია, დავალების შესრულება ორჯონიკიძისაგან ნებისყოფის უაღრეს დაძაბვას, ტიტანურ ენერგიას მოითხოვდა.

ს. ორჯონიკიძემ საქმე, უპირველეს ყოვლისა, პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებით დაიწყო. ფართო სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა ტარდებოდა წითელი არმიის ნაწილებში. მებრძოლებს განუმარტავდნენ პარტიის ეროვნული პოლიტიკის არსს. მრავალეროვან კავკასიის მოსახლეობაში მოქმედ არმიას ეს ჰაერივით ესაჭიროებოდა. ორჯონიკიძე სისტემატურად მოახსენებდა ცენტრს ჩატარებული მუშაობის შესახებ. ვ. ი. ლენინი მუდამ საქმის კურსში იყო. იგი წარმართავდა ორჯონიკიძისა და კავკასიელი ბოლშევიკების მთელ საქმიანობას. დეპეშებით და წერილებით აძლევდა მათ მითითებებსა და რჩევა-დარიგებებს. ვ. ი. ლენინი მუდამ დიდ ზრუნვას და სიფრთხილეს იჩენდა კავკასიის ეროვნული უმცირესობის მიმართ. ამასვე უნერგავდა იგი სხვებსაც. „Еще раз прошу действовать осторожно и объязательно проявлять максимум доброжелательности к мусульманам,

[1] ს. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. 1, გვ 237-238.

[2] ვ. ი. ლენინი, ტ 35, გვ. 470.

особенно при вступлении в Дагестан. Всячески демонстрируйте и притом самым торжественным образом симпатии к мусульманам, их автономию, независимость и прочее. О ходе дела сообщайте точнее и чаще" — წერდა ვ. ი. ლენინი ორჯონიკიძის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში და თვითვე იჩენდა დიდ სიფრთხილეს და ყურადღებას. დეპეშის ქვემოთ მან მიაწერა:

„Тов. Троцкий, если согласны, отправьте шифром и по прямому проводу, мы составили со Сталиным"[1]. ხოლო, როცა დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლების დროშა აფრიალდა, ლენინმა დეპეშით აცნობა სერგოს: „Уполномочиваю Вас обявить горцам, что я обещаю провести через Совет Народных Комиссаров денежную помощь им. Выдаите им в счет этого до 200 миллионов"[2].

ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით კავკასიის ბიუროსა და კავკასიელი ბოლშევიკების ენერგიულმა მუშაობამ მალე გამოიღო ნაყოფი. აპრილის შუა რიცხვებისათვის ორჯონიკიძეს ძირითადად უკვე შემუშავებული ჰქონდა აზერბაიჯანსა და საქართველოში აჯანყების გეგმა. ზუსტდებოდა აჯანყების დაწყების თარიღი.

ამიერკავკასიის რეაქციული, ანტიხალხური ძალები გრძნობდნენ აღსასრულის მოახლოებულ ჟამს. მაგრამ უბრძოლველად როდი ბარდებოდა მტერი. იგი ყოველ ღონეს ხმარობდა არსებობის გახანგრძლივებისათვის.. „კავკასიის სამხარეო კომიტეტის კონტრდაზვერვის საშუალებით, — წერდა ვ. ნანეიშვილი ნ. მეხანოშინს,—შევძელით დაგვედგინა: საქართველოს მთავრობასა და მოხალისეთა არმიის წარმომადგენლობას შორის მოხერხდა გარკვეული შეთანხმება საბჭოთა წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებზე. მოხალისეთა არმიის ნაწილები, რომლებმაც საქართველოსაკენ დაიხიეს, ეკრძალებოდა. გენერალი ვრანგელი [illegible] ბათუმში იმყოფება, მიემგზავრება თბილისს. მის შესახვედრად გამოვიდა გეგეჭკორი. უახლოეს მომავალში ეს ნაწილები დაიძრებიან საქართველოს სამხედრო გზაზე მამისონის უღელტეხილით ყაზბეგისაკენ. მოხალისეების მიერ სიმულირებული იქნებოდა ყაზბეგის დაპყრობა... შემდეგ ისინი დაიძვრიან ვლადიკავკაზე და მთელი თერგის ოლქზე საიერიშოდ.. აქ იმყოფება გენერალი შკურო, ამ დღეებში ჩამოვა გენერალი დროცენკო, მაგრამ ეშინიათ ჩვენი დამუშებს შორის ჩვენი გავლენისა... წინადადება მიეცეთ თავდაცვის საბჭოს დაუყოვნებლივ გამოიწვიოს საქართველოსა და აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლები"... ნანეიშვილის მონაცემებს ადასტურებს ფიგატნერის სახელზე გაგზავნილი ორჯონიკიძის დეპეშაც: „თბილისში იმყოფება ვრანგელის მისია. იგი აგროვებს ოფიცრებს, აგზავნის ყირიმში. იქ ცოტა ხნის წინათ შეადგინეს თერგის ახალი მთავრობა ბუკანოვსკის მეთაურობით... მუსავატელები აწარმოებენ აგიტაციას მუსულმან მასებში. დაიწყეს გაზეთის გამოცემა. მენშევიკები ყოველნაირად ეხმარებიან მათ. იქეთ მიემართება მთიელთა კონტრრევოლუცია: ვასდან გირეი ჯამაგიევი და კ-ო, იქაა ცალიკოვი... „თავისუფალი" მთიელი ამ დღეებში იწყებს თურქულ ენაზე გაზეთის გამოცემას. საშინელ ცილისწამებას ეწევიან ჩვენს წინააღმდეგ. ფულს ღებულობენ მენშევიკებისა და მუსავატელებისაგან".

ჟორდანიას მთავრობამ დიპლომატიური არხებითაც დაიწყო მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევისათვის გზების ძებნა. მან თავისი წარმომადგენელი გაგზავნა მოსკოვს საბჭოთა მთავრო-

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 51 (მე-5 გამოც.), გვ. 175.

[2] იქვე, გვ. 178.

ბასთან მოსალაპარაკებლად. ორჯონიკიძემ დეპეშით აცნობა ლენინს: „ესესაა როსტოვში ჩამოვიდა ლონჟიუმოს პარტიული სკოლის ყოფილი მოწაფე... მენშევიკი გრიშა ურატაძე. თუ მოიგონებთ, ეს ისაა, სახელი რომ გაითქვა თქვენთან აღმოსავლური ეშმაკობით. მისთვის გვგეჭკორს კარტ-ბლანში მიუცია. სურს გამოემგზავროს მოსკოვში თქვენთან. ვფიქრობ, არაფრის მაქნისია ეს...“

ს. ორჯონიკიძეს კარგად ესმოდა, რომ ურატაძის მოსკოვს საბჭოთა მთავრობასთან გამგზავრების ძირითადი აზრი და დანიშნულება იყო მენშევიკური საქართველოსათვის მოახლოებული კატასტროფის თავიდან აცდენა. ჟორდანიას მთავრობას სურდა მოსკოვთან მოლაპარაკების დაწყებით შეეჩერებინა საქართველოში მომზადებული აჯანყების დაწყება.

სწორედ მოლაპარაკების დაწყებით უნდოდათ ქართველ მენშევიკებს დრო მოეგოთ. როგორმე გაეძლოთ ევროპიდან დახმარების მიღებამდე. ამასთან, მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, ევროპელი იმპერიალისტების თვალში ამაღლდებოდა ჟორდანიას მთავრობის პრესტიჟი. ეს კი დააჩქარებდა დაპირებული დამოუკიდებლობის დეფაქტოდ და დეიურედ ცნობას. ცხადია, ორჯონიკიძეს არ შეეძლო ხელი შეეწყო ურატაძისათვის მასზე დაკისრებული მისიის შესრულებაში. სერგოს სხვა გეგმები ჰქონდა: კიდევ ცოტაც და იგი საბჭოთა ხელისუფლების წითელ დროშას ააფრიალებდა აზერბაიჯანსა და საქართველოში. ვ. ი. ლენინი სრულიად და სავსებით ეთანხმებოდა სერგოს.

„Нариманов выедет на днях в Петровск согласно Вашему предложению (ნარიმანოვი ორჯონიკიძემ აზერბაიჯანში განზრახულ აჯანყებასთან დაკავშირებით გამოითხოვა. სურდა იგი—რევკომის სათავეში ჩაეყენებინა—აკ. ირ.). Можете сообщить от себя господину Уратадзе, что правительство не возражает против его приезда в Москву, причем я вполне согласен с Вами, что торопиться с его выездом из Ростова в Москву не следует, ввиду чего предоставляю Вам назначить по своему усмотрению день выезда.“ (Ленин, псс, т. 51, ст. 178.)

ილიჩი ასევე უწონებდა სერგოს სხვა ღონისძიებებსაც. ხოლო მიწის საკითხში მას მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევდა: **„По вопросу о земельных отношениях,—წერდა ვ. ი. ლენინი ორჯონიკიძეს იმავე დეპეშაში, — можете действовать самостоятельно, сообщая, однако, о предпринимаемых Вами мероприятиях в этой области“** (იქვე, გვ. 178.)

კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის კომუნისტური პარტია, რომელმაც თავისი პირველი ყრილობა 1920 წლის 11—13 თებერვალს ჩაატარა ბაქოში არალეგალურად, ენერგიულ ღონისძიებებს ატარებს შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. ს. ორჯონიკიძის მითითებით, კავბიუროს მიიღო გადაწყვეტილება თავისი წარმომადგენლები გაგზავნოს ადგილებზე პარტიული ორგანიზაციებისათვის აჯანყების მზადებაში ხელმძღვანელობის გასაწევად. ორჯონიკიძის მიერ წარგზავნილმა პირებმა მჩქეფარე რევოლუციური მუშაობა გააჩაღეს აზერბაიჯანში და საქართველოში. ბაქოში მ. გუსეინოვის მეთაურობით შეიქმნა ცენტრალური რევოლუციური შტაბი მუსავატური რეჟიმის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. გაცხოველებით სწარმოებდა იარაღის შეძენა. ცალკეულ მაზრებსა და ქალაქებში შეიქმნა აჯანყების შტაბები. ყველგან

ფართოდ გაიშალა მუშაობა საბრძოლო რაზმების ჩამოსაყალიბებლად. დიდ მუშაობას ეწეოდნენ სამხედრო შტაბები: არალეგალურად იძენდნენ იარაღს და ანაწილებდნენ საბრძოლო რაზმებზე. აზერბაიჯანელი ბოლშევიკები, კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელობით, ენერგიულ მუშაობას ეწეოდნენ გლეხებს შორისაც. მშრომელი გლეხკაცობა მტკიცედ ირაზმებოდა პარტიული ორგანიზაციების გარშემო, მისი დირექტივებითა და მითითებებით მოქმედებდა.

აჯანყებისათვის მზადების საქმეში დიდი მუშაობა გასწია კამომ, რომელიც, ს. ორჯონიკიძის მოთხოვნით, რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურად მიავლინა ამიერკავკასიაში. კამოს ჯგუფმა შესძლო დიდძალი იარაღის შეძენა და არალეგალური საწყობების მოწყობა ბაქოში, თბილისში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში. აზერბაიჯანში შეიარაღებული აჯანყების გეგმა ითვალისწინებდა, საჭირო შემთხვევაში, XI არმიის შესაძლო დახმარებასაც, აჯანყებულებისა და წითელი არმიის მოსალოდნელ ერთობლივ მოქმედებას. ამიტომ აჯანყების ცენტრალურმა რევოლუციურმა შტაბმა სცადა კავშირი დაემყარებინა XI არმიის შტაბთან. იქ კიროვის სახელზე გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ჩამოყალიბებული იყო აჯანყების შტაბის მოქმედების გეგმა. წერილში ნათქვამია: „ჩვენი გეგმა ასეთია: ვაძლიერებთ სამხედრო სექციის მუშაობას, რისთვისაც არალეგალურად ვრაზმავთ მებრძოლ ძალებს და ველოდებით... ჩვენი ძალები მარტო ქალაქ ბაქოში 20—30 ათას შეიარაღებულ კაცს აღწევს. მუღანლოს ველზე არის 8—10 ათასი შეიარაღებული მებრძოლი... ელიზავეტპოლის გუბერნიის მოსახლეობა განწყობილია რევოლუციურად. ასეთივე განწყობილება იგრძნობა ბაქოს გუბერნიის მოსახლეობაში. გადატრიალების შემთხვევაში ეს ძალები ჩვენს მხარეზე იქნებიან. ჩვენ გვაქვს 2.500 შაშხანა, ვაზნები, ბომბები, რევოლვერები და სხვა“.[1]

კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილებით, მე-11 არმია განლაგებული იქნა აზერბაიჯანის საზღვრებთან,[2] რათა, საჭირო შემთხვევაში, სწრაფი დახმარება აღმოეჩინა აჯანყებულებისათვის. როცა ყველა მოსამზადებელი სამუშაო შესრულდა, კავბიუროს მითითებით აპრილის მეორე ნახევარში დაიწყო შეიარაღებული აჯანყებისა და ხელისუფლების აღების ტექნიკური საკითხების დაზუსტება. აზერბაიჯანის კპ ცკ-ის პრეზიდიუმმა, რომლის სხდომაშიც მონაწილეობდნენ ბაქოს კომიტეტისა და კავკასიის ბიუროს წევრები, 22 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება: შეიარაღებული აჯანყება ბაქოში 27 აპრილს დაწყებულიყო. აქვე, ორჯონიკიძის წინადადებით, მიღებულ იქნა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მუსავატური მთავრობისათვის ულტიმატუმის წაყენებას ხელისუფლების ჩაბარების შესახებ. თუ მთავრობა უარს იტყოდა და წინააღმდეგობის გაწევას დაიწყებდა, მაშინ საღამოს უნდა გამოეცხადებინათ შეიარაღებული აჯანყება.

27 აპრილს მუსავატურმა მთავრობამ ვერ გაბედა ბოლშევიკების მიერ წაყენებულ ულტიმატუმზე უარის თქმა.

---

[1] იმელის აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ციტატი მოყვანილია აკ. სურგულაძის წიგნიდან „სოც. რევ. გამარჯვება ა/კავკასიაში“, ტ. II, გვ. 400.

[2] იქვე.

აზერბაიჯანის სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს ხელისუფლება მშვიდობიანად ჩაბარდა. 28 აპრილს მოსახლეობამ სასიხარულო ცნობა შეიტყო: „ქვეყანაში მთელი ძალაუფლება გადავიდა მშრომელი კლასების ხელში". იმავე დღეს რევკომმა, რომელსაც ნ. ნარიმანოვი ჩაუდგა სათავეში, ვ. ი. ლენინს უდეპეშა: „...აზერბაიჯანის საბჭოთა დამოუკიდებელი რესპუბლიკის დროებითი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელიც ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში, ქალ. ბაქოს რევოლუციური პროლეტარიატისა და აზერბაიჯანის მშრომელი გლეხობის ნება-სურვილით, აცხადებს რა ძველ, მუსავატურ მთავრობას ხალხის გამცემად და ქვეყნის დამოუკიდებლობის მტრად, წყვეტს ყოველგვარ კავშირს ანტანტასთან და საბჭოთა რუსეთის სხვა მტრებთან.

არა გვაქვს რა შესაძლებლობა საკუთარი ძალებით შევაკავოთ შინაგანი და გარეშე კონტრრევოლუციის გაერთიანებული ბანდების დაწოლა, აზერბაიჯანის დროებითი რევოლუციური კომიტეტი სთავაზობს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას ძმურ კავშირს მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის და სთხოვს აღმოუჩინოს რეალური დახმარება წითელი არმიის რაზმების გამოგზავნით".[1]

საბჭოთა აზერბაიჯანმა მიიღო ეს დახმარება. განთავისუფლებულ ბაქოში 30 აპრილს მე-11 არმიის ნაწილები შევიდნენ. მათთან ერთად იყვნენ რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელები — ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი, XI არმიის სარდალი მ. ლევანდოვსკი.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, აზერბაიჯანელი ბოლშევიკები, კავბიუროს ხელმძღვანელობით, რომლის მუშაობასაც ვ. ი. ლენინი წარმართავდა, შეიარაღებულ აჯანყებას, როგორც ხელოვნებას, ისე მოეპყრნენ და წარმატებასაც მიაღწიეს. ისინი ბრწყინვალედ დაეუფლნენ პეტროგრადის გაკვეთილს. ს. ორჯონიკიძის გეგმა, აზერბაიჯანის შემდეგ, შეიარაღებული აჯანყების განხორციელებას ითვალისწინებდა საქართველოშიც. ორჯონიკიძეს ყველაფერი მზად ჰქონდა დასახული ამოცანის განსახორციელებლად. ამ მხრივ საინტერესოა მისი საუბარი პირდაპირი მავთულით ბ. კვირკველიასთან: „2 მაისს... თბილისში იყო ცდა ხელისუფლების დაპყრობისა, მაგრამ წარუმატებლად... სანდრო მახარაძე გადარჩა. მთავრობა დღეს საალყო მდგომარეობას აცხადებს... ბათუმში გადატრიალებაა მოსალოდნელი. ბათუმის მუშების უდიდესი ნაწილი ჩვენს მხარეზეა. 30 აპრილს... მოკლული იქნა გენერალი ლიახოვი... აფხაზეთში გამოსვლა 8—10 მაისისათვისაა მოსალოდნელი. დააწევით ჩრდილო ოსეთიდან გორის მაზრას. ეს საბოლოოდ დაქსაქსავს მთავრობის ძალებს".[1] 3 მაისს ორჯონიკიძემ ბაქოდან აცნობა ლენინს, რომ არა უგვიანეს 15 მაისისა ვიმედოვნებ ვიყოთ თბილისში. მეორე დღეს სერგო აზუსტებს აჯანყებულთა მიერ თბილისის განთავისუფლების თარიღს და აცნობებს ილიჩს, რომ ეს შესაძლებელია მოხდეს არა უგვიანეს 12 მაისისა.[2]

ვ. ი. ლენინი იწონებდა რა საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის ორჯონიკიძისეულ გეგმას, ამავე დროს გულმოდგინედ ეძებდა გზებს რევოლუციის მშვიდობიანად განხორციელებისათვის. იგი მცირეოდენ შესაძლებლობასაც არ ტოვებდა უყურადღებოდ, ოღონდ კი უსისხლოდ გადასულიყო ძალაუფლება მშრომელების ხელში.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ შექმნილ საერთაშორისო და საშინაო პირობებში ვ. ი. ლენინმა დაინახა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის განხორ-

[1] გაზ. „Известия ВРК Азербейджана", № 1, 29 апреля 1920 г.

[1] ИМЛ, ЦПА, ф. 85, оп. 18, д. 39, 1. 1-3.
[2] Ленин, псс, т. 51, ст. 424.

ციელების მშვიდობიანი გზა. 1920 წლის 4 მაისს რკპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიურომ განიხილა ს. ორჯონიკიძის 3 მაისის დეპეშა და მიიღო ლენინის წინადადება, რომელიც ორჯონიკიძეს უკრძალავდა აჯანყების გეგმის განხორციელებას. იმავე დღეს ორჯონიკიძეს დეპეშა ჩააბარეს, რითაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი ავალებდა მას თავი შეეკავებინა საქართველოში შეიარაღებული აჯანყების გეგმის განხორციელებაზე, რადგან „თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ ცხადია, რომ საქართველოსთან ზავი გამორიცხული არ არის, დაუყოვნებლივ გვაცნობეთ მთელი უზუსტესი ცნობები აჯანყებულთა შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით ლენინი. სტალინი“[1].

ს. ორჯონიკიძემ და ს. კიროვმა დაუყოვნებლივ აფრინეს პასუხი ლენინთან: „თქვენი ბრძანება ზუსტად იქნება შესრულებული... აჯანყების რაიონი: სამხრეთ ოსეთი, დუშეთის მაზრა, ლაგოდეხი, აფხაზეთი, ფოთი და მთელი ქუთაისის გუბერნია. საზღვრებთან ჩვენი მიახლოებისას აჯანყება აღნიშნულ რაიონებში გარდუვალია. რას გვიბრძანებთ გავაკეთოთ — დავუჭიროთ მას მხარი თუ არა?“.[2] ვ. ი. ლენინმა, რასაკვირველია, მიუხედავად იმისა, რომ აჯანყების გეგმა რეალური იყო და შეიძლებოდა წარმატებით დაგვირგვინებულიყო კიდეც, ამჯობინა ეცადა მშვიდობიანი გზა. **მან ორჯონიკიძეს უდეპეშა.** „Это в корне противоречит решению ЦК. Может иметь пагубные последствия. Ни в коем случае не разрешается Центральным Комитетом. Категорически требуем приостановления исполнения и отмены решения“.[3]

ვ. ი. ლენინის წინადადებით პარტიის ცკ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება — აეკრძალოს ორჯონიკიძეს შეიარაღებული აჯანყებისა და მეამბოხეებისადმი წითელი არმიის დახმარების

[1] ლენინი, ტ. 35, გვ. 475.
[2] Ленин, псс, т. 51, ст. 424, прим. 209.
[3] Тамже, ст. 195.

გზით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება — ნაკარნახევი იყო ამავე დროს საერთაშორისო მდგომარეობითაც. ანტანტამ და მსოფლიო იმპერიალისტურმა ძალებმა ახალი ლაშქრობა წამოიწყეს — საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბურჟუაზიულ-მემამულური პოლონეთი დასძრეს. 25 აპრილს პოლონეთის მძლავრი არმია თავს დაესხა საბჭოთა ქვეყანას და კიევი დაიკავა. თეთრ პოლონელების დასახმარებლად დაიძრა ყირიმში განლაგებული გენერალ ვრანგელის თეთრგვარდიული არმია. ვრანგელმა მაისის პირველ რიცხვებში ყუბანში დესანტი გადმოსხა და მძლავრი შეტევითი ოპერაციები განავითარა. 4 მაისს, პოლიტბიუროს სხდომის დამთავრების შემდეგ, სახალხო კომისართა საბჭო შეუდგა მუშაობას. მან დადგენილებების ოქმში ჩაწერა: „ამჟამად მუშურ-გლეხური მთავრობის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა პოლონეთის ფრონტზე. ქვეყნის მთელი ძალები და საშუალებანი გამოყენებულ უნდა იქნას სრული და სწრაფი გამარჯვების მისაღწევად“.[1] იმავე საღამოს ი. ბ. სტალინი პირდაპირი მავთულით პირადად ელაპარაკა ორჯონიკიძეს და კიდევ ერთხელ გააფრთხილა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების უსწრაფესად განხორციელების საჭიროების შესახებ. „მხედველობაში მიიღე, — უთხრა სტალინმა ორჯონიკიძეს, — რომ ცკ-ის ეს მოთხოვნა ნაკარნახევია საერთაშორისო მაშტაბის ახლანდელი ვითარებით“.[2]

ვ. ი. ლენინისათვის ნათელი იყო (განსაკუთრებით თეთრ პოლონელების მიერ კიევის აღების შემდეგ), რომ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისათვის ახლა მხოლოდ მშვიდობიანი გზა არსებობდა. კავკასიის ფრონტიდან სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე ნაწილების დაჩქარებული გადასროლის პირობებში, ორ-

[1] ИМЛ, ЦПА, ф. 19, оп. 1, д. 366, л. 39.
[2] იქვე, ф. 558, оп. 3, д. 1621, л. 1.

ჯონიკიძის განკარგულებაში აღარ რჩებოდა საკმარისი შეიარაღებული ძალა, რომელსაც საჭირო შემთხვევაში აჯანყებულთა დახმარება შეეძლებოდა; მით უფრო, იგი ვერ გაუმკლავდებოდა ანტანტის ჯარების მოსალოდნელ შემოტევას ამიერკავკასიაში. ასე რომ, რჩებოდა ერთადერთი მშვიდობიანი გზა. და მართლაც, თუ ჟორდანიას მთავრობა, საბჭოთა მთავრობის მხრივ გარკვეული დათმობის (თუნდაც მენშევიკური მთავრობის დეფაქტო-დეიურეს ცნობა) სამაგიეროდ, საქართველოში კომუნისტური პარტიის ლეგალურ არსებობას დაუშვებდა, მაშინ ჟორდანიას მთავრობა ვეღარ შესძლებდა აეცდინა საქართველო საბჭოთა ხელისუფლების გზიდან.

საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებას ვ. ი. ლენინი ახლა პირველხარისხოვან მნიშვნელობას აძლევს. მას სურს, რაც შეიძლება, სწრაფად ჩავიდეს ურატაძე მოსკოვს. ჟორდანიას მთავრობის წარგზავნილი კი აგვიანებდა. მისი მოსკოვში ჩასვლა ჭიანურდებოდა. ვ. ი. ლენინმა დეპეშით ორჯონიკიძისაგან ურატაძის გამომგზავრების გაჭიანურების მიზეზები მოითხოვა. როცა პასუხმა დააგვიანა, ლენინმა უაღრესად სასწრაფო დეპეშა აფრინა ორჯონიკიძესთან: „Вторично просим Вас в срочном порядке, не теряя ни одной минуты, сообщить нам мотивы Вашей телеграммы об оттяжке[1], Ленин, Сталин"[2].

ორჯონიკიძემ დაუყოვნებლივ უპასუხა ლენინს. კავკასიის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს წევრს ი. ტ. სმილგას სერგო სწერდა: „ილიჩი მეორედ კითხულობს ურატაძის გამგზავრების გაჭიანურების მოტივების შესახებ. მე, ეს ესაა, გადავეცი ილიჩის სახელზე ერთი პატარა დაშიფრული დეპეშა... იქვეა დიდი დეპეშა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პრესისათვის...[1] ს. ორჯონიკიძე სავსებით ეთანხმებოდა ვ. ი. ლენინს საქართველოში სოციალისტური რევოლუციის მშვიდობიანი გზით განხორციელების საკითხში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანი გზით დამყარების მომხრე იყო ს. მ. კიროვიც. მას, ორჯონიკიძესთან ერთად ,მენშევიკური საქართველოს მძიმე საგარეო და საშინაო მდგომარეობის გამო შესაძლებლად მიაჩნდა სამშვიდობო მოლაპარაკებისას წამოყენებულიყო მოთხოვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შესახებ. ვ. ი. ლენინის სახელზე გაგზავნილ ერთ-ერთ დეპეშაში გ. კ. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი წერდნენ: „ჩვენის აზრით, საქართველოსთან ზავის პირობებში აუცილებლად უნდა იქნეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მოთხოვნა".[2]

ურატაძე მოსკოვს ჩავიდა. ჟორდანიას მთავრობის დელეგაციასთან მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობდა. ლენინმა შესძლო მიეღწია შეთანხმების ხელშეკრულებაში შეეტანათ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანი გზით დამყარების მთავარი პირობა — კომუნისტური პარტიის ლეგალიზაცია საქართველოში.

საზავო ხელშეკრულების დადებას ერთდაგვარად ხელს უშლიდა ცალკეული სასაზღვრო ინცინდენტები საქართველოსთან, მესაზღვრე ნაწილებისა და მეამბოხეების სურვილი შეიარაღებული აჯანყების გზით დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში. ი. ბ. სტალინი და ა. ს. ენუქიძე ს. ორჯონიკიძესთან პირდაპირი მავთულით საუბარში გადმოსცემენ საზავო მოლაპარაკების მიმდინარეობას და აცნობებენ სერგოს:

---

[1] აქამდე, როგორც ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემის რედაქცია მიუთითებს (ნახ. ტ. 51. გვ. 423. შენიშვ. 206), ვერ მოხერხდა გარკვევა ორჯონიკიძის რომელ დეპეშაზე იყო ლაპარაკი. მიმდინარე წელს სკკპ ცკ-თან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ცენტრალურ პარტიულ არქივში ჩვენს მიერ მიკვლეულ იქნა დოკუმენტი, რომელიც ნათელყოფს, რომ დეპეშა ეხებოდა ურატაძის მოსკოვში გამგზავრების გაჭიანურებას.

[2] Ленин, псс, т. 51, ст. 190.

[1] ИМЛ, ЦПА, ф. 85, оп. 18, д. 36, л. 1, 1 об.

[2] Ленинский сборник, т. XXXIV, ст. 296.

„ურატაძეს მოლაპარაკება ჰქონდა გეგეჭკორთან, რომელმაც დაადასტურა მისი მანდატი და უფლება მისცა მას დადოს ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს საბჭოთა რუსეთის ყველა მოთხოვნას, საქართველოს კომუნისტების ლეგალიზაციამდე. ჩვენი ნაწილებისა და აგრეთვე აზერბაიჯანის ნაწილების ზოგიერთი გამოსვლა რომ არ გვირევდეს კარტს და არ გვიშლიდეს ჩვენი პოლიტიკის გატარებას, ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილი იქნებოდა“.[1] შემდეგ ისინი განუმარტავენ ორჯონიკიძეს: „ის, რასაც შენ ამბობ საქართველოს მთავრობაზე, აბსოლუტურად სწორია, მაგრამ ვითარება ისეთია, რომ ახლა საქართველოს მიმართ აჩქარების, მისი საბჭოურად გარდაქმნის აზრით—მომხრე ჩვენ არ ვართ. — სულ ერთია, რამდენიმე თვის შემდეგ, თუ კომუნისტები ლეგალიზებული იქნებიან, იგი ისედაც საბჭოთა რესპუბლიკა გახდება. **მას სხვა გზა არა აქვს**“[2] (ხაზი ჩემია, ა. ირ). შემდეგ სტალინი და ენუქიძე ურჩევენ ორჯონიკიძეს: „გირჩევთ დაარწმუნოთ როგორც საქართველოს სასაზღვრო ნაწილები, ისე სხვა მეამბოხეები საქართველოს შიგნით, რომ ნუ აჩქარდებიან გამოსვლებში“. სტალინი და ენუქიძე რწმენას გამოთქვამენ, რომ „როგორც ჩვენი, ისე აზერბაიჯანის ნაწილების მხრივ საქართველოს წინააღმდეგ შეტევითი მოქმედება არ იქნება, და ჩვენ ხვალვე დავდებთ ხელშეკრულებას საქართველოსთან... როგორც სომხეთის, ისე საქართველოს მიმართ, აზერბაიჯანმა უნდა დაიკავოს თავისი ტერიტორიის თავდაცვის უმკაცრესი პოზიცია, მთელი ძალებით დაიცვას საზღვრები, მაგრამ არ გადავიდეს საზღვრებიდან, არ გადალახოს მეზობელი სახელმწიფოების საზღვრები“.[1]

7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის საზაო ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა. ლენინურმა სამშვიდობო პოლიტიკამ გაიმარჯვა.

გაგრძელება იქნება

[1] ИМЛ. ЦПА, ф. 85.

[2] •ქვე.

[1] ИМЛ. ЦПА, ф. 58, ст. 1. д. 2056, 1. 1-2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. კოკაია

გლეხკაცობის ბრძოლა საქართველოში ოქტომბრის რევოლუციამდე

საქართველოში გლეხკაცობის ბრძოლას მიწისა და დემოკრატიული თავისუფლებისათვის, საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა და გაღრმავდა რუსეთთან საქართველოს შეერთებისა და განსაკუთრებით ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, რადგან გლეხობის ეკონომიურ ჩაგვრას და უუფლებობას თან დაემატა ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრაც.

XIX საუკუნეში გლეხთა აჯანყებანი (კახეთში — 1812 წ., გურიაში — 1841 წ., სამეგრელოში — 1850 და 1856-1857 წლებში, სვანეთში— 1875-76 წლებში, ქიზიყში — 1878 წ. სამეგრელოში — 1881 წელს და სხვ.) სტიქიური და არაორგანიზებული ხასიათისა იყო. ჯერ კიდევ არ იყო ბრძოლის ასპარეზზე გამოსული თანმიმდევრული რევოლუციური კლასი—პროლეტარიატი, ჯერ კიდევ არ არსებობდა მარქსისტული პარტია, ამდენად, გლეხობა ბრძოლაში გამარჯვებას ვერ აღწევდა.

XX საუკუნის დასაწყისიდან, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, როგორც მუშათა კლასის, ისე გლეხობის მოძრაობა ორგანიზებულ და, რაც მთავარია, პოლიტიკურ ხასიათს იღებს. მუშათა კლასი და გლეხობა, ქალაქად და სოფლად ბოიკოტს უცხადებდა მეფის მთავრობის ორგანოებს, აუქმებდა მათ და ქმნიდა თავის თვითმმართველობას, არჩევითი ორგანოებს.

საქართველოში არჩევითი სასოფლო ორგანოების არსებობა აღინიშნება ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იან წლებიდან. ამ მხრივ საინტერესოა საარქივო დოკუმენტებისა და მასალების საფუძველზე გაკეთებული დასკვნა იმის შესახებ, რომ 1856-1857 წლებში აჯანყებული გლეხები სამეგრელოს „სოფლებში ყმებს ათავისუფლებდნენ ბატონის სამსახურისაგან, აუქმებდნენ მებატონეებისა და მოხელეების ძალაუფლებას და სოფლის მმართველობას აკისრებდნენ გლეხების წრიდან შერჩეულ წარმომადგენლებს, რომელთაც ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით მამასახლისები ეწოდებოდათ“.[1] ინტერესსმოკლებული არ იქნება აქვე აღინიშნოს ისიც, რომ გადასახლებიდან სამშობლოში დაბრუნებული, სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მეთაური ეტუ მიქავა ხალხმა დიდი სიყვარულით მიიღო და მამასახლისადაც აირჩია.[1]

მეფის მთავრობისაგან 1864 წლის 1 იანვარს გამოცემული „დებულების“ საფუძველზე შეიქმნა სოფლის საზოგადოებათა მმართველობის ორგანოები და თანამდებობანი: სოფლის საზოგადოების უმაღლესი ორგანო—გლეხთა ყრილობა, მამასახლისი და მისი თანაშემწე და სახალხო სასამართლო, რომლებიც ვალდებულ იყვნენ განეხილათ, გადაეწყვიტათ და მოეგვარებინათ გლეხკაცობის საშინაო-ბოროტო საკითხები. აღნიშნული „დებულების“ საფუძველზე შედგენილი „წესდება“, კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილის მიერ 1865 წლის 11 აპრილს დამტკიცებული, ქართულ ენაზე გამოქვეყნდა 1868 წლის ივლისს „სასოფლო გაზეთის“ № 19 და 20-ში. ნიკო ნიკოლაძე (ნ. სკანდელი) წერდა, რომ „დებულების“ გამოცემამდე „...სოფლებს არავინ ეკითხებოდა, მათი საქმეების მართვაში, და ამათ არაფერი უფლება არ ჰქონდათ თავიანთი აზრის, მხედველობის, საჭიროების და სურვილის გამოსათქმელად... ჩინოვნიკები, რომელნიც თავიანთ თავს მამებათ რაცხდენ... არაფერ რჩევას არ ჰკითხავდნენ და ანგარიშს არ აძლევდენ თავიანთ შვილებს, ან უფრო სწორეთ ვსთქვათ გერებს... ღვთის მადლით ამ უკანასკნელ დროს ეს მდგომარეობა საუკეთესოთ შეიცვალა.. სოფლის გამგეობა გარდაეცა სოფლის მცხოვრებლებისაგან აღმორჩეულ მამასახლისებს, მსაჯულებსა და კეთილსინდისიერებს“.[2]

სოფლის საზოგადოების მმართველობის ორგანოები: მამასახლისებისა და მათი თანაშემწეების, სასამართლოებისა და გლეხთა ყრილობების უფლება-მოვალეობანი მტკიცედ იყო განსაზღვრული აღნიშნული „დებულებით“.

სოფლის საზოგადოების, რომელიც შედგებოდა რამდენიმე პატარა სოფლის ან დასახლე-

[1] დ. ლემონჯავა. გლეხთა აჯანყება სამეგრელოში (1856-1857 წ.), თბ. 1957, გვ. 201.

[1] იქვე, გვ. 195.

[2] „სასოფლო გაზეთი“, 1871, № 16, გვ. 1-2.

ბული პუნქტებისაგან, მამასახლისის, მისი თანაშემწისა და სასამართლოს შემადგენლობის არჩევნები ტარდებოდა ღია, აშკარა კენჭის ყრით. „დებულების“ 54-ე მუხლის მიხედვით გზირები, მეველეები და მეურვეები აირჩეოდნენ ან ინიშნებოდნენ სოფლის საზოგადოების გლეხთა ყრილობის შეხედულებისამებრ.[1]

არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდათ მხოლოდ კამერალიის აღწერით სიაში შეტანილ გლეხურ კომლთა მეთაურ (მესვეურ) მამაკაცებს. გლეხურ კომლთა კამერალური აღწერა კი ხდებოდა დაახლოებით 10 წელიწადში ერთჯერ. ამ ხნის მანძილზე ცალკე კომლად გასული გლეხები არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას მოკლებულნი იყვნენ. ამის გამო ი. ჭავჭავაძე წერდა: „წესდების“ 7 მუხ. ძალით ხმა და არჩევანის უფლება ეკუთვნით მარტო იმ სახლში უფროსთ გლეხთ, რომელნიც კამერალიის აღწერაში ცალკე კომლად არის ხსენებულნი. კამერალიის აღწერის შემდეგ ცალკე კომლად გასულნი ამ უფლებას გამოკლებულნი არიან... ამათ თუმცა არავითარი უფლება არა აქვთ სასოფლო საქმეთა გამგეობაში, მაგრამ სასოფლო მოვალეობის ტვირთი კი კისრად აწევთ ისე, როგორც სხვას“.[2] ამიტომ ი. ჭავჭავაძე მოითხოვდა, არა მარტო ყველა გლეხურ კომლთა მესვეურების, არამედ სოფლად მცხოვრებ ყველა წოდებისა და ფენის სრულწლოვანთა მონაწილეობას არჩევნებში, მათს თანასწორ პასუხისმგებლობას კანონის წინაშე.

საქართველოში სოფლის საზოგადოებათა მამასახლისების, მათი თანაშემწეებისა და სასამართლოს არჩევნები პირველად ჩატარდა 1868 წლის შემოდგომაზე. სოფლის საზოგადოების მამასახლისს, თანაშემწეს და სასამართლოს შემადგენლობას ირჩევდნენ სამი წლის ვადით, არჩევნების ოქმს, მაზრის უფროსის წარდგინებით ამტკიცებდა გუბერნატორი.

თუ როგორ ასრულებდნენ მამასახლისები, მათი თანაშემწეები და სახალხო სასამართლოები თავიანთ მოვალეობას და როგორ იცავდნენ ამომრჩეველთა ინტერესებს, ამას მოწმობენ როგორც საარქივო დოკუმენტები, ისე პრესაში გამოქვეყნებული მასალები. იმდროინდელ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული კორესპონდენციებიდან და წერილებიდან სჩანს, რომ მამასახლისებისა და მათი თანაშემწეების, აგრეთვე სახალხო სასამართლოების უდიდესი უმრავლესობა ეწეოდა მექრთამეობას, გლეხკაცობის ბაუჩად აგდებას, ძარცვა-გლეჯას, მთავრობის უმაღლესი ორგანოების წინაშე გლეხების დაბეზღებას, მრავალგვარ ბოროტმოქმედებასა და დანაშაულობებს.

„სასოფლო გაზეთის“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „მამასახლისი არ უნდა ერეოდეს სასამართლოს საქმეებში“ — ვკითხულობთ: „მთელი ქართლ-კახეთი და იმერეთი უჩივის ბევრი მამასახლისების უფუქცევას. ზოგან ძველ მამასახლისებს ხალხი თვითონვე თავს ანებებს და სულ ახლებს ირჩევს... ბევრი მამასახლისი თავის თანამდებობას კარგა არ ასრულებს ან სრულებით ცუდათ ასრულებს. ხალხი ჩივის იმათგან შეწუხებას, ქრთამს გვართმევენო, საქმეებს არ გვიკეთებენო... სასამართლოს გადაწყვეტილებას და განკარგულებას დღეს ხვალობაზე აგდებენო, და თუ საქმეს ხელს მოჰკიდებენ, სანამ დუქანში კარგა ღვინით არ ამოუმსოთ მუცელი, სამართალს არ გვაძლევენო...“

გაზ. „დროების“ მოწინავე სტატიაში ივ. მაჩაბელი წერდა, რომ „მამასახლის-სუდიები შეიქმნენ ნამდვილ სოფლის სენად. ისინი უსინდისოდ ჰყვლეფენ, მეტი არ იქნება ვსთქვათ, ანიავებენ სოფლებს“-ო.[1]

სოფლის საზოგადოებათა თვითმმართველობის მანკიერი სტრუქტურისა და მთელ რიგ უკანონო მოქმედებათა შესახებ ილია ჭავჭავაძე, ჯერ კიდევ 1877 წელს წერდა, რომ მამასახლისსა და სასამართლოს „ხელი მიუწვდება მარტო გლეხკაცზე. თუ გლეხმა დაამავა რამე, წაუხდინა რამ ვისმე, ან პირობა არ აუსრულა, ყველას, სოფელში მცხოვრებს· თავადს, აზნაურს, მღვდელს, დიაკვანს, მედუქნეს ნება აქვთ იქავ, თვალწინ უხარჯოთ, მოუცდენლად, სოფლის სასამართლოს შემწეობით, გადაახდევინოს გლეხს სასჯელი, თუ საზღაური; თუ არაგლეხმა გლეხს დაუშავა რამე, წაუხდინა, პირობა არ აუსრულა, საწყალი გლეხი იძულებულია ათს, ოცს, ოცდაათს ვერსტზე გაიქცეს, მომრიგებელ-მოსამართლეს მიჰმართოს, რამდენიმე დღე წასვლა-მოსვლაში დაჰკარგოს, მერე რამდენიმე თვე საქმის გარჩევას ელოდოს, მერე კიდევ დაიბარონ, კიდევ მოსცდეს რამდენიმე დღე წასვლა-მოსვლაში, ჭამა-სმაში ტყუილ-უბრალოდ ხარჯი გასწიოს. ეს ყველა იმისთანა მძიმე რამ არის, რომ მის გამო გლეხი უფრო ხშირად იძულებულია თავისი დაჩაგვრა არაგლეხისაგან გულში გაბოროტებით ჩაიმარხოს, ხელი აიღოს საჩივარზე, გული აიყაროს კანონზედაც, რომელიც მისთვის ისე მიუწვდომელია, როცა დიდი სჩაგრავს, გული აიყაროს თავის სამართალზედაც, რომელიც უღონოა დიდის წინაშე... რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც ხმას არ იღებს უღონობით, როცა უპატიურად ხდის არაგლეხი, და როცა კი არაგლეხს უპატიურობა მიადგება გლეხისაგან — მაშინ კი ძალასა და ღონეს იჩენს?“[2]

რამდენიმე ხნის შემდეგ ი. ჭავჭავაძე კვლავ შეეხო სოფლის საზოგადოებათა თვითმმართველობის ნაკლოვან მხარეებს. იგი წერდა, რომ „ჩვენს

[1] „სასოფლო გაზეთი“, 1868, № 20, გვ. 3.
[2] ი. ჭავჭავაძე. ტ. V, 1956, გვ. 47.

[1] გაზ. „დროება“, 1883, № 15, გვ. 1.
[2] ი. ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 64-65.

სოფლის თვითმმართველობას ოთხიდამ სამი უმთავრესი საფუძველი თვითმმართველობისა აკლია: 1. ხმა და არჩევნის უფლება უნდა მინიჭებული ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებს, — და არა აქვს; 2. ადგილობრივ სასამართლოს ყოვლისფერში ყველანი უნდა ექვემდებარებოდნენ, ვინც კი მის წრეშია, — და არ ექვემდებარებიან; 3. ყოველივე მოხელე პასუხის მგებელი უნდა იყოს ყოველის წინაშე, ვისაც რასმე დაუშავებს, და უნდა იდევნებოდეს (ისჯებოდეს — ა. კ.) სამართლით, — და არ იდევნება. მეოთხე საფუძველიც, თუ დარღვეული არ არის მთლად, შერყეული კი ძალიან არის, სახელდობრ მით, რომ ადგილობრივ მოხელეთა და მოსამართლეთა ყველა, სოფელში მცხოვრები ბინადარი, არ ირჩევს და ირჩევს მხოლოდ გლეხი ცალკე კომლად კამერალიის აღწერაში ხსენებული.. .ამის გამო ჩვენის სოფლის სასამართლო და მისნი მოხელენი პოლიციის ბრმა მსახურებს და დარაჯებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სოფლის საზოგადოების ინტერესებს... მაზრის უფროსის და პრისტავის ბიჭებად არიან და არა მოხელედ!"[1]. ამგვარად, სოფლის თვითმმართველობის მოხელეთა უდიდესი უმრავლესობა იცავდა არა მათი ამომრჩეველთა, არამედ მთავრობისა და პრივილეგიური წოდების წარმომადგენელთა ინტერესებს.

ამასთან საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ისიც, რომ ზოგიერთი სოფლის საზოგადოებათა ყრილობებზე, გლეხები მამასახლისებად ირჩევდნენ ისეთ პირებს, რომლებიც კეთილსინდისიერად იცავდნენ ამომრჩეველთა ინტერესებს, ასე, მაგალითად, გაზეთ „ივერიის" 1899 წლის ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულ კორესპონდენციაში „რამდენიმე სიტყვა ზოგიერთ სოფლის მამასახლისის და მათ მოქმედების შესახებ," პატარა-მათურელი აღნიშნავდა, რომ თიანეთის მაზრის სოფელ მაღაროს-ყარის საზოგადოების გლეხთა ყრილობას პირველად 1898 წელს, ხოლო მეორედ 1899 წელს, მამასახლისად აურჩევია ვაჟა-ფშაველა. მართალია, მამასახლისად ვაჟა-ფშაველას არჩევის ოქმები მთავრობის ზემდგომმა ორგანოებმა არც ერთხელ არ დაამტკიცა [2] და მას ამ თანამდებობაზე არ უმუშავნია, მაგრამ ის ფაქტი, რომ გლეხობამ მამასახლისად აირჩია ვაჟა-ფშაველა, მოწმობს ხალხის არჩევანის სისწორეს და იმასაც თუ რამდენად არ სურდა მეფის მთავრობას, რომ საზოგადოების სათავეში მდგარიყო კეთილსინდისიერი და მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი ადამიანი.

მსგავს მაგალითებს ჰქონდა ადგილი ოზურგეთის მაზრაშიც. გურიაში გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას მხარს უჭერდნენ მთელი რიგი სოფლის საზოგადოებათა მამასახლისები. მეფის მთავრობამ 1903-1904 წლებში ოზურგეთის მაზრის რვა სოფლის საზოგადოების არჩეული მამასახლისები გადაყენა და მათ მაგივრად ნიშნა მთავრობის ერთგული პირები, რომელნი ჯამაგირის (თითოეულზე 400-500 მანეთის) გადახდა გლეხკაცობას დააკისრა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ საზოგადოებაში მაინც ადგილზე დარჩნენ მთავრობისათვის არასასურველი, გლეხების ინტერესების გამომხატველი მამასახლისები, რომლებიც არ ასრულებდნენ მთავრობის განკარგულებებს. ასეთები იყვნენ: ერკეთის, ასკანის, ბასილეთის, ჯვარცმის და სხვა საზოგადოებათა მამასახლისები. ამის გამო ოზურგეთის მაზრის უფროსი ლაზარენკო ქუთაისის გუბერნატორს წერდა: „წინა დღით (ნასაკირალის ცნობილი ბრძოლის დაწყებამდე — ა. კ.) ვაცნობე ბასილეთის, ასკანის, ერკეთის, ჯვარცმის მამასახლისებს, რომ ისინი შემხვედროდნენ მდინარე გუბაზოულთან, რათა მათთვის სამსახურის საქმეების გამო დარიგებანი მიმეცა. ეს ბრძანება არ იქნა შესრულებული. როცა ჩოხატაურში მივედი, ხელ-ახლა გაუგზავნე შიკრიკები ამ მამასახლისებს, მაგრამ არც ერთი სახლში არ აღმოჩნდა და სოფლის სამმართველოებიც დაკეტილი იყო"[1]. ხსენებული სოფლების საზოგადოებათა მამასახლისები იცავდნენ თავიანთ ამომრჩეველთა ინტერესებს, მხარს უჭერდნენ რევოლუციას და კატეგორიულად უარს ამბობდნენ მთავრობის განკარგულებათა შესრულებაზე. გურიის რევოლუციური გლეხკაცობა დაჟინებით მოითხოვდა მეფის მთავრობის მიერ დანიშნული მამასახლისების გადაყენებასა და მამასახლისების არჩევნების უფლების აღდგენას. ამასთან დაკავშირებით გ. ხაჭაპურიძე წერს, რომ ოზურგეთის მაზრაში კაზაკების თანხლებით ჩასულ ქუთაისის გუბერნატორს სმაგინს, რომელმაც ჩამოიარა სოფლის საზოგადოებანი „უწესრიგობათა" მიზეზების გამოსარკვევად და გლეხების „დასამშვიდებლად", გლეხთა სახელით ხელისუფალთ წარედგინა გარკვეული, წინასწარ შემუშავებული მოთხოვნები... აღდგენილ იქნას მამასახლისის არჩევის უფლება, რაც წაერთვა ზოგიერთ საზოგადოებას"[2].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არა მარტო ხალხის მიერ არჩეულ, არამედ მთავრობის მიერ დანიშნულ მამასახლისებს შორისაც იყვნენ .ისეთები, რომლებიც იცავდნენ მშრომელი ხალხის ინტერესებს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს. ოზურგეთის მაზრის სოფელ ხვარბეთში „წესიერების" აღსადგენად მთავრობამ მამასახლისად დანიშნა პორფილე გურგენიძე, რომელმაც 1905 წლის 10 მარტს სოფლის საზოგადოების ყრილობაზე შეკრებილ გლეხებს

1. ი. ჭავჭავაძე, ტ. VI, 1965. გვ. 63-65.
2. გაზ. „ივერია", 1899, №278, გვ. 3-4.

1. თ. ეღენტი. „1905 წელი გურიაში", 1931. გვ. 89.
2 გ. ხაჭაპურიძე. „1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში". 1955 გვ. 45.

შემდეგი სიტყვებით მიმართა: „პატივცემულო საზოგადოებავ! გაუწყებთ მთავრობის განკარგულებას, რომლის ძალითაც მე დღეიდან დათხოვნილი ვარ ჩემის თანამდებობიდან. ამისათვის არ შემიძლია არ გამოვთქვა რამდენიმე სიტყვით ის სიყვარული, რომელსაც ვგრძნობ თქვენდამი. თავიდან, რასაკვირველია, არ ვიყავი თქვენთან გაცნობილი, და მართებულებამ გამომგზავნა იმისათვის, რომ აღმედგინა წესიერება. მაგრამ როდესაც გავიცანი და გავიგე თქვენი მიმართულება, დავრწმუნდი, რომ იმდენი დანაშაულობა არ მიგიძღვით, რამდენიც გბრალდებათ სხვა და სხვა პირების გამო (თქვენ იცით ვინც არიან ეს პირები). ჩემის მხრით მეც ვცდილობდი ისე გავძღოლოდი მთელს საზოგადოებას, რომ ჩემის მოქმედებით გამეწია დახმარება. შეიძლება ჩემის თანამდებობის შესრულების დროს ჩავიდინე რაიმე დანაშაულობა თქვენს წინაშე უმეცრების გამო, რომელსაც იმედია, მომიტევებთ. უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ როდესაც თქვენ გაიგეთ ჩემი მიმართულება, მომენდევით და აღარ მიყურებდით, როგორც შორიდან მოსულ კაცს“.[1] მსგავსი მამასახლისები იყვნენ არა მარტო ოზურგეთის, არამედ სხვა მაზრებშიაც.

ზემოთ აღნიშნულიდან ნათელია, რომ საქართველოს მშრომელებს XX საუკუნის დამდეგისათვის უკვე ჰქონდათ დემოკრატიული თავისუფლებისათვის ბრძოლის საკმაო პრაქტიკული გამოცდილება, რაც ფართოდ გამოიყენეს 1905 წლის და ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში.

ამგვარად, მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, რაც ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კიდევ უფრო აუტანელი გახდა, პირადი თავისუფლება, რაც ფეხქვეშ გათელეს მეფის მოხელეებმა, კაპიტალისტებმა და მემამულეებმა, მეფის მთავრობის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად სასტიკი ეროვნული ჩაგვრა და სხვა მიზეზები, აიძულებდნენ საქართველოს მშრომელებს, კვლავაც განეგრძოთ ბრძოლა დემოკრატიული თავისუფლებისათვის.

ვ.ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითებათა საფუძველზე, ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ოზურგეთის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში 1903-1904 წლებში შეიქმნა გლეხთა კომიტეტები, ხოლო 1905 წლის რევოლუციის პერიოდში საქართველოს თითქმის ყველა სოფელში მთელი ძალაუფლება ხალხის მიერ არჩეული გლეხთა რევოლუციური კომიტეტებისა და სახალხო სასამართლოების ხელში იყო.

1905 წლის რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ რევოლუციაში ლენინური სტრატეგიული გეგმისა და ტაქტიკური ხაზის განუხრელად გატარებისათვის ბრძოლამ, ბევრი რამ ასწავლა ბოლშევიკურ პარტიას, მუშათა კლასს, გლეხკაცობას, მოწინავე ინტელიგენციას, მოსწავლე ახალგაზრდობას, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს. „1905 წლის „გენერალური რეპეტიციი“, რომ არა, — წერდა ვ. ი. ლენინი,—1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა“[1].

კრეისერ „ავროროს“ ზარბაზნების ქუხილმა ამცნო კაცობრიობას ახალი ეპოქის, კაპიტალიზმის მსხვრევისა და სოციალისტური რევოლუციების გამარჯვების დიადი ეპოქის დასაწყისი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამსხვრია ძველი წყობილების სახელმწიფოებრივი მმართველობის სტრუქტურა. მეფე და მისი მინისტრები, გუბერნატორები, და მაზრის უფროსები, ბოქაულები და მამასახლისები, მომრიგებელი მოსამართლეები, საგუბერნიო სასამართლო და პალატა, პოლიცია, ჟანდარმერია და მეფის ჯარი, შესცვალეს მშრომელი ხალხის მიერ არჩეულმა, თვისობრივად სრულიად ახალმა მმართველობის ორგანოებმა.

ბოლშევიკური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, სოციალისტური სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურის თანმიმდევრული გაუმჯობესება და სრულყოფა იყო, არის და იქნება მძლავრი ბერკეტი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნება-განმტკიცების, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების წარმატებით აშენების საქმეში.

---

[1]. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2772.

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. მე-4 გამოც. ტ. 31. გვ. 13.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

უტყუარი მოთხრობები

„განსაცდელში ჩავარდნილი ვაქკაცი გინახავს? მაშ რა გინახავს უფრო ლამაზი ამ ქვეყანაზე?!“

ეს სიტყვები აქვს წამძღვარებული „მწვანე ღილის“ ერთ-ერთ ნაწილს. უმალ ეს სიტყვები და ომის შორეული, ფერგადასული დღეები გამახსენდა, როდესაც წავიკითხე კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალი წიგნი „სიკვდილი ცოტას მოიცდის“. ეს „უტყუარი მოთხრობები“ (ამ მოთხრობების ყველა გმირი რეალური პიროვნებაა, ავტორს მათი გვარებიც კი არ შეუცვლია) აგრძელებენ და ავითარებენ „განსაცდელში ჩავარდნილ ვაქკაცის“ სიუჟეტურ ხაზს, რაც ერთ-ერთი ძირითადია კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. ყველაზე ხიფათიანი, განსაცდელით აღსავსე ცხოვრება ჯარში მზვერავებს აქვთ! ქართველი მზვერავების თავდადებასა და გასაოცარ მოხერხებულობაზე მოგვითხრობს მწერალი ამ წიგნში.

ზოგჯერ შეიძლება ერთ დღეში იმდენი განიცადო, წლობით განცდილსა და ნანახს აღემატებოდეს. სამ წელიწადში მიღებული შთაბეჭდილებები, იმ სამ წელიწადში, რაც კონსტანტინე ლორთქიფანიძეს მოქმედ არმიაში გაუტარებია, მისი მწერლობის მძლავრ წყაროდ იქცა. ეს მოთხრობებიც ომის მღელვარე, განუმეორებელმა დღეებმა დაბადეს. როგორც ჩანს, სათქმელი მთლიანად ვერც ამ წიგნმა ამოწურა. მწერალი კვლავ დაძაბულად მუშაობს და კიდევ დიდხანს იმუშავებს, „რადგან ეტყობა, იმ ომის მოლანდება კაცს ასე ადვილად არ მოშორდება“.

მწერლის მთავარი აზრი, რისთვისაც ეს წიგნია დაწერილი, არის: „არ მინდა დაიკარგოს მათი სახელი, ვინც ნამუსიანად მოიხადა ყველაზე მძიმე ვალი ადამიანის ცხოვრებაში — ჯარისკაცის ვალი“.

ცნობილია, რომ ერთხელ მიღებული შთაბეჭდილება დროთა განმავლობაში უნელდება ადამიანს, მის ადგილს ახალი, უფრო ცოცხალი შთაბეჭდილება იჭერს. ისიც ცნობილია: ზოგჯერ შთაბეჭდილება სიკვდილამდე გაყვება კაცს. შემოქმედი პიროვნების ცნობიერებაში ესა თუ ის ძლიერი შთაბეჭდილება, საგნის ან მოვლენის ხილვით აღძრული განცდა კრისტალდება, თანდათან სიმყარეს იძენს. შემოქმედი წლების დინებაში გამოტარებულ ამ წამიერ განცდებსა და შთაბეჭდილებებს ხშირად დიდი ხნის შემდეგ მოუძებნის ხოლმე შესაფერ ფორმას და სწორედ ამ დროს იბადება ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოები.

მწერალს წლობით უტრიალებდა გონებასა და გულში დაუვიწყარი, მახლობელი ადამიანების ბედი, წლობით არ აძლევდა მოსვენებას მათზე ფიქრი და, როცა ართქმა შეუძლებელი გახდა, როცა არ შეეძლო არ დაეწერა, მხოლოდ მაშინ დაწერა.

„უტყუარ მოთხრობებში“ ქრონიკის სიზუსტითაა გაცოცხლებული ომის-

დროინდელი ამბები, ჩვენი თვალით ვუმზერთ „განსაცდელში ჩავარდნილ ვაჟკაცებს“, ვხედავთ, რა გასაოცარი ამტანობითა და ნებისყოფით ძლევენ ისინი ყოველგვარ გაჭირვებას; არ უშინდებიან ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩასაფრებულ სიკვდილს და ადამიანის ყველაზე დიდ ღირსებას — სირცხვილნამუსს — თვალის ჩინზე მეტად უფრთხილდებიან.

წიგნს „სიკვდილი ცოტას მოიცდის“ ძირითადად სამი მოთხრობა კრავს და ამთლიანებს. ესაა სამი ქართველი მზვერავის ისტორია, ისეთი უშუალობით დაწერილი, რომ შენი თავი იმ ამბების მონაწილე გეგონება; განსაცდელის ჟამს მათთან ერთად გეკვრის სუნთქვა, მათთან ერთად გიჭირს და გიხარია. ამ ხალხს პროფესია და მიზანი ერთი აქვთ, მაგრამ ისინი საოცრად თავისთავადნი, განსხვავებული ხასიათის ადამიანები არიან, ამიტომაც საინტერესონი. მინდა, მოკლედ ვთქვა ჩემი აზრი თვითეულ ამ მოთხრობაზე.

მამია ჯაიანის ამბავი

უცნაურ გარემოში გაიცნო მწერალმა მამია ჯაიანი. უგზოობით გაწამებული, დაქანცული სამხედრო კორესპონდენტი ახალი საგაზეთო მასალის მოსაპოვებლად მიდის. წინ მხოლოდ მწვანედ მოღაღანე ჯეჯილია. მოულოდნელად ხევის პირას ავტომატიანი გერმანელები გამოჩნდებიან. მართალია, მტერი, ცოტა არ იყოს, არხეინად მოაბიჯებს, იერიშზე გადმოსულს არ გავს, მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც მტერია. არ შეიძლება მარტოხელა კაცს ამ დროს უნებურად გული არ შეუკრთეს.

ოდნავ შემცბარ ადამიანს უეცრად ვიღაცა ამხნევებს:

—„ნუ გეშინია, ამხანაგო! ტყვეები არიან, მაგათი თოფების საკეტები ყველა აგერ მიყრია ჩანთაში!“

ეს არის მამია ჯაიანი, გვერდით რომ მოყვება და ცხვრის ფარასავით მოდენის დატყვევებულ გერმანელებს. საოცრად მოხერხებული ვაჟკაცი მწერლის ყურადღებას თავიდანვე იქცევს. ჯაიანს ღიმილი უნათებს სახეს. „ნატეხი შაქარივით თეთრი კბილები“ უელავს, მთელი მისი ბუნება, მთელი მისი ხასიათი ერთ ფრაზაშია მოქცეული:

„—იმდენი მამა უცხონდათ, რამდენი მე არ ვათრიო მაგათი თოფები! ყველას თავის ფეხით მივატანინებ საწყობში“.

ასე ამახსოვრდება მწერალს მზვერავი მამია ჯაიანი. ამახსოვრდება და გრძნობს, ამ კაცს იგი ვერასოდეს დაივიწყებს. და აი, რამდენიმე ხნის მერე, მედესანტეებთან მისული მწერალი ისევ ხვდება მამიას, რომელიც სადილზე დაიწვევს ძველ ნაცნობს. დაბალ, დახუთულ მიწურში ჯაიანის გარდა, ერთი ფერმკრთალი ბიჭია, გვარად კაშია. მის თვალებში რაღაც უცნაურ, გაულხობელ სევდას ჩაუბუდებია. მწერალი ორიოდე ოსტატური შტრიხით ხატავს ახალ პერსონაჟს და ეს სავსებით საკმარისია:

„მე მაშინვე დაღლილი ხარის თვალები გამახსენდა. მათი ნაღვლიანი გამომეტყველება არასდროს არ იცვლება, რადგან იმ თვალებში არავითარი აზრი არ მოძრაობს. ამ ბიჭსაც ასე გაქვავებოდა თვალებში ერთხელ ჩასული ნაღველი.

იქნებ შიში?

თუმცა ეგ თითქმის ერთი და იგივეა. ყველაზე დიდი ნაღველი სწორედ შიშმა იცის“.

უეცრად მიწურს აფეთქების შორეული ხმა შეაზანზარებს. ეს ხევში ჩარჩენილი სასიკვდილოდ განწირული გერმანელია, თავისიანებს მოსწყდა და ახლა უთავბოლოდ ისვრის ზარბაზანს.

აფეთქების ხმაზე კაშიას კოვზი გა-

უშეშდა. ჯაიანმა იცის, რომ კაშია ამის შემდეგ არასდიდებით ლუკმას აღარ ჩაიდებს პირში.

რა ამბავი ჩავუტანო მამაშენს სოფელში, ხომ არ ვეტყვი, შენი ვაჟი შიმშილმა დასცა ბრძოლის ველზეო, — მეგობრულად ტუქსავს მამია გულგახეთქილ შეგირდს.

„—გჯერა კი, სოფელში რომ დაბრუნდები? — ჩაიცინა კაშიამ“.

ამ პასუხშიც საკმაო დაცინვა გამოკრთის, სევდიანი და არც თუ მაინცდამაინც სიმართლეს მოკლებული. მკითხველმა უკვე იცის, როგორია კაშიას ჩაცინება; ეს უფრო გრიმასია, ოდნავადაც რომ ვერ ანელებს „დაღლილი ხარის თვალებში“ გამჯდარ ნაღველს.

ჯაიანი ამ „დაცინვას“ უფრო დიდი „დაცინვით“ უპასუხებს:

„— ყოველ შემთხვევაში, მე მარტო ტყვიამ უნდა მომკლას! შენ ტყვიაც რომ არ მოგხვდეს, ეგ დიდი მარხვა მოგიღებს ბოლოს!“

ასე ეჭილიკებიან ისინი ერთმანეთს. მწერალი გაოცებულია: რა ამეგობრებს ამ რკინის მკვნეტელ ვაჟკაცს ისეთ ჯაბანთან, მაგრამ კაშიას წასვლის შემდეგ ყველაფერი ირკვევა: ჯაიანი თურმე ისე არ წავა დაზვერვაზე, თან ბიჭიკო კაშია რომ არ წაიყოლიოს, უმისოდ ნაბიჯს არ დგამს, გვერდიდან არ იშორებს. ტყეში თუნდაც სამი ღამე გადაეცას, კაშიას რულიც არ მოეკიდება. ბალახის უბრალო გაფაჩუნებაც საკმარისია, რომ თვალებდაქაჩულმა თოფი ჩახმახზე შეაყენოს. რა ღმერთი გაუწყრება ასეთ კაცს და დასაძინებლად მიდებს თავს. მამიასაც ეს უნდა, — ამ დროს თვითონ არხეინად არის გაშხლართული და ძინავს.

წიგნში უხვადაა ხალასი მწერლური იუმორით დაწერილი დიალოგები და პასაჟები. სწორედ ამგვარი იუმორითაა გამთბარი ჯაიანისა და კაშიას ურთიერთობა.

ამ ორი პიროვნების თითქოსდა დამცინავ კილოში დიდი ადამიანური სიყვარული იფარება; მკითხველი გრძნობს, — საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ერთმანეთის გადასარჩენად ისინი თავს არ დაზოგავენ.

კაშიას, ერთი შეხედვით, არაფერი აქვს საერთო მთავარ ამბავთან, მაგრამ მისი საუცხოოდ დახატული პორტრეტი, კიდევ უფრო რელიეფურს ხდის, ამკვეთრებს ჯაიანის სახეს.

კომიკური და ტრაგიკული არსად ისე მკაფიოდ არ ჩანს, როგორც ომში. ისინი აქ ისე ახლოს არიან ერთმანეთთან, როგორც სიკვდილი და სიცოცხლე.

სახელმოხვეჭილ ამერიკელ მფრინავს ჯიმი კოლინზს თავის მეტად ტრაგიკულ ავტობიოგრაფიულ წიგნში ერთი ასეთი ეპიზოდი აქვს: ავტორი მოკლედ აღწერს სასაცილო ამბავს, რაც მის მეგობარ მფრინავს მონკ ჰენტერს გადახდომია. მონკს საოცრად უყვარს სიკოხტავე. ეს ჩანს მის ჩაცმა-დახურვაში, თუ თვითმფრინავის აფრენასა და დაფრენაში, ხელის უბრალო მოძრაობასა თუ ლაპარაკის მანერაში. ყველაფერზე უფრო კი მნახველს მონკის არაჩვეულებრივად მოვლილი ულვაშები ხიბლავს.

ერთხელ მონკს საბრძოლო გაფრენა ჰქონდა. მისებურად შნოიანად მოსწყვიტა გამანადგურებელი მიწას და შნოიანადვე აიჭრა ცაში. ამხანაგებმა დაინახეს — თვითმფრინავს ერთხანს საეჭვო თეთრი კვამლის ზოლი გაჰყვა და მალე ისევ მიწისკენ დაექანა; ეჭვი არ იყო, გამანადგურებელს ხანძარი გასჩენოდა. ვიდრე ცეცხლმოდებული თვითმფრინავი ძირს დაენარცხებოდა, მონკის პარაშუტიც გაიშალა და ვეებერთელა თეთრ გვირილასავით დაეკიდა გაყინული ტბის თავზე. ყინულზე წაქცეულ მფრინავს მეგობრები გარს შემოერტყნენ და... არაადამიანური ხარხარი აუტყდათ — მონკის საამაყო ულვაშის ერთი მხარე ცეცხლს წაეტრუსა. დაზარალებულმა იცოდა, ამხანაგები მას რომ არ დასცინოდნენ და თითონაც გულიანად გაეცინა. ასეთი ნათელი, სხივიანი იუმორის შეტანა დაძაბული

ამბის მდინარებაში ძველთაგანვე მოდის და ოსტატის ხელში ყოველთვის სასურველ შთაბეჭდილებას ახდენს.

ასეთივე მიზანი აქვს ჯაიანისა და კაშიას ხაზს კონსტანტინე ლორთქიფანიძის ხსენებულ მოთხრობაში. მათი ურთიერთობის პატარა ჩანახატი წინ უძღვის საშინელ, გულისშემძვრელ დრამას, რაც მამია ჯაიანმა ბაქსანის ხეობაში გადაიტანა...

ხეობაში გზადაბნეული მზვერავი უეცრად წნელის კარავს წააწყდა. კარავიდან ხვრინვა მოისმოდა. პროფესიულმა ცნობისმოყვარეობამ შიგ შეახედა. კარავში მტრის ორი მძინარე ჯარისკაცი აღმოჩნდა. ხვრინია იქვე გაგუდა ჯაიანმა (ასე არიგებდა მზვერავის ანბანი), მეორეს კი ქეჩით გამოუტენა პირი, ხელები გაუკრა და ზურგზე მოიგდო.

კარგა ხანს იბღოტიალა გორებზე და როცა მუხლი მოეკვეთა, „ტვირთი“ ძირს დააგდო, სული მოითქვა და თვალებგადმოკაკლულ, სახედაფორეჯებულ ტყვეს ქეჩა გამოუღო პირიდან, ამოასუნთქა.

ჯაიანმა შეატყო, რომ ეს ბიჭი არ გავდა ჩვეულებრივ ტყვეს, პირდაპირ არც უყურებდა, სახეს არიდებდა. ტყვე კი ამ დროს შენს ყოველ მოძრაობას აკვირდება, თვალებში შემოგჩერებია, რაიმე ცუდს ხომ არ მიპირებსო.

ჯაიანის ეჭვი, ჯერჯერობით, ეჭვად რჩება, იგი იზოგავს ათიოდე გერმანულ სიტყვას, რაც ყველა მზვერავმა იცის და არაქათგამოცლილი, გაწრიპული ტყვე წინ ყავს გაგდებული, ხანგამოშვებით მისებურად აფრთხილებს.

ამ დროს მამია ჯაიანს თითქოს მეხი დაეცაო:

„—რას ამტვრევ, კაცო, ამ გერმანულს! — უეცრად ქართულად მითხრა მან და ცერად გადმომხედა: — ცოტა თოკი შემიშვი, ძარღვები ჩამიჭრა! არ გინდა სიარული შევიძლო?“

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დაემართებოდა ამის გამგონე მამიას. რა არ შეეკითხა, საიდან არ უტრიალა, მაგრამ უცნაურ ტყვეს ჯაიანმა ფიზიკურად ვერ ათქმევინა. ეს „ბიჭი“ ოქვა ჯანგატეხილმა, სუსტმა ბიჭმა — ჩვენებთან ნუ წამიყვანო; ტანში გააჟრიალა მამია ჯაიანს, გაყიდულ ამხანაგებს ჩვენებს რომ ეძახდა მისი ტყვე. თხოვნის აზრსაც მიუხვდა, მაგრამ ასე განუკითხავად არ შეეძლო ამის გაკეთება; ეს თითქმის მკვლელობას უდრიდა. ბოლოს ჯაიანმა გაიგო ამ ბიჭის გაბოროტების მიზეზი; ოცდაჩვიდმეტში მისი დედ-მამა გადაეკარგათ ციმბირში და ეს ამბავი ვერ მოენელებინა.

„მეგონა, შურს ვიძიებ და დავწყნარდები-მეთქი... არ გამოვიდა. უფრო გავწვალდი. კი უნდა მცოდნოდა, რომ ღალატი შურისსაძიებლად არ გამოდგებოდა“.

ამ გულიდან წამოსულმა, მწარე სიმართლით აღბეჭდილმა სიტყვებმა ერთხანს ყოველგვარი ეჭვი გაუქარწყლა მამია ჯაიანს, მაგრამ ტყვე ჭაბუკის ბოლო, არანაკლებ შემაძრწუნებელი თხოვნა, როცა იგი ეუბნება — ავტომატში ერთი ტყვია ჩამიტოვე და მომეცი, ისევ აეჭვებს.

ტყვე მაშინვე ხვდება მამიას შეყოყმანების მიზეზს და ამშვიდებს, თუ არ მენდობი, კლდეს ამოეფარე, მე, სულ ერთია, ვერსად გაგექცევი და ყველაფერში თითონ დარწმუნდებიო...

მამია სიკვდილს ათავებს, რომ ერთხელ კიდევ აჯობა „ამ უდღეურმა“.

აქ წყდება „ბაქსანის ხეობის“ დრამა. უეცრად მიწურის კარი იღება, მამია ჯაიანს კაპიტანი იბარებს და იმ ხევში ჩარჩენილი გერმანელის („სმერტნიკის“) ადგილსამყოფელის დასადგენად გზავნის, ხან კირქვის კარიერებს ახვედრებს უმისამართოდ გასროლილ ყუმბარას და ხანაც რკინიგზის ხიდს.

იმ დღის შემდეგ დაეკარგა მწერალს მამიას ასავალ-დასავალი. მკითხველის დარად მასაც ტანჯავს ფიქრი: რას იზამდა ჯაიანი? დასტოვებდა თუ არა, იმ ცოდვისშვილს „ერთ სანატრელ ტყვი-

ასთან"... თუ არ დასტოვებდა, მაშ როგორ მოიქცეოდა?

საშინელი ამბავი გაწყდა. გაწყდა ყველაზე დაძაბულ ადგილას და მოთხრობისთვის შეიძლება ასეც ჯობდა.

ალბათ, ეს იყო „ბეწვის ხიდზე" გამავალი ერთადერთი სწორი გზა და მწერალსაც სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო.

ერთ რამედ ღირს ამ მოთხრობის მინაწერი — ვაჟკაცური გადაძახილი ოცი წლის წინათ დაშორებულ კაცთან:

„ბევრი გეძებე, მამია ჯაიანო! სად არ მივიკითხ-მოვიკითხე... შენი კვალი ველარსად ვიპოვნე.

იქნებ, ცუდად გეძებე... იქნებ, დაგზოგა იმ დაუზოგავმა და ახლა ის შენი ძველი წერაქვი ისევ ხელში გიჭირავს და სადმე მთაში დაეხეტები. ხმა მომაწვდინე! შევხვდეთ ერთმანეთს, რომ შუაზე გაწყვეტილი სიტყვა გავაგრძელოთ".

ჩაიკითხავ ამ მღელვარე სტრიქონებს, და თვალიდან დიდხანს არ მოგცილდება ის ღრუბლიანი, ავი სიჩუმით გაქვავებული შორეული დილა, ერთადერთ გასროლას რომ უნდა შეეკრთო.

გიორგი მუმლაძე

უმთავრესი და ყველაზე ძლიერად დახატული სახე ამ წიგნში მაინც გიორგი მუმლაძეა. თვითონ მწერალიც არ მალავს, რომ მთელი ომიდან ყველაზე მეტად ეს ხაშურელი ბიჭი დაამახსოვრდა.

„ერთი ღამის საუკუნეში" ყოველი სიტყვა თუ ფრაზა იმისთვისაა გამიზნული, რომ, რაც შეიძლება, სრულყოფილად გამოჩნდეს გიორგი მუმლაძის განუმეორებელი ხასიათი.

სხვათაშორის, ჟურნალ „დროშაში", სადაც პირველად გამოქვეყნდა ეს მოთხრობა, დაბეჭდილი იყო გიორგი მუმლაძის ფოტო. ახალგაზრდა კაცის მოგრძო, ვაჟკაცურ სახეს ღიმილი სერავს. გვერდზე გადაქანებული პილოტურა შნოსა და ლაზათს კიდევ უფრო მატებს. მისი უმცროსი დაი თამარი, ეტყობა, ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ უმსხვერპლია მტრის ტყვიას, თორემ გიორგი მუმლაძის სახეზე ეს თავდაჭერილი ღიმილიც არ ათამაშდებოდა.

მწერალი თავიდანვე აღნიშნავს გიორგი მუმლაძის პიროვნების ერთ მთავარ ფსიქოლოგიურ მომენტს, რაშიც თავად მრავალჯერ დარწმუნებულა:

„მუმლაძე სხვებზე მალე შეეგუა საფრონტო ჭირ-ვარამს. იგი ადვილად მოერგო ბუდიდან ამოვარდნილ ცხოვრებას და ამ მიწურიდან, ამ ტალახიან სანგრიდან სხვაგან არსად არ ეჩქარებოდა. ამიტომ იგი ბრძოლაში საშიშარი კაცი იყო. კოლია ტერეშჩენკომ მითხრა, ვისაც მუმლაძე ამოიჩემებს და თვალს დაადგამს, იმას მერე ველარაფერი უშველისო".

„მზვერავების უსტაბაშს" კოლია ტერეშჩენკოსა და მზვერავ გიორგი მუმლაძეს უფროს-უმცროსობა ხელს არ უშლიდათ უგულითადესი მეგობრები ყოფილიყვნენ. ისინი სიტყვის უთქმელად უგებდნენ ერთმანეთს. მწერალმა სწორედ კოლიასთან გაიცნო გიორგი მუმლაძე; საუცხოო მხედრული აღნაგობის გარდა, მისმა ერთმა თვისებამაც მოხიბლა:

„მუმლაძეს თავისუფლად ეჭირა თავი, ამავე დროს მისი ეს თავისუფლება სავსე იყო კაცური ღირსებით, უფროსისადმი პატივისცემით და არა იმ საძაგელი შინაურულობითა და ძმაბიჭობით, უფროსთან შეთამაშებულ ხელქვეითს რომ ახასიათებს".

კოლიამ და გიორგიმ იციან ერთმანეთის ფასი. როცა სიტყვა მოიტანს, საოცარი სიყვარულით ლაპარაკობენ ერთმანეთზე. კოლია ბავშვივით უფრთხილდება დის სიკვდილით გამწარებულ გი-

ორგის, ეშინია, შურისძიებამ სიფხიზლე არ დააკარგვინოს მეგობარს და თავი არ წააგოს. კოლია გიორგის „მზვერავად დაბადებულს“ უწოდებს. მისი აზრით, დაზვერვაზე გაგზავნილი მუმლაძე სხვისი თვალისთვის შეუმჩნეველს ამჩნევს და სხვისი ყურისთვის გაუგონარს ისმენს.

„ვინ-ვინ და, კოლიამ კი იცოდა, როდის რა იყო საჭირო“, — სიამაყით ამბობს მუმლაძე, როცა მეგობრის რაიმე საქციელს იხსენებს.

კოლია ტერეშჩენკოს პიროვნებაზე. ძირითადად, მუმლაძის მონაყოლით გვექმნება წარმოდგენა. უფრო იშვიათად კოლია თვით ამჟღავნებს თავისი ხასიათის ამა თუ იმ მხარეს. კერძოდ, მიწურის მორთულობით აღტაცებულ მწერალს როცა ესაუბრება:

„— ამ ერთში მაინც გამომადგნენ ეს ძაღლიშვილები! რაც აქედან მოუსვეს, ცოტა კაცურად მძინავს, ხან აი ასეთ მორთულ ბინას დამახვედრებენ, ხან კიდევ იმისთანა წითელ ბორდოს დამიტოვებენ, დასალევად არ მემეტება! ერთხელ პატეფონიც კი არ დაიშურეს, აქაო და ჩემო კოლია, მაგ ღვინოს კარგი სიმღერაც მოუხდებაო...“

ასე ლამაზად დასცინის იგი მტერს. ამ სიტყვების მთქმელი შესაძლოა, ვინმეს ფუფუნებისა და დროსტარების მოყვარული ეგონოს. ეს რომ ასე არ არის, მთელი მოთხრობიდან ჩანს. როცა საქმე ან შემთხვევა მოითხოვს, იგი ისეთივე მრისხანე და ულმობელია, როგორც ომის კანონები.

მუმლაძე ასეთ შემთხვევას უყვება მწერალს: ერთ ჯარისკაცს სადღაც არაყი ეშოვა და მაგრად დამთვრალიყო. მისი დამშვიდება ვერავინ შესძლო, ბოლოს მიწურთან მიბმულ ფურგონის ცხენს მოახტა და გახელებულმა ყიჟინით გააჭენა გერმანელებისკენ. ყველანი დაიბნენ. ხმაურზე იქვე გაჩენილი კოლია მიხვდა, სასიკეთოდ რომ არ იყო საქმე, თოფი ჩამოიღო და პირველივე ტყვიით ძირს დასცა გონებადაბნეული კაცი.

იმ დღიდან სასმელს ვერიდებითო, უბოდიშებს სტუმარს თავისი მახინჯლობით დარცხვენილი მუმლაძე.

უბედური ბიჭის ამბით შეძრწუნებული მწერალი უნებურად ეკითხება მოსაუბრეს:

— ქართველი იყო?

— ვინც იყო-იყო.

ვერავითარი სიტყვით ვერ გადმოსცემ განცდას, რამაც ეს კითხვა დაბადა. მწერალი არც არაფერს ამბობს ამაზე, და ამ დუმილით იმდენია ნათქვამი, რასაც ზოგჯერ მთელი წიგნი ვერ იტყვის.

გიორგი მუმლაძემ ქვეყანაზე შეიძლება ყველაფერი დაივიწყოს, მაგრამ იმ ტანჯვას, „იმ ერთი ღამის საუკუნეს“ ვერასოდეს დაივიწყებს.

ეს ამბავი ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხნებთან მოხდა. მუმლაძის ოცეულს ქარხნის ნანგრევებში მიმალულმა ძელმიწურმა გადაუკეტა გზა და გასაქანი არ მისცა.

როგორც ყოველთვის გაჭირვების ჟამს, ტერეშჩენკომ ახლაც მუმლაძე იხმო და უთხრა, რაც გინდა მთხოვე (კოლია ასე მხოლოდ მუმლაძეს ეტყოდა, სხვას არავის), ოღონდ იმ ძელმიწურის სამყოფელი აღმომიჩინეო.

მწერალს აქვე მოჰყავს გიორგი მუმლაძის — ამ საოცრად თავმდაბალი ვაჟკაცის, აღსარება: „სიკვდილისა ყველას ეშინია, — ამას ამბობს ის, ვინც ათასჯერ მდგარა სიკვდილის პირისპირ, — მხოლოდ ზოგი მალავს ამ შიშს, ზოგი კი ვერ მალავს. მეც, ალბათ, გარედან არაფერი მეტყობოდა. ამიტომ გაჭირვების დროს კოლია პირველად მე დამიძახებდა ხოლმე. შენ ყველაზე გულადი კაცი ხარო, მეტყოდა. და მეც ხმას როგორ ამოვიღებდი, არა ვარ მეთქი. ჩუმად ვიყავი, რომ კოლიას თვალში არ დავპატარავებულიყავ“.

ძელმიწურის საძებნად წასულ მზვერავს დის დარდი მიჰყვება თან, კოლიას უბარებს, თამარს მიმიხედე, ჩემს საძებრად არ წამოვიდესო.

ეს იყო ყველაზე უფრო მძიმე და მწუ-

ხარე ღამე გიორგი მუმლაძის ცხოვრებაში. ცეცხლის ნიაღვარსა და ნანგრევებში მიიკვლევდა იგი გზას, თავის წამოწევის ეშინოდა. ჩამოწოლილ უკუნს დროდადრო ფერადი ტყვიები ლამბავს.

შუა გზაზე, სუსტი ალით განათებულ ორმოსთან მზვერავმა წელში მოხრილ ლანდებს მოჰკრა თვალი. მტერმა შეამჩნია, ჩემი აღსასრული დამდგარაო, გაიფიქრა.

ამ წუთში გიორგი მუმლაძე „თათრის წყაროზე" შეშინებული პატარა ბიჭი იყო, მთელ ქვეყნიერებას გამოეთიშა, იმ ჯოჯოხეთურ ზათქსა და გრიალში ჩქამიც კი არ ესმოდა. ცოტაც და, ეს საბედისწერო სიჩუმე გასრესდა კაცს .მუმლაძეს მაინც თავისი დაემართა, სანამ გაარკვევდა, რომ ორმოსთან მორიალე ლანდები დამფრთხალი და ამხანაგებს ჩამორჩენილი ჩვენი ჯარისკაცები იყვნენ. ახლა კი ყველაფერს თავისი სახე დაუბრუნდა, მზვერავის სმენას ისევ ჩასწვდა გახეთქილი მილიდან წყლის გაუთავებელი თქიშინი; ახლა უკვე კიდეც სიამოვნებდა ზარბაზნების შემზარავი გრიალი, რადგან იმ ჭკუიდან შემშლელი სიჩუმის გამაქარვებელი ყოველგვარი ხმაური მისთვის სიცოცხლესთან დაბრუნებას ნიშნავდა.

ამის მერე მუმლაძემ ადვილად შეამჩნია, სად იმყოფებოდა მტრის ძელმიწური, და სამი მაშხალა დაეკიდა დაწყვილებული ტყვიამფრქვევის თავზე. ზურგში დარჩენილები ამ ნიშანს ელოდნენ.

ტყვიამფრქვევებმა მაშინვე შესცვალეს სამიზნე და ცეცხლიანი ხახა იქითკენ მოაბრუნეს, სადაც მუმლაძე იყო გაწოლილი. მხარში მოხვედრილმა ტყვიამ მზვერავს ყველა კუნთი და სახსარი შეუბოჭა, მალე გონებაც დაკარგა.

თვალი რომ გაახილა, სავსე მთვარე დაჰყურებდა, ირგვლივ სოფლური სიმყუდროვე სუფევდა. წამოდგომა სცადა, ვერ შესძლო, რაღაც მძიმე დასწოლოდა, ხელი გადაჰყო და თამარის გაციებულ სხეულს შეეხო მისი თითები...

ეს იყო ისეთი სიმწარე, რის მონელებასა და დავიწყებასაც მუმლაძე ვერასოდეს შესძლებდა. ამ დღიდან იგი სხვა კაცი გახდა, თითქოს მთელი ქვეყნიერება დაცარიელდა მისთვის, ყველაფერი დავიწროვდა და დაპატარავდა. მხოლოდ ბავშვობისდროინდელი ერთი პატარა მოგონება არ შორდებოდა, სულ თვალწინ ედგა:

„...თამარი მაშინ ექვსი წლისა იყო. მე გაკვეთილს ვამზადებდი, ის კი აივანზე ცინდალს ეთამაშებოდა. უცბად მოვიდა და ფერადი ფანქარი მთხოვა.

— ფანქარი რად გინდა, გოგო?

— ზღვა უნდა დავხატო, — მითხრა მან.

გამეცინა.

— შე სულელო, ზღვა რომ არ გინახავს, აბა როგორ დახატავ!

ახლა ის მოკვდა სიცილით.

— რაც არ გინახავს, ის უნდა დახატო, თორემ მზესა და სახლებს ყველა დახატავსო..."

ამ სიტყვებში გულმოკლული ვაჟკაცის უსაზღვრო მწუხარებაა დაგუბებული, გლოვაა ძმის ჭრილობასთან დახრილი და მოკლული დისა, აქ გიორგი მისტირის იმ შორეულ, უზრუნველ ბავშვობას, როცა ექვსი წლის თამარი აივანზე იჯდა და თვალით უნახავ ზღვას ხატავდა.

ეს გახსენება მზით გაკაშკაშებულ დღესავით არის ჩასმული ყუმბარების შავი კვამლით გამურულ ომის სურათებში და ყველაფერს ანგელოზური სიწმინდით ანათებს.

„არამკითხე მამოგილი"

შუა ხანს მიტანებული კაცია, გარეგნულად არავისგან არ გამოირჩევა. მას, ალბათ, არც ომამდე მიაქცევდა ვინმე ყურადღებას და არც ომის დროს. მისი ჩანთა ყველა ჯარისკაცის ჩანთაზე მძიმეა და, ვისაც რა დასჭირდება, მაშინვე

იონასთან მირბის, ხელი მომიმართეო. იონა მებუკე ყველას ეხმარება, ყველას გამოჯანმრთელებაზე ზრუნავს, განსაკუთრებით ახალბედებზეა გადამკვდარი — დღემუდამ მათი ჭკუის დარიგებაშია, ამიტომ ზოგიერთები „არამკითხე მამობილსაც“ ეძახიან.

მოთხრობაში მხოლოდ ერთი მაგალითია, თუ როგორ უბრუნებს იონა სიცოცხლის რწმენას ერთ გულგაბზარულ ყმაწვილ კაცს.

თბილისელ სტუდენტს გური არდაშელიას ასეთი რამ მანამდე არ ენახა — საიდანღაც გამოსროლილმა ტყვიამ განგმირა მისი ახალგაცნობილი ამხანაგი. თავზარდაცემული გური ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მომაკვდავს უშველოს, მაგრამ ყველაფერი ამაოა:

„სისხლი ისევ მოდიოდა და იმ ბიჭის სხეულიდან სიცოცხლე სწრაფად გამოჰქონდა.

სანამ ეს მუქი-წითელი სითხე ადამიანის გულსა და ძარღვებში უხილავად მოძრაობდა, ის იყო სიცოცხლის ყველაზე დიდი სასწაული, ყველაფრის დასაწყის-დასაბამი. ახლა კი ეს სისხლი ისე ალა-ალად იღვრებოდა მიწაზე. თითქოს ფეხის ნაბანი წყალი იყო და მეტი არაფერი“.

ამ უცაბედმა და უაზრო სიკვდილმა ისე საშინლად იმოქმედა გური არდაშელიაზე, რომ საბრალო ბიჭი არავითარ ხიფათს აღარ ერიდებოდა, მისთვის თითქოს სულერთი იყო, მოკლავდნენ თუ არა. იონა მებუკე მიხვდა, ამ ბიჭის თავს კარგი ამბავი არ არისო, და გვერდიდან არ შორდებოდა. ხან გაამხნევა, ხან დაარიგა, მაგრამ გურიზე არაფერმა გასჭრა. ერთხელ, როდესაც იონამ ზერელედ გათხრილი სანგარი ჩაუღრმავა თანამებრძოლს, გური გაწიწმატდა, ჩემი სანგრის ამოთხრას ვინ გეკითხებაო.

აქ კი ვეღარ მოითმინა მუდამ წყნარმა და აუღელვებელმა კაცმა:

„— მამა ხომ გყავს, ბიჭო! — ჰკითხა იონამ.

— მერე რა, რომ მყავს?!

— აი სწორედ მამაშენი მეკითხება, ბიჭო! შენი სულელი თავი თუ არ გეცოდება, ის მაინც შეიცოდე! ეს ერთი ტყვია მარტო შენ კი ან მოგკლავს, ჩემო გური, მამაშენსაც მოუღებს ბოლოს. ეგ არის ამ ომის ცეცხლი!“

მწერლისთვის უცნობია, თუ რა ბედი ეწია გური არდაშელიას; ერთი რამ კი ცხადია — „არამკითხე მამაბოლი“ მას ომის ყველა საშინელებას შეაჩვევდა და ვაჟკაცურად გადაატანინებდა.

იონას დაჭრის ამბავი მწერალს საგანგებოდ აქვს აღწერილი და წინდაწინვე ხაზს უსვამს ამ განსაკუთრებულ შემთხვევას.

იონა მებუკე ორ ქართველ მედესანტესთან ერთად „ცისფერი ხაზის“ რომელიღაც სიმაგრის დასაზვერად გაგზავნეს. დავალება ძალზე ძნელი იყო. ამხანაგები წინ წავიდნენ, იონა უკან დარჩა, რათა საჭიროების შემთხვევაში მათთვის დასახევი გზა გაეწმინდა ან რაიმეთი დახმარებოდა.

დროდადრო მაშხალები აენთებიან ცაზე; ამ დროს მიწას უნდა დააკვდე — ქვისა და კუნძისგან ვერ უნდა გაგანსხვავოს მტერმა. იონა შენიღბვის დიდოსტატია, მაგრამ ახლა მასაც გაუჭირდა.

„მაშხალები გახშირდნენ. ხან სამი, ხან ოთხი პარაშუტი ერთად გაიშლება იონას თავზე, და გულგახეთქილმა კაცმა უკვე აღარ იცის, სად ჯანდაბაში წაიღოს თავისი ხელ-ფეხი, თავისი სხეული, რომელსაც ახლა მთელი გერმანია დაეძებს, რომ დაფლითოს და მიწაში აჩილოს...“

ამ ტანჯვაში რომ იყო, უეცრად პატარა ორმოს გადააწყდა, შიგ ჩაძვრა. ეგონა, სულს მოვითქვამო, მაგრამ სწორედ ამის შემდეგ დაიწყო იონას ნამდვილი წამება.

მზვერავმა დაინახა, მოშორებით მდგარმა გერმანელმა როგორ მოიხსნა ქამრიდან გრანატა და როგორ დაუმიზნა იმ ორმოს, სადაც თვითონ იყო მოკუნტული.

იონას ჭირის ოფლმა დაასხა. თვალი შეავლო ორმოს პირზე დავარდნილ გრანატას და გული გაუჩერდა. ერთი

სიკვდილი მოკვდა კაცი, ვიდრე მიხვდებოდა, რომ გრანატა არ აფეთქდა. განწირულს იმედი მიეცა. ის იყო, ხიფათი საბოლოოდ გადატანილი ეგონა, რომ გერმანელმა მეორე გრანატა მოიხსნა და ამოჩემებულივით ისევ იონას ორმოს დაუმიზნა. ეტყობოდა, გერმანელი ამას ხელის გასავარჯიშებლად აკეთებდა, მაგრამ იონასათვის ეს ვერაფერი ნუგეში იყო; კაცი ყოველ წამს სიკვდილს უყურებდა თვალებში. ერთი გაფიქრება კი გაიფიქრა, დავასწრებ, იქვე მივაწვენ ამ მოცლილ გერმანელსო, მაგრამ ამით ამხანაგებს დაღუპავდა და იონა ისევ ბედს შეურიგდა, ბედს კი არა ნაღდ სიკვდილს, რადგან მეორედ ნასროლი გრანატა უეჭველად აფეთქდებოდა. ორჯერ სიკვდილი კი ერთ წამში მართლაც რომ ძნელი იყო.

გრანატის ნამსხვრევებით თოთხმეტ ადგილას დაჭრილ ჭაგნელ ტრაქტორისტს ერთი კვნესაც არ დასცდენია. იგი რაღაც სასწაულით გადარჩა სიკვდილს.

იმ „განსაცდელში ჩავარდნილი“ ვაჟკაცებიდან, რომელთაც კონსტანტინე ლორთქიფანიძე გვიხატავს, ყველაზე მძიმე განსაცდელი ბედმა იონა მებუკეს არგუნა. ამ კაცმა გასაოცარი სულიერი მხნეობა გამოიჩინა — სიკვდილს აჯობა. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო — იონასთანა ვაჟკაცი რომ ჩახედავს თვალებში, სიკვდილმა ცოტა უნდა მოიცადოს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე თავის შემოქმედებაში ორ ძირითად თემას ამუშავებს: სოფლის თემასა და „თოფიანი კაცის ცხოვრებას“ — ომის თემას. სოფლის თემას აღნიშნულ კრებულში ერთი პატარა მოთხრობა ეხმიანება — „მწარე ფესვი“. ამ მოთხრობას საგანგებოდ არ შევეხებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს არის მწერლის უაღრესად მიმნდობი და გულახდილი საუბარი მკითხველთან. აქ ძალზე ძუნწად, მაგრამ მკაფიოდ არის გამოხატული მწერლის ზოგიერთი მეტად საყურადღებო თავისებურება. კონსტანტინე ლორთქიფანიძე თამამად ახედებს დაინტერესებულ მკითხველს თავის შემოქმედებითი ლაბორატორიაში.

ჩვენ არ გვილაპარაკია, აგრეთვე, კ. ლორთქიფანიძის ერთ-ერთ საუკეთესო დოკუმენტურ მოთხრობაზე — „მაისის დილა“. „მაისის დილა“ ბევრად უფრო ადრე აქვს მწერალს დაწერილი, მაგრამ ამ ნაწარმოებმა ღირსეული ადგილი დაიკავა „უტყუარ მოთხრობებში“.

დასასრულ, გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ კონსტანტინე ლორთქიფანიძის სტილის ზოგ თავისებურებაზე. უმთავრესი, რაც თვალში მოხვდება მისი ნაწერების წამკითხველს, ეს არის დიდი სისადავე და შესაშური გულახდილობა. მწერალი პოულობს ყველაზე საჭირო სიტყვას, ყველაზე ზუსტ შედარებას. მისგან გამართულ ფრაზაში ძალზე ძნელია რაიმეს ჩამატება თუ გამოკლება ან კიდევ სიტყვისათვის ადგილის შეცვლა.

ზოგი წინადადება (აზრის მკაფიოდ გამოსახატავად) უკიდურესად დაწურულია. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

„მთაში ბრძოლას ცოტა სხვანაირი გეში უნდა“; „მთაში არავისი მიწა არ არსებობს“; „მზვერავის ანბანი ამბობს: ხვრინია კაცმა უეცარი გაღვიძება იცისო“ („მამია ჯაიანი“); „მფრთხალი გუშაგი მტრისას! ნაბიჯს არ გადადგმას, უკან არ მოიხედოს...“ „იარაღმა ორჯერ მტყუნება არ იცის“... („სიკვდილი ცოტას მოიცდის“).

ერთი შეხედვით, ეს თითქოს სამხედრო წესდების ენაა, მაგრამ ამ შემთხვევაში მოჩვენებითი სიმშრალე ხერხია გმირის ხასიათის გასახსნელად, მისი სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად.

სხვაგან, სადაც საამისო დრო და ადგილია, მწერალი ფერებს არ იშურებს, საოცრად დინამიურ, დაუვიწყარ სურათებს ხატავს. თუმცა ზედმეტი აქაც არაფერია. ყოველი სახე, თუ შედარება

გამოზომილად არის ნახმარი, ამიტომ შთაბეჭდილებაც მაქსიმალურად ძლიერია. მაგალითების მოტანა უხვად შეიძლებოდა:

„თეთრად შელესილი სახლები ზღვისპირს გადაჰყურებდა, მათი ანარეკლი წყალში ისე ცახცახებდა, თითქოს ჩაძირული სოფელი მაღლა ამოდიოდა“ („ერთი ღამის საუკუნე“). აქ ულამაზესი სურათია დახატული. ეფექტი, რასაც ზღვის ნაპირას ოდნავ ათრთოლებული ზვირთები ქმნის, საოცარი სიზუსტით არის გადმოცემული.

„ბნელოდა. მხოლოდ ხანდახან ცერზე შემდგარი ალი ორმოს კიდეებს შეაწითლებდა“. „ცერზე შემდგარი ალი“ ესაა რეალობისა და ფანტაზიის ბედნიერი შერწყმა, რაც მხოლოდ ნამდვილ შემოქმედს ძალუძს.

„სახლის უკან პატარა ბაკი და სასიმინდე დავინახე. იქვე ერთადერთი ალუბალი ჰყვაოდა და ამ საცოდავ ეზო-კარს რაღაც სიკეთეს ჰფენდა“ („სიკვდილი ცოტას მოიცდის“).

აქ რაიმე განსაკუთრებულ სურათს ვერ ვხედავთ, მაგრამ არის ახალი განწყობილება, არის ის, რაც შეამჩნია მწერლის დაკვირვებულმა თვალმა და რასაც სხვა ვერ შეამჩნევდა. ერთმა სიტყვამ („საცოდავმა“) ისეთი ძალით გამოხატა ომით გაპარტახებული ქვეყნის უბედურება, რასაც, ალბათ, მთელი თაბახები დასჭირდებოდა. სწორედ ეს არის სიტყვის დიდოსტატობა.

ჩვენ არაფერს ვიტყვით მწერლის მდიდარ, უაღრესად კოლორიტულ ლექსიკაზე, რაზედაც მრავალჯერ დაწერილა.

„სიკვდილი ცოტას მოიცდის“ — საეტაპო მნიშვნელობის წიგნია კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. იგი ისეთივე შენაძენია დიდი საბჭოთა ლიტერატურისა, როგორც ფადეევის „განადგურება“ და ბაბელის „ცხენარმია“.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე აგრძელებს „უტყუარ მოთხრობებზე“ მუშაობას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კიდევ მრავალ უსახელო გმირს გავიცნობთ; ამ მოთხრობებში კიდევ მრავალჯერ წავაწყდებით მათ გვარსა და სახელს, ვისაც მწერალმა მარადი სიცოცხლე მიანიჭა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭელიძის ლექსების ახალი კრებული

სარეცენზიო წიგნი წარმოადგენს ლირიკული ლექსებისა და ბალადების კრებულს, რომელსაც ახასიათებს თემატური მრავალფეროვნება.

ლექსი „უსასრულობა", რომლითაც კრებული იხსნება, სამყაროს ფილოსოფიური აღქმის ლირიკული გამოვლენაა. აქ პოეტმა სცადა ადამიანის ჩვენება კოსმოსთან მიმართებაში.

უცხო ვარსკვლავთაგან ვინმე
შორით შენნაირად თუ მჭვრეტს,
ალბათ, უსასრულოდ მცირე
ვგავარ უმარტივეს უჯრედს.

ასევე საინტერესოა ლექსი „თარიღის დაკარგვა", რომელშიც პოეტმა თავისებურად გააზრა სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთმიმართება.

ლირიკული ლექსი მაშინ არის სრულფასოვანი, როდესაც მასში გადმოცემული პოეტის პირადი განცდები მკითხველისთვისაც. მახლობელია და მის გრძნობებს შეესატყვისება.

ბავშვობისა და ყრმობის უსპეტაკესი დღეები... უფაქიზესი ქვეცნობიერი ლტოლვით სატრფოსადმი გულის პირველი შეფრთხიალება... ეს გრძნობა ვისაც კი განუცდია, სიკვდილამდე გაჰყოლია. მოწიფულ ასაკში შესულ ადამიანს, სიყვარულისა და სიძულვილის ქარცეცხლში მრავალჯერ გამოვლილს, არ შეიძლება არ გაახსენდეს თავისი უმანკო, ბავშვური სიყვარული. სწორედ ეს განწყობილება გადმოგვცა ოთარ ჭელიძემ „გამოცნაურებაში".

რაც კაცობრიობა არსებობს, თაობები ერთმანეთს ცვლიან; ერთნი მიდიან, მეორენი მოდიან, ეს ცხოვრების, ბუნების ურყევი კანონია, უფრო სწორად, კანონზომიერებაა, მაგრამ ადამიანი მაინც ძნელად ურიგდება ამ კანონზომიერებას. თაობათა შეცვლით გამოწვეულ ამ სევდას, უნებურ კვნესას უძღვნა ოთარ ჭელიძემ ლექსი „ძველი რექვიემი". თაობათა შეცვლის ძველისძველ და მუდმივ თემას, რომელსაც მსოფლიო ლიტერატურაში არა ერთი ნაწარმოები მიეძღვნა, ოთარ ჭელიძე კონკრეტულ განასერში წყვეტს. გარდაუვალი სევდით ეღერს ამ ლექსში რეფრენი:

ძველი რექვიემი კვნესის
ნიშნად თაობათა შეცვლის.

მოწაფეები თავისი მასწავლებლის კუბოს მიაცილებენ და პოეტი წერს:

და მეც მეუფლება ღელვა,
უტყვი სინანული მკაწრავს,
ერთად დავუბივართ ყველა
სიმწრის უჩინმაჩინ ბაწარს.
ძველი რექვიემი კვნესის
ნიშნად თაობათა შეცვლის

. . . . . .

ცივი გარემოცვით მგესლავს,
თითქოს მასწავლებლის ნაცვლად
ყრმობას მივასვენებ ჩემსას.
ძველი რექვიემი კვნესის
ნიშნად თაობათა შეცვლის.

მაგრამ თაობათა შეცვლის გარდაუვალობის პესიმიზმამდე, ავადმყოფურ სევდამდე არ მიჰყავს პოეტი. მამათა და შვილთა ურღვევ კავშირს, მემკვიდრეობითობას უმღერის ოთარ ჭელიძე ლექსში „წერილი შვილს პიონერთა ბანაკში":

უკანსკნელად მინდა დავრწმუნდე,
რომ ხარ მშვენება
ჩემი მამულის
და ჩემზე კარგად რომ შეგეძლება
ქვეყნის შენება
და სიყვარული.

ადამიანისადმი რწმენითაა გამსჭვალული ლექსი „მიუწვდომელი მწვერვალი". პოეტს სჯერა, რომ ადამიანი უძლეველი არსებაა და მას უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა ძალუძს:

ცეცხლის ღმერთი ვხდები წუთით,
ძახილს მაღლა ვატან ნიავს,
რომ მწვერვალმა თეთრი ქუდი
მომიხადოს ადამიანს.

კრებულში მოთავსებულია ორი პატარა ლექსი, რომლებმაც არ შეიძლება მკითხველის

ოთარ ჭელიძე, „უსასრულობა", საბჭოთა საქართველო, 1966.

ყურადღება არ მიიპყროს. ჩვენ მათზე გვინდა შევჩერდეთ.

ლექსი „გამარჯვება რომ არ უთხრა...“ ჰეშმარიტად პოეტური მარგალიტია:

ქარი უკან მოგაბრუნებს,
გზაზე დაგიდარაჯდება,
ივრის ჭალებს, ხოდაბუნებს
რომ არ უთხრა გამარჯვება,
გამარჯვება რომ არ უთხრა
ამ ატეხილ, აყრილ ჭალებს,
შეიძლება ბერი მუხა
პაპასავით გაგიჯავრდეს.

ძნელია უკეთესად გამოხატო უწმინდესი, უმხურვალესი სიყვარული მშობლიური მიწა-წყლისადმი... ოთარ ჭელიძემ ამ გრძნობის გადმოსაცემად მშვენივრად გამოიყენა ჩვენს სოფლებში შემორჩენილი საყოველთაო მისალმების ძველი ტრადიცია. ქართველი კაცი ყოველთვის გამოირჩეოდა თავაზიანობით; ახლაც სოფელში ისე არავინ ჩაივლის, რომ გამარჯვება არა თქვას. მოხუცები განსაკუთრებული გულმოდგინებით იცავენ ამ ტრადიციას. ამიტომ არის, რომ ოთარ ჭელიძე ამბობს თავის ლექსით, თუ შენს მიწას, წყალს, ტყეებს, ჭალებს გამარჯვებას არ ეტყვი, ბერი მუხა პაპასავით გაგიჯავრდებაო.

ეს ლექსი საინტერესოა შინაარსითაც და ფორმითაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსის ხმოვანება, რომელსაც პოეტი ალიტერაციის წყალობით აღწევს. ბრწყინვალეა მეორე ლექსიც — „მეგობარო ცაცხვის ხეო“. ეს ლექსიც ღრმა შინაარსის შემცველია.

პოეტი გვიხატავს შემოდგომით გაძარცულ ხეს და მას ადარებს ადამიანს, რომელსაც პირველი სიყვარული დაუკარგავს;

ხე, მართლაც, ისეა დახატული ამ ლექსში, რომ იგი სულიერ არსებას მოგვაგონებს, მოგვაგონებს ადამიანს, რომელმაც პირველი სიყვარულის დაკარგვის მთელი ტრაგედია განიცადა. თავს უფლებას მივცემთ და ამ ლექსს მთლიანად მოვიტანთ:

მეგობარო, ზამთარია,
ფოთლის ფრთები დაგცვივნია,
შიშველს თოვლი გაფარია,
ბეღურები დაგცინიან,
ვაგიხდია ქარში კაბა
და ირხევი სინანულით.
შენ ფოთლები დაგიკარგავს
მე — პირველი სიყვარული.

კრებულში, ბევრი კარგი ლექსია. სამწუხაროდ, წერილის მოცულობა საშუალებას არ გვაძლევს ყველა მათგანზე შევაჩეროთ ყურადღება, მაგრამ ერთი კი შეიძლება ვთქვათ: ისინი გულწრფელობით, აზრის სიღრმითა და ფორმის მშვენიერებით განირჩევიან.

ახლა კი მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ბალადებზე, რომლებსაც წიგნის ნახევარი აქვთ დათმობილი.

ბალადების მეტი ნაწილი ნოველებს მოგვაგონებს, დამახასიათებელი მოულოდნელი დასასრულით.

ოთარ ჭელიძე გვეკლინება ქართული ბალადის და, კერძოდ, ხალხური ბალადის ტრადიციების გამგრძელებლად.

ოდესღაც ბალადა რომანტიკოსი პოეტების საყვარელი ჟანრი იყო. რომანტიკული ბალადებისაგან განსხვავებით, ოთარ ჭელიძის ამავე ჟანრის ნაწარმოებებში გვხვდება გარკვეულად და ნათლად ჩამოყალიბებული სიუჟეტები, იგრძნობა ავტორის ასეთივე გარკვეული და ნათელი დამოკიდებულება ასახული მოვლენებისადმი. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ „სისხლიანი სუფრა“ და „ორი მარაბდელი“.

პირველ მათგანს საფუძვლად უდევს ქართლში დღემდე ლეგენდად შემორჩენილი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ იძია შური ცნობილი დოსტაქრის თურმანიძის ვაჟმა ანდუყაფარმა თავისი მამის მკვლელებსა და საქართველოს მტრებზე.

ხალხი აღშფოთებულია იმით, რომ ანდუყაფარი დაუმეგობრდა შაჰის კაცებს და მათთან დროს ატარებს. ხალხი მოითხოვს მოღალატის დასჯას:

— ჩავკლათ! — ერთხმად დაიძახეს!
— გამოვღადროთ ხანჯლით ყელი.
— დავწვათ! არცხვენს კაცის სახელს
საქართველოს გამყიდველი.

განრისხებული ხალხი კარებს შეანგრევს და გამოირკვევა, რომ ანდუყაფარმა შაჰის ორმოცი მეომარი მოწამლა და თვითონაც მოიკლა თავი. ხალხს ანდუყაფარ თურმანიძე მოღალატე ეგონა, იგი კი სამშობლოს ერთგული, სამშობლოსათვის თავგანწირული გამოდგა.

ბალადა „სისხლიანი სუფრა“ სამშობლოს სიყვარულს, ხალხის ერთგულებას, მშობლიური მიწისათვის თავდადებას გვასწავლის.

ბევრი რამის თქმა შესძლო ოთარ ჭელიძემ ბალადაში — „ორი მარაბდელი“. ნაწარმოებში რეალისტური ფერებით, ცოცხლად არის დახატული დიდი ქართველი მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლის, სახალხო გმირის არსენა ოძელაშვილის შეხვედრის სურათი. არსენა და ნიკოლოზ ბარათაშვილი მტრებივით შეხვდნენ გზაზე ერთმანეთს. ხოლო, როდესაც ერთმანეთი იცნეს, ძმებივით დაშორდნენ. რადგან, მიუხედავად კლასობრივი სხვაობისა, პოეტი მათ შორის ბევრს საერთოსაც ხედავს. ეს კარგად არის გადმოცემული სტრიქონებში:

როგორც დედინაცვალს გულქვას,
გაჰქცევია ორივ ყოფას,

> გზა ორივეს არაგვს უგავს,
> ქედით ორად რომ იყოფა.

არსენა ოძელაშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის დაპირისპირება, უდავოდ, კარგად მიგნებული თემაა. ჩვენ არ ვიცით, სინამდვილეში ჰქონდა ადგილი თუ არა ასეთ შეხვედრას, მაგრამ პოეტის ფანტაზიით შექმნილი ეს ეპიზოდი თავისი განმაზოგადებელი ძალით მხატვრულ სიმართლეს წარმოადგენს.

ძალზე პოეტურია „ბეშტაუს ბალადა", რომელშიც ოთარ ჭელიძე გადმოგვცემს მიხეილ ლერმონტოვის დუელში დაღუპვით გამოწვეულ პირად განცდებს. ეს ბალადა ზმანებისა და სინამდვილის თავისებურ შერწყმას წარმოადგენს, რაც ნაწარმოებს მაღალმხატვრულობას ანიჭებს. კარგია და გულში ჩამწვდომი ბალადის ფინალი:

> უნდა ისევ დაიქუხოს,
> ოხრავს უხმო ნატვრად,
> ყველა ნამდვილ პოეტს უხმობს
> ძმად და სეკუნდანტად.

დიდი მოქალაქეობრივი გრძნობით, დიდი ილიასადმი უსაზღვრო სიყვარულით გამთბარი სტრიქონები უძღვნა პოეტმა წიწამურის ტრაგედიას.

ლექსი „კრწანისზე მწარე წიწამურია" ბალადა კი არა, დიდი ეროვნული გულისტკივილით გამოწვეული მწარე კვნესაა. მრავალი ნაწარმოები შექმნეს ქართველმა პოეტებმა დიდი ილიას ავაზაკური მკვლელობის გამო, მათ შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ მიჩნეულ უნდა იქნას ეს ბალადა.

ვიდრე საქართველო, ქართველი ერი იარსებებს ყოველთვის მწარე გასახსენებელი იქნება წიწამურის ტრაგედია, რადგან სწორედ ამ დღეს საქართველოს გამოუსწორებელი უბედურება დაატყდა თავს. ავტორმა კარგად გასულიერა ამ უბედურების მთელი სიმძიმე, როდესაც ეგ კრწანისის ველზე ქართველი ჯარის დამარცხებას შეადარა.

ამ ბალადის ფინალში პოეტი მოგვიწოდებს, ვიყოთ ფხიზლად, რომ აღარ გამეორდეს საქართველოს ისტორიაში ის, რაც კრწანისში, რაც წიწამურში მოხდა.

შენიშვნის სახით გვსურს ვთქვათ, რომ კრებულში შეტანილი არც ერთი ლექსი არ არის დათარიღებული, ხოლო წიგნის ყდაზე აღნიშნულმა გამოცემის თარიღმა მკითხველი შეიძლება შეცდომაშიც კი შეიყვანოს. ხომ შეიძლება ეგონოთ, რომ ლექსებიც იმავე წელსაა დაწერილი, როდესაც წიგნია გამოცემული?

ოთარ ჭელიძის პოეზიისათვის დამახასიათებელია პოეტურ ფერთა სიუხვე და მით უფრო საწყენია, როდესაც აქა-იქ, ზოგიერთ ლექსში გვხვდება ამა თუ იმ სახის, ინტონაციის განმეორება. ასე, მაგალითად, ლექსში „დამშვიდობება" შემდეგი შედარება გვხვდება:

> ქრება ელდა წამიერი
> და სარკმლიდან ღამის ქუჩა
> გამოჩნდება ცარიელი,
> როგორც მწვანე წამლის შუშა.

იგივე შედარება ავტორს ნახმარი აქვს მეორე ლექსშიც („მეტამორფოზა") სულ სხვა მოვლენის გადმოსაცემად.

ოთარ ჭელიძის ლექსების კრებული „უსასრულობა" კიდევ ერთხელ ჩაგვახედებს მწერლის სულიერ სამყაროში, რაც ასე აღელვებს და ატკბობს მკითხველს.

დ. ჟუმსიშვილი

აკაკი და ახალგაზრდობა

აკაკი არა მარტო დიდი პოეტია, იგი დიდი ოპტიმისტიცაა, იმედის სხივით რომ უშუქებდა და უშუქებს ცხოვრების გზას ხალხს, მისი ლექსებისა და პოემების თითოეულ მკითხველს. მზესავით ნათელი და კაშკაშაა მგოსნის ყოველი ქმნილება. რომლებშიაც ჰაბუკური გულისძგერა იგრძნობა მუდამ. ეს ბუნებრივიცაა იმ ადამიანის ნაწარმოებთათვის, რომლის პირველი და უსაყვარლესი ადრესატი ქართველი ახალგაზრდობაა, ჩვენი ნორჩი თაობაა. შემთხვევით არ უთქვამს დიდ მგოსანს, რომ „მიყვარს ბავშვი, პატივს ვცემ მოხუცებულებს, ვაფასებ ვაჟკაცობას, მაგრამ გული სიჰაბუკისაკენ მიმიწევსო".

აკაკი ცარიზმის უღელქვეშ მგმინავი საქართველოს შვილი იყო, მის თავისუფლებაზე ოცნებაში რომ დალია სული. თითქოს სასიკვდილოდ განწირული სამშობლოს თანამედროვე იყო მგოსანი, მაგრამ მწარე მონობიდან „სამშობლოს დახსნის იმედი" არასოდეს არ შესუსტებია მას, რადგან იმედად ქართველი ახალგაზრდობა ეგულებოდა. აკი თვით მგოსანი ამბობდა:

> „ახალგაზრდობის მას აქვს იმედი,
> და მას უმღერის მარად და მარად".

უშ. ობოლაძე, „აკაკი და ახალგაზრდობა", „განათლება", 1965.

მგოსნისათვის ეს საიმედო ახალგაზრდობა იყო არა მარტო განსაკუთრებული სიყვარულის, არამედ შეუდარებელი ზრუნვის საგანი. ამიტომ ეკიდებოდა იგი უდიდესი პასუხისმგებლობით ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, თავის დროინდელი პედაგოგიკის აქტუალურ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. და თუ რას წარმოადგენდა აკაკის პედაგოგიკური შეხედულებანი და როგორ იბრძოდა მგოსანი ქართველი ახალგაზრდობის მამულიშვილებად და მოქალაქეებად, „კაცურ-კაცებად" აღზრდისათვის, ამაზე საქმის კარგი ცოდნით მოგვითხრობს პროფ. უშანგი ობოლაძე თავის საინტერესო ნარკვევში „აკაკი და ახალგაზრდობა".

ცნობილია, რომ აკაკი გასული საუკუნის მეორე ნახევარში გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ბელადი იყო საქართველოში. თავისი მსოფლმხედველობითა და ეროვნულ-საზოგადოებრივი იდეალებით იგი „ახალ ახალგაზრდობას" ეკედლებოდა. ეს იყო მაშინდელი საქართველოს საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდობის ის ფენა, რომელიც, ნ. ნიკოლაძის განმარტებით, **საქმეს** ეძებდა, საქმეზე ოცნებობდა. დასახული მიზნის მიღწევას ეს თაობა (რომელსაც შემდეგში გიორგი წერეთელმა „მეორე დასი" უწოდა) „არც სხვის დახმარებაში, არც უნაყოფო დიპლომატიაში, არც ზულხელდაკრეფილ ცდაში ეძებდა". მას **საკუთარი** თავის, საკუთარი შრომის, ხალხის ძალასთან შეერთებული საკუთარი ძალის იმედი ჰქონდა იმ ამოცანათა გადაჭრაში, რომლებიც ქვეყნის წინსვლასა და აღორძინებასთან, მის ფართო ცივილიზებასთან იყო დაკავშირებული.

მოკლედ, „ახალი ახალგაზრდობა" საქართველოს ცხოვრების „ახლებურად მოწყობას" მოითხოვდა. ეს სიახლე მისთვის ქვეყნის სამრეწველო-ტექნიკურ პროგრესს უნდა მიენიჭებინა და აკაკიც, 1859 წლით დათარიღებულ ლექსში „ქართლის სალამი" ასე მიმართავდა სამშობლოს:

„აღსდეგ მამაცად, და გაიმართე,
თუ რომ იშრომებ, გზები გაქვს ფართე,
ცეცხლის გემები, რკინისა გზები
და ტელეგრაფი თამამად მართე".

ამაზე უფრო გვიან ლექსში „ბოდვა" იგი მეტი გარკვეულობით ამბობდა, რომ:

„არ მწამს სიტყვა ცარიელი,
სათვალთმაქცო მძულს, მე წერია,
საქმე, საქმე, მხოლოდ საქმე
როცა ვხედავ, ეს კი მჯერა".

„საქმე", როგორც საქვეყნო პრაქტიკული იდეალი, — აი რა ასაზრდოებდა აკაკის განმანათლებლობასაც, რომელიც **დამახასიათებელი** იყო ყველა ჩვენი სამოციანელისათვის და მათ შორის „ახალი ახალგაზრდობისათვისაც".

აკაკის სწამდა, რომ ხალხის განათლებაა ამავე ხალხის თავისუფლების, მისი ცხოვრების სამართლიანობის ნიადაგზე დაფუძნების ერთ-ერთი მთავარი პირობა. ეს განათლება კი, თუ გსურთ, რომ იგი ნამდვილი იყოს, მშობლიურ ენაზე უნდა წარმოებდეს, ამბობდა მგოსანი. ამიტომ ქართული ენის, ქართული სკოლისა და განათლების უფლებებისათვის ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის არსებას შეადგენს ჩვენთვისო, დასძენდა იგი და სწორედ ამას გულისხმობდა უკვდავი პოეტი, როდესაც გასული საუკუნის 70-იან წლებში წერდა: „ჩვენი აწმყო რომ უსაშველოა, ამაში ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, მაგრამ იმდენს მაინც ვეცადოთ, რომ მომავლისათვის ვიფიქროთ, და იმ ახალ თაობას, რომელიც დღეს სახეშიაც არა გვყავს, ხელი მოვუმართოთ და მასალა მაინც კეთილი დავუტოვოთ მომზადებული. რა იქნება ეს მასალა? რასაკვირველია, **განათლება**, უპასუხებდა აკაკი, მაგრამ **განათლება ჭეშმარიტი** (ხაზი ჩვენია ვ. ზ.) და არა ისეთი ცრუ, რომელიც ჩვენ მივიღია — უმცროსებზე ამაყობა, **უფროსების** წინ სულმდაბლობა და ტოლებში ფარისევლობა".

ამრიგად, ადამიანის აღზრდა სიმართლისა და სამართლიანობის ერთგულების სულისკვეთებით, აი რას სთვლიდა აკაკი ჭეშმარიტ განათლებად. თავისი არსებით ეს განათლება მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოეტის რევოლუციურ განმანათლებლობასთან, რომლის თანახმად, მონოგრაფიის ავტორის სწორი აზრით, „მგოსანი ხანჯალს სთვლიდა მტრის გულისა და პოეტის შორის ერთადერთ მოციქულად".

ამ ფილოსოფიის შესაბამისად ებრძოდა აკაკი სახალხო განათლებაში წოდებრივი პრინციპის დაცვას და დაჟინებით მიუთითებდა პიროვნების ფორმირებაში აღზრდის უპირატესობაზე, მგოსნის მიერ მხატვრულად ასე ნათელყოფილს შესანიშნავ პოემაში „გამზრდელი".

შესაბამისად თავისი მსოფლმხედველობისა,

აკაკი აღზრდის საკითხშიაც რეალისტურ პოზიციებზე იდგა. ქვეყნის ყოველდღიურ ინტერესთა მსახურება მგოსნის საბრძოლო დევიზი იყო. ამავე აზრს იცავდა იგი განათლების საკითხშიაც და ამტკიცებდა, რომ ადამიანის ნიჭსა და ცოდნას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როდესაც იგი ხალხს ემსახურებაო. და ამ მხრივ, მონოგრაფიის ავტორის სწორი შეხედულებით, აკაკი იმ დიდი ტრადიციის გამგრძელებელი იყო, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ დავ. გურამიშვილმა და ნიკ. ბარათაშვილმა ჩაუყარეს.

აკაკის სჯეროდა, რომ ვისაც ხალხის ბედნიერებისათვის უცემს გული, იგი ამ ხალხის ცხოვრებაში შემჩნეულ ყოველგვარ სიმახინჯეს შეებრძოლებოდა თავგამეტებით და აქეტომ მგოსანიც შეჩვენებას უთვლიდა ისეთ ახალგაზრდას, რომელიც „ხედავს საზოგადოებაში ცუდს. მავნებელ რასმე მოვლენებს და არ ამხილებს უშიშრად და დაუფარავად". ასეთ „ცრუ მოვლენად" — განმარტავს პროფ. უშ. ობოლაძე — მგოსანი იმას სთვლიდა, რაც ნეიტრალობას ლიბერალობასა და ცრუპატრიოტიზმს უკავშირდება. პოეტი ამგვარ უმსგავსოებათა წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვდა სწორად დაყენებული აღზრდისა და განათლებისაგან.

აკაკი პატარაობიდანვე გლეხის ოჯახში გააძიძეს, რათა უბრალო ადამიანთა შორის აღზრდილიყო და იქ ესწავლა პატივისცემა ყოველი კაცისა და შრომის ოფლით მოპოვებული პურის ნატეხისა. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ აკაკი შრომის დიდი მეხოტბე გახლდათ და, როგორც ბრძენი პედაგოგი, მოითხოვდა ადამიანისათვის აღრეული ასაკიდან ესწავლებინათ შრომა, რომელიც თვით მას, თამაშის მისაბაძ მაგალითად წარმოედგინა. როგორც პროფ. უშ. ობოლაძე შენიშნავს მართებულად, აკაკის ყურადღებიდან არ გამორჩენია ის როლიც, რომელსაც შრომა ადამიანის არა მარტო ფიზიკურ, არამედ სულიერ განვითარებაშიც ასრულებს და მით ხელს უწყობს მის ჰარმონიულ სრულყოფას.

დიდია ის ადგილიც, რომელსაც აკაკი თამაშს უთმობს ბავშვის განვითარებაში. დიდია იგი იმის გამო, რომ მგოსნისათვის „თამაშობა არის ვარჯიში, რომლის საშუალებითაც ბავშვი ცხოვრებისათვის ემზადება".

ბავშვის აღზრდა ცხოვრებისათვის მომზადებას წარმოადგენდა აკაკისათვის და ასე ესმოდათ მისი დანიშნულება მგოსნის მშობლებსაც, რომლებიც ამ საქმეში თავგადადებით ყოფილან „სპარტანულობის" პრინციპული მომხრენი.

ამრიგად, აღზრდასთან დაკავშირებული აკაკის ყოველი აზრი და მოქმედება უაღრესად ცხოვრებისეულია და ასევე ცხოვრებისეულია მგოსნის ის შეხედულებანი, რომლებიც მას განათლებისა, მისი შინაარსისა და სწავლების მეთოდებზე ჰქონდა შექმნილი. და ამას ნათელყოფს პროფ. უშ. ობოლაძე ისეთი შესანიშნავი ისტორიულ-ლიტერატურული ქმნილებებით, როგორიც „ჩემი თავგადასავალია". ეს ამ ნაწარმოებში წარმოდგენილი ძველი სკოლის ათასგვარ უკუღმართობას, მგოსანი გვიჩვენებს, თუ რა მცდარ გზას ადგებოდა საბოლოოდ ამ სკოლის მიერ დამახინჯებული ახალგაზრდა და რა იყო საჭირო იმისათვის, რომ მოზარდი თაობა წესიერ, ნამდვილად კაცურ აზრებსა და მოქმედებას შეჩვევოდა.

აღზრდის საზოგადოებრივად წესიერ გზაზე დაძყენებელი, მგოსნის რწმენით, მასწავლებლობაა. ამიტომ გასაგებია ის სიყვარული, რომელსაც იგი მასწავლებლისა და, განსაკუთრებით, სოფლის მასწავლებლის მიმართ იჩენდა, რადგან იგი აღმზრდელი და სულიერი მოძღვარი იყო არა მარტო სოფლის ბავშვებისა, არამედ მათი მშობლებისაც.

აკაკისაგან სახალხო განათლებისა და, კერძოდ, სახალხო სკოლებისადმი განსაკუთრებული ყურადღების დამადასტურებელია, როგორც პროფ. უშ. ობოლაძეც ამბობს, ის პრაქტიკული მონაწილეობა, რომელსაც მგოსანი ამ სკოლების შესაქმნელად ეწეოდა თავის სამშობლოში. განა სახალხო განათლებაზე დიდი ზრუნვის მაჩვენებელი არ იყო ის ღრმა ინტერესი, რომელსაც აკაკი სწავლების პრობლემებისადმი იჩენდა საერთოდ, ის ბრძოლაც, რომელსაც იგი ე. წ. „მუნჯური" მეთოდის წინააღმდეგ ეწეოდა და ის როლი, რომელსაც მისი დაუვიწყარი საბავშვო ლექსები ასრულებდნენ უკვდავ „დედ-ენაში"?.

აკაკის უყვარდა ბავშვი და ამიტომ არც არის საკვირველი, რომ მგოსნის შემოქმედების მრავალი შედეგი სწორედ ახალ თაობას მიეძღვნა.

უჩვეულო იყო ის სიყვარულიც, რომლითაც ბავშვები უპასუხებდნენ მგოსანს და სწორედ ამის შესახებ გვიამბობს ასე დაუვიწყრად აკაკი თავის ფელეტონში „ოთხი შემთხვევა". „ფრეილინის ქუჩაზე მივდიოდი, მოგვითხრობს პოეტი. ტროტუარზე წინ შემხვდა ვიღაც გამდელი, რომელსაც ხელჩაკიდებული მიჰყავდა ამაყად ფეხადგმული ბავშვი. პატარა ძლივს მიბაჯბაჯებდა. დამინახა თუ არა იმ ბავშვმა, გაიბზიკა თითი და ძლივს წაილუღლუღა—„ეი, აკაკი!" მე გავშტერდი. გამდელმა ბოდიში მოიხადა: ამა და ამ კაცის შვილიაო. თქვენ პირადად არ გიცნობენ, მაგრამ თქვენი სურათი უკიდიათ ოთახში და ამ ბავშვმაც მითი გიცნოთო! ჩემ დღეში არ მიგრძვნია და არ გამომეცადა და მაშინ გამოვცადე სიამოვნების ოფლი. საზოგადოების თანაგრძნობას უჩვეულო არა ვარ, ვინ მოსთვლის, რამდენი ტაში მომისმენია, რამდენი „ვაშა" გამიგონია! რამდენი სასიამოვნო რამ მინახავს, მაგრამ არც ერთხელ ის არ მიგრძვნია, რაც იმ პატარა ბავშვის თითმა და ნატიტინებმა მაგრძნობინა".

და ასეთივე უანგარო, სპეტაკი სიყვარული უგრძნობინებიათ აკაკისათვის არამარტო ბავშვებს, ნორჩების განუმეორებელი გრძნობით შეჰხაროდნენ მგოსანს და მის სახელს მუდამ მათი მშობლებიც, ქართველი ხალხი.

ხალხის ამ სიყვარულზე და მგოსნის საპასუხო გრძნობაზე, იმ დიდ სამსახურზე, რომელსაც ასე არ იშურებდა აკაკი სამშობლოსა და მისი ახალგაზრდობისათვის, მოგვითხრობს, პროფ. უშ. ობოლაძის მეტად ცოდნითა და სიყვარულით დაწერილი მონოგრაფიაც.

ვლადიმერ ზამბახიძე

ქართული ხალხური პოეზია

ქართველმა მკითხველმა „ხალხური სიბრძნის" ლამაზად გაფორმებული ოთხი ტომი მიიღო.

ერის ყოფა, მისი სულიერი პოტენცია მშრომელი ხალხის მხატვრულ შემოქმედებაში ვლინდება. ფოლკლორულ ძეგლებში ყღერს შორეული წარსულის ხმა. ამიტომ არის საჭირო გავეცნოთ წინაპართა ნააზრევს, მის უკიდეგანო ფანტაზიას, რომელსაც, თითქმის ყოველთვის, ყოფაში აქვს რეალური საფუძველი.

„ხალხური სიბრძნის" მეოთხე ტომში შესული ლექსები წვეთია ქართული ხალხური პოეზიის უძირო ზღვაში" — წერს ტომის შესავალში პროფ. ქს. სიხარულიძე. მით უფრო ძნელია ამ „უძირო ზღვიდან" სათანადო ტექსტების ამორჩევა, ამ მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმის თავის გართმევა. ამიტომაც განსაკუთრებული მადლობის ღირსია ტომის შემდგენელი, რომელმაც დიდი გემოვნებით, გულმოდგინებით აკინძა ხალხური საუნჯიდან უკეთესთა შორის უკეთესი, რჩეულთა შორის რჩეული.

„ხალხური სიბრძნის" განსახილველი ტომი ქართველი ხალხის ყოფაცხოვრების ისტორიაა, თვითმყოფი პოეზიით აღბეჭდილი ადამიანთა მეხსიერებაში. იგი პოეტური აზროვნების ისტორიაცაა. საუკუნეებგამოვლილი ეს ლექსად ნაფიქრი, სიყვარულით რომ დაუბინავებია ქართლის ბედზე ზრუნვით გაჭაღარავებულ ჩვენს წინაპრებს, მემკვიდრეობად გადმოეცა თაობიდან თაობას.

პროფ. ქს. სიხარულიძეს მიზნად დაუსახავს მკითხველისათვის მიეწოდებინა ყველა ჟანრის პოეტური ნიმუშები. ამავე დროს აქვე ხაზგასმულია არა მარტო პოეტურ ჟანრთა ხნოვანება, არამედ თვით ნიმუშების არქაულობა, მათში დაცული რეალიების მიხედვით. ეს კი მკითხველს საშუალებას მისცემს ტექსტების საფუძველზე თანმიმდევრულად წარმოიდგინოს საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხური.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს უძველესი სამეურნეო დარგის ამსახველი პოეზია „მონადირული". წიგნის პირველი განყოფილება იხსნება ქართული ფოლკლორის შედევრით — „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა", სადაც, ნადირობის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ძლიერ სურათთან ერთად, მოცემულია დედის გლოვის უაღრესად მძაფრი ემოციები.

მეურნეობის ადრინდელ ფორმასთან დაკავშირებული მონადირული ლექსები გარდა იმისა, რომ აღძრავენ ხალხური შემოქმედების გენეზისის, განვითარების გზებისა და სხვა მრავალ თეორიულ საკითხს, გამოირჩევიან მაღალმხატვრულობითა და მეტად მდიდარი თემატიკით.

ასევე მდიდარი, თემატიკურად მრავალფეროვანი მასალაა წარმოდგენილი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ პოეზიის განყოფილებაში. ხვნაში, თოხნაში, მკაში, კალოზე, თიბვაში, ვენახში ქართველი გლეხის გულწრფელად ნამღერი, ერთად თავმოყრილი და განახლებული, ჩვენი ხალხის სამეურნეო ცხოვრების ჭეშმარიტი სურათია.

შესავალში აღნიშნულია შრომის სხვადასხვა სახის სპეციფიკასთან დაკავშირებული პოეტური ნიმუშები, მათი თემატიკა, შესრულების თავისებურება — მუხლობრივი ხასიათი, ტექსტის დინამიკურობა, ტემპი და სხვ.

ცალკეა გამოყოფილი მთიბლური სიმღერები, რომლებიც განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ლექსის ისტორიის თვალსაზრისით. მთიბლურის ურითმო ლექსები დამახასიათებელია უძველესი პოეზიისათვის.

აქვეა ურმული, მეტივური და ქალთა საქმიანობის ამსახველი ლექსები — საფეიქრო. მეტად საინტერესოა მწყემსური სიმღერები, რომლითაც მთავრდება შრომის პოეზია. ტომში წარმოდგენილი ეს მასალა, როგორც სამართლიანად წერს ტომის შემდგენელი, დიდ დახმარებას გაგვიწევს წარსულში მშრომელთა ყოფის გასათვალისწინებლად.

წიგნში ყურადღებას იპყრობს საგმირო თემატიკის შემცველი პოეტური ნიმუშები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, თავიანთი დახვეწილობითა და ღრმა ჰუმანიზმით, სახელგანთქმულ გმირებთან ერთად, უცნობ გმირთა უკვდავსაყოფი ძეგლია.

კარგად არის ნაჩვენები საგმირო ლექსების გავრცელება და ტრადიცია საქართველოში. საგმირო ლექსები იმღერებოდა სახალხო თუ საგ-

---

ხალხური სიბრძნე, ქართული პოეზია, IV, ტომი შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ქსენია სიხარულიძემ, „ნაკადული", 1965.

ჯახო დღესასწაულებზე, სალაშქროდ მზადებისას თუ გამგზავრებისას, საგმირო სიმღერები სრულდებოდა ლაშქრობიდან დაბრუნებისას. საგმირო ლექსებს მღეროდნენ ახალგაზრდებიც და მოხუცებიც, ქალებიც და მამაკაცებიც. აღსანიშნავია, რომ სალაშქროდ გამგზავრებისას ან ლაშქრობიდან გამარჯვებით დაბრუნებისას ამგვარ ლექსებს ახალგაზრდა ქალები უმღეროდნენ სამშობლოს დამცველ ვაჟკაცებს.

ტომში საგმირო ლექსების ლოგიკური გაგრძელებაა განყოფილება, სადაც წარმოდგენილია ჩვენი პოეტური ფოლკლორის მნიშვნელოვანი უბანი — საისტორიო ლექსები. ქართველი ერის ეს ზეპირი ისტორია. საგმირო და საისტორიო პოეზიის ნიმუშები მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ერთმანეთთან. ეს გასაგებიცაა, საისტორიო ლექსების ძირითადი ნაწილი უმთავრესად საგმირო ხასიათისაა. აქ აღწერილია ჩვენი წინაპრების გმირული ბრძოლები თავისუფლებისა და მშვიდობისათვის. სამშობლოსათვის თავდადებულთა სახელებს სასოებით ინახავდა ქართველი ხალხი. საფერხულო სიმღერებს დღემდე შემორჩენია ვახტანგ გორგასლის, თამარ მეფის, შალვა ახალციხელისა და სხვათა სახელები. ტომის შემდგენელი ხაზს უსვამს საისტორიო ლექსების დიდი ნაწილის სასიმღერო ხასიათს.

კრებულში შეტანილია წიგნური წარმოშობის ნიმუშებიც. ასეთია დავით აღმაშენებლის სახელთან დაკავშირებული ლექსი „გიამბობ სიფრიადესა", რომელიც „დღემდე ზეპირად იციან და ჩაწერილია ვარიანტებად".

ტომის შემდგენელს თანაბარი ყურადღებით განუხილავს ქართული ხალხური პოეზიის ყოველი კუთხე: საწესო თუ საძეობო, სოციალური თუ საყოფაცხოვრებო, ფილოსოფიური თუ სატრფიალო. თითოეული ეს უბანი თავის მნიშვნელოვან სიტყვას ამბობს, წარმატებით ამართლებს თავის არსებობას.

სარიტუალო ანუ საწესო ლექს-სიმღერებში უმთავრესად ფიქსირებულია ყოფის სურათები, მშრომელთა ოცნება და იმედები.

ფორმის სრულყოფით, პოეტურ სახეთა მრავალფეროვნებითა და ამაღლებული გრძნობის უშუალობით ცნობილია ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკა. „სატრფიალო ლექსების მდიდარი ციკლი ერთი უწყვეტი სიმღერაა ფაქიზსა და ამაღლებულ სიყვარულზე". პოეზიის ამ უბანზე თავს იჩენს შედარებების, ეპითეტებისა და სიმბოლიკის სიუხვე, ქართველი ხალხის სულიერი სიმდიდრე.

ტრადიციული პოეზიის გვერდით ტომში წარმოდგენილია თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ლექსები. შემდგენელს სრულიად შეგნებულად შეურჩევია ისეთი ტექსტები, რომლებსაც გააჩნია ვარიანტები და ახასიათებს ხალხური კოლექტიური შემოქმედების ნიმუშის ყველა თვისება. გარდა ამისა, აქვე ახსნილია თანამედროვე და რევოლუციამდელი პოეზიის ნიმუშების არათანაბარი რიცხვობრივი შეფარდება. „თანამედროვე ხალხური პოეზია დროის მცირე მონაკვეთშია შექმნილი, [illegible] ათეული წლისაა. რევოლუციამდელი [illegible] მრავალ საუკუნის, უთვალავი წლის პროდუქტია" — ვკითხულობთ შესავალში.

აღნიშნულ განყოფილებაში შესული ლექსები ახალია და თავისებურ საფეხურს წარმოადგენს ქართული ხალხური პოეზიის განვითარებაში. ასახავს რა თანამედროვე ყოფას, ტრადიციულისაგან იგი განსხვავდება როგორც თემატიკურად, ისე თავისი განწყობილებით.

ამას გარდა, ჩვენთვის ახლა ხშირად უკვე ცნობილია ამა თუ იმ ლექსის ავტორი. ფოლკლორული ტექსტები, შექმნილნი ჩვენს თვალწინ, ინარჩუნებენ ავტორთა ვინაობას.

ერთად თავმოყრილი, სისტემაში მოყვანილი და დახვეწილი ხალხური სიბრძნის IV ტომი ნათელი ილუსტრაციაა ჩვენი მშრომელი ხალხის დიდი ლტოლვისა მხატვრული შემოქმედებისადმი. ადამიანს ყოფაცხოვრების ყოველ მომენტში ჰქონდა სულიერი მოთხოვნილება სიტყვიერად თუ სიმღერით გამოეთქვა თავისი აზრი, განწყობილება, განცდები.

თხზავდა არა ყველა, მაგრამ იმეორებდა თითქმის ყველა. მათ შორის იყვნენ მეტნაკლებად კარგი თხრობის უნარისმქონენი, მიმზიდველი, ენაწყლიანი მოსაუბრენი, სხვათა სიტყვის მოხდენილად გადმომცემნი ანუ მთქმელნი. ნიჭიერი მთქმელი შემოქმედებითად მონაწილეობდა ნაწარმოების სრულქმნაში, საკუთარი წვლილიც შეჰქონდა, ალამაზებდა, უკეთეს სიტყვას თუ სტრიქონს ეძიებდა.

გასული საუკუნის ჩანაწერებში ჩვენ უფრო მთქმელებს ვხვდებით, ვიდრე ავტორ-მთქმელებს. ეს ტერმინი ფოლკლორის თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბდა, როცა პირისპირ შევხვდით ამა თუ იმ ნაწარმოების ცოცხალ ავტორს. დღეს ავტორ-მთქმელები ბეჭდავენ მათ მიერ გამოთქმულ ლექსს თუ ანდაზას, მახვილ სიტყვას თუ შაირს.

მთქმელი და ავტორ-მთქმელი საკმაოდ მკაფიოდ გამიჯნული ორი დამოუკიდებელი ტერმინია.

ამრიგად, „ხალხური სიბრძნის" IV ტომი კარგად გვაცნობს ქართველი კაცის ნაფიქრს შორეული წარსულიდან დღემდე, მის შეხედულებას ცხოვრებაზე, წუთისოფელზე, მის თავისებურ ფილოსოფიას, იდეალს გმირობისა, მეგობრობისა და სიყვარულისა...

ფართო მკითხველი მასისათვის განკუთვნილი ასეთი წიგნი უთუოდ დაიმსახურებს საერთო მოწონებასა და სიყვარულს.

თამარ ოქროშიძე

გონდო კეშელავას ლექსების წიგნი

ბონდო კეშელავა ადამიანის სულიერი სიჯანსაღის მომღერალია. მისი ფიქრები ცხოვრების მთავარ საწყისს — მიწას და მიწის მუშას დატრიალებს თავზე.

წიგნი გუთნისდედისადმი მიძღვნილი ლექსით იხსნება.

პოეტის ოცნებას იტაცებს დაღლილი ვაჟკაცის გამომეტყველება:

მე მიყვარს, როცა შრომით დაღლილი
შედგები ხნულში მტკიცე, მთებური.
ყელთან პერანგის პატარა ღილი
გამშვენებს, ოფლით შეყვითლებული.

ეს პორტრეტულად საუცხოოდ დანახული გლეხკაცი მატერიალური დოკლათის მთავარ შემქმნელად გვესახება. ვგრძნობთ, მისი სიცოცხლე და მადლი არასოდეს დამთავრდება.

მხვნელ-მთესველივით, ჭირნახულის მომყვანივით, შემოდგომის წვიმებით გაბეზრებული პოეტი სწუხს:

მეწადა მზისთვის აუგი მეთქვა,
მაგრამ ვერ ვკადრე მზეს სამდურავი.

ბუნებაზე წუთიერად გაჯავრებული პოეტი დაასკვნის: „მწარე ფიქრთა გასართველად, თოფი მძლავრად გავისროლე“.

ბონდო კეშელავა მარტო ლექსებით როდი აფაქიზებს ადამიანის სულიერ სამყაროს. იგი წლების განმავლობაში მასწავლებლობდა. ვინ იცის, რამდენი ახალგაზრდა ქალ-ვაჟის გული გაამდიდრა თავისი სპეტაკი ადამიანურობით და ცხოვრების სწორ გზაზე დააყენა. ნაწილობრივ ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსად უნდა მივიჩნიოთ „მოხუცი მასწავლებელი“, მასწავლებელი, რომელიც „მოამაგე, საქმით რჩეული. დღემდე სკოლისაკენ მიილტვოდა რვეულით, წიგნით, ეწადა კუბოს კარამდი არ გაცლოდა სკოლას, წუხს, ხანდაზმულობის გამო, დილაობით ბავშვთა ჟრიამულს რომ ვეღარ მიჰყვება სასწავლებლამდე.

არ ყოფილა ჩვენს ცხოვრებაში არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც პოეტის გულამდი არ მიეღწიოს. საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ რამდენიმე ლექსი: „რიონჰესის მუშებს“, „ბრძოლის ველიდან ყაჩაღები განიდევნება“, „შინმოუსვლელის მეუღლე“ და სხვა.

ბონდო კეშელავამ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ქუთაისში გაატარა. წიგნში გვხვდება ქუთაისისადმი მიძღვნილი ლექსები. გვინდა გამოვყოთ: „ეს ერთი ლექსიც“, სადაც პოეტი ეფერება „მის სახლებს, ქუჩებს“; აწუხებს ის, რომ აქ ბევრი მეგობარი ჰყავდა [illegible] წასულან, სამარადისოდ წასულან [illegible]

არ ამკობს ქუჩებს მათი წმინდა, ნათელი სახე,
ვინც მე მიყვარდა, თითქმის ყველა თვალს
მიეფარა...
შემრჩა სიცოცხლე, როგორც წიგნი
ყდადაცრეცილი,
და გამეცალა ჩემებური ის ბობოქრობაც.

ბონდო კეშელავა გვარწმუნებს, ვითომ, დატოვა „ის ბობოქრობაც“, მაგრამ მკითხველი გრძნობს, „ცხენენჯის“ დამწერი ასე ნაადრევად ვერ დადგება ცხოვრების ჩრდილში.

პოეტი მოკრძალებული და სპეტაკია ქალისადმი სიყვარულში. ამ თემისადმი მიძღვნილი ბევრი მისი ლექსი წმინდა მამულიშვილური შუქითაა განათებული. სწამს ქალი, როგორც მამულის ულამაზესი ბურჯი, ოჯახის შემქმნელი, სიცოცხლის თაობიდან თაობაზე გადამტანი.

გულში ჩამწვდომია „შინ მოუსვლელის მეუღლე“. ქალი ერთი პატარა შვილის ანაბარა დარჩენილა. „შრომაში ტოლებს უკან არ რჩება“ და „შინ მის ქალობას შორიდან აქებს მისი ეზო და მისი ჭიშკარი“. შინმოუსვლელის მეუღლე, როცა ქმრის მეგობრებს შეხვდება, თავსაფრის ყურებს შეისწორებს... და დიდი დარდის დასაფარავად ბავშვს უხმობს და ბავშვის თვალებში ხედავს დაღუპული ქმრის იმედს.

ბ. კეშელავას ლექსები გამოირჩევა უშუალობით, სიცხოველითა და კორძიანობით.

ამ წიგნის ერთ პოლემიკურ ლექსში—„რთული“ ბ. კეშელავა ამბობს: „ნუთუ რთულია ან „მერანი“ ან „განთიადი“. თუ „სირთულეს“ ბუნდოვანების, „მჭლე ლექსების“ სინონიმად მივიჩნევთ, ავტორის გულისწყრომა სწორია, მაგრამ „მერანი“ და „განთიადი“ განა რთული ლექსები არ არის? ამ ლექსთა სიძლიერის მიღწევა სირთულე არ არის? არა მგონია, სხვა გაგება არსებობდეს სიტყვა „რთულისა“.

გვინდა გავიხსენოთ ბ. კეშელავას „წიგნი და მამა“, პოეტი რომელიღაც წიგნს კითხულობს თავდავიწყებით. ავტორი წიგნის გმირს თითქოს ბრძოლაში მიჰყვება. გმირის ყოველგვარ დაბრკოლებათა გადალახვაში მონაწილეობს.

ბონდო კეშელავას წიგნს მეც მივყვები, ვუსმენ ღრმა ადამიანურ განცდებით გაცხოველებულ ჩანაფიქრს, დაწერილს ბუნების ლამაზი ფერადებითა და საამო ხმით, ვხდები მონაწილე მისი ტკივილისა და სიხარულისა.

ზ. ლორთქიფანიძე.

ბონდო კეშელავა, „ჩემო კარგო ქვეყანავ“. საბჭოთა საქართველო, 1965.

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76126

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“